როგორ გამოვიყენოთ ორჰუსის კონვენცია საქართველოში

სახელმძღვანელო სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენელთათვის

ROYAL HASKONING

THE REGIONAL ENVIRONMENTAL CENTER
for Central and Eastern Europe

პროექტი განხორციელებულია ევროკავშირის ფინანსური დახმარებით როიალ ჰასკონინგისა და აღმოსავლეთ და ცენტრალური ევროპის რეგიონული ეკოლოგიური ცენტრის მიერ

როგორ გამოვიყენოთ ორჰუსის კონვენცია საქართველოში

სახელმძღვანელო სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენელთათვის

კიევი, უკრაინა
სექტემბერი 2004

EuropeAid 02-0114

ROYAL HASKONING

THE REGIONAL ENVIRONMENTAL CENTER
for Central and Eastern Europe

გამოიცა ევროკავშირის პროექტის: „გარემოსდაცვითი ინფორმაცია, განათლება და ცნობიერების ამაღლება, აზერბაიჯანი, ბელარუსი, მოლდოვა, საქართველო, სომხეთი, უკრაინა“ მიერ

EuropeAid 02-0114

პროექტი განახორციელა „როიალ ჰასკონინგმა“ და ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის რეგიონული ეკოლოგიური ცენტრმა (რეც)

© 2004 European Commission

ეს გამოცემა წარმოადგენს ევროკომისიის საკუთრებას. დაშვებულია გამრავლება არაკომერციული მიზნებისათვის, პირველწყაროს მითითებით.

ამ გამოცემის შინაარსზე პასუხს აგებს როიალ ჰასკონინგი და ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის რეგიონული ეკოლოგიური ცენტრი და იგი არ შეიძლება განხილულ იქნას ევროკომისიის შეხედულებათა ამსახველად.

ავტორი:

ლია თოდუა *(პროექტის ეროვნული გუნდის ხელმძღვანელი).*

იურიდიული ექსპერტიზა:

ზურაბ მარაქველიძე *(ეროვნული კონსულტანტი)* და არჩილ ადამია *(ეროვნული გუნდის წევრი).*

რედაქტირება:

ეკა ბადრიძე, მანანა ქურთუბაძე, თამარ გობეჯიშვილი და თამარ ფეიქრიშვილი *(ეროვნული გუნდის წევრები);*

კომენტარებითა და რჩევებით დაგვეხმარნენ:

ნანა ნემსაძე *(ეროვნული კონსულტანტი ინტერაქტიული სწავლების საკითხებში)*, რუსუდან სიმონიძე, ნინო ქიტუაშვილი, გიორგი გახელაძე *(ეროვნული გუნდის წევრები)* და გიორგი ხაბელაშვილი *(სადამკვირვებლო საბჭოს წევრი).*

კორექტურა:

ეთერ უკლება

სახელმძღვანელოში გამოყენებულია მასალები წიგნიდან: „ორჰუსის კონვენციის განხორციელება: სახელმძღვანელო სამხრეთ ევროპისა და კავკასიის საჯარო მოხელეებისათვის“ ავტორები: ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის რეგიონული ეკოლოგიური ცენტრის საერთაშორისო ექსპერტები: მაგდა ტოთ ნაგი *(საზოგადოების მონაწილეობის პროგრამის ხელმძღვანელი)*, მარიანა ბოლშაკოვა, კაიდი ტინგასი, როდიკა იორდანოვი *(პროექტის მენეჯერები, საზოგადოების მონაწილეობის პროგრამა)* და პაველ ანტონოვი *(„მწვანე ჰორიზონტი“-ს რედაქტორი).*

როიალ ჰასკონინგში მასალა განიხილეს: მარგრიტ ჰართმანმა *(პროექტის მენეჯერი)*, ვერონიკა ვანმა *(პროექტის გუნდის ლიდერი)*, ელენა ველიგოშმა *(პროექტის რეგიონული ექსპეტი ინტერაქტიული სწავლების დარგში)* და სერგეი ზიმამ *(პროექტის რეგიონული გუნდის ლიდერი).*

ISBN: 966-8026-26-8

დიზაინი: მიხაილ ანემპადისტოვი, ბელარუსი

დაკაბადონება: ირინა ლობკო (ბელარუსი)

ალექსანდრე კახნიაშვილი (საქართველო)

გამომცემლობა ინტერტექნოდრუკი, უკრაინა

დაბეჭდილია გარემოსათვის უსაფრთხო ქაღალდზე

შინაარსი

შესავალი 1

რა საჭიროა კონვენციის გამოყენების სახელმძღვანელო? . . . 1
რეგიონული და ეროვნული სახელმძღვანელოები . . . 1
გამოყენებული მასალა . . . 1
სახელმძღვანელოს ძირითადი მომხმარებელი . . . 1
ცვლილებები სახელმძღანელოში . . . 2
სახელმძღვანელოს სტრუქტურა . . . 2
ტექსტის ლოგიკა . . . 2
როგორ ვისარგებლოთ ტექსტით? . . . 2
ორჰუსის კონვენციის ისტორია . . . 2
გაერო და მისი ევროპის ეკონომიკური კომისია . . . 2
გარემოს დაცვა და დემოკრატია . . . 3
ორჰუსის კონვენცია . . . 3
გარემოსდაცვითი დემოკრატია . . . 3
ორჰუსის კონვენციის ძირითადი კომპონენტები . . . 4
სამი საყრდენი . . . 4
განმარტებები . . . 5
იატაკი და არა ჭერი . . . 6
რატომ უნდა გამოვიყენოთ ორჰუსის კონვენცია . . . 6

თავი 1. გარემოსდაცვითი ინფორმაციის ხელმისაწვდომობა 9

რას ნიშნავს „ინფორმაცია“ . . . 9
რას ნიშნავს „გარემოსდაცვითი ინფორმაცია“ . . . 10
რას ნიშნავს ხელმისაწვდომობა . . . 11
რას არეგულირებს კონვენცია . . . 11
ვის ზე ვრცელდება ვალდებულებები . . . 11
ვის აქვს უფლება ინფორმაციის ხელმისაწვდომობაზე . . . 12

1.1 რა ინფორმაცია უნდა ვრცელდებოდეს აქტიურად . . . 12
1.1.1 ინფორმაცია საგანგაშო სიტუაციის შესახებ . . . 12
1.1.2 გარემოს მდგომარეობის ანგარიში . . . 13
1.1.3 მეწარმეთა ხელთ არსებული იფორმაცია . . . 14
1.1.3.1 ინფორაციის ნებაყოფლობითი გავრცელება მეწარმეთა მიერ . . . 14
1.1.3.2 ინფორმაცია ნაწარმის შესახებ . . . 15
1.1.4 ინფორმაციის გავრცელების პროგრესული გზა – ინტერნეტი . . . 15
1.1.4.1 დამაბინძურებელ ნივთიერებათა გაშვების და გადატანის რეესტრები . . . 16

1.2 როგორ მოვიძიოთ დანარჩენი ინფორმაცია . . . 16
„მიმართეთ სხვას“ . . . 16
1.2.1 ინფორმაცია, რომელიც აუცილებლად უნდა გროვდებოდეს . . . 16
1.2.1.1 საჯარო დაწესებულება უნდა ფლობდეს თავის ფუნქციის შესაბამის ინფორმაციას . . . 17
1.2.1.1.1 რას ნიშნავს „ინფორმაციის ფლობა“ . . . 17
1.2.1.1.2 რას ნიშნავს „ფუნქციის შესაბამისი“ . . . 17
1.2.2 ინფორმაცია იოლი მოსაპოვებელი უნდა იყოს . . . 18
1.2.2.1 ინფორმაცია პროცედურის შესახებ . . . 18
1.2.2.2 ინფორმაცია ინფორმაციის შესახებ . . . 18
1.2.2.3 ვის მივმართოთ . . . 19
1.2.2.4 მოხელეები უნდა დაგვეხმარონ . . . 19
1.2.3 ინფორმაციის მოთხოვნა . . . 20
1.2.3.1 ძირითადი წესები . . . 20
1.2.3.2 რას წარმოადგენს "მოთხოვნა" ინფორმაციის მიწოდებაზე? . . . 20
1.2.3.2.1 დასაბუთება საჭირო არ არის . . . 20
1.2.3.2.2 როგორ ჩამოვაყალიბოთ სწორად განაცხადი ინფორმაციის მოთხოვნაზე . . . 20
1.2.3.2.3 ინფორმაციის მოთხოვნაზე განაცხადის მაგალითი . . . 21
1.2.3.2.4 აირჩიეთ ინფორმაციის მიღების ფორმა . . . 21
1.2.3.2.5 განაცხადის წარდგენა . . . 21

1.3 პასუხი ინფორმაციის მოთხოვნაზე . . . 21
1.3.1 დადებითი პასუხი . . . 21
1.3.1.1 ვადა . . . 21
1.3.1.2 ინფორმაციის საფასური . . . 22
1.3.2 უარი . . . 23
1.3.2.1 ინფორმაციის მოთხოვნაზე უარის საფუძვლები . . . 23
1.3.2.1.1 საჯარო დაწესებულებას მოთხოვნილი ინფორმაცია არ გააჩნია . . . 23
1.3.2.1.2 მასალა მომზადების სტადიაშია (დაუმთავრებელი მასალა) . . . 24
1.3.2.1.3 საჯარო დაწესებულების შიდაწარმოების კონფიდენციურობა . . . 24

1.3.2.1.4 საერთაშორისო ურთიერთობები, ეროვნული თავდაცვა ან საზოგადოებრივი უსაფრთხოება 24
1.3.2.1.5 გამოძიება და სამართალწარმოება 25
1.3.2.1.6 კომერციული ან სამრეწველო საიდუმლოება 26
1.3.2.1.7 ინტელექტუალური საკუთრების უფლება 26
1.3.2.1.8 პირადი ინფორმაცია 27
1.3.2.2 ზოგჯერ საიდუმლო ინფორმაციაც უნდა გაიცეს 28
1.3.2.2.1 ინფორმაცია გარემოში ემისიებზე 28
1.3.2.2.2 ინფორმაციის გამოცალკევება 28
1.3.2.2.3 საზოგადოებრივ ინტერესთან შეფარდება 28
1.3.2.2.4 უკვე გამოქვეყნებული ინფორმაცია 29
1.3.2.3 უარის ფორმა და ვადები 30
1.3.2.4 რა შემთხვევაში გავასაჩივროთ ინფორმაციის მოწოდებაზე უარი, ან არასრული ან არაზუსტი ინფორმაცია 30
რატომ უნდა გავასაჩივროთ 30

თავი 2. საზოგადოების მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღებაში 33

რისთვის არის საჭირო მონაწილეობა? 33
რატომ არ ვიღებთ მონაწილეობას? 33
კარგი, მაგრამ რად მინდა ეს ყველაფერი? 34

2.1 საზოგადოების მონაწილეობის ძირითადი პრინციპები 34
2.1.1 დაინტერესებული საზოგადოების მონაწილეობა 35
2.1.2 საზოგადოების ჩართვა ადრეულ სტადიაზე, როდესაც შესაძლებელია გადაწყვეტილებაზე ზემოქმედება 35
2.1.3 გონივრული ვადები 36
2.1.4 მონაწილეობის შესაძლებლობის შესახებ საზოგადოების ეფექტიანი ინფორმირება 36
2.1.5 საბაზო ინფორმაციის მიწოდება 36
2.1.6 ხელმისაწვდომობა მთელ ინფორმაციაზე 36
2.1.7 შენიშვნების წარდგენის შესაძლებლობა 37
2.1.8 სათანადო ყურადღება საზოგადოების შენიშვნებისადმი 37
2.1.9 დაუყოვნებლივ ინფორმირება მიღებული გადაწყვეტილების შესახებ 37

2.2 გარემოსთან დაკავშირებული გადაწყვეტილებანი 37
რაში გვაინტერესებს ყველა ეს გადაწყვეტილებები ჩვენ? 38
2.2.1 ყველაფერი კანონმდებლობით იწყება 38
2.2.1.1 როგორ მივიღოთ მონაწილეობა 40
2.2.2 შემდეგი ეტაპი – სტრატეგიული დაგეგმვა 42
2.2.2.1 კონვენციის მოთხოვნები 43
2.2.2.2 სტრატეგიულ გადაწყვეტილებათა გარემოსდაცვითი შეფასება 43
2.2.2.3 როგორ მივიღოთ მონაწილეობა 44
2.2.2.4 სტრატეგიულ გადაწყვეტილებათა მიღებაში საზოგადოების მონაწილეობის მაგალითები 44
2.2.2.4.1 ტერიტორიული დაგეგმარება 46
2.2.2.4.2 პროგრამების შემუშავება: გარემოს დაცვის ადგილობრივი სამოქმედო გეგმა 47
2.2.3 დაბოლოს – გადაწყვეტილება კონკრეტული საქმიანობის შესახებ 48
2.2.3.1 ადმინისტრაციული გადაწყვეტილებანი 48
2.2.3.1.1 მარტივი ადმინისტრაციული წარმოება 49
2.2.3.1.2 დაინტერესებული მხარეები 49
2.2.3.1.3 საჯარო ადმინისტრაციული წარმოება 49
2.2.3.2 რომელ საქმიანობებზე გადაწყვეტილების მიღებაში გვაძლევს კონვენცია მონაწილეობის უფლებას? 50
2.2.3.3 გადაწყვეტილებების მიღება გარემოზე მნიშვნელოვანი ზემოქმედების მქონე საქმიანობებზე 50
2.2.3.3.1 გარემოზე ზემოქმედების შეფასება და ეკოლოგიური ექსპერტიზა 52
2.2.3.4 გარემოზე ზემოქმედების შეფასება (გზშ) 53
2.2.3.4.1 სკრინინგი 53
2.2.3.4.2 სკოუპინგი 55
2.2.3.4.3 შესაძლო ზემოქმედების განსაზღვრა და მისი შესამცირებელი ღონისძიებების დადგენა 55
2.2.3.4.4 გარემოზე ზემოქმედების დოკუმენტის მომზადება 55
2.2.3.5 გზშ-ს განხილვა / ეკოლოგიური ექსპერტიზა 56
2.2.3.5.1 გარემოსდაცვითი ნებართვის გაცემის პროცედურა 56
2.2.3.6 ვიცოდეთ ჩვენი უფლებები 57
2.2.3.6.1 ვინ არის პასუხისმგებელი საზოგადოების მონაწილეობაზე? 57
2.2.3.6.2 ვის შეუძლია მონაწილეობის მიღება? 57
2.2.3.6.3 რა ეტაპიდან უნდა შეგვეძლოს პროცესში ჩართვა? 58
2.2.3.6.4 როგორ უნდა მივიღოთ ინფორმაცია მონაწილეობის შესაძლებლობის შესახებ? 58
2.2.3.6.5 რა ინფორმაციას უნდა შეიცავდეს შეტყობინება? 59
2.2.3.6.6 რა ინფორმაცია უნდა იყოს ხელმისაწვდომი პროცედურის განმავლობაში? 60
2.2.3.6.7 ჯეროვანი ყურადღება საზოგადოების შენიშვნებისადმი 62
2.2.3.6.8 გადაწყვეტილების და მისი დასაბუთების გამოქვეყნება 62

2.2.3.7 გარემოსდაცვით გადაწყვეტილებათა კავშირი სხვა გადაწყვეტილებებთან ამავე საქმიანობაზე 63
2.2.3.7.1 საქმიანობაზე მისაღებ სხვადასხვა გადაწყვეტილებათა ურთიერთკავშირი 65
2.2.3.8 საზოგადოების მონაწილეობა ბიოუსაფრთხოების სფეროში გადაწყვეტილების მიღების პროცესში 66

თავი 3. მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა 71

3.1 რისი გასაჩივრების უფლებას გვაძლევს ორჰუსის კონვენცია 71
3.1.1 ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლების დარღვევა 71
3.1.2 მონაწილეობის უფლების დარღვევა 72
3.1.3 გარემოსდაცვითი კანონმდებლობის დარღვევა 72
3.1.3.1 ვის აქვს უფლება იჩივლოს? 73
3.1.3.1.1 სასამართლო ხელისუფლების მოქმედების ძირითადი პრინციპები 73
3.1.3.1.2 აბსტრაქტული სარჩელი 73
3.1.3.1.3 დაინტერესებული საზოგადოება 74
3.1.3.1.4. ადამიანის გარემოსდაცვითი უფლებები 74
3.1.3.1.5 რა შეიძლება მოვიმოქმედოთ გარემოსდაცვითი კანონმდებლობის დარღვევისას? 75

3.2 თუ სასამართლოსთვის მიმართვა არ გსურთ 75
3.2.1 გასაჩივრება ზემდგომთან 75
3.2.1.1 რას ნიშნავს „ზემდგომი“? 76
3.2.1.2 როგორ ვიჩივლოთ? 77
3.2.1.2.1 საჩივარი 77
3.2.1.3 რა ხდება შემდეგ? 78
3.2.2 გარემოსდამცველ ორგანოებისადმი მიმართვა 79
3.2.2.1.1 რა ინსტრუმენტები გააჩნია ინსპექტორს? 81
3.2.2.1.2 მიმართვა პროკურორთან 81
3.2.3 მიმართვა ომბუდსმენს (სახალხო დამცველს) 81

3.3 მიმართვა სასამართლოში 82
3.3.1 რომელ სასამართლოს უნდა მივმართოთ? 83
3.3.1.1 სასამართლო საქმეების ძირითადი ტიპები 83
3.3.1.2 როგორი სასამართლოები არსებობს? 83
3.3.1.2.1 რომელ სასამართლოს უნდა მივმართოთ? 84
3.3.1.2.2 ტერიტორიული იურისდიქცია 84
3.3.2 სარჩელის წარდგენა 85
3.3.2.1 ადმინისტრაციული სარჩელის წარდგენის ვადა 85
3.3.2.2.1 ადმინისტრაციული სარჩელი 86
3.3.2.2.2 სამოქალაქო სარჩელი 86
3.3.2.3 დამატებითი დოკუმენტები 86
3.3.2.4 სარჩელის მიღება 86
3.3.3 სასამართლო პროცედურა 87
3.3.3.1 საქმის მომზადება 87
3.3.3.2 სასამართლოს მთავარი სხდომა 88
3.3.4 სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრება 89
3.3.4.1 აპელაცია 90
3.3.4.1.1 ვადა 90
3.3.4.1.2 იურისდიქცია 90
3.3.4.1.3 სააპელაციო საჩივარი 90
3.3.4.2 კასაცია 91
3.3.5 სხვა მნიშვნელოვანი დეტალები 91
3.3.5.1 საპროცესო თანამონაწილეობა: ძალა ერთობაშია 91
3.3.5.2 პრეცედენტის გამოყენება 91
3.3.5.3 სარჩელის უზრუნველყოფა 92
3.3.6 საკონსტიტუციო სასამართლო 93

3.4 რა სირთულეები შეიძლება შეგხვდეთ? 93
3.4.1 ფინანსური საკითხები 94
3.4.1.1 სახელმწიფო ბაჟი 94
3.4.1.2 სასამართლო ხარჯების ანაზღაურება 95
3.4.1.3 იურიდიული მომსახურების ფასი 95
3.4.1.4 საქმიანობის შეჩერებით მიყენებული ზარალის ანაზღაურების გარანტია 95
3.4.2 ვადები 95
3.4.3 შეგებებული სარჩელი 96

3.5 საერთაშორისო პროცესი 96
3.5.1 შესრულების შეფასების მექანიზმი 96
3.5.1.1 შესრულების კომიტეტი 96

3.5.1.2 რა შეიძლება მოიმოქმედოს შეხვედრამ შეუსრულებლობის შემთხვევაში? 97
3.5.2 ადამიანის უფლებებათა ევროპული სასამართლო 97

დანართი I. ორჰუსის კონვენციის ტექსტი 100
ორჰუსის კონვენციის ქართული ოფიციალური თარგმანი 100

დანართი II. გამოყენებული და დამატებითი ლიტერატურა 117

დანართი III. ინფორმაციის ხელმისაწვდომობა 120
დანართი IIIა. ინფორმაციის გაცემა საქართველოში.მაგალითი, როდესაც ინფორმაციის გაცემას კანონმდებლობით გათვალისწინებულზე ბევრად მეტი დრო დასჭირდა 120
დანართი IIIბ. სახელმწიფო საიდუმლოებას მიკუთვნებულ ცნობათა ნუსხა 122
დანართი IIIგ. თანამდებობის პირთა ნუსხა, რომლებიც უფლებამოსილნი არიან გასცენ სახელმწიფო საიდუმლო ინფორმაციასთან დაშვების უფლება 130
დანართი IIIდ. თანამდებობის პირთა ნუსხა, რომელთაც აქვთ კონკრეტულ ინფორმაციაზე სახელმწიფო საიდუმლოების მიკუთვნების უფლება 131

დანართი IV. საზოგადოების მონაწილეობა 133
დანართი IVა: საქართველოში მოქმედ კანონთა ჩამონათვალი 133
დანართი IVბ. საქმიანობანი, რომელთა განხორციელებას საქართველოში ესაჭიროება გარემოსდაცვითი ნებართვა 141
დანართი IVგ. გარემოსდაცვითი ნებართვის გაცემა საქართველოში. მაგალითი, როდესაც საზოგადოებრივი აზრის გათვალისწინებით საქმიანობაზე ნებართვა არ გაიცა 145

დანართი V. მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა 148
დანართი Vა. საქართველოს კონსტიტუცია, თავი II 148
დანართი Vბ. გარემოსდაცვითი დარღვევები და მათზე დაწესებული სახდელი და სასჯელი საქართველოში 153

დანართი VI. საკონტაქტო ინფორმაცია 169
დანართი VIა: პროექტის მონაწილენი 169
დანართი VIბ: ორჰუსის კონვენციის კონტაქტები 170
ორჰუსის კონვენციის სამდივნო 170
ორჰუსის კონვენციაზე პასუხისმგებელი პირი საქართველოში 170
იურისტები და არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც საქართველოში მუშაობენ ორჰუსის კონვენციასთან დაკავშირებულ საკითხებზე 170

შესავალი

წინამდებარე სახელმძღვანელო „გარემოსდაცვითი ინფორმაცია, განათლება და ცნობიერების ამაღლება აღმოსავლეთ ევროპის, კავკასიისა და ცენტრალური აზიის ქვეყნებში“ – პროექტის ფარგლებში შემუშავდა. პროექტი განხორციელდა ევროპის ეკონომიკური რეგიონის 6 ქვეყნის (აზერბაიჯანი, ბელარუსი, მოლდოვა, საქართველო, სომხეთი და უკრაინა) გარემოს დაცვის სამინისტროებთან, გარემოსდაცვით არასამთავრობო ორგანიზაციებსა და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობით. პროექტი დაფინანსდა ევროკავშირის „ევროაიდის“ პროგრამის მიერ.

რა საჭიროა კონვენციის გამოყენების სახელმძღვანელო?

ამ სახელმძღვანელოს დანიშნულებაა დაეხმაროს მოქალაქეს იმის გარკვევაში, თუ რა უფლებებს აძლევს და, შესაბამისად, რა ახალ შესაძლებლობებს უქმნის მას გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისიის კონვენცია გრძელი და რთულად გასაგები დასახელებით: „კონვენცია გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ“.

სახელმძღვანელო ორ მიზანს ისახავს:

1. შეძლებისდაგვარად გასაგებად განმარტოს ამ რთული საერთაშორისო დოკუმენტის დებულებები;
2. დეტალურად აღწეროს საქართველოში კონვენციით მინიჭებულ უფლებათა გამოყენების კონკრეტული მექანიზმები და პროცედურები;

სახელმძღვანელოში ჩვენ აგრეთვე შევეცადეთ მოგვეწოდებინა მაგალითები სხვა ქვეყნებში მსგავსი უფლებების გამოყენებისა, ზოგჯერ წარმატებული, ზოგჯერ კი წარუმატებელი და შემოგვეთავაზებინა ქცევის წესები ასეთ სიტუაციებში.

პროექტის მიერ შეიქმნა აგრეთვე მეორე სახელმძღვანელო, რომელიც საჯარო მოხელეებს დეტალურად განუმარტავს კონვენციით მათზე დაკისრებულ ვალდებულებებს.

ორივე სახელმძღვანელო განთავსებულია ვებ-გვერდზე: http://www.rec.org/.

რეგიონული და ეროვნული სახელმძღვანელოები

ზემოთმოხსენიებული პროექტის ფარგლებში შეიქმნა როგორც რეგიონული, ასევე ეროვნული სახელმძღვანელოები. რეგიონული სახელმძღვანელო მხოლოდ კონვენციის საერთო სტრუქტურასა და განმარტებებს, ასევე რეგიონის ფარგლებში კონვენციის განხორციელების მაგალითებს შეიცავს. პროექტის მონაწილე ქვეყნებისათვის შემუშავებული მომხმარებლის ეროვნული სახელმძღვანელოები კი შემუშავებულია ეროვნული კანონმდებლობის, ადგილობრივი სპეციფიკისა და მდგომარეობის გათვალისწინებით და დეტალურად იხილავს კონვენციის ეროვნულ დონეზე გამოყენებისათვის აუცილებელ ყველა საჭირო საკითხს.

ახლა თქვენს ხელთაა სპეციალურად **საქართველოსათვის** მომზადებული სახელმძღვანელო. რეგიონული სახელმძღვანელო და აგრეთვე სხვა ქვეყნებისათვის მომზადებული სახელმძღვანელოები შეგიძლიათ იხილოთ ვებ-გვერდზე: http://www.rec.org/.

გამოყენებული მასალა

II დანართში მოცემულია ეროვნულ თუ საერთაშორისო დონეზე არსებულ მასალათა ჩამონათვალი, რომლებიც სახელმძღვანელოს მომზადებისას იქნა გამოყენებული, ან სასარგებლო იქნებოდა მკითხველისათვის, რომელსაც აღწერილი საკითხების უფრო ღრმად შესწავლა სურს. სია რა თქმა უნდა, არ არის სრული, ამიტომ თხოვნით მივმართავთ სახელმძღვანელოს მომხმარებლებს, აცნობონ კონვენციის სამდივნოს მათთვის ცნობილი სხვა სასარგებლო მასალების შესახებ. კონვენციის სამდივნოს საკონტაქტო ინფორმაცია იხ. www.unece.org/env/pp .

სახელმძღვანელოს მომზადებისას გამოყენებულია აგრეთვე მთელი რიგი ქართულენოვანი მასალები: „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის კომენტარები“ (ზურაბ ადეიშვილი, გერდ ვინტერი, დიმიტრი ქიტოშვილი, თბილისი, 2002 წელი), აირის-ჯორჯიასა და საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ მომზადებული ბროშურები და II დანართში მითითებული სხვა მასალები.

სახელმძღვანელოს ძირითადი მომხმარებელი

ეს სახელმძღვანელო ძირითადად განკუთვნილია მოქალაქეებისათვის, არასამთავრობო და სათემო ორგანიზაციებისათვის, რომლებსაც სურთ გამოიყენონ გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილეობის უფლება.

სახელმძღვანელო გამოადგებათ აგრეთვე ჟურნალისტებს. მიუხედავად იმისა, რომ მასობრივი ინფორმაციის საშუალებები არც ორჰუსის კონვენციისა და არც სახელმძღვანელოს უშუალო სამიზნე ჯგუფს არ წარმოადგენს, კონვენციის მრავალი დებულება მათთვისაც მნიშვნელოვანია.

ცვლილებები სახელმძღვანელოში

ჩვენს ქვეყნებში კანონმდებლობა და ადმინისტრაციული პროცედურები დღესდღეობით საკმაოდ სწრაფ ცვლილებებს განიცდის. ვისურვებდით, რომ სახელმძღვანელომ ფეხი აუწყოს მიმდინარე პროცესებს და განვითარდეს მასთან ერთად. ამიტომ მივესალმებით თქვენს მიერ მოწოდებულ ნებისმიერ კომენტარს, შენიშვნას, წინადადებასა თუ მაგალითს. ჩვენი საკონტაქტო მისამართები იხილეთ VI დანართში.

სახელმძღვანელოს სტრუქტურა

სახელმძღვანელო სამი ძირითადი ნაწილისაგან შედგება:

1. **შესავალი** – ზოგადი ინფორმაცია კონვენციისა და სახელმძღვანელოს შესახებ.
2. **ძირითადი ნაწილი** – დაყოფილია სამ თავად, კონვენციის ძირითადი პრინციპების შესაბამისად:
   1. ინფორმაციის ხელმისაწვდომობა;
   2. საზოგადოების მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში;
   3. გარემოსდაცვით საკითხებზე მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა.
3. **დანართები** – მოიცავს ორჰუსის კონვენციის ტექსტს, სახელმძღვანელოს შესაქმნელად გამოყენებული მასალის სიას და სხვა დოკუმენტებს.

ტექსტის ლოგიკა

ტექსტი მთლიანობაში იმეორებს კონვენციის შიდა ლოგიკას: წიგნის სამი თავი შეესაბამება კონვენციის სამ ძირითად პრინციპს (სამ „საყრდენს“, იხ. გვ 4). თუმცა თავების შიგნით კონვენციის ტექსტის მიმდევრობას ჩვენ არ მივყვებით. მოგეხსენებათ, საკანონმდებლო დოკუმენტებს აგების საკუთარი წესები აქვს და თანმიმდევრობით წაკითხვისას მათი გაგება საკმაოდ რთულია. ამიტომ ჩვენ საკითხები თავისუფლად გადავაჯგუფეთ იმგვარად, როგორც ამას მასალის თხრობა და განმარტება მოითხოვდა.

როგორ ვისარგებლოთ ტექსტით?

ეს სახელმძღვანელო არ არის „საკითხავი წიგნი“. ჩვენი აზრით, იგი უფრო ცნობარია. მისი გამოყენება აუცილებლად სარჩევით უნდა დაიწყოთ. ჩვენ შევეცადეთ, რომ ტექსტი ძალიან დეტალურად დაგვესათაურებინა, რათა სარჩევის მიხედვით თქვენ შეძლოთ თქვენთვის საჭირო საკითხის ან ქვე-საკითხის მოძებნა.

თუ თქვენ სახელმძღვანელოს ელექტრონული სახით მოიხმართ, შეამჩნევთ, რომ სარჩევი ელექტრონულად დაკავშირებულია ტექსტის შესაბამის სექციებთან. გარდა ამისა, ბევრია შიდა ურთიერთ-კავშირები ტექსტის სხვადასხვა ნაწილებს შორის. ლურჯი ფერის, ხაზგასმული ტექსტის გააქტიურებით თქვენ ავტომატურად გადახვალთ იმ სექციაზე, რომელზეც ეს ტექსტი მიუთითებს. სხვა მომხმარებლებმა იგივე გადასვლისათვის სახელმძღვანელოს მითითებული გვერდი ან სექცია უნდა მოძებნონ.

ტექსტი ასეთ ჩარჩოში წარმოადგენს ორჰუსის კონვენციის ამა თუ იმ დებულებათა თავისუფალ ინტერპრეტაციას.

გამუქებული ფრაზა – წინადადებისა თუ აბზაცის საკვანძო სიტყვა ან ფრაზა.

საქართველოში

ტექსტი ჩარჩოში, სათაურით **საქართველოში** – საქართველოსათვის სპეციფიკური ფაქტები, მიდგომები თუ საკანონმდებლო დებულებები.

ორჰუსის კონვენციის ისტორია

გაერო და მისი ევროპის ეკონომიკური კომისია

ხანდახან ომებს დადებითი შედეგებიც მოჰყვება. კაცობრიობა ჭკუას სწავლობს და ცდილობს შემდეგი კატასტროფა თავიდან აიცილოს. 1945 წელს ამ მიზნით შეიქმნა სახელმწიფოთა მსოფლიო ფორუმი – გაერთიანებული ერების ორგანიზაცია (**გაერო**). მისი მიზანია მშვიდობის და უსაფრთხოების უზრუნველყოფა. ამისათვის კი საჭიროა სახელმწიფოთა შორის მუდმივი თანამშრომლობა ეკონომიკური, სოციალური თუ კულტურული დაპირისპირებების თუ აღმოსაფხვრელად არა, შესარბილებლად მაინც.

ქვეყნების ეკონომიკური თანამშრომლობის განვითარებისათვის გაეროში 5 რეგიონული კომისია მოქმედებს[1]. ევროპის ეკონომიკური კომისია ევროპის, ცენტრალური აზიის და ჩრდილო ამერიკის 55 ქვეყანას აერთიანებს. ამ ქვეყნების ეკონომიკური თანამშრომლობა გარდა საკუთრივ ეკონომიკისა ისეთ საკითხებს მოიცავს, როგორიცაა ტრანსპორტი, ვაჭრობა, მრეწველობის განვითარება, ენერგეტიკა, სტატისტიკა და რაღა თქმა უნდა – გარემოს დაცვა.

[1] დეტალურად გაეროს ისტორია, ფუნქცია და სტრუქტურა შეგიძლიათ ნახოთ ინტერნეტში, მისამართზე http://www.un.org/

გარემოს დაცვა და დემოკრატია

რა კავშირია ამ ორ ცნებას შორის?

დემოკრატია ხალხის ხელისუფლებას ნიშნავს. ძალიან ვიწრო გაგებით ეს არის ქვეყნის მართვა ხალხის არჩეულ ხელისუფალთა მიერ, ფართო გაგებით კი დემოკრატია ქვეყნის მართვაში ხალხის ყოველდღიურ მონაწილეობას და სახელმწიფოსა და თითოეული ადამიანის თანასწორობას გულისხმობს.

გარემო არის ყოველივე[2], რაც ჩვენს გარშემოა. მის გარეშე ჩვენ ვერ ვიარსებებთ. ჩვენი ნებისმიერი საქმიანობისათვის თუ უბრალოდ არსებობისათვის ჩვენ მუდმივად ვიღებთ ნივთიერებებს და ენერგიას გარემოდან და მუდმივად გავცემთ მათ გარემოში. და ეს გარემო საერთოა. ერთის მიერ გარემოს დაზიანება ან დაბინძურება ყველა დანარჩენ მომხმარებელს აზარალებს.

მაგრამ დაზარალებულს ხომ უნდა ჰქონდეს დაცვის უფლება? რადგან გარემო საერთოა, ამიტომ მას ყოველთვის სახელმწიფო იცავს. მაგრამ სად არის გარანტია, რომ ამ დროს ყველას ინტერესები იქნება გათვალისწინებული? ხალხი ხომ ძალიან ბევრია, გარემოსთან მათი ურთიერთობა კი უაღრესად მრავალფეროვანი და მუდმივად ცვალებადი.

ერთ-ერთი გზა სამართლიანობისაკენ ამ სიტუაციაში არის ყველასთვის უფლების მიცემა გარემოსთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებათა მიღებაში მონაწილეობისა.

1992 წ. 3-14 ივნისს, ქ. რიო დე ჟანეიროში ჩატარდა გაეროს კონფერენცია „გარემო და განვითარება“, რომლის ძირითადი მიზანი იყო ერთიანი ხედვის შემუშავება ეკონომიკური წინსვლისა და გარემოს დაცვის ურთიერთშეთავსებისა და დაბალანსების საკითხებზე. როგორც კონფერენციამ დაასკვნა, იმისათვის, რომ კაცობრიობის ეკონომიკური წინსვლა სტაბილური (მდგრადი) იყოს, განვითარების განუყოფელ ნაწილს გარემოზე ზრუნვა (გარემოს დაცვა) უნდა წარმოადგენდეს. **გარემოს დაცვა კი ყველაზე კარგად ხორციელდება გადაწყვეტილებათა მიღებასა და განხორციელებაში ყველა დაინტერესებული მოქალაქის მონაწილეობით**. „ეროვნულ დონეზე თითოეულ ადამიანს ხელი უნდა მიუწვდებოდეს მთავრობის ხელთ არსებულ მთელ იმ ინფორმაციაზე, რომელიც შეეხება გარემოს, მათ გარემოცვაში არსებულ საშიშ მასალებსა და საქმიანობებზე ინფორმაციის ჩათვლით, და შესაძლებლობა უნდა ჰქონდეს მონაწილეობა მიიღოს გადაწყვეტილებათა მიღებაში. ქვეყნებმა ხელი უნდა შეუწყონ საზოგადოების გაცნობიერებასა და მონაწილეობას ინფორმაციის ფართო გავრცელების გზით. უზრუნველყოფილი უნდა იქნას სასამართლოსა და ადმინისტრაციული პროცესების ეფექტური ხელმისაწვდომობა, გამოსწორებისა და აღდგენის ღონისძიებების ჩათვლით.“

ორჰუსის კონვენცია

„კონვენცია“ საერთაშორისო შეთანხმებას ნიშნავს. ორჰუსი კი დანიის ქალაქია, სადაც 1998 წლის ივნისის ბოლოს გაეროს ევროპის ეკონომიკურ კომისიაში შემავალი ქვეყნების მინისტრები შეიკრიბნენ „გარემო ევროპაში“ ეგიდით[3] მიმდინარე მეოთხე კონფერენციაზე. 25 ივნისს ამ რეგონის 39 ქვეყნისა და ევროკავშირის წარმომადგენლებმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას „გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის შესახებ“, რომელსაც მოკლედ „ორჰუსის კონვენცია“ ეწოდა.

ნებისმიერ შეთანხმებას წინ გრძელი მოსამზადებელი პროცესი უძღვის. ორჰუსის კონვენცია 2 წლის განმავლობაში მზადდებოდა. რადგან იგი ძირითადად საკუთარი ხალხის მიმართ მთავრობების ვალდებულებებს ადგენდა, ცხადია სასურველი იყო კონვენციის მომზადებაში ამ ქვეყნების საზოგადოების მონაწილეობა. რეგიონის აქტიურმა არასამთავრობო ორგანიზაციებმა ჩამოაყალიბეს კოალიცია „ეკო-ფორუმი“, რომელიც მთავრობებთან მოლაპარაკებებში რეგიონის საზოგადოების ინტერესებს წარმოადგენდა.

მოლაპარაკებების პროცესი საკმაოდ რთული იყო. რიგ საკითხებზე შეთანხმების მიღწევა ვერ მოხერხდა და შესაბამისი დებულება კონვენციის ტექსტში საკმაოდ „რბილი“ გამოვიდა (მაგალითად, ეს ეხება გენმოდიფიცირებულ ორგანიზმების საკითხს. იხ. სექცია 2.2.3.8). თუმცა მთლიანობაში მაინც ჩამოყალიბდა უაღრესად საინტერესო და პროგრესული დოკუმენტი, რომელიც ე.წ. გარემოსდაცვითი დემოკრატიის ერთ-ერთ საფუძვლად ითვლება.

კონვენცია ძალაში შევიდა 2001 წლის 30 ოქტომბერს. დღეისათვის იგი მოქმედებს ევროპის ეკონომიკური კომისიის 27 ქვეყანაში. ესენია: ალბანეთი, აზერბაიჯანი, ბელორუსია, ბელგია, ბულგარეთი, დანია, ესტონეთი, თურქმენეთი, იტალია, კვიპროსი, ლატვია, ლიტვა, მაკედონია, მალტა, მოლდოვა, ნორვეგია, პოლონეთი, პორტუგალია, რუმინეთი, საფრანგეთი, საქართველო, სომხეთი, ტაჯიკეთი, უკრაინა, უნგრეთი, ყაზახეთი და ყირგიზეთი.

გარემოსდაცვითი დემოკრატია

„ორჰუსის კონვენცია ყველაზე უფრო ამბიციური, მიზანსწრაფული ნაბიჯია გარემოსადცვით დემოკრატიაში, რაც კი აქამდე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მხარდაჭერით ყოფილა განხორციელებული“ – კოფი ანანი, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი.

[2] ფსიქოლოგიურ და სოციალურ გარემოს ეს წიგნი არ ეხება

[3] უფრო დეტალურად „გარემო ევროპაში“ პროცესის შესახებ იხ. http://www.unece.org/env/

კონვენცია მიიჩნევა როგორც გარემოს დაცვის, ისე **დემოკრატიის ბერკეტად**. იგი მიზნად ისახავს:

ა. ხელისუფლების ხელთ არსებულ გარემოსდაცვით ინფორმაციაზე საზოგადოებისათვის მეტი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას, რაც თავისთავად გაზრდის ხელისუფლების ანგარიშგებასა და გამჭვირვალობას;

ბ. გარემოსთან დაკავშირებულ საკითხებზე საზოგადოებისათვის საკუთარი მოსაზრებებისა და შეშფოთების გამოხატვის შესაძლებლობის მიცემას და ხელისუფლების მიერ ამ მოსაზრებათა სათანადო გათვალისწინების მოვალეობას;

გ. ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობასა და მონაწილეობაზე საზოგადოების უფლებების დარღვევის, აგრეთვე ეროვნული გარემოსდაცვითი კანონმდებლობის დარღვევის დროს საზოგადოებისათვის გასაჩივრების შესაძლებლობის მიცემას.

კონვენციის რეგიონული მასშტაბის მიუხედავად, მას გლობალური მნიშვნელობა აქვს. მას შეიძლება მიუერთდეს არა ვარტო ევროპის ზონის, არამედ მსოფლიოს ნებისმიერი ქვეყანა.

საქართველოში

ორჰუსის კონვენცია რატიფიცირებულია საქართველოს პარლამენტის 2000 წლის 11 თებერვლის დადგენილებით. საქართველოს ტერიტორიაზე იგი ძალაში შევიდა 2001 წლის 30 ოქტომბერს.

საქართველოს ტერიტორიაზე ძალაში შესული საერთაშორისო ხელშეკრულება საქართველოს კანონმდებლობის განუყოფელი ნაწილია. მას აქვს უპირატესი იურიდიული ძალა შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტების (კანონების, პრეზიდენტის ბრძანებულებების, მთავრობის დადგენილებების და ა.შ) მიმართ.

ორჰუსის კონვენციის ძირითადი კომპონენტები

ორჰუსის კონვენცია შემდეგი ნაწილებისაგან შედგება (იხ. სახელმძღვანელოს დანართი I):

- პრეამბულა;
- ზოგადი დებულებები (მუხლები 1-3);
- ინფორმაციის ხელმისაწვდომობა (მუხლები 4-5);
- საზოგადოების მონაწილეობა გარემოსადცვით საკითხებთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მიღების პროცესში (მუხლები 6-8);
- გარემოსადცვით საკითხებზე მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა (მუხლი 9);
- დასკვნითი დებულებანი;
- დანართი I – მე-6 მუხლში მითითებულ საქმიანობათა ჩამონათვალი;
- დანართი II – არბიტრაჟი.

სამი საყრდენი

კონვენცია აწესებს გარემოსდაცვითი დემოკრატიის სამ ძირითად პრინციპს, რომელთაც ხშირად სამ საყრდენს უწოდებენ:

პრინციპი I: ინფორმაციის ხელმისაწვდომობა (მუხლები: 4 და 5)

მთელი გარემოსდაცვითი ინფორმაცია საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს. კონვენცია ითხოვს, რომ ამისათვის სათანადო საჯარო დაწესებულებები აგროვებდნენ, ფლობდნენ, რეგულარულად განაახლებდნენ ინფორმაციას, აქტიურად ავრცელებდნენ გარკვეულ გარემოსდაცვით ინფორმაციას და მოთხოვნის პასუხად შეუბრკოლებლად გასცემდნენ დანარჩენს.

ისევე, როგორც სხვა პრინციპების დეკლარირებისას, კონვენცია არ წვრილმანდება ზუსტ მეთოდურ მითითებებამდე, თუ როგორ უნდა განხორციელდეს ეს მოთხოვნები. სანაცვლოდ, წევრ ქვეყნებს იგი აკისრებს ვალდებულებას თავად ჩამოაყალიბონ გამჭვირვალე და ეფექტური სისტემა კონვენციის მიერ დაკისრებულ ვალდებულებათა შესასრულებლად.

პრინციპი II. გადაწყვეტილებათა მიღებაში საზოგადოების მონაწილეობა

კონვენციის მეორე პრინციპი ადგენს პროცედურის აუცილებელ მინიმუმს გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისათვის. მონაწილეობის მასშტაბის მიხედვით, ეს ნაწილი შეიძლება 3 კატეგორიად დაიყოს:

I კატეგორია (მუხლი 6) – გადაწყვეტილების მიღება კონკრეტულ საქმიანობაზე. საზოგადოების მონაწილეობის პროცედურა შედარებით დეტალურადაა გაწერილი, დაწყებული საქმიანობათა სახეებით, რომელიც ამ მოთხოვნას ექვემდებარება და დამთავრებული გადაწყვეტილების გასაჩივრების შესაძლებლობით.

II კატეგორია (მუხლი 7) – სტრატეგიული გადაწყვეტილებები. პროცედურების პრაქტიკული დეტალების უმეტესობას თავად ქვეყნები ავითარებენ. ამასთან, აქაც დგინდება გარკვეული კონკრეტული ვალდებულებები. გარდა ამისა, თითოეულ ქვეყანას ეკისრება ვალდებულება ჩამოაყალიბოს კონკრეტული, გამჭვირვალე და სამართლიანი წესები ეროვნულ და ადგილობრივ დონეზე სტრატეგიულ გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისათვის.

III კატეგორია (მუხლი 8) – სააღმსრულებლო დადგენილებათა და ნორმატიულ აქტებთან დაკავშირებული გადაწყვეტილებები. საზოგადოების მონაწილეობის ვალდებულება გაცილებით მსუბუქია, მაგრამ სტიმულს აძლევს ხელისუფლებას, აღმასრულებელი ხელისუფლების ფარგლებში უზრუნველყოს საზოგადოების მოზიდვის ეფექტური საშუალებები, დადგენილებების, სხვადასხვა ნორმატიული აქტებისა და თავად კანონპროექტების შემუშავებისას.

პრინციპი III. მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა (მუხლი 9)

დაბოლოს, მესამე პრინციპის დანიშნულებაა კონვენციით დადგენილი ვალდებულებებისა და მინიჭებული უფლებების შესრულების უზრუნველყოფა. იგი მხარეებს ავალდებულებს ეფექტური სამართლებრივი და დაცვის სხვა მექანიზმების უზრუნველყოფას იმ პირთათვის, რომელთა კონვენციით განსაზღვრული უფლებები დაირღვა.

განმარტებები

ეროვნულ დონეზე კონვენციის განხორციელების გამარტივების მიზნით, მე-2 მუხლში მოცემულია ძირითადი განმარტებები:

1. ხელისუფლების ორგანოები[4]

კონვენციის 2.2 მუხლში ჩამოთვლილია საჯარო დაწესებულებათა სამი კატეგორია, რომელთაც თითოეულ ქვეყანაში კონვენციით განსაზღვრული ვალდებულებები ეხებათ.

ა) სამთავრობო დაწესებულებები:

მთავრობა ეროვნულ დონეზე – სამინისტროები, სააგენტოები და სხვა ცენტრალური სახელისუფლებო დაწესებულებები:

- გარემოს დაცვის სამინისტროები და სააგენტოები;
- სხვა სამინისტროები, რომელთა საქმიანობაც გარკვეულწილად დაკავშირებულია გარემოს შესახებ პოტენციურად მნიშვნელოვან საკითხებთან. მაგალითად, კონვენციით გათვალისწინებული ვალდებულებები ეხება სოფლის მეურნეობის, ჯანდაცვის, ეკონომიკის, განათლების, რეგიონული განვითარების სამინისტროებს, ტრანსპორტის, ენერგეტიკისა და მშენებლობის ცენტრალურ მარეგულირებელ უწყებებს და სხვა.

ადგილობრივი და რეგიონული ადმინისტრაცია და თვითმმართველობა:

- ცენტრალური სამთავრობო ორგანოების რეგიონული დეპარტამენტები. მაგალითად, რეგიონული გარემოსდაცვითი ინსპექციები, სანიტარულ-ეპიდემიოლოგიური დეპარტამენტები, ტრანსპორტის დეპარტამენტები და ა.შ.
- რეგიონული ადმინისტრაციები და მათი სამსახურები;
- ადგილობრივი თვითმმართველობები, მმართველობები და მათი სამსახურები.

ბ) იურიდიული თუ კერძო პირები, რომლებიც **ეროვნული კანონმდებლობის საფუძველზე ახორციელებენ საჯარო ადმინისტრაციულ ფუნქციას**. ესენი არიან ის ადამიანები, ორგანიზაციები თუ კომპანიები, რომლებიც ფორმალურად კერძო პირებს წარმოადგენენ, მაგრამ კვალიფიკაციისა თუ სხვა პირობების გამო კანონმდებლობით მინიჭებული აქვთ ადმინისტრაციული ფუნქციები. მაგალითად, საზოგადოებრივი მომსახურების კომუნალური კომპანიები.

გ) კერძო და იურიდიული პირები, რომელთაც:

- გარემოსთან დაკავშირებულ საზოგადოებრივ მოვალეობებს თუ ფუნქციებს ახორციელებენ
- ზემოთ, ა) და ბ) პუნქტებში მითითებული ორგანოებისა თუ პირების კონტროლის ქვეშ იმყოფებიან.

მაგალითად, თუ კერძო კომპანიას წყლით მომარაგებასთან დაკავშირებით დადებული აქვს ხელშეკრულება წყლის რესურსების დეპარტამენტთან ან საზოგადოებრივ კომუნალურ კომპანიასთან, და თუ კომპანია ხელშეკრილების ფარგლებში პასუხს აგებს მომსახურებაზე, მაშინ იგი კონვენციის მიხედვით საჯარო დაწესებულებად ითვლება.

საქართველოში

კონვენციით გათვალისწინებული ვალდებულებები ვრცელდება ყველა საჯარო დაწესებულებაზე[5], ყველა ტიპის საზოგადოებრივი მომსახურების საწარმოზე (მ.შ. მუნიციპალურ, სატრანსპორტო და სხვა) და მათი კონტროლის ქვეშ მყოფ ნებისმიერ ფიზიკურ თუ იურიდიულ პირზე.

2. გარემოსდაცვითი ინფორმაცია

კონვენციაში მოცემული გარემოსდაცვითი ინფორმაციის განმარტება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ ქვეყნებისათვის, რომელთა ეროვნული კანონმდებლობაც არ იცნობს მსგავს ტერმინს. ეს განმარტება დეტალურადაა განხილული I თავში.

3. საზოგადოება

კონვენცია საზოგადოებას განმარტავს როგორც ნებისმიერ ფიზიკურ პირს მისი ასაკის, ეროვნების, საცხოვრებელი ადგილისა და მოქალაქეობის მიუხედავად. იგი ასევე მოიცავს იურიდიულ პირებსა და არასამთავრობო ორგანიზაციებს, ასოციაციებსა თუ ჯგუფებს, რომლებიც ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად არიან დაფუძნებულნი.

4. დაინტერესებული საზოგადოება

დაინტერესებული საზოგადოების დეფინიციას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება კონვენციის მე-6, მე-7 და მე-9 მუხლების განხორციელებაში. დეტალურად იგი განხილულია II თავში (სექცია 2.1.1 – „დაინტერესებული საზოგადოების

[4] კონვენციის ორიგინალში გამოყენებულია ტერმინი public authority. კონვენციის ტექსტის ოფიციალური თარგმანის მომზადებისას, ეროვნული კანონმდებლობა არ იცნობდა ამ ტერმინის ქართულ შესატყვისს, ამიტომ გამოყენებული იყო „ხელისუფლების ორგანო". დღევანდელ ქართულ საკანონმდებლო სივრცეში უფრო ზუსტი ტერმინია „**საჯარო დაწესებულება**". ამ წიგნშიც ძირითადად ეს ტერმინია გამოყენებული.

[5] საჯარო დაწესებულებად მიიჩნევა ყველა ადმინისტრაციული ორგანო და სახელმწიფო თუ ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსებული კერძო სამართლის იურიდიულ პირი (საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, მუხლი 27, პ.ა). ადმინისტრაციულ ორგანოს წარმოადგენს ყველა სახელმწიფო ან ადგილობრივი მმართველობისა თუ თვითმმართველობის ორგანო და დაწესებულება, საჯარო სამართლის იურიდიული პირი (გარდა პოლიტიკური და რელიგიური გაერთიანებებისა), აგრეთვე ნებისმიერი სხვა პირი, რომელიც კანონმდებლობის საფუძველზე ასრულებს საჯარო სამართლებრივ უფლებამოსილებას (საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, მუხლი 2, პ.ა)

მონაწილეობა“) და III თავში (სექცია 3.1.3.1.3 – „დაინტერესებული საზოგადოება“).

იატაკი და არა ჭერი

კონვენცია (მე-3 მუხლი) ითვალისწინებს შემთხვევას, როდესაც ეროვნული კანონმდებლობა საზოგადოების მონაწილეობის, ინფორმაციისა და მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის უფრო მეტ საშუალებებს იძლევა, ვიდრე ამას კონვენცია ითვალისწინებს. კონვენცია მიესალმება ასეთ შემთხვევებს და აღნიშნავს, რომ ამ ქვეყნებში კანონდებლობა სულაც არ უნდა შერბილდეს კონვენციის მოთხოვნების დონეზე. ამ ქვეყნებში ეროვნული კანონმდებლობის ნორმა მოქმედებს და სხვა ქვეყნებსაც მოუწოდებენ, იმგვარი ეროვნული კანონმდებლობა შეიმუშავონ, რომელიც კონვენციით დადგენილ სტანდარტზე მაღალი იქნება.

რატომ უნდა გამოვიყენოთ ორჰუსის კონვენცია

ორჰუსის კონვენცია საზოგადოებასა და არასამთავრობო ორგანიზაციებს გვანიჭებს **უფლებას და რეალურ შესაძლებლობებს**:

ა. ინფორმაციის ხელმისაწვდომობისათვის;

ბ. გადაწყვეტილებათა მიღებაში მონაწილეობისათვის;

გ. სასამართლო და სხვა გზით ჩვენი უფლებებისა და გარემოს დაცვისათვის.

ეს უფლებები რეალურ საშუალებას გვაძლევს:

- გავაკონტროლოთ, თუ როგორ იცავს ჩვენი მთავრობა გარემოს;
- ზეგავლენა ვიქონიოთ მის გადაწყვეტილებებზე;
- თავადაც აქტიურად ჩავერთოთ გარემოს დაცვაში,

და საბოლოო ჯამში, მივაღწიოთ იმას, რომ გარემო უკეთესი, უსაფრთხო და სასიამოვნო იყოს.

გარემოსდაცვით გადაწყვეტილებათა მიღებაში მონაწილეობა სხვა მხრივაც სასარგებლოა:

- ჩვენ უკეთ ვერკვევით გარემოსდაცვით საკითხებში და პრობლემებში. ჩვენ ვიგებთ, თუ როგორ დავიცვათ თავი სხვადასხვა რისკებისგან თუ საშიშროებებისაგან;
- ჩვენ ვერკვევით მმართველი აპარატის სტრუქტურაში და ფუნქციონირებაში, ვსწავლობთ, როგორ ხდება გადაწყვეტილებების მიღება. ჩვენ უკეთ ვერკვევით საკუთარ უფლებებში.
- ჩვენ კარგ ურთიერთობებს ვამყარებთ ჩინოვნიკებთან. ჩვენ ვსწავლობთ მათთან ურთიერთობას. ვიცით, ვის და როდის შეგვიძლია მივმართოთ, არ გვაშინებს რთული პროცედურები;

სხვათა შორის, ჩვენი მონაწილეობა საჯარო მოხელეებისთვის და ბიზნესმენებისთვისაც სასარგებლოა. საჯარო მოხელეები:

- იღებენ დამატებით ინფორმაციას – ჩვენ ცოდნას, გამოცდილებას, კვალიფიკაციას და შედეგად იღებენ უკეთეს გადაწყვეტილებებს – გარემოსდაცვით სფეროში საზოგადოების მონაწილეობით მიღებული გადაწყვეტილება ხომ ყოველთვის უფრო მდგრადი და გაწონასწორებულია და ამდენად უფრო მისაღებია ყველასათვის.
- გრძნობენ მეტ პასუხისმგებლობას. უკეთ ერკვევიან თავის ფუნქციასა და ვალდებულებებში;
- გრძნობენ თავის საჭიროებას და საზოგადოების მხარდაჭერას. თავს საზოგადოების ნაწილად გრძნობენ. იმდენად აღარ ეშინიათ სამსახურის დაკარგვის. ხდებიან უფრო კომუნიკაბელურები;
- ჩვენი სახით იღებენ მათ გადაწყვეტილების შესრულებაზე ზედამხედველ უფასო ინსპექტორებს და მონიტორებს.

ინვესტორებს კი საშუალება ეძლევათ გამოიყენონ ჩვენი გამოცდილება და ადგილობრივი პირობების და სპეციფიკის ზედმიწევნით ცოდნა უკეთესი, უსაფრთხო და ხშირად მათთვის უფრო მომგებიანი პროექტების ჩამოყალიბებისათვის.

გარემოსდაცვითი ინფორმაციის ხელმისაწვდომობა

თავი 1

თავი 1. გარემოსდაცვითი ინფორმაციის ხელმისაწვდომობა

მთავარი პრინციპი: **საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს მთელი გარემოსდაცვითი ინფორმაცია**, ცალკეული გამონაკლისების გარდა.

ინფორმაციის ხელმისაწვდომობა დემოკრატიის უმთავრეს მონაპოვარს და ამავე დროს ადამიანის ერთერთ ძირითად უფლებას წარმოადგენს. თითოეულ მოქალაქეს უნდა ქონდეს უფლება მიიღოს ინფორმაცია ყოველივე იმის შესახებ, რაც ეხება მას უშუალოდ, რაიმე სახით ახდენს ან შესაძლებელია მოახდინოს ზეგავლენა მისი, მისი ოჯახის ან თემის ჯანმრთელობას, სიცოცხლესა თუ გარემოზე, ან იმ საკითხებზე, რომელიც საზოგადოებრივი ინტერესის საგანს წარმოადგენს;

გარემოს ხარისხი საყოველთაო ფასეულობას წარმოადგენს, სწორედ ამიტომ სულ უფრო მეტი ქვეყანა აღიარებს, რომ **მთელი ინფორმაცია** გარემოს შესახებ განხილული უნდა იქნას როგორც **საზოგადოებრივი ინტერესის საგანი** და შესაბამისად, უნდა იყოს ყველასთვის ხელმისაწვდომი. გარემოსდაცვითი ინფორმაციის ხელმისაწვდომობა მისცემს საშულებას საზოგადოების წევრებს უფრო აქტიურად ჩაერთონ გარემოსა და ჯანმრთელობის დაცვის საქმეში, იმავდროულად საჯარო პირებს აკისრებს მეტ პასუხისმგებლობას მათ მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა გამო.

საქართველოში

მოქმედებს ინფორმაციის ღიაობის პრეზუმპცია, ე.ი. საჯარო დაწესებულებაში დაცული ინფორმაცია არის ღია და ხელმისაწვდომი ყველასთვის, მანამ, სანამ საპირისპირო არ იქნება დადგენილი.

ინფორმაციის თავისუფლების უპირველესი გარანტია საქართველოს კონსტიტუცია და მის საფუძველზე მიღებული კანონები: ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მესამე თავი – ინფორმაციის თავისუფლება, კანონი სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ, აგრეთვე კანონი გარემოს დაცვის შესახებ.

„საჯარო ინფორმაცია ღიაა, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა და დადგენილი წესით სახელმწიფო, კომერციულ და პირად საიდუმლოებას მიკუთვნებული ინფორმაციისა“[6].

რას ნიშნავს „ინფორმაცია“

ყოველდღიურ ცხოვრებაში „ინფორმაციას“ ვუწოდებთ ნებისმიერ ახალ ცნობას, რომელიც ჩვენს ცნობიერებაში შემოდის. საქმე სხვაგვარადაა, როცა ჩვენ საჯარო დაწესებულებებს მივმართავთ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მოთხოვნით.

საჯარო დაწესებულება პასუხს აგებს მის მიერ გაცემულ ყველა ცნობაზე. იმისათვის, რომ ეს პასუხისმგებლობა პერსონიფიცირებული იყოს, შემოღებულია ე.წ. „ოფიციალური დოკუმენტის“ ცნება. მისი შინაარსი და ფორმა სხვადასხვა შეიძლება იყოს. ოფიციალური დოკუმენტის აუცილებელ ატრიბუტიკას წარმოადგენს მითითება იმაზე, თუ:

- რომელმა ორგანიზაციამ შექმნა იგი,
- როდის
- რა დანიშნულება აქვს დოკუმენტს
- ვინ აგებს მის შინაარსზე პასუხს პერსონალურად (ხელმომწერი პირი)

საქართველოში

საჯარო ინფორმაციად ითვლება მხოლოდ ოფიციალური დოკუმენტი, ანუ საჯარო დაწესებულებაში დაცული, აგრეთვე საჯარო დაწესებულების ან მოსამსახურის მიერ სამსახურეობრივ საქმიანობასთან დაკავშირებით მიღებული, დამუშავებული, შექმნილი ან გაგზავნილი ინფორმაცია[7], რომელთა აუცილებელ რეკვიზიტს განეკუთვნება მისი დასახელება, დანიშნულება, ავტორი (პირი ან დაწესებულება) და შექმნის (დამტკიცების) თარიღი[8].

საჯარო დაწესებულების ვალდებულება ინფორმაციის საჯაროობის უზრუნველყოფაზე სწორედ ამ ოფიციალურ დოკუმენტებზე ვრცელდება. ეს ნიშნავს, რომ თქვენ ვერ მოსთხოვთ საჯარო მოხელეს მოგაწოდოთ ინფორმაცია, რომელიც მას ოფიციალური გზებით არ მიუღია (ყური მოკრა, გაზეთში წაიკითხა, ან მისი პირადი აზრია[9]).

ინფორმაცია (დოკუმენტი) სხვადასხვა მატერიალური ფორმით შეიძლება არსებობდეს.

საქართველოში

საჯარო ინფორმაცია შეიძლება არსებობდეს ნახაზის, მაკეტის, გეგმის, სქემის, ფოტოსურათის, ელექტრონული ინფორმაციის, ვიდეო- და აუდიოჩანაწერების სახით.[10]

---

[6] ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, მუხლი 28

[7] საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, მუხლი 2.1.მ

[8] საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 1 ივლისის №414 ბრძანებულება "საქმისწარმოების ერთიანი წესების" დამტკიცების და ამოქმედების შესახებ

[9] თქვენ შეგიძლიათ საჯარო დაწესებულებას აზრის გამოთქმა სთხოვოთ ამა თუ იმ საკითხზე (ოფიციალურად მიმართოთ ამ თხოვნით). პასუხად თქვენ მიიღებთ დაწესებულების ოფიციალურ აზრს (რომელიც, როგორც წესი, ოფიციალური ინფორმაციით უნდა იქნას დადასტურებული), და არა კონკრეტული მოხელის აზრს.

[10] საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, მუხლი 2.1.მ

რას ნიშნავს „გარემოსდაცვითი ინფორმაცია“

კონვენცია არეგულირებს „გარემოსდაცვითი ინფორმაციის“ ხელმისაწვდომობას. ეს ცნება უფრო ფართოა, ვიდრე „ინფორმაცია გარემოს შესახებ“. კონვენციის 3.3. მუხლი ადგენს, რომ გარდა გარემოს შესახებ (ანუ გარემოს მდგომარეობის შესახებ) ინფორმაციისა „გარემოსდაცვითი ინფორმაცია“ მოიცავს ინფორმაციას:

- გარემოზე ზემოქმედების მქონე ფაქტორების ან საქმიანობების შესახებ, და
- ადამიანის ჯანმრთელობაზე, უსაფრთხოებაზე, კეთილდღეობაზე გარემოს ზეგავლენის შესახებ.

ეს ნიშნავს, რომ მაგალითად ინფორმაცია გზების დაგეგმარებისა და მშენებლობის, ხმაურის, გამოსხივების, ნარჩენების წარმომავლობის, სასოფლო სამეურნეო საქმიანობის, რაიონის პერსპექტიული განვითარების, დაავადებათა და ჩივილთა სიხშირის შესახებ და მრავალი სხვა გარემოსდაცვით ინფორმაციას წარმოადგენს.

კონვენციაში მოცემულია იმ ინფორმაციის ინდიკატური ჩამონათვალი (იხ. ცხრილი 1), რომელიც კონვენციის 3.3. მუხლის შესაბამისად მიჩნეულია გარემოსდაცვით ინფორმაციად. ჩამონათვალი არ არის ამომწურავი, იგი უფრო მინიშნების ხასიათს ატარებს.

ამ ჩამონათვალით კონვენცია ადგენს „გარემოსდაცვითი ინფორმაციის“ განსაზღვრისათვის მინიმალურ სავალდებულო ჩარჩოებს, ანუ ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც ამ ჩარჩოებში ხვდება, აუცილებლად უნდა კვალიფიცირდეს, როგორც „გარემოსდაცვითი ინფორმაცია“. ყოველ ქვეყანას, რომელშიც კონვენცია მოქმედებს, უფლება აქვს გაზარდოს და გააფართოვოს ტერმინის შინაარსი, მაგრამ მისი შემცირების უფლება არ აქვს.

ცხრილი 1. გარემოსდაცვითი ინფორმაციის კომპონენტები

კომპონენტი	მაგალითი
გარემოს ელემენტების მდგომარეობა და მათი ურთიერთქმედება	• ჰაერისა და ატმოსფეროს მდგომარეობა (ტემპერატურა, ტენიანობა, დამაბინძურებელ ნივთიერებათა კონცენტრაცია) • ზედაპირული წყლების მდგომარეობა • მიწისქვეშა წყლების მდგომარეობა • ნიადაგის მდგომარეობა • მიწის, ლანდშაფტების, ბუნებრივი ობიექტების მდგომარეობა • ბიომრავალფეროვნებისა და მისი კომპონენტების მდგომარეობა, გენმოდიფიცირებული ორგანიზმების ჩათვლით
ფაქტორები, რომლებიც მოქმედებენ ან შესაძლოა იმოქმედონ გარემოს ელემენტებზე	• დამაბინძურებელ ნივთიერებათა ემისიები • ენერგია • ხმაური • გამოსხივება
საქმიანობა და ღონისძიებები, რომლებიც მოქმედებენ ან შესაძლოა იმოქმედონ გარემოს ელემენტებზე	• სამეწარმეო საქმიანობა • ადმინისტრაციული ზომები • გარემოსდაცვითი შეთანხმებები • პოლიტიკა • კანონმდებლობა • განვითარების გეგმები, პროგრამები • ანალიზი და შეფასებები, რომლებიც გამოიყენება გარემოსთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებათა მიღებისას
შესაძლო ზიანი, მიყენებული გარემოს ელემენტებს მდგომარეობის ცვლილებით ან ამ ელემენტების საშუალებით ფაქტორებით, საქმიანობებითა თუ ღონისძიებებით	• ადამიანთა ჯანმრთელობის მდგომარეობა • ადამიანთა უსაფრთხოების მდგომარეობა • ადამიანთა ცხოვრების პირობები • კულტურულ ობიექტთა და შენობა-ნაგებობათა მდგომარეობა

საქართველოში

საქართველოს კანონმდებლობაში არ არსებობს „გარემოსდაცვითი ინფორმაციის“ კონვენციისეული ფორმატის განმარტება. არსებობს მთელი რიგი დეფინიციებისა, რომელიც მეტნაკლებად კავშირშია „გარემოსდაცვითი ინფორმაციის“ განმარტებასთან. მაგ: „გარემო არის ბუნებრივი გარემოსა და ადამიანის მიერ სახეცვლილი (კულტურული) გარემოს ერთობლიობა, რომელიც მოიცავს ურთიერთდამოკიდებულებაში მყოფ ცოცხალ და არაცოცხალ, შენარჩუნებულ და ადამიანის მიერ სახეცვლილ ბუნებრივ ელემენტებს, ბუნებრივ და ანთროპოგენულ ლანდშაფტებს“[11]

ამას გარდა, საქართველოს კანონმდებლობა იცნობს ცალკეული ტიპის ინფორმაციას, რომელიც კავშირშია გარემოსთან და რომელთა გასაიდუმლოება დაუშვებელია, მაგ:

- ინფორმაცია გარემოს მდგომარეობის შესახებ[12]
- ინფორმაცია მოსახლეობის ჯანმრთელობის შესახებ[13]
- ინფორმაცია ადამიანის სამუშაო და საცხოვრებელი გარემოს მდგომარეობის შესახებ[14]
- მონაცემები იმ საშიშროების თაობაზე, რომელიც ემუქრება ადამიანის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას[15]
- ინფორმაცია კატასტროფებისა და სხვა განსაკუთრებული მოვლენების შესახებ, რომლებიც უკვე მოხდა, ან შესაძლებელია მოხდეს და ემუქრება მოქალაქეთა უსაფრთხოებას[16]

ინფორმაციის ზემოთჩამოთვლილი სახეები სრულად ვერ ფარავენ „გარემოსდაცვითი ინფორმაციის“ კონვენციისეულ უაღრესად ფართო განსაზღვრას, შესაბამისად, საქართველოში **კონვენციით დადგენილ ვალდებულებათა განხორციელებისას მოქმედებს კონვენციისეული განმარტება.**

რას ნიშნავს ხელმისაწვდომობა

ინფორმაციის ხელმისაწვდომობა მისი გაცნობისა და გამოყენების შესაძლებლობას ნიშნავს. ინფორმაცია ხელმისაწვდომი სხვადასხვა გზებით შეიძლება გახდეს:

- გამოქვეყნება მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში;
- გამოკვრა საჯარო თავყრილობის ადგილებში;
- გამოცემა წიგნად/ბროშურად და სავაჭრო ქსელში გაშვება;
- ბროშურების-ლიფლეტების დარიგება სპეციალურად მოწყობილ აქციებზე, დღესასწაულზე შეკრებილი ხალხისათვის;
- დაგზავნა ფოსტით („ყველა ფოსტის ყუთში“);
- განთავსება ინტერნეტში;
- განთავსება რამოდენიმე მოსახერხებელ წერტილში და ცნობის გავრცელება ამის შესახებ;
- ინფორმაციის გაცნობის შესაძლებლობის მიცემა ვიზიტორთათვის;
- დოკუმენტის ასლის გაცემა მთხოვნელებზე;
- და სხვა.

მოკლედ, შეიძლება ვთქვათ, რომ ინფორმაციის ხელმისაწვდომობა ქმედებათა ორ ჯგუფს მოიცავს:

1. ინფორმაციის აქტიურად გავრცელება
2. ინფორმაციის გაცემა (ან გაცნობის საშუალების მიცემა) მოთხოვნის პასუხად

რას არეგულირებს კონვენცია

კონვენცია აწესებს, თუ რომელი გარემოსდაცვითი ინფორმაცია უნდა აუცილებლად ვრცელდებოდეს აქტიურად და რომელი – გაიცეს მოთხოვნის პასუხად, და ადგენს, თუ კერძოდ, როგორ უნდა ხდებოდეს ეს.

კონვენციის მე-5 მუხლი არეგულირებს ინფორმაციის აქტიურად გავრცელების საკითხებს (იხ. სახელმძღვანელოს სექცია 1.1), მე-4 მუხლი კი – მოთხოვნის პასუხად ინფორმაციის გაცემას (იხ. სექცია 1.2.3) და აღწერს დაშვებულ გამონაკლისებს (სექცია 1.3.2)

გარდა ამისა, კონვენცია არეგულირებს აგრეთვე საჯარო დაწესებულებაში ადექვატური ინფორმაციის არსებობას (იხ. სექცია 1.2.1) და ამ ინფორმაციის იოლი მოძიების საკითხებს (იხ. სექცია 1.2.2).

ვისზე ვრცელდება ვალდებულებები

ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის ვალდებულება ვრცელდება საჯარო დაწესებულებებზე[17] და საჯარო მოხელეებზე.

[11] კანონი გარემოს დაცვის შესახებ, მუხლი 4, ა
[12] საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 37, კანონი გარემოს დაცვის შესახებ, მუხლი 5.2
[13] საქართველოს კანონი სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ, მუხლი 8.4
[14] საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 37
[15] საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი
[16] საქართველოს კანონი სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ, მუხლი 8.4
[17] კონვენციის ინგლისურ ორიგინალში გამოყენებულია ტერმინი public authority. კონვენციის ტექსტის ოფიციალური თარგმანის მომზადებისას, ეროვნული კანონმდებლობა არ იცნობდა ამ ტერმინის ქართულ შეესატყვისს, ამიტომ გამოყენებული იქნა ტერმინი „ხელისუფლების ორგანო“. დღევანდელ ქართულ საკანონმდებლო სივრცეში უფრო ზუსტი ტერმინია **„საჯარო დაწესებულება“**. ამ წიგნშიც ძირითადად ეს ტერმინია გამოყენებული.

საქართველოში

საჯარო დაწესებულებად ითვლება ყველა სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის და მმართველობის ორგანო ან დაწესებულება, საჯარო სამართლის იურიდიული პირი, (გარდა რელიგიური და პოლიტიკური გაერთიანებებისა). საჯარო დაწესებულებად ითვლება ასევე ნებისმიერი პირი, რომელიც კანონმდებლობის საფუძველზე ასრულებს საჯარო უფლებამოსილებას, ამ უფლებამოსილების განხორციელებისას[18].

კერძო კომპანიებზე და ფიზიკურ პირებზე, თუ ისინი არ წარმოადგენენ საჯარო დაწესებულებას (არ ფინანსდებიან ბიუჯეტიდან) კონვენციის მოთხოვნები არ ვრცელდება. პირიქით, კერძო პირების ხელთ არსებული კერძო ინფორმაცია მათ საკუთრებას წარმოადგენს და გარდა ზოგიერთი გამონაკლისი შემთხვევისა[19], მფლობელი თავად წყვეტს როდის, ვის, რა სახით და რა ოდენობით გადასცეს იგი.

ვის აქვს უფლება ინფორმაციის ხელმისაწვდომობაზე

ინფორმაცია ხელმისაწვდომი უნდა იყოს ყველასათვის თანაბრად, განურჩევლად მოქალაქეობისა, ეროვნებისა, საცხოვრებელი (ან რეგისტრაციის) ადგილისა, სქესისა თუ ასაკისა (ორჰუსის კონვენცია, მუხლი 3.9). ყველა ადამიანი და ფიზიკური პირი (არასამთავრობო ორგანიზაცია) თანაბარია ამ უფლების გამოყენებაში.

1.1 რა ინფორმაცია უნდა ვრცელდებოდეს აქტიურად

საჯარო მოხელეები ვალდებულნი არიან უზრუნველყონ მოსახლეობის სათანადო ინფორმირება გარემოსდაცვითი საკითხების შესახებ. საზოგადოება უნდა ფლობდეს ინფორმაციას

- ზოგადად გარემოს მდგომარეობის შესახებ;
- იმ მისაღები თუ მიღებული გადაწყვეტილებების შესახებ, რომელიც საზოგადოებრივი ინტერესის საგანს წარმოადგენს;
- რომელიც საჭიროა ყოველდღიურ ცხოვრებაში არჩევანის გასაკეთებლად და საგანგებო მდგომარეობის დროს გადაწყვეტილების მიღებისათვის;
- არსებული და პოტენციური საფრთხის შესახებ, რაც საშუალებას მოგვცემს თავიდან ავიცილოთ ან შევამციროთ გარემოსა და ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანი.

ორჰუსის კონვენციის თანახმად სავალდებულოა შემდეგი ინფორმაციის აქტიური გავრცელება:

- გარემოს მდგომარეობის ანგარიშები (მუხლი 5.4);
- ინფორმაცია საგანგაშო სიტუაციის შესახებ;
- ინფორმაცია შემოთავაზებული საქმიანობების შესახებ, რომლებმაც შესაძლოა ზეგავლენა იქონიოს გარემოზე;
- ნორმატიული და პოლიტიკური დოკუმენტები (გარემოსთან დაკავშირებული სტრატეგიები, პოლიტიკა, პროგრამები, მოქედებათა გეგმები);
- გარემოსთან დაკავშირებული სტრატეგიების, პოლიტიკის, პროგრამებისა და მოქმედებათა გეგმების შესრულების ანგარიშები;
- საერთაშორისო შეთანხმებები და სხვა მნიშვნელოვანი დოკუმენტები გარემოსდაცვით საკითხებზე;
- ფაქტები და ფაქტების ანალიზის მასალები, რომლებიც გამოიყენება ძირითად გარემოსდაცვით გადაწყვეტილებათა დასასაბუთებლად;
- ინფორმაცია ნაწარმის თვისებების შესახებ;
- ინფორმაცია დამაბინძურებელ ნივთიერებათა გაშვებისა და გადატანის შესახებ;
- ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა გარემოსდაცვით ინფორმაციას ფლობს ესა თუ ის საჯარო დაწესებულება;
- ინფორმაცია მთავრობის ყველა დონეზე გარემოსთან დაკავშირებულ საჯარო ფუნქციებისა და მომსახურების განხორციელების შესახებ;
- განმარტებითი მასალა კონვენციის შესრულების შესახებ.

პრაქტიკული რჩევა

მანამ, სანამ ინფორმაციის მოთხოვნით მივმართავთ საჯარო დაწესებულებას, უპრიანია **გავარკვიოთ, ხომ არ არის ჩვენთვის საჭირო ინფორმაცია უკვე გამოცემული ან გავრცელებული საჯარო დაწესებულების მიერ.** ნახეთ დაწესებულების ინტერნეტ-გვერდი, განცხადებების დაფა, იკითხეთ, ხომ არა აქვს მას საკუთარი ბიულეტენი ან რამე სხვა ბეჭდვითი გამოცემა, გაარკვიეთ, რომელ გაზეთში აქვეყნებს იგი სავალდებულო ინფორმაციას.

1.1.1 ინფორმაცია საგანგაშო სიტუაციის შესახებ

სამწუხაროდ, ავარიები და კატასტროფები ხდება. ყველა სახელმწიფოს აქვს სამსახურები მათი პროგნოზირების, სწრაფი რეაგირებისა და შედეგების ლიკვიდაციისათვის. მაგრამ ეს საკმარისი არ არის. ქვეყანას არავითარი უფლება არ აქვს დამალოს კატასტროფებთან და ავარიებთან დაკავ-

[18] საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, მუხლები 2 და 27
[19] მაგალითად იხ. მეწარმეთა გარემოსდაცვითი ანგარიშგების მოთხოვნები 1.2.1 სექციაში

საქართველოში

კონვენციის ეს მოთხოვნა მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯია საქართველოს კანონმდებლობაში, ვინაიდან დღემდე კანონმდებლობა ადგენდა მოქალაქის ვალდებულებას მოსალოდნელი ან მომხდარი ბუნებრივი და ტექნოგენური ავარიისა და სხვა ეკოლოგიური კატასტროფის შესახებ ინფორმაციის მიღებისას სათანადო კომპეტენტურ სახელმწიფო ორგანოებისათვის ინფორმაციის დროულად მიწოდების ან საჯაროდ განცხადების შესახებ[20]. **იგივე ვალდებულებას საჯარო ორგანოების მიმართ კანონმდებლობა არ ითვალისწინებდა!** ამგვარი მდგომარეობა საბჭოური საკანონმდებლო ტრადიციის ატავიზმულ გადმონაშთად უნდა მივიჩნიოთ, რაც აუცილებლად და ახლო მომავალში უნდა გამოსწორდეს.

ამავე დროს კანონმდებლობა ადგენს ეკოლოგიური კატასტროფების, ეპიდემიებისა და ეპიზოოტიების დროს საქართველოს პრეზიდენტის მიერ საგანგებო სიტუაციების გამოცხადების შესაძლებლობას[21]. ამგვარი ბრძანებულების შემდგომი რეაგირება და ინფორმაციის გავრცელება ხდება ფაქტიურად სიტუაციის მიხედვით. არსებობს პრინციპის დონეზე ჩამოყალიბებული მოთხოვნები იმის შესახებ, რომ აუცილებელია საგანგებო მოქმედებათა გეგმების არსებობა ანუ საგანგებო მდგომარეობის წარმოქმნისას აუცილებელ მოქმედებათა წინასწარი დაგეგმვა[22], როგორც სახელმწიფო, ასევე თითოეული საწარმოს დონეზე. ამგვარი ზოგადი მოთხოვნა, რომელსაც აღსრულების არავითარი მექანიზმი არ ახლავს, ბუნებრივია არ სრულდება. ეს მდგომარეობა კანონმდებლისა და აღმასრულებლის სასწრაფო რეაგირებას საჭიროებს.

ერთადერთი მისასალმებელი დებულება საქართველოს კანონმდებლობაში ამ მიმართულებით არის ის ფაქტი, რომ იმ შემთხვევაში, როდესაც საქმე ეხება საზოგადოებრივი უსაფრთხოებას დაცვისათვის მნიშვნელოვან ინფორმაციას, სახელმწიფო საიდუმლოების გამჟღავნებაც კი არ ითვლება დანაშაულად[23].

შირებული ინფორმაცია. უფრო მეტიც, ორჰუსის კონვენცია (მუხლი 5.1c) ითხოვს, რომ **ყოველთვის, როდესაც ადამიანების ჯანმრთელობისა ან გარემოსათვის გარდუვალ საფრთხეს ეხება, ინფორმაცია სასწრაფოდ მიეწოდოს ყველას, ვინც შეიძლება ზემოქმედების ქვეშ მოჰყვეს.**

უბრალოდ ინფორმირება მოახლოებული საშიშროების შესახებ საკმარისი არ არის. ეს ხომ ადამიანებს უბრალოდ დააბნევს და პანიკას გამოიწვევს. ამიტომ კონვენცია მოითხოვს, რომ **აუცილებელია მთელი იმ ინფორმაციის მიწოდება, რომელიც საზოგადოებას საშუალებას მისცემს თავიდან აიცილოს ან შეამციროს მოსალოდნელი საფრთხე ან ზიანი**.

ეს ნიშნავს, რომ კატასტროფის ან ავარიის ან სტიქიური უბედურების ზონაში მოხვედრილ ხალხს რაც შეიძლება სწრაფად უნდა მიეწოდოს ინფორმაცია იმის შესახებ, თუ სად მოხდა ან მოხდება კატასტროფა, რა საშიშროებაა, დინამიკა, გავრცელების არე და სიჩქარე, ევაკუაციის გზები და საშუალებები, თავის დაცვის კონკრეტული რჩევები და ა.შ.

1.1.2 გარემოს მდგომარეობის ანგარიში

ევროპის ქვეყნების უმეტესობაში ინფორმაცია გარემოს მდგომარეობის შესახებ მოცემულია გარემოს მდგომარეობის ანგარიშის სახით და არსებობს **ელექტრონული და/ან სხვა ბეჭდური გამოცემის ფორმით**.

ორჰუსის კონვენციით (მუხლი 5.4) მთავრობები ვალდებულნი არიან რეგულარულად მოამზადონ და გაავრცელონ გარემოს მდგომარეობის ანგარიშები. **ანგარიში უნდა შეიცავდეს როგორც ინფორმაციას გარემოს მდგომარეობის შესახებ, ასევე გარემოზე ზემოქმედების შესახებ.** ვალდებულებით გათვალისწინებული ამ მოთხოვნის გარდა, გარემოს მდგომაროების ანგარიში შეიძლება შეიცავდეს სხვა სახის ინფორმაციასაც. გარემოზე ზემოქმედება ასევე შეიძლება მოიცავდეს მრავალ სხვადასხვა ასპექტს.

ორჰუსის კონვენცია მოითხოვს გარემოს მდგომარეობის ანგარიშის გამოცემას სულ მცირე სამოთხ წელიწადში ერთხელ.

გარემოს მდგომარეობის ანგარიში ზოგადად გარემოს მდგომარეობის შესახებ მთელი საზოგადოების ინფორმირებისათვს მზადდება, შესაბამისად, მასში არ არის დეტალური მონაცემები ცალკეული ადგილობრივი ცხელი წერტილებისა თუ დაბინძურებასთან დაკავშირებული პრობლემების შესახებ. იგი ქვეყნის გარემოსდაცვითი პრობლემების მთლიან სურათს იძლევა და წარმოგვიდგენს ამ პრობლემების გადაჭრისკენ მიმართულ მიმდინარე თუ დაგეგმილ ღონისძიებებს.

[20] „გარემოს დაცვის შესახებ“ კანონის მე-7 მუხლი
[21] საქართველოს კონსტიტუცია, „გარემოს დაცვის შესახებ” კანონის 42-44-ე მუხლები, „საშიში ქიმიური ნივთიერებების შესახებ” კანონის 44-ე მუხლი, „ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების შესახებ” კანონის მთელი რიგი მუხლები
[22] ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების შესახებ” კანონის მე-5.ე, 45.2.ბ მუხლები,
[23] საქართველოს კანონი სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ, მუხლი 38, პუნქტი 6

პრაქტიკული რჩევა

თუ თქვენ გსურთ გაერკვეთ თქვენი გარემოს მდგომარეობაში და მასზე ზემოქმედების წყაროებში, გარემოს მდგომარეობის ანგარიში კარგი ამოსავალი წერტილია იმისათვის, რომ ძირითად საკითხებს გაეცნოთ, გაერკვეთ ტერმინოლოგიაში, აგრეთვე დაადგინოთ, რომელი ორგანიზაციები არიან „ძირითადი მოთამაშენი“ გარემოს დაცვის საკითხებში თქვენს ქვეყანაში, სად შეიძლება დამატებითი ინფორმაციის მოთხოვნა, რა დოკუმენტები არსებობს და სხვა. მოითხოვეთ გარემოს მდგომარეობის ანგარიში გარემოს დაცვის სამინისტროში.

საქართველოში

გარემოს დაცვის შესახებ კანონის შესაბამისად „საზოგადოების ინფორმირების მიზნით (გარემოს დაცვის) სამინისტრო ყოველწლიურად წარუდგენს საქართველოს პრეზიდენტს ეროვნულ მოხსენებას გარემოს მდგომარეობის შესახებ“, ამავე კანონის მოთხოვნით „სავალდებულოა ეროვნული მოხსენების გამოქვეყნების გზით მისი საზოგადოებისათვის“ ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.

ეროვნული მოხსენების გამოქვეყნება და გავრცელება ფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან[24].

ავტონომიური რესპუბლიკების ხელისუფლების ორგანოებს და ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოებს აგრეთვე შეუძლიათ შეადგინონ, დაამტკიცონ, გამოაქვეყნონ და გაავრცელონ შესაბამისი ტერიტორიიის გარემოს მდგომარეობის შესახებ მოხსენებები.

ეროვნული მოხსენება გარემოს მდგომარეობის შესახებ უნდა შეიცავდეს ინფორმაციას[25]:

- გარემოს ხარისხობრივი მდგომარეობის შესახებ;
- ეროვნული მეურნეობის გარემოზე ზემოქმედების შესახებ;
- სახელმწიფოს მიერ გარემოს დაცვის ორგანიზების (მართვის) შესახებ;
- პროგნოზებსა და რეკომენდაციებს

დღემდე საქართველოში გარემოს მდგომარეობის სამი ეროვნული მოხსენებაა მომზადებული: 1996, 2001 და 2002 წლებისათვის. პირველი გამოიცა შეზღუდული ტირაჟით. ინტერნეტში ხელმისაწვდომია მისამართზე: http:/www.grida.no/enrin/htmls/georgia/soegeor/hpgsoege.htm. დანარჩენი ორი არ გამოქვეყნებულა.

გარემოს მდგომარეობის ეროვნული ანგარიშების გარდა არსებობს გარემოს მდგომარეობის საერთაშორისო ანგარიშები. ასე მაგალითად, ევროპის გარემოსდაცვითი უწყება აგროვებს ინფორმაციას და ამზადებს გარემოს მდგომარეობის ანგარიშს მთელი ევროპისათვის ყოველ 4 წელიწადში ერთხელ. იხ. ვებ-გვერდი http://www.eionet.eu.int/

1.1.3 მეწარმეთა ხელთ არსებული ინფორმაცია

საწარმოებს, რომლებიც მნიშვნელოვან ზემოქმედებას ახდენენ გარემოზე, რეგულარული ანგარიშგების ვალდებულება ეკისრებათ (იხ. სექცია 1.2.1). მაგრამ ეს ვალდებულება მათ ხელთ არსებული ინფორმაციის ნაწილს ფარავს მხოლოდ. ინფორმაციის ნაწილი კვლავ საწარმოთა ექსკლუზიურ მფლობელობაში რჩება. ამავე დროს, ამგვარი ინფორმაცია შეიძლება მნიშვნელოვანი იყოს ადგილობრივ მაცხოვრებელთათვის ან ნაწარმის მომხმარებელთათვის, რომელთა ჯანმრთელობაზეც ხდება ზეგავლენა

1.1.3.1 ინფორაციის ნებაყოფლობითი გავრცელება მეწარმეთა მიერ

ორჰუსის კონვენციის მუხლი 5.6 ითხოვს, რომ შემუშავდეს მექანიზმები მეწარმეთა **წასახალისებლად**, რათა მათ **ნებაყოფლობით** მიაწოდონ საზოგადოებას ინფორმაცია მათი წარმოებისა და ნაწარმის გარემოზე ზემოქმედების შესახებ.

ეს ნიშნავს, რომ მეწარმეებმა უშუალოდ, **რეგულარულად უნდა აცნობონ მოსახლეობას** მათი პროდუქტისა თუ საწარმოო პროცესის გარემოზე ზემოქმედების შესახებ. გასაგებია, რომ არც ერთი მეწარმე არ გაავრცელებს ცუდ ინფორმაციას თავის საწარმოზე ან ნაწარმზე. სამაგიეროდ მშვენივრად იმუშავებს მომხმარებლის ინფორმირების საპირისპირო სქემა – ეცნობოს მომხმარებელს, თუ რომელი საწარმო ან პროდუქტი არ ვნებს, ან შედარებით ნაკლებად ვნებს გარემოს.

მსოფლიოში აპრობირებული გზა მომხმარებლის ამგვარი ინფორმირებისათვის არის ე.წ. ეკომარკირების ან ეკოაუდიტის სქემები. მექანიზმი მდგომარეობს იმაში, რომ მეწარმეს შეუძლია მოიწვიოს თავის საწარმოს ან ნაწარმის შესამოწმებლად „ეკო-აუდიტი“ – სპეციალური აკრედიტირებული ორგანიზაცია, რომელიც საწარმოს ან ნაწარმის გარემოზე ზემოქმედებას აფასებს. თუ საწარმო ან ნაწარმი წინასწარ დადგენილ ნორმებს აკმაყოფილებს, მას მიენიჭება გარემოსდაცვითი სერტიფიკატი – ეკო-მარკა, რომელიც შეუძლია თავისი ნაწარმის რეკლამისათვის გამოიყენოს.

[24] საქართველოს კანონი გარემოს დაცვის შესახებ, მუხლი 14

[25] საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება №389, 1999 წ. 25 ივნისი, "გარემოს მდგომარეობის შესახებ ეროვნული მოხსენების შედგენის წესის თაობაზე"

საქართველოში

„გარემოს დაცვის შესახებ“ კანონის მოთხოვნის შესაბამისად დამტკიცებულია დებულება „ეკომარკირების შესახებ“. ამ დებულების შესაბამისად ეკომარკა წარმოადგენს ნიშანს, რომელიც ენიჭება საქართველოში წარმოებულ ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციას. მას ანიჭებს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსთან არსებული ეკომარკირების საუწყებათაშორისო კომისია. ეკომარკის მინიჭებისათვის ხდება შეფასება, რომელიც მოიცავს ნედლეულის გადამუშავების, პროდუქციის წარმოების, მოხმარების, უტილიზაციის, მოხმარების შემდგომ განთავსების გავლენას გარემოზე. პროდუქციის შეფასებისას ძირითადი კრიტერიუმებია[26]:

1. ნედლი მასალისა და ენერგიის გამოყენება;
2. შემცველი მასალის ტოქსიკურობა;
3. ემისია;
4. ხელახალი გამოყენება, რეციკლირება;
5. შეფუთვა და შესაფუთი მასალები;
6. ხარისხი და სხვა.

ჩვეულებრივ, ეკომარკის მინიჭება ხდება სამ წლამდე ვადით. ეკომარკით უკანონო სარგებლობა ისჯება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ეკოაუდიტის მარეგულირებელი საკანონმდებლო ბაზა დღესდღეობით არ არსებობს, თუ არ ჩავთვლით გარემოს დაცვის კანონით განსაზღვრულ ზოგად პრინციპებს.

1.1.3.2 ინფორმაცია ნაწარმის შესახებ

ორჰუსის კონვენციის მოთხოვნით (მუხლი 5.8) ქვეყნებმა უნდა შექმნან პირობები იმისათვის, რომ მეწარმემ თავად მიაწოდოს საზოგადოებას ისეთი ინფორმაცია ნაწარმის შესახებ, რომელიც მომხმარებელს **გაცნობიერებული გარემოსდაცვითი არჩევანის გაკეთების** საშუალებას მისცემს.

ეს ნიშნავს, რომ ჩვენ, მომხმარებლებმა, უნდა ვიცოდეთ თუ რამდენად აზიანებს გარემოს ესა თუ ის საწარმო თუ პროდუქტი და გვქონდეს საშუალება გარემოს ნაკლები დამზიანებელი ავირჩიოთ.

ნაწარმის შესახებ ინფორმაციის გავრცელების გამოცდილი საშუალებაა ნაწარმის სავალდებულო ეტიკეტები. კანონმდებლობა შეიძლება ითხოვდეს, რომ ეტიკეტი აუცილებლად შეიცავდეს ინფორმაციას ნაწარმის წარმომავლობის, მისი შემცველობის, ასევე მის შემადგენლობაში შემავალი ელემენტების გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე ზეგავლენის შესახებ. ამ კატეგორიას განეკუთვნება გამაფრთხილებელი წარწერები სიგარეტის კოლოფებზე, ჯანმრთელობისათვის მავნე მინარევების მითითების მოთხოვნა, მეწარმის სრული დასახელების და მისამართის მითითების მოთხოვნა და სხვა.

საქართველოში

დამამზადებელი და გამყიდველი ვალდებულია მომხმარებელს ქართულ ენაზე მიაწოდოს აუცილებელი, უტყუარი და სრული ინფორმაცია პროდუქციის შესახებ, რათა მომხმარებელს მიეცეს არჩევანის გაკეთების შესაძლებლობა.

მომხმარებელს უნდა მიეწოდოს ქვემოთჩამოთვლილი ინფორმაცია[27]:

- პროდუქციის დასახელება და სახე,
- დამამზადებლის სახელწოდება და მისამართი, იმ ქვეყნის დასახელება, სადაც დამზადებულია პროდუქცია,
- ვარგისობის ვადა;
- წონა და/ან მოცულობა;
- იმ ტექნიკური რეგლამენტის ან სტანდარტის დასახელება, რომელსაც შეესაბამება პროდუქცია
- ძირითადი სამომხმარებლო თვისებების ნუსხა, საკვები პროდუქტისათვის – ასევე კალორიულობა, ვიტამინიზებულობა, ჯანმრთელობისათვის მავნე ნივთიერებათა შემცველობისას მათი შესაძლო უკუჩვენებები, დამზადების პროცესში გამოყენებული საკვებდანამატების სია;
- პროდუქციის შედეგიანი და უსაფრთხო გამოყენების, ასევე შენახვის წესები და პირობები;
- საქონლის ვარგისობის ვადის გასვლის შემდეგ მომხმარებლის მიერ განსახორციელებელი მოქმედებები და მათი განუხორციელებლობისას მოსალოდნელი შედეგები
- და სხვა

1.1.4 ინფორმაციის გავრცელების პროგრესული გზა – ინტერნეტი

ინფორმაციის გავრცელების ერთ-ერთი საშუალება მისი საჯარო ბიბლიოთეკებში განთავსებაა. ყველაზე დიდი და თანდათანობით სულ უფრო მეტი ადამიანისათვის სახლიდან გაუსვლელად ხელმისაწვდომი ბიბლიოთეკა კი ინტერნეტია.

ორჰუსის კონვენცია ითხოვს (მუხლი 5.3), რომ თანდათანობით სულ უფრო მეტი გარემოსდაცვითი ინფორმაცია განთავსდეს ინტერნეტში. კონვენციის თანახმად, პირველ რიგში ეს უნდა იყოს:

[26] საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 1999 წლის 15 იანვრის ბრძანება №3 „ეკომარკირების შესახებ“ დებულების დამტკიცების თაობაზე

[27] საქართველოს კანონი მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ. აღნიშნული მოთხოვნა ძალაშია 2003 წლის 1 მარტიდან

- გარემოს მდგომარეობის ანგარიშები (იხ. სექცია 1.1.2);
- გარემოსთან დაკავშირებული კანონმდებლობა და სხვა ნორმატიული აქტები;
- გარემოსდაცვითი შეთანხმებები, კონვენციები;
- გარემოსთან დაკავშირებული სხვადასხვა გეგმები, პროგრამები, სტრატეგიული დოკუმენტები;
- სხვა ინფორმაცია, რომელიც ორჰუსის კონვენციის განხორციელებას შეუწყობს ხელს

საქართველოში

საკანონმდებლო ტექსტების მოძიება შესაძლებელია პარლამენტის ელექტრონულ გვერდზე, რომლის მისამართია: http://intranet.parliament.ge ან www.parliament.ge
რიგი გარემოსდაცვითი ინფორმაციის ნახვა შესაძლებელია სხვადასხვა არასამთავრობო თუ საქართველოში მოქმედი საერთაშორისო ორგანიზაციების გვერდებზე www.cenn.org, http://www.gridtb.org, http://rec.caucasus.net და სხვა.
სრულფასოვანი ინტერნეტგვერდი გარემოსდაცვითი ინფორმაციით ან შესაბამისი ინფორმაციის რეესტრით საქართველოში დღესდღეობით არ არსებობს.

1.1.4.1 დამაბინძურებელ ნივთიერებათა გაშვების და გადატანის რეესტრები

გარემოსდაცვითი ინფორმაციის ხელმისაწვდომობის ყველაზე პროგრესული და საინტერესო ფორმაა ე.წ. „დამაბინძურებელ ნივთიერებათა გაშვების და გადატანის რეესტრების“ (**დნგბრ**) ხელმისაწვდომობა საზოგადოებისათვის.

დნგბრ არის რიგი ბუნებრივი რესურსებისა და პროდუქტების მოხმარების, აგრეთვე გარემოში (წყალში, ჰაერში) დამაბინძურებელთა ემისიების, ნარჩენების გადატანის და განთავსების შესახებ ინფორმაციის ერთიანი მონაცემთა ბაზა. ორჰუსის კონვენცია (მუხლი 5.9) ითხოვს ქვეყნებისაგან, მიიღონ ზომები თანდათანობით, შეძლებისდაგვარად ეროვნული **დნგბრ**-ის შესამუშავებლად. ამისათვის პირველ რიგში დამაბინძურებელთა და რესურსების მომხმარებელთა ერთიანი ინვენტარიზაცია უნდა განხორციელდეს, შემუშავდეს მათი ანგარიშგების ფორმები და დაწესდეს სტანდარტული ანგარიშგების ველდებულებანი. შემდეგ ეტაპზე საჭიროა შეგროვილი ინფორმაციის დამუშავება ელექტრონული ბაზის სახით.

2003 წლის 21 მაისს, ქ. კიევში, ორჰუსის კონვენციის II რიგგარეშე ყრილობაზე მიღებული იქნა კონვენციის ოქმი **დამაბინძურებელ ნივთიერებათა გაშვებისა და გადაადგილების რეესტრების შესახებ,** რომელსაც ევროკავშირმა და 36 ქვეყანამ მოაწერა ხელი, მათ შორის საქართველომ, სომხეთმა, მოლდავეთმა და უკრაინამ.

საქართველოში

საქართველოს საკანონმდებლო ხელისუფლება ჯერ-ჯერობით თავს იკავებს ამ ოქმის რატიფიცირებისაგან.

საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომი, კარგად სტრუქტურირებული და მოსახმარებლად ადვილი **დნგბრ**-ის მაგალითად გამოდგება გაერთიანებული სამეფოს დამაბინძურებლების ინვენტარიზაცია, რომელიც შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ მისამართზე: http://www.environment-agency.gov.uk. მოქალაქეების ინფორმირების მიზნით არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ **დნგბრ**-ის მონაცემების გამოყენების წარმატებული მაგალითია ბრიტანეთის დედამიწის მეგობრების საიტი: http://www.foe.co.uk/factorywatch

1.2 როგორ მოვიძიოთ დანარჩენი ინფორმაცია

„მიმართეთ სხვას“

არავისთვის არ არის საიდუმლო, რომ ყველაზე იოლი პასუხი, რითიც შეიძლება საჯარო მოხელემ ინფორმაციის მოთხოვნით მისული ადამიანი თავიდან მოიშოროს, არის პასუხი „ჩვენ ეს ინფორმაცია არ გვაქვს“. ორჰუსის კონვენცია ითვალისწინებს მთელ რიგ საშუალებებს იმისათვის, რომ ასეთი სიტუაციებისაგან დაგვიცვას. კერძოდ, კონვენცია:

- ადგენს, თუ რა ინფორმაცია უნდა გააჩნდეთ საჯარო დაწესებულებებს (იხ. ქვემოთ);
- აწესებს მთელ რიგ მექანიზმებს ინფორმაციის მოძიების და მოთხოვნის გასაიოლებლად (იხ. სექცია 1.2.2);
- ადგენს, თუ როგორ უნდა მოიქცეს საჯარო დაწესებულება, თუ მას ინფორმაცია მართლაც არ გააჩნია (იხ. სექცია 1.3.2.1.1).

თუ საჯარო დაწესებულება არ იქცევა ამ მოთხოვნათა შესაბამისად, ჩვენ შეგვიძლია ვუჩივლოთ მას (იხ. სექცია 3.1.1)

1.2.1 ინფორმაცია, რომელიც აუცილებლად უნდა გროვდებოდეს

ორჰუსის კონვენცია ავალდებულებს ქვეყნებს განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ მათ ტერიორიაზე განთავსებულ ისეთ საწარმოებს და საქმიანობებს, რომლებსაც შეუძლიათ გარემოზე მნიშვნელოვანი ზემოქმედების მოხდენა. კონვენცია (მუხლი 5.1.b) ითხოვს, რომ ყველა ქვეყანაში აუცილებლად არსებობდეს ამგვარი საწარმოების თუ საქმიანობების შესახებ ინფორმაციის რეგულარული მოგროვების სავალდებულო სისტემები.

ეს მოთხოვნა ნიშნავს გარემოზე მნიშვნელოვანი

ზემოქმედების მქონე საქმიანობების (არსებული თუ დაგეგმილი) ოპერატორებისათვის გარემოსდაცვით საკითხებზე რეგულარული ანგარიშგების მოთხოვნის დაწესებას.

ორჰუსის კონვენციის ლოგიკას თუ მივყვებით, ინფორმაციის სათანადო მოდინება აუცილებლად უნდა მოიცავდეს შემდეგი სახის ანგარიშგებას:

- ბუნებრივი რესურსების გამოყენება;
- ემისიები ჰაერში, წყალში, ნიადაგსა და მიწაში;
- ნარჩენების გადატანა და განთავსება;
- ინფორმაცია ავარიული მდგომარეობის შესახებ და სხვა.

საქართველოში

გარემოს დაცვის სამინისტრო თავისი ინსპექტორების საშუალებით რეგულარულად აგროვებს ინფორმაციას გარემოზე ზემოქმედების მსხვილი და საშუალო ობიექტების მიერ გარემოს დაბინძურების შესახებ. გროვდება აგრეთვე ინფორმაცია ბუნებრივი რესურსების მოხმარების შესახებ. ამ ინფორმაციის შეგროვებას ხელს უწყობს ის, რომ როგორც გარემოს დაბინძურების, ასევე ბუნებრივი რესურსების მოხმარებისათვის მეწარმეები გადასახადს იხდიან და მისი ზომა რეგულარულად უნდა შეთანხმდეს გარემოს დაცვის სამინისტროს რეგიონულ წარმომადგენლებთან[28].

რაც შეეხება ინფორმაციას დაგეგმილ საქმიანობათა შესახებ, არსებობს გარემოზე ზემოქმედების მქონე საქმიანობათა ჩამონათვალი, რომელთა განხორციელებას ესაჭიროება გარემოსდაცვითი ნებართვა. ამისათვის საქმიანობის ინიციატორმა გარემოს დაცვის სამინისტროს უნდა წარუდგინოს ინფორმაცია მისი საქმიანობის გარემოზე ზემოქმედების შესახებ. დეტალურად გარემოსდაცვითი ნებართვის გაცემის პროცედურა იხ. 2.2.3.3 სექციაში.

1.2.1.1 საჯარო დაწესებულება უნდა ფლობდეს თავის ფუნქციის შესაბამის ინფორმაციას

საჯარო დაწესებულება თითოეულ ქვეყანაში ბევრი და მრავალფეროვანია. ორჰუსის კონვენციის 5.1a მუხლი ითხოვს, რომ ყველა ის **საჯარო დაწესებულება, რომლის ფუნქციას შეესაბამება ამა თუ იმ გარემოსდაცვითი ინფორმაციის**[29] **ქონა**, **ფლობდეს** კიდეც **ამ ინფორმაციას**.

კონვენცია აგრეთვე ითხოვს, რომ საჯარო დაწესებულება ინფორმაციის **ადექვატურობაზე** და **მუდმივ განახლებაზე** ზრუნავდეს.

1.2.1.1.1 რას ნიშნავს „ინფორმაციის ფლობა“

შესაძლოა საჯარო დაწესებულება თავად არ აგროვებს მთელ იმ ინფორმაციას, რაც მას საკუთარი ფუნქციების განსახორციელებლად სჭირდება. აგრეთვე შესაძლებელია, რომ ინფორმაცია, დიდი მოცულობის ან რაიმე სხვა სპეციფიკის გამო სხვა დაწესებულებაში ინახებოდეს.

ამის მაგალითია სტატისტიკური ინფორმაცია, რომლის მოგროვებას და დამუშავებას სათანადო კვალიფიკაციის სპეციალისტები სჭირდება და, ამავე დროს, ერთსა და იმავე ინფორმაციას ბევრი სხვადასხვა სამთავრობო უწყება იყენებს. ამიტომ, როგორც წესი, ქვეყანაში ცენტრალიზებული სტატისტიკის სამსახური ფუნქციონირებს, რომელიც ყველა სხვა საჯარო უწყებებს მათთვის საჭირო ინფორმაციით ამარაგებს.

კიდევ ერთი მაგალითია ამინდის ბიურო ან ჰიდრომეტეოროლოგიური სამსახური, სხვა სპეციალიზებული ლაბორატორიები, რომელთაც ერთი ან რამოდენიმე სამთავრობო დაწესებულებიდან დელეგირებული აქვთ რაიმეს მონიტორინგის ფუნქცია.

ინფორმაციის „ფლობა“ არ ნიშნავს მის ფიზიკურად არსებობას საჯარო დაწესებულებაში. საჯარო დაწესებულება ინფორმაციას ფლობს, თუ მან იცის სად ინახება ინფორმაცია, შეუძლია თავისუფლად გამოიყენოს იგი, თუ საჭიროა, მოითხოვოს მისი შეგროვება, დამუშავება, მოწოდება, აქვს უფლება დაეყრდნოს ამ ინფორმაციას გადაწყვეტილებათა მიღებისას.

1.2.1.1.2 რას ნიშნავს „ფუნქციის შესაბამისი“

დაწესებულების ფუნქციის შესაბამის ინფორმაციად უნდა ჩაითვალოს ინფორმაცია, რომელიც:

- საჭიროა ფუნქციის შესასრულებლად;
- მიიღება ფუნქციის შესრულების შედეგად.

როგორც წესი, დაწესებულების ფუნქცია და ამოცანები მის დებულებაში და სამოქმედო პროგრამებში ან გეგმებში არის ჩამოყალიბებული. გაეცანით ამ დოკუმენტებს და შემდეგ მოითხოვეთ დაწესებულებისაგან თქვენთვის საინტერესო ფუნქციისა ან ამოცანის შესრულებისათვის მის მიერ მოგროვილი ინფორმაციის, დოკუმენტების, მასალების ჩამონათვალი. როდესაც ამ ჩამონათვალს გაგაცნობენ, აირჩიეთ თქვენთვის საჭირო დოკუმენტი და მოითხოვეთ მისი ასლი. მოითხოვეთ აგრეთვე ამ ფუნქციის თუ ამოცანის შესრულების შუალედური ან წლიური ანგარიშები.

[28] გარემოს დაცვის სამინისტროს მოხელეები უდგენენ მეწარმეს გარემოს დაბინძურების ან ბუნებრივი რესურსის მოხმარების ზღვრულ ნორმას (ლიმიტს). გადასახადი კი ამ ლიმიტის ფარგლებში მეწარმის მიერ რეალურად განხორციელებული დაბინძურების ან მოხმარების პროპორციულია. დეკლარირებული რეალური დაბინძურება ან მოხმარება კი მეწარმეს გარემოსდაცვითმა ინსპექტორმა უნდა დაუდასტუროს.

[29] გარემოსდაცვითი ინფორმაციის განმარტება იხ. მე-10 გვერდზე

საქართველოში

ამ სახელმძღვანელოს მომზადება დაემთხვა მთავრობის რესტრუქტურიზაციას, როდესაც უმეტესი სამთავრობო სტრუქტურებისა და მათი დაქვემდებარებული ორგანიზაციების დებულებები და ფუნქცია იცვლებოდა. ამიტომ ჩვენ ვერ ვახერხებთ თქვენს უფრო ზუსტ დაკვალიანებას იმის შესახებ, თუ რომელ საჯარო დაწესებულებაში რა ინფორმაცია უნდა მოიძიოთ.
თუმცა, თქვენ შეგიძლიათ ინფორმაციის მოთხოვნით ნებისმიერ საჯარო დაწესებულებას მიმართოთ. ეს უკანასკნელი თავადაა ვალდებული თქვენი მოთხოვნის სათანადო ადრესატი მოძებნოს და მოთხოვნა მას გადაუგზავნოს. დეტალებისათვის იხ. სექცია 1.3.2.1.1.

1.2.2 ინფორმაცია იოლი მოსაპოვებელი უნდა იყოს

კონვენცია ავალდებულებს საჯარო დაწესებულებებს (მუხლი 5.2) შეიმუშავონ და განახორციელონ პრაქტიკული ღონისძიებები ინფორმაციის **ეფექტიანი ხელმისაწვდომობის** უზრუნველსაყოფად. მათ მოეთხოვებათ აგრეთვე სრული **გამჭვირვალობა** იმის შესახებ, თუ როგორ ახერხებენ ამას.

ეს პრაქტიკული ღონისძიებები სხვადასხვა სახის შეიძლება იყოს. აქ შედის საზოგადოების მომსახურების ოფისის მოსახერხებელი სამუშაო დრო, ადგილმდებარეობა, შესაბამისი აღჭურვილობა (მაგ. ქსეროქსი). კონვენცია ადგენს ღონისძიებათა **მინიმალურ** ჩემონათვალს, რომელიც ყველა საჯარო დაწესებულებამ აუცილებლად უნდა განახორციელოს. ესენია:

- საზოგადოებისათვის ცნობილი უნდა იყოს, თუ სად რა გარემოსდაცვითი ინფორმაცია არის განთავსებული;
- ცნობილი უნდა იყოს ინფორმაციის მოთხოვნისა და მიღების პროცედურა;
- ცნობილი უნდა იყოს, თუ ვის და სად უნდა მივმართოთ (საკონტაქტო პირი);
- საჯარო მოხელეები ვალდებულნი უნდა იყვნენ, დახმარება გაგვიწიონ ინფორმაციის მოძიებაში;

1.2.2.1 ინფორმაცია პროცედურის შესახებ

ორჰუსის კონვენციის თანახმად (მუხლი 5.2a) საჯარო დაწესებულებებმა უნდა იზრუნონ იმაზე, რომ საზოგადოებისათვის ცნობილი იყოს:

- საჯარო დაწესებულებიდან გარემოსდაცვითი ინფორმაციის მიღების ან ადგილზე გაცნობის პირობები;
- საჯარო დაწესებულებიდან გარემოსდაცვითი ინფორმაციის მოთხოვნის პროცედურა.

კონვენცია არ აკონკრეტებს, თუ კერძოდ როგორ უნდა მოხდეს საზოგადოებისათვის ამ ინფორმაციის გაცნობა. დადებითი პრაქტიკა არის ინფორმაციის განთავსება დაწესებულების ინტერნეტ-გვერდზე, განცხადების გამოკვრა ვესტიბიულში, გავრცელება მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში და სხვ. პრაქტიკული რჩევისათვის იხ. სექცია 1.3.1.2.

1.2.2.2 ინფორმაცია ინფორმაციის შესახებ

ორჰუსის კონვენცია (მუხლი 5.2a) ითხოვს, რომ საჯარო დაწესებულებებმა უზრუნველყონ საზოგადოება საკმარისი ინფორმაციით საჯარო დაწესებულების განკარგულებაში არსებული გარემოსდაცვითი ინფორმაციის სახეებისა და მასშტაბის შესახებ. მათ შორის, აუცილებელია საჯარო რეესტრების, სიების ან კარტოთეკების შექმნა (მუხლი 5.2.b(i)), რათა გაგვიიოლდეს ჩვენთვის სასურველი დოკუმენტის მოძიება და მოთხოვნა;

საჯარო რეესტრები, სიები და კართოთეკები გავრცელებული მეთოდია ინფორმაციის იმგვარად დალაგებისა, რომ საჭირო დოკუმენტის მოძებნა გაიოლდეს. ეს საშუალებას იძლევა მივაგნოთ დოკუმენტს თემატიკის, თარიღის, ნომრის ან ავტორის მიხედვით, ან უბრალოდ შევისწავლოთ ყველა დოკუმენტის ჩამონათვალი და ავირჩიოთ სასურველი.

საქართველოში

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის თანახმად საჯარო დაწესებულებები ვალდებულნი არიან აწარმოონ და საჯარო გახადონ მათ ხელთ არსებული მთელი ინფორმაციის რეესტრი. რეესტრში უნდა მოხდეს ინფორმაციის რეგისტრაცია მისი შექმნიდან, დამუშავებიდან, გაგზავნიდან ან გამოცემიდან მაქსიმუმ ორი დღის ვადაში. რეესტრში მითითებული უნდა იყოს ინფორმაციის დასახელება/სათაური, მიღების, შექმნის, დამუშავების, გაგზავნის ან გამოცემის თარიღი, ვისგან შემოვიდა ან ვის გაეგზავნა, და საჯარო დაწესებულების იმ ქვედანაყოფის დასახელება, რომლის მიერაც იქნა ეს ინფორმაცია შექმნილი ან დამუშავებული. ***აღსანიშნავია***, რომ საჯარო რეესტრში უნდა იყოს აღრიცხული ***საიდუმლოს მიკუთვნებული ინფორმაციაც***. რეესტრში მითითებული უნდა იყოს იმ პირის გვარი, რომელმაც ინფორმაცია გაასაიდუმლოვა, გასაიდუმლოების საფუძველი და ვადა.
ჯერჯერობით დადგენილი არ არის საჯარო რეესტრის ერთიანი ფორმა. თუმცა მისი ელექტრონული ფორმა, რა თქმა უნდა, უფრო მოსახერხებელი იქნებოდა[30].

[30] ევროკავშირის დაფინანსებით განხორციელებული პროექტის მიერ „გარემოსდაცვითი ინფორმაცია, განათლება და ცნობიერების ამაღლება" 2004 წელს შემუშავდა ინფორმაციის ელექტრონული კარტოთეკა საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტროსათვის

თანდათან სულ უფრო ფართოდ ინერგება ელექტრონული კარტოთეკები (მონაცემთა ბაზები). აქ ინფორმაციის ძიება ბევრად სწრაფად მიმდინარეობს. თან გაცილებით უფრო ფართოა დოკუმენტის ძიების შესაძლებლობა – დასახელების ერთი სიტყვით, საკვანძო სიტყვით, თარიღის ან ნომრის ინტერვალით, ხელმომწერი პირის ან მიმღები ორგანოს მიახლოებითი მითითებით და სხვა.

ორჰუსის კონვენციის (მუხლი 5.2.c) მოთხოვნაა, არ შეიქმნას ფასთან დაკავშირებული ბარიერები „ეფექტიანი ხელმისაწვდომობისა და გამჭირვალობის“ პრინციპის ცხოვრებაში გატარებისათვის. სწორედ ამიტომ, იგი აწესებს საჯარო დაწესებულებების ვალდებულებას, უზრუნველყოფილ იქნას სიების, რეესტრებისა და კარტოთეკების ხელმისაწვდომობა **ყოველგვარი გადასახადის გარეშე.**

კონვენციის მიხედვით საჯარო დაწესებულებებს შეუძლიათ დააწესონ გონივრული გადასახადი ინფორმაციის მიწოდებისათვის (იხ. სექცია 1.3.1.2). მაგრამ ეს არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება შეეხოს სიებს, რეესტრებსა და კარტოთეკებს, მათი გაცნობისათვის საფასურის დაწესება დაუშვებელია.

საქართველოში

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის თანახმად თქვენ უფლება გაქვთ გაეცნოთ საჯარო დაწესებულებაში არსებული ნებისმიერი ღია დოკუმენტის (მათ შორის საჯარო რეესტრის) დედანს ყოველგვარი გადასახადის გარეშე.

1.2.2.3 ვის მივმართოთ

არც თუ ისე შორეულ წარსულში ხშირი იყო შემთხვევა, როდესაც საჯარო მოხელეებს რაიმე საკითხზე მიმართავდით და მათგან კი გაუთავებლად გვესმოდა: „ეს მე არ მეხება, იკითხეთ გვერდით კაბინეტში“, „მე არ ვიცი, ვის ეხება ეს საკითხი“ და ა.შ. საათობით შეიძლება გევლო დაწესებულებაში და ვერ აღმოგეჩინა პირი, რომელსაც თქვენთვის საინტერესო საკითხი ეხებოდა.

იმისათვის, რომ ამგვარი შემთხვევები თავიდან აცილებულ იქნას, ორჰუსის კონვენცია ითხოვს (მუხლი 5.2.b(ii)), რომ ყოველმა საჯარო დაწესებულებამ გამოყოს სპეციალური პირი, ან ოფისი, რომელსაც შეგვეძლება მივმართოთ ინფორმაციის მოთხოვნით – ანუ, დაადგინოს „საკონტაქტო პუნქტი“.

კარგია, თუ საკონტაქტო პუნქტის ფუნქციის შესასრულებლად დაწესებულებაში სათანადოდ აღჭურვილი და კეთილგანწყობილი თანამშრომლებით დაკომპლექტებული სპეციალური საინფორმაციო ცენტრი ან სამსახური დაარსდება. ინფორმაცია ამგვარი საინფორმაციო ცენტრის, ოფისისა და სამსახურის შესახებ ფართოდ უნდა გაშუქდეს, რათა საზოგადოებამ იცოდეს მათი არსებობის შესახებ.

საქართველოში

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის შესაბამისად ყველა საჯარო დაწესებულება ვალდებულია დაადგინოს **საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი საჯარო მოსამსახურე**. ეს არის პირი, რომელსაც გააჩნია უფლებამოსილება დამოუკიდებლად მიიღოს გადაწყვეტილება ინფორმაციის გაცემის შესახებ ზემდგომ ორგანოებთან კონსულტაციისა და შეთანხმების გარეშე. ამავე დროს, ინფორმაციის საჯაროობის უზრუნველყოფა პასუხისმგებელი პირის ძირითად საქმიანობას უნდა წარმოადგენდეს და მას არ აქვს უფლება დაასაბუთოს ინფორმაციის დროული არგაცემა მოუცლელობით სხვა სამსახურეობრივ ვალდებულებათა შესრულების გამო. დიდ საჯარო დაწესებულებაში, რომელსაც ბევრი ინფორმაცია გააჩნია, შეიძლება შეიქმნას ცალკე სტრუქტურული ერთეული.

საჯარო დაწესებულებები ვალდებულნი არიან თვალსაჩინო ადგილას გამოაკრან საჯარო ინფორმაციის გაცემისათვის პასუხისმგებელი მოხელის ვინაობა და სამსახურის ტელეფონი.

პრაქტიკული რჩევა

ინფორმაციის მოთხოვნის წერილი (განცხადება) საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირის სახელზე დაწერეთ (მისი სახელისა და გვარის ცოდნა და მითითება სავალდებულო არ არის). ასეთი განცხადება დაწესებულებაში ნაკლებ შუალედურ პროცედურებს გადის და როგორც წესი, უფრო სწრაფად დაკმაყოფილდება.

1.2.2.4 მოხელეები უნდა დაგვეხმარონ

კონვენცია ავალდებულებს საჯარო მოსამსახურეთ დააკვალიანონ საზოგადოება (მუხლი 3.2) და გაუწიონ მას ქმედითი დახმარება (მუხლი 5.2.b(ii)) გარემოსდაცვითი ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მიღწევაში.

კონვენციით დაწესებული ეს ნორმა უფლებას გაძლევთ მოსთხოვოთ ნებისმიერ საჯარო მოხელეს დაგეხმაროთ ინფორმაციის გაცემაზე მოთხოვნის ჩამოყალიბებაში, განგიმარტოთ, რომელი ინფორმაცია განეკუთვნება გამონაკლისს და რომელი არა და სხვა. თუ მოხელისგან სასურველი დახმარება ვერ მიიღეთ, მიმართეთ მის უფროსს.

1.2.3 ინფორმაციის მოთხოვნა

1.2.3.1 ძირითადი წესები

ორჰუსის კონვენცია (მუხლი 4.1) ავალდებულებს საჯარო დაწესებულებებს მოთხოვნის პასუხად გასცენ გარემოსდაცვითი ინფორმაცია (ან, თუკი განმცხადებელი ამას ითხოვს, მისცენ მისი გაცნობის საშუალება). ინფორმაციის გაცემის ძირითადი წესებია:

- **ყველას** აქვს ინფორმაციის მოთხოვნის უფლება (მათ შორის უცხოელებს და მოქალაქეობის არმქონე პირებს);
- ინფორმაციის მაძიებელს **არ მოეთხოვება ახსნას ან დაასაბუთოს**, თუ რისთვის სჭირდება მას მოთხოვნილი ინფორმაცია.
- ინფორმაცია უნდა გაიცეს **რაც შეიძლება სწრაფად**;
- ინფორმაცია როგორც წესი, უნდა გაიცეს **მოთხოვნილი ფორმით**;
- ხელმისაწვდომი უნდა იყოს **ფაქტიური დოკუმენტები** (და არა მხოლოდ მათი მოკლე შინაარსი);

სახელმძღვანელოს 1.3.2 სექციაში განხილულია შემთხვევები, როდესაც შესაძლოა ინფორმაციის მოთხოვნა არ დაკმაყოფილდეს. ყველა სხვა შემთხვევაში, საჯარო დაწესებულებამ დროულად უნდა მოგაწოდოთ სათანადო ინფორმაცია. თუ ეს ასე არ მოხდა, თქვენ შეგიძლიათ იჩივლოთ (იხ. სახელმძღვანელოს მე-3 თავი).

1.2.3.2 რას წარმოადგენს "მოთხოვნა" ინფორმაციის მიწოდებაზე?

კონვენცია კონკრეტულად არ განსაზღვრავს, როგორი უნდა იყოს, ან რა ფორმა უნდა ჰქონდეს ინფორმაციის „მოთხოვნას". შესაბამისად „მოთხოვნად" ითვლება ნებისმიერი სახით გაკეთებული განაცხადი, მათ შორის:

- საზოგადოების მხრიდან ნებისმიერი მიმართვა საჯარო დაწესებულებისადმი, სადაც გამჟღავნებულია ინფორმაციის მიღების სურვილი;
- ნებისმიერი მოთხოვნა წერილობით ან ზეპირსიტყვიერი ფორმით;

საქართველოში

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის შესაბამისად, იმისათვის, რომ თქვენთვის სასურველი ინფორმაცია მიიღოთ, საჯარო დაწესებულებას უნდა მიმართოთ წერილობით. საჯარო დაწესებულება უფლებამოსილია გასცეს ინფორმაცია ზეპირი მოთხოვნის საფუძველზეც, მაგრამ ეს ამ დაწესებულების უფლებაა და არა მოვალეობა.

1.2.3.2.1 დასაბუთება საჭირო არ არის

ორჰუსის კონვენცია (მუხლი 4.1.a) ადგენს, რომ ინფორმაციის მაძიებელს არ მოეთხოვება განაცხადოს, თუ რა მიზნით ესაჭიროება მას ინფორმაცია, ან რაში მდგომარეობს მისი დაინტერესება. ეს ნიშნავს, რომ **ინფორმაციის მოთხოვნაზე არ შეიძლება უარი გითხრან** იმ მიზეზით, რომ თქვენ არ დაასაბუთეთ მოთხოვნა, ან იმიტომ, რომ საჯარო დაწესებულებას მიაჩნია, რომ თქვენ ეს ინფორმაცია „არაფერში გჭირდებათ", ან „ეს თქვენ არ გეხებათ", ან რომ „თქვენ შეიძლება არასათანადოდ გამოიყენოთ ინფორმაცია" და ა.შ.

საქართველოში

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსიც (მუხლი 37) ადგენს, რომ საჯარო ინფორმაციის მისაღებად თქვენ არ ხართ ვალდებული მიუთითოთ საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის მოტივი ან მიზანი[31].

1.2.3.2.2 როგორ ჩამოვაყალიბოთ სწორად განაცხადი ინფორმაციის მოთხოვნაზე

<u>**იყავით ლაკონური**</u>

საჯარო მოხელეც ადამიანია. მას დღეში რამოდენიმე ათეული წერილის წაკითხვა, გაანალიზება და პასუხის მომზადება უხდება. ნუ მოუთხრობთ მას თქვენი ცხოვრების ისტორიას. მოერიდეთ უშინაარსო, გრძელ, ზოგად ფრაზებს. შეეცადეთ, იყოთ ლაკონური და კონკრეტული. რაც უფრო ზუსტად და ნათლად არის ჩამოყალიბებული განაცხადი, მით უფრო ადვილია მასზე პასუხის მიღება.

<u>**მოითხოვეთ კონკრეტული დოკუმენტი**</u>

საჯარო მოხელემ თქვენი ინფორმაციის მოთხოვნა კონკრეტული მასალების თუ დოკუმენტების მოთხოვნის ენაზე უნდა გადათარგმნოს. თქვენ მნიშვნელოვნად გაუიოლებთ მას საქმეს (და დააჩქარებთ სასურველი ინფორმაციის მიღებას), თუ პირდაპირ მიუთითებთ დოკუმენტს, ან მის ნაწილს, რომელიც გესაჭიროებათ. ნუ დაიზარებთ, გაეცანით ინფორმაციის საჯარო რეესტრს და რაც შეიძლება ზუსტად მიუთითეთ დოკუმენტი, რომელიც გაინტერესებთ.

<u>**ნუ დატოვებთ „გამოსაძრომს"**</u>

გადატვირთული მოხელე დავალების შესრულების რაც შეიძლება იოლ გზას ეძებს. თუ თქვენ ითხოვთ „მომაწოდეთ ინფორმაცია ამა და ამ საკითხის შესახებ", იგი მოგაწვდით საკითხთან დაკავშირებულ პირველივე დოკუმენტს, რომელიც ხელში მოხვდება. შეეცადეთ იყოთ უფრო ზუსტი. გამოიყენეთ ფრაზები „მომაწოდეთ სრული (ამომწურავი, დეტალური) ინფორმაცია", „საკითხთან დაკავშირებული დოკუმენტების სრული ჩამონათვალი",

[31] თუმცა ზოგჯერ დასაბუთება თქვენს ინტერესებში შედის. იხ. სექცია 1.3.2.2.3

„თქვენს ხელთ არსებული მთელი ინფორმაცია“, „გთხოვთ მომცეთ საშუალება დეტალურად გავეცნო ყველა მასალას“.

ნუ მოითხოვთ ზედმეტს

გახსოვდეთ, საჯარო მოხელის მუშაობაში სახელმწიფო ფულს იხდის. ნუ დახარჯავთ ამ ფულს ფუჭად. მოითხოვეთ მხოლოდ ის ინფორმაცია, რაც ნამდვილად გჭირდებათ.

1.2.3.2.3 ინფორმაციის მოთხოვნაზე განაცხადის მაგალითი

> საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელ პირს
>
> მოქალაქის _____
> *(თქვენი სახელი და გვარი)*
> მცხოვრები _____
> *(თქვენი მისამართი, ტელეფონი)*
>
> განცხადება
> გთხოვთ მომაწოდოთ გარემოს მდგომარეობის უკანასკნელი ანგარიში ელექტრონული ფორმით პატივისცემით,
> _____
> *(ხელმოწერა, თარიღი)*

1.2.3.2.4 აირჩიეთ ინფორმაციის მიღების ფორმა

კონვენციის 4.1.b მუხლით თქვენ გაქვთ უფლება აირჩიოთ, თუ რა ფორმით (ბეჭდვითი, ელექტრონული, სხვა) გსურთ ინფორმაციის მიღება. საჯარო დაწესებულებამ უნდა დააკმაყოფილოს თქვენი მოთხოვნა გარდა იმ შემთვევებისა, როცა:

- მას დოკუმენტი მხოლოდ ერთი რაიმე ფორმით გააჩნია და სხვა ფორმაში გადაყვანა არ შეუძლია;
- ინფორმაცია უკვე გავრცელებულია (ხელმისაწვდომია) სხვა ფორმით.

საქართველოში

ყველას აქვს უფლება აირჩიოს საჯარო ინფორმაციის მიღების ფორმა, თუ იგი სხვადასხვა სახით არსებობს. თქვენ შეიძლება მოითხოვოთ დოკუმენტის ასლი, ან მისი ელექტრონული ვერსია, ან ინფორმაციის გაცემა ორივე ფორმით. თქვენ გაქვთ აგრეთვე უფლება ამ საჯარო დაწესებულებაში არსებული ტექნიკური საშუალებების გამოყენებით გაეცნოთ საჯარო ინფორმაციას. (ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, მუხლი 37).

თუ ინფორმაცია უკვე ხელმისაწვდომია საზოგადოებისათვის (გამოიცა, განთავსდა ინტერნეტში, დაიბეჭდა გაზეთში), თქვენ შეიძლება მიგითითონ ამ წყაროზე. თუ წყარო თქვენთვის ხელმიუწვდომელია, (თქვენ არ გაქვთ ინტერნეტის გამოყენების შესაძლებლობა, ან შეუძლებელია გაზეთის იმ ნომრის მოძებნა, რომელზეც მიგითითებენ), განმარტეთ ეს და მოითხოვეთ მოგცენ დოკუმენტის გაცნობის საშუალება თავად ამ დაწესებულებაში, ან მოგაწოდონ ასლი.

1.2.3.2.5 განაცხადის წარდგენა

განაცხადი დაწესებულებაში შეგიძლიათ პირადად მიიტანოთ ან დაწესებულების ოფიციალურ მისამართზე გაგზავნოთ (ფოსტით, ფაქსით, ელექტრონული ფოსტით). ორივე შემთხვევაში საჭიროა დარწმუნდეთ, რომ განაცხადი არ დაიკარგება. აუცილებლად მოითხოვეთ და ჩაიწერეთ თქვენი განაცხადის რეგისტრაციის ნომერი.

საქართველოში

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი (მუხლი 37) ადგენს, რომ ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია რეგისტრაციაში გაატაროს განცხადება მიღების დღესვე და დასვას მასზე რეგისტრაციის თარიღი და ნომერი.

რეგისტრაცია არის ყველაზე კარგი გარანტია იმისათვის, რომ შემდგომ განცხადების ადმინისტრაციულ ორგანოში შემოტანის დადასტურება მოხდეს. თქვენ სრული უფლება გაქვთ მოითხოვოთ განცხადების რეგისტრაციაში გატარების დამადასტურებელი დოკუმენტი, რაც თავიდან აგაცილებთ დავას განცხადების შეტანის ფაქტისა და დროის თაობაზე.

1.3 პასუხი ინფორმაციის მოთხოვნაზე

1.3.1 დადებითი პასუხი

1.3.1.1 ვადა

საჯარო დაწესებულება ვალდებულია თქვენი წერილი (განცხადება) ინფორმაციის მოთხოვნით დადგენილ ვადებში განიხილოს.

ორჰუსის კონვენცია (მუხლი 4.2) ითხოვს, რომ ინფორმაციის მოთხოვნაზე რეაგირება მოხდეს სწრაფად. საჯარო დაწესებულება ვალდებულია პასუხი რაც შეიძლება მალე გაგცეთ. ზღვრული ვადა საამისოდ **ერთი თვეა**. მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებშია დასაშვები ვადის გაგრძელება ორ თვემდე. ვადის ასეთი გაგრძელების აუცილებლობის და მისი მიზეზების შესახებ თქვენ რაც შეიძლება ადრე, წერილობით უნდა გაცნობონ.

საქართველოში

კანონის მოთხოვნა ინფორმაციის გაცემის ვადებთან დაკავშირებით კიდევ უფრო მკაცრია. ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-40 მუხლის თანახმად, საჯარო დაწესებულება ვალდებულია გასცეს საჯარო ინფორმაცია **დაუყოვნებლივ**.

„დაუყოვნებლივ" ნიშნავს, რომ რეგისტრაციისთანავე განცხადებები გადაეცემა ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელ პირს, რომელიც დაყოვნების გარეშე, დაწესებულებაში შემოსვლის რიგითობის მიხედვით განიხილავს მათ. ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელ პირს უფლება არ აქვს მოიმიზეზოს სხვა სამსახურეობრივი დავალებები და საქმიანობები ინფორმაციის გაცემის დაგვიანების გასამართლებლად.

იმ შემთხვევაში, თუ განცხადებაზე პასუხის გაცემა მოითხოვს:

- მნიშვნელოვანი მოცულობის ერთმანეთთან დაუკავშირებელი ცალკეული დოკუმენტების მოძიებასა და დამუშავებას, ან
- სხვა დასახლებულ პუნქტში არსებულ დაწესებულებასთან კონსულტაციას, ან მისგან ინფორმაციის მოთხოვნას,

დაშვებულია განცხადებაზე პასუხის გაცემა **10 სამუშაო დღეზე**[32] გაიწელოს. ყველა სხვა შემთხვევაში პასუხი უფრო სწრაფად უნდა მიიღოთ.

1.3.1.2 ინფორმაციის საფასური

ორჰუსის კონვენციის 4.8 მუხლი უფლებას აძლევს საჯარო დაწესებულებებს დააწესონ საფასური მოთხოვნის პასუხად ინფორმაციის გაცემის მომსახურებისათვის, მაგრამ:

- საფასური **არ უნდა აჭარბებდეს** გონივრულ ფარგლებს;
- **განფასების ცხრილი** წინასწარ ხელმისაწვდომი უნდა იყოს განმცხადებლისათვის.

„გონივრული საფასური" ნიშნავს, რომ ინფორმაციის საფასური **არ უნდა აღემატებოდეს** ინფორმაციის გაცემისათვის გაწეულ **მატერიალურ დანახარჯებს,** ე.ი. ასლის გადაღების, საფოსტო მომსახურების და სხვა ამგვარ დანახარჯებს. **საფასური არ უნდა იქცეს დაბრკოლებად ინფორმაციის ხელმისაწვდომობისათვის**.

კონვენცია მიუთითებს, რომ ქვეყნებმა შესაძლოა დააწესონ საფასურის შემცირების ან გაუქმების პირობები. ეს პირობებიც წინასწარვე უნდა ეცნობოს განმცხადებელს.

საქართველოში

ინფორმაციის გაცემისათვის დაუშვებელია რაიმე საფასურის დაწესება, გარდა ასლის გადაღებასთან და ფოსტით გაგზავნასთან დაკავშირებული ხარჯებისა. ანაზღაურებას ექვემდებარება მხოლოდ ფაქტობრივად გაწეული ხარჯი და სხვა რაიმე სახის დამატებითი ფასის დადება დაუშვებელია[33].

ასლის გადაღებისათვის აუცილებელი დანახარჯის ოფიციალური კალკულაცია ჯერ გაკეთებული არ არის. არც განმცხადებლისათვის ამ საფასურის წინასწარი გაცნობის ვალდებულება არის დაკანონებული. შესაბამისად ამ საკითხთან დაკავშირებით მოქმედებს კონვენციის დებულება. საჯარო დაწესებულებები ვალდებულნი არიან დანერგონ განმცხადებლისათვის აღნიშნული საფასურის წინასწარი გაცნობის პრაქტიკა.

საუკეთესო მაგალითია მრავალ ევროპულ ქვეყანაში დანერგილი პრაქტიკა გასცენ ინფორმაცია უფასოდ, თუ მაგალითად, საჭიროა მხოლოდ მცირე რაოდენობის გვერდების ასლის გადაღება. კარგია აგრეთვე, თუ ასლის გადამღები აპარატი ხელმისაწვდომია ყველასათვის და განმცხადებელს თვითონ შეუძლია გააკეთოს სასურველი დოკუმენტების ასლი.

პრაქტიკული რჩევა

ნახეთ ორგანიზაციის განცხადებათა დაფა და შეამოწმეთ, არის თუ არა მასზე:

- განფასების ცხრილი ასლის გადაღების ან ფოსტით გაგზავნისათვის;
- გადასახადისგან გათავისუფლების კრიტერიუმები;
- ინფორმაცია საფასურის წინასწარ გადახდის საჭიროებაზე;
- შესაბამისი ნორმატიული აქტების მითითება.

თუ ყოველივე ეს გამოკრული არ არის, მოითხოვეთ ეს ინფორმაცია და შეახსენეთ საჯარო მოხელეს, რომ ორჰუსის კონვენციის 4.8 მუხლის მიხედვით ინფორმაცია გამოკრული უნდა იყოს.

თუ გადასახადისგან გათავისუფლება გსურთ, ითხოვეთ ეს ინფორმაციის მოთხოვნის განაცხადშივე და მიუთითეთ მიზეზი.

[32] ვადა აითვლება განცხადების რეგისტრაციის დღიდან. ათდღიანი ვადის გამოყენების აუცილებლობის და მისი მიზეზების შესახებ საჯარო დაწესებულებამ წერილობით უნდა გაცნობოთ.

[33] საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, მუხლი 38, 99

1.3.2 უარი

როცა საკითხი გარემოსდაცვით ინფორმაციას ეხება, მისი არ გაცემის ფაქტი ყოველთვის წარმოადგენს გამონაკლისს და არა წესს.

1.3.2.1 ინფორმაციის მოთხოვნაზე უარის საფუძვლები

მიუხედავად იმისა, რომ გარემოსდაცვითი ინფორმაცია, როგორც წესი, საჯარო უნდა იყოს, ზოგჯერ მაინც შესაძლებელია მისი დახურვა. ორჰუსის კონვენციის მე-4 მუხლი იძლევა ინფორმაციის მოთხვნაზე უარის კანონიერ საფუძველთა ამომწურავ ჩამონათვალს.

ეს ნიშნავს, რომ ქვეყნებს **არ შეუძლიათ დააწესონ რაიმე სხვა მიზეზები** საზოგადოებისათვის ინფორმაციის ხელმისაწვდომობის შესაზღუდავად. ამავე დროს, ქვეყნები არ არიან ვალდებულნი გამოიყენონ კონვენციით დაშვებული ინფორმაციის დახურვის ყველა მიზეზი. თუკი ქვეყანაში ეროვნული კანონმდებლობა ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უკეთეს პირობებს აწესებს, კონვენციის დებულებებით ეს პირობები არავითარ შემთხვევაში არ უნდა შეიზღუდოს (მუხლი 3.5 და 3.6)

მოთხოვნის უარყოფის დაშვებული მიზეზები ორ კატეგორიად იყოფა:

1. პირობები, რომელიც საჯარო დაწესებულებას არ აძლევს ინფორმაციის მიწოდების საშუალებას. ესენია:

- დაწესებულებას არ გააჩნია მოთხოვნილი ინფორმაცია (სექცია 1.3.2.1.1)
- მოთხოვნა ძალიან ზოგადია (საქართველში ეს მიზეზი არ გამოიყენება)
- მასალა მომზადების სტადიაშია (სექცია 1.3.2.1.2)
- მასალა დაწესებულების შიდა მიმოწერას წარმოადგენს (საქართველში ეს მიზეზი არ გამოიყენება)

2. ინტერესები, რომლებიც ილახება ინფორმაციის გახსნით. ესენია:

- საჯარო დაწესებულების შიდა წარმოების დაცვის ინტერესები (საქართველოში გამოიყენება ნაწილობრივ, იხ. სექცია 1.3.2.1.3);
- საერთაშორისო ურთიერთობები, ეროვნული თავდაცვის ან საზგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესები (სექცია 1.3.2.1.4);
- მიუკერძოებელი გამოძიების და სამართალწარმოების ინტერესები (სექცია 1.3.2.1.5);
- კომერციული ან სამრეწველო საიდუმლოების (სექცია 1.3.2.1.6), ინტელექტუალური საკუთრების დაცვის ინტერესები (სექცია 1.3.2.1.7);
- პირადი საიდუმლოების დაცვა (სექცია 1.3.2.1.8);
- მესამე მხარის ინტერესების დაცვა (საქართველში ეს მიზეზი არ გამოიყენება);
- ინფორმაცია იშვიათ სახეობათა შესახებ (საქართველში ეს მიზეზი არ გამოიყენება);

ქვემოთ დეტალურად გარჩეულია უარის თქმის ის მიზეზები, რომელთაც საქართველოს კანონმდებლობა იზიარებს. გასათვალისწინებელია, რომ უარის თქმის **ამ მიზეზების არსებობა არ არის საკმარისი ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმისათვის!**

1.3.2.1.1 საჯარო დაწესებულებას მოთხოვნილი ინფორმაცია არ გააჩნია

საჯარო დაწესებულება ვალდებულია უზრუნველყოს იმ ინფორმაციის ხელმისაწვდომობა, რომელიც მას გააჩნია, ანუ ფიზიკურად განთავსებულია მასთან. თუ თქვენს მიერ მოთხოვნილი ინფორმაცია დაწესებულებას არ გააჩნია, იგი უნდა მოიქცეს შემდეგნაირად:

- თუ მის კომპეტენციაში შედის ამ ინფორმაციის ფლობა (იხ. სექცია 1.2.1.1) ან იმის ცოდნა, თუ სად არის განთავსებული თქვენთვის საჭირო ინფორმაცია, მან უნდა გაცნობოთ ამის შესახებ, ან თავად გადაგზავნოს თქვენი განაცხადი შესაბამის დაწესებულებაში (მუხლი 4.5);

საქართველოში

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი არ აძლევს საჯარო მოხელეს უფლებას უბრალოდ დააკვალიანოს ინფორმაციის მომთხოვნი, თუ რომელ დაწესებულებაშია შესაძლებელი მოიძიოს მისთვის საინტერესო ინფორმაცია. ჩვენი კანონმდებლობის შესაბამისად, თუ განმცხადებელმა მიმართა საჯარო დაწესებულებას, რომლის კომპეტენციაშიც არ შედის მოთხოვნილი ინფორმაციის ქონა, ეს უკანასკნელი ვალდებულია არაუგვიანეს 5 დღისა განცხადება გადაუგზავნოს უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოს და ამის თაობაზე წერილობითა და შესაბამისი დასაბუთებით აცნობოს განმცხადებელს 2 დღის ვადაში[34].

საჯარო დაწესებულებას შეუძლია განაცხადოს, რომ მოთხოვნილი დოკუმენტი განადგურებულია. მართლაც, კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში, ან იმ შემთხვევაში, როდესაც დოკუმენტის შემდგომი შენახვა არ არის სავალდებულო, იგი შეიძლება განადგურდეს. ამ შემთხვევაში, ისევე როგორც ინფორმაციის გაცემაზე უარისას, საჯარო დაწესებულების პასუხი შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში.

- თუ დაწესებულებამ არ იცის და არც არის ვალდებული იცოდეს, თუ ვის გააჩნია თქვენს მიერ მოთხოვნილი ინფორმაცია, ან თქვენ მოითხოვეთ ინფორმაცია, რომელიც არც ერთ საჯარო დაწესებულებას არ გააჩნია, დაწესებულებას აქვს უფლება უარი გითხრათ მოთხოვნაზე (მუხლი 4.3(a)).

[34] ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, მუხლი 80

ვადები

ორივე შემთხვევაში საჯარო დაწესებულებამ უნდა მიიღოს აღნიშნული ზომები **რაც შეიძლება სწრაფად**. ეს ნიშნავს რომ საჯარო დაწესებულებამ არ უნდა დაიცადოს, სანამ გავა პასუხისათვის დადგენილი ვადა, იმისათვის რომ აცნობოს განმცხადებელს, რომ მოთხოვნილი ინფორმაციის მოპოვება სხვა დაწესებულებაშია შესაძლებელი.

1.3.2.1.2 მასალა მომზადების სტადიაშია (დაუმთავრებელი მასალა)

საჯარო დაწესებულებებისათვის ნორმალური და შედეგიანი მუშაობის პირობების შექმნის მიზნით, დოკუმენტის ჩამოყალიბების ეტაპზე შესაძლებელია შეიზღუდოს ამ დოკუმენტის საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომობა (მუხლი 4.3(c)). ეფექტიანი მუშაობისათვის დაწესებულების თანამშრომლებს უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა, საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე რთული საკითხი სხვადასხვა ტექნიკური თუ პოლიტიკური კუთხით განიხილონ. თუკი მომზადების სტადიაში მყოფი დოკუმენტები საზოგადოებისათვის გახდება ხელმისაწვდომი, ამან შეიძლება საგრძნობლად გაართულოს მისი დასრულების პროცესი.

დაუმთავრებელ დოკუმენტებად ჩვეულებრივ მიიჩნევა ***წერილის, მოხსენებითი ბარათის, შენიშვნების, ოქმის, გეგმის, ანგარიშის და სხვა პროექტები.***

თუკი, მაგალითად, კერძო კომპანიისათვის განკუთვნილი წერილი ჯერ გაგზავნილი არ არის, იგი დაუმთავრებელ დოკუმენტად უნდა ჩაითვალოს. როგორც კი წერილი გაიგზავნება, იგი მომთხოვნისათვის ხელმისაწვდომი უნდა გახდეს. შესაძლო გაუგებრობების და დეზინფორმაციის თავიდან აცილების მიზნით სასურველია იმავდროულად წერილის ადრესატს ეცნობოს წერილის განსაჯაროების შესახებ.

თუმცა, აქვე მივუთითებთ, რომ როცა საქმე ეხება ისეთ დოკუმენტებს, რომელთა საბოლოო დამტკიცებამდე გათვალისწინებულია საზოგადოების მონაწილეობა[35], საზოგადოებისათვის სწორედ პროექტის ხელმისაწვდომობა არის აუცილებელი. ასეთ შემთხვევებზე აღწერილი გამონაკლისი არ ვრცელდება.

საქართველოში

ჩამოუყალიბებელ ან დაუსრულებელ დოკუმენტზე ინფორმაციის საჯაროობის ვალდებულება არ ვრცელდება (იხ. აგრეთვე გვ. 9). საჯარო დაწესებულებამ თავად უნდა გადაწყვიტოს მათი ხელმისაწვდომობის საჭიროება საკითხისადმი საზოგადოებრივი ინტერესიდან და დოკუმენტის მომზადების პროცესში საზოგადოების მონაწილეობის მიზნებიდან გამომდინარე.

1.3.2.1.3 საჯარო დაწესებულების შიდაწარმოების კონფიდენციურობა

საჯარო მოხელეებისათვის ნორმალური მუშაობის პირობების შექმნისა და დაინტერესებულ პირთა ზეწოლისაგან მათ დასაცავად კონვენცია უშვებს (მუხლი 4.4(a)) დაწესებულების შიდაწარმოების დოკუმენტების დახურვას. აქ იგულისხმება ინფორმაცია, რომელიც დაკავშირებულია საჯარო დაწესებულების შიდა პროცედურებთან და არა მისი ფუნქციონირების არსობრივ საკითხებთან.

დაუშვებელია, შიდა მოხმარების დოკუმენტებად გამოცხადდეს მასალები, რომლებიც შეიცავს რაიმე საკითხზე ***გადაწყვეტილების მიღებისათვის მნიშვნელოვან დამატებით ინფორმაციას*** (ფაქტებს), რომელიც არც ერთ სხვა დოკუმენტში არ არის მოხსენიებული.

საქართველოში

საბჭოურ წარსულში ფრიად გავრცელებული გრიფი „შიდა მოხმარებისათვის“ აღარ არსებობს. საჯარო დაწესებულების ყველა შიდა ინფორმაცია ღიაა.

ერთადერთი გამონაკლისი, რომელსაც საქართველოს კანონმდებლობა ითვალისწინებს, არის ე.წ. **აღმასრულებლის პრივილეგია** – დოკუმენტის შემსრულებელი საჯარო მოხელის (გარდა სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირებისა) ვინაობის დაცვა. ეს ნიშნავს, რომ დოკუმენტების გაცემა უნდა მოხდეს იმგვარად, რომ არ გამჟღავნდეს მისი შემსრულებელი რიგითი მოხელის ვინაობა. ეს შესაძლებლობას იძლევა ერთის მხრივ, უზრუნველყოფილი იქნას მოსამსახურის ავტორის დაცვა რაიმე სახის ზეწოლისაგან, ხოლო მეორე მხრივ, საზოგადოებას მიეცეს საშუალება შეაფასოს საკითხის გადაწყვეტის რამდენი შესაძლო ვარიანტი იქნა განხილული, სრულყოფილად იქნა თუ არა საკითხი შესწავლილი გადაწყვეტილების მიღებამდე, რა არჩევანი ჰქონდა თანამდებობის პირს და რით იყო განპირობებული მის მიერ საბოლოო გადაწყვეტილების მიღება.

1.3.2.1.4 საერთაშორისო ურთიერთობები, ეროვნული თავდაცვა ან საზოგადოებრივი უსაფრთხოება

ყველამ ვიცით, რომ არსებობს გარკვეული ინფორმაცია, რომლის გამჟღავნებამ შეიძლება სახელმწიფოს ან საზოგადოების უსაფრთხოება კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენოს. ორჰუსის კონვენცია (მუხლი 4.4(b)) უშვებს ასეთი ინფორმაციის დაფარვის შესაძლებლობას.

ინფორმაციის მიკუთვნება აღნიშნული კატეგორიისათვის უნდა ხდებოდეს ძალზე მკაფიო პროცედურის დაცვით.

[35] დეტალურად ამ საკითხს სახელმძღვანელოს II თავში განვიხილავთ

საქართველოში

დოკუმენტისათვის სახელმწიფო საიდუმლოების კატეგორიის მინიჭების პროცედურა:

სახელმწიფო საიდუმლოებას შეიძლება მიკუთვნებულ იქნას მხოლოდ ის ინფორმაცია, რომელიც პირდაპირ მითითებულია პრეზიდენტის ბრძანებულებებით განსაზღვრულ „სახელმწიფო საიდუმლოებას მიკუთვნებულ ცნობათა ნუსხაში“[36]. მას 5 წელიწადში ერთხელ აქვეყნებს სახელმწიფო საიდუმლოების დაცვის სახელმწიფო ინსპექცია.

არსებობს თანამდებობის პირთა ჩამონათვალი, რომელთაც აქვთ ინფორმაციისათვის სახელმწიფო საიდუმლოების სტატუსის მინიჭების უფლება (იხ. დანართი IIIდ). არაძალოვან უწყებებში და დაწესებულებებში ეს, როგორც წესი არის უწყების ან დაწესებულების ხელმძღვანელი და მისი მოადგილე. როგორც წესი, იგივე თანამდებობის პირებს (სამინისტროებში, დამატებით – სამინისტროს დეპარტამენტების თავმჯდომარეებს) აქვთ უფლება გაეცნონ საიდუმლო დოკუმენტს, ან დართონ ნება მასთან მუშაობაზე. საიდუმლო ინფორმაციასთან დაშვება ფორმდება ბრძანების სახით (საქართველოს კანონი სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ, მუხლი 10, პუნქტი 3).

სახელმწიფო საიდუმლოებას მიკუთვნებული დოკუმენტის აუცილებელი რეკვიზიტია საიდუმლოების გრიფი (შტამპი) (საქართველოს კანონი სახელმწიფოსაიდუმლოების შესახებ,). გრიფზე აღნიშნული უნდა იყოს დამსაიდუმლოებელი ორგანო, გასაიდუმლოების რეჟიმი, თარიღი და ვადა.

ინფორმაციას სახელმწიფო საიდუმლოების სტატუსი შეიძლება მიენიჭოს არა უმეტეს 20 წლით. განსაკუთრებულ შემთხვევებში საქართველოს პრეზიდენტს შეუძლია დოკუმენტის გასაიდუმლოების ვადის გაგრძელება.

საჯარო ადმინისტრაციული კოდექსის შესაბამისად, საჯარო დაწესებულება ვალდებულია ნებისმიერი ინფორმაცია, მიუხედავად მისი საიდუმლოებისა, მიუთითოს საჯარო რეესტრში. რეესტრში მითითებული უნდა იყოს აგრეთვე გადაწყვეტილება ინფორმაციის დასაიდუმლოების და მისი ვადის გაგრძელების შესახებ. აქ უნდა მიეთითოს დოკუმენტის დასახელება, გამსაიდუმლოებელი ორგანო, საიდუმლოების მიზეზი, რეჟიმი, დასაიდუმლოების თარიღი და ვადა. საჯარო რეესტრი ხელმისაწვდომია ყველასთვის.

არ შეიძლება სახელმწიფო საიდუმლოებას მიეკუთვნოს ინფორმაცია:

- გარემოს (გარემოს მდგომარეობის) შესახებ[37],
- ინფორმაცია გარემოში ემისიების (გაფრქვევების, გაშვებების) შესახებ,[38]
- მოსახლეობის ჯანმრთელობის შესახებ[39],
- ადამიანის სამუშაო და საცხოვრებელი გარემოს მდგომარეობის შესახებ[40],
- მონაცემები იმ საშიშროების თაობაზე, რომელიც ემუქრება ადამიანის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას,[41]
- კატასტროფებისა და სხვა განსაკუთრებულ მოვლენათა შესახებ, რომლებიც უკვე მოხდა ან შეიძლება მოხდეს და ემუქრება მოქალაქეთა უსაფრთხოებას,[42]

1.3.2.1.5 გამოძიება და სამართალწარმოება

ორჰუსის კონვენციის თანახმად (მუხლი 4.4(c)), ინფორმაციის მოთხოვნაზე შეიძლება უარი ითქვას, თუ მისი გაცემა შელახავს პიროვნების უფლებას, ისარგებლოს ობიექტური სასამართლო გარჩევით, ან ხელისუფლების ორგანოს შესაძლებლობას ჩაატაროს სისხლის სამართლისა თუ დისციპლინარული ხასიათის მოკვლევა.

სამართალწარმოება გულისხმობს სასამართლოში (პროკურატურაში) აღძრულ და მიმდინარე საქმეს, რომლის ობიექტურ წარმოებაზე შეიძლება იმოქმედოს ინფორმაციის გახსნამ. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ეს გამონაკლისი **არ ვრცელდება** მასალაზე, რომელიც უბრალოდ როდესღაც სასამართლო საქმის ნაწილს წარმოადგენდა.

საქართველოში

ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის გეგმების, ორგანიზების, მეთოდების, ფორმებისა და შედეგების შესახებ ინფორმაცია ექვემდებარება სახელმწიფო საიდუმლოების კატეგორიის მინიჭებას[43].

[36] ეს ნუსხა არ არის რეესტრი, ანუ იგი არ წარმოადგენს გასაიდუმლოებულ დოკუმენტთა ჩამონათვალს. ეს არის მხოლოდ დეტალური აღწერა ინფორმაციის ტიპებისა, რომელიც სახელმწიფო საიდუმლოებას უნდა იქნას მიკუთვნებული. 2003 წლის ნოემბრისათვის საქართველოში მოქმედი ნუსხა მოცემულია დანართ IIIბ-ში

[37] საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 37, საქართველოს კანონი გარემოს დაცვის შესახებ, მუხლი 5.2მ და სხვ.

[38] ორჰუსის კონვენცია, დეტალები იხ. 1.3.2.2.1 სექციაში

[39] საქართველოს კანონი სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ, მუხლი 8.4

[40] საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 37

[41] საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, მუხლი 42

[42] საქართველოს კანონი სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ, მუხლი 8.4, იხ. აგრეთვე სექცია 1.1.1

[43] საქართველოს კანონი სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ, მუხლი 7.4.ა

1.3.2.1.6 კომერციული ან სამრეწველო საიდუმლოება

ორჰუსის კონვენციის 4.4(d) მუხლის თანახმად, საჯარო დაწესებულებას უფლება აქვს არ გასცეს მის ხელთ არსებული კომერციული და სამრეწველო საიდუმლოებათა შემცველი დოკუმენტები. ამისათვის აუცილებელია:

- **ეროვნული კანონმდებლობა** ცნობდეს კომერციული ინფორმაციის კონფიდენციურობას და კონკრეტულ ინფორმაციას ცალსახად მიეაუთვნებდეს ამ კატეგორიას;
- ინფორმაციის გასაიდუმლოება უნდა ხდებოდეს „***კანონიერი ეკონომიკური ინტერესების***“ დაცვის მიზნით. ეს ნიშნავს, რომ დაცულია მხოლოდ იმ კომერციული თუ სამრეწველო საქმიანობის ინტერესები, რომელიც კანონის შესაბამისად და მის დაცვით ხორციელდება. თუკი მაგალითად, საწარმომ დაარღვია მისთვის დადგენილი გაფრქვევათა ლიმიტი და დაჯარიმდა ამისათვის, მის მიერ გადახდილი ჯარიმის ოდენობა ისევე, როგორც თავად ინფორმაცია გაფრქვევის შესახებ არ შეიძლება კონფიდენციალურ ინფორმაციად ჩაითვალოს.

საქართველოში

კომერციულ საიდუმლოებად შეიძლება მიჩნეული იქნას ნებისმიერი ის ინფორმაცია, რომელსაც გააჩნია კომერციული ღირებულება და რომლის გამჟღავნებამ შეიძლება ზიანი მიაყენოს პირის კონკურენტუნარიანობას.

იმისათვის, რომ საჯარო დაწესებულებაში განთავსებულ ინფორმაციას ვინმე კერძო პირის კომერციული ინფორმაციის[44] სტატუსი მიენიჭოს, საჭიროა, საჯარო დაწესებულებაში ინფორმაციის წარდგენისას ამ პირმა მიუთითოს, რომ ინფორმაცია მისი კომერციული საიდუმლოებაა. საჯარო დაწესებულება განიხილავს საკითხს და 10 დღის ვადაში იღებს გადაწყვეტილებას ინფორმაციის კომერციულ საიდუმლოებად მიჩნევის (ან არ მიჩნევის) შესახებ. როგორც მოთხოვნა, ასევე გადაწყვეტილება ინფორმაციის კომერციულ საიდუმლოებად მიჩნევის შესახებ შედის დაწესებულების საჯარო რეესტრში. თავად დოკუმენტზე კი განთავსდება გრიფი – „კომერციული საიდუმლოება“.

25-ე გვერდზე იხილეთ ინფორმაციის ჩამონათვალი, რომელიც არ შეიძლება გასაიდუმლოვდეს.

მაგალითი

კომერციული საიდუმლოების შემცველი მონაცემების გახსნის შემთხვევა (უნგრეთი).

1997 წელს უნგრეთში ორმა ჟურნალისტმა მიმართა 12 გარემოსდაცვით რეგიონულ ინსპექტორატს იმ წელს ამოღებული გარემოსდაცვითი ჯარიმების შესახებ ინფორმაციის (რაოდენობა, მიზეზი, საწარმო) მოთხოვნით. მხოლოდ ერთმა ინსპექტორატმა მიაწოდა მათ ინფორმაცია სრულად, სხვებმა უარი განაცხადეს ამ ინფორმაციის, ან მისი ნაწილის მიწოდებაზე კერძო კომპანიების რეპუტაციის და კომერციული საიდუმლოების დაცვის საბაბით.

ჟურნალისტებმა საკითხი წარუდგინეს განსახილველად ომბუდსმენს ინფორმაციის დაცვის სფეროში. ომბუდსმენმა დაასკვნა, რომ ინფორმაცია ჯარიმების შესახებ დაკავშირებულია საქმიანობასთან, რომელიც განხორციელდა კანონის დარღვევით და მისი დაცვა არ წარმოადგენს მეწარმის კანონიერ ინტერესებს. გარდა ამისა, ინფორმაცია ემისიათა ლიმიტების გადაჭარბების შესახებ საზოგადოებრივი ინტერესის საგანს წარმოადგენს, ვინაიდან შედეგები ზემოქმედებს ყველაზე, საზღვრების მიუხედავად, მომავალ თაობებზეც კი. არსებობს მაგალითები, როცა ამგვარმა გადაჭარბებებმა შეუქცევადი ზიანი გამოიწვიეს. ის ფაქტი, რომ ამ ტიპის ინფორმაცია შესაძლოა საჯარო გახდეს, მნიშვნელოვან როლს შეასრულებს ლიმიტის გადაჭარბების თავიდან აცილებაში.

ომბუდსმენის რეკომენდაციაში ნათქვამია, რომ თორმეტივე გარემოსდაცვითმა ინსპექტორატმა და გარემოსდაცვითი ინსპექტორატების ეროვნულმა დირექტორატმა რეგულარულად უნდა გამოაქვეყნოს და ხელმისაწვდომი გახადოს საზოგადოებისათვის იმ კომპანიების ნუსხა, რომლებიც აზიანებენ გარემოს, გადაჭარბებული ემისიების ტიპი და დაკისრებული ჯარიმები[45].

1.3.2.1.7 ინტელექტუალური საკუთრების უფლება

კონვენციის 4.4(ე) მუხლი იცავს ინტელექტუალური საკუთრების უფლებას. ინტელექტუალური საკუთრება ორი ძირითადი სახის არსებობს[46]:

სამეწარმეო საკუთრება, რომელსაც განეკუთვნება გამოგონებების, სავაჭრო და მომსახურების ნიშნების, სამრეწველო გაუმჯობესებების დაცვა და რომელიც მიმართულია უპატიოსნო კონკურენციის წინააღმდეგ. ამას განეკუთვნება აგრეთვე გეოგრაფიული მონაცემების დაცვა (წყაროს და წარმოშობის მითითება).

[44] არც ერთი ინფორმაცია ადმინისტრაციული ორგანოს შესახებ არ შეიძლება მიეკუთვნოს კომერციულ საიდუმლოებას, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, მუხლი 27[2]

[45] გარემოსდაცვითი დემოკრატია პრაქტიკაში, უნგრეთის სახელმძღვამელო, 778/A/1997 გვ.100

[46] იხ. მაგალითად www.wipo.org/eng/dgtext.htm

საქართველოში

გარდა ზემოთაღნიშნული კომერციული საიდუმლოების უფლებისა, კანონი იცავს შემდეგი სახის სამრეწველო საკუთრებას[47]:

- გამოგონების, სასარგებლო მოდელის და სამრეწველო ნიმუშის ავტორობის უფლება (იცვება პატენტით)
- განსაკუთრებული უფლება სასელექციო მიღწევებზე;
- განსაკუთრებული უფლება სასაქონლო ნიშანზე;
- განსაკუთრებული უფლება საფირმო სახელწოდებაზე;
- საქონელზე (მომსახურებაზე) ადგილწარმოშობის დასახელებისა და წარმოშობის გეოგრაფიული აღნიშვნის უფლება.

საჯარო დაწესებულებამ არ უნდა გასცეს პატენტის, სასელექციო მიღწევის, სასაქონლო ნიშნის, საფირმო სახელწოდების აღმწერი ინფორმაცია მათ რეგისტრაციაზე პრეტენდენტის მიერ განაცხადის შეტანიდან თავად რეგისტრაციამდე. ინფორმაცია რეგისტრირებული პატენტის, სასელექციო მიღწევის, სასაქონლო ნიშნის, საფირმო სახელწოდების შესახებ ღიაა.

საავტორო უფლება დაკავშირებულია ლიტერატურულ და ხელოვნების ნაწარმოებებთან. მათი ფორმა შეიძლება სრულებით განსხვავებული იყოს – სიტყვიერი, სიმბოლოები, ნახატები, სამ-განზომილებიანი ობიექტები და ამათი კომბინაცია, (როგორიცაა ოპერა და კინოფილმი)

საქართველოში

საავტორო უფლება ვრცელდება მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების გამოქვეყნებულ და გამოუქვეყნებელ ნაწარმოებებზე, რომლებიც წარმოადგენს ინტელექტუალურ-შემოქმედებითი საქმიანობის შედეგს[48]. საავტორო უფლების მფლობელს შეუძლია აკრძალოს ნაწარმოების რეპროდუცირება, გავრცელება, საჯარო ჩვენება, თარგმნა, გადამუშავება.

საავტორო უფლება არ ვრცელდება:

- ოფიციალურ დოკუმენტებზე (ადმინისტრაციული და ნორმატიული ხასიათის ტექსტებზე, სასამართლოს გადაწყვეტილებებზე) და მათ ოფიციალურ თარგმანებზე;
- ინფორმაციებზე ფაქტებსა და მოვლენების შესახებ;
- იდეებზე, მეთოდებზე, პროცესებზე, სისტემებზე, საშუალებებზე, კონცეფციებზე, პრინციპებზე, აღმოჩენებზე, მაშინაც კი, თუ ისინი გამოხატულია, აღწერილია, ახსნილია, ილუსტრირებულია ან ხორცშესხმულია ნაწარმოებში.

საჯარო დაწესებულებათა განკარგულებაში მყოფი გეოდეზიურ-კარტოგრაფიული მასალები[49], არქიტექტურული პროექტები, კერძო კონსულტანტთა მოხსენებები თუ ანგარიშები, ბეჭდვითი გამოცემები და სხვა დოკუმენტები შესაძლოა დაცული იყოს გავრცელებისაგან ან გამოყენებისაგან მისი შემქმნელი ან დამკვეთი პირის საავტორო უფლებით. ამავე დროს, მათი გაცნობა და ციტირება, როგორც წესი, დაშვებულია.

საჯარო დაწესებულების მიერ, მის საჯარო ფუნქციის ფარგლებში მომზადებული ანგარიშები და კვლევები, ან შეგროვილი მონაცემები არ შეიძლება დაცული იქნას საავტორო უფლებით.

1.3.2.1.8 პირადი ინფორმაცია

ორჰუსის კონვენციის 4.4(f) მუხლის თანახმად საჯარო დაწესებულებას უფლება აქვს დაფაროს პიროვნების პირადი ინფორმაცია, თუკი თავად ეს პიროვნება არ იძლევა მისი გამჟღავნების უფლებას.

საქართველოში

თუ მოთხოვნილი ინფორმაცია ფიზიკური პირის იდენტიფიკაციის საშუალებას იძლევა, იგი შეიძლება მოგცენ მხოლოდ:

- ამ პირის თანხმობით, ან
- პირის იდენტიფიკაციის გამომრიცხავი ფორმით.

გვახსოვდეს, რომ პირად საიდუმლოებას მიკუთვნებული ინფორმაციის დაცვის ზემოთაღნიშნული წესი ***არ ვრცელდება თანამდებობის პირებსა და თანამდებობაზე წარდგენილ კანდიდატებზე***. მათ შესახებ არსებული პერსონალური მონაცემები ღიაა და უნდა გაიცეს საჯარო დაწესებულების მიერ შესაბამისი პირის თანხმობის გარეშე.

ეს გამონაკლისი ***არ ვრცელდება იურიდიულ პირებზე,*** როგორიცაა კომპანიები და ორგანიზაციები. დაცული უნდა იყოს ისეთი პერსონალური მონაცემები, როგორიცაა თანამშრომელთა მუშაობის, ხელფასის, ჯანმრთელობის ისტორია

[47] საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხლები 1100-1105
[48] საქართველოს კანონი საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ, მუხლი 5
[49] საქართველოს კანონი გეოდეზიური და კარტოგრაფიული საქმიანობის შესახებ, მუხლი 9

და სხვა. რაც შეეხება მონაცემებს თავად საწარმოს შესახებ ან საწარმოზე გაცემულ ნებართვებს და ლიცენზიებს – ეს ინფორმაცია ამ კატეგორიას არ განეკუთვნება და გასაიდუმლოებული არ შეიძლება იყოს.

1.3.2.2 ზოგჯერ საიდუმლო ინფორმაციაც უნდა გაიცეს

ინფორმაციის დასაიდუმლოების ზემოთმოხსენებული მიზეზების არსებობა საკმარისი არ არის იმისათვის, რომ ინფორმაციის მიღებაზე უარი გითხრან. კონვენციის 4.4 მუხლი ითხოვს, რომ ინფორმაციის არ გაცემის მიზეზები შეზღუდულად იყოს ინტერპრეტირებული. ეს ნიშნავს, რომ იმ შემთხვევაშიც კი, როცა მოთხოვნილი ინფორმაცია განეკუთვნება კონფიდენციალურს, მისი **მოთხოვნის ყოველ ახალ ჯერზე უნდა მოხდეს მისი დასაიდუმლოების საფუძვლების და მიზანშეწონილობის ხელახალი გადახედვა**.

კერძოდ, ყოველ ჯერზე უნდა შემოწმდეს შემდეგი:

- ხომ არ შეიცავს დოკუმენტი გარემოში ემისიების შესახებ ინფორმაციას?
- ხომ არ შეიძლება დოკუმენტის რაიმე ნაწილის გამოცალკევება და განსაიდუმლოება?
- ხომ არ წარმოადგენს დოკუმენტის გახსნა საზოგადებრივ ინტერესს? ხომ არ აღემატება ეს ინტერესი მის დასაიდუმლოების კერძო ინტერესს?
- ხომ არ არის დოკუმენტი უკვე გამოქვეყნებული?

ქვემოთ თითოეულ ამ ასპექტს სათითაოდ განვიხილავთ.

1.3.2.2.1 ინფორმაცია გარემოში ემისიებზე

კონვენცია **განსაკუთრებულ მნიშვნელობას** ანიჭებს ინფორმაციას დამაბინძურებელ ნივთიერებათა გარემოში ემისიების შესახებ და მიიჩნევს (მუხლი 4.4), რომ ეს ინფორმაცია არც ერთ შემთხვევაში არ შეიძლება დაიხუროს.

გარდა იმისა, რომ ეს უბრალოდ მნიშვნელოვანი ინფორმაციაა, ემისია არის გარკვეული ნივთიერებების თუ ენერგიის კერძო ტერიტორიიდან თუ საწარმოდან გადასვლა ე.წ. საერთო მოხმარების სფეროში – ჰაერში, წყალსა და ნიადაგში. იგი ყველას საერთო გარემოს აზიანებს და ბოლოს და ბოლოს, მის დასაიდუმლოებას აზრი არ აქვს, ვინაიდან სათანადო მონყობილობის არსებობისას ეს ემისიები ყოველთვის შეიძლება გაიზომოს საწარმოს კედლის გარეთ, ანუ საერთო ტერიტორიაზე.

„გარემოში ემისიად“ კონვენცია მიიჩნევს:

- დამაბინძურებელი ნივთიერებების
- ნარჩენების
- ენერგიის (ხმაური, რადიაცია)

გაშვებას გარემოს სამივე ელემენტში (ჰაერი, მიწა, წყალი)

საქართველოში

გარემოში ემისიების შესახებ ინფორმაციის განსაკუთრებული სტატუსი საქართველოს კანონმდებლობისათვის ახალია. კარგი იქნება, თუ საჯარო დაწესებულებებისაგან ამგვარი ინფორმაციის გამოთხოვნისას, მათ შეახსენებთ ორჰუსის კონვენციის ამ ნორმას.
თუ საჯარო დაწესებულებამ გარემოში ემისიების შესახებ ინფორმაცია არ მოგაწოდათ მისი კონფიდენციალობის მოტივით, აუცილებლად იჩივლეთ! (დეტალებისათვის იხ. III თავი)

1.3.2.2.2 ინფორმაციის გამოცალკევება

ორჰუსის კონვენცია, მუხლი 4.6 ადგენს, რომ ყოველთვის, როდესაც საჯარო ორგანო რაიმე ინფორმაციას მიიჩნევს კონფიდენციალურად, მან, თუკი ეს ფიზიკურად შესაძლებელია, უნდა ***გამოაცალკევოს*** მისგან არა კონფიდენციალური ნაწილი და ***მიაწოდოს*** ინფორმაციის მომთხოვნს.

საჯარო დაწესებულება **ვალდებულია გვაცნობოს**, რომ დოკუმენტს **აკლია გარკვეული კონფიდენციალური ნაწილი** და აგვიხსნას **კონფიდენციურობის** მიზეზები.

ჩვენ შეგვიძლია გავასაჩივროთ ინფორმაციის ნაწილის დახურვა ზუსტად ისევე, როგორც მთელი ინფორმაციის გაცემაზე უარი.

საქართველოში

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით (მუხლი 33) განსაზღვრულია, რომ იმ შემთხვევაში, თუკი დოკუმენტი მთლიანად არ არის გასაიდუმლოებული, არამედ მხოლოდ მისი ნაწილი, საიდუმლოს მიკუთვნებული ინფორმაციის ამოღების შემდეგ დოკუმენტის გონივრულად გამოცალკევებადი ნაწილი ხელმისაწვდომი უნდა გახდეს. გაცემულ ინფორმაციაზე მითითებული უნდა იყოს, რომ მას აკლია გასაიდუმლოებული ნაწილი, გამსაიდუმლოებელი პირის, გასაიდუმლოების საფუძვლის და ვადის აღნიშვნით.

1.3.2.2.3 საზოგადოებრივ ინტერესთან შეფარდება

ყოველ ჯერზე საჯარო დაწესებულებამ უნდა შეაფასოს, ინფორმაციის გახსნასთან დაკავშირებული საზოგადოებრივი ინტერესი ხომ არ გადაწონის მისი გაუხსნელობით დაცულ ინტერესებს.

ორჰუსის კონვენცია (მუხლები 4.3(c) და 4.4) განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს დოკუმენტის გახსნის საჯარო ინტერესს. კონვენცია ითხოვს, რომ ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის ყოველ ჯერზე საჯარო დაწესებულებამ განიხილოს და შეაფასოს, თუ რა საზოგადოებრივ ინტერესს ემსახურება

ინფორმაციის გახსნა, ჭეშმარიტად დაზარალდება თუ არა ინფორმაციის გახსნით ვისიმე კანონიერი ინტერესები და ხომ არ გადასწონის მას ინფორმაციის გახსნის საზოგადოებრივი ინტერესი.

საქართველოში

კონვენციის ეს დებულება ამაგრებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამის დებულებებს, რომელთა თანახმად:

- თავის გადაწყვეტილებებში ადმინისტრაციული ორგანო უნდა ***იცავდეს პროპორციას საჯარო და კერძო ინტერესებს შორის***[50] და რომელიმე მათგანს გაუმართლებელ პრივილეგიებს არ ანიჭებდეს. ეს ნიშნავს, რომ საჯარო მოხელემ თავისი გადაწყვეტილებით არ უნდა მიაყენოს დაუსაბუთებელი ზიანი პირის (სახელმწიფოს) კანონიერ კერძო ინტერესებს (მათ შორის ინფორმაციის გასაიდუმლოების კანონიერ მოთხოვნას). მაგრამ ამავე დროს, ამგვარი გადაწყვეტილებების მიღება მაინც დასაშვებია, თუკი იგი ***მოიტანს სიკეთეს, რომელიც არსებითად აღემატება*** ამ პირისათვის მიყენებულ ***ზიანს***.;
- საჯარო მოხელე არ ისჯება ისეთი საიდუმლო ინფორმაციის გამოქვეყნებისათვის, რომლის გახმაურება მნიშვნელოვანია საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვისათვის,[51]

ამავე დროს, თუკი მოხელემ დაუსაბუთებლად გაახმაურა საიდუმლო ინფორმაცია, იგი საკმაოდ მკაცრად ისჯება. ამიტომ გასაგებია, რომ საჯარო მოხელეებს ძალიან უჭირთ საჯარო ინტერესების გამო საიდუმლო ინფორმაციის გაცემაზე გადაწყვეტილების მიღება. ეს ის შემთხვევაა, როდესაც ინფორმაციის მშრალი მოთხოვნის მაგივრად გრძელი ახსნა-განმარტება და ცოტაოდენი ემოციურ-მხატვრული აღწერილობები (რომლისგანაც 1.2.3.2.2 სექციაში ჩვენ გირჩიეთ თავი შეგეკავებინათ), მითითება დაინტერესებულ პირთა რაოდენობაზე და მათი ხელმოწერები უადგილო სრულაც არ იქნებოდა – ყოველივე ეს მოხელეს თავის გადაწყვეტილების დასაბუთებისათვის გამოადგება.

სხვათა შორის, თქვენ მნიშვნელოვნად შეუმსუბუქებთ ცხოვრებას საჯარო მოხელეებს, თუ დავას ამა თუ იმ ინფორმაციის საზოგადოებრივი ინტერესის გამო განსაიდუმლოების აუცილებლობის შესახებ სასამართლოს დარბაზში გადაიტანთ. (იხ. III თავი)

1.3.2.2.4 უკვე გამოქვეყნებული ინფორმაცია

ზოგჯერ ისეც ხდება, რომ საჯარო დაწესებულება ან კერძო კომპანია აცხადებს საიდუმლოდ იმ ინფორმაციას, რომელიც უკვე გამოქვეყნებული იყო. ამის გაკეთება არ შეიძლება.

საქართველოში

სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ კანონი (მუხლი 38.6) ადგენს, რომ დანაშაულად არ ითვლება ისეთი ინფორმაციის გამოქვეყნება, რომელიც ადრე უკვე გამოქვეყნებული იყო.

როგორც კი ინფორმაცია ერთხელ მაინც გახდება საჯარო, იგი აღარ შეიძლება განხილული იქნას როგორც საიდუმლო და არა აქვს მნიშვნელობა, ინფორმაცია გამოქვეყნდა საზღვარგარეთ თუ ქვეყნის ფარგლებში, ან როდის იქნა იგი გამოქვეყნებული. ინფორმაცია უნდა გაიცეს იმ შემთხვევაშიც, თუ მოთხოვნილი ინფორმაცია გამოქვეყნებული დოკუმენტების ჯამს წარმოადგენს. თუკი შესაძლებელია ინფორმაციის მიღება რაიმე საჯარო წყაროდან, ის აღარ არის საიდუმლო.

მაგალითი

რუსეთის ყოფილმა სამხედრო ინსპექტორმა საგაზეთო პუბლიკაციებსა და ბიბლიოთეკის მასალების მიხედვით მოამზადა ანგარიში რუსეთის ატომური ფლოტის უსაფრთხოების შესახებ და გამოაქვეყნა იგი. ეს ანგარიში ეროვნული უსაფრთხოების შესახებ რუსეთის კანონის დარღვევად იქნა მიჩნეული და ინჟინერი სახელმწიფო საიდუმლოების გაცემის გამო სახელმწიფოს ღალატში დაადანაშაულეს. მრავალწლიანი სასამართლო გარჩევის შემდეგ რუსეთის უზენაესმა სასამართლომ დაასკვნა, რომ საჯარო დოკუმენტებიდან აღებული მონაცემების გაერთიანება არ შეიძლება ჩაითვალოს სახელმწიფო საიდუმლოების გაცემად და ინსპექტორი გაამართლა.

[50] ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, მუხლი 7
[51] საქართველოს კანონი სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ, მუხლი 38, პუნქტი 6

1.3.2.3 უარის ფორმა და ვადები

ორჰუსის კონვენციის 4.7 მუხლი ადგენს, რომ თუ თქვენ საჯარო დაწესებულებამ უარი გითხრათ ინფორმაციის გაცემის მოთხოვნაზე, იგი ვალდებულია წერილობით გაცნობოთ:

- უარის მიზეზი;
- უარის გასაჩივრების საშუალება.

უარი უნდა გაიცეს **რაც შეიძლება მალე** და არა უგვიანეს 1 თვისა. ვადის გაგრძელება 2 თვემდე დასაშვებია მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში.

საქართველოში

საჯარო დაწესებულებამ განმცხადებელს უარი **დაუყოვნებლივ** უნდა აცნობოს[52]. 10 სამუშაო დღე ზღვრულ ვადად უნდა ჩაითვალოს ყველა კატეგორიის უარისათვის.

გარდა ამისა, საჯარო დაწესებულება ვალდებულია უარის შესახებ გადაწყვეტილების მიღებიდან **სამი დღის ვადაში** გამოგიგზავნოთ წერილი, სადაც განმარტებული იქნება თქვენი უფლებები და გასაჩივრების წესი, ასევე ის სტრუქტურული ქვედანაყოფი ან საჯარო დაწესებულება, რომელთანაც მიდიოდა კონსულტაცია ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის გადაწყვეტილების მიღებისას[53].

1.3.2.4 რა შემთხვევაში გავასაჩივროთ ინფორმაციის მოწოდებაზე უარი, ან არასრული ან არაზუსტი ინფორმაცია

თქვენ შეგიძლიათ გაასაჩივროთ საჯარო დაწესებულების გადაწყვეტილება, თუ

- მოთხოვნაზე პასუხი **ვერ მიიღეთ** თქვენი ქვეყნის კანონმდებლობით **დაწესებული ვადის ფარგლებში**
- ინფორმაციის გაცემაზე გითხრეს უარი და არ დაასახელეს მიზეზები
- უარი გითხრეს ინფორმაციის მოწოდებაზე და თქვენ არ გაკმაყოფილებთ უარის დასახელებული მიზეზები (მაგ. თუ თქვენ მიგაჩნიათ, რომ საჯარო დაწესებულების პასუხისმგებლობაში შედის მოთხოვნილი ინფორმაციის ფლობა, მას კი არ გააჩნია, ან ინფორმაცია არ უნდა იყოს კონფედენციალური, რადგან მისი გამჟღავნებით არ ილახება კომერციული ინტერესები, რაც აღნიშნული იყო როგორც გასაიდუმლოების მიზეზი, ან სახელმწიფო საიდუმლოების კატეგორიას მიკუთვნებულია დოკუმენტები, რომელთა გასაიდუმლოება დაუშვებელია[54] და სხვა)
- მოგაწოდეს ინფორმაცია, რომლის უზუსტობასა და არასრულობაში თქვენ დარწმუნებული ხართ (ამ შემთხვევაში სასამართლოში სარჩელის შეტანაზე უფრო ეფექტური იქნება მიმართოთ ზემდგომ ინსტანციას. ეს მისცემს საშუალებას საჯარო დაწესებულებას გაასწოროს შეცდომა, თქვენ კი დაზოგავთ დროს და სახსრებს. საბოლოო ჯამში, თუ თქვენი შეფასება არამართებული იყო, თქვენ უფრო საფუძვლიან ახსნა-განმარტებებს მიიღებთ)
- თქვენ მოგაწოდეს ინფორმაცია, რომელსაც აკლია გარკვეული ნაწილი მისი კონფიდენციურობის გამო და თქვენ დარწმუნებული ხართ, რომ ამ ნაწილის გამოცალკევება არამართებული იყო;
- თქვენ მოგაწოდეს ინფორმაცია, რომელსაც აკლია გარკვეული ნაწილი მისი კონფიდენციურობის გამო, მაგრამ არ განგიმარტეს მისი დაფარვის მიზეზები.

სახელმძღვანელოს მე-III თავში დეტალურად არის განხილული გასაჩივრების მიზეზები, გზები და შესაძლო შედეგები.

რატომ უნდა გავასაჩივროთ

- ინფორმაციის ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებული საქმის მოგება არ არის რთული;
- თუ თქვენ არ მიიღეთ პასუხი ან მიიღეთ დაუსაბუთებელი უარი, მაშინ საქმე ძალიან მარტივია;
- თუ თქვენ მიიღეთ დასაბუთება, მაგრამ არ ეთანხმებით მას – სასამართლოს ინტერპრეტაცია და გადაწყვეტილება წაადგება მომავალ საქმეებს;
- საჯარო დაწესებულების შეცდომის დაფიქსირება და სასამართლოს მიერ ინფორმაციის გაცემის დავალდებულება მნიშვნელოვანია დაწესებულების მხრიდან მომავალი შეცდომებისა და ცუდი მმართველობის შემცირების თვალსაზრისით;
- როცა კანონი გაუგებარია, ან კანონებს შორის შეუსაბამობაა, სასამართლოს განმარტება დაეხმარება საჯარო დაწესებულებას სწორად გაიგოს კანონის დებულებები და მომავალში არ დაარღვიოს ისინი;
- თუ თქვენ გახდებით ცნობილი იმით, რომ არ ეპუებით საჯარო დაწესებულების უსამართლო გადაწყვეტილებებს და სასამართლოს ან სხვა კანონიერი გზით აღადგენთ სამართლიანობას, თქვენთვის სულ უფრო და უფრო ადვილი იქნება ინფორმაციის მოპოვება.

დაიმახსოვრეთ: ჩივილით თქვენ ეხმარებით კანონს, ხელისუფლებას და საკუთარ ქვეყანას.

[52] თუ ინფორმაციის მოპოვება რთულია, „დაუყოვნებელი" პროცედურა შესაძლოა თვეებზე გაიწელოს. იხ. მაგალითი IIIა დანართში, როდესაც სამინისტრომ არ მოისურვა არასამთავრობო ორგანიზაცია მშრალი პასუხით: „ინფორმაცია არ გაგვაჩნია" გაესტუმრებინა და შეეცადა მოთხოვნილი ინფორმაცია თავად მოეპოვებინა.

[53] ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, მუხლი 41

[54] იხ. ჩამონათვალი 25-ე გვერდზე

საზოგადოების მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში

თავი 2

თავი 2. საზოგადოების მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღებაში

გარემოს დაცვა თანამშრომლობითი პროცესია, რომელიც მთავრობის, არასამთავრობო ორგანიზაციების, მოქალაქეების, ბიზნეს სექტორის ერთობლივ ძალისხმევას მოითხოვს.

რისთვის არის საჭირო მონაწილეობა?

საზოგადოების მონაწილეობის კონცეფცია ორ ძირითად პრინციპზეა დაფუძნებული:

- ყველას გვაქვს უფლება მონაწილეობა მივიღოთ იმ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღების პროცესში, რომელიც ზეგავლენას მოახდენს ჩვენს ცხოვრებაზე;
- დაინტერესებული საზოგადოების მონაწილეობა მნიშვნელოვნად აუმჯობესებს პოლიტიკური და ადმინისტრაციული გადაწყვეტილებების ხარისხს.

საზოგადოების მონაწილეობა უკეთესი და მდგრადი გადაწყვეტილების საწინდარია. გადაწყვეტილება კარგი მაშინაა, თუ იგი უმრავლესობის მოთხოვნებს შეესაბამება და ხანგრძლივი დროის განმავლობაში ეფექტიანად მოქმედებს. კარგ გადაწყვეტილებებს საბოლოო ჯამში ყოველი ადამიანის ცხოვრების გაუმჯობესებისკენ მივყავართ, რაც სოციალური პირობების, ეკონომიკური და გარემოს მდგომარეობის ერთდროულ გაუმჯობესებით მიიღწევა.

რატომ არ ვიღებთ მონაწილეობას?

ჩვენ გვაქვს უფლება გადაწყვეტილებათა მიღებაში ჩავერთოთ. სამწუხაროდ, არც ისე ბევრი ადამიანი იწუხებს თავს ამ უფლების რეალურად გამოყენებით. მიზეზი უამრავია. რომელ თქვენგანს არ მოუსმენია ასეთი არგუმენტები:

ეს არ არის პრიორიტეტული: „მთელი ეს აურზაური გარემოსათვის საფრთხის გამო! ჩვენი მთავარი საზრუნავი და თავის ტკივილი საკუთარი თავის და ოჯახის გამოკვებაა. როცა ჩვენი მდგომარეობა გამოსწორდება, მაშინ ჩვენც ჩავებმებით ამ თამაშებში“.

მართალია, ჩვენი ცხოვრება სავსეა პრობლემებით, რომელთა გადაჭრა ჩვენი ყოველდღიური საზრუნავია, მაგრამ მიუხედავად ამისა, თუკი ჩვენ დროულად მივაქცევთ ყურადღებას თუ რა ხდება ჩვენს ირგვლივ, სამომავლოდ, სხვა რესურსებზე რომ არაფერი ვთქვათ, სულ ცოტა დროსა და ენერგიას დავზოგავთ.

მაგალითად დავუშვათ, რომ მიმდინარეობს თქვენი რაიონის განვითარების გეგმის შემუშავება. ეს ნიშნავს, რომ წყდება საკითხი იმის შესახებ, თუ ქალაქის რომელი ნაწილი იქნება ინდუსტრიულად განვითარებული, სად განთავსდება მწვანე ზონები და საცხოვრებელი უბნები. თუ თქვენ არანაირ მონაწილეობას არ მიიღებთ ამ პროცესში, შეიძლება ერთ დღეს აღმოაჩინოთ, რომ თქვენი სახლი ნარჩენების დაწვის საწარმოს ესაზღვრება. შედეგად თქვენი საკუთრების ფასი მნიშვნელოვნად შემცირდება, რომ არაფერი ვთქვათ იმ ზიანზე, რომელიც თქვენს ჯანმრთელობას მიადგება. ან შესაძლოა პარკი, სადაც თქვენი შვილები თამაშობენ, გაიკაფოს. – იმიტომ, რომ ამის წინააღმდეგ აზრი არავინ გამოთქვა. სტრესი და ხმაური, რაც ინდუსტრიულ ზონაში ცხოვრების თანმხლები ფაქტორია, მნიშვნელოვნად გაართულებს თქვენს ცხოვრებას. შეიძლება ეს არ მოხდეს დღეს, მაგრამ დროთა განმავლობაში ზეგავლენა თქვენი და თქვენი შვილების ჯანმრთელობაზე, თქვენი საკუთრების ღირებულებაზე თვალნათლივი იქნება. სწორედ ამიტომ ღირს დღეს დახარჯოთ დრო და ენერგია, მიიღოთ მონაწილეობა გეგმის განხილვაში და დააფიქსიროთ თქვენი მოთხოვნები.

დროის დეფიციტი: „რა თქმა უნდა ეს მნიშვნელოვანია, მაგრამ მე იმდენი გადაუდებელი საქმე მაქვს, სად მცალია ამისათვის!“

მართლაც, სერიოზული ჩართვა დიდ დროს მოითხოვს, მაგრამ საქმე გაადვილდება, თუკი თანამოაზრეები გაერთიანდებით და მოვალეობებს გადაინაწილებთ.

საკითხის სირთულე: „ესენი რაღაც ტექნიკურ საკითხებს იხილავენ. მე რა უნდა გავიგო ამაში?“

ტექნიკური დეტალები, როგორც წესი, არ არის ყველაზე მთავარი. ზოგჯერ საკმარისია შევხედოთ მთელ პროექტს ადგილობრივ კონტექსტში და შევაფასოთ რამდენად გააუარესებს პროექტის განხორციელება არსებული დაბინძურების ფონს, გაზრდის თუ არა ადგილობრივი მუშახელის დასაქმების დონეს. მიიღებს ხალხი შესაბამის კომპენსაციას მიყენებული ზარალისათვის? სასმელად გამოსადეგი იქნება მიწისქვეშა წყლები? პარკი, რომელიც უნდა გაიჩეხოს ხომ არ არის ადგილობრივი ბავშვების საყვარელი სათამაშო ადგილი? არსებობს უამრავი უმნიშვნელოვანესი არატექნიკური საკითხი, რომელშიც თქვენ ერკვევით და რომელთაც შესაძლოა დიდი გავლენა იქონიონ პროექტის საბოლოო სახეზე. ამასთან ძალიან მნიშვნელოვანია თუ თქვენ ტექნიკურ დახმარებას გაგიწევენ. ამისთვის შორს წასვლა არ იქნება საჭირო – არასამთავრობო ორგანიზაციებს, ადგილობრივ უნივერსიტეტს, ან უბრალოდ სკოლის მასწავლებელს და ექიმს შეუძლიათ თქვენთვის კონსულტაციის გაწევა.

უნდობლობა: „მე ვხარჯავ დროს და ენერგიას და საბოლოოდ არაფერი იცვლება. მოაწყობენ სპექტაკლს და მერე მაინც ისე წყვეტენ, როგორც უნდათ!“

სამწუხაროდ ასეც ხდება. მაგრამ ნუ დაყრით ფარხმალს. თუ არ ვეცდებით, არც არაფერი შეიცვლება. დაუკვირდით პროცესს და შეეცადეთ გააანალიზოთ,

რატომ ვერ მიაღწიეთ სასურველ შედეგს. თქვენ თუ გეგმაზომიერად და მიზანდასახულად იმოქმედებთ, თანამოაზრეებსაც შეიძენთ, ჩინოვნიკებსაც გადმოიბირებთ, ინვესტორსაც დაარწმუნებთ და სასურველ კომპრომისულ შედეგსაც მიაღწევთ.

კარგი, მაგრამ რად მინდა ეს ყველაფერი?

რა თქმა უნდა გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობა არ ნიშნავს იმას, რომ თქვენი ყველა მოთხოვნა გათვალისწინებული იქნება. თქვენნაირი ბევრია და საბოლოო გადაწყვეტილებამ კი ყველას აზრი უნდა გაითვალისწინოს და შეაწონასწოროს.

ხოდა მიიღონ გადაწყვეტილება უჩემოდ, რად შევიწუხო თავი ტყუილად? – იტყვით თქვენ. ეს ტყუილად თავის შეწუხება არ იქნება. იმ შემთხვევაშიც კი, თუ საბოლოო გადაწყვეტილებაში თქვენი აზრი არ აისახა, **თქვენ მაინც მოგებული იქნებით**. რატომ?

- თქვენ გეცოდინებათ, რა მოხდება. დეტალურად გაიცნობთ გეგმას, გეცოდინებათ როდის, სად და რა პირობებით დაიწყება მიწის გასხვისება და რისთვის. სად რას ააშენებენ. თქვენ შეგიძლიათ წინასწარ მოემზადოთ ამ ცვლილებებისათვის;
- თქვენ შეგეძლებათ გააკონტროლოთ, სწორად ვითარდება თუ არა გეგმა. თქვენ უცბად მიხვდებით, თუ მოხდა რაიმე გადახვევა და გეცოდინებათ, ვის უნდა მიმართოთ ამის თაობაზე;
- თქვენ გეცოდინებათ, რა არ მოგწონთ სამომავლო გეგმაში. თქვენ შეგეძლებათ შეისწავლოთ საკითხი უფრო დეტალურად, მოამზადოთ მოთხოვნები კონკრეტული, თქვენთვის არასასურველ საქმიანობაზე ნებართვის გაცემის პროცედურისათვის, შეიძინოთ მომხრეები, აწარმოოთ აგიტაცია და საბოლოოდ მიაღწიოთ იმას, რომ თუ თქვენს მახლობლად ნაგავსაყრელი მაინც აშენდა, იგი სრულებით უსაფრთხო, საუკეთესო ტექნოლოგიით შესრულდეს და გარშემო (ან იქნებ ზემოდანაც?) სურნელოვანი ყვავილნარით დაფარული მიწაყრილით იყოს გარშემორტყმული;
- თქვენ გეცოდინებათ, როგორ ხდება გადაწყვეტილების მიღება ზოგადად. თქვენ გაიცნობთ ადგილობრივ ჩინოვნიკებს, თქვენ გეცოდინებათ, რა ენაზეა საჭირო მათთან ლაპარაკი. თქვენ ნახავთ, როგორ ხდება კონსენსუსის მიღწევა. თქვენი შემდეგი მონაწილეობა უკვე ბევრად შედეგიანი და წარმატებული იქნება;
- და ბოლოს, თქვენ დაგეუფლებათ კმაყოფილების გრძნობა, რადგან თქვენ მოიხადეთ თქვენი მოქალაქეობრივი ვალი და არ დაიშურეთ ძალისხმევა, რომ თქვენი რაიონი უფრო ლამაზი და კარგი ყოფილიყო. ეს არც თუ ისე ცუდია.

დაიხსომეთ: შეეცადეთ ჩაებათ გადაწყვეტილების მიღებაში **რაც შეიძლება ადრეულ სტადიაზე**. ამ დროს ცვლილებების შეტანა უფრო ადვილია და უფრო მეტი ალბათობაა იმისა, რომ თქვენი ინტერესი გათვალისწინებული იქნება. გვიან ეტაპზე, როცა დაინტერესებულ მხარეებთან პროექტის ძირითადი მახასიათებლები უკვე შეთანხმებულია, დიდია ალბათობა იმისა, რომ მასში სულ მცირე ცვლილებებიც კი აღარ შეგატანინონ.

ამავე დროს ყველაფრის უარყოფა უაზრობაა. გვინდა ეს ჩვენ თუ არა, ახალი საწარმოები, ნაგავსაყრელები, ელექტროსადგურები საჭიროა და სადმე უნდა განთავსდეს. სინდრომი – „ოღონდ ჩემთან ახლოს არა“ ფრიად გავრცელებულია, მაგრამ სწორედ ამიტომ მას ანგარიშს არც არავინ უწევს. იყავით კონსტრუქციული. ეძიეთ მისაღები კონსენსუსი.

2.1 საზოგადოების მონაწილეობის ძირითადი პრინციპები

ორჰუსის კონვენცია გვაძლევს გარემოსთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებათა მიღებაში მონაწილეობის უფლებას. მაგრამ იგი ამ უფლების უბრალო დეკლარირებით არ შემოიფარგლება. არავისთვის არ არის საიდუმლო, რომ თუ საზოგადოების მონაწილეობა სათანადოდ არ არის ორგანიზებული, იგი უბრალო ფუჭ ფორმალობად იქცევა. ეს რომ ასე არ მოხდეს, კონვენცია ადგენს საკმაოდ მკაცრ და კონკრეტულ მოთხოვნებს საზოგადოების მონაწილეობის პროცედურებისადმი.

ეს მოთხოვნები – საზოგადოების მონაწილეობის ძირითადი პრინციპები, ერთიანია გადაწყვეტილების სახის მიუხედავად. ჩვენ კარგად უნდა გავითავისოთ ეს პრინციპები და მოვთხოვოთ ადმინისტრაციულ ორგანოებს მათი დაცვა. ეს პრინციპებია:

- გარემოსთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მიღებაში ჩართული უნდა იქნას მთელი **დაინტერესებული საზოგადოება** (დეტალურად იხ. ქვემოთ სექცია 2.1.1);
- საზოგადოების ჩართვა უნდა მოხდეს რამდენადაც შესაძლებელია **ადრეულ სტადიაზე**, როდესაც შესაძლებელია გადაწყვეტილებაზე ზეგავლენის მოხდენა (სექცია 2.1.2);
- მონაწილეობისათვის უნდა დაწესდეს **გონივრული ვადები** (სექცია 2.1.3)
- ინფორმაცია მონაწილეობის შესაძლებლობის შესახებ საზოგადოებას **ეფექტური მეთოდებით** უნდა მიეწოდებოდეს (სექცია 2.1.4);
- საზოგადოებას უნდა მიეწოდოს საკმარისი **საბაზო ინფორმაცია** მონაწილეობის მისაღებად (სექცია 2.1.5);
- **მთელი ინფორმაცია**, რომელიც გამოიყენება გადაწყვეტილების მიღებისათვის, უნდა იყოს ხელმისაწვდომი საზოგადოების მიერ შესწავლისათვის (სექცია 2.1.6);
- უნდა არსებობდეს **კომენტარების** მიწოდების შესაძლებლობა (სექცია 2.1.7);

- საჯარო დაწესებულების მიერ მიღებული გადაწყვეტილება სათანადოდ უნდა **ითვალისწინებდეს** საზოგადოების მოსაზრებებს (სექცია 2.1.8);
- საზოგადოებას დროულად უნდა მიეწოდოს **ინფორმაცია საბოლოო გადაწყვეტილების შესახებ** (სექცია 2.1.9).

რა თქმა უნდა, ყველა ეს პრინციპი რომ რეალურად მოქმედებდეს, ამ სახელმძღვანელოს დაწერაც არ იქნებოდა საჭირო. ჩვენ უნდა გვახსოვდეს, რომ სამწუხაროდ ჩინოვნიკთა მენტალიტეტი არც ისე სწრაფად იცვლება, როგორც ჩვენ გვინდა და როგორც ამას კანონმდებლობა და ქვეყანაში მიმდინარე პროცესები მოითხოვს. ჩვენ კარგად უნდა ვაცნობიერებდეთ, რომ ნებისმიერი პრინციპი, კანონი თუ კონვენცია მხოლოდ მაშინ იმუშავებს, თუკი საზოგადოების მხრიდან იქნება სერიოზული, აქტიური და მეთოდური მოთხოვნა მის შესრულებაზე.

ქვემოთ თითოეული პრინციპი დეტალურადაა განხილული.

2.1.1 დაინტერესებული საზოგადოების მონაწილეობა

ORჰუსის კონვენცია, მუხლი 6.2 და 6.6
გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობის შესაძლებლობა უნდა ჰქონდეს მთელ **დაინტერესებულ საზოგადოებას**.

იმისათვის, რომ გავიგოთ ამ დებულების მნიშვნელობა, უნდა ვიცოდეთ, რომ, ჩვეულებრივ, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესში, გარდა განმცხადებლისა და თავად ადმინისტრაციული ორგანოსი, მონაწილეობის უფლება აქვს ე.წ. „მესამე“ „დაინტერესებულ“ მხარეს. როგორც წესი, ეს არის ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც პირდაპირ ზემოქმედებას განიცდის მიღებული გადაწყვეტილების შედეგად (მიადგება უშუალო ზიანი), ან გააჩნია კანონიერი ინტერესი განსახილველი საკითხისადმი (მაგალითად, განმცხადებლის კონკურენტია). სხვა, გარე ადამიანები ადმინისტრაციული გადაწყვეტილების მიღების პროცესში, როგორც წესი, არ დაიშვებიან (იხ. აგრეთვე სექცია 2.2.3.1).

ORჰუსის კონვენციის ერთ-ერთი ძირითადი რევოლუციური დებულება მდგომარეობს სწორედ იმაში, რომ იგი ითხოვს, რომ გარემოსთან დაკავშირებულ ადმინისტრაციულ გადაწყვეტილებათა მიღებისას მონაწილეობის მისაღებად დაშვებული იქნას არა მხოლოდ დაინტერესებული პირები, არამედ მთელი **დაინტერესებული საზოგადოება**.

ORჰუსის კონვენციის 2.5 მუხლში განმარტებულია, თუ ვის მოიცავს დაინტერესებული საზოგადოება. კერძოდ, ეს არის:

- საზოგადოება[55], რომელსაც **ეხება ან შესაძლოა შეეხოს** მისაღები გადაწყვეტილება;
- საზოგადოება, რომელსაც **გააჩნია ინტერესი** გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღებისადმი. ამგვარი ინტერესის მქონედ, პირველ რიგში, გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციები მიიჩნევიან.

ამგვარად, ORჰუსის კონვენციის თანახმად, გარემოსთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებათა მიღებისას, **გარემოსდამცველი არასამთავრობო ორგანიზაციები** აუცილებლად დაშვებული უნდა იქნენ მონაწილეობის მისაღებად (იხ. აგრეთვე სექცია 3.1.3.1.3).

2.1.2 საზოგადოების ჩართვა ადრეულ სტადიაზე, როდესაც შესაძლებელია გადაწყვეტილებაზე ზემოქმედება

ORჰუსის კონვენცია, მუხლი 6.4
საზოგადოებას უნდა მიეცეს მონაწილეობის შესაძლებლობა გადაწყვეტილების მიღების პროცესის **ადრეულ სტადიაზე**, როდესაც ყველა შესაძლებლობა ღიაა.

ადრეულ სტადიაზე საზოგადოების მონაწილეობა ნიშნავს იმას, რომ საზოგადოებას უნდა მიეცეს საშუალება ჩაერთოს პროცესში მაშინ, როდესაც არჩევანი შესაძლო ვარიანტებს შორის ფართოა და შესაბამისად საზოგადოების მონაწილეობა უფრო შედეგიანია. ხანგრძლივი დავა გადაწყვეტილების მიღებისას თავიდან იქნება აცილებული, თუ განსხვავებული აზრები თავიდანვე შეჯერებული იქნება. გადაწყვეტილება მისაღები იქნება საზოგადოებისთვის, თუკი გადაწყვეტილება ღიად, პატიოსნად და პასუხისმგებლობით მიიღება.

ORჰუსის კონვენცია, მუხლი 6.5
პოტენციური განმცხადებელი უნდა წახალისდეს, რათა მან ჯერ კიდევ ნებართვის მოთხოვნამდე **გამოავლინოს დაინტერესებული საზოგადოება**, **მიაწოდოს მას ინფორმაცია** თავის დაგეგმილი საქმიანობის შესახებ და **გამართოს მასთან მსჯელობა** ამ საკითხზე.

ხშირად, როდესაც მეწარმე ადმინისტრაციულ ორგანოში რაიმე საქმიანობაზე უფლების ასაღებად განაცხადით შედის, მას უკვე მნიშვნელოვანი წინასაპროექტო სამუშაოები აქვს ჩატარებული და შინაგანად ეწინააღმდეგება ცვლილებებს, რომელიც ამ სამუშაოთა გაუფასურებას და ხელახალი დანახარჯების აუცილებლობას გამოიწვევს. ამიტომ მისთვისაც მომგებიანია საზოგადოებასთან მუშაობა კიდევ უფრო ადრე დაიწყოს და ძირითადი წინააღმდეგობები ადმინისტრაციულ ორგანოში მიმართვამდე მოაგვაროს.

[55] **საზოგადოების** განმარტება იხილეთ 5 გვერდზე

საქართველოში

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საზოგადოების ჩართვა მაშინ, როდესაც საქმიანობის ზუსტი ადგილმდებარეობა ჯერ დადგენილი არ არის, ანუ საქმიანობისათვის მიწის ნაკვეთის გამოყოფისას (დეტალებისათვის იხ. სექცია 2.2.3.7) საქართველოში სხვადასხვა პროცედურათა არაკოორდინირებულობის გამო ეს სერიოზული პრობლემაა. საჭიროა სათანადო ორგანოებზე (პირველ რიგში ადგილობრივი მმართველობის და გარემოს დაცვის ორგანოებზე) ზეწოლა, რათა მათ მოძებნონ გზები ორჰუსის კონვენციის ამ მოთხოვნის შესასრულებლად.

2.1.3 გონივრული ვადები

ORჰუსის კონვენცია, მუხლი 6.3
საზოგადოების მონაწილეობის პროცედურები **გონივრულ ვადებს** უნდა ითვალისწინებდეს გადაწყვეტილების მიღების ყველა ეტაპზე.

გადაწყვეტილების მიღების პროცესის ყოველ სტადიაზე, რომელშიც საზოგადოების მონაწილეობა იგულისხმება, უნდა იყოს გათვალსწინებული შესაბამისი ვადები, რათა გარანტირებული იყოს საზოგადოების ეფექტიანი მონაწილეობა. დრო საკმარისი უნდა იყოს იმისათვის, რომ:

- საზოგადოება გაეცნოს საბაზისო ინფორმაციას;
- მოიპოვოს დამატებითი ინფორმაცია საჯარო დაწესებულებებიდან;
- შეისწავლოს მოპოვებული ინფორმაცია;
- მოემზადოს საჯარო განხილვაში მონაწილეობისათვის ან მოამზადოს კომენტარები;
- მიიღოს მონაწილეობა საჯარო განხილვაში ან წარადგინოს კომენტარები.

გონივრული ვადების დაწესება საჭიროა აგრეთვე იმისათვის, რომ საჯარო დაწესებულებას ჰქონდეს საშუალება სათანადოდ მოამზადოს და ჩაატაროს საზოგადოების მონაწილეობის პროცედურები და დაამუშავოს საზოგადოებიდან მიღებული შენიშვნები.

2.1.4 მონაწილეობის შესაძლებლობის შესახებ საზოგადოების ეფექტიანი ინფორმირება

ORჰუსის კონვენცია, მუხლი 6.2
საზოგადოება სათანადოდ, დროულად და ეფექტურად უნდა იქნას **ინფორმირებული** გადაწყვეტილების მიღების პროცესში **მონაწილეობის შესაძლებლობის შესახებ**.

ინფორმაცია საზოგადოების მონაწილეობის შესაძლებლობის შესახებ იმ ფორმით უნდა იყოს გავრცელებული, რომ საზოგადოების რაც შეიძლება ფართო ფენები მოიცვას. არსებობს საზოგადოების ინფორმირების ორი ოფიციალური მეთოდი:

- საჯარო განცხადება
- ინდივიდუალური უწყება
  განცხადება ან უწყება უნდა იყოს:
- შედგენილი **შესაბამისი ფორმით** – ანუ განცხადება უნდა შეიცავდეს მთელ ინფორმაციას რაც აუცილებელია ეფექტური მონაწილეობისათვის
- **დროული**
- **ეფექტური** – ანუ შეტყობინებამ უნდა მიაღწიოს ყველა დაინტერესებულ მხარემდე და მისცეს მას რეალური მონაწილეობის საშუალება.

მცირე ზომის განცხადება გაზეთში სხვა მრავალ განსხვავებული შინაარსის განცხადებებს შორის არ შეიძლება ჩაითვალოს ინფორმირების ეფექტურ საშუალებად.

2.1.5 საბაზო ინფორმაციის მიწოდება

ORჰუსის კონვენცია, მუხლი 6.2
საზოგადოებას უნდა **მიეწოდოს** მონაწილეობისათვის საჭირო **საბაზისო ინფორმაცია**.

კონვენცია ადგენს, თუ კერძოდ რა ინფორმაციას უნდა შეიცავდეს შეტყობინება მონაწილეობის შესაძლებლობის შესახებ. ეს არის:

- თუ რა საქმიანობაა შემოთავაზებული და რას წარმოადგენს განცხადება, რომლის თაობაზეც უნდა მოხდეს გადაწყვეტილების მიღება;
- შესაძლო გადაწყვეტილებების არსი ან გადაწყვეტილების პროექტი;
- გადაწყვეტილების მიღების (და მასში საზოგადოების ჩართვის) პროცედურა;
- რომელი საჯარო დაწესებულებაა პასუხისმგებელი გადაწყვეტილების მიღებაზე;
- რომელ საჯარო დაწესებულებაში შეიძლება დამატებითი ინფორმაციის მოთხოვნა;
- ექვემდებარება თუ არა საქმიანობა გარემოზე ზემოქმედების შეფასების ეროვნულ ან ტრანსსასაზღვრო პროცედურას (დეტალურად იხ. 2.2.3.3 სექციაში).

2.1.6 ხელმისაწვდომობა მთელ ინფორმაციაზე

ORჰუსის კონვენცია, მუხლი 6.6
გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომი უნდა იქნას **მთელი შესაბამისი ინფორმაცია**.

საჯარო დაწესებულებებმა **მოთხოვნის საფუძველზე უფასოდ** უნდა მისცეს საშუალება დაინტერესებულ საზოგადოებას გაეცნოს მისაღებ გადაწყვეტილებასთან

დაკავშირებულ მასალებს. მთელი შესაბამისი ინფორმაცია, რა ფორმითაც არ უნდა იყოს იგი წარმოდგენილი – ხელმისაწვდომი უნდა იყოს. **დაუშვებელია, რომ ხელმისაწვდომი იყოს მხოლოდ ანგარიში ან რეზიუმე.**

საჯარო დაწესებულებამ შეიძლება დააწესოს გადასახადი გონივრულ ფარგლებში, მაგალითად ასლის გადაღებასთან დაკავშირებული ხარჯების დასაფარად. დაუშვებელია იმგვარი სახის გადასახადის დაწესება, როგორიცაა მაგ. საჯარო მოხელის შრომის ანაზღაურება და სხვა (იხ. სექცია 1.3.1.2).

2.1.7 შენიშვნების წარდგენის შესაძლებლობა

ORჰუსის კონვენცია, მუხლი 6.7
გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობის პროცედურა უნდა ითვალისწინებდეს **შენიშვნების წარდგენის** შესაძლებლობას.

საზოგადოების ნებისმიერ წევრს გადაწყვეტილების მიღების პროცესში **უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა წარადგინოს თავისი შენიშვნები, კომენტარები, ანალიზი და მოსაზრება**. შენიშვნების წარდგენის კონკრეტული გზები დამოკიდებულია მისაღები გადაწყვეტილების ტიპზე და ეროვნულ კანონმდებლობაზე. ეს შეიძლება მოხდეს წერილობითი ფორმით საჯარო განხილვისათვის განკუთვნილ ვადებში ან ზეპირი განცხადების სახით საჯარო მოსმენის დროს. შენიშვნებს შეიძლება ჰქონდეს ინფორმაციის, წინადადებების, ანალიზის, იდეის, ვარაუდის, მითითების, მოსაზრების ფორმა.

საჯარო დაწესებულებას არ აქვს უფლება, არ მიიღოს რომელიმე ასეთი შენიშვნა იმის საფუძველზე, რომ მისი წარმდგენი არ განეკუთვნება დაინტერესებულ საზოგადოებას.

შენიშვნები აღრიცხული უნდა იქნას პასუხისმგებელი საჯარო დაწესებულების მიერ და უნდა შეუერთდეს იმ მასალებს, რომელსაც ეფუძნება გადაწყვეტილება.

2.1.8 სათანადო ყურადღება საზოგადოების შენიშვნებისადმი

ORჰუსის კონვენცია, მუხლი 6.8
საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისას საზოგადოების შენიშვნებს **სათანადო ყურადღება** უნდა მიექცეს.

ხელისუფლებამ **სათანადო ყურადღება უნდა მიაქციოს** გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მიერ მოწოდებულ შენიშვნებს. სათანადო ყურადღების მიქცევა ნიშნავს, რომ საჯარო დაწესებულება ვალდებულია:

- შეისწავლოს შენიშვნები;
- გაითვალისწინოს შენიშვნები ან მათი ის ნაწილი, რომელშიც გამოხატულია საზოგადოების დასაბუთებული შეშფოთება გარემოსთან და ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ საკითხებთან მიმართებაში და
- შეიმუშაოს იმგვარი ღონისძიებები, რომელიც გადაჭრის ამგვარ პრობლემებს.

გადაწყვეტილების მიმღები არ არის ვალდებული ინდივიდუალურად უპასუხოს თითოეულ შენიშვნას. თუ შენიშვნები ცოტაა, მაშინ შესაძლებელია წერილობით ან საჯარო შეკრებებზე მათ სათითაოდ გაეცეს პასუხი. როცა შენიშვნები მრავალრიცხოვანია, გადაწყვეტილების მიმღებმა შეიძლება განიხილოს ისინი, დააჯგუფოს შინაარსის მიხედვით და უპასუხოს ერთობლივად, საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისას.

2.1.9 დაუყოვნებლივ ინფორმირება მიღებული გადაწყვეტილების შესახებ

ORჰუსის კონვენცია, მუხლი 6.9
საზოგადოებას დაუყოვნებლივ უნდა **ეცნობოს** მიღებული გადაწყვეტილების შესახებ.

გადაწყვეტილების მიმღები საჯარო დაწესებულება ვალდებულია საზოგადოებას მიაწოდოს ინფორმაცია მიღებული გადაწყვეტილების შესახებ. ეს ვალდებულება არა მარტო დაინტერესებული ან პროცესში ჩართული მხარეების შეტყობინებას ითვალისწინებს, არამედ გულისხმობს ფართო საზოგადოების ინფორმირებას.

გადაწყვეტილების ტექსტი, იმ მოსაზრებებთან და შეხედულებებთან ერთად, რომელსაც ის ემყარება, ხელმისაწვდომი უნდა გახდეს საზოგადოებისათვის.

ყველა ის ინფორმაცია, რომელიც შეეხება საჯარო დაწესებულების მიერ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების შესაძლებლობებს, უნდა მიეწოდოს საზოგადოებას ამ ეტაპზე.

2.2 გარემოსთან დაკავშირებული გადაწყვეტილებანი

ORჰუსის კონვენციის თანახმად თქვენ უფლება გაქვთ მონაწილეობა მიიღოთ გარემოსთან დაკავშირებული სამი ძირითადი ტიპის გადაწყვეტილების მიღების პროცესში. ესენია:

- **საკანონმდებლო გადაწყვეტილებანი.** ეს არის კანონების და სხვა ზოგადსავალდებულო წესების თუ ნორმების შემუშავების პროცესები. გადაწყვეტილებათა ეს ტიპი დეტალურად განხილულია 2.2.1 სექციაში;
- **სტრატეგიული გადაწყვეტილებანი**. ეს არის სახელმწიფო, რეგიონული თუ მუნიციპალური გეგმების, პროგრამების, კონცეფციების შემუშავება ამა თუ იმ სფეროში. გადაწყვეტილებათა ეს ტიპი დეტალურად განხილულია 2.2.2 სექციაში;
- **ადმინისტრაციული გადაწყვეტილებანი.** აქ იგულისხმება ლიცენზიების ან ნებართვების გაცემა კონკრეტული საქმიანობის განსახორციელე-

ბლად. გადაწყვეტილებათა ეს ტიპი დეტალურად განხილულია 2.2.3 სექციაში;

რაში გვაინტერესებს ყველა ეს გადაწყვეტილებები ჩვენ?

წარმოვიდგინოთ: ერთ მშვენიერ დღეს თქვენ აღმოაჩინეთ რაღაც ახალი მშენებლობა თქვენი სახლის მახლობლად. მეზობლებში ჭორი დადის, რომ აქ რაღაც საწარმო შენდება. ჭორიკნების ქოთქოთს თქვენ ამჯობინეთ, გაარკვიოთ რა ხდება. მშენებლებს ხელმძღვანელის ადგილსამყოფელი ჰკითხეთ, ფირმის ოფისში მიხვედით და მოითხოვეთ, განგიმარტონ რას აშენებენ და რა უფლებით.

მშენებლობის უფროსმა გამოგიცხადათ, რომ მას აქვს ამ ადგილას ფარმაცევტული საწარმოს აშენების უფლება და ადგილობრივი მმართველობის ორგანოს მიერ გაცემული დოკუმენტი გაჩვენათ. კი მაგრამ რატომ გასცა ადგილობრივმა მმართველობამ ეს ნებართვა? – აღშფოთდით თქვენ და გაემართეთ გამგებელთან. რატომ შენდება საწარმო აქ? – ეკითხებით თქვენ გამგეობის თანამშრომელს.

გამგეობის თანამშრომელი კარადიდან რაიონის განვითარების გენერალურ გეგმას იღებს და გიხსნით, რომ სამი წლის წინ ის ტერიტორია, რომელზეც ეხლა მშენებლობა მიმდინარეობს, სამრეწველო-სამეურნეო ზონად დაუმტკიცებიათ. უჯრიდან კი მეორე დოკუმენტს იღებს, სადაც თქვენ კითხულობთ, რომ შარშან რეგიონის განვითარების სტრატეგია დამტკიცებულა, სადაც რეგიონში დასაქმების პრობლემის მოსაგვარებლად მრეწველობის სწრაფად განვითარება მიჩნეულა პრიორიტეტულად. და ბოლოს, ჩინოვნიკის მაგიური კარადიდან კიდევ ერთი დოკუმენტი ჩნდება, – ეს უკვე საწარმოზე ნებართვის გაცემის შესახებ გადაწყვეტილების მისაღებად მოწყობილი საჯარო განხილვის ოქმია. და თქვენ გახსენდებათ განცხადებები რაღაც საჯარო განხილვის შესახებ, რომელიც სადარბაზოში იყო გაკრული და რომელსაც ჩვეულებრისამებრ, არც თქვენ და არც თქვენმა ახლა მექოთქოთე მეზობლებმა ყურადღება არ მიაქციეთ...

„კი მაგრამ, როგორ შეიძლება, ეს ხომ სულ რაღაც 500 მეტრშია ჩვენგან“ – არ ნებდებით თქვენ. და თქვენს წინ ისევ დოკუმენტები ლაგდება: სამშენებლო ნორმები, სანიტარული ზონის დადგენილი ზომები, კანონი ჰაერის დაცვის შესახებ, კანონი წყლის შესახებ...

მოკლედ, თქვენ დაიგვიანეთ – აქ ყველაფერი ნორმებისა და წესების მიხედვით ხდება. ისღა დაგრჩენიათ, ბედს შეეგუოთ და იფიქროთ იმაზე, თუ რა დადებითი მხარე აქვს ამ ახალ წამოწყებას (დასაქმება, ინფრასტრუქტურის და ტრანსპორტის განვითარება და ა.შ).

ახლა კი ჩვენ აგიხსნით, როგორ უნდა მიგეღწიათ იმისათვის, რომ ამ საწარმოს მაგივრად ბიბლიოთეკა ან სკვერი გაშენებულიყო.

ჩვენ რამოდენიმე წლით უკან მოგვიწევს დაბრუნება. მაშ ასე:

2.2.1 ყველაფერი კანონმდებლობით იწყება

კანონმდებლობა არის ის „თამაშის წესები“, რომლის ფარგლებში ჩვენ და ჩვენი ხელისუფლება ვმოქმედებთ. „კანონმდებლობა“ მარტო კანონებს არ გულისხმობს. ეს არის ნორმატიული (ანუ სავალდებულო, მარეგულირებელი) დოკუმენტების მთელი იერარქიული სისტემა (იხ. სქემა 1).

ამ პირამიდაში უფრო მაღალი დონის ნორმა უფრო ძლიერია. ანუ, თუკი იერარქიულად დაბლა მდებარე დოკუმენტის დებულება ეწინააღმდეგება იერარქიულად მაღლა მდებარე დოკუმენტის დებულებას, მოქმედებს ეს უკანასკნელი. ერთი და იმავე დონის ნორმებს შორის შეუსაბამობის შემთხვევაში კი მოქმედებს უფრო ახალი.

საქართველოში

ნორმატიულ აქტებს სხადასხვა ორგანოები იღებს:

- კონსტიტუციას იღებს და მასში ცვლილებები შეაქვს მხოლოდ პარლამენტს.
- საერთაშორისო ხელშეკრულებებს, როგორც წესი, პრეზიდენტი (ან მის მიერ უფლებამოსილი პირი) აწერს ხელს და პარლამენტი რატიფიცირებას უკეთებს. ორგანულ კანონებს და კანონებს პარლამენტი იღებს და პრეზიდენტი ხელმოწერით ეთანხმება. ამ დოკუმენტების ცალკეული დებულებების გაუქმების უფლება აქვს საკონსტიტუციო სასამართლოს (იხ. 3.3.6 სექცია საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ).
- ყველა დანარჩენი ნორმატიული აქტი აღმასრულებელი ხელისუფლების[56] მიერ მზადდება და მტკიცდება კიდეც.

ორჰუსის კონვენცია არ ეხება პარლამენტის მუშაობას. მაგრამ პარლამენტის მიერ მიღებული დოკუმენტები, როგორც წესი, აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ მზადდება. კონვენციის მე-8 მუხლი ითხოვს, რომ როდესაც საქმე ეხება ნორმატიულ დოკუმენტებს, რომელთა მიღებამ შესაძლოა მნიშვნელოვანი ზეგავლენა იქონიოს გარემოზე, მიუხედავად იმისა, თუ ვინ ამტკიცებს დოკუმენტს, ზომები იყოს მიღებული იმისათვის, რომ **მათ შემუშავებაში საზოგადოება ჩაერთოს**.

კონვენცია ითხოვს, რომ საზოგადოების **მონაწილეობა** ამ დოკუმენტების მომზდების პროცესში **ეფექტური იყოს**. კერძოდ:

- მონაწილეობა განხორციელდეს ისეთ **სტადიაზე**, როცა სხვადასხვა **ვარიანტები ჯერ კიდევ ღიაა;**
- **გამოიცეს** ან სხვა გზით გახდეს საჯარო დოკუმენტთა **პროექტები**;
- დადგინდეს სათანადო **ვადები** მონაწილეობისათვის;
- საზოგადოებას მიეცეს **კომენტირების** შესაძლებლობა;
- საზოგადოების აზრი მაქსიმალურად **იქნას გათვალისწინებული**.

[56] ან, შესაბამისად, ადგილობრივი მმართველობის თუ თვითმმართველობის ორგანოების

სქემა 1. ნორმატიული აქტების იერარქია საქართველოში



[1] და სხვა დამოუკიდებელი სამსახურების უფროსების ბრძანებები, როგორიცაა: ეროვნული ბანკი, კონტროლის პალატა, ანტიმონოპოლური სამსახური, ნავთობისა და გაზის რესურსების მარეგულირებელი სააგენტო, ტრანსპორტის ადმინისტრაციები

[2] იგულისხმება ფასიანი ქაღალდების, ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების, აუდიტორული საქმიანობის, ენერგეტიკის მარეგულირებელი და კომუნიკაციების კომისიები, ეროვნული ბანკის საბჭო

საქართველოში

ორჰუსის კონვენციის მე-8 მუხლი **ეხება:**

- აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ კანონ-პროექტებისა და საერთაშორისო ხელშეკრულებების პროექტების **მომზადებას**; ამ პროცესში საზოგადოების სავალდებულო მონაწილეობას საქართველოს კანონმდებლობა არ იცნობს. ეს მომენტი დაბალანსებულია პარლამენტში კანონპროექტების განხილვისას საზოგადოების მონაწილეობის მოთხოვნებით (იხ. ქვემოთ), რაც, საბოლოო ჯამში აკმაყოფილებს კონვენციის მოთხოვნას კანონპროექტებთან დაკავშირებით.
- აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებებში კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების **მომზადებასა და დამტკიცებას**;
- ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოების მიერ ნორმატიული აქტების **მომზადებასა და დამტკიცებას**.

ამ ორი უკანასკნელი ტიპის ნორმატიულ აქტებთან მიმართებაში, საქართველოს კანონმდებლობა სრულად შეესაბამება ორჰუსის კონვენციის მოთხოვნებს – როგორც წესი[57], ადმინისტრაციული ორგანოების[58] მიერ **ყველა ნორმატიული აქტი უნდა გამოიცეს საჯარო ადმინისტრაციული წარმოების საფუძველზე**[59]. ეს ნიშნავს, რომ (იხ. სქემა 51 გვერდზე):

- უნდა გამოქვეყნდეს ცნობა ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ;
- უნდა გამოქვეყნდეს აგრეთვე თავად ნორმატიული აქტის პროექტი[60];
- მოსაზრებათა წარსადგენად საზოგადოებას უნდა მიეცეს 20 სამუშაო დღე;
- საზოგადოების მოსაზრებანი აღრიცხული და განხილული უნდა იქნას;
- მოეწყოს ზეპირი მოსმენა. გამოთქმული მოსაზრებანი აისახოს მოსმენის ოქმში და მონაწილეებს მიეცეთ მისი გაცნობის და შესწორების საშუალება;
- დამტკიცებული ნორმატიული აქტი უნდა გამოქვეყნდეს [61].

სამწუხაროდ, კანონის ეს მოთხოვნები ხშირად ირღვევა. საჯარო დაწესებულებები იმიზეზებენ ფინანსების ნაკლებობას, რაც მათ სქელტანიანი დოკუმენტების გამოქვეყნების საშუალებას არ აძლევს. ეს მათ სრულებით არ ამართლებს. თქვენ შეგიძლიათ გაასაჩივროთ ნებისმიერი (არა მარტო გარემოსთან დაკავშირებული) ნორმატიული აქტი, რომელიც ადმინისტრაციულმა ორგანომ საჯარო ადმინისტრაციული პროცედურის დარღვევით გამოსცა. (ჩივილის გზები იხ. III თავში).

[57] ანუ, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი

[58] ადმინისტრაციულ ორგანოს წარმოადგენს ყველა სახელმწიფო ან ადგილობრივი მმართველობისა თუ თვითმმართველობის ორგანო და დაწესებულება, საჯარო სამართლის იურიდიული პირი (გარდა პოლიტიკური და რელიგიური გაერთიანებებისა), აგრეთვე ნებისმიერი სხვა პირი, რომელიც კანონმდებლობის საფუძველზე ასრულებს საჯარო სამართლებრივ უფლებამოსილებას (საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, მუხლი 2, პ.ა)

[59] საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, მუხლი 212

[60] საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, მუხლი 213

[61] იხ. აგრეთვე კითხვარი „ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მიხედვით" IRIS-საქართველოს ვებ-გვერდზე: http://www.iris.ge/docs/translations/checklist_admin_decrees.pdf

დადებითი პრაქტიკა

კონვენციის ეს მუხლი არ ვრცელდება პარლამენტში შემუშავებულ კანონპროექტებზე, რამდენედაც თავად კონვენცია არ ვრცელდება საკანონმდებლო ორგანოს მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესზე. თუმცა, რიგ ქვეყნებში არსებობს პრაქტიკა, როცა საპარლამენტო კომიტეტები საზოგადოებას მონაწილეობისა და კომენტირების შესაძლებლობებს აძლევს.

საქართველოში

პარლამენტის საქმიანობაში საზოგადოების მონაწილეობის შესაძლებლობანი შემდეგია:

- ყოველ მოქალაქეს უფლება აქვს შეიტანოს პარლამენტში საკანონმდებლო წინადადება[62]. ეს შეიძლება იყოს კანონპროექტი, ან დასაბუთებული წინადადება კანონპროექტში ან მოქმედ კანონში განსახორციელებელ ცვლილებათა შესახებ. 5 დღეში ასეთი წინადადება გადაეცემა შესაბამის საპარლამენტო კომიტეტს, რომელმაც 20 დღის ვადაში უნდა განიხილოს იგი.
- ყველა კანონპროექტი ექვემდებარება საჯარო საკომიტეტო განხილვას[63]. ინფორმაცია ასეთი განხილვის შესახებ 7 დღით ადრე ვრცელდება მასმედიის საშუალებებით. საკომიტეტო განხილვამდე 2 კვირით ადრე, კანონპროექტი ქვეყნდება „საპარლამენტო უწყებებში". რიგი კანონპროექტებისა თავსდება აგრეთვე პარლამენტის ინტერნეტ-გვერდზე http://intranet.parliament.ge/ და ვრცელდება საჯარო ელექტრონული ბიულეტენით.
- საპარლამენტო კომიტეტს შეუძლია დაიწუნოს კანონპროექტი. ამ შემთხვევაში მოქალქის მიერ შემოტანილი კანონპროექტი პლენარულ სხდომაზე არ განიხილება. თუ კანონპროექტი შემოტანილია პრეზიდენტის, პარლამენტის წევრის ან 30000 ამომრჩევლის მიერ[64], იგი ავტომატურად ხვდება პარლამენტის დღის წესრიგში და კომიტეტის დასკვნის მიუხედავად, განიხილება პლენარულ სხდომაზე.
- პარლამენტის პლენარული სხდომები როგორც წესი, საჯაროა[65]. თუ სხდომა დაიხურა, გადაწყვეტილება ამის შესახებ მიიღება საჯაროდ. საზოგადოებისათვის საინტერესო სხდომების საჯაროობა, როგორც წესი, უზრუნველყოფილია სხდომის ტელე-ტრანსლაციით რომელიმე სახელმწიფო ტელე-არხზე.

[62] საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი, მუხლი 150
[63] საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი, მუხლი 151
[64] ამ შემთხვევაში ეს უკვე არა საკანონმდებლო წინადადება, არამედ საკანონმდებლო ინიციატივაა
[65] საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი, მუხლი 136 პ.1
[66] გირჩევთ მოითხოვოთ „კანონის დღეისათვის მოქმედი ტექსტი" რაც ნიშნავს, რომ მოგაწოდონ კანონის ტექსტი მოთხოვნის მომენტისათვის მასში შესული ყველა შესწორებისა თუ ცვლილების გათვალისწინებით

საქართველოში

მიუხედავად ამ დებულებებისა, საზოგადოება შორსაა პარლამენტის კანონშემოქმედებითი საქმიანობისაგან. კანონპროექტი დიდ გზას გადის საკომიტეტო მოსმენიდან პარლამენტის მიერ მის მიღებამდე. მათი შუალედური ვარიანტები არათუ არ ქვეყნდება, ხანდახან დეპუტატებსაც კი არ მიეწოდება დროულად. შესაბამისად, საეჭვოა მოქალაქეთა აზრის რეალური ზეგავლენა მიღებულ გადაწყვეტილებაზე (თუ მათ თავიანთი ლობისტი არ ჰყავთ პარლამენტში).

2.2.1.1 როგორ მივიღოთ მონაწილეობა

საქართველოში

1. გაეცანით კანონმდებლობას

სახელმძღვანელოს IVა დანართში თქვენ ნახავთ დღეისათვის საქართველოში მოქმედი კანონების ჩამონათვალს. ახალი კანონები და შესწორებები არსებულ კანონებში რეგულარულად ქვეყნდება საქართველოს პარლამენტის ინტერნეტ-გვერდზე http://intranet.parliament.ge/. გარდა ამისა, თქვენ შეგიძლიათ ნებისმიერ ადმინისტრაციულ ორგანოს მოსთხოვოთ ნებისმიერი კანონის ტექსტი[66]. კანონის გაცნობის შედეგად თქვენ გაერკვევით საკითხის რეგულირების ზოგად ჩარჩოში. გარდა ამისა, თქვენ გაიგებთ, თუ რომელ ადმინისტრაციულ ორგანოს ევალება ან შეუძლია კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების მიღება ამ კანონის შესასრულებლად. მიმართეთ ამ ორგანოს და მოითხოვეთ მის მიერ ამა და ამ კანონის შესასრულებლად მიღებული ნორმატიული აქტების ჩამონათვალი. გაეცანით მას. აირჩიეთ თქვენთვის საინტერესო დოკუმენტები და მოითხოვეთ მათი ტექსტი (ინფორმაციის მოთხოვნა იხ. 1.2.3 სექციაში)

2. გაეცანით კანონშემოქმედების გეგმებს

ახალი კანონების ან არსებულთა შესწორების ინიციატორი შეიძლება იყოს:

- პარლამენტის შესაბამისი კომიტეტი;
- შესაბამისი ორგანო აღმასრულებელ ხელისუფლებაში.

მიმართეთ შეკითხვით პარლამენტს და მთავრობას, თუ როგორია მათი კანონშემოქმედებითი გეგმა ამა და ამ სფეროში.

ადმინისტრაციულ ორგანოებს აქვთ აგრეთვე კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების ან მათი შესწორებების მომზადების გეგმა. მიმართეთ მათ თხოვნით, მოგაწოდონ იგი.

3. დააფიქსირეთ თქვენი ინტერესი

დაწესებულებას, რომელსაც დაგეგმილი აქვს თქვენთვის საინტერესო **კანონის** შემუშავება მისწერეთ შემდეგი წერილი:

საქართველოში

_____
(დაწესებულების დასახელება)

მოქალაქის _____

მცხოვრები _____

ტელეფონი _____

ელ–ფოსტა _____

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

გაცნობებთ, რომ მე დაინტერესებული ვარ მონაწილეობა მივიღო „_____“ კანონპროექტის შემუშავებაში. გთხოვთ, ორჰუსის კონვენციის მე–8 მუხლის შესაბამისად, მომცეთ ამის შესაძლებლობა.

პატივისცემით

_____
(ხელმოწერა, თარიღი)

თუ დაწესებულებას დაგეგმილი აქვს თქვენთვის საინტერესო დებულების ან ინსტრუქციის ან სხვა **კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის** შემუშავება და გამოცემა, წერილის ტექსტი ჯობია ასეთი იყოს:

„გაცნობებთ, რომ მე დაინტერესებული ვარ მონაწილეობა მივიღო საჯარო ადმინისტრაციულ წარმოებაში „----------“ დებულების (ინსტრუქციის, კანონქვემდებარე აქტის) გამოცემასთან დაკავშირებით საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის XV თავის შესაბამისად. გთხოვთ მაცნობოთ პროცედურის დაწყების შესახებ და აგრეთვე მომაწოდოთ კანონით გათვალისწინებული სხვა ინფორმაცია.

გთხოვთ მაცნობოთ აგრეთვე, ინფორმაციის ოფიციალურად გავრცელების რა გზებს იყენებს თქვენი დაწესებულება ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 213-ე მუხლის შესაბამისად საჯარო წარმოების შესახებ ცნობისა და ნორმატიული აქტის პროექტის გამოქვეყნებისათვის.“

წერილის მეორე ნაწილი ჩვეულებრივი ინფორმაციის მოთხოვნაა. მასზე პასუხი მაქსიმუმ 10 სამუშაო დღეში უნდა გაგცენ (თუმცა, ვინაიდან კითხვა მარტივია, 1-2 დღე სრულებით საკმარისი უნდა იყოს. იხ. ვადები 21-ე გვერდზე). თვალი ადევნეთ პრესის იმ გამოცემას, რომელსაც დაწესებულება თავისი ინფორმაციის გამოქვეყნებისათვის იყენებს.

4. მოიძიეთ მხარდაჭერა

ნორმატიული დოკუმენტების ტექსტებში გარკვევა იოლი არ არის. საჯარო განხილვისათვის კი დოკუმენტის პროექტი სულ 20 სამუშაო დღის განმავლობაში იქნება განთავსებული. კარგი იქნება, თუ თქვენ წინასწარ გაარკვევთ, თუ სად შეგიძლიათ მიიღოთ იურიდიული თუ სხვა ექსპერტების რჩევები და განმარტებები. VIბ დანართში მითითებულია არასამთავრობო ორგანიზაციები და იურისტები, რომლებიც ორჰუსის კონვენციასთან მუშაობენ საქართველოში. 95 გვერდზე მითითებულია იურიდიული პროფილის არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც მოქალაქეებს უფასო იურიდიულ დახმარებას უწევენ.

დადებითი პრაქტიკა

გარემოს დაცვის სამინისტრო განცხადებებისა და ნორმატიული დოკუმენტების პროექტების გასავრცელებლად ხშირად იყენებს არასამთავრობო ორგანიზაციათა არსებულ ქსელებსა და ელექტრონულ გამოცემებს, განსაკუთრებით კი კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციათა ქსელს (CENN). ქსელზე მიერთების პროცედურა აღწერილია ინტერნეტ-გვერდზე http://www.cenn.org/

თუმცა ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ***დღეს საქართველოში საჯარო დაწესებულებას არ აქვს უფლება შემოიფარგლოს მხოლოდ ინტერნეტის საშუალებით ინფორმაციის გავრცელებით.*** მიუხედავად იმისა, რომ ინფორმაციის გამავრცელებლისათვის ეს იოლი გზაა, იგი ეფექტურად ვერ ჩაითვლება, რადგან ჯერ-ჯერობით ინტერნეტზე მოსახლეობის 1% თუ მიუწვდება ხელი. ამიტომ, სანამ ინტერნეტი მოსახლეობის უმეტესობისათვის (განსაკუთრებით რაიონებში) არ გახდება ხელმისაწვდომი, აუცილებელია, რომ ნორმატიული დოკუმენტების პროექტები ცენტრალური პრესითაც გავრცელდეს.

2.2.2 შემდეგი ეტაპი – სტრატეგიული დაგეგმვა

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, კანონმდებლობა არის ამა თუ იმ ქვეყანაში მოქალაქეებისა თუ სახელმწიფო ორგანოებისათვის დადგენილი სამოქმედო ჩარჩო, ან, უხეშად რომ ვთქვათ „თამაშის წესები“. ამ წესების ფარგლებში თავად „თამაშის“ სტრატეგია სულ სხვადასხვაგვარი შეიძლება იყოს. მთავრობას, როგორც წესი, ქვეყნის განვითარების მიზნები გააჩნია და მათ მისაღწევად სხვადასხვა სფეროში ეროვნულ პოლიტიკას[67] და სტრატეგიას, გეგმებს და პროგრამებს იმუშავებს. მაგალითად, ეს შეიძლება იყოს ეკონომიკური განვითარების კონცეფცია, სიღარიბის დაძლევის პროგრამა, ამა თუ იმ ბუნებრივი რესურსის მოხმარების სტრატეგია, ინფრასტრუქტურის განვითარების გეგმა, ტერიტორიული განვითარების (განაშენიანების) გეგმები და სხვა.

საქართველოში

<u>სტრატეგიული გადაწყვეტილებების მიღება ცენტრალური ორგანოების მიერ</u>

პრაქტიკულად, ყველა სამთავრობო ორგანოს ფუნქციებში შედის ამა თუ იმ სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის, სტრატეგიის, პროგრამებისა თუ გეგმების შემუშავება. სამწუხაროდ, ეს მათ დებულებებში შესაძლოა მკაფიოდ მითითებული არ იყოს. იმის გასარკვევად, თუ კერძოდ რა სტრატეგიულ დოკუმენტებზე მუშაობს ან გეგმავს მუშაობას ესა თუ ის დაწესებულება ან მთლიანად მთავრობა, გირჩევთ მათ ამგვარი წერილით მიმართოთ:

საქართველოს მთავრობას
(ან სხვა დაწესებულების დასახელება)

მოქალაქის _____
მცხოვრები _____
ტელეფონი _____
ელ–ფოსტა _____

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

გთხოვთ მომაწოდოთ სტრატეგიული ხასიათის დოკუმენტების ჩამონათვალი (კონცეფციები, პოლიტიკები, სტრატეგიები, სამოქმედო და ტერიტორიული გეგმები, პროგრამები), რომელზეც მუშაობს ან გეგმავს მუშაობას საქართველოს მთავრობა და სამთავრობო ორგანოები (ან: თქვენი დაწესებულება და მისი დაქვემდებარებული ორგანოები). გთხოვთ მიუთითოთ, თუ რა მასშტაბით არის გათვალისწინებული საზოგადოების მონაწილეობა თითოეულ ამ დოკუმენტის შემუშავებასთან დაკავშირებით და საზოგადოების მონაწილეობის ორგანიზებაზე პასუხისმგებელი ორგანო.

პატივისცემით

_____
(ხელმოწერა, თარიღი)

<u>სტრატეგიული გადაწყვეტილებების მიღება ადგილობრივ დონეზე</u>

კანონმდებლობა ადგენს, რომ რიგი სტრატეგიული გადაწყვეტილებებისა ადგილობრივი მმართველობისა და თვითმმართველობის ორგანოებში უნდა იქნას მიღებული. ესენია:

- ტერიტორიის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პერსპექტიული გეგმები და პროგრამები[68];
- დასახლებული პუნქტების პერსპექტიული განვითარების გეგმები[69];
- არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის განკარგვის სტრატეგიული გეგმები[70].

მოსთხოვეთ რაიონის გამგეობას ან ქალაქის მერიას, გაცნობონ, თუ რა გეგმებსა და პროგრამებზე მუშაობენ ან აპირებენ მუშაობას.

[67] იგულისხმება policy, რაც ქართულად ზუსტად არ ითარგმნება.
[68] საქართველოს ორგანული კანონი ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის შესახებ, მუხლი 12, პ.1ბ
[69] საქართველოს ორგანული კანონი ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის შესახებ, მუხლი 13, პ.2ბ
[70] საქართველოს ორგანული კანონი ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის შესახებ, მუხლი 13, პ.2დ

2.2.2.1 კონვენციის მოთხოვნები

ორჰუსის კონვენციის მე-7 მუხლი ითხოვს, რომ **ქვეყანამ უზრუნველყოს გარემოსთან დაკავშირებული გეგმებისა და პროგრამების მომზადებაში საზოგადოების სრულფასოვანი მონაწილეობა.** ამისათვის, კონვენცია ითხოვს საჯარო დაწესებულებებმა **მიიღონ შესაბამისი პრაქტიკული და/ან სხვა ზომები**, რათა:

- მონაწილეობის პროცედურა იყოს **გამჭვირვალე და სამართლიანი;**
- სათანადო საჯარო დაწესებულებამ **გამოავლინოს დაინტერესებული საზოგადოება;**
- საზოგადოება ჩართულ იქნას **ადრეულ ეტაპზე**, როცა ყველა შესაძლებლობა ღიაა (იხ. სექცია 2.1.2);
- საზოგადოებას **სათანადოდ მიეწოდოს საკმარისი ინფორმაცია** (სექციები 2.1.4, 2.1.5 და 2.1.6),
- გამოიყოს **საკმარისი დრო** საზოგადოების მონაწილეობისათვის (სექცია 2.1.3);
- საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისას საზოგადოების მონაწილეობის **შედეგები** სათანადოდ იქნას **გათვალისწინებული** (სექცია 2.1.8).

შეძლებისდაგვარად, საზოგადოებას ასევე უნდა მიეცეს მონაწილეობის შესაძლებლობა გარემოსთან დაკავშირებული სხვა სტრატეგიული დოკუმენტების მომზადებაში.

<u>მიღებული იქნას პრაქტიკული და/ან სხვა ზომები</u>

ეს ფრაზა ნიშნავს, რომ კონვენცია **არ მოითხოვს საზოგადოების მონაწილეობა აუცილებლად კანონმდებლობით რეგულირდებოდეს**. სანაცვლოდ სრულიად დასაშვებია უბრალოდ არსებობდეს გეგმებზე და პროგრამებზე საზოგადოების მონაწილეობის ჩვეული, დანერგილი, **მიღებული პრაქტიკა**.

<u>ჩამოყალიბდეს სამართლიანი და გამჭვირვალე პროცედურა</u>

ვალდებულების ეს ნაწილი გულისხმობს, რომ საჯარო ორგანოებმა ყველა მონაწილისათვის ზედმიწევნით ნათელი გახადონ, თუ როგორ შეუძლიათ მათ მონაწილეობა მიიღონ გეგმის, პროგრამისა თუ სხვა სტრატეგიული გადაწყვეტილების მიღების პროცესში. პირველ რიგში ეს ნიშნავს **ნათელი პროცედურის შემუშავებას** და იმის უზრუნველყოფას, რომ იგი ფართო საზოგადოებისავის **იყოს ცნობილი.**

<u>მოხდეს დაინტერესებული საზოგადოების გამოვლენა</u>

იმისათვის, რომ მონაწილეობის პროცესმა ყველა დაინტერესებული მხარე მოიცვას, საზოგადოების მონაწილეობის ორგანიზებაზე პასუხისმგებელი ***საჯარო დაწესებულება ვალდებულია გამოავლინოს ის პირები და ჯგუფები, რომლებზეც ზემოქმედებას იქონიებს ან რომელთა დაინტერესებასაც გამოიწვევს მისაღები გადაწყვეტილება.***

დაინტერესებული საზოგადოების შესახებ იხ. 2.1.1 და 3.1.3.1.3 სექციებში

<u>რომელი გეგმები, პროგრამები და პოლიტიკა?</u>

გარემოსთან დაკავშირებული გეგმებისა და პროგრამების შესახებ საუბრისას, კონვენცია არავითარ შემთხვევაში არ გულისხმობს მხოლოდ გარემოსდაცვით გეგმებსა თუ პროგრამებს. ფრაზა „გარემოსთან დაკავშირებული“ ნიშნავს, რომ კონვენციით დადგენილი ვალდებულებანი ვრცელდება ნებისმიერ გეგმებსა თუ პროგრამებზე, რომლებმაც შესაძლოა ზეგავლენა იქონიოს გარემოზე. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მუხლი 7 მოიცავს როგორც გარემოსდაცვით გეგმებსა და პროგრამებს, ასევე ისეთ სტრატეგიულ გადაწყვეტილებებს როგორიცაა: რეგიონის განვითარების გეგმები, სივრცული დაგეგმარება, მიწათსარგებლობის გეგმები, სატრანსპორტო და ენერგეტიკის განვითარების პროგრამები, ჯანმრთელობისა და გარემოს დაცვის მოქმედებათა გეგმები, ასევე გადაწყვეტილებებს ეკონომიკის სხვა დარგებში.

2.2.2.2 სტრატეგიულ გადაწყვეტილებათა გარემოსდაცვითი შეფასება

სტრატეგიული გადაწყვეტილებების მიღებისას, საზოგადოების მონაწილეობის ერთ-ერთი გავრცელებული გზაა სპეციალური გარემოსდაცვითი შეფასების პროცედურის ორგანიზება.

გარემოსდაცვითი შეფასება ძირითადად გარემოზე მნიშვნელოვანი ზემოქმედების მქონე სამეწარმეო საქმიანობათა პროექტებს უკეთდება. შესაბამისი პროცედურები დეტალურად განხილულია 2.2.3 სექციაში. ევროკავშირის ქვეყნებში და იმ ქვეყნებში, რომელთაც მოახდინეს ესპოს კონვენციის ოქმის რატიფიცირება სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების (სგშ) შესახებ[71], გეგმებისა და პროგრამების გარემოსდაცვითი შეფასება სპეციალური, სგშ პროცედურით მიმდინარეობს. ჩვეულებრივი გზშ-ს პროცედურისგან[72] ეს პროცედურა ძირითადად იმით განსხვავდება, რომ აქ განიხილება არა მარტო ამ გეგმისა თუ პროგრამის გარემოზე ზემოქმედება, არამედ ფასდება ამ პროგრამისა თუ გეგმის შესაბამისობა ქვეყნის მდგრადი განვითარებისა და გარემოსდაცვით სტრატეგიებთან.

[71] იგულისხმება 1991 წელს ესპოში (ფინეთი) გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისიის მინისტრების მიერ მიღებული კონვენცია „ტრანსასაზღვრო კონტექსტში გარემოზე ზემოქმედების შეფასების შესახებ” და 2003 წელს კიევში მიღებული მისი ოქმი „სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების შესახებ“. საქართველო ამ დოკუმენტების მხარე ჯერ-ჯერობით არ არის.

[72] იხ. სექცია 2.2.3.4

საქართველოში

რიგი გეგმების და პროგრამების განხორციელება I კატეგორიის საქმიანობადაა მიჩნეული (იხ. დანართი IVბ). შესაბამისად, საკანონმდებლო და აღმასრულებელ ორგანოებს უფლება არა აქვთ მიიღონ, მოიწონონ ან დაამტკიცონ ქვემოთ ჩამოთვლილი პროგრამები და გეგმები მანამ, სანამ გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიერ ამ გეგმებსა და პროგრამებზე არ გაიცემა გარემოსდაცვითი ნებართვა[73]. ნებართვის გასაცემად კი აუცილებელია ქვემოთ ჩამოთვლილი გეგმებისა და პროგრამების გარემოზე **ზემოქმედების შეფასება** და **ეკოლოგიური ექსპერტიზა**.

გარემოსდაცვითი ნებართვა ესაჭიროება შემდეგ გეგმებსა და პროგრამებს[74]:

- ურბანიზაციისა და ქალაქგეგმარების პროგრამები;
- რაიონების მიწათმოწყობის სქემები;
- მრეწველობის განვითარების პროგრამები;
- სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამები და პროექტები;
- სტიქიური მოვლენების უარყოფითი შედეგების თავიდან ასცილებლად გამიზნული ობიექტების განლაგების რეგიონული, ეროვნული და ადგილობრივი მშენებლობის პროგრამები;
- ტყეთმოწყობის პროექტები;
- სატყეო მეურნეობის ორგანიზაციისა და გაძღოლის პერსპექტიული გეგმები;
- სამონადირეო მეურნეობის ორგანიზაციისა და გაძღოლის პერსპექტიული გეგმები;
- დაცული ტერიტორიების გრძელვადიანი რეაბილიტაციის პროგრამები;
- საქართველოს ბუნებრივი რესურსების გამოყენების გეგმები;
- საქართველოს ბუნებრივი რესურსების დაცვის გეგმები;

ამ გეგმებსა და პროგრამებზე გარემოსდაცვითი ნებართვის გაცემის პროცესში საზოგადოების მონაწილეობა 2.2.3 სექციაში აღწერილი პროცედურით მიმდინარეობს და იქვე აღწერილი ნაკლოვანებებით ხასიათდება. ორჰუსის კონვენციის მე-7 მუხლის მოთხოვნათა შესასრულებლად, პირველ რიგში ***საჭიროა საზოგადოების ჩართვა უფრო ადრე***, პროგრამისა თუ გეგმის შემუშავების დაწყებისთანავე, და არა მხოლოდ უკვე შემუშავებული გეგმის გზშ-ს განხილვისას, როგორც ამას დღემდე მოქმედი პროცედურა ითვალისწინებს.

2.2.2.3 როგორ მივიღოთ მონაწილეობა

საქართველოში

<u>სტრატეგიული გადაწყვეტილებების მიღება ცენტრალური ორგანოების მიერ</u>

თუ სტრატეგიული გადაწყვეტილება, რომლის მიღებაში თქვენ მონაწილეობა გსურთ, 2.2.2.2 სექციაში ჩამოთვლილ I კატეგორიის საქმიანობებს განეკუთვნება, რჩევები მონაწილეობის მიღებისათვის იხ. 2.2.3 სექციაში.

წინააღმდეგ შემთხვევაში, მიმართეთ ადმინისტრაციულ ორგანოს შემდეგი წერილით:

„გთხოვთ უზრუნველყოთ ------ გეგმის (პროგრამის, სტრატეგიის) შემუშავებაში საზოგადოების მონაწილეობა ორჰუსის კონვენციის მე-7 მუხლის შესაბამისად.“

<u>სტრატეგიული გადაწყვეტილებების მიღება ადგილობრივ დონეზე</u>

თუ გეგმის ან პროგრამის შემუშავება ადგილობრივი მმართველობის ან თვითმმართველობის ორგანოში ხდება (იხ. გვ 42), თქვენ უფლება გაქვთ[75]:

- **მოითხოვოთ** გადაწყვეტილების მიღებამდე საზოგადოებასთან **კონსულტაციების გამართვა**;
- **გაეცნოთ** ადგილობრივი თვითმმართველობის **გადაწყვეტილებათა პროექტებს**, **მოითხოვოთ** მათი **გამოქვეყნება** და საჯარო განხილვა;

გამოიყენეთ ეს უფლებები. განამტკიცეთ თქვენი მოთხოვნა ორჰუსის კონვენციის მე-7 მუხლზე მითითებით.

2.2.2.4 სტრატეგიულ გადაწყვეტილებათა მიღებაში საზოგადოების მონაწილეობის მაგალითები

როგორც აღვნიშნეთ, კონვენცია არ ითხოვს, რომ სტრატეგიული გადაწყვეტილებების შემუშავებაში საზოგადოების მონაწილეობა კანონმდებლობით დარეგულირდეს. სრულიად საკმარისია, თუ გეგმებისა და პროგრამების ერთობლივი შემუშავება საჯარო მოხელეებისა და მოქალაქეების ჩვეულებად იქცევა.

ვინაიდან საქართველოში სტრატეგიულ გადაწყვეტილებებში საზოგადოების მონაწილეობის პროცედურები ჩამოყალიბების სტადიაზეა, არ არის გამორიცხული, რომ თავად ამ პროცედურების შემუშავებასა და ჩამოყალიბებაში თქვენც მიიღოთ მონაწილეობა. აქ მოყვანილი მაგალითების მიზანია წარმოდგენა შეგიქმნათ იმაზე, თუ როგორია მისაღები პროცედურები. განხილულია ორი გან-

[73] საქართველოს კანონი გარემოსდაცვითი ნებართვის შესახებ, მუხლი4, პუნქტი 2
[74] იქვე
[75] საქართველოს ორგანული კანონი ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის შესახებ, მუხლი 2, პ.3

სქემა 2. მიწათსარგებლობის გეგმების მომზადების ძირითადი ეტაპები



სხვავებული მიდგომა: ერთ შემთხვევაში საზოგადოება განიხილება ერთიან მასად და ყურადღება გამახვილებულია პროცესის ფართო ხელმისაწვდომობაზე ყველა მსურველისათვის, მეორე შემთხვევაში კი ორგანიზატორი ცდილობს გამოავლინოს ყველა შესაძლო დაინტერესებული მხარე და მჭიდროდ ითანამშრომლოს თითოეული მათგანის თუნდაც ერთ წარმომადგენელთან.

2.2.2.4.1 ტერიტორიული დაგეგმარება

საქართველოში

დასახლებული პუნქტებისა თუ ტერიტორიული ერთეულების სივრცული დაგეგმარების პროცედურა დეტალურად არ არის დარეგულირებული. დადგენილია მხოლოდ, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები არიან შემდეგი გეგმების შემუშავების ინიციატორები:

- დასახლებული პუნქტების გენერალური გეგმები[76];
- პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმები[77];
- არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის განკარგვის სტრატეგიული გეგმები (მ.შ. ტერიტორიის ზონირება)[78];

ამ დოკუმენტების საბოლოო დამტკიცება აგრეთვე ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების კომპეტენციაა[79].

დაგეგმარების პროცესის ორგანიზებაზე პასუხს აგებს შესაბამისი მმართველობის ორგანო.

რაციონალურია, თუ ტერიტორიული დაგეგმარების პროცესში საზოგადოების მონაწილეობა ზემოთ მოყვანილი მე-2 სქემის შესაბამისად წარიმართება:

<u>**საზოგადოების ინფორმირება**</u>

მასობრივი ინფორმაციის საშუალებების ან ოფიციალური პერიოდული გამოცემების გამოყენებით საზოგადოების ფართო ფენების ინფორმირება დაგეგმარების პროცესის დაწყებამდე სულ ცოტა ერთი თვით ადრე უნდა დაიწყოს. მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით უნდა ვრცელდებოდეს ინფორმაცია დაგეგმვის ყველა ძირითადი ეტაპის დასრულებისა და დაწყების შესახებ. თითოეული ეტაპის ხანგრძლივობა სულ ცოტა 3-4 კვირა უნდა იყოს.

<u>**წინადადებების მოგროვება**</u>

საზოგადოების წინადადებების მოგროვება წინასწარ, სანამ გეგმის თუნდაც პირველი პროექტი შედგება, ძალიან მნიშვნელოვანია. თუმცა ეს იოლი არ არის – თუ გამგეობა უბრალოდ გამოაცხადებს, წინადადებები წარმოადგინეთო – შედეგი არ იქნება. საზოგადოების მოსაზრებების შეგროვების გავრცელებული მეთოდებია კითხვარები, შერჩევითი გამოკითხვები, ფოკუს-ჯგუფები.

მაგალითი

ესტონეთის ქ. ნარვის ადგილობრივი მმართველობის ორგანომ დაიქირავა კომპანია ქალაქის განვითარების გეგმის შესამუშავებლად. იმის გასარკვევად, თუ რამდენად ასახავდა ქალაქის არსებული გეგმარება თემის რეალურ საჭიროებებს, კომპანიამ თავისი საქმიანობა დაიწყო იმით, რომ ეწვია ქალაქის სამ სკოლას. მოსწავლეებს დაურიგდა ქალაქის რუკა და სთხოვეს მასზე აღენიშნათ ქალაქის კარგი და ცუდი ადგილები. ამ სახით, მონაწილეობის წინასწარ პროცესში, კომპანიამ ძალიან ღირებული და საინტერესო ინფორმაცია მოიპოვა ქალაქის თავისებურების შესახებ.

<u>**გეგმის გამოფენა**</u>

საზოგადოებისათვის გეგმის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის საუკეთესო მეთოდია მისი საჯაროდ გამოფენა. **ჩვეულებრივ, გეგმა ქალაქის ცენტრში ან სათანადო ხალხმრავალ ადგილებში უნდა გამოიფინოს, ხოლო მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით ერთი კვირით ადრე მაინც უნდა გავრცელდეს ინფორმაცია გამოფენის ადგილისა და ვადების შესახებ.** აქვე უნდა მიეთითოს, თუ სად და რა გზითაა მისაწვდომი დამატებითი ინფორმაცია და როგორ და რა ვადებში შეიძლება შენიშვნებისა და კომენტარების წადგენა.

გამოფენა საკმარისად დიდხანს უნდა მიმდინარეობდეს – ხალხს დრო ესაჭიროება, რათა გადაამუშაოს ის ინფორმაცია, რომელიც შეტყობინების განაცხადშია მიწოდებული, შეისწავლოს რუკები თუ სქემები, მოიძიოს და შეისწავლოს დამატებითი ინფორმაცია სათანადო საჯარო დაწესებულებიდან, მოამზადოს კომენტარები და მიიღოს მონაწილეობა საჯარო მოსმენაში.

<u>**კომენტარების მოგროვება**</u>

საჯარო გამოფენის დროს, დაინტერესებული პირებისათვის უზრუნველყოფილი უნდა იყოს ამ გეგმასთან დაკავშირებული ყველა მასალისა და ინფორმაციის ხელმისაწვდომობა, განმარტებები და წინადადებებისა და კომენტარების წარდგენის შესაძლებლობა. ხშირად მოქალაქეები აწყდებიან სირთულეებს რუკების, სქემებისა და გრაფიკების განხილვისას. კარგია, თუ გამოფენაზე იმორიგეებენ გეგმის ავტორები, რომლებიც მსურველებს განმარტებებით დაეხმარებიან.

[76] საქართველოს ორგანული კანონი ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის შესახებ, მუხლი 7, პ.1ლ
[77] იქვე, მუხლი 13, პ.2ბ
[78] იქვე, მუხლი 13, პ.2დ
[79] როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, რაიონის მიწათმოწყობის სქემები მათ დამტკიცებამდე გარემოსდაცვით ნებართვას საჭიროებს.

<u>გამოფენის შედეგების განხილვა</u>
საჯარო დაწესებულებამ ყველა მიღებული კომენტარი უნდა გადასცეს ორგანიზაციას ან ფირმას, რომელიც აწარმოებს დაგეგმვას. თუ რომელიმე კომენტარი არ იქნა ჩართული დოკუმენტაციაში, კომპანიამ უნდა დაასაბუთოს თავისი გადაწყვეტილება.

<u>გადაწყვეტილების შესახებ ინფორმირება</u>
საზოგადოებას უნდა ეცნობოს გამოფენის პროცესში მიღებული შენიშვნებისა და კომენტარების და მათი გათვალისწინების თუ არ გათვალისწინების მიზეზების შესახებ. ეს ხდება საჯარო კრებაზე ან მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით. სასურველია კომენტარების ავტორებს და მათ ვის ინტერესსაც უშუალოდ ეხება გადაწყვეტილება, ინდივიდუალური შეტყობინება გაეგზავნოთ.

<u>მოსალოდნელი შედეგი</u>
დაგეგმვის პროცესში საზოგადოების ეფექტიანი მონაწილეობის შემთხვევაში თქვენი რაიონისათვის შემუშავდება უფრო უკეთ დაბალანსებული გეგმა, რომელშიც გათვალისწინებული იქნება სხვადასხვა ჯგუფების ინტერესები. საზოგადოების მონაწილეობის შედეგად შეუძლებელი გახდება ისეთი გეგმების დამტკიცება, რომელშიც მხოლოდ ერთი მხარის (მაგალითად ბიზნესის) ინტერესებია გათვალისწინებული.

2.2.2.4.2 პროგრამების შემუშავება: გარემოს დაცვის ადგილობრივი სამოქმედო გეგმა

საზოგადოების მონაწილეობით პროგრამის შემუშავების მაგალითად ჩვენ გარემოსდაცვითი ადგილობრივი სამოქმედო გეგმის (გდასგ) მომზადება ავირჩიეთ[80].

საქართველოში

დღესდღეობით, კავკასიის გარემოსდაცვითი ცენტრის მიერ აზერბაიჯანის, საქართველოს და სომხეთის რამოდენიმე დასახლებულ პუნქტში ხორციელდება გდასგ-ების დანერგვის პროექტის პირველი საფეხურები. უფრო დეტალური ინფორმაციისათვის იხ. http://rec.caucasus.net/

ჩვეულებრივ, გდასგ არ ფორმდება იურიდიულ დოკუმენტად; მისი მნიშვნელობა სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ იგი ასახავს თემის მიერ პრობლემების და პრიორიტეტების ერთობლივ ხედვას და თავისებურ შეთანხმებას წარმოადგენს იმის შესახებ, თუ ვინ, როგორ და როდის იმოქმედებს საერთო მიზნის მისაღწევად.

აღწერილი მონაწილეობის პროცესი საინტერესოა იმ მიდგომებით[81], რომელიც გამოიყენება ადგილობრივი თემის ერთობლივი ხედვის ჩამოსაყალიბებლად, აქტუალური პრობლემების და მისაღები გადაწყვეტილებების გამოსავლენად. ეს უნივერსალური მიდგომა სხვა ტიპის გადაწყვეტილებებისათვისაც შეიძლება იქნას გამოყენებული.

პროცესის ორგანიზატორის ფუნქცია შეიძლება რომელიმე ადმინისტრაციულმა ორგანომ, არასამთავრობო ორგანიზაციამ, ან აქტივისტთა ჯგუფმა იკისროს. ქვემოთ აღწერილია პროცესის მნიშვნელოვანი ეტაპები:

<u>ინტერესთა ჯგუფების გამოვლენა</u>
იმისათვის, რომ შემუშავდეს დოკუმენტი, რომელიც თემში არსებულ ყველა შესაძლო ინტერესს ასახავს, აუცილებელია თემში ამ **განსხვავებულ ინტერესთა** და მათი მატარებელი ჯგუფების **გამოვლენა**. აქ ერთიანი რეცეპტი არ არსებობს. მნიშვნელოვანია, რომ თანაბრად იყოს წარმოდგენილი ურთიერთდაპირისპირებული ჯგუფები, როგორიცაა: ამა თუ იმ ბუნებრივი რესურსის მომხმარებლები და დამცველები, გარემოს დამბინძურებლები და ისინი, ვინც ზიანდებიან ამ დაბინძურებისაგან. გასათვალისწინებელია აგრეთვე თემის ბუნებრივი სტრუქტურა და იერარქია, ის თუ რა ჯგუფებს მიაკუთვნებენ ადამიანები საკუთარ თავს. სასურველია კომიტეტში წარმოდგენილნი იყვნენ ისინი, ვისაც შეუძლია შეთანხმებული ღონისძიებები განახორციელოს ან დააფინანსოს.

მაგალითად, გდასგ-ის შემუშავების პროცესისათვის განსხვავებულ ინტერესთა ჯგუფები შეიძლება იყოს:

- **ადგილობრივი მმართველობის და თვითმმართველობის ორგანოები**;
- **რეგიონული ადმინისტრაცია**, რეგიონული საჯარო დაწესებულებები;
- ადგილობრივი **არასამთავრობო ორგანიზაციები**, რომლებიც დაინტერესებული არიან გარემოს დაცვის საკითხებით;
- გარემოს დაცვის **სპეციალისტები**, მ.შ. ბუნებისმეტყველების მეცნიერები, ლანდშაფტების არქიტექტორები, მიწათსარგებლობისა და ბუნებრივი რესურსების დამგეგმავები;
- ბიზნესი, რომელიც იყენებს ადგილობრივ ბუნებრივ რესურსს;
- ბიზნესი, რომელიც აბინძურებს გარემოს;
- ბიზნესი, რომლის შემოსავალი დამოკიდებულია გარემოს მიმზიდველობაზე (სასტუმროები, მაღაზიები, ტურისტული ბიზნესი)
- **კომუნალური მომსახურების** სახელმწიფო თუ კერძო კომპანიები, რომლებიც მუშაობენ სასმელი წყლის, მყარი ნარჩენებისა და ა.შ. მართვის სფეროში;
- **მიწის მესაკუთრეები**, რომელთა საკუთრებაზე გარემოს პრობლემებმა შესაძლოა უშუალო

[80] 1992 წელს, ქ. ლუცერნაში (შვეიცარია) გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისიის მინისტრთა II შეხვედრის შედეგად ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში, სხვადასხვა დონეზე (რეგიონული, ეროვნული, რაიონული, ადგილობრივი) დაინერგა გარემოს დაცვის სამოქმედო გეგმების მომზადების პრაქტიკა.

[81] ქვემოთ ჩვენს მიერ გადამუშავებულია მდგრადი თემების ინსტიტუტის (Institute for Sustainable Communities) მიდგომები გდასგ-ის შემუშავებისადმი პოლ მარკოვიჩის წიგნიდან „Guide to Implementing Local Environmental Action Programs in Central and Eastern Europe", ISC-REC, 2000 http://www.rec.org/REC/Publications/LEAP_Guide/default.html, იხ. აგრეთვე ორგანიზაციის ვებ-გვერდი http://www.iscvt.org/

ზეგავლენა მოახდინოს;

- ადგილობრივი **სკოლები**;
- **პროფესიული კავშირები**;
- **მედიის საშუალებები.**
- და სხვა

შესაძლოა, დაინტერესებული მხარეები გეოგრაფიული არეალის ფარგლებს გარეთაც იმყოფებოდნენ. მაგალითად, მდინარის ზედა წელში აღდგენით ღონისძიებებს შეუძლია ზემოქმედება მოახდინოს მდინარის ქვედა წელში განთავსებულ რაიონებზე, რაიონში გავრცელებული იშვიაში ცხოველი ან მცენარე შეიძლება საერთაშორისო ორგანიზაციის დაინტერესების საგანს წარმოადგენდეს.

საჭიროა ინფორმაციის ფართო გავრცელება თემში და ზოგადად საზოგადოებაში, რათა დაინტერესებულმა ჯგუფებმა თავად გამოავლინონ თავისი თავი. შეიძლება ჩატარდეს თემის საერთო შეკრება, გამოკითხვები, საინფორმაციო კამპანია მასმედიის საშუალებით და სხვა.

<u>**წარმომადგენელთა კომიტეტის ჩამოყალიბება**</u>

თემის[82] ერთიანი ხედვის და სამოქმედო პროგრამის შემუშავების ცენტრალური ელემენტია **სხვადასხვა ინტერესთა ჯგუფების წარმომადგენელთა კომიტეტის** ჩამოყალიბება. ფაქტობრივად ეს არის თემის თავისებური, არაფორმალური წარმომადგენლობითი ორგანო, რომელსაც თემი ანდობს ამ კონკრეტული პროგრამის შემუშავებას (და შესაძლოა განხორციელებას).

წარმომადგენელი უნდა იყოს ადამიანი, რომელსაც:

- კარგად ესმის ამ კონკრეტული ჯგუფის ინტერესები;
- ჯგუფის წარმომადგენლები ენდობიან;
- აქვს კომიტეტის მუშაობაში მონაწილეობის სურვილი, დრო და საშუალება;

წარმომადგენელთა კომიტეტის ფუნქციაა:

- პრობლემათა პრიორიტიზაცია;
- პრობლემასთან ან მის გამომწვევ მიზეზებთან ბრძოლის გზების არჩევა;
- ღონისძიებათა გეგმის გაწერა და შეთანხმება მათი შესრულებისას სხვადასხვა მოქმედ პირთა (მმართველობა, ბიზნესი, არასამთავრობო სექტორი, მოსახლეობა) ფუნქციების განაწილების შესახებ;
- გეგმის შესრულების მონიტორინგი.

<u>**მრჩეველთა საბჭო**</u>

ნებისმიერი პროგრამის შემუშავებისათვის საჭიროა არსებული მდგომარეობის პროფესიონალურად შეფასება, პრობლემების მიზეზების დადგენა და მათი აღმოფხვრის გზების შემოთავაზება. ამ ფუნქციის შესასრულებლად შეიძლება ადგილობრივი მოხალისე ექსპერტებისაგან შეიქმნას მრჩეველთა საბჭო ან ცალკეულ საკითხზე მომუშავე ჯგუფები ან, თუკი თანხები ამის საშუალებას იძლევა, საჭიროა კვალიფიციური საკონსულტაციო ფირმის დაქირავება.

<u>**პროექტის განხილვა**</u>

წარმომადგენელთა კომიტეტის წევრი პასუხს აგებს თავისი ჯგუფის წევრების სათანადო ინფორმირებულობაზე კომიტეტის მუშაობასა და მთლიანად პროცესის შესახებ და მათგან უკუკავშირზე.

ამის მიუხედავად, აუცილებელია კომიტეტის მუშაობის შედეგის – სამოქმედო გეგმის პროექტის საზოგადოებრივი განხილვის მოწყობა. ამისათვის გეგმის ხელმისაწვდომ ადგილას განთავსება საკმარისი არაა. საჭიროა სამოქმედო გეგმა ***გამოიცეს*** და ფართოდ ***გავრცელდეს*** ადგილობრივ მოსახლეობასა და სხვა დაინტერესებულ საზოგადოებაში.

სამოქმედო გეგმა საკმაოდ მოცულობითი დოკუმენტია. საზოგადოების მიერ მის გაცნობასა და კომენტირებაზე საკმარისი დრო უნდა იყოს გამოყოფილი.

კომენტარების მოგროვებასა და მათ სათანადო გათვალისწინებაზე კვლავ წარმომადგენელთა კომიტეტი უნდა იყოს პასუხისმგებელი.

2.2.3 დაბოლოს – გადაწყვეტილება კონკრეტული საქმიანობის შესახებ

2.2.3.1 ადმინისტრაციული გადაწყვეტილებანი

ვისაც კი როდესმე მოუნდომებია რაიმე საქმიანობის წამოწყება, ყველამ იცის, რომ თითოეულ ქვეყანაში არსებობს საქმიანობათა ჩამონათვალი (ხანდახან დაუსაბუთებლად დიდი), რომლის განხორციელებასაც სპეციალური ნებართვა (ან ლიცენზია) ესაჭიროება[83]. პირველ რიგში ეს არის საქმიანობანი, რომელთაც მოგება მოაქვთ – ამ შემთხვევაში მეწარმეს მოსთხოვენ, რომ აღრიცხვაზე ავიდეს საგადასახადო ორგანოებში და იხადოს სათანადო გადასახადები. გარდა ამისა, საქმიანობა შესაძლოა გავლენას ახდენდეს მეზობლებზე, ან მიმდებარე ტერიტორიაზე. ამ შემთხვევაში სათანადო ორგანოები ვალდებულნი არიან დაიცვან მეზობლების ინტერესები და საქმიანობა დადგენილი ნორმების ფარგლებში მოაქციონ. ამის დასადასტურებლად კი მათ შეიძლება მოითხოვონ გარკვეული გაზომვების ჩატარება (მაგალითად, ხმაური აღემატება თუ არა დაშვებულს), შეფასება, სათანადო დოკუმენტების წარმოდგენა (მაგალითად, პროექტი ითვალისწინებს თუ არა სახანძრო უსაფრთხოების ნორმებს, ან სანიტარულ ნორმებს) და სხვა.

ნებართვას (ლიცენზიას) შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანო გასცემს. ამისათვის თითოეულ ქვეყანაში დადგენილია სპეციალური პროცედურა.

[82] თემში აქ ადამიანთა ნებისმიერი ჯგუფი იგულისხმება, რომელთაც საცხოვრებელი, ან სამუშაო ტერიტორია აერთიანებთ

[83] საქართველოში ამ ჩამონათვალს ადგენს კანონი სამეწარმეო საქმიანობის ლიცენზიისა და ნებართვის გაცემის საფუძვლების შესახებ

საქართველოში

ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გადაწყვეტილების მიღების უნივერსალური ფორმაა მარტივი ადმინისტრაციული წარმოება.

2.2.3.1.1 მარტივი ადმინისტრაციული წარმოება

ქვემოთ სქემატურად წარმოდგენილია საქართველოს კანონმდებლობით საჯარო დაწესებულებების მიერ კონკრეტულ საკითხებზე გადაწყვეტილების მიღებისათვის (ადმინისტრაციული აქტის გამოსაცემად) დადგენილი უნივერსალური ფორმა – მარტივი ადმინისტრაციული წარმოება.

სქემა 3. მარტივი ადმინისტრაციული წარმოება[84]



2.2.3.1.2 დაინტერესებული მხარეები

ადმინისტრაციული წარმოებისათვის დამახასიათებელია ის, რომ მასში მონაწილეობა შეუძლიათ **მხოლოდ დაინტერესებულ მხარეებს**. ჩვეულებრივ, ესენი არიან: თავად განმცხადებელი, გადაწყვეტილების მიმღები ადმინისტრაციული ორგანო და ე.წ. მესამე მხარე, ანუ ისინი, ვინც **უშუალოდ განიცდიან ზემოქმედებას**.

საქართველოში

რაიმე ადმინისტრაციული აქტის[85] გამოცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას, **დაინტერესებულ მხარედ** მიიჩნევა ფიზიკური ან იურიდიული პირი, ან ადმინისტრაციული ორგანო:

- რომელთან დაკავშირებით მიიღება ადმინისტრაციული აქტი;
- რომლის კანონიერ ინტერესებზე **პირდაპირ და უშუალო** ზეგავლენას ახდენს ადმინისტრაციული აქტი[86].

მხარეებს **პერსონალურად აწვდიან ინფორმაციას** და იწვევენ მოსმენებზე, სადაც მათ შეუძლიათ თავისი პრეტენზიების დაყენება. მიღებული გადაწყვეტილება, თავისი დასაბუთებით, ასევე ინდივიდუალურად ეგზავნება მხარეებს. როგორც წესი, ზემდგომ ინსტანციაში/სასამართლოში გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლებაც მხოლოდ დაინტერესებულ მხარეებს გააჩნიათ.

საქართველოში

დაინტერესებულ მხარეს, რომლის სამართლებრივი მდგომარეობა მისაღები გადაწყვეტილებით გაუარესდება, უნდა **ეცნობოს** ადმინისტრაციული წარმოების შესახებ და მიეცეს წარმოებაში **მონაწილეობის** საშუალება. თუ სხვა დაინტერესებული მხარეები ითხოვენ ადმინისტრაციულ წარმოებაში ჩართვას, ადმინისტრაციულმა ორგანომ მათაც უნდა მისცეს ამის საშუალება[87].

2.2.3.1.3 საჯარო ადმინისტრაციული წარმოება

ზოგ ქვეყანაში, გარკვეული ტიპის გადაწყვეტილებათა მიღებისას, დაინტერესებულ მხარედ საზოგადოებაც შეიძლება იქნას მიჩნეული. ეს შეიძლება რეგულირდებოდეს კანონით, ან წყდებოდეს თავად ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილებით.

[84] საქართველის ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მიხედვით
[85] ნებართვა და ლიცენზია ადმინისტრაციული აქტის ფორმებია
[86] საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, მუხლი 2, პუნქტი 1ბ
[87] საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, მუხლი 95

საქართველოში

კანონი ადგენს, რომ გადაწყვეტილების მიღება, რომელიც დაკავშირებულია:

- სახელმწიფო ან მუნიციპალური საკუთრების განკარგვასთან;
- ყველა სახის ლიცენზირებასთან;
- გარემოსდაცვითი ნებართვის გაცემასთან[88];
- სამშენებლო ნებართვის გაცემასთან;
- სტანდარტიზაციასთან;
- არქიტექტურული ობიექტის წყობისა და იერსახის შეცვლაზე ნებართვის გაცემასთან;
- სამგზავრო საავტომობილო გადაყვანებზე ნებართვის გაცემასთან[89];
- ნორმატიული აქტის გამოცემასთან.[90]

ყოველთვის უნდა წარიმართოს არა მარტივი ადმინისტრაციული წარმოების, არამედ ***საჯარო ადმინისტრაციული წარმოების*** წესით. ამ შემთხვევაში დაინტერესებულ მხარედ მთელი საზოგადოება განიხილება და მას გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილეობის შესაძლებლობა ეძლევა.

ადმინისტრაციულ ორგანოს შეუძლია საჯარო ადმინისტრაციული წარმოების წესით წარმართოს ნებისმიერი სხვა ადმინისტრაციული აქტის გამოცემის პროცესი, ***თუ იგი ეხება პირთა ფართო წრის ინტერესებს***.

საჯარო ადმინისტრაციული წარმოება წარმოდგენილია მე-4 სქემაზე. როგორც სქემიდან ჩანს, ამ ტიპის ადმინისტრაციულ წარმოებაში საზოგადოების მონაწილეობას დიდი ადგილი აქვს დათმობილი. კერძოდ, საზოგადოებას:

- მიეწოდება ინფორმაცია საჯარო ადმინისტრაციული წარმოების შესახებ (რეგულარულ ბეჭდვით ორგანოში გამოქვეყნების, ან საჯარო ადგილას გამოკვრის გზით), მისი ვადების და ზეპირი მოსმენის თარიღის შესახებ;
- აქვს შესაძლებლობა მოითხოვოს და გაეცნოს საჯარო განხილვისათვის წარდგენილ დოკუმენტებს და იმ დოკუმენტების ჩამონათვალს, რომელიც საჯარო განხილვისათვის ამა თუ იმ მიზეზის გამო წარდგენილი არ არის;
- აქვს შესაძლებლობა წარადგინოს თავისი შენიშვნები და კომენტარები, მათ შორის ანონიმურიც, რომელიც აუცილებლად უნდა იქნას განხილული;
- შეუძლია მონაწილეობა მიიღოს საკითხის ზეპირ მოსმენაში, გამოთქვას თავისი მოსაზრებები, მოითხოვოს ზეპირი მოსმენის ოქმი, მოითხოვოს მასში შესწორებების შეტანა, იჩივლოს, თუ ეს მოთხოვნა გათვალისწინებული არ იქნა;
- გაასაჩივროს როგორც პროცედურის დარღვევა, ასევე გადაწყვეტილების შინაარსი ზემდგომ ორგანოში ან სასამართლოში.

2.2.3.2 რომელ საქმიანობებზე გადაწყვეტილების მიღებაში გვაძლევს კონვენცია მონაწილეობის უფლებას?

ორჰუსის კონვენცია არ გვაძლევს უფლებას ნებისმიერი სამეწარმეო საქმიანობის ნებართვის გაცემის პროცედურაში ჩავერიოთ. ეს არარაციონალურიც იქნებოდა. კონვენციის თანახმად, მონაწილეობის უფლება ჩვენ გვაქვს მაშინ, როდესაც ადმინისტრაციული ორგანო გადაწყვეტილებას იღებს **გარემოზე მნიშვნელოვანი ზემოქმედების მქონე საქმიანობის ნების დართვის შესახებ**.

პრაქტიკამ აჩვენა, რომ სხვადასხვა ქვეყნებში სხვადასხვანაირად განსაზღვრავენ „გარემოზე მნიშვნელოვან ზემოქმედებას“. ზოგ ქვეყანაში არსებობს საქმიანობათა ჩამონათვალი, რომელიც მიიჩნევა გარემოზე მნიშვნელოვანი ზემოქმედების მქონედ. სხვა ქვეყნებში დადგენილია „მნიშვნელოვანი ზემოქმედების“ შეფასების კრიტერიუმები და ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ადმინისტრაციული ორგანო ხელახლა აფასებს, მოახდენს თუ არა ესა თუ ის საქმიანობა გარემოზე „მნიშვნელოვან ზეგავლენას“.

გაუგებრობათა თავიდან ასაცილებლად ორჰუსის კონვენციას თან ახლავს **საქმიანობათა სრული სია**, (კონვენციის დანართი I) **რომელიც ყველა ქვეყანაში უნდა ჩაითვალოს მნიშვნელოვანი ზემოქმედების მქონე საქმიანობად**. თუ ქვეყანაში სხვა საქმიანობებიც მიჩნეულია გარემოზე ზემოქმედების მქონედ, ორჰუსის კონვენციის დებულებები მათზე **აგრეთვე ვრცელდება**.

საქართველოში

ორჰუსის კონვენციის მოთხოვნები ვრცელდება ყველა იმ საქმიანობაზე, რომელიც:

- მითითებულია კონვენციის I დანართში, ან
- საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად საჭიროებს გარემოსდაცვით ნებართვას (ეს საქმიანობანი ჩამოთვლილია სახელმძღვანელოს IVბ დანართში)

2.2.3.3 გადაწყვეტილებების მიღება გარემოზე მნიშვნელოვანი ზემოქმედების მქონე საქმიანობებზე

ევროპის რეგიონის ქვეყნებში წინა საუკუნის 70-იანი წლებიდან განვითარდა და დაინერგა გარემოზე მნიშვნელოვანი ზემოქმედების მქონე საქმიანობების შესახებ გადაწყვეტილების მიღების სპეციალური პროცედურები. მათი არსია:

- მთელი იმ ზიანის წინასწარ გათვლა და შეფასება, რაც საქმიანობამ გარემოს შეიძლება მიაყენოს;

[88] საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, მუხლი 115
[89] კანონი სამეწარმეო საქმიანობის ლიცენზიისა და ნებართვის გაცემის შესახებ, მუხლი 23, პუნქტი2
[90] საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, მუხლი 210



სქემა 4. საჯარო ადმინისტრაციული წარმოება

- გარემოზე ზემოქმედების შემცირების გზების მოძებნა და დაგეგმვა;
- საქმიანობაზე ნებართვის გაცემა მხოლოდ ზემოქმედების შერბილების ღონისძიებების განხორციელების პირობით.

რა თქმა უნდა ეს პროცედურები ყველა ქვეყანაში ერთნაირი არაა. აქ ორ ძირითად ტერმინში უნდა გავერკვეთ: „გარემოზე ზემოქმედების შეფასება“ (გზშ) და „ეკოლოგიური ექსპერტიზა“ (ეე).

2.2.3.3.1 გარემოზე ზემოქმედების შეფასება და ეკოლოგიური ექსპერტიზა

მოგეხსენებათ, წინა საუკუნის 70-იან წლებში ევროპის რეგიონი ორ ბანაკად იყო გაყოფილი: საბაზრო ეკონომიკის ქვეყნები და გეგმური ეკონომიკის ქვეყნები. პირველში ახალი სამეწარმეო საქმიანობის ინიციატორად უმეტესწილად კერძო ინვესტორი გვევლინებოდა, მეორეში კი, პრაქტიკულად ყოველთვის, – სახელმწიფო. შესაბამისად, დასავლეთ ბანაკში ჩამოყალიბდა ინვესტორის მიერ პროექტირების სტადიაზე საქმიანობის გარემოზე შესაძლო ზემოქმედების შეფასების პროცედურა, ყოფილ საბჭოურ ბანაკში კი – სამთავრობო ექსპერტების მიერ სამშენებლო პროექტის ტექნოლოგიურ ექსპერტიზას უბრალოდ დაემატა კიდევ ერთი სტადია – ეკოლოგიური ექსპერტიზა, რომელიც თანდათანობით ეკოლოგიური სამსახურების კურირებაში გადავიდა.

ყოფილი სოციალისტური ბანაკის დაშლისა და მასში საბაზრო ეკონომიკის დანერგვის შემდეგ ამ ქვეყნებში ორი პროცედურის დაახლოება მოხდა. უმეტეს ქვეყნებში დღეს არსებულ პროცედურას ასეთი სახე აქვს:

რა თქმა უნდა, ფაზებისა და ეტაპების ხანგრძლივობა სხვადასხვა ქვეყანაში განსხვავდება.

საქართველოში

გარემოსდაცვითი ნებართვის გაცემის პროცედურა ორი სისტემის თავისებურ კონგლომერატს წარმოადგენს:
საქმიანობები, რომელიც გარემოსდაცვით ნებართვას საჭიროებს, დაყოფილია 4 კატეგორიად (იხ. დანართი IVბ). I კატეგორიის საქმიანობას ესაჭიროება როგორც გზშ, ასევე გზშ-ს დოკუმენტის სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზა (სეე); II-IV კატეგორიის საქმიანობათა პროექტები კი მხოლოდ სეე პროცედურას გადიან.

სხვადასხვა ქვეყნებში განსხვავდება აგრეთვე საზოგადოების ჩართვა აღწერილ პროცედურებში. ორჰუსის კონვენცია ადგენს ამ პროცედურებში **საზოგადოების მონაწილეობის იმ მინიმუმს, რომელიც ყველა ქვეყნისათვის აუცილებელია**.

ჩვენ ქვემოთ განვიხილავთ გარემოზე მნიშვნელოვანი ზემოქმედების მქონე საქმიანობის შესახებ გადაწყვეტილების მიღების მსოფლიოში გავრცელებულ, ისევე როგორც ეროვნული კანონმდებლობით დადგენილ პროცედურებს, მათ ფაზებსა და ეტაპებს და მათში საზოგადოების მონაწილეობის საჭიროებას და პრაქტიკას. შემდგომ კი, 2.2.3.6 სექციაში, დეტალურად განვმარტავთ, თუ კერძოდ რა უფლებებს გვანიჭებს კონვენცია გადაწყვეტილების მიღების ამ პროცედურასთან დაკავშირებით და როგორ გამოვიყენოთ ისინი.

ცხრილი 2. გარემოზე მნიშვნელოვანი ზემოქმედების მქონე საქმიანობაზე გადაწყვეტილების მიღების ფაზები და ეტაპები:

№	ფაზა	ეტაპი	ვინ ახორციელებს	შედეგი
I	გარემოზე ზემოქმედების შეფასება (გზშ)	სკრინინგი (გზშ-ს საჭიროების დადგენა)	ინვესტორი / ადმინ. ორგანო (ამტკიცებს)	გზშ და მისი თანმხლები მასალები
		სკოპინგი (ჩასატარებელ სამუშაოთა მასშტაბის დადგენა)	ინვესტორი / ადმინ. ორგანო (ამტკიცებს)	
		გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების პროგნოზი და შეფასება	ინვესტორი	
		ზომების დადგენა ზემოქმედების შესამსუბუქებლად	ინვესტორი	
		„გზშ“ დოკუმენტის მომზადება	ინვესტორი	
II	გზშ-ს (ან პროექტის) განხილვა	გზშ-ს საზოგადოებრივი განხილვა	ინვესტორი / ადმინ. ორგანო	საქმიანობის განხორციელების პირობები
		გზშ-ს განხილვა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ / ეკოლოგიური ექსპერტიზა	ადმინ. ორგანო / გარე ექსპერტები	
III	გადაწყვეტილება		ადმინ. ორგანო	ნებართვა

2.2.3.4 გარემოზე ზემოქმედების შეფასება (გზშ)

გზშ, ანუ გარემოზე ზემოქმედების შეფასება, მდგომარეობს ინვესტორის, ან მის მიერ დაქირავებული ექსპერტების მიერ მომავალი საქმიანობის გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების წინასწარი პროგნოზისა და შეფასების საფუძვლიანი დოკუმენტაციის შემუშავებაში, რომელიც თან დაერთვება ინვესტორის განაცხადს საქმიანობაზე ნებართვის გაცემის შესახებ.

ორჰუსის კონვენციის 6.5 და 6.4 მუხლების მოთხოვნები დაინტერესებული საზოგადოების ადრეულ გამოვლენისა და პროცესში ჩართვის შესახებ (იხ. სექცია 2.1.2) ნიშნავს, რომ სულ ცოტა, უზრუნველყოფილ უნდა იქნას გზშ-ს სტადიაში საზოგადოების სრულფასოვანი მონაწილეობა[91].

საქართველოში

საზოგადოების მონაწილეობა გზშ-ს პროცესში მთლიანად მეწარმის სურვილზეა დამოკიდებული. თუმცა, თუკი საზოგადოება რაიმე გზით შემთხვევით მაინც შეიტყობს, რომ ესა თუ ის მეწარმე საქმიანობის გზშ-ს ახორციელებს, მას შეუძლია მოსთხოვოს და მიიღოს ინვესტორისგან ინფორმაცია[92] და წერილობით წარუდგინოს თავისი მოსაზრებები ინვესტორს. ინვესტორი ვალდებულია გაეცნოს ამ მოსაზრებებს და გაითვალისწინოს მათ მიერ მოყვანილი არგუმენტები საბოლოო დოკუმენტაციის მომზდებისას[93].

ქვემოთ ჩვენ ვცდილობთ დაგეხმაროთ გზშ-ს პროცესის შესახებ ინფორმაციის მოპოვებაში.

2.2.3.4.1 სკრინინგი

სკრინინგი გზშ-ს საწყისი ეტაპია. ამ ეტაპზე ირკვევა, ***ექვემდებარება თუ არა დაგეგმილი საქმიანობა გზშ-ს პროცედურას*** და კერძოდ რომელს, თუ ქვეყანაში გზშ-ს რამოდენიმე სხვადასხვა პროცედურა მოქმედებს.

საქართველოში

ცალკე გამოყოფილი ეს ეტაპი არ არსებობს. იგი ფაქტობრივად მდგომარეობს ინვესტორის (ან მის მიერ დაქირავებული ექსპერტების) მიერ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესწავლაში იმის დასადგენად, თუ რომელ კატეგორიას განეკუთვნება დაგეგმილი საქმიანობა (იხ. დანართი IVბ), და აგრეთვე, – შედის თუ არა იგი ორჰუსის კონვენციის[94] დანართში მითითებულ სიაში. საკითხი ადმინისტრაციულ ორგანოებთან შეთანხმებას არ საჭიროებს და არც რაიმე სპეციალურ პროცედურას ექვემდებარება. თუმცა პრაქტიკა უჩვენებს, რომ ინვესტორი ამჯობინებს „საყოველშემთხვეოდ“ დაეკონტაქტოს სათანადო ადმინისტრაციულ ორგანოს მისგან ინსტრუქციებისა თუ რჩევების მისაღებად (იხ. მაგალითისათვის დანართი IVგ).

თუ საქმიანობა **I კატეგორიას** განეკუთვნება, **გზშ-ს პროცედურა მისთვის სავალდებულოა**.

ზოგიერთ შემთხვევაში შესაძლებელია გზშ-ს პროცედურისგან გათავისუფლება. კერძოდ, თუ

- ინვესტორი იმეორებს ან აგრძელებს ადრე დაწყებულ საქმიანობას, რომლისთვისაც უკვე შესრულდა გზშ-ს პროცედურა და მისი ხელახალი გამეორება არ შეიძლება შეიცავდეს დამატებით ინფორმაციას, ან
- საერთო-სახელმწიფოებრივი ინტერესები მოითხოვს, რომ საქმიანობა დაიწყოს და გადაწყვეტილება ამის შესახებ სასწრაფოდ იქნას მიღებული

ინვესტორს შეუძლია დააყენოს საკითხი გზშ-ს პროცედურისგან საქმიანობის გათავისუფლების შესახებ. ამის შემდეგ საკითხი განიხილება გარემოს დაცვის სამინისტროს მიერ შექმნილი სპეციალური კომისიის მიერ. გადაწყვეტილებას საქმიანობის გზშ-ს პროცედურისაგან გათავისუფლების შესახებ იღებს მინისტრი[95].

<u>რატომ უნდა ჩავერთოთ ამ ეტაპზე?</u>

ამ ეტაპზე ჩვენი ჩართვა ფრიად სასარგებლოა. ჯერ ერთი, თუკი ხელისუფლების ორგანომ უნდა გადაწყვიტოს, ექვემდებარება თუ არა საქმიანობა გზშ-ს, ამ ეტაპზე ***საკითხისადმი საზოგადოების ინტერესის გარკვევა*** დაეხმარება მას ამ გადაწყვეტილების მიღებაში (თავად ინტერესი უკვე არგუმენტია დადებითი გადაწყვეტილების მისაღებად).

მეორე, რადგანაც ეს არის საწყისი სტადია, ჩვენ საშუალება გვეძლევა მოვემზადოთ შემდეგი ეტაპებისათვის. ამისათვის, კარგი იქნება, თუ:

- მოვიპოვებთ მეტ ინფორმაციას დაგეგმილი საქმიანობის შესახებ;
- სხვა მაცხოვრებლების ყურადღებასაც გავამახ-

[91] უფრო მეტიც, ჩვენ მიგვაჩნია, რომ საქართველოში საზოგადოების სრულფასოვანი ჩართვა პროცესში ჯერ კიდევ მიწის გამოყოფის სტადიაზე უნდა ხდებოდეს. იხ. სექცია 2.2.3.7

[92] საქართველოს კანონი გარემოსდაცვითი ნებართვის შესახებ, მუხლი 17

[93] იქვე, მუხლი 16

[94] შეგახსენებთ, რომ თუკი საქმიანობა არ განეკუთვნება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ I კატეგორიას, მაგრამ იგი შესულია ორჰუსის კონვენციის დანართში, კონვენციის 6.6 მუხლის შესასრულებლად მან უნდა გაიაროს გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროცედურა. ეს ეხება, მაგალითად კერამიკული ნაწარმის დიდი მოცულობით წარმოებას (იხ. კონვენციის I დანართი, პუნქტი 3).

[95] საქართველოს კანონი გარემოსდაცვითი ნებართვის შესახებ, მუხლი 14

ვილებთ დაგეგმილ საქმიანობაზე;

- დავუკავშირდებით შესაბამის ადმინისტრაციულ ორგანოს და დავაფიქსირებთ გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართვის დაინტერესებას;
- გავარკვევთ, თუ რა საბაზისო ინფორმაციის მოპოვება არის შესაძლებელი ამ ეტაპისთვის;
- განვსაზღვრავთ რა სახის ექსპერტული დახმარება დაგვჭირდება: სასარგებლოა შეხვედრები ამ სფეროში მოღვაწე დამოუკიდებელ ექსპერტებთან;
- განვსაზღვრავთ იმ ძირითად საკითხებს, რომლებიც ჩვენს შეშფოთებას იწვევს;
- დავადგენთ ჩვენს მოკავშირეებს და მოწინააღმდეგეებს. სასურველია, რომ ამ პროცესში ვითანამშრომლოთ ადგილობრივი ხელისუფლებისა და შესაბამის სფეროში მოღვაწე კარგად ცნობილ არასამთავრობო ორგანიზაციებთან.

საქართველოში

სამწუხაროდ, ინვესტორი არ არის ვალდებული საზოგადოებას აცნობოს მის მიერ რაიმე საქმიანობის განზრახვის ან ამ საქმიანობის გზშ პროცედურის დაწყების შესახებ. უფრო მეტიც, მას არც ის ევალება, რომ ამის შესახებ გარემოს დაცვის სამინისტროს ან რომელიმე სხვა ადმინისტრაციულ ორგანოს აცნობოს.

თუმცა, პრაქტიკა აჩვენებს, რომ (იხ. დანართი IVგ) უკვე მიწის გამოყოფის ეტაპზე, განსაკუთრებით საეჭვო საკითხებთან დაკავშირებით, საქმიანობის ინიციატორი ცდილობს დაუკავშირდეს გარემოს დაცვის სამინისტროს ან მის რეგიონულ ორგანოებს და მიიღოს მათგან წინასწარი თანხმობა. ასე რომ, თქვენს რაიონში დაგეგმილ საქმიანობათა შესახებ ინფორმაციის მისაღებად თქვენ შეგიძლიათ მიმართოთ სამინისტროს ან მის რეგიონულ ორგანოს მაგალითად ასეთი წერილით:

> საქართველოს გარემოს დაცვის და
> ბუნებრივი რესურსების სამინისტროს
>
> მოქალაქის _____
> *(თქვენი სახელი, გვარი, საკონტაქტო მისამართი, ტელეფონი)*
>
> **გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა**
>
> გთხოვთ მომაწოდოთ თქვენთვის ცნობილი მთელი წინასწარი ინფორმაცია
>
> _____ რაიონში I–IV კატეგორიის შესაძლო მომავალ
> *(რაიონის დასახელება[96])*
>
> საქმიანობათა შესახებ. გთხოვთ აგრეთვე მომავალში, თუ ამგვარ საქმიანობაზე თქვენს სამინისტროში ინფორმაცია შემოვა, ჩამაყენოთ საქმის ყურში.
>
> პატივისცემით
>
> _____
> *(სახელი, გვარი, ხელმოწერა, თარიღი)*

ამ წერილით თქვენ ფაქტობრივად აფიქსირებთ, რომ მიეკუთვნებით დაინტერესებულ საზოგადოებას აღნიშნულ რაიონში ყველა კატეგორიის საქმიანობაზე გარემოსდაცვით გადაწყვეტილებათა მიღებაში. როგორც წესი, თქვენს შესახებ ინფორმაციას სამინისტრო ინვესტორსაც მიაწვდის, რაც მას დაეხმარება ორჰუსის კონვენციის 6.5 მუხლის შესრულებაში (იხ. ქვემოთ).

გარდა ამისა, თუკი შევხედავთ 65 გვერდზე განთავსებულ სქემას, ვნახავთ, რომ გარემოსდაცვით გადაწყვეტილებათა მიღებამდე სავალდებულოა საქმიანობისათვის მიწის ნაკვეთის გამოყოფა. ამ პროცესში აუცილებლად ჩართულია მიწის მართვის დეპარტამენტი და ადგილობრივი თვითმმართველობა და მმართველობა. თქვენ შეგიძლიათ თითოეულ მათგანს მიმართოთ ასეთი ტექსტით:

„გთხოვთ მომაწოდოთ სრული ჩამონათვალი, თუ რა საქმიანობებისათვის არის გაცემული არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთის შერჩევის აქტები ..... რაიონში ..... წლებში“.

ან ადგილობრივ გამგეობას შეგიძლიათ გაუგზავნოთ ასეთი მოთხოვნა:

„გთხოვთ მომაწოდოთ ..... წლებში თქვენს მიერ მიღებულ დადგენილებათა სრული ჩამონათვალი რაიმე საქმიანობაზე ან პირზე მიწის ფართობის გამოყოფის შესახებ“.

[96] ეს საქართველოს ნებისმიერი რაიონი შეიძლება იყოს

2.2.3.4.2 სკოუპინგი

სკოუპინგი ინგლისური სიტყვაა და რაიმეს (ამ შემთხვევაში გზშ-ს) **მასშტაბისა და მიზნების** დადგენას ნიშნავს. ამ ეტაპზე ხდება:

- გზშ-ს ტექნიკური დავალების შემუშავება და შეთანხმება;
- **დაინტერესებული საზოგადოების გამოვლენა** და **საზოგადოების მონაწილეობის გეგმის მომზადება**. იგი შეიძლება ტექნიკური დავალების ნაწილიც იყოს.

საქართველოში

სამწუხაროდ, ეს ფაზა საქართველოში არ არსებობს. **ინვესტორს არ ევალება** არც გზშ-ს ტექნიკური დავალების შემუშავება და შეთანხმება და არც **დაინტერესებული საზოგადოების გამოვლენა და მონაწილეობის გეგმის მომზადება**.

ამავე დროს, ძალაშია ორჰუსის კონვენციის 6.5 მუხლი, რომელიც საჯარო დაწესებულებებს სთხოვს ინვესტორის წახალისებას, რომ მან ადმინისტრაციულ ორგანოსთვის მიმართვამდე გამოავლინოს დაინტერესებული საზოგადოება და დაიწყოს მასთან საკითხის განხილვა (იხ. სექცია 2.1.2)

წინა გვერდზე მითითებული წერილები ამ სტადიაზეც შეიძლება გაიგზავნოს. კარგია, თუ წერილში კონვენციის 6.5 მუხლის მოთხოვნებზეც მიუთითებთ. მაგალითად წერილი შეიძლება დაიწყოთ ასეთი ფრაზით:

„შეგახსენებთ, რომ ორჰუსის კონვენციის მე-6 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად თქვენ ვალდებული ხართ წაახალისოთ ინვესტორი, რათა მან, გარემოსდაცვით ნებართვაზე განაცხადის შემოტანამდე (უფრო მეტიც – I-IV კატეგორიის საქმიანობისათვის მიწის გამოყოფაზე განცხადების წარდგენამდე) გამოავლინოს დაინტერესებული საზოგადოება, მიაწოდოს მას საკმარისი ინფორმაცია და დაიწყოს მასთან ერთად საკითხის განხილვა. კონვენციის ამ მოთხოვნათა შესასრულებლად, გთხოვთ მომაწოდოთ ინფორმაცია .. (შემდეგ როგორც ტექსტშია).“

2.2.3.4.3 შესაძლო ზემოქმედების განსაზღვრა და მისი შესამცირებელი ღონისძიებების დადგენა

ამ ეტაპზე საქმიანობის **ყველა ალტერნატივისათვის** შეფასდება საქმიანობის **პოტენციური შედეგები** და მათი ***მნიშვნელობა*** გარემოსათვის და ადამიანის ჯანმრთელობისათვის. ხდება **შესაძლო ზემოქმედების შესამცირებელი ღონისძიებების** შემოთავაზება და დამუშავება.

საქართველოში

გარემოზე ზემოქმედების შეფასებაში აღწერილი უნდა იქნას დაგეგმილი საქმიანობის პირდაპირი და არაპირდაპირი ზემოქმედების შედეგები:

- ადამიანის ჯანმრთელობაზე და საცხოვრებელ გარემოზე;
- მცენარეულ საფარსა და ცხოველთა სამყაროზე;
- ბუნებრივ და სახეცვლილ ეკოსისტემებზე;
- ლანდშაფტებზე;
- ჰაერზე, წყალზე, ნიადაგზე, კლიმატზე;
- ისტორიულ ძეგლებსა და კულტურულ ფასეულობებზე;
- სოციალურ-ეკონომიკურ ფაქტორებზე[97].

<u>**რატომ უნდა ჩავერთოთ ამ ეტაპზე?**</u>

სხვადასხვა ალტერნატივების შედარებისას საზოგადოებრივი აზრი მათზე (თუ რამდენად მისაღებია საზოგადოებისათვის ესა თუ ის ალტერნატივა) გადამწყვეტი შეიძლება იყოს. აუცილებლად მიიღეთ მონაწილეობა ამ ეტაპზე.

<u>**რა ფორმით არის სასურველი მონაწილეობა?**</u>

ეს არის ეტაპი, როდესაც თქვენ ტექნიკური საკითხების გადაწყვეტაში მოგიწევთ ჩართვა, ამიტომ სასურველია ცნობილი და პატივცემული ექსპერტების ჩართვა. არასამთავრობო ორგანიზაციები შეიძლება დაგეხმარონ მათ მოძიებაში.

საქართველოში

ამ ეტაპზე თქვენ შეგიძლიათ აგრეთვე **გარემოზე ზემოქმედების დამოუკიდებელი, საზოგადოებრივი შეფასების ჩატარება** (I კატეგორიის საქმიანობისათვის), რომლის შედეგებიც გარემოსდაცვითი ნებართვის გაცემის თაობაზე გადაწყვეტილების მიღებისას აუცილებლად გათვალისწინებული უნდა იქნას[98]. ამგვარი დამოუკიდებელი შეფასების პრეცედენტი საქართველოში სამწუხაროდ ჯერ-ჯერობით არ არსებობს.

2.2.3.4.4 გარემოზე ზემოქმედების დოკუმენტის მომზადება

ეს ხანმოკლე ეტაპია, სადაც წინა ეტაპებზე შესრულებული სამუშაო შეჯამდება ინვესტორის ან კონტრაქტორი ექსპერტების მიერ. იქ სადაც საწყის ეტაპებზე მოხდა საზოგადოების ჩართვა, შეჯამებაში ასახული იქნება მისი შედეგები. მნიშვნელოვანია, რომ დოკუმენტი იყოს გასაგები და შეიცავდეს არატექნიკურ ნაწილს.

[97] 2002 წლის 16 მაისის საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის ბრძანება №59 „გარემოზე ზემოქმედების შეფასების შესახებ” დებულებისა და მაგისტრალური მილსადენების პროექტების თანდართული ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე, დებულების მუხლი 7

[98] საქართველოს კანონი გარემოსდაცვითი ნებართვის შესახებ, მუხლი 16

საქართველოში

გარემოზე ზემოქმედების შეფასების მოხსენება უნდა მოიცავდეს[99]:

- გარემოს არსებული მდგომარეობის ანალიზს;
- გარემოზე ზეგავლენის წყაროებს, სახეებს და ობიექტებს;
- პროექტისგანხორციელებისალტერნატიული ვარიანტების ანალიზს; თითოეული მათგანისათვის:
- მოსალოდნელი ემისიების და ნარჩენების სახეობებისა და რაოდენობების აღწერას;
- გარემოს ცვლილებათა და გარემოს მომავალი მდგომარეობის პროგნოზს;
- ავარიული სიტუაციების ალბათობას და მათი მოსალოდნელი შედეგების შეფასებას;
- გარემოზე უარყოფითი ზეგავლენის შემცირების ან თავიდან აცილების გზებს;
- გარემოზე ნარჩენი უარყოფითი ზეგავლენის კონტროლისა და მონიტორინგის მეთოდებს; გარემოსდაცვითი მენეჯმენტისა და მონიტორინგის გეგმებს;
- დაგეგმილი საქმიანობის სოციალურ და ეკონომიკურ შედეგებს; ეკოლოგიურ-ეკონომიკური შედეგების შედარებას;
- საქმიანობის შეწყვეტის შემთხვევაში გარემოს წინანდელ მდგომარეობამდე აღდგენის ზომებს;
- საზოგადოებასთან მუშაობის შედეგებს

2.2.3.5 გზშ-ს განხილვა / ეკოლოგიური ექსპერტიზა

გზშ-ს განხილვის პროცესი მდგომარეობს სამთავრობო ან ხელისუფლების მიერ დანიშნული ექსპერტების მიერ გზშ-ს **ხარისხის, სრულყოფილების** (საზოგადოებრივი აზრის სათანადო ასახვის ჩათვლით) და მისი ეროვნულ კანონმდებლობის მოთხოვნებთან **შესაბამისობის** შეფასებაში.

<u>**რა ხდება ამ ეტაპზე?**</u>

გარემოზე ზემოქმედების შეფასების დოკუმენტი წარედგინება განსახილველად:

- გადაწყვეტილების მიმღებ ორგანოს;
- საზოგადოებას;

იმ ქვეყნებში, სადაც გადაწყვეტილების მიღება ეკოლოგიური ექსპერტიზის პროცედურაზეა დაფუძნებული, დოკუმენტი განსახილველად გადაეცემა დაქირავებულ ექსპერტებს.

ამ ეტაპის შედეგებზე დამყარებით წყდება, გაიცემა თუ არა ნებართვა საქმიანობაზე.

<u>**რატომ უნდა ჩავერთოთ ამ ეტაპზე?**</u>

- პირველ რიგში იმიტომ, რომ ეს არის გადაწყვეტილებაზე **ზემოქმედების ბოლო შესაძლებლობა**;
- ამ ეტაპზე საზოგადოების სამსჯავროზე გამოტანილია **ზუსტი და სრულყოფილი მასალა**. უკვე ზუსტად არის ცნობილი საქმიანობის ყველა მახასიათებლები, რაც წინა ეტაპებზე შესაძლოა ჯერ კიდევ გაურკვეველი ყოფილიყო;
- გარდა ტექნიკური დოკუმენტებისა ამ ეტაპზე მზად უნდა იყოს **არა-ტექნიკური შეფასება**, რომელიც იოლი გასაგებია ჩვეულებრივი ადამიანისათვის.

საქართველოში

2.2.3.5.1 გარემოსდაცვითი ნებართვის გაცემის პროცედურა

1996 წელს მიღებული გარემოსდაცვითი კანონმდებლობით, საზოგადოების მონაწილეობა სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის პროცესში მხოლოდ I და II კატეგორიის (იხ. დანართი IVბ) საქმიანობებისათვის იყო სავალდებულო. 2001 წელს, საქართველოს ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსში შესულმა შესწორებამ[100] კი დააკანონა, რომ გარემოსდაცვითი ნებართვის გაცემა ნებისმიერი კატეგორიის საქმიანობაზე საჯარო ადმინისტრაციული წარმოების საფუძველზე უნდა განხორციელდეს. ეს ნიშნავს, რომ **გარემოსდაცვითი ნებართვის გაცემის პროცედურა ოთხივე კატეგორიის საქმიანობისათვის 51-ე გვერდზე მოცემული სქემის მიხედვით უნდა მიმდინარეობდეს**.

<u>*პასუხისმგებელი ორგანო*</u>

სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზისა და საზოგადოების მონაწილეობის ორგანიზებას ახორციელებს, საქმიანობაზე გარემოსდაცვითი ნებართვის გაცემის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს და ნებართვას გასცემს:

I და II კატეგორიის საქმიანობებისათვის – საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო;

III-IV კატეგორიის საქმიანობისათვის – საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს რეგიონული ორგანოები ან აჭარისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკების გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროები;

[99] 2002 წლის 16 მაისის საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის ბრძანება №59 „გარემოზე ზემოქმედების შეფასების შესახებ" დებულებისა და მაგისტრალური მილსადენების პროექტების თანდართული ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე, დებულების მე-10 მუხლის მიხედვით

[100] კანონი №772 „საქართველოს ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ", 2001 წლის 2 მარტი

<u>როგორ მივიღოთ მონაწილეობა?</u>

- გაეცანით საჯარო განხილვაზე წარდგენის ცნობას, გაარკვიეთ, სად არის განთავსებული გზშ განსახილველად, როდისთვის და სად ჩატარდება საჯარო განხილვა;
- ყურადღებით გაეცანით გზშ-ს არატექნიკურ შეჯამებას. მიაქციეთ ყურადღება, გაითვალისწინა თუ არა ინვესტორმა ის შენიშვნები, რაც ადრე გააკეთდა. თუ შენიშვნები გათვალისწინებული არ არის, დააყენეთ ისინი ხელახლა და წარუდგინეთ საჯარო დაწესებულებას;
- დაესწარით საჯარო მოსმენას და გამოთქვით თქვენი მოსაზრებანი.

2.2.3.6 ვიცოდეთ ჩვენი უფლებები

2.2.3.6.1 ვინ არის პასუხისმგებელი საზოგადოების მონაწილეობაზე?

არსებობს 3 სხვადასხვა შესაძლებლობა იმისა, თუ ვის შეიძლება ეკისრებოდეს კონკრეტულ საქმიანობებთან დაკავშირებულ გადაწყვეტილების მიღებაში საზოგადოების მონაწილეობის უზრუნველყოფა. ეს შეიძლება იყოს:

- თვით ***გადაწყვეტილების მიმღები ორგანო*** (მაგალითად, გარემოსდაცვის სამინისტროს რეგიონული დეპარტამენტი);
- ***სხვა საჯარო დაწესებულება***, რომელიც მონაწილეობს პროცესში (მაგალითად, ზოგიერთ ქვეყანაში სამინისტროს რეგიონული დეპარტამენტი იღებს გადაწყვეტილებას ნებართვის გაცემის შესახებ, ხოლო საზოგადოების ჩართვაზე ამ პროცესში პასუხისმგებელია ადგილობრივი მმართველობა);
- იმისათვის, რომ საზოგადოების მონაწილეობამ შედეგი გამოიღოს, იგი საწყის ეტაპზე უნდა მოხდეს, ამიტომ ბევრ ქვეყანაში თვით ***ინვესტორია*** პასუხისმგებელი უზრუნველყოს საზოგადოების შესაბამისად ინფორმირება, მათთან კონსულტაცია და პროცესში ჩართვა.

მიუხედავად იმისა, თუ ამ სამთაგან რომელი ახორციელებს საზოგადოების მონაწილეობის პროცედურას, **სახელმწიფო** (და მისი ორგანოები) **თავადაა ვალდებული უზრუნველყოს, რომ** სულ მცირე, **კონვენციით გათავლისწინებული მოთხოვნები სრულდებოდეს.**

მაგალითად, იმ ქვეყნებში, სადაც ინვესტორი პასუხისმგებელია საზოგადოების მონაწილეობის ორგანიზებაზე, სახელმწიფო ორგანოების მოვალეობად მაინც რჩება, თითოეულ შემთხვევაში უზრუნველყონ, რომ ინვესტორმა დროულად, სათანადოდ და ეფექტურად მოახდინოს საზოგადოების ინფორმირება; რომ ეს შეტყობინება შეიცავდეს მუხლ 6.2-ით გათვალისწინებულ პუნქტებს და მე-6 მუხლის სხვა მოთხოვნები დაცული იყოს.

საქართველოში

გზშ-ს პროცესში საზოგადოების მონაწილეობა ხორციელდება ინვესტორის მიერ სახელმწიფოს მხრიდან რაიმე კონტროლის გარეშე. კანონით „გარემოსდაცვითი ნებართვების შესახებ“ გზშ-ს პროცესში საჯარო განხილვების ჩატარება განსაზღვრულია როგორც ინვესტორის უფლება, და არა მოვალეობა. ამავე დროს, იგივე კანონი აწესებს ინვესტორის ვალდებულებას გაითვალისწინოს საზოგადოების წარმომადგენელთა წერილობით შენიშვნებსა და მოსაზრებებში წარმოდგენილი არგუმენტები[101].
საზოგადოების წარმომადგენლებს შეუძლიათ სასამართლოს მიმართონ, თუკი მათ ინვესტორი რაიმე ინფორმაციის გაცემაზე უარს ეტყვის. გასათვალისწინებელია, რომ სასამართლოსთვის მიმართვა იმ შემთხვევაში იქნება შედეგიანი, თუ კი შევძლებთ დავასაბუთოთ, რომ გზშ-ს ჩატარების პროცესში ინვესტორს აუცილებლად უნდა ჰქონოდა მოთხოვნილი ინფორმაცია.

სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის პერიოდში საზოგადოების მონაწილეობას წარმართავს გარემოსდაცვითი ნებართვის გამცემი ორგანო (ცენტრალური ან რეგიონული დონის გარემოს დაცვის ორგანო).

საქართველოში

ეკოლოგიური ექსპერტიზის დროს საზოგადოების ინფორმირებასა და მონაწილეობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი ორგანოა გარემოს დაცვის სამინისტრო (I-II კატეგორიის საქმიანობებისათვის, იხ. დანართი IVბ) ან მისი რეგიონული ორგანოები (III-IV კატეგორიის საქმიანობისათვის)

2.2.3.6.2 ვის შეუძლია მონაწილეობის მიღება?

ორჰუსის კონვენციიდან გამომდინარე, თქვენ შეგიძლიათ მიიღოთ მონაწილეობა, თუკი:

- ინვესტორმა ან საჯარო დაწესებულების წარმომადგენელმა მიგიწვიათ;
- თქვენ ფიქრობთ, რომ პროექტის გარემოსდაცვით, ჯანმრთელობის ან სოციალური ასპექტი ზეგავლენას იქონიებს თქვენზე, თქვენს ოჯახზე და თქვენს თემზე;
- თქვენ ხართ გარემოსდაცვით საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი (იხ. სექცია 2.1.1);

[101] საქართველოს კანონი გარემოს დაცვითი ნებართვის შესახებ, მუხლი 15, 16

საქართველოში

გარემოსდაცვითი გადაწყეტილების მიღება საჯარო ადმინისტრაციული წარმოების წესით მიმდინარეობს (იხ. სექცია 2.2.3.1.3). ეს ნიშნავს, რომ მასში მონაწილეობის უფლება აქვს **ყველას**.

თქვენ შეგიძლიათ მონაწილეობა მიიღოთ საჯარო ადმინისტრაციული წარმოების წესით მიმდინარე ნებისმიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესში[102].

2.2.3.6.3 რა ეტაპიდან უნდა შეგვეძლოს პროცესში ჩართვა?

ორჰუსის კონვენცია, მუხლი 6.4

საზოგადოებას უნდა მიეცეს მონაწილეობის შესაძლებლობა გადაწყვეტილების მიღების პროცესის **ადრეულ სტადიაზე**, როდესაც ყველა შესაძლებლობა ღიაა.

საზოგადოების ჩართვა მხოლოდ ეკოლოგიური ექსპერტიზის პერიოდში რა თქმა უნდა საკმარისი არ არის. კონვენცია მოითხოვს, რომ საზოგადოება ჩართული იქნას პროექტის ჩამოყალიბების საწყის ეტაპზე, როცა სხვადასხვა ვარიანტები ღიაა და საზოგადოებას შეუძლია გავლენა იქონიოს მათ არჩევაზე და ამდენად საზოგადოების მონაწილეობა ეფექტური შეიძლება იყოს.

საქართველოში

სამწუხაროდ, საქმიანობაზე სხვადასხვა გადაწყვეტილებათა მიღების მთლიანი პროცესი აგებულია იმგვარად (იხ. სქემა 65 გვერდზე), რომ საზოგადოების გზშ-პროცესში ჩართვაც არ შველის საქმეს. როგორც 2.2.3.7.1 სექციაშია აღნიშნული, გზშ-ს შედგენის წინ მეწარმეს უკვე გამოყოფილი აქვს კონკრეტული მიწის ნაკვეთი, ანუ საქმიანობის ადგილმდებარეობის ოდნავ მაინც შეცვლა (მაგალითად, გაბატონებული ქარების მიმართულების გათვალისწინებით, რათა ახლომდებარე დასახლებული პუნქტი საქმიანობის შედეგად წარმოშობილი გამონაბოლქვის ზემოქმედების ქვეშ არ მოხვდეს, ან წყალშემკრები აუზის ნაკლები რისკის ქვეშ დაყენების მიზნით, ან მომთაბარე ცხოველების, თუ გადამფრენი ფრინველების მიგრაციის გზების დაცვის მიზნით და სხვა) უკვე პრაქტიკულად შეუძლებელია.

თუ საზოგადოების ჩართვა მხოლოდ ეკოლოგიური ექსპერტიზისათვის გამოყოფილი რამოდენიმე კვირის განმავლობაში ხდება, ეს ნიშნავს, რომ კონვენციის მუხლი 6.4-ის მოთხოვნები არ სრულდება.

მართლაც და, რა გავლენა შეიძლება ჰქონდეს გადაწყვეტილებაზე საზოგადოების მოსაზრებებს, რომლებიც ეკოლოგიური ექსპერტიზის საბოლოო დასკვნამდე 1 კვირით ადრე შემოვიდა? უმეტესწილად შედეგი იქნება იმედების გაცრუება.

პრაქტიკული რჩევა

იმ ქვეყნებში, სადაც კანონმდებლობა დეტალურად არ არეგულირებს საზოგადოების მონაწილეობას გზშ-ს ფაზაში, კონვენციის მოთხოვნათა შესრულება შესაძლებელია **სათანადო პრაქტიკის დანერგვით უშუალოდ შესაბამისი საჯარო დაწესებულების მიერ**. ამისათვის სასარგებლო იქნებოდა **მითითების გამოცემა ინვესტორთათვის**, სადაც განმარტებული იქნება, რომ კონვენციის მოთხოვნათა შესასრულებლად აუცილებელია საზოგადოების ჩართვა გზშ-ს პროცესში, და, თუ როგორ სჯობს ამ ჩართვის განხორციელება. ასევე მნიშვნელოვანია, რომ ეკოლოგიური ექსპერტიზის პროცესში **ინვესტორის მიერ წარმოდგენილი საზოგადოების მონაწილეობის ამსახველი მასალები საგულდაგულოდ იყოს შესწავლილი და მხედველობაში მიღებული**.
რა თქმა უნდა, პროცესში ჩართული ყველა მხარისათვის საუკეთესო ვარიანტი იქნებოდა, თუ საჯარო დაწესებულება (მაგალითად, გარემოს დაცვის სამინისტროს რეგიონალური სამმართველო ან ადგილობრივი ხელისუფლება) თავად წარმართავდა საზოგადოების მონაწილეობის პროცედურას გზშ-ს განმავლობაში.

2.2.3.6.4 როგორ უნდა მივიღოთ ინფორმაცია მონაწილეობის შესაძლებლობის შესახებ?

ჩვენს მთავრობას ეკისრება ვალდებულება უზრუნველყოს პროცესში მონაწილე ერთერთი მხარის მიერ საზოგადოების ინფორმირება.

ორჰუსის კონვენცია, მუხლი 6.2

დაინტერესებული საზოგადოება ინფორმირებულ უნდა იქნას ***საჯარო ან ინდივიდუალური შეტყობინების გზით***, რომელიც მიზანშეწონილია, გადაწყვეტილების მიღების პროცესის საწყის ეტაპზე, ადექვატურად, დროულად და ეფექტურად.

არჩევანი საჯარო და ინდივიდუალურ შეტყობინებას შორის საზოგადოების მონაწილეობის ორგანიზატორის გასაკეთებელია. იგი პასუხს აგებს, რომ აირჩიოს ყველაზე ხელსაყრელი გზა სხვადასხვა დაინტერესებულ ჯგუფებამდე ინფორმა-

[102] იხ. საჯარო ადმინისტრაციული წარმოების წესით გასაცემ ნებართვათა ჩამონათვალი 50-ე გვერდზე

ციის მისაღწევად.

ეს დამოკიდებულია ტერიტორიაზე, გადაწყვეტილების არსზე და მასშტაბზე, ადგილობრივ ტრადიციებსა და ბევრ სხვა ფაქტორზე. მაგალითად, გასაგებია, რომ უმეტეს შემთხვევებში, როდესაც საქმე ეხება გარემოსდაცვით ნებართვებს, ნამდვილად არ იქნება საკმარისი ადმინისტრაციული ორგანოს შესასვლელთან შეტყობინების გაკვრა. მსგავსი შეტყობინებები არ მიაღწევს იმ საზოგადოების და ორგანიზაციების უმეტეს ნაწილამდე, რომლებიც დაინტერესებულნი არიან გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობის მისაღებად. და რადგანაც შეტყობინება ვერ მიაღწევს ბევრ დაინტერესებულ მხარემდე, იგი არც ადეკვატური იქნება და არც მიზანშეწონილი.

საქართველოში

საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყებისთანავე საჯარო დაწესებულება ვალდებულია გამოაქვეყნოს ცნობა საჯარო გაცნობისათვის დოკუმენტების წარდგენის შესახებ. ინფორმაცია ზეპირი მოსმენის შესახებ საჯარო დაწესებულებამ უნდა გამოაქვეყნოს ოფიციალურ ბეჭდვით ორგანოში მოსმენამდე სულ ცოტა 7 სამუშაო დღით ადრე[103].

პრაქტიკული რჩევა

- **იყავით აქტიურნი** – თუ თქვენ გაქვთ ინფორმაცია, რომ იგიგმება გადაწყვეტილების მიღება რაიმე პროექტთან დაკავშირებით, ნუ დაელოდებით შეტყობინებას, გამოითხოვეთ ინფორმაცია სამინისტროდან ან ადგილობრივი მმართველობის ორგანოდან, რაც უფრო ადრე მიიღებთ ინფორმაციას, მით უფრო ეფექტიანი იქნება თქვენი მონაწილეობა.
- **ჩართეთ რაც შეიძლება უფრო მეტი ადამიანი** – შეტყობინების მიღების შემდეგ დაუკავშირდით თქვენს მეზობლებს და თანამოაზრეებს და ეცადეთ ისინიც ჩართოთ გადაწყვეტილების მიღების პროცესში.
- **გადაუგზავნეთ მიღებული შეტყობინება რაც შეიძლება მეტ არასამთავრობო ორგანიზაციასა და შესაბამისი სფეროს ექსპერტს** – თქვენ დაგჭირდებათ მათი დახმარება ტექნიკური დეტალების განხილვისას.
- თუ თქვენ ფიქრობთ, რომ შეტყობინება არასრულფასოვნად მოგაწოდეს (არასაკმარისი დრო, ინფორმაცია) თქვენ შეგიძლიათ გაასაჩივროთ გადაწყვეტილება პროცედურის დარღვევის საფუძველზე.

2.2.3.6.5 რა ინფორმაციას უნდა შეიცავდეს შეტყობინება?

შეტყობინების შინაარსი

შეტყობინება უნდა მოიცავდეს შემდეგ ინფორმაციას (ორჰუსის კონვენცია, მუხლი 6.2)**:**

- **შემოთავაზებული საქმიანობა** (მაგალითად ნაგავსაყრელის მოწყობა);
- **განაცხადი**, რომელთან დაკავშირებით მიიღება გადაწყვეტილება (აქ შეიძლება გამოდგეს განზრახვის შესახებ განაცხადი, თუ კანონმდებლობა მას ითვალისწინებს);
- **შესაძლო გადაწყვეტილების არსი** ან გადაწყვეტილების პროექტი (მაგალითად, ნებართვა);
- **საჯარო დაწესებულება, რომელიც პასუხისმგებელია** გადაწყვეტილების მიღებაზე (მაგალითად, სამინისტროს სპეციალური განყოფილება, სამინისტროს რეგიონული განყოფილება ან ადგილობრივი მმართველობის ორგანო);
- **გადაწყვეტილების მიღების პროცედურა**, კერძოდ[104]:
  - **პროცედურის დასაწყისი** (როდის იწყება პროცედურა და სხვადასხვა ეტაპების განრიგი (სკრინინგი, სკოუპინგი, გადაწყვეტილების მიღება და სხვა));
  - **საზოგადოებრივი მონაწილეობის საშუალებები** (რა საშუალებებით შეუძლია საზოგადოებას პროცესში ჩართვა (სამუშაო ჯგუფები, შეხვედრები, შემთანხმებელი კონფერენციები, შენიშვნების წარდგენა და ა.შ);
  - ყველა დაგეგმილი **საზოგადოებრივი მოსმენის** დრო და ადგილი;
  - საჯარო დაწესებულებების მითითება, **რომელთაგან შესაძლებელია** საკითხთან დაკავშირებული **ინფორმაციის მიღება** და სადაც განთავსებულია შესაბამისი ინფორმაცია საჯარო განხილვისათვის. ანუ, აქ იგულისხმება ორი სხვადასხვა ფუნქციის შემრულებელი საჯარო დაწესებულება (თუმცა შესაძლოა ორივე ფუნქციას ერთი დაწესებულება ასრულებდეს). ესენია:

    ა) საჯარო დაწესებულება, რომელსაც შეუძლია მოთხოვნის პასუხად მეტი ინფორმაციის მოწოდება და კითხვებზე პასუხის გაცემა (ადგილობრივი ხელისუფლება ან გადაწყვეტილების მიმღები დაწესებულება);

    ბ) დაწესებულება, სადაც პროექტის მთელი დოკუმენტაცია არის განთავსებული და დაინტერესებულ პირთ შეუძლიათ მისი შესწავლა (მაგალითად, ადგილობრივი ხელისუფლების შენობა, ადგილობრივი ბიბლიოთეკა და ა.შ);
  - საჯარო დაწესებულება ან ოფიციალური პირი, **რომელთაც შეიძლება წარედგინოს შენიშვნები** და კითხვები და მათი წარდგენისა და განხილვის განრიგი (ანუ შენიშვნების წარდგენის ბოლო ვადა და შენიშვნების განხილვის ვადა);

[103] ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, მ.110

[104] თუ რომელიმე ქვემოთ ჩამოთვლილი ინფორმაცია არ არის ცნობილი შეტყობინების გამოცემის მომენტისათვის, ინფორმაციის მიღებისთანავე იგი გავრცელებული უნდა იქნას ანალოგიური მეთოდით

– იმ **გარემოსდაცვითი ინფორმაციის** ჩამონათვალი, რომელიც ხელმისაწვდომია ამ საქმიანობასთან დაკავშირებით (დოკუმენტებისა და მასალების ჩამონათვალი, რომლებიც გამოტანილია საჯარო განხილვისათვის);

– **ექვემდებარება** თუ არა საქმიანობა ეროვნული ან ტრანსსასაზღვრო გარემოზე ზემოქმედების შეფასების **პროცედურას**. (ყველა ნებართვას არ სჭირდება გზშ, ამიტომ შეტყობინება მკაფიოდ უნდა მიუთითებდეს, საჭიროა თუ არა იგი ამ კონკრეტულ შემთხვევაში).

საქართველოში

საჯარო გაცნობისათვის დოკუმენტების წარდგენის შესახებ ცნობაში მიეთითება[105]:

- ადმინისტრაციული ორგანო, რომელშიც მიმდინარეობს ადმინისტრაციული წარმოება (მასვე წერილობით წარედგინება საზოგადოების მოსაზრებები);
- განცხადების, რომლის თაობაზე მიიღება ადმინისტრაციული აქტი, მოკლე შინაარსი; (გარემოზე ზემოქმედების შეფასებას დაქვემდებარებული I კატეგორიის საქმიანობისათვის ეს განცხადება უნდა შეიცავდეს დაგეგმილი საქმიანობის დასახელებას და ინვესტორის ვინაობას, დაგეგმილი საქმიანობის ადგილმდებარეობას, საქმიანობის დაწყებისა და დასრულების სავარაუდო თარიღს, საქმიანობის მიზნებს)
- ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მისაღები გადაწყვეტილების არსი;
- ადმინისტრაციული აქტის გამოცემის ვადა;
- საკუთარი მოსაზრებების წარდგენის ვადა;
- ადმინისტრაციული ორგანო, რომელშიც შესაძლებელია წარმოების მასალების გაცნობა;

ცნობაში აგრეთვე აღნიშნული უნდა იყოს, რომ საკუთარი მოსაზრებების წარდგენისას პირს უფლება აქვს თავისი ვინაობა არ მიუთითოს[106].

2.2.3.6.6 რა ინფორმაცია უნდა იყოს ხელმისაწვდომი პროცედურის განმავლობაში?

შეტყობინება შეიცავს მხოლოდ ძირითად ინფორმაციას, რომელიც გვაძლევს საშუალებას გადავწყვიტოთ მივიღოთ თუ არა მონაწილეობა, და თუ ვაპირებთ მონაწილეობის მიღებას, რა გზით ჩავერთოთ.

ქმედითი მონაწილეობისათვის თქვენ გესაჭიროებათ რაც შეიძლება მეტი ინფორმაცია: რაც უფრო დეტალური ინფორმაცია გექნებათ, მით უფრო კონკრეტული იქნება თქვენი კომენტარები.

ინვესტორის ვალდებულებაში შედის პროექტის შესახებ დეტალური ინფორმაციის მოწოდება, ხოლო რაც შეეხება საჯარო დაწესებულების ვალდებულებას, ის მოვალეა უზრუნველყოს, რომ ინფორმაცია იყოს მაქსიმალურად სრული და ადეკვატური, ადვილად ხელმისაწვდომი საზოგადოებისათვის, ნათლად განისაზღვროს თუ სად შეიძლება ინფორმაციის ნახვა.

<u>რა ინფორმაცია?</u>

კონვენციის 6.6 მუხლის შესაბამისად საჯარო დაწესებულების მოვალეობაა უზრუნველყოს **მთელი იმ ინფორმაციის ხელმისაწვდომობა,** რომელიც კავშირშია გადაწყვეტილების მიღებასთან. გამონაკლისი შეიძლება იყოს მხოლოდ ინფორმაცია, რომელიც კონვენციის მე-4 მუხლით არის განსაზღვრული (იხ. სახელმძღვანელოს სექცია 1.3.2).

საქართველოში

საჯარო ადმინისტრაციული წარმოების პროცედურა საზოგადოებისათვის დოკუმენტების სრულ ხელმისაწვდომობას გულისხმობს.

გარკვეულ ინფორმაციას, განმცხადებლის თხოვნით, ან სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე, შეიძლება მიენიჭოს კომერციული, პირადი ან სახელმწიფო **საიდუმლოების სტატუსი** და საჯარო განხილვაზე წარდგენილი არ იქნას[107]. ასეთ შემთხვევაში **საჯარო განხილვისათვის წარედგინება ამ დოკუმენტთა ნუსხა**

კონვენციის 6.6 მუხლი ადგენს აგრეთვე იმ დოკუმენტების მინიმალურ ჩამონათვალს, რომელიც საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს:

ხელმისაწვდომი დოკუმენტების მინიმალური ჩამონათვალი

1. სავარაუდო საქმიანობის **ადგილი და ფიზიკურ-ტექნიკური მახასიათებლების** აღწერილობა, მოსალოდნელი ნარჩენებისა და ემისიების შეფასების ჩათვლით;
2. გარემოზე იმ **მნიშვნელოვანი ზეგავლენის** აღწერა, რასაც სავარაუდო საქმიანობა გამოიწვევს, გარემოში ემისიების ჩათვლით;
3. **ზემოქმედების შემცირების ან თავიდან აცილებისათვის გათვალისწინებელი ზომების** აღწერა, გარემოში ემისიების ჩათვლით;
4. ზემოთ ჩამოთვლილი მასალის **არატექნიკური შეჯამება**
5. განმცხადებლის მიერ შესწავლილი **ძირითადი ალტერნატიული ვარიანტების** მონახაზი.
6. საჯარო დაწესებულების მიერ მიღებული ძირითადი **მოხსენებები და რჩევები** დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებით.

სხვა ინფორმაცია, რომლის ხელმისაწვდომობის აუცილებლობასაც შესაძლოა ეროვნული კანონმდებლობა ადგენდეს, ძალიან სასარგებლო იქნება დაინტერესებული მხარეებისათვის პროექტის უკეთ გასაგებად. მაგალითად, ზოგიერთი ქვეყანა მშენე-

[105] საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, მუხლი 116
[106] საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, მუხლი 118
[107] იხ. ამ სახელმძღვანელოს 1.3.2.1 სექცია საქართველოში გასაიდუმლოებისათვის დაშვებული ინფორმაციის შესახებ

ბლობის დაწყებამდე მოითხოვს გარემოს არსებული მდგომარეობის შესწავლას. ეს შემდგომ გამოიყენება იმის დასადგენად, თუ რა დამატებითი ზეწოლა არის დასაშვები გარემოზე და წარმოდგენილი საქმიანობის ზემოქმედების მოდელის შესამუშავებლად.

საქართველოში

საჯარო გაცნობისათვის წარდგენილი უნდა იყოს:

- განცხადება;
- განცხადებაზე დართული ყველა დოკუმენტი;
- ყველა დასკვნა ან მოსაზრება, რომელიც განცხადებასთან დაკავშირებით იქნა წარდგენილი ადმინისტრაციულ ორგანოში;
- გადაწყვეტილების პროექტი.

საქმიანობაზე გარემოსდაცვითი ნებართვის მისაღებად განცხადება უნდა მოიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

- დაგეგმილი საქმიანობის დასახელება, ინვესტორის ვინაობა და მისამართი,
- დაგეგმილი საქმიანობის ადგილმდებარეობა;
- საქმიანობის დაწყების და დასრულების სავარაუდო თარიღი, საქმიანობის მიზნები,

გარდა ამისა, განცხადებას თან უნდა ახლდეს შემდეგი დოკუმენტები[108]:

- საქმიანობისთვის საჭირო ნაგებობების სქემა;
- ტექნოლოგიური პროცესის მოკლე აღწერა;
- ტექნოლოგიური პროცესის შედეგად მიღებულ ნივთიერებათა ჩამონათვალი;
- იმ ღონისძიებათა დეტალური აღწერა, რომელიც დაგეგმილია გარემოზე და სოციალურ ფაქტორებზე ზემოქმედების შესამცირებლად;
- ბუნებრივი რესურსების ჩამონათვალი და ოდენობა, რომელიც იქნება გამოყენებული;
- მოსალოდნელი ემისიის მოცულობა და სახეობა;
- ემისიის მოცულობის დასადგენად დაგეგმილი მეთოდები;
- საწარმოო პროცესების შედეგად მიღებული ნარჩენების სახეები, ოდენობა, მათი განთავსების შესაძლო ადგილები, ნარჩენების შესამცირებლად დაგეგმილი ღონისძიებანი;
- ტექნოგენური ავარიების თავიდან აცილების მიზნით დაგეგმილი უსაფრთხოების ზომები;
- საქმიანობის ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთება;
- გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში (I კატეგორიის საქმიანობისათვის)

სად?

ადგილი, სადაც ინფორმაცია უნდა იყოს თავმოყრილი და ხელმისაწვდომი საზოგადოებისათვის, ნათლად უნდა იყოს განსაზღვრული შეტყობინებაში. როგორც წესი, ეს შეიძლება იყოს:

- ადგილობრივი მმართველობის ორგანო,
- გარემოს დაცვითი უწყების ადგილობრივი ორგანო,
- საჯარო ბიბლიოთეკა
- ინვესტორის ოფისი

საქართველოში

დოკუმენტაცია, როგორც წესი, ინახება გარემოს დაცვის სამინისტროს იმ ორგანოში, სადაც არის დაგეგმილი საქმიანობის შესახებ გადაწყვეტილების მიღება. საჯარო ხელმისაწვდომობის გასაიოლებლად დოკუმენტების დამატებითი ასლები შესაძლოა განთავსებული იყოს თავად ინვესტორის ოფისში, ან სხვაგან. ამის შესახებ ინფორმაცია

როდის?

რა თქმა უნდა, ყველა ზემოთჩამოთვლილი დოკუმენტი პროცედურის დასაწყისშივე არ არის მზად[109]. მათი მომზადება გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროცესში ხდება. კონვენციის 6.6 მუხლი ითხოვს, რომ ნებისმიერი ახალი დოკუმენტი და **მასალა მისი დასრულებისთანავე საჯარო გახდეს**.

საქართველოში

საზოგადოების წარმომადგენლებს უფლება აქვთ გაეცნონ ადმინისტრაციულ ორგანოში არსებულ ყველა არასაიდუმლო მასალას საჯარო დაწესებულების მიერ მისი მიღების მომენტიდან.

ინფორმაციის ფასი

კონვენციის 6.6 მუხლის შესაბამისად ინფორმაციის გაცნობა საზოგადოებისთვის ყოველგვარი გადასახადის გარეშე უნდა ხდებოდეს. ეს ნიშნავს, რომ ნებისმიერ ფიზიკურ თუ იურიდიულ პირს აქვს უფლება მივიდეს შეტყობინებაში მითითებულ ადგილას და გაეცნოს საჯარო ინფორმაციის პაკეტს – პროექტის შესახებ თავმოყრილი დოკუმენტების კრებულს. ასევე შესაძლებელი უნდა იყოს დამატებითი ინფორმაციის მოთხოვნა და პროექტის ირგვლივ შეკითხვების მიწოდება საჯარო დაწესებულებისათვის.

საქართველოში

ყველას აქვს უფლება დაუბრკოლებლად, უფასოდ გაეცნოს საჯარო გაცნობისათვის წარდგენილ დოკუმენტებს და მოითხოვოს მათი ასლები (ასლის ღირებულება უნდა ანაზღაურდეს).

[108] საქართველოს კანონი გარემოსდაცვითი ნებართვის შესახებ, მუხლი5.3

[109] იგულისხმება გზშ-ს პროცედურა. გარემოსდაცვითი ნებართვის გაცემის საქართველოში დღეისათვის არსებული პროცედურა გზშ-ს პროცედურის დამთავრების შემდეგ იწყება (იხ. სექცია 2.2.3.3), ასე რომ აქ ყველა დოკუმენტი, გარდა სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნისა, თავიდანვეა ხელმისაწვდომი

2.2.3.6.7 ჯეროვანი ყურადღება საზოგადოების შენიშვნებისადმი

ORჰUSIS KONVENCIA, MUxLI 6.8
გადაწყვეტილების მიღებისას საჯარო დაწესებულებამ **ჯეროვანი ყურადღება** უნდა მიაქციოს საზოგადოების შენიშვნებს.

ეს პრაქტიკაში ნიშნავს სულ ცოტა:

- ყველა საზოგადოებრივი შენიშვნის ***გულმოდგინე აღრიცხვას***;
- ყველა მიღებული საზოგადოებრივი შენიშვნის ***გულმოდგინე შესწავლას*** (საზოგადოებრივი მოსმენის ოქმში აღნიშნული შენიშვნების ჩათვლით);
- თითოეული შენიშვნის ***გამოყენების შესაძლებლობის შეფასებას*** პროექტის კონტექსტში.
- საზოგადოებრივი შენიშვნებში გამოხატულ დასაბუთებული შეშფოთებების ***გადაწყვეტის გზების*** მოძებნას;

საქართველოში

როგორც ზემოთ განვიხილეთ, საზოგადოების შენიშვნები და მოსაზრებები საქმიანობასთან დაკავშირებით შეიძლება წარედგინოს:

- ინვესტორს, გზშ-ს განმავლობაში. ინვესტორმა ისინი უნდა განიხილოს, შეძლებისდაგვარად გაითვალისწინოს და ძირითადი წინააღმდეგობანი ასახოს ნებართვაზე განაცხადის თანმხლებ დოკუმენტაციაში (ან გზშ-ს ანგარიშში)
- ნებართვის გამცემ საჯარო დაწესებულებას, საჯარო განხილვისათვის განსაზღვრული პერიოდის განმავლობაში. ეს მოსაზრებანი (მათ შორის ანონიმურიც) საჯარო დაწესებულებამ უნდა აღრიცხოს და განიხილოს.
- ზეპირ მოსმენაზე, წერილობით ან ზეპირად. ყველა ეს მოსაზრება უნდა აღინიშნოს შეხვედრის ოქმში.

საქმესთან დაკავშირებული, დადგენილ ვადებში წარდგენილი არც ერთ ამ მოსაზრების მიღებასა და შესწავლაზე უარის თქმის უფლება ადმინისტრაციულ ორგანოს არ აქვს. საქმისთვის მნიშვნელობის მქონე ***ყველა გარემოება გამოკვლეული უნდა იქნას*** და გადაწყვეტილება ამ გარემოებათა შეფასების და ურთიერთშეჯერების საფუძველზე უნდა იქნას მიღებული[110].

როდესაც შენიშვნა რაოდენობრივად ცოტაა, საუკეთესო მიდგომაა ყოველ მათგანზე ინდივიდუალური ***პასუხის გაცემა***; როდესაც ბევრი შენიშვნაა, მაშინ შესაძლოა მოხდეს მათი ***დაჯგუფება*** და მათ გადაწყვეტილების დასაბუთებაში (იხ. ქვემოთ) გაეცეს პასუხი ან შეჯამდეს და წარედგინოს საჯარო გაცნობისათვის გადაწყვეტილების მიღებამდე;

სულ უფრო და უფრო მეტი ქვეყანა იყენებს ელექტრონულ საშუალებებს როგორც შენიშვნების შეგროვებისათვის, ასევე მათზე გამოხმაურებისათვის. ეს გზა დროსაც და ხარჯებსაც ზოგავს. იგი ასევე იძლევა სწრაფი რეაგირების შესაძლებლობას.

<u>თუ თქვენი შენიშვნები უყურადღებოდ დარჩა;</u>
თუ თქვენ თვლით, რომ თქვენი და თქვენი ჯგუფის მიერ წარმოდგენილ შენიშვნებს სათანადო ყურადღება არ მიექცა, თქვენ შეგიძლიათ გაასაჩივროთ საბოლოო გადაწყვეტილება (იხ. სახელმძღვანელოს თავი 3). ამ შემთხვევაში საჯარო დაწესებულებას მოუწევს იმის დამტკიცება, რომ

- მან განიხილა და სათანადო ყურადღება მიაქცია თქვენს მიერ მოწოდებულ შენიშვნებს
- ამავე დროს, მან უნდა მოიყვანოს დასაბუთებული მიზეზი, რის გამოც თქვენი შენიშვნები არ იქნა ასახული საბოლოო გადაწყვეტილებაში.

2.2.3.6.8 გადაწყვეტილების და მისი დასაბუთების გამოქვეყნება

ეს ვალდებულება გულისხმობს, რომ:

- სახელმწიფო ორგანომ სწრაფად უნდა აცნობოს საზოგადოებას მიღებული გადაწყვეტილების შესახებ;
- გადაწყვეტილების მიღებაზე მომუშავე თანამდებობის პირებმა უნდა განსაზღვრონ ამ ინფორმაციის გავრცელებისათვის შესაბამისი საშუალებები;
- გადაწყვეტილებასთან ერთად საჯარო უნდა გახდეს ის მიზეზები და მოსაზრებები, რომლებიც გადაწყვეტილების საფუძველს წარმოადგენენ.

საქართველოში

საჯარო ადმინისტრაციული წარმოების საფუძველზე გამოცემული ადმინისტრაციული აქტი (ანუ, ამ შემთხვევაში გარემოსდაცვითი ნებართვა ან გადაწყვეტილება ნებართვის არ-გაცემის შესახებ) აუცილებლად უნდა გამოქვეყნდეს[111]. გამოქვეყნების გარეშე იგი ძალაში არ შედის. აქტი ძალაში შედის როგორც წესი მისი გამოქვეყნების დღეს[112].

<u>სწრაფი ინფორმირება:</u>
სწრაფი ინფორმირება ნიშნავს, რომ ინფორმაცია ხელმისაწვდომი უნდა გახდეს რაც შეიძლე-

[110] საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, მუხლი 96
[111] იქვე, მუხლი 121
[112] იქვე, მუხლი 54

ბა სწრაფად გადაწყვეტილების მიღებიდან და აუცილებლად მანამდე, ვიდრე რაიმე საქმიანობა დაიწყება. ეს აუცილებელი პირობაა იმისათვის, რომ, თუ ჩვენ გადაწყვეტილებას არ ვეთანხმებით, შესაძლებლობა მოგვეცეს იგი დროულად გავასაჩივროთ.

ინფორმირების გზები:

ჩვეულებრივ, დაინტერესებული მხარეებისათვის ამ ინფორმაციის წარდგენის ყველაზე შესაბამისი გზა იგივე საშუალებების გამოყენებაა, რომლითაც შეტყობინებები ვრცელდებოდა პროცესის მსვლელობის დროს.

საქართველოში

გადაწყვეტილების ტექსტის გამოქვეყნება

ადმინისტრაციული აქტი (დასაბუთებითურთ) უნდა გამოქვეყნდეს შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანოს ოფიციალურ ბეჭდვით ორგანოში. თუ ასეთი არ არსებობს, ადმინისტრაციული აქტი უნდა გამოქვეყნდეს ბეჭდვით ორგანოში, რომელიც ვრცელდება ადმინისტრაციული ორგანოს მთელ სამოქმედო ტერიტორიაზე და გამოიცემა კვირაში ერთხელ მაინც[113].

მძიმე ფინანსური რეალობიდან გამომდინარე ადმინისტრაციულმა ორგანოებმა შეიძლება ვერ მოახერხონ ადმინისტრაციული აქტების ბეჭდვით პრესაში განთავსება (განსაკუთრებით, თუკი ადმინისტრაციული აქტი, თავისი დასაბუთებითურთ, საკმაოდ მოცულობითია). ამ შემთხვევაში კანონი უშვებს ადმინისტრაციული აქტის საჯაროდ გამოცხადებას. ეს ნიშნავს მის განთავსებას ადმინისტრაციულ ორგანოში საზოგადოებისათვის იოლად ხელმისაწვდომ ადგილას[114]. თუკი ეს არ ხერხდება, ადმინისტრაციული აქტი საჯარო შეკრებების ადგილას უნდა გამოიკრას, რათა, საბოლოო ჯამში, უზრუნველყოფილი იქნას ყველა დაინტერესებული პირისათვის მისი შეუფერხებლად გაცნობის შესაძლებლობა.

გადაწყვეტილების შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნება

გარემოსდაცვითი ნებართვის გაცემის, მასში ცვლილებების შეტანის, განახლების, შეჩერების ან გაუქმების შესახებ ინფორმაცია უნდა გამოქვეყნდეს „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში" გადაწყვეტილების მიღებიდან 10 დღის განმავლობაში[115].

დასაბუთება:

მხოლოდ გადაწყვეტილების ტექსტის გამოქვეყნება არ არის საკმარისი. აქვე უნდა იყოს ნაჩვენები, რომ ეს არ არის შემთხვევითი არჩევანი. საჯარო დაწესებულებამ უნდა დაასაბუთოს, თუ **რატომ იქნა არჩეული კერძოდ ეს ვარიანტი**, რაშია მისი უპირატესობები და ძლიერი მხარეები. დასაბუთების მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს პასუხი საზოგადოების შენიშვნებზე. აქ უნდა იყოს მითითებული:

- მიღებული შენიშვნების ტიპები;
- რა გზით იქნა მიღებული შენიშვნები;
- როგორ გადაიჭრა ისინი;
- როგორ აისახა ისინი გადაწყვეტილებაში.

საქართველოში

ადმინისტრაციული აქტის სავალდებულო შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს მისი დასაბუთება[116]. აქ მიეთითება როგორც საკანონმდებლო საფუძველი, ასევე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ შესწავლილი თუ გამოკვლეული ყველა სხვა ფაქტობრივი გარემოება, რომელსაც არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა ამ აქტის გამოცემისას.

2.2.3.7 გარემოსდაცვით გადაწყვეტილებათა კავშირი სხვა გადაწყვეტილებებთან ამავე საქმიანობაზე

გარემოსდაცვითი კუთხით საქმიანობის განხილვა და ალტერნატივების შერჩევა შედეგიანია მხოლოდ მაშინ, თუ იგი ამ საქმიანობაზე სხვა გადაწყვეტილებების პარალელურად მიმდინარეობს (მაგ. მიწის გამოყოფა, ნებართვა მშენებლობაზე, ნებართვა რესურსების მოხმარებაზე, ნებართვა ემისიებზე, ნებართვა კომუნიკაციებზე შეერთებაზე და სხვა) სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, გარემოსდაცვით შეფასებასა და განხილვას საქმიანობის უკვე ჩამოყალიბებული პროექტი კი არ უნდა გადიოდეს, არამედ **პროექტის ჩამოყალიბება** (ზუსტი ადგილმდებარეობის განსაზღვრა, ტექნოლოგიის შერჩევა, ტექნიკური დოკუმენტაციის შემუშავება) **გარემოსდაცვითი საკითხების განხილვის პარალელურად და მათი გათვალისწინებით უნდა ხდებოდეს**. საზოგადოების ჩართვა და მისი აზრის გარკვევა და გათვალისწინებაც სწორედ ასეთ პირობებშია ყველაზე ეფექტური. შედეგად, იზოგება ინვესტორის თანხები, დამპროექტებლის დრო და საბოლოო პროექტიც უფრო მისაღებია საზოგადოებისათვის.

ქვემოთ სქემაზე მოყვანილია საქმიანობაზე სხვადასხვა გადაწყვეტილებების მიღების სწორად აწყობილი პროცესი.

[113] საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, მუხლი 56
[114] იქვე, მუხლი 57
[115] საქართველოს კანონი სამეწარმეო საქმიანობის ლიცენზირებისა და ნებართვის გაცემის საფუძვლების შესახებ, მუხლი 20
[116] საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, მუხლი 53

სქემა 5. სწორად აწყობილი გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების პროცესი



საქართველოში

სამწუხაროდ, ეს სფერო უაღრესად მოუწესრიგებელია. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღება მიმდინარეობს ამ საქმიანობის შესახებ სხვა გადაწყვეტილებების მიღებისაგან (მიწის გამოყოფა, ტექნოლოგიის შერჩევა და დამტკიცება, სანიტარული მოთხოვნების დამტკიცება) დამოუკიდებლად. როგორც აღვნიშნეთ, გზშ-ს სტადია პრაქტიკულად არ რეგლამენტირდება, ხოლო სეე-სტადიის დასაწყებად, ინვესტორმა წინასწარ უნდა მოიტანოს შეთანხმება ყველა სხვა უწყებიდან[117]. გასაგებია, რომ პროექტში რაიმე ცვლილების შეტანა (ან ნებართვის არ-გაცემა) პრაქტიკულად უკვე შეუძლებელია. უფრო მეტიც, რადგან მეწარმეს ამ საქმიანობისათვის მიწის ნაკვეთი უკვე ოფიციალურად აქვს გამოყოფილი, ხშირად იგი გარემოსდაცვით ნებართვის მიღებამდე მოსამზადებელ სამშენებლო სამუშაოებსაც კი იწყებს. ამ პირობებში შეუძლებელი ხდება გარემოსდაცვითი მოთხოვნების გამო პროექტის ადგილმდებარეობის შეცვლაზე საუბარი.

[117] საქართველოს კანონი გარემოსდაცვითი ნებართვის შესახებ, მუხლი 5

საქართველოში

2.2.3.7.1 საქმიანობაზე მისაღებ სხვადასხვა გადაწყვეტილებათა ურთიერთკავშირი

გარემოზე მნიშვნელოვანი ზემოქმედების მქონე საქმიანობებთან დაკავშირებით სხვადასხვა გადაწყვეტილებათა ურთიერთდამოკიდებულება სქემატურად წარმოდგენილია ქვემოთ. ამ და კარგად ორგანიზებული პროცესის სქემის (იხ. ზემოთ) შედარებისას ჩანს, რომ საქართველოში გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების პროცესის ორგანიზების **ძირითადი ნაკლოვანება** საქმიანობაზე **ძირითად გადაწყვეტილებათა (მიწის გამოყოფა, მშენებლობის ნებართვა, საქმიანობის ნებართვა) მიღების არაკოორდინირებულობაა**. საინტერესოა, რომ სამივე პროცესი გარკვეულ ეტაპზე ითვალისწინებს საზოგადოების მონაწილეობას. ჯამში, პროცედურა საკმაოდ გრძელია, საზოგადოების მონაწილეობის ეფექტი კი სამწუხაროდ სათანადო არ არის.

საჭიროა ზეწოლა სათანადო ორგანოებზე, რათა მოხდეს ამ პროცედურების დაახლოება და საბოლოო შერწყმა. ეს მეწარმესაც გაუმარტივებს ცხოვრებას და საზოგადოების მონაწილეობასაც უფრო ეფექტურს და შედეგიანს გახდის.

საინტერესოა, რომ რეალობაში, მიუხედავად იმისა, რომ კანონი ამას არ ითხოვს, ხშირად ინვესტორი, ან საქმიანობის ინიციატორი, გზშ-ს შემუშავებამდე წინასწარ მიმართავს სამინისტროს საქმიანობის განზრახვის შეფასების თხოვნით. გასაგებია, რომ თავად ინვესტორსაც არ აწყობს თანხების და დროის ფუჭად ხარჯვა, თუკი საბოლოოდ უარყოფითი პასუხი შეიძლება მიიღოს და ამიტომ ცდილობს წინასწარ დაზვეროს სიტუაცია და შეათანხმოს პოზიციები. ამგვარი შემთხვევის მაგალითი იხილეთ სახელმძღვანელოს დანართ IVგ-ში

სქემა 6. გარემოზე ზემოქმედების მქონე საქმიანობასთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებათა მიღება საქართველოში



მაგალითი

გადაწყვეტილების მიღება ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ტრანსასაზღვრო ნავთობსადენის საქართველოს მონაკვეთის შესახებ.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში გზშ-ს პროცედურა სათანადოდ დარეგულირებული არ იყო, ტრანსასაზღვრო ნავთობსადენის ინვესტორმა (BTC Co), აპირებდა რა პროექტის გასახორციელებლად სესხის აღებას მსოფლიო ბანკის ევროპის განყოფილებიდან, ამ საერთაშორისო ორგანიზაციის წესებით იხელმძღვანელა და შეეცადა გზშ-ს პროცესის ყველა სტადია სრულფასოვნად განეხორციელებინა, მ.შ. საზოგადოების მონაწილეობის უზრუნველყოფაც. დაინტერესებული საზოგადოების გამოვლენა მოხდა სკოპინგის ეტაპზევე. მსურველებს მიეწოდათ ამომწურავი ინფორმაცია, მთელი პროცესის განმავლობაში რეგულარულად ტარდებოდა საჯარო მოსმენები და განხილვები.

ინვესტორის ამ ძალისხმევამ შედეგი არ გამოიღო. საბოლოო გადაწყვეტილებამ საზოგადოების უდიდესი უკმაყოფილება გამოიწვია და საჭირო გახდა ქვეყნის პრეზიდენტის უხეში ზეწოლა გარემოს დაცვის მინისტრზე, რათა საქმიანობაზე გაცემულიყო გარემოსდაცვითი ნებართვა. ვფიქრობთ, რომ ამის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი იყო პროექტში საქართველოს წარმომდგენი მხარის, საქართველოს საერთაშორისო ნავთობის კორპორაციის (GIOC) მიერ ძირითადი პრობლემური საკითხის – ნავთობსადენის ზუსტი მარშრუტის დადგენა არათუ საზოგადოების ყოველგვარი მონაწილეობის გარეშე, არამედ, ვითომდა პოლიტიკური და უშიშროების მიზეზების გამო, სრული გასაიდუმლოების პირობებში.

ამგვარი გაუმართლებელი მიდგომის შედეგია ის, რომ:

1) ნავთობსადენი საქართველოში გადის გარემოსდაცვითი თვალსაზრისით უაღრესად სენსიტიურ უბნებზე (მტკნარი წყლის უმდიდრესი მარაგი წალკის რაიონში და მინერალური წყლებით განთქმული ბორჯომის ხეობის ზედა შესართავი);
2) შერჩეული მარშრუტი უაღრესად ძვირი და რთულია მშენებლობისათვის (მეწყერსაშიში კოდიანას მონაკვეთი, სადაც მშენებლებს ნავთობსადენის ჩადება 23 მეტრის სიღრმეზე უხდება), მაშინ, როდესაც ალტერნატიული მარშრუტი გაცილებით იოლი და იაფი შეიძლება ყოფილიყო;
3) ნავთობსადენის მშენებლობა საზოგადოების უკმაყოფილებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ სასამართლოსა და მსოფლიო ბანკის განყოფილებებში მის წინააღმდეგ აღძრული საჩივრების ფრიად არახელსაყრელ ფონზე მიმდინარეობს;
4) ჩამოყალიბდა საზოგადოების უარყოფითი დამოკიდებულება ნავთობსადენისადმი, რამაც მომავალში ნავთობსადენის ოპერატორს სირთულეები შეიძლება შეუქმნას.

2.2.3.8 საზოგადოების მონაწილეობა ბიოუსაფრთხოების სფეროში გადაწყვეტილების მიღების პროცესში

<u>რა სახის გადაწყვეტილებები?</u>

უკანასკნელი ორი ათწლეულის განმავლობაში გენეტიკური ინჟინერიის გამოყენებამ ლაბორატორიებიდან და ინსტიტუტებიდან ფერმერების მინდვრებსა და ადგილობრივი მაღაზიების თაროებზე გადაინაცვლა.

მთელი ევროპის ფარგლებში ეს საკითხი ამჟამად მწვავე დისკუსიების საგანს წარმოადგენს: ბიოტექნოლოგიების ექსპერტები ამ ტექნოლოგიების საჭიროებას ასაბუთებენ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გაცილებით მაღალი მოსავლიანობის პერსპექტივებით, ფარმაცევტული წარმოების საჭიროებებით, პროგრესის მოთხოვნილებებით. მათი ოპონენტები კი ისეთ საკითხებს აყენებენ წინა პლანზე, როგორიცაა ეთიკური ნორმები, რელიგისთან კავშირი, ადამიანის ჯანმრთელობის უსაფრთხოება და ის შედეგები, რომლებიც შესაძლოა ბიომრავალფეროვნებაზე მოახდინონ გენმოდიფიცირებულმა მცენარეებმა და ცხოველებმა, ადგილობრივი ფერმერების მულტინაციონალური კორპორაციების დამოკიდებულებაში მოქცევა და სხვა.

ორჰუსის კონვენცია არ განიხილავს ბიოტექნოლოგიის უპირატესობებსა თუ ნაკლოვანებებს.

საკითხი მარტივია: გენეტიკურად მოდიფიცირებული ორგანიზმების ზემოქმედების შედეგები გრძელვადიანია. მიუხედავად იმისა, რომ არსებობს მინიშნებანი მათ უსაფრთხოებაზე, მაინც არის იმის შესაძლებლობა, რომ გრძელვადიან პერსპექტივაში მათ უარყოფითი ზემოქმედება მოახდინონ გარემოზე და ადამიანის ჯანმრთელობაზე. ასეთ შემთხვევებში ***გამოიყენება სიფრთხილის პრინციპი: სანამ საწინააღმდეგო დამტკიცდება, მიჩნეულ უნდა იქნას, რომ არსებობს საზიანო ზემოქმედების მოხდენის შესაძლებლობა.***

ამგვარად, ***გენეტიკურად მოდიფიცირებული ორგანიზმების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას სრულფასოვანი საზოგადოების მონაწილეობა აუცილებელია.***

ორჰუსის კონვენციის მუხლი 6.11 ადგენს, რომ მხარეებმა, რამდენადაც ეს შესაძლებელია და მიზანშეწონილია, უნდა გამოიყენონ კონვენციის მე-6 მუხლის დებულებანი გენეტიკურად მოდიფიცირებული ორგანიზმების გარემოში განზრახ გაშვე-

ბაზე ნებართვის გაცემისას.

სამწუხაროდ, ორჰუსის კონვენციის ტექსტის მომზადებისას ევრო-კავშირის დირექტივები გენეტიკურად მოდიფიცირებული ორგანიზმების წინასწარგანზრახული გაშვების (დარგვა), ბაზარზე მოთავსების (გაყიდვა) და შეზღუდული გამოყენების (კვლევა შეზღუდვის ღონისძიებების ქვეშ) შესახებ 1998 წელს შესწორების ფაზაში იყო და ამიტომ, ორჰუსის კონვენციის 6.11 მუხლის ზემოთ მოყვანილი დებულება საკმაოდ ბუნდოვანი გამოვიდა. კონვენციის მხარე ქვეყნებმა გადაწყვიტეს მას მოგვიანებით დაბრუნებოდნენ და სახელმწიფო ორგანოებისათვის ამ საკითხზე დამატებითი სახელმძღვანელო მითითებები მოემზადებინათ.

კონვენციის მხარეთა შეხვედრაზე ამისათვის სამუშაო ჯგუფი ჩამოყალიბდა. სამუშაო ჯგუფმა ***შეიმუშავა სახელმძღვანელო მითითებები გენეტიკურად მოდიფიცირებული ორგანიზმების შესახებ საზოგადოების მონაწილეობაზე გადაწყვეტილების მიღებასა და ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის შესახებ***. ამჟამად ჯგუფი მუშაობს კონვენციის ტექსტის განმარტებაზე.

სამუშაო ჯგუფის მითითებების თანახმად ქვეყნებმა შემდეგი ქმედებები უნდა განახორციელონ:

1. თითოეულმა ქვეყანამ უნდა მიიღოს გენეტიკურად მოდიფიცირებული ორგანიზმების მარეგულირებელი **კანონმდებლობა** (დღეისათვის, კარტაჰენას ბიოუსაფრთხოების ოქმის განხორციელების ფარგლებში გლობალური გარემოსდაცვითი ფონდის პროექტის მეშვეობით მიმდინარეობს ასეთი კანონმდებლობისა და პრაქტიკული ინსტიტუციური მოწყობის შემუშავება ქვეყნებისათვის).
2. ეროვნული კანონმდებლობა უნდა შეიცავდეს **ნათელ დებულებებს იმის შესახებ, თუ როგორ შეუძლია საზოგადოებას მონაწილეობა მიიღოს** გენეტიკურად მოდიფიცირებული ორგანიზმების სხვადასხვა გამოყენებასთან დაკავშირებით ნებართვების გაცემის პროცესში.

ქვეყნებმა რაც შეიძლება სრულად უნდა გამოიყენონ ორჰუსის კონვენციით დადგენილი პრინციპები საზოგადოების მონაწილეობის შესახებ დებულებების შემუშავებისა და გამოყენებისას.

მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა

თავი 3

თავი 3. მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა

უფლების რეალიზაციისათვის მისი მხოლოდ დეკლარირება საკმარისი არ არის – მას თან უნდა ახლდეს მისი დაცვის მექანიზმი. ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილეობის და ზოგადად, სუფთა გარემოში ცხოვრების უფლებები გამონაკლისი არ არის – მათაც ძლიერი კანონაღსრულების მექანიზმები სჭირდება დასაცავად. მაგრამ, ეს დაცვის მექანიზმები თავისთავად არ იმოქმედებს. ისინი იმუშავებს მხოლოდ მაშინ, თუ ჩვენ მათ **რეგულარულად გამოვიყენებთ**.

ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის, კავკასიისა და შუა აზიის რეგიონისათვის გარემოსდაცვითი სასამართლო საქმეები მაინცდამაინც დამახასიათებელი არ არის. ამ რეგიონის მოსახლეობას სასამართლო მაინცდამაინც არ უყვარს და მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში მიმართავს მას. მიზეზი ერთის მხრივ სასამართლო პროცესის ხანგრძლივობაა და მეორეს მხრივ, არასაკმარისი ნდობა სასამართლოსადმი. სასამართლო მომსახურების ბაჟი და ადვოკატის ფასი აგრეთვე დამაბრკოლებელი ფაქტორია. დამატებით, რა დასამალია და, მოსამართლეები ხშირად სათანადოდ არ იცნობენ გარემოსდაცვით კანონმდებლობას და არც თუ იშვიათად, მათი გადაწყვეტილებანი ამ სფეროში სტანდარტებს ნამდვილად არ შეესაბამება.

მიუხედავად ამისა, ბოლო პერიოდში სულ უფრო და უფრო მატულობს ამ რეგიონში საჯარო ორგანოების წინააღმდეგ მიმართული გარემოსდაცვითი ადმინისტრაციული სასამართლო საქმეების რაოდენობა. მიზეზი ალბათ ისაა, რომ ადმინისტრაციული საქმეები, როგორც წესი, უფრო სწრაფად მიმდინარეობს, და მომსახურების ფასებიც უფრო დაბალია.

სინამდვილეში არც ისე რთულია, მაგალითად ინფორმაციის ხელმისაწვდომობის შესახებ საქმის მოგება. როცა კანონი ამბობს, რომ ინფორმაცია უნდა გაიცეს და ადგენს ამისათვის კონკრეტულ ვადებს, მოსამართლისათვის ყველაფერი აშკარა და გასაგებია და ჭოჭმანისათვის ადგილი არ რჩება. ამგვარ პროცესს ორმაგი შედეგი აქვს: ერთი, რომ თქვენ მიიღებთ იმ ინფორმაციას, რასაც ითხოვდით, და მეორე, რაც უფრო მნიშვნელოვანიც კი შეიძლება იყოს – თქვენ ქმნით პრეცედენტს, რომელიც უიოლებს საკითხს სხვა, თქვენს მსგავს სიტუაციაში მოხვედრილ ადამიანებს. გარდა ამისა, თავად ის ორგანოც, რომლის წინააღმდეგაც აღძარით საქმე, თანდათანობით ჭკუას ისწავლის და მიხვდება, რომ უფრო იოლია უბრალოდ მოგცეთ ინფორმაცია, ვიდრე ყოველ ჯერზე სასამართლოში ჰქონდეს საქმე.

3.1 რისი გასაჩივრების უფლებას გვაძლევს ორჰუსის კონვენცია

არსებობს დარღვევათა სამი კატეგორია, რომელთა გასაჩივრების უფლებას იძლევა ორჰუსის კონვენციის მე-9 მუხლი:

- **ინფორმაციის ხელმისაწვდომობის** უფლების დარღვევა;
- გადაწყვეტილების მიღებაში **მონაწილეობის** უფლების დარღვევა;
- ეროვნული **გარემოსდაცვითი კანონმდებლობის** დარღვევა.

3.1.1 ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლების დარღვევა

ორჰუსის კონვენცია, მუხლი 9.1

ნებისმიერ პირს უნდა შეეძლოს გაასაჩივროს საჯარო დაწესებულების მიერ:

- ინფორმაციის მისი **მოთხოვნის იგნორირება**;
- **უსაფუძვლო უარი** მისთვის ინფორმაციის გაცემაზე;
- მისთვის **არასათანადო ინფორმაციის** მოწოდება;
- კონვენციის მე-4 მუხლით მისთვის მინიჭებულ უფლებათა სხვაგვარად დარღვევა

საქართველოში

თქვენ შეგიძლიათ გაასაჩივროთ საჯარო დაწესებულების მიერ ჩადენილი შემდეგი დარღვევები:

- თქვენი წერილობითი განცხადება ინფორმაციის მოთხოვნაზე არ მიიღეს, ან არ გაატარეს რეგისტრაციაში (იხ. სექცია 1.2.3.2.5);
- ინფორმაციის მოთხოვნაზე საერთოდ არ გაგცეს პასუხი (იხ. სექცია 1.3.1.1);
- მოგაწოდეს არასრული, არასწორი ან არასათანადო ინფორმაცია (არასათანადო პასუხის გაცემა იგივეა, რაც პასუხის არგაცემა);
- ინფორმაცია არ გაიცა დადგენილ ვადებში (ვადები იხ. 1.3.1.1 სექციაში);
- არ მოგცეს დოკუმენტის დედანში გაცნობის საშუალება ან სათანადო წესით დამოწმებული მისი ასლი (იხ. გვ. 19);
- ინფორმაციის გაცემაზე უარი გითხრეს და 3 დღის ვადაში წერილობით არ განგიმარტეს მიზეზები, თქვენი უფლებები და გასაჩივრების წესი (იხ. სექცია 1.3.2.3);

საქართველოში

- ინფორმაცია, რომელსაც თქვენ ითხოვთ, არამართებულად არის დასაიდუმლოებული (ინფორმაციის დასაიდუმლოების კანონიერი მიზეზები იხ. 1.3.2.1 სექციაში);
- თქვენ უარი გითხრეს საიდუმლო ინფორმაციის მოწოდებაზე, რომელზეც არსებობს საფუძვლიანი ეჭვი, რომ მისი გაცნობის საზოგადოებრივი ინტერესი აღემატება ინფორმაციის საიდუმლოდ შენახვის ინტერესს (იხ. სექცია 1.3.2.2.3);
- არ მოგცეს ინფორმაცია გარემოში ემისიების შესახებ მისი კონფიდენციალურობის საბაბით (იხ. სექცია 1.3.2.2.1)
- ინფორმაციის გაცემისათვის მოთხოვნილ იქნა იმაზე მეტი საფასური, ვიდრე საჭიროა ასლის გადაღების ხარჯის დასაფარავად (იხ. სექცია 1.3.1.2);
- და სხვა.

3.1.2 მონაწილეობის უფლების დარღვევა

ORჰUSის კონვენცია, მუხლი 9.2

დაინტერესებული საზოგადოების[118] წარმომადგენელს უნდა შეეძლოს გაასაჩივროს ადმინისტრაციული ორგანოს ნებისმიერი გადაწყვეტილება, მოქმედება, ან უმოქმედობა, რომლითაც საზოგადოების გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობის უფლება დაირღვა.

საქართველოში

თქვენ (ნებისმიერ პირს[119]) შეგიძლიათ გაასაჩივროთ საჯარო დაწესებულების მიერ ჩადენილი შემდეგი დარღვევები:

- ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ განაცხადი არ გაკეთდა, ან გაკეთდა ისეთ ადგილას ან ისეთი ფორმით, რომ საზოგადოებამდე ინფორმაციას არ მიუღწევია (მაგალითად, ინფორმაცია გამოიკრა საჯარო დაწესებულებაში, მაგრამ ისეთ ადგილას, რომ არ იყო ყველასათვის ხელმისაწვდომი, იხ. სექციები 2.1.4 და 2.2.3.6.4);
- განაცხადი არ შეიცავდა სრულ ინფორმაციას (იხ. სექციები 2.1.5 და 2.2.3.6.5), მასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია არ იყო წარმოდგენილი, ან იყო არასრული, ან არ იყო ხელმისაწვდომი (იხ. სექციები 2.1.6 და 2.2.3.6.6);

საქართველოში

- საზოგადოების მონაწილეობა განხორციელდა მხოლოდ ბოლო ეტაპზე, როდესაც გადაწყვეტილების შესაძლო ვარიანტებს შორის არჩევანი უკვე შეზღუდული იყო (იხ. სექციები 2.1.2 და 2.2.3.6.3);
- არ გამოქვეყნდა ნორმატიული აქტის პროექტი (იხ. გვ. 39);
- საზოგადოებას არ ჰქონდა შენიშვნების წარდგენის საშუალება, ან არ იქნა დაცული შენიშვნების წარდგენისათვის დადგენილი ვადა (იხ. სექციები 2.1.7 და 2.2.3.1.3, აგრეთვე გვ. 62);
- საზოგადოების შენიშვნები (მ.შ. ანონიმური) არ მიიღეს ან არ გაატარეს რეგისტრაციაში (იხ. გვ. 62);
- დაინტერესებულ საზოგადოებას არ მიეცა ზეპირ მოსმენაზე დასწრებისა და მონაწილეობის საშუალება, ან კანონით დადგენილი წესით არ ეცნობა სხდომის ჩატარების თარიღის შესახებ (იხ. სექცია 2.2.3.1.3 და გვ. 59);
- დაინტერესებულ საზოგადოებას არ მიეცა ზეპირი მოსმენის სხდომის ოქმის გაცნობისა და შესწორების საშუალება, ან მისი შესწორება გათვალისწინებული არ იქნა (იხ. სექცია 2.2.3.1.3);
- დაინტერესებული საზოგადოების მიერ წარმოდგენილი შენიშვნები არ იქნა სათანადოდ გამოკვლეული და შესწავლილი (იხ. სექციები 2.1.8 2.2.3.6.7);
- გადაწყვეტილება ძალაში შევიდა მის გამოქვეყნებამდე, ან გამოქვეყნების გარეშე (იხ. სექცია 2.2.3.6.8);
- გადაწყვეტილება არ შეიცავს დასაბუთებას, ან დასაბუთება არ არის სათანადოდ არგუმენტირებული (იხ. სექცია 2.2.3.6.8);
- სხვა.

3.1.3 გარემოსდაცვითი კანონმდებლობის დარღვევა

ORჰUSის კონვენცია, მუხლი 9.3

გასაჩივრებას უნდა ექვემდებარებოდეს საჯარო დაწესებულების ან კერძო პირების მოქმედება ან უმოქმედობა, რომელიც გარემოს დაცვის ეროვნული კანონმდებლობის დებულებებს ეწინააღმდეგება.

[118] არასამთავრობო ორგანიზაციები, რომელთა მიზანს გარემოს დაცვა წარმოადგენს, განიხილებიან დაინტერესებულ საზოგადოებად. დეტალებისათვის იხ. სექციები 2.1.1 და 3.1.3.1.3, აგრეთვე განმარტებები მე-5 გვერდზე.

[119] როგორც ზემოთ, 2.2.3.1.3 სექციაში აღვნიშნეთ, საჯარო ადმინისტრაციულ პროცესში დაინტერესებულ მხარედ (დაინტერესებულ საზოგადოებად) მთელი საზოგადოება მიიჩნევა. შესაბამისად, მონაწილეობის უფლების დარღვევის გასაჩივრების უფლება ყველას აქვს.

საქართველოში

გარემოსდაცვით კანონმდებლობას სპეციალური ორგანოები იცავს (გარემოსდაცვითი ინსპექტორები, ტყის მცველები, ეგერები, პოლიცია). ამ კანონდებლობის დებულებათა დარღვევაზე დაწესებულია სხვადასხვა პასუხისმგებლობა. თუ დარღვევა უმნიშვნელოა, იგი კვალიფიცირდება **გადაცდომად** და დამრღვევს ეკისრება ადმინისტრაციული სახდელი (ჯარიმა, უფლების ჩამორთმევა. სასამართლოს, ან ზოგ შემთხვევაში, უშუალოდ ინსპექტორის მიერ). თუ დარღვევა მნიშვნელოვანია, იგი კვალიფიცირდება **დანაშაულად** და მის ჩამდენს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა ეკისრება. გარემოს დაცვის კანონმდებლობის დარღვევები და მათზე დაწესებული სახდელები და სასჯელები ჩამოთვლილია Vბ დანართში.

გარემოსდაცვითი კანონმდებლობის დამცავი ორგანოები ვალდებულნი არიან:

- თავად აღმოაჩინონ და აღმოფხვრან გარემოსდაცვითი კანონდარღვევები, და
- იქონიონ სათანადო რეაგირება, თუ ამგვარი კანონდარღვევის შესახებ მათ მოსახლეობა ატყობინებს.

3.1.3.1 ვის აქვს უფლება იჩივლოს?

ორჰუსის კონვენცია, მუხლი 9.3
საზოგადოებისწარმომადგენლებს უნდა შეეძლოთ საჯარო დაწესებულების, ან კერძო პირების მიერ ეროვნული გარემოსდაცვითი კანონმდებლობის დარღვევის გასაჩივრება ადმინისტრაციული ან სასამართლო გზით.

აქ იგულისხმება, რომ ნებისმიერ ადამიანს, ან იურიდიულ პირს, მიუხედავად იმისა, უშუალოდ მიადგა თუ არა მას ზიანი და შეილახა თუ არა მათი უფლებები და ინტერესები, უნდა შეეძლოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობის დარღვევათა გასაჩივრება.

ეს ორჰუსის კონვენციის ყველაზე რთული დებულებაა. რომ გავიგოთ, კერძოდ რაში მდგომარეობს მისი სირთულე, მოკლედ გავერკვეთ სასამართლო ხელისუფლების ფუნქციონირების ძირითად პრინციპებში.

3.1.3.1.1 სასამართლო ხელისუფლების მოქმედების ძირითადი პრინციპები

სასამართლო ხელისუფლების ფუნქციონირების ძირითადი პრინციპებია:

- სასამართლო არ იწყებს საქმეს თავისი ინიციატივით. იგი მხოლოდ არჩევს სხვათა მიერ დაყენებულ საკითხებს და როგორც წესი, მხოლოდ იმ ფარგლებში, რასაც მომჩივანი (ბრალმდებელი, მოსარჩელე) ითხოვს;
- სასამართლოში[122] საქმის აღძვრის უფლება აქვს **მხოლოდ**:
  - **სამართალდამცავ ორგანოებს;**
  - **დაინტერესებულ პირს**, ანუ მას, ვისაც მიადგა რაიმე ზიანი ან ვისი ინტერესებიც უშუალოდ შეილახა.

ეს ნიშნავს, რომ თქვენ (ადამიანს, ან იურიდიულ პირს) არ შეგიძლიათ მიმართოთ სასამართლოს განცხადებით იმის შესახებ, რომ ვიღაცამ სადღაც კანონი დაარღვია. სასამართლო ამგვარ განცხადებებს არ იღებს. ამგვარი განცხადებების ადრესატი სამართალდამცავი ორგანოებია (პოლიციელი, ინსპექტორი, ეგერი, ტყის მცველი, პროკურორი). თუ თქვენ გინდათ, რომ თქვენი განცხადება სასამართლომ განიხილოს, თქვენ უნდა დაასაბუთოთ თქვენი **ინტერესი** საკითხისადმი. ანუ ის, რომ **დაირღვა თქვენი რომელიმე კანონიერი უფლება**, ან **მოგადგათ რაიმე უშუალო ზიანი**, ან შეგელახათ კანონიერი ინტერესი.

უფრო მეტიც, სასამართლოში მიმართვისას თქვენ საერთოდ არ გჭირდებათ იმის მტკიცება, კანონიერი იყო თუ არა მეორე მხარის ქმედება. თქვენი ძირითადი მესეჯი სასამართლოსადმი სწორედ **თქვენი კანონიერი უფლების შელახვაა**. თუ მეორე მხარეც კანონის ფარგლებში მოქმედებდა, მაშინ სასამართლო თავად აყენებს საკითხს კანონის ორი დებულების ურთიერთწინააღმდეგობის შესახებ, დადგენილი პროცედურით (შესაძლოა ზემდგომ, ან კონსტიტუციურ სასამართლოში მიმართვის გზით) იხილავს და წყვეტს მას, და მხოლოდ ამის შემდეგ იღებს გადაწყვეტილებას თქვენს საქმეზე.

3.1.3.1.2 აბსტრაქტული სარჩელი

ორჰუსის კონვენციის ზემოთმოყვანილი დებულების განსაკუთრებულობა სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ იგი ითხოვს, **გარემოსდაცვითი კანონმდებლობის დარღვევისას, საზოგადოებისყველა წევრს**, მიუხედავად იმისა, მიადგა თუ არა მას უშუალო ზიანი, ან შეილახა თუ არა მისი კერძო ინტერესები, **ჰქონდეს ჩივილის საშუალება**[121].

იმ ქვეყნებში, რომლებიც ორჰუსის კონვენციის მხარეებს წარმოადგენენ და სადაც საერთაშორისო ხელშეკრულებებს (მათ შორის კონვენციას) კანონის ძალა აქვს, ორჰუსის კონვენციის ეს დებულება საკმარისი საფუძველია ამგვარი „აბსტრაქტული“ სარჩელების სასამართლოში წარსადგენად. საკმარისია თუ არა იგი იმისათვის, რომ სასამართლომ საქმე წარმოებაში მიიღოს, ჩვენ ჯერ არ ვიცით – მოგეხსენებათ, სასამართლო თავის დასკვნებს იძლევა მხოლოდ მას შემდეგ, რაც მას მიმართავენ. მსჯელობა იმის შესახებ, თუ რამდენად საკმარისია ორჰუსის კონვენციის ეს ნორმა და როგორ მუშაობს იგი ამა თუ იმ ქვეყნის საკანონმდებლო სივრცეში, შესაძლებელი გახდება მხოლოდ იმის შემდეგ, რაც თითოეულ ქვეყანაში **ვინმე შეეცდება მის გამოყენებას**.

ჩვენ აქ მიგითითებთ ორ ასპექტს, რომელიც

[120] აქ არ იგულისხმება საკონსტიტუციო სასამართლო. მის შესახებ დეტალურად იხ. 3.3.6 სექციაში
[121] ეს დებულება, გარკვეულწილად, საზოგადოებისათვის სამართალდამცავი ორგანოების ფუნქციების დელეგირებად შეიძლება ჩავთვალოთ.

შეიძლება დამატებით იქნას გამოყენებული გარემოსდაცვითი სარჩელის აღძვრისას თქვენი ინტერესის დასასაბუთებლად (თუმცა, ვიმეორებთ, ორჰუსის კონვენციის 9.3 მუხლის საფუძველზე თქვენ შეგიძლიათ შეეცადოთ წარადგინოთ სარჩელი სასამართლოში ან საჩივარი ადმინისტრაციულ ორგანოში[121] გარემოსდაცვითი კანონმდებლობის დარღვევის შესახებ ყოველგვარი საკუთარი ინტერესის დასაბუთების გარეშე). ესენია:

- მითითება არასამთავრობო ორგანიზაციების განსაკუთრებულ უფლებებზე (დაინტერესებული საზოგადოების ცნებიდან გამომდინარე);
- მითითება ადამიანის გარემოსდაცვით უფლებებზე.

3.1.3.1.3 დაინტერესებული საზოგადოება

ორჰუსის კონვენციამ კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი დააფუძნა: დაინტერესებული პირის ცნებას მან დაუპირისპირა „დაინტერესებული საზოგადოების“ ცნება (იხ. აგრეთვე სექცია 2.1.1).

ორჰუსის კონვენცია, მუხლი 2.5

დაინტერესებული საზოგადოება ნიშნავს საზოგადოებას, რომელსაც **ეხება ან შესაძლოა შეეხოს** გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებების მიღება ან რომელიც დაინტერესებულია გარემოს დაცვის სფეროში გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მონაწილეობით; არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც ხელს უწყობენ გარემოს დაცვას და პასუხობენ ეროვნული კანონმდებლობის ყველა მოთხოვნას, განიხილებიან როგორც დაინტერესებული სუბიექტები.

ამ განმარტების თანახმად, ნებისმიერი არასამთავრობო ორგანიზაცია, რომლის საქმიანობის მიზანია გარემოს დაცვა, განიხილება დაინტერესებულ საზოგადოებად. ეს მათ საშუალებას აძლევს აღძრან გარემოსდაცვით საკითხებზე სარჩელი სასამართლოში იმ შემთხვევაშიც კი, თუ სადაო საკითხი უშუალოდ მათ არ ეხებათ და არც რაიმე პირდაპირ და უშუალო (ინდივიდუალურ) ზიანს აყენებს მათ[122].

საქართველოში

სასამართლო პრაქტიკა

2003 წლის 17 მაისს, ასოციაცია „მწვანე ალტერნატივამ“ სარჩელი აღძრა მოპასუხეების: გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსა და ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანიის მიმართ, 2002 წლის 30 ნოემბერს სამინისტროს მიერ კომპანიაზე გაცემული ნავთობის ტრანსპორტირების გარემოსდაცვითი ნებართვის ბათილად ცნობის მოთხოვნით.

თავის საპროცესო უფლებაუნარიანობას ამ საქმეში ასოციაცია ასაბუთებდა სწორედ ორჰუსის კონვენციის 2.5 მუხლზე მითითებით, რომლის მიხედვითაც გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაცია მიიჩნევა „დაინტერესებულ საზოგადოებად“.

ეს დასაბუთება საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ თბილისის საოლქო სასამართლოს **საქმე წარმოებაში მიიღო**. თუმცა თავად სარჩელი მან არ დააკმაყოფილა.

3.1.3.1.4. ადამიანის გარემოსდაცვითი უფლებები

ბევრი ქვეყნის კანონმდებლობა ადგენს ადამიანის განუყოფელ უფლებად სუფთა, ჯანსაღ, ან უსაფრთხო გარემოში ცხოვრებას. რიგ ქვეყნებში სასამართლო პრაქტიკამ აჩვენა, რომ შესაძლებელია საქმეში საკუთარი ინტერესის დასაბუთება ამ უფლებაზე აპელირებით.

სასამართლო პრაქტიკა: გაერთიანებული სამეფოს მაგალითი[124]

1993 წლის დეკემბერში გაერთიანებული სამეფოს სახელმწიფო მდივანმა, მოსახლეობის ეკონომიკური და სოციალური ინტერესების დაკმაყოფილების მიზნით, ლაპელ-ბენკის ჭაობებზე, რომელიც გადამფრენი ფრინველების შესვენებისა და გამრავლების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ადგილს წარმოადგენდა, ბუნების დაცვის რეჟიმი გააუქმა.

ამ გადაწყვეტილების წინააღმდეგ საქმე აღძრა ბრიტანულმა არასამთავრობო ორგანიზაციამ „ფრინველთა დაცვის სამეფო საზოგადოება“ (RSPB). საქმე ორგანიზაციამ აღძრა არა რაიმე საკუთარი კერძო ინტერესის, ან მისდამი მიყენებული კონკრეტული ზიანის საფუძველზე, არამედ ***სუფთა გარემოში ცხოვრების უფლებისა*** და ამ ***გარემოს დაცვის*** მისი ***ვალდებულების*** საფუძველზე.

სასამართლომ ეს დასაბუთება ორგანიზაციის „საკმარის ინტერესად“ მიიჩნია და ***საქმე წარმოებაში მიიღო***.

საქმე სხვადასხვა ინსტანციაში მიმდინარეობდა 3 წლის მანძილზე. არასამთავრობო ორგანიზაციამ საბოლოო ჯამში საქმე მოიგო. თუმცა, სამწუხაროდ, არ დაკმაყოფილდა მისი მოთხოვნა სარჩელის

[122] თუ კანონდამრღვევი მისი ქვემდგომი ადმინისტრაციული ორგანოა

[123] ეს ბოლო დებულება **მხოლოდ საქართველოსათვის** არის ჭეშმარიტი! საქმე იმაშია, რომ კონვენციის 9.2 მუხლის ოფიციალური თარგმანი მნიშვნელოვნად განსხვავდება ორიგინალისაგან და იგი არასამთავრობო ორგანიზაციებს აძლევს მეტ უფლებებს, ვიდრე თავად კონვენციის ტექსტი გულისხმობს. კერძოდ, თარგმანს აკლია ტექსტი, სადაც მითითებულია, რომ კონვენცია არასამთავრობო ორგანიზაციებს სასამართლოში დაშვების განსაკუთრებულ უფლებებს მხოლოდ კონვენციის მე-6 მუხლით გათვალისწინებულ უფლებათა დარღვევის მიმართებაში აძლევს (იხ. აგრეთვე სექცია 3.1.2).

ვინაიდან ოფიციალური თარგმანი რატიფიცირებულია საქართველოს პარლამენტის მიერ, იგი ძალაშია საქართველოს ტერიტორიაზე მიუხედავად იმისა, რომ იგი კონვენციის ოფიციალური ტექსტისაგან განსხვავდება

[124] Handbook on Access to Justice under the Aarhus Convention, REC-CEE 2003, p.207, UK Case 1

უზრუნველყოფის შესახებ (იხ. 3.3.5.3 სექცია) და საბოლოო განაჩენის გამოტანის მომენტისათვის (1996 წლის ივლისი) ლაპელ-ბენკის ჭაობები განადგურებული იყო.

სასამართლო პრაქტიკა: სლოვენიის მაგალითი[125]

1995 წელს სლოვენიის არასამთავრობო ორგანიზაციამ „სლოვენიის ეკოლოგთა კავშირი" (Drustvo Ekologov Slovenije) მიმართა საკონსტიტუციო სასამართლოს ბლედის ტბის მახლობლად საწარმო ზონის განვითარების გეგმის არაკონსტიტუციურობის შესახებ.
საკონსტიტუციო სასამართლომ სარჩელი დააკმაყოფილა. მაგრამ ყველაზე საინტერესო იყო დასკვნა, რომელიც სასამართლომ განსჯადობის განხილვისას გამოიტანა: მან დაასკვნა, რომ სუფთა საცხოვრებელი გარემოს უფლებიდან გამომდინარე **ყველას გააჩნია ინტერესი გარემოს დაცვისადმი** (ანუ შეუძლია აღძრას შესაბამისი სარჩელი სასამართლოში) და ეს ინტერესი მხოლოდ ახლომახლო ტერიტორიით არ შემოიფარგლება.

3.1.3.1.5 რა შეიძლება მოვიმოქმედოთ გარემოსდაცვითი კანონმდებლობის დარღვევისას?

საქართველოში

თუ თქვენ ვისიმე მხრიდან გარემოსდაცვითი კანონმდებლობის დარღვევის აღკვეთა გსურთ, თქვენ შეგიძლიათ[126]:

- მიმართოთ გარემოსდამცველ ორგანოებს (სექცია 3.2.2); ეს ორგანოები ვალდებულნი არიან გადაამოწმონ მიღებული ინფორმაცია და თუ იგი სწორია, აღძრან საქმე კანონდამრღვევის წინააღმდეგ. თუ მათ ეს არ მოიმოქმედეს, მიმართეთ პროკურორს;
- თუ კანონს ადმინისტრაციული ორგანო არღვევს, შეგიძლიათ წარადგინოთ ადმინისტრაციული საჩივარი ზემდგომ ორგანოში (სექცია 3.2.1), ან სარჩელი სასამართლოში (სექცია 3.3). ორივე შემთხვევაში უნდა დაასაბუთოთ თქვენი ინტერესი საქმისადმი (სექცია 3.1.3.1), ან მიუთითოთ ორჰუსის კონვენციის 9.3 მუხლით საზოგადოებისათვის მინიჭებულ უფლებაზე;
- თუ კანონს კერძო პირი არღვევს, შეგიძლიათ წარადგინოთ სარჩელი სასამართლოში (სექცია 3.3). ამ შემთხვევაშიც უნდა დაასაბუთოთ თქვენი ინტერესი საქმისადმი (იხ. ზემოთ), ან მიუთითოთ ორჰუსის კონვენციის 9.3 მუხლით საზოგადოებისათვის მინიჭებულ უფლებაზე;

საქართველოში

- თუ მიგაჩნიათ, რომ კონსტიტუციით თქვენთვის მონიჭებული უფლებები ილახება, ან შეიძლება შეილახოს ნორმატიული აქტით (საერთაშორისო შეთანხმებით, კანონით, დებულებით, ინსტრუქციით), შეგიძლიათ მიმართოთ საკონსტიტუციო სასამართლოს (სექცია 3.3.6);
- თუ მიგაჩნიათ, რომ რომელიმე სახელმწიფო ორგანო, ან იურიდიული პირი არღვევს ადამიანის უფლებებს (თქვენსას ან სხვისას), შეგიძლიათ მიმართოთ სახალხო დამცველს (სექცია 3.2.3)

3.2 თუ სასამართლოსთვის მიმართვა არ გსურთ

ორჰუსის კონვენციით მინიჭებული უფლებების დაცვა თქვენ სასამართლოს გარეშეც შეგიძლიათ. კერძოდ, თუ თქვენს უფლებებს (მათ შორის უფლებას ინფორმაციაზე, გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილეობაზე, ან სუფთა გარემოში ცხოვრებაზე) ადმინისტრაციულო ორგანო არღვევს, თქვენ შეგიძლიათ:

- მიმართოთ ზემდგომ ორგანოს;
- მიმართოთ ომბუდსმენს.

თუ თქვენ გსურთ აღმოფხვრათ კერძო პირის მიერ გარემოსდაცვითი კანონმდებლობის დარღვევა, თქვენ შეგიძლიათ მიმართოთ:

- გარემოსდაცვით ორგანოებს;
- სამართალდამცავ ორგანოებს;
- პროკურორს.

3.2.1 გასაჩივრება ზემდგომთან

თუ თქვენ უკმაყოფილო ხართ ადმინისტრაციული ორგანოს ან თანამდებობის პირის ქმედებით, უმოქმედობით, ან მიღებული გადაწყვეტილებით, თქვენ შეგიძლიათ საჩივრით მიმართოთ მის ზემდგომ ინსტანციას.

საქართველოში

ადმინისტრაციული ორგანოს ნებისმიერი გადაწყვეტილება, ქმედება თუ უმოქმედობა შეიძლება გასაჩივრდეს ზემდგომ ინსტანციაში. ამ პროცედურას **ადმინისტრაციული საჩივარი** ეწოდება.

უპირატესობანი

ზემდგომ ინსტანციაში გასაჩივრებას მნიშვნელოვანი უპირატესობები გააჩნია:

- განხილვის პროცედურა სასამართლოსთან შედარებით ბევრად **სწრაფია**;
- პროცედურა **უფასოა**;
- შემდგომში ამავე საკითხზე სასამართლოში მიმართვისას თქვენ[127] თავისუფლდებით სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან.

[125] Handbook on Access to Justice under the Aarhus Convention, REC-CEE 2003, p.237
[126] იხ. აგრეთვე ამ წიგნის 3.2.2.1.1 სექცია
[127] ეს წესი არ ვრცელდება იურიდიულ პირებზე

საქართველოში

შეზღუდვები:

- **თქვენ გაქვთ მხოლოდ ერთი თვე საჩივრის შესატანად!** თუ თქვენ ადმინისტრაციული ორგანოს რაიმე გადაწყვეტილებას ასაჩივრებთ, ეს ვადა აითვლება გადაწყვეტილების გამოქვეყნებიდან, ან თქვენთვის მისი ოფიციალური გაცნობიდან. თუ თქვენ ადმინისტრაციული ორგანოს ქმედებას ან უმოქმედობას უჩივით, მაშინ ერთი თვე აითვლება იმ მომენტიდან, როდესაც თქვენთვის ამ ქმედებისა თუ უმოქმედობის ფაქტი ცნობილი გახდა.
- ზოგიერთ ადმინისტრაციულ ორგანოს, მაგალითად, ელექტროენერგიის, გაზის, კომუნიკაციების ტარიფების დამდგენ დამოუკიდებელ ეროვნულ კომისიებს **არ გააჩნია „ზემდგომი“**. მათი გადაწყვეტილება მხოლოდ სასამართლოში შეიძლება გასაჩივრდეს.
- ისევე, როგორც სასამართლოში (იხ. სექცია 3.1.3.1), თქვენ უნდა დაასაბუთოთ, რომ ხართ **დაინტერესებული პირი**, ანუ გაგაჩნიათ **კანონიერი ინტერესი** საკითხისადმი (გადაწყვეტილება ან ქმედობა ზღუდავს ან ლახავს თქვენს კანონიერ უფლებებს). ინფორმაციის ხელმისაწვდომობისა და გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილეობასთან დაკავშირებული კანონიერი ინტერესის შესახებ იხ. სექციები 3.1.1 და 3.1.2.
- თუ იგივე საკითხს იხილავს, ან **უკვე განიხილა** სასამართლომ, ან ზემდგომმა ადმინისტრაციულმა ორგანომ, ადმინისტრაციული ორგანო მას განსახილველად აღარ მიიღებს.

რა შედეგი მიიღწევა?

ადმინისტრაციული საჩივრის მეშვეობით შეგიძლიათ მიაღწიოთ შემდეგ შედეგს:

- სასურველი ინფორმაციის მიღებას;
- ადმინისტრაციული აქტის გაუქმებას ან ბათილად ცნობას;
- ახალი ადმინისტრაციული აქტის გამოცემას;
- ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან რაიმე მოქმედების შესრულებას ან თავის შეკავებას.

3.2.1.1 რას ნიშნავს „ზემდგომი“?

ზოგჯერ არც ისე იოლია გაერკვე, თუ რომელი ორგანოა ამა თუ იმ საჯარო დაწესებულებისა თუ ადმინისტრაციული ორგანოს „ზემდგომი“. რაიმე უნივერსალური წესის შემოთავაზება აქ რთულია.

საქართველოში

თუ თქვენ რომელიმე დაწესებულების თანამდებობის პირს ან სტრუქტურულ ქვედანაყოფს უჩივით, თქვენ უნდა მიმართოთ ამ დაწესებულების რანგით უმაღლეს თანამდებობის პირს (მაგალითად, თუ უჩივით სამინისტროს ერთ-ერთ დეპარტამენტს, ან მინისტრის მოადგილეს, ან სამმართველოს უფროსს, უნდა მიმართოთ მინისტრს).

თუ თქვენ დაწესებულების უმაღლეს თანამდებობის პირს უჩივით:

- კარგად შეისწავლეთ თავად ის ადმინისტრაციული აქტი, რომელსაც უჩივით. კანონით მასზე მითითებული უნდა იყოს ორგანო, სადაც მისი გასაჩივრება შეიძლება, მისი მისამართი და გასაჩივრების ვადა.
- წერილობით მიმართეთ თავად იმ ორგანოს (დაწესებულებას), რომელსაც უჩივით და მოითხოვეთ, განგიმარტონ, თუ რომელი ორგანოა მათი ზემდგომი (სად შეიძლება გასაჩივრდეს მათი გადაწყვეტილება ან მოქმედება) და მოგაწოდონ მისი მისამართი, ტელეფონი და ფაქსი.
- წარადგინეთ საჩივარი თავად იმ ორგანოში, რომელსაც უჩივით. მას წინ დაურთეთ წერილი მოთხოვნით, რომ თქვენი საჩივარი გადაგზავნონ შესაბამის ზემდგომ ორგანოში. 5 სამუშაო დღის განმავლობაში მათ უნდა გადაგზავნონ თქვენი წერილი დანიშნულებისამებრ, ან დაგიბრუნონ განმარტებით, რომ ზემდგომი არ არსებობს და თქვენ მხოლოდ სასამართლოში შეგიძლიათ ჩივილი.
- მიმართეთ ნებისმიერ ადმინისტრაციულ ორგანოს თხოვნით, დაადგინონ, თუ რომელი ადმინისტრაციული ორგანოა თქვენი საჩივრის განხილვაზე უფლებამოსილი. განცხადებას თან დაურთეთ თქვენი საჩივარი და ითხოვეთ დანიშნულებისამებრ მისი გადაგზავნა (განცხადების ტექსტი იხ. 80 გვერდზე)

თუ ამ საკითხის გარკვევისას დაიკარგა ბევრი დრო და თქვენ გადააცილეთ ადმინისტრაციული საჩივრისათვის დადგენილ ვადას, მიუთითეთ ეს გარემოება საჩივარში და დაურთეთ თქვენს მიერ საკითხის გასარკვევად წარდგენილი წერილების ასლები. დრო, რომელიც თქვენი მიზეზით არ დაკარგულა, ვადის გასვლაში არ ჩაგეთვლებათ.

3.2.1.2 როგორ ვიჩივლოთ?

3.2.1.2.1 საჩივარი

საჯარო დაწესებულებას (ადმინისტრაციულ ორგანოს) შესაძლოა საჩივრების სპეციალური ფორმა გააჩნდეს. იკითხეთ, არსებობს თუ არა ასეთი. თუ ფორმა არ არსებობს, ან რაიმე მიზეზის გამო იგი ვერ მიიღეთ, უბრალო ფურცელი აიღეთ და დაწერეთ საჩივარი ქვემოთ მოცემული ფორმის მიხედვით.

საჩივარი ადმინისტრაციული ორგანოს მისაღებში ან კანცელარიაში მიიტენეთ. ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია მიღებისთანავე დაუყოვნებლივ გაატაროს საჩივარი რეგისტრაციაში. აუცილებლად მოითხოვეთ და ჩაიწერეთ თქვენი განცხადების რეგისტრაციის ნომერი და თარიღი.

საქართველოს გარემოს დაცვისა და
ბუნებრივი რესურსების მინისტრს
*(ან სხვა ადმინისტრაციული ორგანოს
დასახელება, რომელსაც მიმართავთ)*

მოქალაქე _____

(თქვენი სახელი და გვარი)

_____

(თქვენი მისამართი)

ა დ მ ი ნ ი ს ტ რ ა ც ი უ ლ ი ს ა ჩ ი ვ ა რ ი

მოგახსენებთ, რომ _____

(იმ ორგანოს დასახელება, რომელსაც უჩივიხართ)

გადაწყვეტილებით / მოქმედებით / უმოქმედობით:
(აირჩიეთ ერთ–ერთი)

_____

(მიუთითეთ გასაჩივრებული ადმინისტრაციული აქტის ნომერი, თარიღი და დასახელება ან აღწერეთ ადმინისტრაციული ორგანოს ის ქმედება ან უმოქმედობა, რომელსაც უჩივით)

_____

დაირღვა ჩემი კანონიერი უფლება _____

(მიუთითეთ, კერძოდ რომელი უფლება მიგაჩნიათ დარღვეულად)

მოგმართავთ თხოვნით, რათა გააუქმოთ ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება / დაავალდებულოთ _____ შეწყვიტოს / განახორციელოს ქმედება
(იმ ორგანოს დასახელება, რომელსაც უჩივიხართ)

_____ შემდეგი გარემოებების გამო:
(იმ ქმედების დასახელება, რომლის შეწყვეტას ან განხორციელებას ითხოვთ)

_____

(განმარტეთ, რა გარემოებების გამო არის, თქვენი აზრით, მითითებული გადაწყვეტილება უკანონო, ან რატომ მიგაჩნიათ, რომ ადმინისტრაციულმა ურგანომ უნდა შეწყვიტოს ან განახორციელოს რაიმე ქმედება)

განცხადებას თან ერთვის შემდეგი საბუთები:

_____

(საჩივრის საფუძვლიანობის დამადასტურებელი საბუთების ჩამონათვალი)

განმცხადებელი: _____

(ხელმოწერა თარიღი)

3.2.1.3 რა ხდება შემდეგ?

საქართველოში

დამატებითი დოკუმენტები

თქვენი საჩივრის რეგისტრაციის შემდეგ, 3 სამუშაო დღის განმავლობაში, ადმინისტრაციული ორგანო ამოწმებს, აკმაყოფილებს თუ არა საჩივარი კანონით დადგენილ მოთხოვნებს. თუ განცხადება საჭიროებს დამატებითი დოკუმენტაციის წარდგენას, თქვენ წერილობით უნდა გეცნობოთ ამის შესახებ და მოგეცეთ ვადა (არა ნაკლებ 5 სამუშაო დღისა) მათ წარმოსადგენად. თუ თქვენ ამ ვადაში მოთხოვნილ დოკუმენტებს არ წარმოადგენთ, თქვენი თხოვნით ვადა შეიძლება გაგიგრძელონ, მაგრამ არა უმეტეს 15 სამუშაო დღისა. მოთხოვნილი დოკუმენტების დადგენილ ვადებში წარუდგენლობა გამოიწვევს თქვენი საჩივრის განუხილველად დატოვებას.

ადმინისტრაციულ ორგანოს არ აქვს უფლება თავისი ინიციატივით მოითხოვოს რაიმე საბუთის წარმოდგენა – ყველა მის მიერ მოთხოვნილი დოკუმენტის თუ ინფორმაციის წარმოდგენის აუცილებლობა კანონით, ან მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე აქტით უნდა იქნას დადგენილი. მოითხოვეთ, რომ წერილობით განგიმარტონ, თუ რომელი კანონის, ან კანონქვემდებარე აქტის რომელი დებულების თანახმად გთხოვენ ამა თუ იმ დოკუმენტის წარმოდგენას. გადაამოწმეთ, მართლა ითვალისწინებს თუ არა მითიებული კანონი ამგვარ მოთხოვნებს.

გასაჩივრებული აქტის მოქმედების შეჩერება

თუ თქვენ ასაჩივრებთ ადმინისტრაციულ აქტს, როგორც წესი, საჩივრის რეგისტრაციის მომენტიდან მისი მოქმედება შეჩერდება. თუმცა, არსებობს ამ წესიდან მთელი რიგი გამონაკლისები, მათ შორის რიგი ნებართვებისა და ლიცენზიებისა[128], ასე რომ, **შესაძლოა გასაჩივრებული აქტის მოქმედება არ შეჩერდეს**. თუმცა მეწარმეს, რომელსაც ეკუთვნის გასაჩივრებული ლიცენზია ან ნებართვა, რა თქმა უნდა, დროულად აცნობებენ ამ დოკუმენტებთან დაკავშირებით შემოსული სარჩელის შესახებ და შესაძლოა მან თავად მოისურვოს შესაბამის საქმიანობათა შეჩერება, მომავალში გაუგებრობების თავიდან აცილების მიზნით.

განხილვის ვადები

ადმინისტრაციულმა ორგანომ თქვენი საჩივარი უნდა განიხილოს და გადაწყვეტილება მიიღოს **ერთი თვის ვადაში**. თუ იგი მიიჩნევს, რომ საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოების დადგენისათვის ერთ თვეზე მეტია საჭირო, მაშინ ადმინისტრაციულმა ორგანომ, საჩივრის მიღებიდან **7 დღის ვადაში** უნდა გამოიტანოს დასაბუთებული გადაწყვეტილება საჩივრის განხილვის ვადის არაუმეტეს **ერთი თვით გაგრძელების** შესახებ. ეს გადაწყვეტილება დაუყოვნებლივ უნდა გეცნობოთ.

განხილვა

ადმინისტრაციული საჩივარი, როგორც წესი, იხილება ზეპირ მოსმენაზე. ზეპირი მოსმენის თარიღი თქვენ უნდა გეცნობოთ მის ჩატარებამდე **5 სამუშაო დღით ადრე**. ამ პერიოდისათვის ყველა დაინტერესებულ მხარეს წარდგენილი უნდა ჰქონდეს საქმესთან დაკავშირებული მასალები. თქვენ შეგიძლიათ მათ გაეცნოთ და გადაიღოთ ასლი.

ზეპირი მოსმენა, როგორც წესი, საჯაროა. თუმცა, პირადი, კომერციული, ან სახელმწიფო საიდუმლოების დაცვის მიზნით იგი შეიძლება დახურულად გამოცხადდეს.

სხდომას ხსნის და ხურავს ადმინისტრაციული ორგანოს უფლებამოსილი თანამდებობის პირი. ზეპირი მოსმენის მოვლენათა ზუსტი მიმდევრობა (როგორც ეს სასამართლოშია, იხ. სექცია 3.3.3.2) დადგენილი არ არის, მაგრამ ამავე დროს თავმჯდომარის ამოცანაა საქმისათვის მნიშვნელოვანი ყველა გარემოება გამოიკვლიოს და ყველა დაინტერესებულ მხარეს თავისი აზრისა და არგუმენტის წარმოთქმის საშუალება მისცეს. ამავე დროს, როგორც წესი, ზეპირი მოსმენა ერთ სამუშაო დღეზე მეტს არ უნდა გაგრძელდეს.

ისევე, როგორც სასამართლო დარბაზში, გირჩევთ დაემორჩილოთ თავმჯდომარეს, ვინაიდან მას უფლება აქვს წესრიგის დამრღვევი დარბაზიდან გააძევოს და სხდომა მის გარეშე გააგრძელოს. გირჩევთ, აგრეთვე, წინასწარ წერილობით მოამზადოთ სათქმელი, ყურადღებით უსმინოთ გამომსვლელებს, არ გააწყვეტინოთ, მაგრამ ამავე დროს, დაბეჯითებით მოითხოვოთ სიტყვა, თუკი სათქმელი გაქვთ.

გადაწყვეტილება

ადმინისტრაციულ ორგანოს საჩივრის განხილვის შედეგად გამოაქვს შემდეგი ერთ-ერთი გადაწყვეტილება:

- საჩივრის დაკმაყოფილების შესახებ;
- საჩივრის ნაწილობრივ დაკმაყოფილების შესახებ;
- საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ;

საჩივრის დაყმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ ადმინისტრაციული აქტის გამოცემამდე, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია მისცეს განმცხადებელს საკუთარი აზრის წარდგენის შესაძლებლობა, თუ:

[128] ამ გამონაკლისების მიზანია დაიცვან მეწარმე დაუსაბუთებელი ზარალისგან

საქართველოში

- უარი ეფუძნება ინფორმაციას განმცხადებლის (მომჩივანის) შესახებ;
- ინფორმაცია, რომელსაც ეფუძნება უარი, განსხვავდება განმცხადებლის მიერ წარდგენილი ინფორმაციისაგან.

განმცხადებელმა (მომჩივანმა) საკუთარი მოსაზრება უნდა წარადგინოს 5 დღის ვადაში.

ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილება თქვენ უნდა გადმოგეცეთ წერილობითი სახით.

ძალაში შესვლა

ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილება საჩივრის თაობაზე ძალაში შედის ადმინისტრაციული აქტის განმცხადებლისათვის (მომჩივანისათვის) გადაცემის ან გამოქვეყნების მომენტიდან.

გასაჩივრება

ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილება საჩივრის თაობაზე შეიძლება კვლავ გასაჩივრდეს. გადაწყვეტილებაში მითითებული უნდა იქნას ზემდგომი ორგანო, რომელშიც შეიძლება მისი გასაჩივრება და მისი მისამართი. ადმინისტრაციული წესით საჩივრის წარდგენის ვადაა **1 თვე**. გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია აგრეთვე სასამართლოში, მისი თქვენთვის გადმოცემიდან **6 თვის** განმავლობაში.

3.2.2 გარემოსდამცველ ორგანოებისადმი მიმართვა

საქართველოში

გარემოსდაცვითი კანონმდებლობის დარღვევების აღმოჩენა და აღმოფხვრა ევალებათ[129]:

- გარემოს დაცვის და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს შესაბამის ორგანოებს,
- თვითმმართველობისა და მმართველობის ადგილობრივი ორგანოების გარემოსდაცვით სამსახურებს,
- პოლიციას (სისხლის სამართლის დანაშაულებანი).

სამწუხაროდ, ამ წიგნის დასრულების მომენტისათვის ეს სფერო მნიშვნელოვანი რესტრუქტურიზაციის მდგომარეობაში იმყოფებოდა. ამიტომ ჩვენ ვერ მოგცემთ ზუსტ მითითებებს, თუ რომელი კანონდარღვევის შემთხვევაში ვის და სად უნდა მიმართოთ. შეგვიძლია მხოლოდ ზოგადი რჩევები მოგაწოდოთ.

თუ თქვენ აღმოაჩინეთ რაიმე ქმედება, რომელიც თქვენი აზრით საქართველოს გარემოსდაცვით კანონმდებლობას ეწინააღმდეგება:

1. აღწერეთ ფაქტები, რომლის მოწმე გახდით. მაგალითად, ტექსტი შეიძლება ასეთი სქემით შეადგინოთ:

> მოქალაქის _____
> *(თქვენი სახელი, გვარი, მისამართი)*
>
> **გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა**
>
> გარემოსდაცვითი კანონდარღვევის ფაქტის შესახებ
>
> გაცნობებთ, რომ ა.წ. _____ მე გავხდი შემდეგი ფაქტის მოწმე: _____
> *(თარიღი, ადგილი)* *(ფაქტის აღწერა)*
>
> გთხოვთ აღნიშნულ ფაქტზე იქონიოთ სათანადო რეაგირება.
>
> _____
> *(ხელმოწერა, თარიღი)*

2. წარუდგინეთ ეს განცხადება რომელიმე ზემოთმითითებულ ადრესატს (ჯობს სამივეს), აუცილებლად მოითხოვეთ თქვენი წერილის (განცხადების) რეგისტრაცია[130] და ჩაიწერეთ რეგისტრაციის ნომერი.

[129] საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 239-ე მუხლის მიხედვით

[130] სამწუხაროდ, არ არის გამორიცხული, რომ ინსპექტორი ან პოლიციელი შეეცადოს გაიიოლოს ცხოვრება და დაგარწმუნოთ, რომ ამგვარი განცხადებები მათ არ ეხება, რომ თქვენს მიერ შემჩნეული ფაქტი კანონდარღვევას არ წარმოადგენს, ან „მეგობრულად გამოგიტყდეთ", რომ „მას თქვენზე უფრო უნდა კანონდარღვევების აღმოფხვრა, მაგრამ წინასწარ იცის, რომ აქედან არაფერი გამოვა" და გირჩიოთ ჩივილს თავი დანებოთ და ა.შ. არ მიიღოთ ამგვარი „მეგობრული" რჩევები. დაბეჯითებით მოითხოვეთ განცხადების დაუყოვნებლივ რეგისტრაციაში გატარება და მიანიშნეთ, რომ თუ რეაგირება სათანადო არ იქნება, აპირებთ პროკურატურაში იჩივლოთ.

საქართველოში

3. თქვენ შეგიძლიათ აგრეთვე მიმართოთ **ნებისმიერ სხვა ადმინისტრაციულ ორგანოს** შემდეგი თხოვნით:

_____
(ორგანიზაციის ან თანამდებობის პირის დასახელება, რომელსაც მიმართავთ)

მოქალაქის _____
(თქვენი სახელი, გვარი, მისამართი)

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

უფლებამოსილი ორგანოს დადგენისა და განცხადების გადაგზავნის შესახებ

ვინაიდან ჩემთვის უცნობია, თუ რომელი ადმინისტრაციული ორგანო არის უფლებამოსილი განიხილოს ჩემი თანდართული განცხადება, გთხოვთ, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-80 მუხლის შესაბამისად, დაადგინოთ მის განხილვაზე უფლებამოსილი ორგანო და დადგენილ ვადებში გადაუგზავნოთ მას ჩემი თანდართული განცხადება.

პატივისცემით

დანართი: _____ გვ

_____
(ხელმოწერა, თარიღი)

მიმართეთ იგივე ორგანოს 5 დღის შემდეგ, თხოვნით, გაცნობონ, თუ რომელ უფლებამოსილ ორგანოს გადაეგზავნა თქვენი განცხადება გარემოსდაცვითი კანონდარღვევის ფაქტთან დაკავშირებით.

4. 2-3 კვირის შემდეგ გადაამოწმეთ უფლებამოსილი ორგანოს რეაგირება თქვენს მიერ მიწოდებულ ფაქტებზე. მაგალითად, მიმართეთ მათ ამგვარი წერილით:

_____
(ორგანიზაციის ან თანამდებობის პირის დასახელება, რომელსაც მიმართავთ)

მოქალაქის _____
(თქვენი სახელი, გვარი, მისამართი)

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

განცხადების მსვლელობაზე ინფორმაციის მოთხოვნის შესახებ

ა.წ. _____ მე მოგმართეთ განცხადებით (სარეგ. № _____)
(თარიღი) *(წინა განცხადების რეგისტრაციის ნომერი)*

რომელშიც გაცნობეთ _____ შესახებ.
(წინა განცხადების მოკლე შინაარსი)

გთხოვთ მაცნობოთ, რა მსვლელობა მიეცა აღნიშნულ განცხადებას. გთხოვთ მომცეთ საშუალება გავეცნო ამ საკითხთან დაკავშირებით თქვენს ხელთ არსებულ მასალებს.

პატივისცემით

_____
(ხელმოწერა, თარიღი)

5. გაეცანით საქმის მსვლელობას და მასალებს. თუ მიგაჩნიათ, რომ გარემოსდამცველი ორგანოების რეაგირება კანონდარღვევაზე არ არის სათანადო, მიმართეთ პროკურორს.

3.2.2.1.1 რა ინსტრუმენტები გააჩნია ინსპექტორს?

თქვენ განცხადებაში აღწერილი ფაქტები გარემოსდაცვითმა ინსპექტორმა (პოლიციელმა) უნდა გადაამოწმოს და კანონთან მათი შესაბამისობა შეაფასოს. თქვენი განცხადება ინსპექტორს (პოლიციელს) აძლევს საშუალებას მიიღოს სასამართლოს ნებართვა კერძო ტერიტორიის (საწარმოს ან საცხოვრებლის) დათვალიერების შესახებ.

კანონდარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში:

- ინსპექტორი ადგენს ოქმს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ და აგზავნის მას განსახილველად რაიონულ სასამართლოში. განხილვის შედეგად, სასამართლოს გამოაქვს დადგენილება კანონდამრღვევისათვის შესაბამისი ადმინისტრაციული სახდელის ან (მძიმე დანაშაულის შემთხვევაში) სასჯელის დაკისრების შესახებ[131];
- გარკვეული ტიპის დარღვევებისას, თუ დამრღვევი სადაოდ არ ხდის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის ფაქტს და თანახმაა გადაიხადოს შესაბამისი დარღვევისათვის დადგენილი ჯარიმა, ინსპექტორს შეუძლია ადგილზე ამოიღოს ჯარიმა.
- გარდა ამისა, გარემოსდაცვით ინსპექტორს სპეციალური მეთოდიკით შეუძლია დაიანგარიშოს კანონდარღვევის შედეგად **გარემოსადმი მიყენებული ზიანი** და სასამართლოში აღძრას საქმე კანონდამრღვევისადმი ამ ზიანის ანაზღაურების დაკისრების შესახებ. ამოღებული თანხა ჩაირიცხება სახელმწიფო ბიუჯეტში.

3.2.2.1.2 მიმართვა პროკურორთან

საქართველოში

პროკურატურის ფუნქციას წარმოადგენს პროცესუალური ზედამხედველობა სხვა ორგანოების მიერ დანაშაულის აღკვეთის ღონისძიებების განხორციელებაზე.

თქვენ შეგიძლიათ მიმართოთ პროკურორს მაგალითად შემდეგ სიტუაციებში:

- ინსპექტორმა არ გადაამოწმა თქვენს განცხადებაში მოხსენიებული კანონდარღვევის ფაქტები
- ინსპექტორის მიერ ჩატარებულმა შემოწმებამ გამოავლინა სამართალდარღვევა, მაგრამ ინსპექტორმა არც შესაბამისი ოქმი შეადგინა და არც სათანადოდ დააჯარიმა დამრღვევი;
- ინსპექტორმა დროულად არ გადაგზავნა სამართალდარღვევის შესახებ ოქმი სასამართლოში განსახილველად;
- პოლიციის მუშაკმა 20 დღის განმავლობაში არ შეამოწმა თქვენს განცხადებაში მითითებული ინფორმაცია სისხლის სამართლის ბრალდების შემცველი მოქმედებების შესახებ;
- სისხლის სამართლის ბრალდების აღმოჩენის მიუხედავად, პოლიციის მუშაკმა არ აღძრა სისხლის სამართლის საქმე და სხვა.

3.2.3 მიმართვა ომბუდსმენს (სახალხო დამცველს)

ომბუდსმენის ინსტიტუტი ჩამოყალიბდა სკანდინავიაში და სიტყვასიტყვით ნიშნავს ხალხის წარმომადგენელს. ომბუდსმენი ხალხის ინტერესებს წარმოადგენს სამთავრობო დაწესებულებებთან მიმართებაში. ეს ინსტიტუტი მრავალ ქვეყანაში მოქმედებს. ზოგიერთ ქვეყანას რამდენიმე ომბუდსმენიც კი ყავს, რომლებიც სხვადასხვა სფეროებში არიან სპეციალიზებული (მაგ. უნგრეთში სამი ომბუდსმენია: ჩვეულებრივი ომბუდსმენი, ეთნიკურ უმცირესობასთან დაკავშირებული საკითხების ომბუდსმენი და ინფორმაციის დაცვის ომბუდსმენი).

<u>ამოცანები</u>

ომბუდსმენი არ არის გადაწყვეტილების მიმღები პირი. და არ არის სასამართლო ან არბიტრი. ომბუდსმენი სწავლობს ხელისუფლების ორგანოების მიერ მოქალაქეთა უფლებების შელახვის ფაქტებს და გამოაქვს დასკვნა. ეს დასკვნები არ არის შესასრულებლად სავალდებულო, ისინი უფრო სარეკომენდაციო ხასიათისაა.

ომბუდსმენის ინსტიტუტის უმთავრესი დანიშნულებაა საზოგადოებრივი აზრის ფორმირება და მისი მეშვეობით საჯარო დაწესებულებებზე ზეწოლა. ამ თანამდებობაზე, როგორც წესი, საკონსტიტუციო კანონებისა და მათთან დაკავშირებული საკითხების სფეროებში მომუშავე ცნობილი ექსპერტი ინიშნება. ომბუდსმენი ინიშნება და პასუხისმგებელია პარლამენტის წინაშე და სრული თავისუფლებითა და ხელშეუხებლობით სარგებლობს.

საქართველოში

ომბუდსმენი (სახალხო დამცველი) კონსტიტუციური თანამდებობის პირია. მისი ფუნქციაა ადამიანის კონსტიტუციურ უფლებებზე ზრუნვა. იგი აირჩევა საქართველოს პარლამენტის მიერ 5 წლის ვადით. მას დამოუკიდებლობისა და დაცვის უდიდესი გარანტიები გააჩნია.

<u>რას იხილავს სახალხო დამცველი?</u>

სახალხო დამცველი ხელისუფლების და იურიდიული პირების მიერ ადამიანის **უფლებათა და თავისუფლებათა დარღვევის** ფაქტებს იხილავს. ომბუდსმენს შეგიძლიათ მიმართოთ, თუ თქვენი უფლებები დაირღვა, ან თავისუფლება შეიზღუდა რომელიმე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ, სასამართლოს ან პროკურორის მიერ, ციხეში, რომელიმე იურიდიული პირის მიერ.

ამ წიგნის Vა დანართში მოყვანილია საქართველოს კონსტიტუციის II თავი, რომელშიც ჩამოთვლილია ადამიანის ის უფლებები და თავისუფლებები, რომელთა დაცვას ომბუდსმენი მეთვალყურეობას უწევს.

[131] გარემოსდაცვითი კანონდარღვევები და მათზე დაწესებული სასჯელი თუ სახდელი ჩამოთვლილია Vბ დანართში

საქართველოში

ვის შეუძლია მიმართოს სახალხო დამცველს?

სახალხო დამცველთან მიმართვა შეუძლია **ნებისმიერ პიროვნებას** (საქართველოს მოქალაქეს, ასევე საქართველოში მყოფ უცხოელსა და მოქალაქეობის არმქონე პირს), ან **არასამთავრობო ორგანიზაციას**. ომბუდსმენს შეუძლია მიმართოს არა მხოლოდ თავად იმ პირმა, რომლის უფლებები დაირღვა, არამედ ნებისმიერმა სხვა პირმაც.

როგორ მივმართოთ?

სახალხო დამცველის ოფისი მდებარეობს თბილისში, მაჩაბლის №11, ტელეფონი: 939223 ან 939218. დარეკეთ და გაიგეთ მიღების საათები, ჩაეწერეთ მიღებაზე. ყოველთვის სასარგებლოა წინასწარ წერილობით ჩამოაყალიბოთ თქვენი პრეტენზია. სახალხო დამცველის მომსახურება უფასოა.

რა შეუძლია სახალხო დამცველს?

განცხადების მიღების შემდეგ, სახალხო დამცველი ამოწმებს განცხადებაში მოყვანილ ფაქტებს. შემოწმების ჩატარებისას, სახალხო დამცველს უფლება აქვს:

- დაუბრკოლებლად შევიდეს ნებისმიერ ადმინისტრაციულ ორგანოში;
- მოითხოვოს და მიიღოს ნებისმიერი ადმინისტრაციული ორგანოსაგან და თანამდებობის პირისაგან, ასევე ნებისმიერი იურიდიულ პირისაგან შემოწმებისათვის აუცილებელი ყველა ცნობა, საბუთი და სხვა მასალა;
- მიიღოს ახსნა-განმარტება გამოსაკვლევ საკითხებზე ნებისმიერი თანამდებობის პირისაგან;
- სახელმწიფო ან/და არასახელმწიფო დაწესებულებების მეშვეობით ჩაატაროს საექსპერტო გამოკვლევები და მოამზადოს დასკვნები, აგრეთვე მოიწვიოს სპეციალისტები საექსპერტო და საკონსულტაციო სამუშაოთა შესასრულებლად;
- გაეცნოს სისხლის სამართლის, სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეებს, რომელთა თაობაზე მიღებული გადაწყვეტილებებიც შესულია კანონიერ ძალაში.

საქართველოს სახალხო დამცველის მოთხოვნის საფუძველზე, ის ადმინისტრაციული ორგანო და თანამდებობის პირი, ასევე იურიდიული პირი, რომლის მოქმედება ან გადაწყვეტილება მოწმდება ან გასაჩივრებულია, ვალდებულია საქართველოს სახალხო დამცველს წარუდგინოს ახსნა-განმარტება გამოსაკვლევ საკითხზე.

რა ხდება შემდგომ?

თუ შემოწმების შედეგად ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დარღვევის ფაქტი დადასტურდა, სახალხო დამცველს შეუძლია:

- წარუდგინოს წინადადებები პარლამენტს კანონმდებლობის სრულყოფის შესახებ;
- გაუგზავნოს რეკომენდაციები იმ ადმინისტრაციულ ორგანოს, თანამდებობის ან იურიდიულ პირს, რომლის მოქმედებამაც გამოიწვია ადამიანის უფლებათა დარღვევა;
- მის ხელთ არსებული მასალები გადასცეს შესაბამის ორგანოებს სისხლის სამართლის საქმის აღძვრის რეკომენდაციით;
- შეიტანოს წინადადებები შესაბამის ორგანოებში იმ პირთა დისციპლინარული თუ ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის შესახებ, რომელთა მოქმედებამაც გამოიწვია ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დარღვევა;
- რეკომენდაციით მიმართოს შესაბამის სასამართლოს, ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერების შემოწმების თაობაზე;
- აცნობოს შემოწმების შედეგები მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს;
- გამოაქვეყნოს შემოწმების შედეგების საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილებები სპეციალურ მოხსენებებსა და ყოველწლიურ ანგარიშებში;
- წერილობით მიმართოს პრეზიდენტს და მოხსენებით წარსდგეს საქართველოს პარლამენტის წინაშე ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა უხეშ ან მასობრივ დარღვევათა შემთხვევაში, თუკი მის განკარგულებაში არსებული რეაგირების საშუალებები არასაკმარისი იქნება;
- კონსტიტუციური სარჩელით მიმართოს საკონსტიტუციო სასამართლოს;
- მიმართოს პარლამენტს დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნისა და საქართველოს პარლამენტის მიერ საკითხის განხილვის მოთხოვნით.

ადმინისტრაციული ორგანო, თანამდებობის პირი, ასევე იურიდიული პირი ვალდებულნი არიან სახალხო დამცველის რეკომენდაციები თუ წინადადებები განიხილონ ერთი თვის ვადაში და განხილვის შედეგები წერილობით აცნობონ სახალხო დამცველს.

3.3 მიმართვა სასამართლოში

მიუხედავად გავრცელებული აზრისა, სასამართლოში სარჩელის აღძვრა ყოველთვის უკიდურესად რთული, გრძელი და უიმედო წამოწყება არ არის. განსაკუთრებით იოლია ადმინისტრაციული საქმეები, ისეთები, როგორც ინფორმაციის ხელმისაწვდომობის ან გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილეობის პროცედურების დარღვევაა. დარღვევა საკმაოდ იოლი დასასაბუთებელია და სასამართლო გადაწყვეტილებაც, როგორც წესი, ერთაზროვანია. აგრეთვე, როგორც წესი, ეს პროცესები უფრო სწრაფი, მოკლე და იაფია[132].

[132] როგორც წესი, ადმინისტრაციულ საქმეებში მტკიცების ტვირთი ადმინისტრაციულ ორგანოზეა. ანუ, თქვენ კი არ უნდა ამტკიცოთ, რომ მისი გადაწყვეტილება ან ქმედება უკანონოა, არამედ ადმინისტრაციულმა ორგანომ უნდა დაამტკიცოს, რომ იგი კანონის ფარგლებში მოქმედებდა.

3.3.1 რომელ სასამართლოს უნდა მივმართოთ?

სხვადასხვა ქვეყნებში სასამართლო სისტემები მნიშვნელოვნად განსხვავდება. იმისათვის, რომ გავერკვეთ, რომელ სასამართლოს მივმართოთ და როგორ, სასარგებლოა სასამართლო სისტემის ძირითად მახასიათებლებს გავეცნოთ.

3.3.1.1 სასამართლო საქმეების ძირითადი ტიპები

საქართველოში

სასამართლო საქმეების ძირითადი ტიპებია:

1. **სამოქალაქო საქმე.** ეხება ერთი პირის კანონიერი უფლების დარღვევას (კანონიერი ინტერესის შელახვას) მეორე პირის მიერ. აღიძვრება მხოლოდ დაინტერესებული მხარის სარჩელის ან განცხადების საფუძველზე. მიმდინარეობს მხოლოდ სასამართლოში[133]. საქმე შეიძლება დასრულდეს:
   - მხარეზე რაიმე ქმედების ვალდებულების დაკისრებით
   - მხარეზე მეორე მხარისათვის ფულადი თანხის გადახდის ვალდებულების (მაგალითად, მიყენებული ზიანის ანაზღაურების) დაკისრებით
   - მხარისათვის რაიმე ქონების მიკუთვნებით
   - მხარეთა მორიგებით.
2. **ადმინისტრაციული დავა**. ეხება ადმინისტრაციული კანონმდებლობის დარღვევას: ადმინისტრაციულმა ორგანომ განახორციელა უკანონო ქმედება ან მიიღო უკანონო გადაწყვეტილება. საქმე განიხილება მხოლოდ დაინტერესებული პირის საჩივრის საფუძველზე, ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში (ადმინისტრაციული საჩივრის განხილვა) ან სასამართლოში (ადმინისტრაციული დავა). შეიძლება დასრულდეს:
   - ადმინისტრაციული ორგანოს ქმედების თუ გადაწყვეტილების კანონიერების აღიარებით
   - გადაწყვეტილების გაუქმებით ან ბათილად ცნობით
   - ადმინისტრაციული ორგანოსათვის რაიმე ქმედების განხორციელების დავალდებულებით
3. **სისხლის სამართლის საქმე.** ეხება დადგენილი საზოგადოებრივი წესების დარღვევას პირის მიერ. საქმე აღიძვრება კანონდარღვევის ფაქტზე, დაზარალებული პირის საჩივრის (ან, რიგ შემთხვევაში, ამ პირის არსებობის) მიუხედავად, კანონდამცავი ორგანოების ან სპეციალური უფლებამოსილების მოხელეების მიერ (პოლიციელი, ინსპექტორი, პროკურორი):

საქართველოში

- თუ დარღვევა მნიშვნელოვანია, იგი კვალიფიცირდება, როგორც **დანაშაული** და ჩამდენს ეკისრება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა (მხოლოდ ფიზიკურ პირებს, მხოლოდ სასამართლოს მიერ,).
- თუ დარღვევა მცირეა, იგი კვალიფიცირდება როგორც **გადაცდომა** (ადმინისტრაციული სამართალდარღვევა) და ჩამდენს ეკისრება ადმინისტრაციული სახდელი (შესაძლოა სასამართლოს გარეშეც, საამისოდ უფლებამოსილი მოხელის მიერ).

საქმე შეიძლება დასრულდეს: ბრალდებულის გამართლებით ან სასჯელის (სახდელის) დაკისრებით.

4. **საკონსტიტუციო დავა.** ეხება კანონის (ნორმატიული დოკუმენტის) ამა თუ იმ დებულების შესაბამისობას კონსტიტუციასთან. ერთი და იგივე ფაქტზე **სხვადასხვა ტიპის საქმე ერთმანეთის დამოუკიდებლად** შეიძლება აღიძრას.

3.3.1.2 როგორი სასამართლოები არსებობს?

ზოგიერთ ქვეყანაში სასამართლოები სპეციალიზებულია განსახილველი საკითხების მიხედვით. მაგალითად, შეიძლება არსებობდეს სპეციალიზებული ადმინისტრაციული სასამართლოები, მცირეწლოვანთა საკითხების განმხილველი სასამართლოები, საოჯახო საქმეთა სასამართლოები და სხვა.

საქართველოში

სულ ორი ტიპის სასამართლო არსებობს. ესენია:

- საერთო სასამართლოები და
- საკონსტიტუციო სასამართლო.

საკონსტიტუციო სასამართლო ერთადერთია. იგი მხოლოდ ნორმატიული აქტების კონსტიტუციასთან შესაბამისობის საკითხებს განიხილავს. **ყველა დანარჩენი საქმეები საერთო სასამართლოებში განიხილება**.

საერთო სასამართლოების სისტემა 83 სასამართლოს მოიცავს და იერარქიულადაა აგებული. საერთო სასამართლოთა სისტემა სქემატურად წარმოდგენილია ქვემოთ.

[133] თუ მხარეები თანახმა არიან, ქონებრივი დავა შეიძლება განსახილველად გადაეცეს არბიტრაჟს – ამ შემთხვევაში საქმეს განიხილავს არა მოსამართლე, არამედ პიროვნება, რომელსაც ორივე მხარე ენდობა.

სქემა 7. საერთო სასამართლოების იერარქია საქართველოში



რაიონული და საქალაქო სასამართლოები

საქალაქო სასამართლოები:
1. რუსთავის

რაიონული სასამართლოები:
1. ადიგენის
2. ასპინძის
3. ახალგორის
4. ახალქალაქის
5. ახალციხის
6. ახმეტის
7. ბოლნისის
8. ბორჯომის
9. გარდაბნის
10. გორის
11. გურჯაანის
12. დედოფლისწყაროს
13. დმანისის
14. დუშეთის
15. თელავის
16. თეთრიწყაროს
17. თიანეთის
18. კასპის
19. ლაგოდეხის
20. მარნეულის
21. მცხეთის
22. ნინოწმინდის
23. საგარეჯოს
24. სიღნაღის
25. ქარელის
26. ყაზბეგის
27. ყვარლის
28. წალკის
29. ხაშურის
30. ჯავის
31. ისან-სამგორის
32. კრწანისი-მთაწმინდის
33. ვაკე-საბურთალოს
34. დიდუბე-ჩუღურეთის
35. გლდანი-ნაძალადევის

საქალაქო სასამართლოები:
1. ფოთის
2. ქუთაისის

რაიონული სასამართლოები:
1. აბაშის
2. ამბროლაურის
3. ბაღდათის
4. ვანის
5. ზესტაფონის
6. ზუგდიდის
7. თერჯოლის
8. ლანჩხუთის
9. ლენტეხის
10. მარტვილის
11. მესტიის
12. ოზურგეთის
13. ონის
14. სამტრედიის
15. საჩხერის
16. სენაკის
17. ტყიბულის
18. ჩოხატაურის
19. ჩხოროწყუს
20. წალენჯიხის
21. წყალტუბოს
22. ცაგერის
23. ჭიათურის
24. ხარაგაულის
25. ხობის
26. ხონის

საქალაქო სასამართლოები:
1. გაგრის
2. სოხუმის
3. ტყვარჩელის

რაიონული სასამართლოები:
1. გალის
2. გუდაუთის
3. გულრიფშის
4. ოჩამჩირის
5. სოხუმის

საქალაქო სასამართლოები:
1. ბათუმის

რაიონული სასამართლოები:
1. ქედის
2. ქობულეთის
3. შუახევის
4. ხელვაჩაურის
5. ხულოს

3.3.1.2.1 რომელ სასამართლოს უნდა მივმართოთ?

საქართველოში

სარჩელით პირველად, როგორც წესი, რაიონულ ან საქალაქო სასამართლოს უნდა მიმართოთ. ქვედა დონის სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრება კი შემდეგი დონის შესაბამის სასამართლოში ხდება (იხ. სქემა და განმარტებანი 89 გვერდზე).
რიგი საქმეებისა თავიდანვე საოლქო სასამართლოში განიხილება[134]. თუ თქვენი საქმე ამგვარი აღმოჩნდა, სასამართლო თქვენს სარჩელს თავად გადაგზავნის სათანადო სასამართლოში და ამის შესახებ თქვენ შეგატყობინებთ.

3.3.1.2.2 ტერიტორიული იურისდიქცია

როგორც წესი, ერთი და იგივე დონის სასამართლოებს შორის იურისდიქცია გადანაწილებულია ქვეყნის ადმინისტრაციული დაყოფის შესაბამისად.

სარჩელი, როგორც წესი, წარედგინება იმ სასამართლოში, რომლის ტერიტორიაზეც ცხოვრობს (განთავსებულია) რომელიმე **მოპასუხე**[135].

[134] მაგალითად, თუ თქვენ უჩივით პრეზიდენტს, ან მის სამხარეო რწმუნებულს, ან თბილისის, ქუთაისის, ბათუმის, რუსთავის, ფოთის ან სოხუმის (ეს ქალაქები არ არიან რაიონულ დაქვემდებარებაში) საკრებულოს ან მერიას, ან თუ საქმე ეხება 500 000 ლარზე მეტი ზიანის ანაზღაურებას
[135] ანუ პირი, რომელსაც უჩივით. ზოგიერთი სასამართლო ტერმინოლოგია უფრო გასაგები რომ გახდეს, გაეცანით სქემას 87 გვერდზე

საქართველოში

თუ თქვენ უჩივით ადმინისტრაციულ ორგანოს, სარჩელი შეგიძლიათ ნებისმიერ სასამართლოში წარადგინოთ – სასამართლო თავად განსაზღვრავს, თუ რომელი სასამართლოს იურისდიქციაში შედის საკითხი, გადაგზავნის სარჩელს და შეგატყობინებთ ამის შესახებ. თუმცა, საქმის განხილვას ეს პროცედურა, რა თქმა უნდა, გააჭიანურებს. თუ თქვენ კერძო პირს უჩივით, სარჩელი სათანადო რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში უნდა წარადგინოთ.

3.3.2 სარჩელის წარდგენა

3.3.2.1 ადმინისტრაციული სარჩელის წარდგენის ვადა

ადმინისტრაციული აპარატის მუშაობა შეუძლებელი გახდებოდა, ადმინისტრაციული აქტების გასაჩივრებისათვის ზღვრული ვადები რომ არ იყოს დადგენილი.

საქართველოში

თუ თქვენ ადმინისტრაციულ ორგანოს უჩივით, თქვენ სასამართლოსთვის მისამართად გაქვთ **6 თვე** იმ მომენტიდან, როდესაც თქვენთვის ცნობილი გახდა (ან გამოქვეყნდა) მისი გადაწყვეტილება, ქმედება, ან უმოქმედობა, რომელსაც თქვენ ასაჩივრებთ.
თუ თქვენ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებულ ნორმატიულ აქტს (მაგალითად, რაიმე დებულებას, ან ინსტრუქციას) ასაჩივრებთ, რომელმაც თქვენი ინტერესები დააზიანა, სასამართლოსათვის მისამართად თქვენ გაქვთ **3 თვე** ზიანის მიყენების მომენტიდან[136].
ამ ვადების გასვლის შემდეგ სასამართლო თქვენს ადმინისტრაციულ სარჩელს აღარ განიხილავს!
კერძო პირის ქმედებათა სასამართლოში გასასაჩივრებლად თქვენ გაქვთ სულ ცოტა **3 წელი** თქვენთვის ზიანის მიყენების მომენტიდან. ამის შემდეგ, იმის მიხედვით, თუ კერძოდ რა შინაარსისაა თქვენი სარჩელი, შესაძლოა სასამართლომ მიიჩნიოს, რომ კანონდარღვევის **ხანდაზმულობის ვადა** გავიდა, და აღარ განიხილოს საკითხი.

_____ რაიონულ (საქალაქო) სასამართლოს

მოსარჩელე: _____

(თქვენი სახელი, გვარი, მისამართი)

მოპასუხე: _____

(ადმინისტრაციული ორგანოს დასახელება, მისამართი)

ა დ მ ი ნ ი ს ტ რ ა ც ი უ ლ ი ს ა რ ჩ ე ლ ი

მოგახსენებთ, რომ _____

(ადმინისტრაციული ორგანოს დასახელება)

გადაწყვეტილებით _____

(ადმინისტრაციული აქტის სახელწოდება, თარიღი და ნომერი)

შეილახა ჩემი კანონიერი ინტერესი _____ დაკავშირებით.

გთხოვთ, განიხილოთ ჩვენი სარჩელი, გააუქმოთ ზემოაღნიშნული ადმინისტრაციული აქტი და დაავალოთ ახალი ადმინისტრაციული აქტის გამოცემა. ჩვენი მოთხოვნა ეფუძნება შემდეგ გარემოებებს: _____
_____

აღნიშნული გარემოებები დასტურდება შემდეგი მტკიცებულებებით: _____
_____

სარჩელს თან ერთვის: _____

(თანდართული საბუთების ჩამონათვალი)

მოსარჩელე: _____

სახელი, გვარი, ხელმოწერა

თარიღი:

[136] უფრო ზუსტად: ზიანის მიყენების უკანასკნელი ფაქტიდან.

3.3.2.2 სარჩელის წარდგენა

3.3.2.2.1 ადმინისტრაციული სარჩელი

ადმინისტრაციული სარჩელის ფორმა მოცემულია 85-ე გვერდზე. მასში შეიძლება დამატებითი მოთხოვნებიც დააყენოთ.

საქართველოში

სარჩელს შეიძლება დაემატოს შემდეგი მოთხოვნები:

- თუ ის მტკიცებულება, რომელზეც თქვენ თქვენს მოთხოვნებს ამყარებთ, თქვენ არ გაგაჩნიათ, მაგრამ გააჩნია მოპასუხე მხარეს (მაგალითად, თქვენ არ შეინახეთ იმ წერილის ასლი, რომლითაც ადმინისტრაციული ორგანოდან ინფორმაცია მოითხოვეთ), შეგიძლიათ სარჩელში სთხოვოთ სასამართლოს, რათა მან დაავალოს მოპასუხე მხარეს მისი წარმოდგენა;
- თუ ამა თუ იმ დაწესებულებაში თქვენ არამართლზომიერად გითხრეს უარი რაიმე იმ საბუთისა თუ მასალის გაცემაზე, რომელიც თქვენს სარჩელში აღნიშნულ გარემოებებს დაადასტურებდა, თქვენ შეგიძლიათ სარჩელში სთხოვოთ სასამართლოს, რათა მან დაავალოს მოპასუხე მხარეს მისი წარმოდგენა;
- თქვენ შეგიძლიათ მოითხოვოთ აგრეთვე სასამართლო სხდომაზე ამა თუ იმ მოწმის გამოძახება და დაკითხვა.
- შეგიძლიათ აგრეთვე მოითხოვოთ სარჩელის უზრუნველყოფა (განმარტება იხ. ამ წიგნის 92 გვერდზე).

3.3.2.2.2 სამოქალაქო სარჩელი

სამოქალაქო სარჩელის ფორმა ქვემოთ არის მოყვანილი.

3.3.2.3 დამატებითი დოკუმენტები

საქართველოში

სარჩელს უნდა დაურთოთ სახელმწიფო **ბაჟის** გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი. ინფორმაცია ბაჟის განაკვეთების და ბაჟის გადავადების ან მისგან გათავისუფლების თაობაზე იხ. ამ წიგნის 3.4.1.1 სექციაში. სარჩელი და თანდართული საბუთები სასამართლოს უნდა წარედგინოს იმდენი **ასლით**, რამდენიც მოპასუხეა.

3.3.2.4 სარჩელის მიღება

სარჩელი (განცხადება) უნდა მიიტანოთ სასამართლოს კანცელარიაში (მოქალაქეთა მისაღებში), სადაც მას ატარებენ **რეგისტრაციაში**.

ამის შემდეგ **5 სამუშაო დღის** განმავლობაში სასამართლო იღებს გადაწყვეტილებას (განჩინებას) სარჩელის წარმოებაში მიღების შესახებ. თუ ამ პერიოდის განმავლობაში სასამართლომ გადაწყვეტილება არ მიიღო, 5-დღიანი პერიოდის ამოწურვის მომენტიდან სარჩელი ითვლება მიღებულად.

თუ საქმე წარმოებაში მიღებული იქნა, სასამართლო იწყებს საქმის მომზადებას 3.3.3 სექციაში აღწერილი პროცედურის შესაბამისად.

თუ სასამართლომ გამოიტანა **განჩინება სარ-**

_____ რაიონულ (საქალაქო) სასამართლოს

მოსარჩელე: _____
(თქვენი სახელი, გვარი, მისამართი)

მოპასუხე: _____
(იმ პირის სახელი, გვარი (იურიდიული პირის ფორმა დადასახელება) და მისამართი,რომელსაც უჩივით)

ს ა რ ჩ ე ლ ი

მოგახსენებთ, რომ _____
(იმ პირის სახელი, გვარი (იურიდიული პირის ფორმა და დასახელება) და მისამართი, რომელსაც უჩივით)

მოქმედებით შეილახა ჩემი კანონიერი ინტერესები და მე მომადგა ზიანი _____ ლარის ოდენობით. გთხოვთ, განიხილოთ ჩემი სარჩელი და დააკისროთ მოპასუხეს ჩემთვის ზიანის ანაზღაურება და _____ განხორციელება.
(კიდევ რის განხორციელებას ითხოვთ მოპასუხისაგან)

ჩემი მოთხოვნა ეფუძნება შემდეგ გარემოებებს: _____
(საქმის გარემოებები)

აღნიშნული გარემოებები დასტურდება შემდეგი მტკიცებულებებით: _____
_____

სარჩელს თან ერთვის: _____
(თანდართული საბუთების ჩამონათვალი)

მოსარჩელე: _____
(სახელი, გვარი, ხელმოწერა)

თარიღი:

ჩელის მიღებაზე უარის თქმის შესახებ, ის ვალდებულია ეს გადაწყვეტილება თქვენ დროულად მოგაწოდოთ. თუ ამგვარი განჩინება მოგივიდათ, გაითვალისწინეთ, რომ თქვენ გაქვთ მხოლოდ **12 სამუშაო დღე** (მიღების მომენტიდან) **მის გასაჩივრებისათვის.** საჩივარი შეტანილ უნდა იქნას იმავე სასამართლოში. თუ სასამართლო ეთანხმება მოთხოვნას, ის თვითონვე დააკმაყოფილებს საჩივარს, ხოლო თუ არ ეთანხმება, გადაგზავნის ზემდგომი ინსტანციის სასამართლოში, რომელიც იღებს საბოლოო გადაწყვეტილებას.

3.3.3 სასამართლო პროცედურა

3.3.3.1 საქმის მომზადება

თუ თქვენ სასამართლოში რომელიმე პირს ან ორგანიზაციას უჩივით, სასამართლო ვალდებულია გადაუგზავნოს მას თქვენი სარჩელი და მისცეს ვადა თავის პოზიციის შემუშავებისა და დასაბუთებისათვის. თქვენ მოგეცემათ ამ არგუმენტების გაცნობის შესაძლებლობა და ვადა კონტრარგუმენტების მოსამზადებლად. სარჩელს და ორივე მხარის არგუმენტებს სასამართლო მოისმენს ძირითად სხდომაზე. შესაძლოა მოწვეული იქნას აგრეთვე მოსამზადებელი სხდომა, რომლის მიზანია მხარეებისათვის მორიგების შესაძლებლობის მიცემა.

საქართველოში

ქვემოთ სქემაზე ასახულია ტიპიური სასამართლო პროცედურა სამოქალაქო და ადმინისტრაციული საქმეებისათვის.

საქმის მომზადების პერიოდში თქვენ გაქვთ უფლება:

- გაეცნოთ საქმის მასალებს, გააკეთოთ ამონაწერები, გადაიღოთ ასლები,
- წარადგინოთ მტკიცებულებანი, მონაწილეობა მიიღოთ მტკიცებულებათა გამოკვლევაში,
- მისცეთ სასამართლოს ზეპირი და წერილობითი ახსნა-განმარტებანი,
- წარადგინოთ თქვენი დასკვნები და გამოთქვათ მოსაზრებები საქმის განხილვის დროს წამოჭრილ ყველა საკითხზე,
- უარყოთ მეორე მხარის შუამდგომლობები[137], დასკვნები და მოსაზრებები.

სქემა 8. ტიპიური სასამართლო პროცედურა



[137] შუამდგომლობის წარდგენა ნიშნავს სასამართლოსადმი ამა თუ იმ თხოვნით მიმართვას

3.3.3.2 სასამართლოს მთავარი სხდომა

მე-3 ცხრილში მოცემულია მოვლენათა მიმდევრობა სასამართლოს ძირითად სხდომაზე.

გასაგებია, რომ, თუ თქვენ მოსარჩელე ხართ, თქვენ (ან თქვენს ადვოკატს) სასამართლოს მთავარ სხდომაზე უქმად ჯდომა არ მოგიწევთ. თქვენ უნდა წარმოადგინოთ თქვენი მოთხოვნა, აღწეროთ გარემოებები, რომელსაც იგი ემყარება, მიუთითოთ მტკიცებულებები, განაცხადოთ, ხომ არ აპირებთ მორიგებას; დაუსვათ კითხვები მოწინააღმდეგე მხარეს, უპასუხოთ მის და მოსამართლის შეკითხვებს, წარმოთქვათ თქვენი დასკვნითი სიტყვა და რეპლიკა მოწინააღმდეგის დასკვნით სიტყვაზე.

რა თქმა უნდა უმჯობესია, თუ თქვენ პროფესიონალი ადვოკატი წარმოგადგენთ. მაგრამ თუ ეს ასე არ არის, ნუ შეშინდებით. რამოდენიმე რჩევა მოსარჩელეს:

<u>სასამართლო სხდომამდე</u>

- გულდასმით წაიკითხეთ მოპასუხის შესაგებელი და საქმის სხვა მასალები. მოიფიქრეთ პასუხი მოპასუხის არგუმენტებზე. ჩამოაყალიბეთ პასუხი წერილობით.
- თუ თქვენი პასუხი დამატებით გარემოებებს ან მტკიცებულებებს შეიცავს, მიაწოდეთ იგი სა-

ცხრილი 3. სასამართლოს ძირითადი სხდომა

მოსამართლე	მდივანი	მოსარჩელე	მოპასუხე	მოქმედება
■				სხდომის გახსნა
■				განსახილველი საქმის გამოცხადება
	■			ჩამოთვლა, თუ ვინ გამოცხადდა და ვინ არა.
	■			გამოუცხადებლობის მიზეზების გაჟღერება
■	■	■	■	დამსწრეთა ვინაობის დადგენა
■				წარმომადგენელთა უფლებამოსილების შემოწმება
				მოწმეთა დარბაზიდან გასვლა
■				ექსპერტის, თარჯიმნის, მდივნის ვინაობის გამოცხადება
■				კითხვა აცილების შესახებ
ს ა ქ მ ი ს გ ა მ ო კ ვ ლ ე ვ ა				
■				საქმის მოხსენება
		■		მოსარჩელის ახსნა-განმარტება (მოთხოვნა, გარემოებები, რომელსაც ემყარება, რა ადასტურებს ამ გარემოებებს, ხომ არ ამბობს უარს, ხომ არ სურს მორიგება)
			■	მოპასუხის ახსნა-განმარტება (შესაგებელის შინაარსი, ხომ არ ცნობს სარჩელს, ხომ არ სურს მორიგება)
		■	■	მხარეთა ურთიერთ-შეკითხვები და პასუხები
■		■		მოსამართლის შეკითხვები მხარეებისადმი და მათი პასუხები
■			■	
■				მტკიცებულებათა განხილვა და შემოწმება
პ ა ე ქ რ ო ბ ა				
		■		მოსარჩელის სიტყვა
			■	მოპასუხის სიტყვა
		■		მოსარჩელის რეპლიკა
			■	მოპასუხის რეპლიკა
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ი ს მ ი ღ ე ბ ა				
■				სასამართლოს გასვლა გადაწყვეტილების მისაღებად
■				სასამართლოს დაბრუნება სხდომის დარბაზში
■				გადაწყვეტილების გამოცხადება, მისი შინაარსის, გასაჩივრების წესის და ვადის განმარტვა

სამართლოს მთავარ სხდომამდე.

- თუ ახალ არგუმენტებს მთავარ სხდომაზე აცხადებთ, განმარტეთ, რატომ ვერ შეძელით მათი წარმოდგენა მთავარ სხდომამდე.
- მოამზადეთ შეკითხვები მოწინააღმდეგისათვის. ჩამოაყალიბეთ ისინი წერილობით და იქონიეთ თან მთავარ სხდომაზე.
- მოამზადეთ თქვენი სიტყვა
- თუ სასამართლოს სხდომაზე დასწრებას რაიმე მიზეზის გამო ვერ ახერხებთ, აცნობეთ ამის შესახებ სასამართლოს

<u>სასამართლოს მთავარ სხდომაზე</u>

- გამოცხადდით დროზე;
- დაემორჩილეთ მოსამართლის დისციპლინარულ მითითებებს;
- ყურადღებით უსმინეთ მოსამართლეს და მოწინააღმდეგე მხარეს. ჩაინიშნეთ მნიშვნელოვანი მომენტები. თუ რაიმე ვერ გაიგეთ, ითხოვეთ განმარტება;
- ნუ გააწყვეტინებთ ლაპარაკს მოსამართლეს ან მოწინააღმდეგე მხარეს. დაელოდეთ მათი სიტყვის დამთავრებას და მხოლოდ შემდეგ ითხოვეთ სიტყვა;
- თუ თქვენმა მოწინააღმდეგემ მთავარ სხდომაზე ახალი გარემოებები და მტკიცებულებები წამოაყენა, რომელზეც პასუხის გასაცემად თქვენ მზად არ ხართ:
    - თუ აშკარაა, რომ მას ეს გარემოებები და მტკიცებულებები ადრევე (შესაგებელში) შეეძლო წამოეყენებინა და არ მოიქცა ასე მხოლოდ საქმის გაჭიანურების მიზნით, სთხოვეთ მოსამართლეს არ გაითვალისწინოს ისინი;
    - თუ მოსამართლემ მიიჩნია, რომ ახალი გარემოებები და მტკიცებულებები საპატიო მიზნით არ იქნა წარმოდგენილი ადრე, მოითხოვეთ სხდომის გადადება, რათა თქვენ მოგეცეთ საშუალება ამ გარემოებათა და მტკიცებულებათა შესასწავლად და კონტრარგუმენტების მოსამზადებლად.
- მოითხოვეთ სხდომის ოქმი.

საქართველოში

სასამართლო სხდომის დარბაზში ქცევის წესებსა და მხარეთა სხვა უფლებების შესახებ იხ. საქართველოს საერთო სასამართლოების ვებ-გვერდი http://www.court.gov.ge/

3.3.4 სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრება

სასამართლო გადაწყვეტილებათა გასაჩივრების ზოგადი წესი ქვემოთ სქემაზეა მოყვანილი:

სქემა 9. სასამართლო გადაწყვეტილებათა გასაჩივრების ზოგადი წესი



3.3.4.1 აპელაცია

3.3.4.1.1 ვადა

სასამართლო გადაწყვეტილების გამოცხადებიდან **ერთი თვის ვადაში** ორივე მხარეს შეუძლია მისი გასაჩივრება ზემდგომი ინსტანციის სასამართლოში. ამგვარი საჩივრის (აპელაციის) წარდგენა აჩერებს გასაჩივრებული გადაწყვეტილების მოქმედებას.

საქართველოში

თუ თქვენ თავდაპირველი სარჩელით ადმინისტრაციულ ორგანოს უჩიოდით, სააპელაციო ვადის ათვლა იწყება იმ მომენტიდან, როდესაც თქვენ გადაწყვეტილებასთან ერთად განგიმარტეს სასამართლო გადაწყვეტილების გასაჩივრების შესაძლებლობა, გასაჩივრების ორგანო, მისი ადგილმდებარეობა, გასაჩივრების ვადა და გასაჩივრების წესი. თუ თქვენ ამგვარი განმარტება არ მიგიღიათ, მაშინ აპელაციის უფლება **გიგრძელდებათ** სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღებიდან **ერთი წლის** განმავლობაში.

3.3.4.1.2 იურისდიქცია

საქართველოში

მოძებნეთ 84 გვერდზე განთავსებულ სქემაში იმ სასამართლოს ზემდგომი სასამართლო, რომლის გადაწყვეტილებასაც უჩივით. ეს იქნება თქვენი სააპელაციო სასამართლო. მისი ზუსტი დასახელება უნდა მიუთითოთ სააპელაციო საჩივრის მიმართვაში (იხ ქვემოთ).

მარგამ, გახსოვდეთ: **სააპელაციო საჩივარი უნდა წარადგინოთ იმავე სასამართლოში, რომელმაც გამოიტანა გადაწყვეტილება, რომელსაც თქვენ უჩივით.** სასამართლო საჩივართან ერთად მთელ საქმეს თავად გადააგზავნის სააპელაციო სასამართლოში.

3.3.4.1.3 სააპელაციო საჩივარი

სააპელაციო საჩივარი ასეთი სახის შეიძლება იყოს:

_____ სასამართლოს
(სააპელაციო სასამართლოს დასახელება)

მოქალაქე: _____
(თქვენი სახელი და გვარი)

მცხოვრები: _____
(თქვენი მისამართი)

ს ა ა პ ე ლ ა ც ი ო ს ა ჩ ი ვ ა რ ი

მოგახსენებთ, რომ _____ სასამართლოს
(იმ სასამართლოს დასახელება, რომელსაც უჩივიხართ)

_____ გადაწყვეტილების
(მიუთითეთ გასაჩივრებული გადაწყვეტილების ნომერი, თარიღი და დასახელება)

_____ ნაწილი არასწორია შემდეგი გარემოებების გამო:
(გადაწყვეტილების ნაწილი, რომელსაც არ ეთანხმებით)

_____
(რა გარემოებების გამო არის მითითებული გადაწყვეტილება უკანონო, და რა მტკიცებულებები არსებობს საამისოდ)

მოგმართავთ თხოვნით, რათა გააუქმოთ ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება და დააკმაყოფილოთ ჩემი თავდაპირველი სარჩელი _____ თაობაზე
(თავდაპირველი სარჩელის მოთხოვნა, რომელიც არ დაკმაყოფილდა)

საჩივარს თან ერთვის შემდეგი საბუთები: _____

განმცხადებელი: _____
(ხელმოწერა თარიღი)

3.3.4.1.4 პროცედურა

საქართველოში

საჩივარს თან უნდა ახლდეს სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი საბუთი. ბაჟის განაკვეთების შესახებ იხ სექცია 3.4.1.1.
საჩივრის შეტანის შემდეგ 10 სამუშაო დღის მანძილზე სააპელაციო სასამართლო ადგენს, დასაშვებია თუ არა საჩივარი[138]. თუ საჩივარი დასაშვებია, სასამართლო დაადგენს ზეპირი განხილვის თარიღს და 3 დღის განმავლობაში გაცნობებთ თქვენ მას.

3.3.4.2 კასაცია

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება კვლავ ექვემდებარება გასაჩივრებას, ოღონდ ე.წ. „კასაციის წესით". ეს ნიშნავს, რომ საკასაციო სასამართლო არ მიიღებს განსახილველად რაიმე ახალ გარემოებებს და მტკიცებულებებს. იგი ძირითადად არჩევს, სწორად მოქმედებდა თუ არა წინა ინსტანციის სასამართლო. შესაბამისად საჩივრის არსიც ძირითადად მდგომარეობს იმაში, თუ სასამართლოს რა მოქმედებას არ ეთანხმებით და რატომ. თუ საკასაციო სასამართლო თქვენს საჩივარს საფუძვლიანად მიიჩნევს, იგი დააბრუნებს საქმეს წინა ინსტანციის სასამართლოში ხელახლა განსახილველად.

საქართველოში

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება **1 თვის** განმავლობაში შეიძლება კასაციის წესით გაასაჩივროთ საქართველოს უზენაეს სასამართლოში. ისევე, როგორც აპელაციის შემთხვევაში, საჩივრის შეტანა ხდება იმავე სასამართლოში, რომელმაც გამოიტანა გასაჩივრებული გადაწყვეტილება. ეს უკანასკნელი საჩივართან ერთად მთელ საქმეს თავად გადაგზავნის უზენაეს სასამართლოში.
უფრო დეტალურად საქართველოს უზენაესი სასამართლოს შესახებ, აგრეთვე მისი გადაწყვეტილებანი იხ. http://www.supremecourt.ge/

3.3.5 სხვა მნიშვნელოვანი დეტალები

3.3.5.1 საპროცესო თანამონაწილეობა: ძალა ერთობაშია

საქართველოში

სარჩელი სასამართლოში შეიძლება შეტანილ იქნას როგორც ერთი ცალკე აღებული მოსარჩლის, ისე ერთად აღებული რამდენიმე მოსარჩლის მიერ. ამას საპროცესო თანამონაწილეობა ეწოდება. ამ ინსტიტუტს თავისი პოზიტიური მხარეები გააჩნია. თავი რომ დავანებოთ პრინციპს „ძალა ერთობაშია", ამ შემთხვევაში ბევრად უფრო ადვილია საზოგადოების მობილიზაცია, მისი ყურადღების ფოკუსირება საკითხზე, მასმედიის ჩართვა და ა.შ., რადგანაც პროცესი უკვე სცილდება ერთი კონკრეტული პირის ინტერესის ფარგლებს და გადადის საზოგადოებრივი ინტერესის ჩარჩოებში. გარდა ამისა, ასეთ შემთხვევაში, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-10 მუხლის თანახმად, სასამართლო ხარჯები განაწილდება თანაბრად თითოეულ პირს შორის, რაც თავისთავად პროცესის მონაწილესათვის სასამართლო პროცესის გაიაფებას იწვევს.
საპროცესო თანამონაწილეობით სარჩელის წარდგენა შეიძლება, თუ:

- სარჩელის საგანს წარმოადგენს საერთო უფლება;
- სასარჩელო მოთხოვნები გამომდინარეობს ერთი და იმავე საფუძვლებიდან;
- სასარჩელო მოთხოვნები ერთგვაროვანია, მიუხედავად იმისა, ერთგვაროვანია თუ არა მათი საფუძველი და საგანი.

თანამონაწილეებს შეუძლიათ საქმის წარმოება ერთ-ერთ თანამონაწილეს მიანდონ. ეს ხდება მათ მიერ ნოტარიუსის თანდასწრებით შესაბამისი რწმუნებულების ხელმოწერით.

3.3.5.2 პრეცედენტის გამოყენება

ყველა ევროპულ ქვეყანაში, გარდა ინგლისისა, გადაწყვეტილების მიღებისას სასამართლო ეყრდნობა მხოლოდ კანონს და თუ აუცილებელია, თავის შინაგან რწმენას. თუმცა, ანგლო-ამერიკული სასამართლო სისტემის ზეგავლენით, თანდათან სულ უფრო და უფრო მეტი მნიშვნელობა ენიჭება მსგავს საქმეზე სხვა, განსაკუთრებით იერარქიულად ზემდგომი სასამართლოს გადაწყვეტილებებს (პრეცედენტს).

უმაღლესი საკასაციო სასამართლოები ჩვეულებრივ ამა თუ იმ სახით გამოსცემენ თავიანთ მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს. ამ გამოცემებს თავისებური სახელმძღვანელოს ეფექტი აქვს იერარქიულად უფრო დაბლა მდგომ სასამართლოებზე. ყოველ შემთხვევაში, ფრიად მოსალოდნელია, რომ მოსამართლე თქვენი საქმის მომზადებისას ამ გა-

[138] მაგალითად, სამოქალაქო საქმეებზე აპელაცია დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სადავო საგნის ფასი 500 ლარს აღემატება. როგორც წესი, არ დაიშვება აპელაცია სასამართლოს გადაწყვეტილებებზე ჯარიმის დაკისრების შესახებ. თუმცა ადმინისტრაციულ საქმეებში (ანუ, თუ თქვენ ადმინისტრაციულ ორგანოს უჩივით), აპელაცია დაიშვება ყველა შემთხვევაში

მოცემებში მოცემულ მსგავს საქმეებს გადახედავს., შესაძლოა მათზე ოფიციალურადაც კი მიუთითოს საბოლოო გადაწყვეტილების დასაბუთებისას.

სასამართლოში სარჩელის წარდგენამდე გირჩევთ, გადაამოწმოთ, არსებობს თუ არა მსგავსი საქმეების გარჩევის პრეცედენტები თქვენი ქვეყნის უმაღლესი სასამართლოს მიერ და თუ ამ საქმეთა შედეგი თქვენთვის სასურველია, მიუთითოთ მათზე სარჩელში.

საქართველოში

უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებებს შეგიძლიათ გაეცნოთ უზენაესი სასამართლოს ინტერნეტ გვერდზე:
http://www.supremecourt.ge/

3.3.5.3 სარჩელის უზრუნველყოფა

ORჰუსის კონვენცია, მუხლი 9.4
მართლმსაჯულების პროცედურები უნდა ითვალისწინებდეს შესატყვის და ეფექტურ გამოსწორების ზომებს, ***სარჩელის უზრუნველყოფის*** ჩათვლით, სადაც ეს მიზანშეწონილია.

სარჩელის უზრუნველყოფა ნიშნავს სასამართლოს მიერ დროებითი ღონისძიებების გატარებას სარჩელის განხილვის განმავლობაში დამატებითი ზიანის თავიდან ასაცილებლად. ეს ღონისძიებები შეიძლება იყოს: ქონებაზე დროებით ყადაღის დადება, საქმიანობის გაგრძელების აკრძალვა, ნებართვის შეჩერება და სხვა. გარემოსდაცვითი სასამართლო პროცესების კონტექსტში ეს ჩვეულებრივ გულისხმობს გასაჩივრებული ქმედებისა თუ აქტის შეჩერებას იმ მიზნით, რომ შესაძლებელი გახდეს მომავალი სასამართლო გადაწყვეტილების განხორციელება. მაგალითად, თუ სასამართლოში ირჩევა რაიმე საწარმოს მშენებლობის ნებართვის კანონიერება, სასამართლომ შეიძლება შეაჩეროს ამ ნებართვის მოქმედება (და, შესაბამისად, მშენებლობა), სასამართლოს მსვლელობისას გარემოსათვის გამოუსწორებელი შედეგების თავიდან აცილების მიზნით.

სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს მოსამართლე მოსარჩელის მოთხოვნის საფუძველზე.

სასამართლო პრაქტიკა: უკრაინა

80-იან წლებში ქ. ლვოვის (უკრაინა) ხელისუფლებამ ნებართვა გასცა საცხოვრებელი კომპლექსის აშენების თაობაზე. კომპლექსი დაგეგმილი იყო ძველი ქალაქის ცენტრალურ მოედანზე, გამწვანებულ პარკში და არ იყო გათვალისწინებული ქალაქის დაგეგმარების დოკუმენტაციაში. მოედანი და პარკი მდებარეობდა ადგილობრივი საკათედრო ტაძრის წინ და ადილობრივი მოსახლეობისა და მრევლისათვის დასვენების ადგილს წარმოადგენდა.

ადილობრივმა მოსახლეობამ საქმეში ჩართო გარემოსდაცვით ადვოკატთა ორგანიზაცია, რათა მათი სახელით გაესაჩივრებინათ კომპლექსის მშენებლობისა და განთავსების ნებართვები. საქმე აღიძრა, მაგრამ, ამასობაში სამშენებლო კომპანიმ მოედანზე განათავსა საჭირო აღჭურვილობა და დაიწყო მშენებლობისათვის მზადება.

ადვოკატებმა მოსამართლეს მიმართეს თხოვნით აეკრძალა კომპანიისათვის სამუშაოების განხორციელება სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღებამდე. პარალელურად, მოსახლეობა ქუჩაში გამოვიდა და გზა გადაუკეტა ბულდოზერებსა და მძიმე ტექნიკას. მოსამართლემ დააკმაყოფილა ადვოკატთა თხოვნა და გასცა ბრძანება ნებართვების შეჩერების შესახებ. ადგილზე მივიდა სასამართლოს აღმასრულებელი და აიძულა კომპანია შეეჩერებინა სამუშაოები.

მოგვიანებით, იმავე წელს, როდესაც სასამართლო გადაწყვეტილებით გაუქმდა მშენებლობის ნებართვა, პარკში, ტაძრის წინ ისევ შრიალებდნენ გადარჩენილი ხეები.

სამწუხაროდ, სარჩელის უზრუნველყოფის მოთხოვნა ყოველთვის ასეთი წარმატებული არ არის. მაგალითად, ამ წიგნის 75 გვერდზე თქვენ ნახავთ ამ მხრივ ცუდი პრაქტიკის მაგალითს.

პრობლემა მდგომარეობს იმაში, რომ თუკი საქმეს წააგებთ, სასამართლომ შეიძლება მეორე მხარისათვის საქმიანობის შეჩერების შედეგად მიყენებული ზარალის ანაზღაურება დაგაკისროთ. უფრო მეტიც, შეიძლება სასამართლომ წინასწარვე მოითხოვოს თქვენს მიერ ამ ზარალის ანაზღაურების გარანტიის წარდგენა, რაც შეიძლება მნიშვნელოვან თანხას წარმოადგენდეს. პრაქტიკული რჩევები ასეთი შემთხვევისათვის იხ 95 გვერდზე.

ზოგიერთ ქვეყანაში (მაგალითად, საქართველოში და უკრაინაში) მდგომარეობა გამარტივებულია: სარჩელის აღძვრა რაიმე ადმინისტრაციული აქტის მიმართ ავტომატურად იწვევს ამ აქტის მოქმედების შეჩერებას.

საქართველოში

ზოგადი წესი მდგომარეობს იმაში, რომ სასამართლოში სარჩელის ან ადმინისტრაციულ ორგანოში საჩივარის რეგისტრაციის მომენტიდან **გასაჩივრებული აქტის მოქმედება ჩერდება**.

თუმცა, ამ წესიდან არსებობს მთელი რიგი გამონაკლისები, რომელიც ბევრ ნებართვებსა და ლიცენზიებზეც ვრცელდება. ამიტომ, თუ გასაჩივრებული აქტის შეჩერება გსურთ, გირჩევთ სარჩელში ეს მოთხოვნა დააყენოთ და სათანადოდ დაასაბუთოთ. ამ საკითხს სასამართლო **სამი დღის ვადაში** განიხილავს და გადმოგიგზავნით შესაბამის გადაწყვეტილებას (განჩინებას).

3.3.6 საკონსტიტუციო სასამართლო

საქართველოში

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო წარმოადგენს საკონსტიტუციო კონტროლის სასამართლო ორგანოს. იგი ადგენს კანონების და სხვა ნორმატიული დოკუმენტების კონსტიტუციასთან შესაბამისობას.

საკონსტიტუციო სასამართლოში ნორმატიული აქტისა თუ მისი ცალკეული ნორმის კონსტიტუციურობის თაობაზე სარჩელის შეტანის უფლება აქვთ:

- საქართველოს მოქალაქეებს;
- საქართველოში მცხოვრებ სხვა ფიზიკურ პირებს;
- საქართველოს იურიდიულ პირებს,

თუ მათ მიაჩნიათ, რომ **დარღვეულია**, **ან შესაძლოა** უშუალოდ **დაირღვეს** საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავით აღიარებული მათი უფლებანი და თავისუფლებანი.

საკონსტიტუციო სასამართლოში გარემოსდაცვითი საკითხების აღძვრა, როგორც წესი, ადამიანის გარემოსდაცვით უფლებებზე აპელირებით ხდება (იხ. 3.1.3.1.4 სექცია)

სასამართლო პრაქტიკა: უნგრეთი[139]

გარემოსდამცველთა ჯგუფმა წარადგინა სარჩელი უნგრეთის საკონსტიტუციო სასამართლოში კანონის ცვლილების წინააღმდეგ, რომელიც იძლეოდა კულტივირებული ტყეების პრივატიზების უფლებას იმ შემთხვევაშიც კი, როცა ეს ტყე დაცულ ტერიტორიაზე მდებარეობდა. გარემოსდამცველები სარჩელს ასაბუთებდნენ იმით, რომ ამ კანონით შეილახა უნგრეთის კონსტიტუციით დადგენილი ადამიანის უფლებები: **უფლება სუფთა გარემოზე** და **უფლება შესაძლო მაღალი დონის ფიზიკურ და სულიერ ჯანმრთელობაზე**.

საკონსტიტუციო სასამართლომ განიხილა საკითხი და დააკმაყოფილა სარჩელი. კერძოდ, მან დაასკვნა, რომ ზემოხსენებული უფლებები ნიშნავს, რომ **სახელმწიფო ვალდებულია უზრუნველყოს და შეინარჩუნოს გარემოს დაცვის შეძლებისდაგვარად მაღალი სტანდარტები**. დაცული პლანტაციური ტყეების პრივატიზება კი, მათი უსაფრთხოების შენარჩუნების მოთხოვნის გარეშე, გარემოს დაცვის სტანდარტის დაწევას ნიშნავს და ამდენად, არაკონსტიტუციურია.

[139] Handbook on Access to Justice under the Aarhus Convention, REC-CEE 2003, p.235, Hungary: The Protected Forest Case

საქართველოში

საქართველოს კონსტიტუციის II თავი, რომელიც ადგენს საქართველოში ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებს მოყვანილია Vა დანართში. ამ თავის 37-ე მუხლი ადგენს, რომ:

- **ადამიანს აქვს უფლება ცხოვრობდეს ჯანმრთელობისათვის უვნებელ გარემოში**;
- **ყველა ვალდებულია გაუფრთხილდეს ბუნებრივ გარემოს**.

ამდენად, ნორმატიული აქტი, რომელიც გარემოს ინტერესებს არ იცავს, ერთი მხრივ არღვევს ადამიანის უფლებას – იცხოვროს სუფთა გარემოში, და, მეორეს მხრივ ეწინააღმდეგება მის ვალდებულებას – გაუფრთხილდეს გარემოს. თუ პიროვნება აღძრავს საკითხს ამგვარი ნორმატიული აქტის წინააღმდეგ, უნდა ვივარაუდოთ, რომ საკონსტიტუციო სასამართლო წარმოებაში მიიღებს მას. თუმცა ამგვარი საჩივრების პრეცედენტი საქართველოში ჯერ-ჯერობით არ არსებობს.

დეტალურად საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში მიმართვის წესი და პროცედურა იხ. http://www.iris.ge/docs/translations/rules_app_const_court.pdf

3.4 რა სირთულეები შეიძლება შეგხვდეთ?

მიუხედავად იმისა, რომ სასამართლოსთან ურთიერთობა არც ისე საშიში და რთულია, როგორც ზოგიერთი ფიქრობს, უნდა ვაღიაროთ, რომ მაინც არის გარკვეული ასპექტები, რომელიც ართულებს მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობას.

ამ სფეროში არსებობს ორი ძირითადი და ურთიერთგადაჯაჭვული პრობლემა: სასამართლოს დამოუკიდებლობა და უნდობლობა მართლმსაჯულების სისტემის მიმართ. პირველი უფრო სახელმწიფოს ინსტიტუციური მოწყობის საკითხია. მიუხედავად იმისა, რომ პრობლემა ნამდვილად არსებობს, ხშირად მას აზვიადებენ. მეორე პრობლემა უფრო სახიფათოა. თუ შეადარებთ კეთილმოსურნე მოსამართლეებისა და მოქალაქეთა რაოდენობას, რომლებიც სასამართლოში კეთილგანწყობით მიდიან, პირველი ბევრად მეტი შეიძლება აღმოჩნდეს.

ერთადერთი ეფექტური გზა ამ პრობლემების გადასაწყვეტად არის სამოქალაქო საზოგადოების აქტიურობა. თუ გინდათ, თქვენ ქვეყანაში სასამართლო სისტემა გამოსწორდეს, გამოიყენეთ იგი, ნუ მოერიდებით, ნუ შეგეშინდებათ, პირიქით – რაც შეიძლება ხშირად მიმართეთ მას.

უფრო პრაქტიკულ დონეზე არსებობს რამოდენიმე ბარიერი, რომლისთვისაც მზად უნდა იყოთ. ჩვენ მათ ქვემოთ აღვწერთ. თუმცა, გასათვალისწინებელია, რომ ორჰუსის კონვენცია ითხოვს ქვეყნებისაგან საზოგადოებისათვის გარემოსთან დაკავშირებულ მართლმსაჯულებაზე რეალური

ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად ყველა ასეთი ბარიერის მოხსნას:

> ORჰUSის კონვენცია, მუხლი 9.5
> ქვეყანამ უნდა განიხილოს სათანადო დახმარების მექანიზმების შემოღების საკითხი, მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის ფინანსურ თუ სხვა დაბრკოლებათა მოხსნის ან შემცირებისათვის.

რეგულარულად შეახსენეთ სახელმწიფო ორგანოებს (მათ შორის სასამართლოს) ამ ვალდებულების შესახებ და მოითხოვეთ მისი შესრულება.

3.4.1 ფინანსური საკითხები

3.4.1.1 სახელმწიფო ბაჟი

> ORჰUSის კონვენცია, მუხლი 9.4
> მართლმსაჯულების პროცედურები **არ უნდა იყოს მიუწვდომლად ძვირი**.

ჩვეულებრივ, ადმინისტრაციულ საქმეებზე გადასახადი მცირეა და მნიშვნელოვან დაბრკოლებას არ წარმოადგენს. სამოქალაქო პროცესის ხარჯები კი მუდმივ პრობლემად რჩება.

პირველ რიგში, ეს ეხება საქმეებს, სადაც მოსარჩლე ითხოვს მისთვის მიყენებული ზარალის ანაზღაურებას. ასეთი საქმის აღძვრისათვის საჭიროა მოთხოვნილი თანხის გარკვეული პროცენტის ბაჟის სახით წინასწარ გადახდა.

საქართველოში

სასამართლოში სარჩელის აღძვრისას, პირმა უნდა გადაიხადოს ბაჟი. ბაჟი დიფერენცირებულია და გამოიანგარიშება დავის საგნის ფასიდან. საერთო სასამართლოებში ეს არის დავის საგნის:

- 2,5% – სარჩელზე;
- 3% – საკასაციო საჩივარზე;
- 4% – სააპელაციო საჩივარზე.

სახელმწიფო ბაჟის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 5 000 ლარს.

თუ თქვენ მიყენებული ზიანის ანაზღაურებას ითხოვთ, დავის საგნის ფასი არის სწორედ თქვენს მიერ მითითებული თანხა. არაქონებრივი დავების დროს, დავის საგნის ღირებულება განისაზღვრება სასამართლოს მიერ ყველა გარემოებისა და კონკრეტული მონაცემის გათვალისწინებით. მხედველობაში მიიღება საქმის მოცულობა, აგრეთვე მხარეთა ქონებრივი მდგომარეობა, მათი შემოსავალი. სამწუხაროდ, არის შემთხვევები, როდესაც ადმინისტრაციულ დავებზე სასამართლო საკმაოდ მაღალ ბაჟს ადგენს.

საქართველოში

სასამართლო პრაქტიკა (გაგრძელება)

ასოციაცია „მწვანე ალტერნატივას“ ზემოთ აღწერილი სარჩელის (იხ. სექცია 3.1.3.1.3) მისაღებად, თბილისის საოლქო სასამართლომ არათუ არ გაათავისუფლა არასამთავრობო ორგანიზაცია სახელმწიფო ბაჟის გადახდისგან, არამედ მიიჩნია რა, რომ მოსარჩლე კერძო სამართლის იურიდიული პირია და საქმე დიდი მოცულობის და რთული კატეგორიისაა, ორგანიზაციას მოსთხოვა 10 დღის ვადაში სახელმწიფო ბაჟის სახით 3100 ლარის (1500$) გადახდა. რომ არა საერთაშორისო დახმარება, გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაცია რა თქმა უნდა ვერ შესძლებდა ამას. ვფიქრობთ, რომ აქ საქმე გვქონდა სწორედ იმ გაუმართლებელ **მიუწვდომელ სიძვირესთან**, რომლის აღმოფხვრასაც მოითხოვს კონვენცია[140].

თუ თქვენ აპირებთ ამგვარი სარჩელის წარდგენას სასამართლოში, გირჩევთ სარჩელს დაუმატოთ შემდეგი:

- მიუთითოთ თქვენი ორგანიზაციის საქმიანობის მიზნები. ხაზი გაუსვით საქმიანობის არა-მომგებიან ხასიათს, შემოსავლების წინასწარ მიზანმიმართულობას. მიუთითეთ იმ წლიური თანხის ოდენობა, რომელიც ორგანიზაციას თავის შეხედულებისამებრ შეუძლია განკარგოს;
- მიუთითეთ ორჰუსის კონვენციის მე-9 მუხლის მე-4 პუნქტზე, რომლის თანახმად გარემოსთან დაკავშირებულ საკითხებზე მართლმსაჯულება არ უნდა იყოს მიუწვდომლად ძვირი;
- ითხოვეთ, სასამართლომ მხედველობაში მიიღოს ზემოაღნიშნული გარემოებანი სახელმწიფო ბაჟის დადგენისას.

ეს განმარტებანი არ გაგანთავისუფლებთ სახელმწიფო ბაჟისაგან. მაგრამ შესაძლოა, მნიშვნელოვნად შეამციროს მისი ზომა. თუ სასამართლომ მაინც მიუწვდომლად მაღალი ბაჟი დაგაკისრათ, შეეცადეთ გაასაჩივროთ თავად ეს ფაქტი (12 დღის განმავლობაში იმავე სასამართლოში წარადგინეთ ე.წ. კერძო საჩივარი განჩინებაზე, რომლითაც ბაჟის ოდენობა დაგიდგინეს).

არასამთავრობოორგანიზაციებისაგანგანსხვავებით, **მოქალაქეებისათვის** საქართველოს კანონმდებლობა მთელ რიგ **შეღავათებს** ითვალისწინებს:

- თუ თქვენ ჯერ ზემდგომ ორგანოს მიმართავთ საჩივრით და მხოლოდ ამ პროცედურის ამოწურვის შემდგომ (თუ შედეგი არ დაგაკმაყოფილებთ) მიმართავთ სასამართლოს, **თქვენ თავისუფლდებით სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან**.

[140] არ არის გამორიცხული, მხარეთა შემდეგ შეხვედრაზე ეს შემთხვევა განხილული იქნას, როგორც საქართველოს მიერ კონვენციის მოთხოვნათა დარღვევა – იხ. სექცია 3.5.1 კონვენციის სამდივნოსადმი არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ "ჩრდილოვანი" ანგარიშის წარდგენის უფლების შესახებ

საქართველოში

- თუ თქვენ პირდაპირ სასამართლოს მიმართეთ, სარჩელშივე მიუთითეთ თქვენი შემოსავლის წყარო და ითხოვეთ, გაგანთავისუფლონ სახელმწიფო ბაჟისაგან. მოქალაქის ქონებრივი მდგომარეობის გათვალისწინებით, **სასამართლოს შეუძლია** მთლიანად ან ნაწილობრივ **გაითვალისწინოს თქვენი თხოვნა**.
- თუ თქვენ ბაჯი მაინც დაგეკისრათ, გაითვალისწინეთ, რომ **აუცილებელი არ არის მისი დაუყოვნებლივ გადახდა**. ფიზიკური პირის მიერ ბაჟის გადაუხდელობა არ დააბრკოლებს საქმის განხილვასა და გადაწყვეტას[141]. თუმცა, საბოლოო ჯამში ბაჟი მაინც გადასახდელი იქნება.
- და კიდევ, სახელმწიფო ბაჟი ფიზიკური პირის მიერ **საკონსტიტუციო სასამართლოში** მიმართვის შემთხვევაში სულ 10 ლარია (5$).

3.4.1.2 სასამართლო ხარჯების ანაზღაურება

როგორც წესი, მხარე, რომელმაც წააგო საქმე, ანაზღაურებს პროცესის ხარჯებს. ეს მოიცავს ექპერტების და ადვოკატის ხარჯებს, ტრანსპორტირების ხარჯებს, სახელმწიფო ბაჟს და სხვა ხარჯებს. რა თქმა უნდა ეს ფრიად სასიამოვნოა, როდესაც საქმეს იგებთ. საქმის წაგებისას კი პირიქით.

საქართველოში

თუ თქვენ ადმინისტრაციულ აქტს ასაჩივრებთ და სასამართლომ დაასკვნა, რომ იგი გამოცემული იყო საქმის გარემოებების სათანადო გამოკვლევის გარეშე, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია აანაზღაუროს პროცესის ხარჯები მის სასარგებლოდ გადაწყვეტილების გამოტანის შემთხვევაშიც. შეეცადეთ მიაღწიოთ სასამართლოს მიერ ასეთი დასკვნის გამოტანას.

3.4.1.3 იურიდიული მომსახურების ფასი

მეორე პრობლემა ეხება ექსპერტთა და ადვოკატის ხარჯებს. იმ შემთხვევაში, თუ საქმე ტექნიკურად რთულია, ან მოითხოვს ღრმა შესწავლასა თუ გამოკვლევას, ეს ხარჯები შეიძლება საკმაოდ მაღალი იყოს.

მრავალ ქვეყანაში ინერგება უფასო იურიდიული კონსულტაციების პრაქტიკა. გარდა ამისა, როგორც წესი, მოქალაქეს საშუალება აქვს მოითხოვოს სახაზინო ადვოკატი.

საქართველოში

თქვენ უფლება გაქვთ მოითხოვოთ სახაზინო ადვოკატი.

გარდა ამისა, საქართველოში არსებობს იურისტთა არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც უფასო იურიდიულ დახმარებას უწევენ მოქალაქეებს:

- ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია http://www.gyla.ge/
- კავშირი „კონსტიტუციის 42-ე მუხლი“ http://www.article42.ge/

3.4.1.4 საქმიანობის შეჩერებით მიყენებული ზარალის ანაზღაურების გარანტია

როგორც ზემოთ, 3.3.5.3 სექციაში იყო აღნიშნული, თუ მოსარჩლე მოითხოვს საკამათო საქმიანობის შეჩერებას, სასამართლომ მას შესაძლოა დააკისროს მეორე მხარის მოსალოდნელი ზარალის დაფარვის გარანტიის წინასწარ წარმოდგენა. ეს შეიძლება ნიშნავდეს მნიშვნელოვანი ფულადი თანხის დადების მოთხოვნას, რაც, ჩვეულებრივი მოქალაქისათვის, ან მოქალაქეთა ჯგუფისთვის ძალიან რთული შეიძლება იყოს. გარდა ამისა, ყოველთვის არის რისკი, რომ თუ საქმეს წააგებთ, მოპასუხეს მისი საქმიანობის შეჩერების შედეგად მიყენებული ზარალი უნდა აუნაზღაუროთ.

ამგვარი პრობლემების თავიდან ასაცილებლად გირჩევთ, უჩივლოთ არა კერძო პირს, რომელიც არღვევს კანონმდებლობას, არამედ ადმინისტრაციულ ორგანოს, რომელმაც მისცა მას საამისოდ უფლება, ან არ აღკვეთა მისი კანონსაწინააღმდეგო ქმედებები. საქმის გარჩევით ადმინისტრაციულ ორგანოს ხომ არავითარი ზარალი არ მიადგება.

მეორე გზაა ითხოვოთ სასამართლოსაგან გათავისუფლება ზარალის ანაზღაურებისაგან იმის საფუძველზე, რომ სარჩელი არა კერძო, არამედ საზოგადოებრივი ინტერესის დაცვის მიზნითაა წარდგენილი. არ არის გამორიცხული, რომ სასამართლომ გაითვალისწინოს ეს მოთხოვნა.

3.4.2 ვადები

ორჰუსის კონვენცია, მუხლი 9.4
მართლმსაჯულების პროცედურები უნდა იყოს **დროული**.

თუ მიგაჩნიათ, რომ საქმე განზრახ ჭიანურდება (მაგალითად, მოპასუხე პოულობს ახალ-ახალ მიზეზებს სხდომის გადადებისათვის), მიმართეთ სასამართლოს თხოვნით (შუამდგომლობით) არ დააკმაყოფილოს მოპასუხის მოთხოვნები სხდომის გადადების შესახებ. მიუთითეთ ორჰუსის კონვენ-

[141] საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი, მუხლი 9

ციის მე-9 მუხლის მე-4 პუნქტით ქვეყანაზე დაკისრებულ მოვალეობაზე გარემოსდაცვით საკითხებში მართლმსაჯულების პროცედურების დროულობის უზრუნველყოფის შესახებ.

3.4.3 შეგებებული სარჩელი

მოგეხსენებათ, დაცვის საუკეთესო საშუალებას თავდასხმა წარმოადგენს. ხოდა რა გასაკვირია, როცა გარემოსდაცვით საქმეში მოპასუხე მხარე სასამართლოში შეგებებულ სარჩელს წარადგენს. ტიპიური ბრალდება, რომელსაც იგი ასეთ შემთხვევებში მოსარჩელეს უყენებს – ცილისწამება და რეპუტაციის შელახვაა.

ხანდახან პოტენციური მოპასუხე ასწრებს კიდევაც საზოგადოებას და წინასწარ შეაქვს სარჩელი ცილისწამებაზე. ასეთ სარჩელებს არასამთავრობო ორგანიზაციებმა სპეციალური დასახელებაც კი მოუძებნეს: „სტრატეგიული სარჩელი საზოგადოების მონაწილეობის წინააღმდეგ“ (სსსმ)[142]. ასეთი პროცესების მიზანია საზოგადოების აქტიური წევრის განეიტრალება, მისი დროის, ენერგიის, სახსრების და ენთუზიაზმის დახარჯვა გრძელ, გაწელილ, უაზრო სასამართლო პროცესში, რათა მას რეალურ საქმეზე (რაღაც კონკრეტულ გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილეობაზე და ამ მონაწილეობის უფლების დაცვაზე) რესურსი აღარ დარჩეს. ამავე დროს, ამ გატანჯული ადამიანის მაგალითი საზოგადოების სხვა წევრებსაც გადააფიქრებინებს მთავრობის საქმეებში აქტიურ ჩარევას.

სასამართლო პრაქტიკა: ყაზახეთი[143]

2000 წლის აპრილს ქ. ატირაუში ადგილობრივი განვითარების პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის განხილვისას არასამთავრობო ორგანიზაციის „კასპი ტაბიგატი“ წევრმა, ქ-ნმა ჩერნოვამ განაცხადა, რომ კომპანია, რომელიც პროექტის განხორციელების ნებართვას ითხოვდა, მნიშვნელოვნად აბინძურებდა გარემოს. ეს განცხადება სრულიად საწინააღმდეგო იყო შპს „მონიტორინგის“ ანგარიშის, რომლის მიხედვითაც კომპანია გარემოს არ აბინძურებდა.

შპს „მონიტორინგმა“ ქ-ნ ჩერნოვას სასამართლოში უჩივლა. მან განაცხადა, რომ ქ-ნ ჩერნოვას განცხადება მის ბიზნეს რეპუტაციას ზიანს აყენებდა და მორალური კომპენსაციის სახით 7000$ მოითხოვა.

საქმე მიმდინარეობდა 7 თვე. სასამართლომ გადაწყვეტილება ვერ გამოიტანა და საქმე დახურა. სამაგიეროდ ამ უაზრო პროცესმა ქ-ნ ჩერნოვას ნერვები, დრო და ადვოკატის დასაქირავებელი საკმაოდ დიდი თანხა შეინირა.

<u>როგორ მოვიქცეთ?</u>

ერთადერთი ეფექტური გზა საზოგადოების მონაწილეობის წინააღმდეგ სტრატეგიული სარჩელის წინააღმდეგ მისივე დაბრუნებაა. აღძარით შეგებებული სარჩელი, მიუთითეთ, რომ სარჩელის მიზანი საზოგადოების მონაწილეობის აღკვეთაა და მოითხოვეთ თქვენს მიერ ადვოკატსა და ექსპერტზე გაწეული ხარჯების ანაზღაურება.

3.5 საერთაშორისო პროცესი

კონვენციის დებულებათა დაცვის მექანიზმები ასევე საერთაშორისო დონეზეც არსებობს. მათი მიზანია მთავრობების მიერ აღებული ვალდებულებების შესრულების უზრუნველყოფა და აგრეთვე მოქალაქეების დახმარება, თუ მათ ვერ მიაღწიეს მართლმსაჯულებას თავიანთ ქვეყანაში.

3.5.1 შესრულების შეფასების მექანიზმი

ორჰუსის კონვენციის მხარეთა პირველივე შეხვედრამ შემოიღო ე.წ. „შესრულების შეფასების მექანიზმი“, ანუ პროცედურა, რომლის მიხედვით ხდება ქვეყნის მიერ კონვენციის მოთხოვნათა შესრულების შეფასება და ადექვატური რეაგირება.

შესრულების მექანიზმი დაფუძნებულია ქვეყნების მიერ პერიოდულ ანგარიშგებაზე კონვენციის თითოეულ დებულების შესრულებასთან დაკავშირებით. მთავრობის პარალელურად, ალტერნატიული მოხსენებების წარდგენის უფლება არასამთავრობო ორგანიზაციებსაც აქვთ.

<u>როდის ხდება ანგარიშების წარდგენა?</u>

შესრულების ანგარიშების წარდგენა ხდება მხარეთა ყოველ შეხვედრაზე. შეხვედრები ტარდება 2-3 წელიწადში ერთხელ. ყველა დოკუმენტის გადაცემა ხდება შეხვედრის დაწყებამდე სულ ცოტა 4 თვით ადრე. ზუსტი ვადები და ანგარიშის ფორმატი შეგიძლიათ იხილოთ ინტერნეტში: www.unece.org/env/pp

<u>საგანგებო შეტყობინება</u>

მხარეს უფლება აქვს აცნობოს კონვენციის დეპოზიტარს (გაეროს ოფისი ნიუ-იორკში), რომ არ ძალუძს წარუდგინოს განსახილველად ანგარიში შესაბამისობის კომიტეტს და მოითხოვოს ანგარიშის წარდგენის ვალდებულების გადავადება 4 წლამდე. ამით მხარეებს საშუალება ეძლევათ მოთხოვნილი ვადის განმავლობაში კონვენციასთან შესაბამისობაში მოიყვანონ თავიანთი კანონმდებლობა და საქმიანობა. თუმცა, ეს გამონაკლისის სახით ხდება, ვინაიდან, ამგვარი შეტყობინება ფაქტობრივად ნიშნავს დე-ფაქტო აღიარებას, რომ ქვეყანა ვერ აკმაყოფილებს ხელშეკრულების პირობებს.

3.5.1.1 შესრულების კომიტეტი

მხარეთა ანგარიშებს განიხილავს სპეციალური „შესრულების კომიტეტი“. იგი შედგება 8 ინდივიდუალური ექსპერტისაგან, რომლებსაც კონვენციის მხარეები და გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციები ასახელებენ. როგორც წესი, ისინი

[142] ინგლისურად: Strategic Law Suits Against Public Participation, SLAPP
[143] Handbook on Access to Justice under the Aarhus Convention, REC-CEE 2003, p.157

დაფასებული და ცნობილი სპეციალისტები არიან. კომიტეტში წევრები არ წარმოადგენენ თავიანთ ქვეყანას და არ გამოხატავენ თავიანთი მთავრობის ინტერესებს. ისინი მოქმედებენ მხოლოდ საკუთარი შეხედულებების მიხედვით.

კომიტეტის წევრებს ირჩევენ რიგით შეხვედრაზე წარდგენილი კანდიდატებიდან და როტაციის პრინციპით, ყოველ 4 წელიწადში იცვლება 4 წევრი. კომიტეტის წევრების მიმდინარე სია განთავსებულია ინტერნეტში, ზემოთ მითითებულ ვებ-გვერდზე.

შესრულების კომიტეტი არ წარმოადგენს სასამართლოს. იგი ნდობით აღჭურვილ ექსპერტთა ჯგუფია, რომელიც იძლევა დასკვნებსა და რეკომენდაციებს ამა თუ იმ მხარის მიერ, კონვენციის ან მის ცალკეულ დებულებათა შესრულების შესახებ.

გარდა ანგარიშებისა, კომიტეტი განიხილავს აგრეთვე **შეტყობინებებს** რომელიმე მხარის მიერ კონვენციის მოთხოვნათა შეუსრულებლობის შესახებ. შეტყობინებები კომიტეტს (სამდივნოს საშუალებით) შეიძლება წარუდგინონ როგორც მთავრობებმა, ასევე საზოგადოების წარმომადგენლებმა. შეტყობინებას თან უნდა ახლდეს მტკიცებითი დოკუმენტაცია.

ასეთი შეტყობინების მიღებისას:

- შესრულების კომიტეტი ატყობინებს მხარეს, რომ იგი არ ასრულებს კონვენციის მოთხოვნებს და აძლევს 5 თვეს ახსნა-განმარტების წარმოსადგენად;
- დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ, კომიტეტი თავის რიგით შეხვედრაზე განიხილავს შეტყობინებას და მასთან დაკავშირებით წარმოდგენილ ახსნა-განმარტებას;
- კომიტეტმა შესაძლოა ჩაატაროს ზეპირი მოსმენები (სასამართლო მოსმენის მსგავსად).

თავის დასკვნებს და გამოსწორების რეკომენდაციებს კომიტეტი მოახსენებს მხარეთა შეხვედრას.

3.5.1.2 რა შეიძლება მოიმოქმედოს შეხვედრამ შეუსრულებლობის შემთხვევაში?

შესრულების კომიტეტის მოხსენებისა და რეკომენდაციების საფუძველზე, მხარეთა შეხვედრას შეუძლია მხარის მიმართ შემდეგი ზომების მიღება:

- რჩევა, დახმარება, რეკომენდაციები;
- მოთხოვნა მხარისადმი, წარმოადგინოს კონკრეტული სტრატეგია, გეგმა და ვადები, კონვენციის შესრულებისათვის;
- რეკომენდაცია კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით;
- მხარის მიერ კონვენციის მოთხოვნების დარღვევის გამოცხადება;
- მხარის გაფრთხილება;
- მხარისათვის კონვენციით გათვალისწინებული პრივილეგიების გაუქმება (ეს შესაძლებელია გავრცელდეს კონვენციის ფარგლებში მიღებულ ტექნიკურ დახმარებაზე. მაგალითად, პროექტების დაფინანსებაზე).

მიუხედავად იმისა, რომ არც ერთი ზომა არ არის არც იურიდიული და არც კონფრონტაციული ხასიათის, ეს ზომები საკმაოდ ქმედითია. არც ერთ მთავრობას არ აწყობს, რომ საერთაშორისო დონეზე ხელშეკრულებების დამრღვევად გამოაცხადონ.

3.5.2 ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო

ევროპის ადამიანთა უფლებების კონვენცია ადამიანთა ძირითადი უფლებებისა და თავისუფლების გარანტიაა კონვენციას მიერთებული სახელმწიფოებისათვის. კონვენცია პირდაპირ არ ეხება გარემოსდაცვით თუ მონაწილეობის უფლებებს. ამასთან, სასამართლომ მიიღო რამდენიმე გადაწყვეტილება, რომლებიც ქმნის პრეცედენტს და განმარტავს ზოგიერთ დებულებას, რომელიც ეხება გარემოსდაცვით და ორჰუსის კონვენციით გათვალისწინებულ უფლებებს. კერძოდ, ჯანსაღ გარემოზე უფლება დაკავშირებულია ნორმალურ საცხოვრებელ პირობებთან, ხოლო მართლმსაჯულების სწრაფი, პატიოსანი და სამართლიანი ხელმისაწვდომობის უფლება – სათანადო პროცედურის უფლებასთან.

კონვენციის ფარგლებში მოქმედებს სტრასბურგის საერთაშორისო სასამართლო, რომლის ფუნქციაა წევრი სახელმწიფოს მიერ კონვენციის მუხლების დარღვევის დადგენა. მისი აღმოჩენის შემთხვევაში, სასამართლოს შეუძლია სახელმწიფოს დააკისროს ფინანსური სანქციები დაზარალებულის სასარგებლოდ (მატერიალური თუ არამატერიალური ზიანის ასანაზღაურებლად). სასამართლოს გადაწყვეტილებების შესრულება სავალდებულოა მთავრობებისათვის[144].

საქართველოში

საქართველოს ევროსაბჭოში გაწევრიანების შემდეგ (1999), ქვეყანაში მცხოვრებ ნებისმიერ პიროვნებას, ასევე არასამთავრობო ორგანიზაციას, შეუძლია საჩივრით მიმართოს სტრასბურგის საერთაშორისო სასამართლოს მისი დარღვეული უფლებების დასაცავად.

ადამიანთა უფლებების ევროპის სასამართლოს ვებ-გვერდია www.echr.coe.int. ქართულ ენაზე ლიტერატურა ამ თემაზე იხილეთ II დანართში, 42 და 45. არასამთავრობო ორგანიზაცია „კონსტიტუციის 42-ე მუხლი“ დაგეხმარებათ გაერკვეთ პროცედურებში და შეადგინოთ სარჩელი.

[144] იმისათვის, რომ სტრასბურგის სასამართლომ განსახილველად მიიღოს საკითხი, საჭიროა ყველა შიდა სახელმწიფოებრივი პროცედურების ამოწურვა. თუმცა არსებობს სასამართლო პრაქტიკით დადგენილი გამონაკლისები – თუ განმცხადებელი დაასაბუთებს, რომ შიდასახელმწიფოებრივი პროცედურები იმდენად გაჭიმულია დროში, რომ ფაქტიურად აზრი ეკარგება მათ გავლას და შეუძლებელს ხდის საკუთარი უფლების დასაცავად დადგენილი მექანიზმების ეფექტურად გამოყენებას; ასევე იმ შემთხვევაში, როდესაც ქვეყანაში დადგენილი პროცედურებით ან პრაქტიკით, აზრი არა აქვს შიდასახელმწიფოებრივი ინსტანციებთან მიმართვას. თუმცა ამას ძალზე სერიოზული დასაბუთება სჭირდება

I
ორჰუსის კონვენციის ტექსტი

ორჰუსის კონვენციის ქართული ოფიციალური თარგმანი

II
გამოყენებული და დამატებითი ლიტერატურა

III
ინფორმაციის ხელმისაწვდომობა

IV
საზოგადოების მონაწილეობა

V
მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა

VI
საკონტაქტო ინფორმაცია

დანართი

დანართი I. ორჰუსის კონვენციის ტექსტი

ორჰუსის კონვენციის ქართული ოფიციალური თარგმანი[145]

გაერთიანებული ერების ორგანიზაცია
ეკონომიკურ და სოციალურ საკითხთა საბჭო
ევროპის ეკონომიკური კომისია
გარემოსდაცვითი პოლიტიკის კომიტეტი
მინისტრთა მეოთხე კონფერენცია „გარემო ევროპისათვის“
ორჰუსი, დანია, 23-25 ივნისი 1998

კონვენცია გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ

წინამდებარე კონვენციის მხარეები.

- **ითვალისწინებენ რა,** ადამიანის გარემოს შესახებ სტოკჰოლმის დეკლარაციის პირველ პრინციპს,
- **ითვალისწინებენ რა აგრეთვე,** გარემოსა და განვითარების შესახებ რიო-დე-ჟანეიროს დეკლარაციის მეათე პრინციპს,
- **მხედველობაში იღებენ რა,** გენერალური ასაბლეის 1982 წლის 28 ოქტომბრის 37/7 რეზოლუციას ბუნების მსოფლიო ქარტიის შესახებ და 1990 წლის 14 დეკემბრის 45/94 რეზოლუციას ადამიანთა კეთილდღეობისათვის ჯანმრთელი გარემოს უზრუნველყოფის აუცილებლობის შესახებ,
- **ითვალისწინებენ რა,** 1989 წლის 8 დეკემბერს გერმანიის ქალაქ მაინის ფრანკფურტში, მსოფლიოს ჯანმრთელობის დაცვის ორგანიზაციის პირველ ევროპულ კონფერენციაზე გარემოსა და ჯანმრთელობის შესახებ მიღებულ ევროპულ ქარტიას „გარემო და ჯანმრთელობა“,
- **ადასტურებენ რა,** გარემოს მდგომარეობის დაცვის, შენარჩუნების და გაუმჯობესების აუ-

[145] ოფიციალური ტექსტი აღებულია გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისიის ინტერნეტ-გვერდიდან http://www.unece.org/env/pp/documents/cep43georgian.pdf. მასში შეტანილია მინიმალური კორექტურა, კერძოდ:

I. ნუმერაციის გასწორების მიზნით მთელს ტექსტში:
- სიტყვა „თავი“ შეცვლილია სიტყვით „მუხლი“;
- სიტყვა „პარაგრაფი“ შეცვლილია სიტყვით „პუნქტი“;
- სიტყვა „ქვეპარაგრაფი“ შეცვლილია სიტყვით „ქვეპუნქტი“;
- ქართული ნუმერაცია შეცვლილია ინგლისურით;
- მე-19 მუხლის მე-2 პუნქტში სიტყვები „მე-17 პუნქტში“ შეცვლილია სიტყვებით „მე-17 მუხლში“.

II. კონვენციის მიერვე შემოღებული ტერმინების დაცვის მიზნით:
- პრეამბულის მე-17 აბზაცში, მე-5 მუხლის პირველი პუნქტის b) ქვეპუნქტში, ამავე მუხლის მე-2 პუნქტის (ა) ქვეპუნქტში, მე-6 მუხლის მე-6 პუნქტის პირველ წინადადებაში, ამავე პუნქტის (f) ქვეპუნქტში, ამავე მუხლის მე-9 და მე-10 პუნქტებში, მე-7 და მე-8 მუხლებში, მე-9 მუხლის პირველი პუნქტის მე-2 და მე-3 აბზაცებში, ამავე მუხლის მე-3 პუნქტში სიტყვა „სახელმწიფო“ შეცვლილია სიტყვით „ხელისუფლების“. პრეამბულის მე-10 აბზაცში სიტყვა „ხელისუფლებას“ შეცვლილია სიტყვებით „ხელისუფლების ორგანოებს“;
- მე-4 მუხლის პირველ და მე-6 პუნქტებში სიტყვა „ეკოლოგიურ“ შეცვლილია სიტყვით „გარემოსდაცვით“;
- პრეამბულის მე-10 და მე-13 აბზაცებში, მე-5 მუხლის პირველი პუნქტის (c) ქვეპუნქტში (ორჯერ) სიტყვა „მოსახლეობა“ შეცვლილია სიტყვით „საზოგადოება“;
- მე-9 მუხლის მე-2 პუნქტის პირველ აბზაცში სიტყვები „საზოგადოებრივი უწყებების “ შეცვლილია სიტყვებით „დაინტერესებული საზოგადოების“; ამავე პუნქტის მე-5 აბზაცში სიტყვები „ფართო საზოგადოებისათვის“ შეცვლილია სიტყვებით „დაინტერესებული საზოგადოებისათვის“.

III. მბეჭდავის შეცდომების გასწორების მიზნით:
- ყველგან ტექსტში სიტყვა „იქნეს“ შეცვლილია სიტყვით „იქნას“;
- პრეამბულის მე-10 აბზაცში სიტყვა „გათვიცნობიერებას“ შეცვლილია სიტყვით „გათვითცნობიერებას“, მე-12 აბზაცში სიტყვა „თავაზობენ“ შეცვლილია სიტყვით „სთავაზობენ“, 21-ე აბზაცში და მე-5 მუხლის მე-2 პუნქტში სიტყვა „გამჭირვალობის“ შეცვლილია სიტყვით „გამჭვირვალობის“, 22-ე აბზაცში სიტყვა „კონვეციის“ შეცვლილია სიტყვით „კონვენციის“;
- მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის a) ქვეპუნქტში სიტყვა „ორგანიზაციები“ შეცვლილია სიტყვით „ორგანიზმები“, ხოლო ბ) ქვეპუნქტში სიტყვა „რადაცია“ შეცვლილია სიტყვით „რადიაცია“
- მე-4 მუხლის პირველი პუნქტის b) (i) ქვეპუნქტში სიტყვა „ხელუსუფლების“ შეცვლილია სიტყვით „ხელისუფლების“, მე-2 პუნქტში სიტყვის „იქნას“ შემდეგ ამოღებულია სიტყვა „იქნება“, მე-4 პუნქტის d) ქვეპუნქტში სიტყვა „ინფორმაცის“ შეცვლილია სიტვით „ინფორმაციის“, ამავე პუნქტის f) ქვეპუნქტში სიტყვა „მონაცენების“ შეცვლილია სიტყვით „მონაცემების“;
- მე-5 მუხლის პირველ პუნქტში სიტყვა „უზრუნველჰყოფს“ შეცვლილია სიტყვით „უზრუნველყოფს“, ამავე პუნქტის c) ქვეპუნქტში სიტყვა „დაუყონებლივ“ შეცვლილია სიტყვით „დაუყოვნებლივ“, ამავე მუხლის მე-5 პუნქტის b) ქვეპუნქტში სიტყვა „ხელშეკრილებები“ შეცვლილია სიტყვით „ხელშეკრულებები“, ხოლო მე-9 პუნქტში სიტყვა „საერო“ შეცვლილია სიტყვით „საერთო“;
- მე-9 მუხლის მე-2 პუნქტის პირველ აბზაცში სიტყვა „წევრები“ შეცვლილია სიტყვით „წევრებს“, მე-4 აბზაცში სიტყვა „მიეცით“ შეცვლილია სიტყვით „მიეცეთ“, მე-6 აბზაცი კი სიტყვა “ქვეყნიდ“ შეცვლილია სიტყვით „ქვეყნით“; ამავე მუხლის მე-3 პუნქტში სიტყვები „ქმედებები და დაუდევრობები“ შეცვლილია სიტყვებით „ქმედებებს და დაუდევრობებს“;
- მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის a) ქვეპუნქტში სიტყვები „გარემოს გაცვასთან“ შეცვლილია სიტყვებით „გარემოს დაცვასთან“;
- მე-16 მუხლის სათაურში სიტყვა „დაცვის“ შეცვლილია სიტყვით „დავის“;
- მე-20 მუხლის მეორე პუნქტში სიტყვა „დოკუმენტებუს“ შეცვლილია სიტყვით „დოკუმენტების“;
- დანართი I-ის მე-3 პუნქტის მე-3 აბზაცში სიტყვა „ასბესტის“ შეცვლილია სიტყვით „აზბესტის“, მე-19 პუნქტის c) ქვეპუნქტის მე-3 აბზაცში სიტყვა „მისაცილებლად“ შეცვლილია სიტყვით „მოსაცილებლად“, 22-ე პუნქტში სიტყვა „ქინამდებარე“ შეცვლილია სიტყვით „წინამდებარე“.

ოფიციალური ტექსტის პუნქტუაცია შენარჩუნებულია.

ცილებლობას, აგრეთვე მდგრად და გარემოს დაცვის თვალსაზრისით გამართლებულ განვითარებას,

- **აცნობიერებენ რა**, რომ გარემოს ადეკვატური დაცვა უმნიშვნელოვანესია ადამიანის კეთილდღეობისათვის და მისი უფლებების, მათ შორის სიცოცხლის უფლების დაცვისათვის,
- **აღიარებენ აგრეთვე რა**, რომ ყოველ ადამიანს აქვს მისი ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის შესაბამის გარემოში სიცოცხლის უფლება, აგრეთვე ყოველ მოქალაქეს გააჩნია მოვალეობა, როგორც ინდივიდუალურად, ისე სხვებთან ერთად დაიცვას და გაუმჯობესოს გარემო ახლანდელი და მომავალი თაობების საკეთილდღეოდ,
- **მიიჩნევენ რა,** რომ ამ უფლებების დასაცავად და მოვალეობების შესასრულებლად მოქალაქეებისათვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს გარემოსდაცვითი ინფორმაცია, უნდა ჰქონდეს გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მონაწილეობის უფლება, ხელი უნდა მიუწვდებოდეთ გარემოსდაცვითი სფეროს კანონმდებლობაზე და ამასთან დაკავშირებით ვაღიარებთ რა, რომ მოქალაქეებს შესაძლოა დასჭირდეთ დახმარება თავიანთი უფლებების ცხოვრებაში გატარებისას,
- **აღიარებენ რა,** რომ გარემოს დაცვით სფეროში ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება და გადაწყვეტილებების მიღებისას საზოგადოების მონაწილეობის პროცესის სრულყოფა ამაღლებს გადაწყვეტილებების მიღებისა და მათი განხორციელების ხარისხს, აგრეთვე ხელს უწყობს საზოგადოების ეკოლოგიურ საკითხებში გათვითცნობიერებას, საშუალებას აძლევს საზოგადოებას გამოხატოს შეშფოთება ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით, ხოლო ხელისუფლების ორგანოებს აძლევს საშუალებას გაითვალისწინოს მათი ინტერესები,
- **მიზნად ისახავენ რა,** ამ გზით უზრუნველყონ გადაწყვეტილებების მიღების პროცესის კონტროლირებადობა და საჯაროობა და გარემოს დაცვის სფეროში საზოგადოებრივი მხარდაჭერის გაძლიერება,
- **აღიარებენ რა,** რომ სასურველია ხელისუფლების სტრუქტურების საქმიანობის ყველა სფეროს საჯაროობა, სთავაზობენ საკანონმდებლო ორგანოებს განახორციელონ ამ კონვენციის პრინციპები თავიანთ საქმიანობებში,
- **აღიარებენ რა,** რომ საზოგადოება გათვითცნობიერებული უნდა იყოს გარემოს დაცვის სფეროში გადაწყვეტილებების მიღების პროცესში თავიანთი მონაწილეობის მიღების პროცედურაში. მოსახლეობას ხელი უნდა მიუწვდებოდეს მასთან დაკავშირებულ მასალებზე და უნდა იცოდეს მათი გამოყენება,
- **აღიარებენ აგრეთვე,** რომ ცალკეულ მოქალაქეებს, არასამთავრობო ორგანიზაციებს და კერძო სექტორს შეუძლიათ შეასრულონ მნიშვნელოვანი როლი გარემოს დაცვის სფეროში,
- **სურთ რა,** ხელი შეუწყონ ეკოლოგიურ განათლებას გარემოს დაცვის და მდგრადი განვითარების საკითხების უკეთ შემეცნებისათვის და ხელი შეუწყონ რა, მოსახლეობის საყოველთაო გაცნობიერებას და მის მონაწილეობას იმ გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში, რომელიც ზემოქმედებას ახდენს გარემოზე და მდგრად განვითარებაზე,
- **ამასთან დაკავშირებით აღნიშნავენ რა,** მასობრივი საინფორმაციო საშუალებებისა და ელექტრონული და კომუნიკაციის სხვა უახლესი საშუალებების (მომავალი ფორმების) გამოყენების მნიშვნელოვან როლს,
- **აღიარებენ რა,** სამთავრობო დონეზე გადაწყვეტილებების მიღებისას გარემოსდაცვითი მოსაზრებების სრული გათვალისწინების დიდ მნიშვნელობას და აქედან გამომდინარე იმის აუცილებლობას, რომ ხელისუფლების ორგანოები ფლობდნენ ზუსტ, ამომწურავ და უახლეს გარემოსდაცვით ინფორმაციას,
- **აღიარებენ რა,** რომ ხელისუფლების ორგანოები საზოგადოების ინტერესების გათვალისწინებით ფლობენ გარემოსდაცვით ინფორმაციას,
- **თვლიან რა,** რომ საზოგადოებისა და ორგანიზაციების კანონიერი უფლებების დაცვისათვის აუცილებელია მათთვის ხელმისაწვდომი იყოს ეფექტური სასამართლო მექანიზმები, და ამდენად მათი კანონიერი ინტერესები დაცული იქნება, ხოლო კანონს კი ძალა ექნება,
- **აღნიშნავენ რა,** რომ მნიშვნელოვანია მომხმარებლისათვის პროდუქტებზე სათანადო ინფორმაციის მიწოდება, რათა მომხმარებელს საშუალება მიეცეს გააკეთოს დასაბუთებული არჩევანი გარემოსდაცვითი ინტერესების გათვალისწინებით,
- **აცნობიერებენ რა,** საზოგადოების შეშფოთებას გარემოში გენეტიკურად მოდიციფირებული ორგანიზმების წინასწარ განზრახულად გაშვებასთან დაკავშირებით, აუცილებლად მიიჩნევენ ამ სფეროში გადაწყვეტილებების მიღებისას საზოგადოების უფრო აქტიური მონაწილეობისა და უფრო მეტი გამჭვირვალობის აუცილებლობას,
- **დარწმუნებულნი არიან რა,** რომ ამ კონვენციის განხორციელება ხელს შეუწყობს დემოკრატიის დამკვიდრებას გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისიის რეგიონში,
- **კარგად ესმით რა,** ამ მხრივ ECE-ს მიერ შესრულებული როლი და ითვალისწინებენ რა, 1995 წლის 25 ოქტომბერს ბულგარეთის დედაქალაქ სოფიაში მინისტრების მესამე კონფერენციაზე „გარემო ევროპისათვის“ მიღებულ მინისტრთა დეკლარაციას გარემოსდაცვითი ინფორმაციის ხელმისაწვდომობისა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობის შესახებ ECE-ს სახელმძღვანელო პრინციპებს,
- **მხედველობაში იღებენ რა,** 1991 წლის 25 თებერვალს ფინეთის ქალაქ ესპოში გარემოზე ზემოქმედების შეფასების კონვენციაზე ტრანსსასაზღვრო კონტექსტში გაკეთებულ შესაბამ-

ის დებულებას და 1992 წლის 17 მარტს ჰელსინკში სამრეწველო ავარიების ტრანსსასაზღვრო ზეგავლენის კონვენციის და ტრანსსასაზღვრო წყალსადინარებისა და საერთაშორისო ტბების გამოყენებისა და დაცვის კონვენციებზე გაკეთებულ შესაბამის დებულებებს, ასევე სხვა რეგიონულ კონვენციებს,

- **კარგად ესმით რა,** რომ წინამდებარე კონვენციის მიღება ხელს შეუწყობს „გარემო ევროპისათვის" პროცესის შემდგომ გაძლიერებას და 1998 წლის ივნისში დანიის ქალაქ ორჰუსში მინისტრების მეოთხე კონფერენციის შედეგების განვითარებას.
- **შეთანხმდნენ** შემდეგზე:

მუხლი 1
მიზანი

იმისათვის, რომ უზრუნველყოფილ იქნას ახლანდელი და მომავალი თაობების ყოველი ადამიანის უფლება იცხოვროს საკუთარი ჯანმრთელობის და კეთილდღეობისათვის შესაფერის გარემოში, ამ კონვენციის დებულების შესაბამისად ყველა მხარე იძლევა საზოგადოებისათვის გარემოსდაცვითი ინფორმაციის და მასთან დაკავშირებულ მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობისა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მათი მონაწილეობის უფლების გარანტიას.

მუხლი 2
განსაზღვრებები

წინამდებარე კონვენციის მიზნებისათვის:

1. თუ ტექსტში არ არის განსაკუთრებული მითითება, „მხარე" ნიშნავს წინამდებარე კონვენციის მხარეს;

2. „ხელისუფლების ორგანოები"[146] ნიშნავს:

a) ხელისუფლებას ეროვნულ, რეგიონულ და სხვა დონეებზე;

b) ფიზიკურ და იურიდიულ პირებს, რომლებიც ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად ასრულებენ სახელმწიფო ადმინისტრაციულ ფუნქციებს, გარემოსთან დაკავშირებული კონკრეტული ვალდებულებების, მომსახურების და ქმედებების ჩათვლით;

c) ნებისმიერ სხვა ფიზიკურ თუ იურიდიულ პირს, რომელიც ასრულებს სახელმწიფო ვალდებულებებს ან ფუნქციებს, ან გარემოს დაცვის საკითხებთან დაკავშირებით ზემოთ a) და b) ქვეპუნქტებში განსაზღვრული ორგანოების ან პირების კონტროლქვეშ ეწევა საზოგადოებრივ მომსახურებას;

d) მე-17 მუხლში მითითებულ ეკონომიკური ინტეგრაციის ნებისმიერ რეგიონულ ორგანიზაციას, რომელიც არის წინამდებარე კონვენციის მხარე.

ეს განსაზღვრება არ გულისხმობს ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს, რომლებიც მოქმედებენ სასამართლო ან საკანონმდებლო სტატუსით.

3. „გარემოსდაცვითი ინფორმაცია" გულისხმობს წერილობითი, აუდიოვიზუალური, ელექტრონული ან ნებისმიერი სხვა მატერიალური ფორმით მოწოდებულ ყველა ინფორმაციას ისეთ საკითხებზე, როგორიცაა:

a) გარემოს შემადგენელი ისეთი ელემენტების მდგომარეობა, როგორიც არის ჰაერი და ატმოსფერო, წყალი, ნიადაგი, მიწა, ლანდშაფტი და ბუნებრივი ობიექტები, ბიოლოგიური მრავალფეროვნება და მისი კომპონენტები, გენეტიკურად მოდიფიცირებული ორგანიზმები და ამ ელემენტების ურთიერთქმედება;

b) ისეთი ფაქტორები, როგორიცაა ნივთიერებები, ენერგია, ხმაური და რადიაცია, მოქმედებები და ღონისძიებები, აგრეთვე ადმინისტრაციული ღონისძიებები, შეთანხმებები გარემოს დაცვის სფეროში, პოლიტიკა, კანონმდებლობა, გეგმები და პროგრამები, რომლებიც გავლენას ახდენს ან სავარაუდოა, რომ მოახდენს ზემოთ ა) ქვეპუნქტში ჩამოთვლილ გარემოს შემადგენელ ელემენტებზე, ხარჯმოგება და სხვა ეკონომიკური ანალიზები და მოსაზრებები, რომლებსაც იყენებენ გარემოს დაცვასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღებისას;

c) ადამიანის ჯანმრთელობის მდგომარეობა და უსაფრთხოება, მისი ცხოვრების პირობების, კულტურული ობიექტების და შენობა-ნაგებობების მდგომარეობა, იმდენად, რამდენადაც მათზე ზეგავლენას ახდენს ან შესაძლოა მოახდენს გარემოს შემადგენელი ელემენტების მდგომარეობა ან ამ ელემენტების მეშვეობით ზემოთ ბ) ქვეპუნქტში მითითებული ფაქტორები, ქმედებები ან ღონისძიებები.

4. „საზოგადოება" ნიშნავს ერთ ან ერთზე მეტ ფიზიკურ ან იურიდიულ პირს და ეროვნული კანონმდებლობის და ქმედებების შესაბამისად მათ ასოციაციებს, ორგანიზაციებს ან ჯგუფებს.

5. „დაინტერესებული საზოგადოება" ნიშნავს საზოგადოებას, რომელსაც ეხება ან შესაძლოა შეეხოს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებების მიღება ან რომელიც დაინტერესებულია გარემოს დაცვის სფეროში გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მონაწილეობით[147]; არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც ხელს უწყობენ გარემოს დაცვას და პასუხობენ ეროვნული კანონმდებლობის ყველა მოთხოვნას, განიხილებიან, როგორც დაინტერესებული სუბიექტები.

[146] ინგლისურ ორიგინალში გამოყენებულია ტერმინი Public Authority.კონვენცია ქართულად ითარგმნა პერიოდში, როდესაც საქართველოს კანონმდებლობა ამ ტერმინის სათანადო თარგმანს არ იცნობდა. დღევანდელ ქართულ საკანონმდებლო სივრცეში Public Authority-ს შესაფერი ქართული ტერმინი არის „საჯარო დაწესებულება". წინამდებარე სახელმძღვანელოში სწორედ ეს ტერმინი გამოიყენება.

[147] ინგლისურ ორიგინალში ნათქვამია: „ან რომელსაც ინტერესი გააჩნია გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების პროცესისადმი"

მუხლი 3
ზოგადი დებულებები

1. თითოეული მხარე მიიღებს აუცილებელ საკანონმდებლო, მარეგულირებელ და სხვა ზომებს, აგრეთვე ღონისძიებებს, მათ შორის, რომლებიც უზრუნველყოფენ წინამდებარე კონვენციის ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, საზოგადოების მონაწილეობის და მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის დებულებებს შორის ერთმანეთთან შესაბამისობაში მოყვანას, აგრეთვე განახორციელებს მართებულ ღონისძიებებს ამ დებულებების განხორციელებისათვის მკაფიო საჯარო და თანამიმდევრული სტრუქტურის[148] შესაქმნელად.
2. ყოველი მხარე ეცდება უზრუნველყოს, რომ ოფიციალურმა პირებმა და ხელისუფლების ორგანოებმა წარმართონ და ხელი შეუწყონ საზოგადოებას, რათა მათთვის ხელმისაწვდომი გახადონ გარემოსდაცვითი ინფორმაცია, გაუადვილონ გარემოს დაცვის სფეროში გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მონაწილეობა და ხელმისაწვდომი გახადონ სამართალწარმოება.
3. თითოეული მხარე ხელს შეუწყობს საზოგადოების გარემოსდაცვით განათლებას და გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლებას, განსაკუთრებით გარემოსდაცვითი ინფორმაციის მოპოვების გზების და გარემოსდაცვით სფეროში გადაწყვეტილებების მიღების პროცესსა და სამართალწარმოებაში საზოგადოების მონაწილეობის საკითხებს.
4. თითოეული მხარე დაეხმარება იმ ჯგუფების, ასოციაციების თუ ორგანიზაციების სათანადო აღიარებას, რომლებიც ხელს უწყობენ გარემოს დაცვას და უზრუნველყოფენ ეროვნული სამართლებრივი სისტემის თანხმობას ამ მოვალეობასთან.
5. წინამდებარე კონვენციის დებულებები არ შეზღუდავს რომელიმე მხარის უფლებას გააგრძელოს ან განახორციელოს ღონისძიებები, რომლებიც ითვალისწინებენ გარემოსდაცვითი ინფორმაციის უფრო ფართო ხელმისაწვდომობასა და გარემოს დაცვის სფეროში გადაწყვეტილებების მიღების პროცესში და სამართალწარმოებაში საზოგადოების უფრო აქტიურ მონაწილეობას, ვიდრე ეს წინამდებარე კონვენციაშია გათვალისწინებული.
6. წინამდებარე კონვენცია არ ითვალისწინებს გარემოს დაცვის სფეროში ინფორმაციისა და მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის, აგრეთვე გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობის უკვე არსებული უფლებების შეზღუდვას.
7. თითოეული მხარე ხელს შეუწყობს წინამდებარე კონვენციის პრინციპების გატარებას გარემოს დაცვასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღების საერთაშორისო პროცესში და გარემოს დაცვასთან დაკავშირებული საერთაშორისო ორგანიზაციების ჩარჩოებში.
8. თითოეული მხარე უზრუნველყოფს, რომ პირები, რომლებიც წინამდებარე კონვენციის შესაბამისად ახორციელებენ თავიანთ უფლებებს, არ იქნენ დასჯილნი, დევნილნი ან რაიმე ფორმით შევიწროებულნი. არსებული დებულება არ შეეხება ეროვნული სასამართლოების უფლებებს იურიდიულ პროცედურასთან დაკავშირებით დააწესოს ზომიერი გადასახადი.
9. წინამდებარე კონვენციის შესაბამისი დებულებების ფარგლებში საზოგადოებას ექნება გარემოსდაცვითი ინფორმაციის და მართლმსაჯულების საკითხების მოპოვების და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მონაწილეობის შესაძლებლობა მიუხედავად მისი მოქალაქეობისა, ეროვნებისა და საცხოვრებელი ადგილისა, ხოლო იურიდიული პირის შემთხვევაში, მიუხედავად იმისა, სად არის რეგისტრირებული მათი სამყოფელი ან სად ეწევიან ფაქტიურ საქმიანობას.

მუხლი 4
გარემოსდაცვითი ინფორმაციის ხელმისაწვდომობა

1. თითოეული მხარე უზრუნველყოფს, რომ წინამდებარე მუხლის შემდეგი პუნქტების პირობების შესაბამისად ხელისუფლების ორგანოებმა ეროვნული კანონმდებლობის ნორმების გათვალისწინებით დააკმაყოფილონ გარემოსდაცვით ინფორმაციაზე საზოგადოების მოთხოვნა, ხოლო მოთხოვნის შემთხვევაში (b) ქვეპუნქტის შესაბამისად მიაწოდოს აგრეთვე ზუსტი დოკუმენტაციის ასლები, რომლებიც შეიცავს ან შეეხება ასეთ ინფორმაციას[149]:
a) რაიმე ინტერესის განცხადების გარეშე;
b) მოთხოვნილი ფორმით, იმ გამონაკლისით თუ;
   i) ხელისუფლების ორგანოს გააჩნია საფუძველი მიაწოდოს ის სხვა ფორმით. ასეთ შემთხვევაში მითითებულ უნდა იქნას მიზეზები, რომელიც გაამართლებს ინფორმაციის სხვა ფორმით გაცემას.
   ii) ეს ინფორმაცია უკვე არის ხელმისაწვდომი საზოგადოებისათვის სხვა ფორმით.
2. ზემოთ პუნქტ 1-ში აღწერილი გარემოსდაცვითი ინფორმაცია მოწოდებულ უნდა იქნას მოთხოვნის წარდგენიდან არაუგვიანეს ერთი თვისა, იმ გამონაკლისის გარდა თუ ინფორმაციის მოცულობა და

[148] ინგლისური ორიგინალიდან ამ დებულების უფრო ზუსტი თარგმანი ამგვარად ჟღერს: „ყოველი მხარე ვალდებულია მიიღოს აუცილებელ საკანონმდებლო, მარეგულირებელ და სხვა ზომები, რათა დანერგოს და შეინარჩუნოს მკაფიო, გამჭვირვალე და თანამიმდევრული სისტემა კონვენციის დებულებათა ცხოვრებაში გასატარებლად, მ.შ. იმგვარი ზომები, რომლებიც უზრუნველყოფენ წინამდებარე კონვენციის ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, საზოგადოების მონაწილეობის და მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის დებულებების ურთიერთშესაბამისობაში მოყვანას, ისევე როგორც იძულების სათანადო ღონისძიებანი.“

[149] ინგლისური ორიგინალიდან ამ დებულების უფრო ზუსტი თარგმანი ამგვარად ჟღერს: „ყოველმა მხარემ უნდა უზრუნველყოს, რომ წინამდებარე მუხლის მომდევნო პუნქტების გათვალისწინებით, გარემოსდაცვითი ინფორმაციაზე საზოგადოების მოთხოვნის საპასუხოდ საჯარო ორგანოებმა, ეროვნული კანონმდებლობით დადგენილი წესით, მიაწოდონ მას ეს ინფორმაცია, მათ შორის, მოთხოვნის შემთხვევაში და ამ პუნქტის (b) ქვეპუნქტის გათვალისწინებით, იმ ფაქტიური დოკუმენტების ასლები, რომლიც შეიცავს ან ეხება ასეთ ინფორმაციას.“

სირთულე ამართლებს ამ პერიოდის ორ თვემდე გაზრდას. მომთხოვნ მხარეს უნდა მიეწოდოს ინფორმაცია ნებისმიერი გადავადებისა და ამ გადავადების გამამართლებელი მიზეზების შესახებ.

3. გარემოსდაცვითი ინფორმაციის მიწოდება შესაძლოა უარყოფილ იქნას თუ:

a) ხელისუფლების ორგანო, რომლის მისამართით გაიგზავნა მოთხოვნა არ ფლობს მოთხოვნილ გარემოსდაცვით ინფორმაციას;
b) წარდგენილი მოთხოვნა სრულიად უსაფუძვლოა ან არის შედგენილი ზედმეტად ზოგადი ფორმით; ან
c) მოთხოვნა ეხება მასალას, რომელიც მომზადების ეტაპზეა ან ხელისუფლების ორგანოებს შორის მიმოწერის სტადიაშია, როდესაც ასეთი გამონაკლისი გათვალისწინებულია ეროვნული კანონმდებლობით ანდა დამკვიდრებულია არსებული პრაქტიკით და მათში გათვალისწინებულია საზოგადოების დაინტერესება მიიღოს ასეთი ინფორმაცია[150].

4. გარემოსდაცვითი ინფორმაციის მიწოდების მოთხოვნა შეიძლება უარყოფილ იქნას, თუ მისი განცხადება ნეგატიურ ზემოქმედებას მოახდენს:

a) ხელისუფლების ორგანოების სამუშაო პროცედურების კონფიდენციალურობაზე, თუ ეს კონფიდენციალურობა ეროვნული კანონმდებლობით არის განსაზღვრული;
b) საერთაშორისო ურთიერთობებზე, ეროვნულ თავდაცვაზე ან სახელმწიფო უსაფრთხოებაზე;
c) სამართალწარმოებაზე, ადამიანის შესაძლებლობაზე მიიღოს ობიექტური სასამართლო გარჩევა ან ხელისუფლების ორგანოს შესაძლებლობაზე ჩაატაროს სისხლის სამართლის ან დისციპლინარული ხასიათის გამოძიება;
d) სამრეწველო ან კომერციული ინფორმაციის კონფიდენციალურობაზე, როდესაც კანონიერი ეკონომიკური ინტერესების დაცვის მიზნით ასეთი კონფიდენციალობა დაცულია კანონით. ასეთი პირობების ჩარჩოებში ინფორმაცია გამოფრქვევის შესახებ, რომელიც გარემოს დაცვასთან არის კავშირში უნდა გაიხსნას;
e) ინტელექტუალური საკუთრების უფლებაზე;
f) პირადი მონაცემების და/ან არქივების ისეთი ინფორმაციის კონფიდენციალურობაზე, რომელიც ეხება ფიზიკურ პირს და ამ პირისაგან ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად არ არის თანხმობა ამ ინფორმაციის საზოგადოებისათვის მიწოდების თაობაზე;
g) მესამე მხარის ინტერესებზე, რომელმაც მიაწოდა მოთხოვნილი ინფორმაცია თუ მას არა აქვს ან არ შეიძლება დაეკისროს იურიდიული მოვალეობა გასცეს ამგვარი ინფორმაცია ან როდესაც ეს მხარე არ იძლევა თანხმობას ამ მასალების გამოქვეყნებაზე;
h) გარემოზე, რომელსაც ეს ინფორმაცია ეხება, მაგალითად იშვიათი სახეობების გამრავლების ადგილები.

უარის თქმის ზემოაღნიშნული მიზეზები უნდა იყოს მკაცრად განსაზღვრული და ამასთან, გათვალისწინებული უნდა იქნას საზოგადოების მიერ ამ ინფორმაციის მიღების უფლება, აგრეთვე გათვალისწინებულ უნდა იქნას რამდენად ეხება მოთხოვნილი ინფორმაცია გარემოში გაფრქვევას[151].

5. თუ ხელისუფლების ორგანოს არ გააჩნია მოთხოვნილი გარემოსდაცვითი ინფორმაცია, ეს ორგანო მაქსიმალურად მოკლე ვადებში შეატყობინებს მომთხოვნ მხარეს ხელისუფლების იმ ორგანოს შესახებ, რომელსაც მისი აზრით უნდა გააჩნდეს ასეთი ინფორმაცია ან თვითონ გადასცემს ამ მოთხოვნას ასეთ ორგანოს და შესაბამისი ფორმით შეატყობინებს მომთხოვნ მხარეს.

6. ყოველმა მხარემ უნდა უზრუნველყოს, რომ ის ინფორმაცია, რომელიც ამ მუხლის მე-3 (c) და მე-4 პუნქტების შესაბამისად არ ექვემდებარება გამოქვეყნებას, გამოყოს დანარჩენი ინფორმაციისაგან ისე, რომ არ დაირღვეს ამ ინფორმაციის კონფიდენციალურობა, ხოლო ხელისუფლების ორგანოებმა უზრუნველყონ მოთხოვნილი გარემოსდაცვითი ინფორმაციის დანარჩენი ნაწილის მოწოდება.

7. თუ ინფორმაციის მიწოდების მოთხოვნა წარდგენილი იყო წერილობითი სახით ან თუ განმცხადებლის თხოვნაა მიიღოს პასუხი წერილობით, შესაბამისად უარიც წარედგინება წერილობითი სახით. მასში მიეთითება უარის მიზეზები და მომთხოვნ მხარეს მიეწოდება ინფორმაცია მის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების გადასინჯვის შესაძლებლობის შესახებ (მე-9 მუხლის შესაბამისად). უარი წარდგენილი უნდა იქნას რაც შეიძლება სწრაფად და არა უგვიანეს ერთი თვისა, იმ გამონაკლისით, როცა ინფორმაციის მოძიების სირთულე ამართლებს ამ პერიოდის გაზრ დას მოთხოვნის წარდგინებიდან ორი თვის ვადამდე. მოთხოვნის წარმდგენელი პირი ინფორმირებული უნდა იყოს ვადის გაზრდისა და მისი მიზეზების თაობაზე.

8. თითოეულ მხარეს შეუძლია ინფორმაციის მიწოდებისათვის ხელისუფლების ორგანოებს მისცეს გადასახადის დაწესების უფლება, თუმცა ეს გადასახადი არ უნდა აღემატებოდეს ზომიერების ფარგლებს. ხელისუფლების ორგანოები, რომლებიც აპირებენ ასეთი გადასახადების დაწესებას ვალდებულნი არიან გააცნონ დამკვეთს გადასახადის ტარიფები იმ პირობების და გარემოების მითითებით, რა პირობებშიც ეს გადასახადები შეიძლება იქნას დაწესებული ან გაუქმებული.

[150] ინგლისური ორიგინალიდან ამ დებულების უფრო ზუსტი თარგმანი ამგვარად ჟღერს: „მოთხოვნა ეხება მასალას, რომლის მომზადებაც დასრულების ეტაპზეა ან წერმოადგენს საჯარო ორგანოს შიდა მიმოწერას, თუ ასეთი გამონაკლისი გათვალისწინებულია ეროვნული კანონმდებლობით ანდა დამკვიდრებულია არსებული პრაქტიკით, მაგრამ მოთხოვნილი ინფორმაციის განსაჯაროების საზოგადოებრივი ინტერესის გათვალისწინებით“.

[151] ინგლისური ორიგინალიდან ამ დებულების უფრო ზუსტი თარგმანი ამგვარად ჟღერს: „უარის თქმის ზემოაღნიშნული საფუძვლები განმარტებული უნდა იყოს ვიწროდ და ამასთან, იმის გათვალისწინებით, თუ რა საზოგადოებრივ ინტერესს ემსახურება მოთხოვნილი ინფორმაციის განსაჯაროება და რამდენად ეხება მოთხოვნილი ინფორმაცია გარემოში ემისიებს“.

მუხლი 5

გარემოსდაცვითი ინფორმაციის შეგროვება და გავრცელება

1. ყოველი მხარე უზრუნველყოფს, რომ:

a) ხელისუფლების ორგანოები ფლობდნენ და ანახლებდნენ მათ ფუნქციებთან დაკავშირებულ გარემოსდაცვით ინფორმაციას;

b) შეიქმნას სავალდებულო სისტემები, რათა უზრუნველყოფილ იქნას ხელისუფლების ორგანოებისათვის ზუსტი ინფორმაციის მიწოდება იმ მიმდინარე ან დაგეგმილი საქმიანობის შესახებ, რომელმაც საგრძნობი ზემოქმედება შეიძლება მოახდინოს გარემოზე;

c) გარემოსათვის ან ადამიანთა ჯანმრთელობისათვის ბუნებრივი ხასიათის ან ადამიანთა ქმედებებით გამოწვეული რაიმე საფრთხის მოახლოების შემთხვევაში, ხელისუფლების ორგანოებმა დაუყოვნებლივ უნდა მიაწოდოს საზოგადოებას, რომელსაც შეიძლება ეს შეეხოს მათ განკარგულებაში არსებული მთელი ინფორმაცია, რაც საზოგადოებას მისცემს საშუალებას მიიღოს ზომები გამომდინარე მავნე ზემოქმედების თავიდან ასაცილებლად ან ზეგავლენის შესამცირებლად.

2. თითოეულმა მხარემ უნდა უზრუნველყოს, რომ ეროვნული კანონმდებლობის ჩარჩოებში ხელისუფლების ორგანოების მიერ გარემოსდაცვითი ინფორმაციის საზოგადოებისათვის მიწოდების პროცედურა გახდეს გამჭვირვალე და ინფორმაცია ადვილად ხელმისაწვდომი, მათ შორის:

a) უზრუნველყოს საზოგადოებისათვის საკმარისი ინფორმაციის მიწოდება თუ რა სახის და მოცულობის გარემოსდაცვით ინფორმაციას ფლობს შესაბამისი ხელისუფლების ორგანო და იმ ძირითადი პირობების შესახებ, რომლებიც განსაზღვრავენ ასეთი ინფორმაციის მოწოდების შესაძლებლობას, მასზე ხელმისაწვდომობას და მისი მიღების პროცედურას;

b) ისეთი პრაქტიკული ღონისძიებების ორგანიზება და განხორციელება, როგორიცაა:

   i) საზოგადოებისათვის სიების, რეესტრების და არქივების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;

   ii) ხელისუფლების წარმომადგენლების მიმართ მოთხოვნა წინამდებარე კონვენცის შესაბამისად ხელი შეუწყოს საზოგადოებას ინფორმაციის მოძიებაში; და

   iii) საკონტაქტო ადგილების განსაზღვრა; და

c) ზემოთ b) i) ქვეპუნქტის შესაბამისად სიებში, რეესტრებში ან არქივებში არსებული გარემოსდაცვითი ინფორმაციის უფასო ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.

3. ყოველი მხარე უზრუნველყოფს ელექტრონულ მონაცემთა ბაზებში გარემოსდაცვითი ინფორმაციის მოცულობის თანდათანობით ზრდას, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს საზოგადოებას ინფორმაციის უფრო ადვილად მოპოვებაში ტელეკომუნიკაციური ქსელების მეშვეობით. ამ ფორმით ხელმისაწვდომი ინფორმაცია უნდა შეიცავდეს:

a) ქვემოთ მოყვანილი მე-4 ქვეპუნქტის თანახმად გარემოს მდგომარეობის შესახებ მოხსენებას;

b) გარემოს დაცვის ან ამასთან დაკავშირებულ საკანონმდებლო ტექსტებს;

c) შესაბამისად, გარემოსთან ან გარემოსდაცვით შეთანხმებებთან დაკავშირებული პოლიტიკის, გეგმების ან პროგრამების დოკუმენტაციას; და

d) სხვა ინფორმაციას იმდენად, რამდენადაც ამ ფორმით ამგვარი ინფორმაციის ხელმისაწვდომობა გააადვილებს წინამდებარე კონვენციის განხორციელებისათვის ეროვნული კანონმდებლობის გამოყენებას.

იმის გათვალისწინებით, რომ ამგვარი ინფორმაცია უკვე არსებობს ელექტრონული ფორმით.

4. თითოეული მხარე რეგულარულად, არაუმეტეს 3-4 წლის ინტერვალისა, აქვეყნებს და ავრცელებს ეროვნულ მოხსენებას გარემოს მდგომარეობის შესახებ, გარემოს მდგომარეობის ხარისხისა და გარემოზე დატვირთვის მონაცემების ჩათვლით.

5. თითოეული მხარე საკუთარი კანონმდებლობის ჩარჩოებში მიიღებს ზომებს, რათა გაავრცელოს:

a) საკანონმდებლო აქტები და სადირექტივო დოკუმენტები, როგორიცაა დოკუმენტები სტრატეგიის, პოლიტიკის შესახებ, გარემოს დაცვასთან დაკავშირებული პროგრამები და სამოქმედო გეგმები აგრეთვე სხვადასხვა სამთავრობო დონეებზე მომზადებული მოხსენებები მათ განხორციელებაზე;

b) გარემოს დაცვის საკითხებთან დაკავშირებული საერთაშორისო შეთანხმებები, კონვენციები და ხელშეკრილებები; და

c) გარემოს დაცვასთან დაკავშირებული სხვა მნიშვნელოვანი საერთაშორისო დოკუმენტები, მიზანშეწონილობის მიხედვით.

6. თითოეული მხარე მოუწოდებს მწარმოებლებს, რომელთა საქმიანობა მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს გარემოზე, შესაბამისად ნებაყოფლობითი ეკომარკირების, ეკოლოგიური აუდიტის ან სხვა საშუალებების მეშვეობით რეგულარულად მიაწოდონ საზოგადოებას ინფორმაცია მათი საქმიანობის და პროდუქციის გარემოზე ზემოქმედების შესახებ.

7. თითოეული მხარე:

a) აქვეყნებს ფაქტობრივ ინფორმაციას და ფაქტების ანალიზს, რასაც განსაკუთრებით მნიშვნელოვნად მიიჩნევს გარემოსდაცვითი პოლიტიკის ჩამოყალიბებაში;

b) აქვეყნებს ან სხვა ფორმით ხდის ხელმისაწვდომს განმარტებით მასალას საზოგადოებასთან საკუთარი კონტაქტების შესახებ იმ საკითხებზე, რომელიც შედის წინამდებარე კონვენციის მოქმედებათა სფეროში; და

c) შესაბამისი ფორმით წარადგენს ინფორმაციას სხვადასხვა დონის სახელმწიფო ორგანოების მიერ თავიანთი სახელმწიფო ფუნქციების შესრულების ან მათ მიერ გარემოს დაცვასთან დაკავშირებულ საკითხებში საზოგადოებრივი მომ-

სახურების პირობების შესახებ.

8. თითოეული მხარე შეიმუშავებს მექანიზმებს, რომლებიც უზრუნველყოფენ საზოგადოებისათვის სრული ინფორმაციის ხელმისაწვდომობას ისეთი ფორმით, რომ მომხმარებელმა შეძლოს საფუძვლიანი არჩევანი გააკეთოს გარემოსდაცვითი საკითხების გათვალისწინებით[152].

9. თითოეული მხარე მიიღებს ზომებს თანდათან განავრცოს სტრუქტურირებული კომპიუტერიზებული და საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომი მონაცემთა ბაზა, რომელიც შედგენილია სტანდარტიზებული მოხსენებებისაგან, რომლებიც შეთანხმებულია დაბინძურების კადასტრების ან რეგისტრების საერთო ეროვნულ სისტემასთან და შესაბამის შემთხვევაში ითვალისწინებს საერთაშორისო დონეზე მიმდინარე პროცესებს. ასეთი სისტემა შესაძლოა მოიცავდეს მონაცემებს გარკვეული სახეობის ქმედებების შედეგად რიგი ნივთიერებების და პროდუქტების გამოყენების, გამოყოფისა და გადატანის შესახებ. მათ შორის გარემოს სხვადასხვა სფეროში წყლის, ენერგიის და რესურსების გამოყენების, აგრეთვე გადამამუშავებელი ობიექტების და გადასაყრელი ადგილების შიგნით და გარეთ[153].

10. მე-4 მუხლის მესამე და მეოთხე პუნქტების შესაბამისად ამ მუხლის არც ერთ პუნქტს არ შეუძლია შეზღუდოს რომელიმე მხარის უფლება უარი განაცხადოს გარკვეული გარემოსდაცვითი ინფორმაციის გამოქვეყნებაზე.

მუხლი 6

საზოგადოების მონაწილეობა საქმიანობათა გარკვეულ სფეროებში გადაწყვეტილებების მიღების პროცესში[154]

1. თითოეული მხარე:

a) I დანართში ჩამოთვლილი შემოთავაზებული საქმიანობის ნებართვაზე გადაწყვეტილებების მიღების პროცესში გამოიყენებს წინამდებარე მუხლის დებულებებს;

b) საკუთარი ეროვნული კანონმდებლობის ჩარჩოებში აგრეთვე გამოიყენებს წინამდებარე მუხლის დებულებებს იმ შემოთავაზებულ საქმიანობებში, რომლებიც არ არის ჩამოთვლილი I დანართში, თუმცა შეუძლიათ მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინონ გარემოზე. ამისათვის მხარეებმა უნდა განსაზღვრონ რამდენად ეხება ასეთი სახის შემოთავაზებული საქმიანობა წინამდებარე დებულებებს; და

c) თუ ეს გათვალისწინებულია ეროვნული კანონმდებლობით, ყოველ ცალკეულ შემთხვევაში შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება არ გამოიყენოს ამ მუხლის დებულებები იმ საქმიანობასთან დაკავშირებით, რომელიც ეხება ეროვნულ თავდაცვას, თუ ეს მხარე მიიჩნევს, რომ ეს უარყოფით ზეგავლენას იქონიებს ამ მიზნებზე.

2. დაინტერესებული საზოგადოება ადეკვატურად, დროულად და ეფექტურად უნდა იყოს ინფორმირებული საზოგადოებრივი თუ ინდივიდუალური შეტყობინების მეშვეობით (გარემოებათა გათვალისწინებით) გარემოს დაცვასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღების პროცესის საწყის ეტაპზე. მათ შორისაა შემდეგი საკითხები:

a) შემოთავაზებული საქმიანობა და განაცხადი, რომელზეც იქნება მიღებული გადაწყვეტილება

b) შესაძლებელი გადაწყვეტილებების ხასიათი ან გადაწყვეტილების პროექტი;

c) ხელისუფლების ორგანო, რომელიც პასუხისმგებელია გადაწყვეტილების მიღებაზე;

d) გათვალისწინებული პროცედურა იმის ჩათვლით თუ როდის და როგორ იქნება ეს ინფორმაცია მოწოდებული[155]:

   i) პროცედურის განხორციელების დაწყება;

   ii) საზოგადოების მონაწილეობის შესაძლებლობანი;

   iii) ნებისმიერი წინასწარ დაგეგმილი სახალხო მოსმენის დრო და ადგილი;

   iv) მითითება ხელისუფლების ორგანოდან, საიდანაც სათანადო ინფორმაციის მიღებაა შესაძლებელი და სადაც ეს ინფორმაცია იგზავნება საზოგადოებისათვის განსახილველად;

   v) შესაბამისი ხელისუფლების ორგანოს ან ნებისმიერი სხვა სახელმწიფო უწყების მითითება, რომელსაც შესაძლებელია გაეგზავნოს შენიშვნები, კითხვები და მათი წარდგენის განრიგი;

   vi) მითითება იმის შესახებ თუ შემოთავაზებულ საქმინაობასთან დაკავშირებული რომელი გარემოსდაცვითი ინფორმაცია არის ხელმისაწვდომი; და

e) ფაქტი, რომ საქმიანობა ექვემდებარება გარემოზე ზემოქმედების შეფასების ეროვნულ თუ ტრანსსასაზღვრო პროცედურას.

[152] ინგლისური ორიგინალიდან ამ დებულების უფრო ზუსტი თარგმანი ამგვარად ჟღერს: „ყოველმა მხარემ უნდა დანერგოს მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს საზოგადოებისათვის ნაწარმის შესახებ საკმარისი ინფორმაციის ხელმისაწვდომობას იმგვარად, რომ მომხმარებელმა შეძლოს გათვითცნობიერებული გარემოსდაცვითი არჩევანის გაკეთება.“

[153] ინგლისური ორიგინალიდან ამ დებულების უფრო ზუსტი თარგმანი ამგვარად ჟღერს: „ყოველმა მხარემ, სადაც ეს მიზანშეწონილია საერთაშორისო პროცესების გათვალისწინებით, უნდა მიიღოს ზომები სტანდარტიზებულ ანგარიშგებაზე დაფუძნებული დაბინძურების კადასტრების ან რეესტრების თანმიმდევრული, საერთო ეროვნული სისტემის თანდათანობით დანერგვისათვის, სტრუქტურიზებულ, კომპიუტერიზებულ და საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომ მონაცემთა ბაზის სახით. ასეთი სისტემა შესაძლოა მოიცავდეს მონაცემებს გარკვეული სახის საქმიანობების შედეგად გარემოს სხვადასხვა მედიებში გარკვეული ნივთიერებებისა და პროდუქტების მოხვედრის, გაშვებისა და გადაადგილების შესახებ, წყლის, ენერგიისა და რესურსების მოხმარების ჩათვლით, მათ გადასამუშავებლად, თუ საბოლოო განთავსების მიზნით, საქმიანობათა ტერიტორიების შიგნით თუ მათ გარეთ.“

[154] ინგლისური ორიგინალიდან ამ მუხლის სათაურის უფრო ზუსტი თარგმანი ამგვარად ჟღერს: „საზოგადოების მონაწილეობა კონკრეტულ საქმიანობათა შესახებ გადაწყვეტილებების მიღებაში“.

[155] ინგლისური ორიგინალიდან ამ დებულების უფრო ზუსტი თარგმანი ამგვარად ჟღერს: „გათვალისწინებული პროცედურა, შემდეგი ინფორმაციის ჩათვლით, როგორც კი მისი მიწოდება შესაძლებელია.“

3. საზოგადოების მონაწილეობის პროცედურები სხვადასხვა ფაზებისათვის ითვალისწინებს გონივრულ ვადებს, რითაც ზემოთ, მეორე პუნქტის შესაბამისად იძლევა საკმარის დროს საზოგადოების ინფორმირებისათვის და გარემოს დაცვის საკითხების გადაწყვეტილების მიღების პროცესში ეფექტური მომზადებისა და მონაწილეობისათვის.

4. ყოველი მხარე უზრუნველყოფს საზოგადოების მონაწილეობას ადრეულ ეტაპზე, როდესაც ვარიანტები ღიაა და საზოგადოებას აქვს მასში ეფექტური მონაწილეობის მიღების შესაძლებლობა.

5. ყოველი მხარე, სადაც ეს შესაძლებელია, ვალდებულია განაცხადის წარდგენამდე წაახალისოს პოტენციური მონაწილეები განსაზღვროს დაინტერესებული საზოგადოება, გამართოს მასთან მსჯელობა და განაცხადის წარდგენამდე მიაწოდოს მას ინფორმაცია მათი განაცხადების ამოცანებზე ნებართვის მიღების შესახებ.

6. ყოველი მხარე კომპეტენტური ხელისუფლების ორგანოსაგან მოითხოვს, მოთხოვნის შესაბამისად თუკი ამას ითვალისწინებს ეროვნული კანონმდებლობა, მისცეს დაინტერესებულ საზოგადოებას საშუალება, როგორც კი ამის შესაძლებლობა გამოჩნდება, უფასოდ და დროულად შეამოწმოს ყველა ის ინფორმაცია, რომელიც გადაწყვეტილების მისაღებად იქნება საჭირო, რომელზეც ამ მუხლშია საუბარი და რომელიც საზოგადოების მონაწილეობის პროცედურის მომენტისათვის ხელმისაწვდომი იქნება მხარეების იმ უფლების შელახვის გარეშე, რაც გულისხმობს გარკვეული ინფორმაციის გამჟღავნებაზე უარის თქმას, (მეოთხე მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების შესაბამისად). ასეთ ინფორმაციაში შევა მინიმუმ მეოთხე მუხლის ინფორმაცია ამ მუხლის პირობების დარღვევის გარეშე[156];

a) სავარაუდო საქმიანობის ადგილის და ფიზიკურ-ტექნიკური მახასიათებლების აღწერილობა მოსალოდნელი ნარჩენებისა და გამონაბოლქვების[157] შეფასების ჩათვლით;
b) იმ მნიშვნელოვანი გავლენის აღწერა, რომელსაც მოახდენს შემოთავაზებული საქმიანობა გარემოზე;
c) იმ ღონისძიებების აღწერა, რომელიც გათვალისწინებულია შედეგების თავიდან ასაცილებლად ან შესამცირებლად, გამონაბოლქვების[158] ჩათვლით;
d) ზემოაღნიშნულის არატექნიკური შეჯამება;
e) განმცხადებლის მიერ შესწავლილი ძირითადი ალტერნატივის მონახაზი;
f) ეროვნული კანონმდებლობის თანახმად ის ძირითადი მოხსენებები და ინფორმაცია, რომელსაც გამოსცემს ხელისუფლების ორგანო იმ დროისათვის, როდესაც დაინტერესებულ საზოგადოებას ზემოთ მოცემული მეორე პუნქტის მიხედვით უნდა მიეწოდოს ინფორმაცია[159].

7. საზოგადოების მონაწილეობისათვის დადგენილი პროცედურა ნებას რთავს საზოგადოებას წარადგინოს საზოგადოების მოსმენაზე ან შეკითხვისას წერილობითი სახით, განმცხადებლის ხელით ნებისმიერი შენიშვნა, ინფორმაცია, ანალიზის შედეგი ან აზრი, რომელსაც იგი შემოთავაზებული საქმიანობისათვის შესატყვისად მიიჩნევს, თუკი ეს ხელსაყრელია[160].

8. ყოველი მხარე უზრუნველყოფს, რომ ჯეროვანი ყურადღება მიექცეს საზოგადოების მონაწილეობის შედეგებს.

9. ყოველი მხარე ვალდებულია შესაბამისი პროცედურის მიხედვით დაუყონებლივ აცნობოს საზოგადოებას ხელისუფლების ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების შესახებ. ყველა მხარე ვალდებულია ნება დართოს საზოგადოებას, გაეცნოს გადაწყვეტილების ტექსტს, იმ მიზეზებისა და შეხედულებების ჩათვლით, რომელსაც გადაწყვეტილება დაეყრდნო.

10. ყოველი მხარე ვალდებულია უზრუნველყოს, რომ თუ ხელისუფლების ორგანო ხელახლა განიხილავს ან დახვეწს სამოქმედო პირობებს პირველ პუნქტში მოცემული საქმიანობისათვის, აგრეთვე მაშინ, როდესაც ეს მიზანშეწონილია, გაითვალისწინოს, წინამდებარე მუხლის მეორე – მეცხრე პუნქტის დებულებები შესაბამისი ცვლილებებით. (მუტატის მუტანდის).

11. ყოველი მხარე საკუთარი ქვეყნის ეროვნული კანონმდებლობის ჩარჩოებში შესაძლებლობის და მიზანშეწონილობის მიხედვით გამოიყენებს წინამდებარე მუხლის პირობებს, იმ გადაწყვეტილებების მიღებისას, როდესაც საკითხი ეხება გენეტიკურად მოდიფიცირებული ორგანიზმების გარემოში წინასწარ მოფიქრებულად გაშვებისათვის ნების დართვას.

---

[156] ინგლისური ორიგინალიდან ამ დებულების უფრო ზუსტი თარგმანი ამგვარად ჟღერს: „ყოველი მხარე ვალდებულია მოითხოვოს კომპეტენტური საჯარო ორგანოებისაგან, რათა სათანადო მოთხოვნის შემთხვევაში, თუკი ეროვნული კანონმდებლობა ამ უკანასკნელს მოითხოვს, მათ მისცენ დაინტერესებულ საზოგადოებას უფასოდ და მაშინვე, როგორც კი ეს ხელმისაწვდომია, ამ მუხლში მოხსენიებულ გადაწყვეტილების მიღებასთან დაკავშირებული მთელი ინფორმაციის შესწავლის საშუალება, რომელიც საზოგადოების მონანილეობის პროცედურის დროისათვის არსებობს, მხარეების იმ უფლების შელახვის გარეშე, რაც გულისხმობს მე-4 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების შესაბამისად გარკვეული ინფორმაციის გამჟღავნებაზე უარის თქმას. ასეთი ინფორმაცია უნდა შეიცავდეს, მე-4 მუხლის მოთხოვნათა დარღვევის გარეშე, სულ ცოტა:"

[157] აქ კონვენციის ინგლისურ ტექსტში ნახმარია ტერმინი emission, რაც არა მარტო გამონაბოლქვს, არემედ გარემოში ნებისმიერ ემისიას ნიშნავს

[158] იგივე

[159] ინგლისური ორიგინალიდან ამ დებულების უფრო ზუსტი თარგმანი ამგვარად ჟღერს: „ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად, ის ძირითადი ანგარიშები და რჩევები, რომლებიც საჯარო ორგანოსათვის იქნა გადაცემული იმ დროისათვის, როდესაც დაინტერესებულ საზოგადოებას ზემოთ მოცემული მე-2-ე პუნქტის თანახმად უნდა მიეწოდოს ინფორმაცია".

[160] ინგლისური ორიგინალიდან ამ დებულების უფრო ზუსტი თარგმანი ამგვარად ჟღერს: „საზოგადოების მონაწილეობისათვის დადგენილი პროცედურა საშუალებას უნდა აძლევდეს საზოგადოებას, წარადგინოს წერილობითი სახით ან, თუკი ეს ხელსაყრელია, საჯარო მოსმენაზე ან განმცხადებლის თანდასწრებით განხილვისას, ნებისმიერი შენიშვნა, ინფორმაცია, ანალიზის შედეგი ან მოსაზრება, რომელსაც იგი შემოთავაზებული საქმიანობისათვის შესატყვისად მიიჩნევს".

მუხლი 7

საზოგადოების მონაწილეობა იმ გეგმებში, პროგრამებსა და პოლიტიკაში, რომელიც გარემოსთან არის დაკავშირებული

ყოველი მხარე ვალდებულია მიიღოს შესაბამისი პრაქტიკული და/ან სხვა ზომები იმისათვის, რათა საზოგადოებამ გამჭვირვალე და სამართლიან ჩარჩოებში მიიღოს მონაწილეობა გარემოსთან დაკავშირებული გეგმების და პროგრამების შემუშავებაში და მიაწოდოს საზოგადოებას საჭირო ინფორმაცია. ამ ჩარჩოებში გამოიყენება მე-6 მუხლის მე-3, მე-4 და მე-8 პუნქტები. მონაწილე საზოგადოება, მოზიდული უნდა იყოს შესაბამისი ხელისუფლების ორგანოების მიერ წინამდებარე კონვენციის ამოცანების გათვალისწინებით. მხარეებმა, შესაძლებლობის ფარგლებში, ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა საშუალება მისცენ საზოგადოებას, მონაწილეობა მიიღოს გარემოს დაცვასთან დაკავშირებული პოლიტიკის შემუშავებაში.

მუხლი 8

საზოგადოების მონაწილეობა აღმასრულებელი დებულებების და/ან საყოველთაოდ მისაღები სამართლებრივად სავალდებულო ნორმატიული დოკუმენტების შემუშავების პროცესში

ყოველი მხარე ეცდება ხელი შეუწყოს საზოგადოების ეფექტურ მონაწილეობას გარკვეულ საფეხურზე, სანამ არჩევანის გაკეთება დაშვებულია ხელისუფლების ორგანოების მიერ იმ სავალდებულო ძალის მქონე აღმასრულებელი დებულებების და სხვა საზოგადოებისათვის მისაღები მასალების მომზადების პროცესში, რომლებსაც მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა შეუძლიათ გარემოზე. ამისათვის აუცილებელია შემდეგი ნაბიჯების გადადგმა:

a) ეფექტური მონაწილეობისათვის დადგენილი უნდა იქნას საჭირო ვადები;
b) საჭიროა გამოქვეყნდეს ან სხვაგვარად გახდეს საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომი კანონების პროექტები; და
c) საზოგადოებას უნდა მიეცეს შენიშვნების გაკეთების შესაძლებლობა უშუალოდ ან წარმომადგენლობითი საკონსულტაციო ორგანოების მეშვეობით. საზოგადოების მონაწილეობის შედეგი შეძლებისდაგვარად იქნება მიღებული მხედველობაში.

მუხლი 9

მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა

1. ყოველი მხარე საკუთარი ქვეყნის კანონმდებლობის ფარგლებში ვალდებულია სასამართლოში ან დამოუკიდებელ და კანონიერად არჩეულ კომპეტენტურ ორგანოში უზრუნველყოს საკითხის გარჩევის შესაძლებლობა იმ პირისათვის, რომელიც თვლის, რომ მისი მოთხოვნა ინფორმაციის ხელმისაწვდომობის შესახებ მეოთხე მუხლის მიხედვით არ დაკმაყოფილდა. მას უსამართლოდ ეთქვა უარი, ნაწილობრივ ან მთლიანად არასწორი პასუხი გაეცა ან სხვაგვარად დაირღვა ზემოაღნიშნული მუხლის პირობები.

იმ შემთხვევაში, თუ მხარე უზრუნველყოფს სასამართლოს მიერ ამგვარ გადასინჯვას, მან უნდა უზრუნველყოს აგრეთვე ამ პირისთვის ხელმისაწვდომობა კანონით დადგენილი დაჩქარებული პროცედურებისადმი ხელისუფლების, დამოუკიდებელი ან მიუკერძოებელი ორგანოების მხრიდან, გარდა სასამართლოებისა და ასეთი ხელახალი პროცედურა უნდა იყოს უფასო ან უფრო იაფი.

ამ პუნქტის შესაბამისად საბოლოო გადაწყვეტილებების მიღება ეკისრება ინფორმაციის მქონე ხელისუფლების ორგანოებს. მიზეზები მოცემულ უნდა იქნას წერილობით მაშინ მაინც როდესაც ინფორმაციის მისაწვდომობაზე უარია ნათქვამი ამ პუნქტის შესაბამისად[161].

2. ყოველი მხარე საკუთარი ქვეყნის კანონმდებლობის ფარგლებში ვალდებულია უზრუნველყოს რომ დაინტერესებული საზოგადოების წევრებს[162]:

a) რომლებიც საკმაოდ დაინტერესებულნი არიან, ან, სხვაგვარად;
b) უფლებები აქვთ შეზღუდული, იქ სადაც ამ მხა-

[161] ინგლისური ორიგინალიდან ამ პუნქტის უფრო ზუსტი თარგმანი ამგვარად ჟღერს: „ყოველი მხარე, საკუთარი ქვეყნის კანონმდებლობით დადგენილი წესით, ვალდებულია უზრუნველყოს, რომ იმ პირისათვის, რომელიც თვლის, რომ მისი მეოთხე მუხლის შესაბამისი მოთხოვნა ინფორმაციაზე იგნორირებულ იქნა, არამართლზომიერად ეთქვა უარი, ნაწილობრივ ან მთლიანად, არასწორი პასუხი გაეცა ან სხვაგვარად დაირღვა ზემოაღნიშნული მუხლის პირობები, მისაწვდომი იყოს სასამართლოში ან სხვა, კანონით დადგენილ დამოუკიდებელ და მიუკერძოებელ ორგანოში საკითხის განხილვის პროცედურა. იმ შემთხვევაში, თუ მხარე უზრუნველყოფს ამგვარ განხილვას სასამართლოს მიერ, მან აგრეთვე უნდა უზრუნველყოს ამ პირისთვის საჯარო ორგანოების მიერ გადაწყვეტილების გადასინჯვის, ან დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი ორგანოს მიერ საკითხის გარჩევის კანონით დადგენილი, დაჩქარებული, უფასო ან იაფი პროცედურის ხელმისაწვდომობა. ამ პუნქტის საფუძველზე მიღებული საბოლოო გადაწყვეტილებები სავალდებულო უნდა იყოს შესასრულებლად ინფორმაციის მფლობელ საჯარო ორგანოსთვის. დასაბუთება ჩამოყალიბებული უნდა იქნას წერილობით, იმ შემთვევაში მაინც, როდესაც ინფორმაციის მისაწვდომობაზე ამ პუნქტის ფარგლებში უარი ითქვა.“

[162] ინგლისური ორიგინალიდან ამ პუნქტის უფრო ზუსტი თარგმანი ამგვარად ჟღერს: „ყოველი მხარე ეროვნული კანონმდებლობის ფარგლებში ვალდებულია უზრუნველყოს, რომ დაინტერესებული საზოგადოების წევრებს:

a) რომლებსაც გააჩნიათ დასაბუთებული ინტერესი, ანდა

b) რომელთა უფლებები ილახება, იქ სადაც ამ მხარის ადმინისტრაციულ-საპროცესო კანონმდებლობა მოითხოვს ამას, როგორც წინაპირობას, მიეცეთ საშუალება სასამართლოში ან/და კანონით დადგენილ სხვა დამოუკიდებელ და მიუკერძოებელ ორგანოში გაასაჩივრონ ნებისმიერი გადაწყვეტილების, ქმედებისა თუ უმოქმედობის არსებითი ან პროცესუალური სამართლიანობა, რომელიც წინამდებარე კონვენციის მე-6 მუხლის დებულებებითა, და, თუკი ქვეყნის კანონმდებლობით ამგვარადაა გათვალისწინებული და ქვემოთ მოყვანილი მე-3 პუნქტს ეს არ ეწინააღმდეგება, წინამდებარე კონვენციის სხვა შესაბამისი დებულებებით რეგულირდება. ის, თუ რა შეიძლება ჩაითვალოს დასაბუთებულ ინტერესად, ან უფლებების შელახვად, განსაზღვრული უნდა იყოს ქვეყნის კანონმდებლობის მოთხოვნების მიხედვით და შეესაბამებოდეს

რის ადმინისტრაციული პროცესუალური კანონი მოითხოვს ამას, როგორც წინა პირობას.

მიეცეთ საშუალება გაიარონ გადახედვის პროცედურა სასამართლოს წინაშე, აიცილონ სუბსტანციური ან პროცესუალური სამართლიანობის ნებისმიერი გადაწყვეტილება, თუკი ქვეყნის კანონმდებლობით ამგვარადაა გათვალისწინებული ქვემოთ მოყვანილი მესამე პუნქტის ან წინამდებარე კონვენციის სხვა შესაბამისი პირობის დარღვევის გარეშე.

ის, რაც შეიძლება ჩაითვალოს საკმაო ინტერესად ან უფლებების შელახვად განსაზღვრული უნდა იყოს ქვეყნის კანონმდებლობის მოთხოვნისამებრ, ხოლო დაინტერესებული საზოგადოებისათვის მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობა განსაზღვრულია წინამდებარე კონვენციით. ამ მიზნით ნებისმიერი არასამთავრობო ორგანიზაციის ინტერესები, რომლებიც აკმაყოფილებენ მეორე მუხლის მეხუთე პუნქტში მოცემულ მოთხოვნებს, ჩაითვლება საკმარისად ზემოთ მოყვანილი (a) ქვეპუნქტისათვის. ზემოთ მოყვანილი (b) ქვეპუნქტის მიზნებისათვის ჩაითვლება აგრეთვე, რომ ასეთი ორგანიზაციები სარგებლობენ უფლებით განაცხადონ მათი უფლებების დარღვევის შესახებ.

წინამდებარე პუნქტ 2-ის დებულებები არ გამორიცხავს წინასწარი, განხილვის პროცედურის შესაძლებლობას ადმინისტრაციული ორგანოს წინაშე. ეს პირობები გავლენას არ მოახდენს ადმინისტრაციული გარჩევის პროცესის ამოწურვის მოთხოვნაზე, იურიდიული გარჩევის პროცედურისაკენ ხელმეორედ ჩატარებამდე, თუკი ქვეყნის კანონმდებლობა ასეთ მოთხოვნას ითვალისწინებს.

3. მოკვლევის იმ პროცედურებთან ერთად და მათი დარღვევის გარეშე, რომლებიც ზემოთ მოყვანილ, პირველ და მეორე პუნქტებშია განხილული, ყოველი მხარე ვალდებულია უზრუნველყოს საზოგადოების წარმომადგენლების უფლება გაეცნონ ადმინისტრაციულ და იურიდიულ პროცედურას, აცილება მისცენ კერძო პირებისა და ხელისუფლების ორგანოების ქმედებებს და დაუდევრობებს, რომლებიც გარემოს დაცვის ეროვნულ დებულებებს ეწინააღმდეგებიან, იქ, სადაც ეს აკმაყოფილებს კრიტერიუმებს, თუკი ასეთ კრიტერიუმებს ითვალისწინებს ეროვნული კანონმდებლობა[163].

4. ზემოთ მოყვანილი პუნქტი 1-ის დამატების სახით და არა მისთვის საზიანოდ 1-ლი, მე-2 და მე-3 პუნქტებში აღნიშნული პროცედურები გვთავაზობენ შესატყვის და ეფექტურ ზომებს, რომლებშიც შედის დახმარება, როგორც შესაბამისი, კეთილსინდისიერი, სამართლიანი, დროული და არა უკიდურესად ძვირად ღირებული ღონისძიება. ამ პუნქტთან დაკავშირებული გადაწყვეტილებები გაიცემა და რეგისტრირდება წერილობითი სახით. სასამართლოთა და სხვა ორგანოთა გადაწყვეტილებები, თუკი ასეთი არსებობს, საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს[164].

5. წინამდებარე მუხლის დებულებების ეფექტურობის ასამაღლებლად ყოველი მხარე ვალდებულია უზრუნველყოს და საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომი გახადოს ადმინისტრაციული და იურიდიული მოკვლევის პროცედურასთან დაკავშირებული ინფორმაცია და განიხილოს შესატყვისი დახმარების მექანიზმების ჩამოყალიბების საკითხი, რათა მიღწეულ იქნას მართლმსაჯულებასთან დაკავშირებული ფინანსური და სხვა სახის დაბრკოლების გადალახვა ან შემცირება.

მუხლი 10
მხარეთა შეხვედრები

1. მხარეების პირველი კრება მოიწვევა წინამდებარე კონვენციის ძალაში შესვლიდან არაუგვიანეს ერთი წლისა. შემდგომი რიგითი კრებების მოწვევა მოხდება ორ წელიწადში ერთხელ მაინც თუკი სხვაგვარად არ იქნება გათვალისწინებული მხარეების მიერ ან ნებისმიერი მხარის წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე იმ პირობით, რომ ამ წერილობითი მოთხოვნის შეტყობინებიდან მხარეებისათვის ევროპის ეკონომიკური კომისიის აღმასრულებელი სამდივნოს მიერ მოწვევის შესახებ მოთხოვნას ექვსი თვის განმავლობაში მხარს დაუჭერს მხარეთა მინიმუმ ერთი მესამედი.

2. კრებებზე მხარეები მათ მიერ გაკეთებული მოხსენებების საფუძველზე მუდმივად განიხილავენ წინამდებარე კონვენციის შესრულების საკითხს და ამ მიზნით:

წინამდებარე კონვენციის ფარგლებში დაინტერესებული საზოგადოებისათვის მართლმსაჯულების საკითხებზე ფართო ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზანს. ამისათვის ნებისმიერი არასამთავრობო ორგანიზაციის ინტერესები, რომლებიც აკმაყოფილებენ მე-2 მუხლის მე-5 პუნქტის მოთხოვნებს, ჩაითვლება დასაბუთებულად ზემოთ მოყვანილი (a) ქვეპუნქტის მიზნებისათვის. უნდა ჩაითვალოს აგრეთვე, რომ ასეთი ორგანიზაციები უფლებამოსილნი არიან განაცხადონ მათი უფლებების შელახვის შესახებ ზემოთ მოყვანილი (b) ქვეპუნქტის მიზნებისათვის.

წინამდებარე პუნქტ 2-ის დებულებები არ გამორიცხავს ადმინისტრაციულ ორგანოში წინასწარი განხილვის პროცედურის შესაძლებლობას და არ ეწინააღმდეგება სასამართლო გარჩევის პროცედურამდე ადმინისტრაციული გარჩევის პროცესის ამოწურვის მოთხოვნას, თუკი ეროვნული კანონმდებლობა ასეთ მოთხოვნას ითვალისწინებს."

[163] ინგლისური ორიგინალიდან ამ პუნქტის უფრო ზუსტი თარგმანი ამგვარად ჟღერს: „პირველ და მეორე პუნქტებში განხილულ პროცედურებზე დამატებით და მათი დარღვევის გარეშე, ყოველი მხარე ვალდებულია უზრუნველყოს, რომ საზოგადოების წევრებს, რამდენადაც ისინი აკმაყოფილებენ კრიტერიუმებს, თუკი ასეთ კრიტერიუმებს ითვალისწინებს ეროვნული კანონმდებლობა, ხელი მიუწვდებოდეთ ადმინისტრაციულ ან სასამართლო პროცედურაზე, კერძო პირების თუ საჯარო ორგანოების იმ ქმედებების ან უმოქმედობის გასასაჩივრებლად, რომლებიც გარემოს დაცვის ეროვნული კანონმდებლობის დებულებებს ეწინააღმდეგება".

[164] ინგლისური ორიგინალიდან ამ პუნქტის უფრო ზუსტი თარგმანი ამგვარად ჟღერს: „ზემოთ მოყვანილ პირველ პუნქტზე დამატებით და მისი დარღვევის გარეში პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტებში აღნიშნული პროცედურები უნდა ითვალისწინედეს შესატყვის და ეფექტურ გამოსწორების ზომებს, სასამართლო უზრუნველყოფის ჩათვლით, თუკი ეს მიზანშეწონილია, და იყოს სამართლიანი, მიუკერძოებელი, დროული და არ იყოს მიუწვდომლად ძვირი. ამ პუნქტთან დაკავშირებული გადაწყვეტილებები უნდა გაიცეს ან გაფორმდეს წერილობითი სახით. სასამართლოთა და სადაც ეს შესაძლებელია, სხვა ორგანოთა გადაწყვეტილებები საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს".

a) მიმოიხილავენ იურიდიული და მეთოდოლოგიური მიდგომებს და ზოგადად პოლიტიკას ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და გარემოს დაცვასთან დაკავშირებული მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის საკითხებს მათი შემდგომი გაუმჯობესების მიზნით;
b) ცვლიან ინფორმაციას ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებების დადებასა და განხორციელებაში და სხვა ღონისძიებების მოგვარების საკითხში მიღებული გამოცდილების შესახებ, რომლებიც უშუალო შეხებაში არიან წინამდებარე კონვენციის მიზნებთან და რომლის მხარესაც წარმოადგენს ამ მხარეთაგან ერთი ან მეტი მხარე;
c) ეძიებენ, სადაც ეს შესაძლებელია, შესაბამისი ECE-ს (ევროპის ეკონომიკური კომიტეტი) მომსახურებას და სხვა კომპეტენტური საერთაშორისო ორგანოების და საგანგებო კომიტეტების დახმარებას ყველა საკითხში, რომელიც წინამდებარე კონვენციის მიზნების მიღწევას შეუწყობს ხელს;
d) ქმნიან ნებისმიერ ქვედანაყოფებს, რომლებსაც ისინი ჩათვლიან საჭიროდ;
e) სადაც საჭიროა ადგენენ წინამდებარე კონვენციის ოქმებს;
f) მე-14 მუხლის დებულებების შესაბამისად განიხილავენ და ღებულობენ წინადადებებს წინამდებარე კონვენციის შესწორებების შესახებ;
g) განიხილავენ და ღებულობენ ნებისმიერ დამატებით ღონისძიებებს, რომლებიც წინამდებარე კონვენციის მიზნების განხორციელებას წაადგება;
h) პირველ კრებაზე განიხილავენ და კონსენსუსით იღებენ თავისი და თავისი ქვედანაყოფების კრებების პროცედურულ წესებს;
i) მათ პირველ კრებაზე მიმოიხილავენ თავიანთ გამოცდილებას მეხუთე მუხლის მე-9 პარაგრაფის დებულებების განხორციელების საკითხში და ადგენენ, რა ნაბიჯებია აუცილებელი ამ პუნქტში მითითებული სისტემის შემდგომი განვითარებისათვის, საერთაშორისო პროცესების და განვითარების მხედველობაში მიღებით, შესაბამისი დოკუმენტის შემუშავების ჩათვლით, რომელიც შეეხება დაბინძურებისაგან გათავისუფლების და მისი გადატანის რეგისტრაციულ და ინვენტარიზაციულ მასალას, რომელიც შეიძლება დანართის სახით ახლდეს წინამდებარე კონვენციას.

3. მხარეთა კრებებს საჭიროებისამებრ შეუძლიათ კონსენსუსის საფუძველზე განიხილონ ფინანსური შეთანხმების დადების საკითხიც.

4. გართიანებული ერების ორგანიზაცია, მისი სპეციალიზებული სააგენტოები და ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტო, აგრეთვე ნებისმიერი სახელმწიფო ან რეგიონული ეკონომიკური გაერთიანებული ორგანიზაცია, რომელიც მე-17 მუხლის მიხედვით უფლებამოსილია ხელი მოაწეროს წინამდებარე კონვენციას, მაგრამ, არ წარმოადგენს ამ კონვენციის მხარეს, და ნებისმიერი სამთავრობათაშორისო ორგანიზაცია, რომელიც იმ სფეროში მოღვაწეობს, რომლებსაც ითვალისწინებს წინამდებარე კონვენცია, უფლებამოსილია მონაწილეობა მიიღოს მხარეთა კრებებში დამკვირვებლის სახით.

5. ნებისმიერ არასამთავრობო ორგანიზაციას, რომელიც იმ სფეროში მოღვაწეობს, რასაც ითვალისწინებს წინამდებარე კონვენცია, რომელიც ევროპის ეკონომიკური კომისიის აღმასრულებელ სამდივნოს ატყობინებს თავის სურვილს დაესწროს მხარეთა კრებას, მიენიჭება დამკვირვებლის უფლებები იმ შემთხვევაში, თუ მინიმუმ მხარეების ერთი მესამედი არ იქნება ამ წინადადების წინააღმდეგი.

6. ზემოთ მე-4 და მე-5 პუნქტების მიზნებისათვის მე-2 პუნქტში (თ) აღნიშნული პროცედურული წესები გვთავაზობენ დასწრების პროცედურას და სხვა შესაბამის პირობებს.

მუხლი 11
ხმის მიცემის უფლება

1. ყოველი მხარე სარგებლობს ერთი ხმით იმ შემთხვევების გარდა, რასაც ქვემოთ მოცემული მეორე პუნქტი ითვალისწინებს.

2. რეგიონული ეკონომიკური გაერთიანების ორგანიზაციები, თავიანთი კომპეტენციის საზღვრებში სარგებლობენ უფლებით მისცენ იმდენი ხმა, რამდენიც მათ იმ წევრ ქვეყნებს შეესაბამება, რომლებიც წინამდებარე კონვენციის მხარეებს წარმოადგენენ. ასეთი ორგანიზაციები ვერ ისარგებლებენ ხმის უფლებით, თუ მათი წევრი ქვეყნები ისარგებლებენ თავისი ხმებით და პირიქით.

მუხლი 12
სამდივნო

ევროპის ეკონომიკური კომისიის აღმასრულებელი სამდივნო შეასრულებს შემდეგ სამდივნო ფუნქციებს:
a) მხარეთა კრებების მომზადება და მოწვევა;
b) მხარეთათვის იმ მოხსენებებისა და ინფორმაციის მიწოდება, რომლებსაც იგი იღებს წინამდებარე კონვენციის დებულებების თანახმად;
c) სხვა ფუნქციები, რომლებსაც მხარეები დააკისრებენ.

მუხლი 13
დანართები

წინამდებარე კონვენციის ყველა დანართი წარმოადგენს მის შემადგენელ ნაწილს.

მუხლი 14
შესწორებები კონვენციაში

1. ნებისმიერ მხარეს შეუძლია შემოიტანოს წინადადება კონვენციაში შესწორების შეტანის შესახებ.
2. წინამდებარე კონვენციის ნებისმიერი შესწორების ტექსტი წერილობითი სახით წარედგინება ევროპის ეკონომიკური კომისიის აღმასრულებელ მდივანს, რომელიც აწვდის მას ყველა მხარეს იმ კრებამდე მინიმუმ ოთხმოცდაათი დღით ადრე, რომელზეც ამ შესწორების მიღებაა დადგენილი.
3. მხარეები ყველა ღონეს ხმარობენ კონვენციის ყველა შემოთავაზებულ შესწორებაზე მიაღწიონ თანხმობას კონსენსუსის მეშვეობით. იმ შემთხვევაში, თუ მორიგებით ამის მიღწევა შეუძლებელია, შესწორება შეიძლება მიღებულ იქნას დამსწრე და კენჭისყრაში მონაწილე მხარეების სამი მეოთხედის თანხმობის შემთხვევაში.
4. წინამდებარე კონვენცის შესწორება, რომელიც მიიღება მე-3 პუნქტის პირობების დაცვით, დეპოზიტარის (ნდობით აღჭურვილი პირის) მეშვეობით ეცნობება ყველა მხარეს რატიფიცირებისათვის, მოსაწონებლად ან მისაღებად. შესწორებები კონვენციაში, რომლებიც არ ფორმდებიან დანართების სახით იმ მხარეებისათვის, რომლებმაც რატიფიცირება, მოწონება ან მიღება განახორციელეს, ძალაში შედის დეპოზიტარის მიერ იმ რატიფიცირების, თანხმობის ან მოწონების მიღებიდან ოთხმოცდამეათე დღეს, რომლებიც ასეთი მხარეების მინიმუმ სამმა მეოთხედმა გამოაგზავნა. ამის თანახმად, ეს შესწორებები ძალაში შედის სხვა ნებისმიერი მხარისათვისაც ოთხმოცდამეათე დღეს მას შემდეგ, რაც ეს მხარე ჩააბარებს თავის რატიფიცირების, მოწონების ან მიღების დოკუმენტს.
5. ნებისმიერი მხარე, რომელიც ვერ ახერხებს დაამტკიცოს შესწორება კონვენციის დანართში, ვალდებულია შეტყობინების მიღებიდან 12 თვის განმავლობაში წერილობით აცნობოს დეპოზიტარს თანხმობის შესახებ. დეპოზიტარი დაუყოვნებლივ ატყობინებს ყველა მხარეს ნებისმიერი ასეთი ცნობის შესახებ. ამ ცვლილებების მიღებით მხარეს ნებისმიერ დროს შეუძლია შეცვალოს თავისი წინა პასუხი. დეპოზიტართა ცვლილებების მიღების დოკუმენტის ჩატარების მომენტიდან, ამ მხარისათვის დანართის ცვლილებები ძალაში შედის.
6. იმ დღიდან თორმეტი თვის შემდეგ, როდესაც დეპოზიტარი მხარეს აწვდის შეტყობინებას, როგორც ეს მე-4 პუნქტშია აღნიშნული, დანართის შესწორება ძალაში შედის იმ მხარეებისათვის, რომლებმაც მე-5 პუნქტის მიხედვით არ წარუდგინეს შეტყობინება დეპოზიტარს შესწორების მიღების შესახებ, იმ შემთხვევაში თუ მხარეების მაქსიმუმ ერთმა მესამედმა წარადგინა ასეთი შეტყობინება.
7. ამ მუხლის მიზნებისათვის „დამსწრე და კენჭისყრაში მონაწილე მხარეები“ გულისხმობს მხარეებს, რომლებიც ესწრებიან კრებას და აძლევენ უარყოფით თუ დადებით ხმას.

მუხლი 15
შესაბამისობის განხილვა

მხარეთა კრება წინამდებარე კონვენციის დებულებების შესაბამისობის დასადგენად, კონსენსუსის საფუძველზე ადგენს არაწინააღმდეგობრივ, არასამართლებრივ, არამედ საკონსულტაციო ხასიათის საორგანიზაციო საკითხებს. ეს გარიგებები საზოგადოების შესაბამისი მონაწილეობის საშუალებას იძლევა და შესაძლოა წინამდებარე კონვენციასთან დაკავშირებული იმ წინადადებების განხილვის შესაძლებლობასაც იძლეოდეს, რომლებსაც საზოგადოების წევრები მიაწვდიან კონვენციას.

მუხლი 16
დავის გადაწყვეტა

1. იმ შემთხვევაში, თუ დავა წამოიჭრება ორ ან მეტ მხარეს შორის, წინამდებარე კონვენციის ინტერპრეტაციის ან გამოყენების შესახებ, მხარეები ვალდებულნი არიან საკითხი გადაჭრან მოლაპარაკების ან სხვა ისეთი გზით, რომელიც მოდავე მხარეებისათვის მისაღები იქნება.
2. წინამდებარე კონვენციის ხელმოწერის, რატიფიცირების, მიღების, დამტკიცების ან მასთან მიერთების, ან ნებისმიერ სხვა დროს, მხარეს წერილობით შეუძლია აცნობოს დეპოზიტარს (ნდობით აღჭურვილ პირს), რომ იმ დავასთან დაკავშირებით, რომელიც ვერ იქნა გადაჭრილი პირველი პუნქტის მიხედვით, იგი ირჩევს ქვემოთ მოცემული დავის გადაწყვეტის ორიდან ერთს ან ორივე გზას, როგორც დავის გადაჭრის იძულებით ფორმას, იმავე ვალდებულებების მქონე მხარესთან დამოკიდებულებაში:
a) დავის საკითხის გადაცემა საერთაშორისო სასამართლოში;
b) არბიტრაჟი II დანართში მოცემული პროცედურის მიხედვით.
3. თუ მოდავე მხარეები დავის გადაჭრის აქვე, ზემოთ მოყვანილ პუნქტ 2-ის ორივე გზას უჭერენ მხარს, დავის საკითხი გადაეცემა მხოლოდ საერთაშორისო სასამართლოს, თუკი მხარეები სხვაგვარად არ შეთანხმდნენ.

მუხლი 17
ხელმოწერა

წინამდებარე კონვენცია ღია იქნება ხელმოსაწერად ორჰუსში (დანია) 1998 წლის 25 ივნისს, ხოლო შემდგომ ნიუ-იორკში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ოფისში 1998 წლის 21 დეკემბრამდე.

ხელმოწერის უფლება აქვთ ევროპის ეკონომიკური კომისიის წევრ ქვეყნებს. ქვეყნებს, რომლებიც მრჩეველი ქვეყნების სტატუსით სარგებლობენ ევროპის ეკონომიკურ კომისიაში, ეკონომიკური და სოციალური საბჭოს 1947 წლის 28 მარტის ნომერ 36 (IV) დადგენილების მე-8 და მე-11 პუნქტების თანახმად და რეგიონულ ეკონომიკური ინტეგრაციის იმ ორგანიზაციებს, რომლებიც დაფუძნებულნი არიან ევროპის ეკონომიკური კომისიის დამოუკიდებული სახელმწიფოების მიერ და, რომლებსაც კონვენცია ითვალისწინებს ხელშეკრულების დადების ჩათვლით.

მუხლი 18
დეპოზიტარი (ნდობით აღჭურვილი პირი)

წინამდებარე კონვენციის ნდობით აღჭურვილ პირს წარმოადგენს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი.

მუხლი 19
რატიფიცირება, მიღება, დამტკიცება და ხელმისაწვდომობა

1. წინამდებარე კონვენციის რატიფიცირებას, მიღებას ან დამტკიცებას ახდენენ ხელმომწერი სახელმწიფოები და რეგიონული ეკონოიკური ინტეგრაციის ორგანიზაციები.
2. წინამდებარე კონვენცია სახელმწიფოსათვის და მე-17 ში ჩამონათვალი რეგიონული ინტეგრაციის ორგანიზაციებისათვის ხელმისაწვდომია 1998 წლის 22 დეკემბრიდან.
3. ის სახელმწიფო, რომელიც არ შედის მეორე პუნქტის ჩამონათვალში, ე.ი. გაერთიანებული ერების წევრი სახელმწიფო კონვენციას გაეცნობა მხარეთა კრებაზე მისი დამტკიცების დროს.
4. ორგანიზაცია, რომელიც მითითებულია მე-17 მუხლში და რომელიც ამ კონვენციის წევრი ხდება ისე, რომ მისი არც ერთი წევრი სახელმწიფო არ წარმოადგენს კონვენციის მხარეს, ვალდებულია შეასრულოს წინამდებარე კონვენციით გათვალისწინებული ყველა პირობა. თუ ასეთი ორგანიზაციის ერთი ან რამდენიმე წევრიქვეყანა ამ კონვენციის მხარეს წარმოადგენს, ორგანიზაცია და მისი წევრი ქვეყნები თვითონ ინაწილებენ ვალდებულებებს, რომლებსაც კონვენცია ითვალისწინებს. ამ შემთხვევაში ორგანიზაცია და წევრი ქვეყნები ვერ ისარგებლებენ კონვენციით გათვალისწინებული უფლებებით ერთობლივად.
5. თავის რატიფიცირების, მიღების, დამტკიცების ან მიერთების დოკუმენტში მე-17 მუხლში აღნიშნული რეგიონული ეკონომიკური ინტეგრაციის ორგანიზაციები მიუთითებენ კონვენციის საკითხებში მათი კომპეტენციის დონეზე. ორგანიზაციები, აგრეთვე ვალდებულნი არიან აცნობონ გენერალურ მდივანს მათ კომპეტენციაში რაიმე მნიშვნელოვანი ცვლილებების შესახებაც.

მუხლი 20
კონვენციის ძალაში შესვლა

1. წინამდებარე კონვენცია ძალაში შედის რატიფიცირების, მიღების, დამტკიცების და მიერთების მეთექვსმეტე დოკუმენტის ჩაბარებიდან ოთხმოცდამეათე დღეს.
2. ზემოთ პუნქტ 1-ის მიზნებისათვის, ნებისმიერი დოკუმენტი, რომელსაც შემოიტანს რეგიონული ეკონომიკური ინტეგრაციის ორგანიზაცია, არ ჩაითვლება იმ დოკუმენტებუს დამატებით დოკუმენტად, რომლებიც შემოიტანეს ასეთი ორგანიზაციების წევრმა სახელმწიფოებმა.
3. მე-17 მუხლში აღნიშნული ყოველი ცალკეული სახელმწიფოსა და ორგანიზაციისათვის, რომელიც ამ კონვენციის რატიფიცირაბას, მიღებას, დამტკიცებას ახდენს ან ურთდება ამ კონვენციის რატიფიცირაბის, მიღების, დამტკიცების ან მიერთების მეთექვსმეტე დოკუმენტის წარდგენის შემდეგ, წინამდებარე კონვენცია ძალაში შედის ასეთი სახელმწიფოს ან ორგანიზაციის მიერ რატიფიცირაბის, მიღების, მოწონების ან თანხმობის დოკუმენტის წარდგენიდან ოთხმოცდამეათე დღეს.

მუხლი 21
გამოსვლა

წინამდებარე კონვენციის ძალაში შესვლიდან სამი წლის შემდეგ ნებისმიერ დროს რომელიმე მხარესთან მიმართებაში, ამ მხარეს უფლება აქვს გამოვიდეს კონვენციიდან დეპოზიტარისათვის წერილობითი შეტყობინების საფუძველზე. ნებისმიერი ასეთი გამოსვლა ძალაშია შეტყობინებიდან ოთხმოცდამეათე დღეს.

მუხლი 22
სარწმუნო ტექსტები

წინამდებარე კონვენციის ორიგინალი, რომლის ინგლისური, ფრანგული და რუსულენოვანი ტექსტები თანაბრად სარწმუნოა, ინახება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანთან.

ამის დასტურად, ქვემორე ხელისმომწერნი, სათანადოდ უფლებამოსილი პირი, ხელს აწერს წინამდებარე კონვენციას.

კონვენცია შედგა ორჰუსში (დანია) ათასცხრაას ოთხმოცდა თვრამეტი წლის ოცდახუთ ივნისს.

დანართი I
მე-6 მუხლის პუნქტ 1-ში a) მითითებულ საქმიანობათა ჩამონათვალი

1. ენერგოსექტორი

- ნავთობგადამამუშავებელი და აირგადამამუშავებელი ქარხნები;

- გაზიფიცირებისა და გათხევადების დანადგარები;
- თბოელექტროსადგურები და წვის სხვა დანადგარები, რომლებიც მოიხმარენ 50 მეგავატ ან მეტ სითბურ სიმძლავრეს;
- დაკოქსვის ღუმელები;
- ბირთვული ენერგიის სადგურების და სხვა ბირთვული რეაქტორები ასეთი სადგურების და რეაქტორების დამონტაჟებისა და დეკომისირების[165] ჩათვლით; (იმ კვლევითი დანადგარების გამოკლებით, რომლებიც ისეთი დაშლადი და აღდგენადი მასალის გამომუშავებისა და კონვერსიისათვის გამოიყენება რომელთა მაქსიმალური სიმძლავრე არ აღემატება 1 კილოვატ უწყვეტ სითბურ დატვირთვას);
- გამოყენებული ბირთვული საწვავის ხელახალი გადამუშავების დანადგარი;
- დანადგარები, რომელთა დანიშნულებაა:
  - i) ბირთვული საწვავის წარმოება და გამდიდრება;
  - ii) გამოყენებული ბირთვული საწვავის და სხვა მაღალი აქტიობის მქონე ნარჩენების გადამუშავება; გამოყენებული ბირთვული საწვავის საბოლოო განთავსება;
  - iii) რადიოაქტიური ნარჩენების საბოლოო განთავსება;
  - iv) გამოყენებული ბირთვული საწვავის და სხვა რადიოაქტიური ნარჩენების შენახვა საწარმოო ტერიტორიის გარეთ, თუ მათი შენახვა დაგეგმილია ათ წელზე მეტი ვადით.

2. ლითონების წარმოება და დამუშავება

- ლითონების მადნების (სულფიდური მადნის ჩათვლით) გამოწვის ან აგლომერაციის დანადგარები;
- თუჯის ან ფოლადის სადნობი დანადგარები (პირველადი ან მეორადი დნობის) უწყვეტი ჩამოსხმის ჩათვლით, საათში 2,5 ტონის წარმადობით;
- შავი ლითონების დასამუშავებელი დანადგარები:
  - i) ცხლადდამუშავების ქარხნები, რომელთა წარმადობა აღემატება 20 ტონა ნედლ ფოლადს საათში;
  - ii) სამჭედლოები გრდემლებით, რომელთა ენერგია აღემატება 50 კილოჯოულს/თითო გრდემლზე, სადაც გამოყენებული სითბური სიმძლავრე აღემატება 20 მეგავატს;
  - iii) დამცავი ლითონის ფენის დაფარვა ფოლადის მიწოდებით, რომლებიც აღემეტება 2 ტონას/სთ;
- შავი ლითონის სადნობები, რომელთა წარმადობა დღეში 20 ტონას აღემატება;
- დანადგარები:
  - i) მეტალურგიული, ქიმიური ან ელექტროქიმიური პროცესების მეშვეობით მადნიდან, კონცენტრატებიდან ან მეორადი ნედლეულიდან უჟანგავი ფერადი ლითონების საწარმოებლად;
  - ii) დანადგარები ფერადი ლითონების დნობისათვის და შენადნობთა მიღებისათვის, /აღდგენილი პროდუქციის ჩათვლით/ (გაწმენდა, რაფინირება, სადნობი ცხობა და სხვა) წარმადობით, რომელთა წარმოებლობა აღემატება დღეში 4 ტონას კადმიუმისა და ტყვიისათვის ან 20 ტონას ყველა სხვა ლითონისათვის;
- ნაგებობები ლითონის და პლასტიკური მასალის ზედაპირული წმენდისათვის ელექტროლიტური ან ქიმიური პროცესის გამოყენებით, სადაც დასამუშავებელი ცისტერნის მოცულობა აღემატება 30 კუბურ მეტრს

3. მინერალური ნედლეულის მრეწველობა

- დანადგარების ცემენტის კლინკერის საწარმოებლად, მბრუნავ გამოსაწვავ ღუმელებში, რომელთა წარმადობა აღემატება 500 ტონას დღეში ან კირის საწარმოებლად მბრუნავ გამოსაწვავ ღუმელებში 50 ტონაზე მეტი წარმადობით ან სხვა ღუმელებში, რომელთა წარმადობაც აღემატება 50 ტონას დღეში;
- აზბესტის და აზბესტშემცვლელი პროდუქციის საწარმოო დანადგარები;
- მინის და მინის ბოჭკოს მწარმოებელი საწარმოები დღეში 20 ტონაზე მაღალი ლღობის წარმადობით;
- ნაგებობები მინერალური ნივთიერებების სალღობად მინერალური ბოჭკოს წარმოების ჩათვლით დღეში 20 ტონაზე მაღალი წარმადობით;
- კერამიკული პროდუქციის გამოწვის საწარმოთა დანადგარები, კერძოდ კი კრამიტის, აგურის, რეფრაქტორული აგურის, ფილების, ქვის ან ფაიფურის ნაწარმის საწარმოება, რომელთა წარმადობა დღეში 75 ტონას, და/ ან გამოწვის წარმადობით, რომელიც აღემატება 4 კუბურ მეტრს, ხოლო ერთ ღუმელში ჩატვირთვის წარმადობა უდრის 300 კგ/კუბ. მეტრზე.

4. ქიმიური მრეწველობა: ამ პუნქტის საქმიანობის კატეგორიების ფარგლებში წარმოება გულისხმობს სამრეწველო მასშტაბებში წარმოებას იმ მასალების ან მასალათა ჯგუფების ქიმიური დამუშავებით, რომელთა ჩამონათვალი მოცემულია ა) – გ) პუნქტებში:

a) ქიმიური დანადგარები, რომლებიც გამოიყენება ისეთი ძირითადი ორგანული ნაერთების მისაღებად, როგორებიცაა მაგალითად:
   - i) მარტივი ნახშირწყალბადები (სწორხაზოვანი ან ციკლური, ნაჯერი ან უჯერი, ალიფატური ან არომატული);
   - ii) ჟანგბადის შემცველი ნახშირწყალბადები, მაგალითად სპირტი, ალდეჰიდები, კე-

[165] აქ სამუდამო გაჩერება და კონსერვაცია უნდა იგულისხმებოდეს

ტონები, კარბოქსილის მჟავები, მარტივი ეთერები, აცეტატები, რთული ეთერები, ზეჟანგები, ეპოქსიდური ფისები;
iii) გოგირდოვანი ნახშირწყალბადები;
iv) აზოტოვანი ნახშირწყალბადები, როგორიცაა ამინები, ამიდები, აზოტოვანი ნაერთები, ნიტრო ნაერთები ან ნიტრატები, ნიტრიტები, ციანიდები, იზოციანიდები;
v) ფოსფორშემცველი ნახშირწყალბადები;
vi) ჰალოგენური ნახშირწყალბადები;
vii) მეტალორგანული ნაერთები;
viii) ძირითადი პლასტიკური მასალები (პოლიმერები, სინთეზური ბოჭკო და ცელულოზის საფუძველზე დამზადებული ბოჭკო);
ix) სინთეზური კაუჩუკი/რეზინით;
x) საღებავები და პიგმენტები;
xi) ზედაპირული აქტიური ნივთიერებები და ზედაპირული აქტიურ ნაერთები.

b) ქიმიური დანადგარები ძირითადი არაორგანული ნაერთების მისაღებად:
i) ფტორწყალბადი, ნახშირჟანგი, გოგირდნაერთები, აზოტის ჟანგები, წყალბადი, აირები, როგორიცაა ამიაკი/ნიშადურის სპირტი, ქლორი ან ქლორწყალბადი, ფტორი ან გოგირდორჟანგი, ფოსგენი;
ii) მჟავები, მაგალითად ქრომმჟავა, ფტორწყალბადმჟავა, ფოსფორმჟავა, ძმარმჟავა, ქლორწყალბადმჟავა, გოგირდმჟავა, ოლეუმი, გოგირდოვანი მჟავები;
iii) ტუტეები, როგორიცაა ამონიუმის ჰიდროქსიდი, კალიუმის ჰიდროქსიდი, ნატრიუმის ჰიდროქსიდი;
iv) მარილები, როგორიცაა ამონიუმის ქლორიდი, კალიუმქლორიდი, კალიუმკარბონატი, ნატრიუმკარბონატი, პერბორატი, ვერცხლის ნიტრატი;
v) არამეტალები, მეტალისჟაგები ან ახვა არაორგანული ნაერთები მაგ: კალციუმის კარბიდი, სილიკონი, სილიკონის კარბიდი.

c) ქიმიური დანადგარები ფოსფოროვანი, აზოტოვანი და კალიუმის სასუქების საწარმოებლად (მარტივი და რთული სასუქები);

d) ქიმიური დანადგარები ძირითადი მცენარეული პროდუქციისა და ბიოციდების დასამზადებლად;

e) დანადგარები, რომლებშიც ქიმიურ და ბიოლოგიურ პროცესებს იყენებენ ძირითადი ფარმაკოპროდუქციის მოსაღებად;

f) ქიმიური დანადგარები, რომლებიც გამოიყენება ასაფეთქებელი მასალის საწარმოებლად;

g) ქიმიური დანადგარები, სადაც ქიმიური და ბიოლოგიური გადამუშავება გამოიყენება, როგორც ცილოვანი კვების დანამატების წარმოებისთვის ასევე ფერმენტებისა და სხვა ცოლოვანი ნივთიერებების მისაღებად.

5. ნარჩენების მართვა

- დანადგარები მავნე ნარჩენების დასაწვავად, აღსადგენად, ქიმიური დასამუშავებისთვის და სახიფათო ნარჩენების დასამარხად;
- დანადგარები საყოფაცხოვრებო ნარჩენების დასაწვავად, საათში 3 ტონაზე მეტი წარმადობით;
- დანადგარები არასახიფათო ნარჩენების განთავსებისთვის, დღეში 50 ტონაზე მეტი წარმადობით;
- ნაგავსაყრელი, რომელიც დღეში 10 ტონაზე მეტ ნარჩენს მიიღებს ან რომლის საერთო ტევადობა 25 000 ტონას აღემატება (ინერტული ნარჩენის გამოკლებით).

6. ნახმარი წყლის გამწმენდი ნაგებობები 150 000-იანი მოსახლეობის შესაბამის წარმადობით.

7. სამრეწვლო ქარხნები:

a) ხის მასალიდან ან სხვა მსგავსი ბოჭკოვანი მასალიდან ცელულოზის საწარმოებლად;

b) ქაღალდის და მუყაოს წარმოება დღეში 20 ტონაზე მეტი წარმადობით;

8.

a) შორმანძილიანი სარკინიგზო ხაზებისა და აეროპორტების მშენებლობა, რომელთა ძირითადი ასაფრენი ბილიკი 2 100 მეტრი და მეტი სიგრძისაა;

b) სამანქანო და ექსპრეს გზების მშენებლობა;

c) ოთხ და ხუთრიგიანი ახალი გზების მშენებლობა ან არსებული ორ ან ნაკლებრიგიანი გზების აღდგენა და/ან გაფართოება ისე, რომ უზრუნველყოფილ იქნას ოთხი ან მეტი რიგი და ახალი ან გადაკეთებული და გაფართოებული გზის მონაკვეთი მთლიანად 10 კმ ან მეტი სიგრძის იყოს;

9.

a) შიდა სამდინარო გზები და საზღვაო პორტები შიდა საწყლოსნო მოძრაობისათვის 1350 ტონა და მეტი წყალწყვის ტრანსპორტისათვის;

b) სავაჭრო პორტები, მისადგომები დატვირთვისა და გადმოტვირთვისათვის, რომლებიც დაკავშირებულია ხმელეთთან და სხვა პორტებთან / გარდა საბორნე მისადგომებისა/ 1350 ტონაზე მეტი წყალწყვის ტრანსპორტისათვის.

10. მიწისქვეშა წყლების ამოსატუმბი ან მიწისქვეშა წყლების ხელოვნური შევსების სქემები, სადაც წლიური ამოსატუმბი ან ჩასატვირთი წყალი უდრის ან აღემატება 10 მილიონ კუბურ მეტრს.

11.

a) სამუშაოები წყლის რესურსების გადასასროლად მდინარეთა აუზებს შორის, როდესაც წყლის გადატანა ხდება წყლის ნაკლებობის თავიდან ასაცილებლად და როცა გადასროლილი წყლის მოცულობა აღემატება 100 მილიონ კუბურ მეტრს წელიწადში;

b) ყველა სხვა შემთხვევაში, წყლის რესურსების გადასასროლად მდინარეთა აუზებს შორის, როდესაც აუზის მრავალწლიური საშუალო ჩამონადენი აღემატება 2000 მილიონ კუბურ მეტრ წყალს წელიწადში და სადაც გადატანილი წყლის მოცულობა ამ ნაკადის 5% აღემატება.

ორივე შემთხვევაში მილებით სასმელი წყლის გადატანა გამორიცხულია.

12. ნავთობისა და ბუნებრივი აირის მოპოვება კომერციული მიზნით, სადაც მოპოვებული პროდუქციის მოცულობა აღემატება 500 ტონას დღეში, ნავთობის შემთხვევაში, ხოლო აირის შემთხვევაში კი 500 000 კუბურ მეტრს დღეში.
13. ჯებირები/კაშხლები და სხვა ნაგებობები, რომლებიც წყლის შესაკავებლად ან დასაგროვებლად გამოიყენება, სადაც ახალი ან დაგროვებული წყალი 10 მილიონ კუბურ მეტრს აღემატება.
14. მილსადენები აირის, ნავთობის ან ქიმიური ნაერთების გადასატანად, რომელთა დიამეტრი 800მმ აღემატება და რომელთა სიგრძე 40 კმ-ზე მეტია.
15. ნაგებობები, რომლებიც განკუთვნილია ფრინველის ან ღორის ინტენსიური გამრავლებისათვის:
   i) ფრინველისათვის 40 000-ზე მეტ ადგილზე;
   ii) გოჭებისათვის 2 000-ზე მეტ სულზე (30 კგ-ს ზემოთ);
   iii) ღორებისათვის 750 სადგომიანი.
16. მაღაროები და კარიერები, სადაც ღია წესით მოპოვების ადგილის ზედაპირი აღემატება 25 ჰექტარს ან მიწისქვეშა მოპოვება, სადაც სამთო-სამუშაოების გავლენის ზონა აღემატება 150 ჰექტარს.
17. მიწისზედა 220 კვ ან მეტი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზების აგება, როდესაც ხაზის სიგრძე აღემატება 15 კმ-ს.
18. ნავთობის, ნავთობპროდუქტების ან ქიმიური პროდუქციის შესანახი სათავსოები, 200 000 ტონაზე მეტი წარმადობით.
19. სხვა საქმიანობა:
- ქარხნები ან დანადგარები წინასწარი დამუშავებისათვის /ბოჭკოს ან ქსოვილის გაწმენდა, გაუფერულება, მერსერიზაცია ან შეღებვა/, სადაც წარმადობა დღეში 10 ტონას აღემატება;
- ტყავის ან ჩლიქების დამამუშავებელი ფაბრიკები, სადაც დამუშავებული მზა პროდუქცია დღეში 12 ტონას აღემატება.

a) სასაკლაო 50 ტონაზე მეტი წარმადობით;
b) დამუშავება, რომელიც გულისხმობს კვების პროდუქტების წარმოებას ქვევით ჩამონათვალი მასალიდან.
   i) ცხოველური წარმოშობის მასალიდან (რძის გამოკლებით) დღეში 75 ტონაზე მეტი საბოლოო მზა პროდუქციის მიღებით;
   ii) მცენარეული წარმოშობის ნედლეულიდან დღეში 300 ტონაზე მეტი მზა პროდუქციის მიღებით (საშუალო სიდიდის გაანგარიშება კვარტალურ საწყისებზე დაიანგარიშება);
c) რძის დამუშავება, როდესაც მიღებული რძის რაოდენობა აღემატება 200 ტონას დღეში (საშუალო სიდიდე დაიანგარიშება წლიური მონაცემების საფუძველზე).
- დანადგარები საქონლის და ცხოველური ნარჩენების მიწოდებისა და გადამუშავებისათვის, როდესაც გადამუშავების წარმადობა დღეში 10 ტონას აღემატება;
- დანადგარები ნივთიერებების, ობიექტების ან პროდუქტების პირველადი დამუშავებისათვის ორგანული გამხსნელების მეშვეობით, კერძოდ კი დაკვლა-გამოშიგნისათვის, მოსახატად, დასაფარად, ცხიმის საფარის მოსაცილებლად, წყლის მიმართ მდგრადობის მისაცემად, აზომვისათვის, შეღებვისათვის, გაწმენდისა და გაჟღენთისათვის, 150 კგ-ზე მეტი ოდენობით მოთხოვნისას დღეში ან წელიწადში 200 ტონაზე მეტი მოთხოვნისას;
- დანადგარი ნახშირის ელექტროდის (ძნელად წვადი ნახშირის) ან ელექტროგრაფიტის მიღებისათვის წვის ან გრაფიტირების საშუალებით.

20. ნებისმიერი საქმიანობა, რომელსაც არ ითვალიწინებს პუნქტები 1-19. სადაც ქვეყნის კანონმდებლობის თანახმად, საზოგადოების მონაწილეობა გათვალისწინებულია გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროცედურაში.
21. მე-6 მუხლის 1(ა) პუნქტი არ შეეხება ზემოაღნიშნულ პროექტებს, რომლებიც მხოლოდ ახალი მეთოდების ან პროდუქციის კვლევის, განვითარების და გამოცდისათვის იქნება გამოყენებული მინიმუმ ორ წლამდე, იმ შემთხვევების გარდა, როდესაც მათ შეიძლება მნიშვნელოვანი უარყოფითი გავლენა იქონიონ გარემოსა და ჯანმრთელობაზე.
22. საქმიანობაში ნებისმიერი ცვლილება ან მისი გახანგრძლივება, როდესაც ასეთი ცვლილება ან გახანგრძლივება თავისთავად ჯდება იმ ზღვრებში, რომლებიც წინამდებარე დანართშია ნაგულისხმევი ექვემდებარება წინამდებარე კონვენციის მე-6 მუხლის პუნქტ 1(ა)-ს მოთხოვნებს. საქმიანობის ნებისმიერი სხვაგვარი ცვლილება ან გახანგრძლივება დაექვემდებარება წინამდებარე კონვენციის მე-6 მუხლის პუნქტი 1(ბ)-ს მოთხოვნებს.

შენიშვნები

1. ბირთვული ელექტროსადგურები ან სხვა ბირთვული რეაქტორები აღარ ჩაითვლებიან ასეთ დანადგარებად, თუ მთელი ბირთვული საწვავი და სხვა რადიოაქტიური ნარჩენები სისტემატიურად გააქვთ ნაგებობის ზონიდან.
2. წინამდებარე კონვენციის მიზნებისათვის „აეროპორტი“ ნიშნავს ისეთ აეროპორტს, რომელიც ეთანადება ჩიკაგოს 1944 წლის კონვენციას, საერთაშორისო სამოქალაქო ავიაციის ორგანიზაციის შესახებ (დანართი 14).
3. წინამდებარე კონვენციის მიზნებისათვის „ექსპრეს გზა“ ნიშნავს ისეთ გზას, რომელიც აკმაყოფილებს განსაზღვრებას, მოცემულს 1975 წლის 15 ნოემბრის ევროპი ხელშეკრულებაში, რომელიც შეეხება მთავარ საერთაშორისო სატრანსპორტო არტერიებს.

დანართი 2

არბიტრაჟი

1. თუ წინამდებარე კონვენციის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად დავა განსახილველად იქნა გადაცემული, მხარე ან მხარეები ვალდებულნი არიან აცნობონ სამდივნოს სადავო საკითხის არსის შესახებ და კერძოდ კი ხაზი გაუსვან იმას, თუ ამ კონვენციის რომელი მუხლის ინტერპრეტირებაზე ან გამოყენებაზე ვერ შეთანხმდნენ მხარეები. სამდივნო მიღებულ ინფორმაციას გადასცემს წინამდებარე კონვენციის ყველა მხარეს.

2. საარბიტრაჟო სასამართლო სამი წევრისგან უნდა შედგებოდეს. მომჩივანი მოპასუხე მხარე ან მხარეები ირჩევს თითო არბიტრს (მომრიგებელს), ხოლო არჩეული ორი არბიტრი კი ირჩევს მესამეს, რომელიც საარბიტრაჟო სასამართლოს პრეზიდენტის ფუნქციებს შეასრულებს. ეს უკანასკნელი არ უნდა იყოს არც ერთი მხარის ეროვნებისა, მას არ უნდა ჰქონდეს მუდმივი საცხოვრებელი რომელიმე მხარის ტერიტორიაზე, არ უნდა იყოს რომელიმე მხარის თანამშრომელი და არ უნდა ჰქონდეს საქმე რომელიმე მათგანთან რაიმე მიმართებით.

3. თუ საარბიტრაჟო სასამართლოს პრეზიდენტი ვერ დაინიშნება მეორე არბიტრის დანიშვნიდან ორი თვის ვადაში, ევროპის ეკონომიკური კომისიის მდივანი დავის ნებისმიერი მხარის მოთხოვნოთ ნიშნავს პრეზიდენტს შემდგომი ორი თვის ვადაში.

4. თუ რომელიმე მხარე არ აირჩევს არბიტრს მოთხოვნიდას მიღებიდან ორი თვის ვადაში, მეორე მხარეს შეუძლია აცნობოს ამის შესახებ ევროპის ეკონომიკური კომისიის მდივანს, რომელიც ვალდებულია დანიშნოს პრეზიდენტი შემდგომი ორი თვის განმავლობაში. დანიშვნისთანავე საარბიტრაჟო სასამართლოს პრეზიდენტი სთხოვს მხარეს, რომელმაც არ აირჩია არბიტრი, აირჩიოს იგი ორი თვის ვადაში. თუ ეს მხარე ვერ აირჩევს არბიტრს ამ პერიოდში, პრეზიდენტი აცნობებს ამის შესახებ ევროპის ეკონომიკური კომისიის აღმასრულებელ მდივანს, რომელიც ვალდებულია შეასრულოს ეს მოთხოვნა შემდგომი ორი თვის ვადაში.

5. საარბიტრაჟო სასამართლო თავის გადაწყვეტილებას საერთაშორისო კანონისა და წინამდებარე კონვენციის პირობების თანახმად იღებს;

6. ნებისმიერი საარბიტრაჟო სასამართლო, რომელიც წინამდებარე დანართის პირობების მიხედვით ინიშნება თავის პროცედურულ კანონებს/წესებს შეიმუშავებს.

7. საარბიტრაჟო სასამართლოს გადაწყვეტილებები, როგორც პროცესუალურ, ასევე საკითხთან დაკავშირებით, მისი წევრების ხმათა უბრალო უმრავლესობით მიიღება.

8. სასამართლომ ყველა დაშვებული ხერხი უნდა იხმაროს ფაქტების დასადგენად.

9. მოდავე მხარეები ვალდებულნი არიან შეუმსუბუქონ საარბიტრაჟო სასამართლოს შრომა და კერძოდ კი გამოიყენონ მათ ხელთ არსებული ყველა საშუალება:

a) მიაწოდონ მას სათანადო დოკუმენტაცია და ინფორმაცია და უზრუნველყონ პირობებით;
b) მისცენ მას საშუალება, აუცილებლობის შემთხვევაში გამოიძახონ მოწმეები და ექსპერტები და მიიღონ მათგან ჩვენებები;

10. მხარეები და არბიტრები დაიცავენ მათ მიერ საარბიტრაჟო სასამართლოს დროს საიდუმლოდ მიღებული ინფორმაციის კონფიდენციალურობას.

11. საარბიტრაჟო სასამართლო უფლებამოსილია, რომელიმე მხარის მოთხოვნით, შესთავაზოს მხარეებს დაცვის დროებითი ზომები.

12. თუ რომელიმე მოდავე მხარე არ გამოცხადდება ტრიბუნალის წინაშე ან ვერ შეძლებს დაიცვას თავისი ინტერესები, მეორე მხარეს უფლება აქვს სთხოვოს ტრიბუნალს გააგრძელოს პროცესი და გამოიტანოს საბოლოო გადაწყვეტილება. მხარის არგამოცხადება ან უუნარობა დაიცვას თავისი ინტერესები არ წარმოადგენს პროცესისათვის ხელშემშლელ პირობას.

13. საარბიტრაჟო სასამართლოს შეუძლია მოისმინოს და დაადგინოს საპასუხო პრეტენზიები, რომლებიც დავის საკითხის გარკვევისას წარმოჩინდება.

14. იმ შემთხვევების გარდა როდესაც საარბიტრაჟო სასამართლო სხვაგვარად გადაწყვეტს საკითხს დავის საგანთან დაკავშირებული პიროებების გამო, სასამართლოს ხარჯებს მისი წევრების გასამრჯელოს ჩათვლით თანაბრად გაინაწილებენ მოდავე მხარეები, სასამართლო ვალდებულია აწარმოოს ყველა თავისი ხარჯის აღრიცხვა და წარუდგინოს მხარეებს მისი საბოლოო ანგარიში.

15. წინამდებარე კონვენციის ნებისმიერ მხარეს, რომელიც დაინტერესდება, დავის საკითხის სამართლებრივი ხასიათით და რომელზედაც ტრიბუნალის გადაწყვეტილებამ შეიძლება გავლენა იქონიოს, შეუძლია ჩაერიოს პროცესში სასამართლოს თანხმობით.

16. საარბიტრაჟო სასამართლოს თავისი გადაწყვეტილება გამოაქვს მისი დანიშვნიდან 5 თვის ვადაში, თუკი იგი არ ჩათვლის აუცილებლად გააგრძელოს დადგენილი დრო პერიოდით, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს 5 თვეს.

17. საარბიტრაჟო სასამართლოს გადაწყვეტილებას უნდა ახლდეს მიზეზთა დასაბუთება. იგი საბოლოოა და დავის ორივე მხარისათვის სავალდებულო. საარბიტრაჟო სასამართლო ატყობინებს მოდავე მხარეებს და სამდივნოს ამ გადაწყვეტილებას. სამდივნო კი თავის მხრივ ამ ინფორმაციას მიაწვდის წინაბდებარე კონვენციის ყველა მხარეს.

18. ნებისმიერი დავა, რომელიც შიეძლება წარმოიშვას მხარეებს შორის მიღებული გადაწყვეტილების ინტერპრეტირებასა და აღსრულებაზე მხარეებმა შეიძლება გადასცენ იმ საარბიტრაჟო სასამართლოს, რომელმაც ეს გადაწყვეტილება გამოიტანა, ხოლო იმ შემთხვევაში თუ ამ საარბიტრაჟო ტრიბუნალთან დაკავშირება ვერ მოხერხდა, გადასცენ სხვა ტრიბუნალს, რომელიც იმგვარად და იმავე მიზნებისთვისაა შექმნილი, რისთვისაც პირველი სასამართლო შეიქმნა.

დანართი II. გამოყენებული და დამატებითი ლიტერატურა

1. Aarhus Convention: The Implementation Guide. United Nations, New York and Geneva, 2000 http://www.unece.org/env/pp/acig.htm
2. Aarhus Convention, Electronic Tools Task Force, Case Gallery, REC, http://www.rec.org/e-aarhus/
3. Developing and Implementing Integrated National Pollutant Release and Transfer Registers in the Accession Countries of Central and Eastern Europe, REC, Hungary, May 2003
4. Developing Skills of NGOs. Public Education to Raise Environmental Awareness, Training material, REC, Hungary, 2003
5. Environmental Democracy in Practice, Handbook for environmental and water management authorities on public participation, REC, 2002
6. Handbook on Access to Justice under the Aarhus Convention, REC, Hungary, 2003 http://www.rec.org/REC/Programs/EnvironmentalLaw/PDF/accesstojustice.pdf
7. Strengthening Community Networks: The Basis for Sustainable Community Renewal (Formative Evaluation), Prepared by Brett Lane and Diane Dorfman, June 30, 1997 http://www.nwrel.org/ruraled/strengthening.html#b
8. О.М.Черп, В.Н.Виниченко, М.В.Хотулёва, Я.П.Молчанова, С.Ю.Дайман, Экологическая оценка и экологическая экспертиза, © Эколайн, 2000 http://www.ecoline.ru/mc/books/eiabook/index.html
9. Экологическая оценка. Пособие для преподователей. Программа ООН по окружающей среде, © Эколайн, 2000 http://www.ecoline.ru/mc/books/eiamanual/
10. М.В. Хотулева, О.М. Черп, В.Н. Виниченко, Е.А. Заика, КАК ОРГАНИЗОВАТЬ ОБЩЕСТВЕННУЮ ЭКОЛОГИЧЕСКУЮ ЭКСПЕРТИЗУ, Рекомендации для общественных организаций, © Эколайн, 2000 http://www.ecoline.ru/mc/books/expertiz/
11. Proceedings of International Workshop on Public Participation and Health Aspects in Strategic Environmental Assessment, REC, Hungary, 2001 http://www.rec.org/REC/Programs/EnvironmentalLaw/PDF/accesstojustice.pdf
12. Working with NGOs: A Practical Guide to Operational Collaboration between the World Bank and Non-governmental Organisations, World Banks, 1995
13. Public Access to Environmental Information and Data. Practice Examples from the United States, the European Union, and Central and Eastern Europe. REC, Hungary, 2001
14. Guide to Implementing Local Environmental Action Programs in Central and Eastern Europe, REC-Hungary 2000 http://www.rec.org/REC/Publications/LEAP_Guide/default.html
15. Public Participation in Making Local Environmental Decision: Good Practice Handbook, DETR, UK, July 2000 http://www.unece.org/env/pp/newcastle.handbook.htm
16. C.R. Pete Petersen, Coming Together: Building Community Collaboration and Consensus. http://www.communitycollaboration.net/
17. ზურაბ ადეიშვილი, გარდ ვინტერი, დიმიტრი ქიტოშვილი, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის კომენტარი, თბილისი, 2002
18. ადგილობრივი მმართველობის ახალი პერსპექტივები საქართველოში. კონფერენციის მასალები. 2003წ. © ადგილობრივი მმართველობის საინფორმაციო ცენტრი, http://www.lgic.info/media/downloads/nationalconf.zip , საქართველოს საზოგადოების საქმეთა ინსტიტუტი www.gipa.ge

19. Environmental Impact Assessment, Caucasus Environmental NGO Network
http://eia.cenn.org/

20. Building Democracy in Georgia: Discussion Papers.
დემოკრატიის მშენებლობა საქართველოში. სადისკუსიო მასალა.
© International Institute for Democracy and Electoral Assistance (International IDEA) 2003
http://www.idea.int/southcaucasus/papers.htm

21. Демократия на местном уровне: руководство для южного Кавказа. под ред. Игоря Корякова и Тимоти Сиск, © International Institute for Democracy and Electoral Assistance 2003
http://www.idea.int/publications/democracy_at_local_level/DLL_in_SC/dll_in_SC.htm

22. ინფორმაციის თავისუფლების გზამკვლევი, აირის-საქართველოს მომზადებული საინფორმაციო რესურსები
http://www.iris.ge/docs/translations/guide_foi_geo_2003.zip

23. ინფორმაციის ხელმისაწვდომობისა და საზოგადოების თანამონაწილეობის განმტკიცება გარდამავალ პერიოდში მყოფ ქვეყნებში. მალკოლმ რასელ-ეინჰორნი, ჯეფრი ლაბერსი, ვედატ მაილორი, აირის-საქართველოს მომზადებული საინფორმაციო რესურსები
http://www.iris.ge/docs/translations/latvia_admin_geo.zip

24. კითხვარი „ადმინისტრაციული აქტის გამოცემა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მიხედვით“ , აირის-საქართველოს მომზადებული საინფორმაციო რესურსები
http://www.iris.ge/docs/translations/checklist_admin_acts.pdf

25. კითხვარი „ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მიხედვით“ , აირის-საქართველოს მომზადებული საინფორმაციო რესურსები
http://www.iris.ge/docs/translations/checklist_admin_decrees.pdf

26. პაატა ლეჟავა, საქართველოს სახალხო დამცველის, საქართველოს მოქალაქეების, საქართველოში მცხოვრები სხვა ფიზიკური პირებისა და საქართველოს იურიდიული პირების მიერ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში მიმართვის წესი და პროცედურები, აირის-საქართველოს მომზადებული საინფორმაციო რესურსები.
http://www.iris.ge/docs/translations/rules_app_const_court.pdf

27. ადმინისტრაციული სამართლის რეფორმა ყოფილ საბჭოთა კავშირში, ჰოვარდ ფენტონი, აირის-საქართველოს მომზადებული საინფორმაციო რესურსები
http://www.iris.ge/docs/translations/fenton_essay_geo.zip

28. გზამკვლევი „კანონშემოქმედება და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“, აირის-საქართველოს მომზადებული საინფორმაციო რესურსები
http://www.iris.ge/docs/translations/guide_drafting_geo.zip

29. ხელისუფლების თვითშეზღუდვა, ანდრაშ შაიო, აირის-საქართველოს მომზადებული საინფორმაციო რესურსები http://www.iris.ge/docs/translations/book_sajo.pdf

30. კონსტიტუციური მართლმსაჯულების დამკვიდრება პოსტკომუნისტრურ ევროპაში, ჰერმან შვარცი, აირის-საქართველოს მომზადებული საინფორმაციო რესურსები
http://www.iris.ge/docs/translations/book_schwartz.pdf

31. საჯარო ინფორმაცია ყველასათვის ხელმისაწვდომია, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის გამოცემები
http://213.157.203.106/GYLAgamocemebi/SAGAZETO/2002/adm.sajaro.info.rtf

32. ადმინისტრაციული აქტი, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის გამოცემები,
http://213.157.203.106/GYLAgamocemebi/SAGAZETO/2002/adm.aqti.rtf

33. საზოგადოების მონაწილეობა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესში, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის გამოცემები,
http://213.157.203.106/GYLAgamocemebi/SAGAZETO/2003/adm.org.gadackv.rtf

34. როგორ მივიღოთ მონაწილეობა ხელისუფლების ორგანოების მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესში, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის გამოცემები,
http://213.157.203.106/GYLAgamocemebi/SAGAZETO/2002/xelisuf.monac.rtf

35. ადმინისტრაციული ორგანოს პასუხისმგებლობა, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის გამოცემები,

http://213.157.203.106/GYLAgamocemebi/SAGAZETO/2002/adm.pasuxismg.rtf

36. საჩივარი სისხლის სამართლის კანონმდებლობის მიხედვით, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის გამოცემები,
http://213.157.203.106/GYLAgamocemebi/SAGAZETO/2002/sachivari.sisxli.rtf

37. ადმინისტრაციული სახდელის დადების წესი, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის გამოცემები,
http://213.157.203.106/GYLAgamocemebi/SAGAZETO/2002/admsaxdel.dadeb.rtf

38. მართლმსაჯულების სისტემა საქართველოში, არასამთავრობო ორგანიზაცია კავშირი „კონსტიტუციის 42-ე მუხლი"-ს ბუკლეტები,
http://www.article42.ge/booklet_ge4.htm

39. როგორ გავასაჩივროთ სამოქალაქო საქმეზე სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება და განჩინებები, არასამთავრობო ორგანიზაცია კავშირი „კონსტიტუციის 42-ე მუხლი"-ს ბუკლეტები,
http://www.article42.ge/booklet_ge3.htm

40. როგორ გავასაჩივროთ სისხლის სამართლის საქმეზე სასამართლოს განაჩენი ან სხვა გადაწყვეტილება, არასამთავრობო ორგანიზაცია კავშირი „კონსტიტუციის 42-ე მუხლი"-ს ბუკლეტები,
http://www.article42.ge/booklet_ge1.htm

41. როგორ დავიცვათ საკუთარი უფლებები, ღია საზოგადოება-საქართველო,
http://www.court.gov.ge/index/categories/298

42. თამარ კობახიძე, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, სტუდენტური ფორუმი, ქართული სამართლის მიმოხილვა, ეკონომიკური პოლიტიკისა და სამართლებრივი საკითხების ქართულ-ევროპული საკონსულტაციო ცენტრი, 6№4, 2003
http://www.geplac.org/publicat/law/glr03n4g/10%20kobakhidze%20geo.pdf

43. ნინო ჩოხელი, დავით კერესელიძე, გარემოსათვის საშიში საქმიანობით გამოწვეული ზიანისათვის სამოქალაქო პასუხისმგებლობის საკითხი ქართულ კანონმდებლობაში, ქართული სამართლის მიმოხილვა, ეკონომიკური პოლიტიკისა და სამართლებრივი საკითხების ქართულ-ევროპული საკონსულტაციო ცენტრი, 2000 წლის I და II კვარტა
http://www.geplac.org/publicat/law/glr03n4g/10%20kobakhidze%20geo.pdf

44. გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროცედურის განხორციელების მიმოხილვა, ნანა გოგიტიძე, მზია გვილავა, ოთარ თურმანიძე, რალფ იულიხი, ქართული სამართლის მიმოხილვა, ეკონომიკური პოლიტიკისა და სამართლებრივი საკითხების ქართულ-ევროპული საკონსულტაციო ცენტრი, 1999 წლის მეოთხე კვარტალი http://www.geplac.org/publicat/law/archives/glr99q4g.pdf

45. ლალი ფაფიაშვილი, ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლო, ქართული სამართლის მიმოხილვა, ეკონომიკური პოლიტიკისა და სამართლებრივი საკითხების ქართულ-ევროპული საკონსულტაციო ცენტრი, 1999 წლის მეოთხე კვარტალი
http://www.geplac.org/publicat/law/archives/glr99q4g.pdf

46. ადმინისტრაციული სამართალი, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ალმანახები, ალმანახი №17, 2001 წელი
http://213.157.203.106/GYLAgamocemebi/ALMANAXI/almanakhi%2017.pdf

დანართი III. ინფორმაციის ხელმისაწვდომობა

დანართი IIIა. ინფორმაციის გაცემა საქართველოში. მაგალითი, როდესაც ინფორმაციის გაცემას კანონმდებლობით გათვალისწინებულზე ბევრად მეტი დრო დასჭირდა

მოკლე შინაარსი: ინფორმაციის მოთხოვნა სხვადასხვა სახის შეიძლება იყოს. ზოგჯერ ეს არსებული დოკუმენტის ასლის მოთხოვნაა. ასეთი მოთხოვნის დაუყოვნებლივ დაკმაყოფილება მხოლოდ ასლის გადაღების აპარატის შესაძლებლობებზეა დამოკიდებული. ხოლო როდესაც საზოგადოების კითხვაზე პასუხისათვის ბევრი სხვადასხვა დოკუმენტის მოძიება და ანალიზია საჭირო, კანონმდებლობით დადგენილი ვადა (მაქსიმუმ 10 დღე) შესაძლოა საკმარისი არ იყოს.

მოყვანილ მაგალითში ინფორმაციის მოთხოვნაზე პასუხის, და ისიც არასრულის გაცემა სამინისტრომ მოთხოვნიდან მხოლოდ 3,5 თვის შემდეგ შეძლო.

2003 წლის 2 ივლისს (ოთხშაბათს) საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტროში შემოვიდა ასოციაცია „მწვანე ალტერნატივის“ წერილი ინფორმაციის მოთხოვნით. კერძოდ, ასოციაცია ითხოვდა პასუხს შემდეგ კითხვებზე:

- ითვალისწინებს თუ არა ბაქო-სუფსის ნავთობსადენის ნარჩენების მართვის გეგმა ნაგავსაწვავი ღუმელების მშენებლობას?
- თუ ითვალისწინებს, რამდენი ნაგავსაწვავი ღუმელი იქნა აშენებული ბაქო-სუფსის ნავთობსადენის პროექტის საჭიროებებისათვის?
- სად არის განლაგებული აღნიშნული ღუმელები?
- ახორციელებს თუ არა ოპერატორი კომპანია პერიოდულ ანგარიშგებას გარემოს დაცვის სამინისტროს წინაშე? თუ ახორციელებს, გთხოვთ მოგვაწოდოთ მათი ანგარიშები.
- ახორციელებს თუ არა გარემოს დაცვის სამინისტრო ღუმელების მონიტორინგს? თუ ახორციელებს, გთხოვთ მოგვაწოდოთ მონიტორინგის გეგმა და შედეგები.

ყოველივე ამ ინფორმაციას ასოციაცია ითხოვდა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილ ვადებში.

ვინაიდან წერილი არა ზოგადად სამინისტროს, არამედ მინისტრის სახელზე იყო შედგენილი, იგი მოხვდა მინისტრის ფოსტაში. ორი სამუშაო დღე დასჭირდა იმას, რომ მინისტრს წერილი წაეკითხა და რეზოლუციით გადაეწერა ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირისათვის. ამის შემდეგ წერილი კვლავ დაბრუნდა სამინისტროს კანცელარიაში, რომელმაც, შემდეგ სამუშაო დღის (7 ივლისს) განმავლობაში იგი ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელ პირს გადასცა. აქ წერილი შეისწავლა თავად ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელმა პირმა (საზოგადოებასთან ურთიერთობის სამმართველოს უფროსმა) და შესასრულებლად გადასცა თავის თანამშრომელს.

შემდეგი დღე საზოგადოებასთან ურთიერთობის სამმართველოს თანამშრომელმა მოანდომა საკითხში ჩაღრმავებას, იმის გარკვევას, თუ სამინისტროში ვის შეიძლება ჰქონდეს შესაბამისი ინფორმაცია. იგი დაუკავშირდა აგრეთვე მწვანე ალტერნატივას, რათა უფრო ზუსტად გარკვეულიყო საკითხში და აგრეთვე შეეთანხმებინა დამატებითი ვადა ინფორმაციის მოსაპოვებლად.

9 ივლისს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამმართველო ფაქსით უგზავნის მწვანე ალტერნატივის წერილს გარემოსდაცვითი ნებართვებისა და ეკოლოგიური ექსპერტიზის დეპარტამენტს (რომელიც სხვა შენობაში მდებარეობს). იმავე დღეს იგი ასევე ფაქსით იღებს პასუხს 5-დან 3 კითხვაზე (ბაქო სუფსის ნარჩენების მართვის გეგმაში გათვალისწინებულია საკანცელარიო-საყოფაცხოვრებო ნარჩენების 1 საწვავი ღუმელი, იგი **განთავსებულია სუფსის ტერმინალის ტერიტორიაზე**) და აგრეთვე მითითებას იმ ორგანოზე (სამინისტროს შესაბამისი ტერიტორიული სამსახური), რომელსაც უნდა გააჩნდეს დანარჩენ ორ კითხვაზე საპასუხო ინფორმაცია.

იმავე დღეს, 9 ივლისს, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამმართველო ფაქსით აგზავნის წერილს გურიის გარემოს დაცვის სამმართველოში. 18 ივლისს გურიის სამმართველოდან მოდის პასუხი იმის შესახებ, რომ ბაქო-სუფსის ნავთობსადენს ნაგავსაწვავი ღუმელები **საერთოდ არ გააჩნია**. საზოგადოებასთან ურთიერთობის სამმართველო ამჯერად უკვე ტელეფონით უკავშირდება გურიის სამმართველოს და სთხოვს, გადაამოწმოს ეს ინფორმაცია, ვინაიდან ნებართვით გათვალისწინებული ნაგავსაწვავების არარსებობა ნებართვის დარღვევას ნიშნავს. გურიის სამმართველო საკითხს აზუსტებს სუფსის ნავთობტერმინალის დირექციასთან და 30 ივლისს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამმართველოში ფაქსით აგზავნის პასუხს იმის შესახებ, რომ სუფსის ტერ-

მინალში არავითარი ნაგავსაწვავი ღუმელი არ არსებობს. რომ სუფსის ტერმინალის ინფორმაციით ასეთი ღუმელი **აშენებულია ქ. რუსთავის ტერიტორიაზე**.

ამ პასუხის მიღების შემდეგ გასაგები გახდა, რომ საკითხი საფუძვლიან „გამოძიებას“ საჭიროებდა. საზოგადოებასთან ურთიერთობის სამმართველო უკავშირდება მწვანე ალტერნატივას, უხსნის სიტუაციას და აღწევს მათგან გაგებას იმისას, რომ სამმართველო (და სამინისტრო) არ ქმნის ხელოვნურ შეფერხებას ინფორმაციის გაცემაზე და ინფორმაციის გაცემის დაგვიანება ობიექტური მიზეზებით არის გამოწვეული.

პარალელურად საზოგადოებასთან ურთიერთობის სამმართველო კვლავ ცდილობს გაარკვიოს, თუ საიდან უნდა მოიპოვოს მოთხოვნილი ინფორმაცია. 8 აგვისტოს იგი შეკითხვებს უგზავნის სუფსის ტერმინალს და ბაქო-სუფსის ნავთობსადენის ოპერატორს, ბრიტიშ პეტროლეუმს, რათა მათ აცნობონ, აშენდა თუ არა ნავთობსადენის ნებართვით განსაზღვრული ნაგავსაწვავი სუფსის ტერმინალის ტერიტორიაზე. ერთი თვის მანძილზე არც ერთს არ უპასუხია და სამმართველო, შიდა პროცედურის თანახმად, რათა აიცილოს საყვედური ინფორმაციის მოთხოვნაზე 2 თვის განმავლობაში ინფორმაციის არ-გაცემის გამო, წერს ახსნა-განმარტებით ბარათს მინისტრის სახელზე. პარალელურად ახსნა-განმარტებები მიეწოდება აგრეთვე მწვანე ალტერნატივას.

არაერთგზის შეხსენების შემდეგ, 15 სექტემბერს, ბრიტიშ პეტროლეუმი აგზავნის პასუხს სამინისტროს შეკითხვაზე, საიდანაც ირკვევა, რომ ბაქო-სუფსის ნავთობსადენის ნებართვით გათვალისწინებული საყოფაცხოვრებო ნარჩენების საწვავი დანადგარის სანაცვლოდ (??) სს „სარინის“ მიერ 1999 წელს რუსთავში აშენებულა ნავთობპროდუქტების (!!) წვის დანადგარი, რომელზეც გარემოსდაცვითი ნებართვაც გაცემულა. ანგარიშს ამ ნაგავსაწვავში გაგზავნილი ნარჩენების შესახებ ბრიტიშ პეტროლეუმი აწვდის საქართველოს საერთაშორისი ნავთობკომპანიას (GIOC), ხოლო მონიტორინგი თავად სს „სარინ“-მა უნდა აწარმოოს.

ამის შემდეგ საზოგადოებასთან ურთიერთობის სამმართველო აკეთებს მცდელობას, მოიპოვოს ბრიტიშ პეტროლეუმის ანგარიშები საქართველოს საერთაშორისო ნავთობკომპანიისაგან და სს „სარინი“-ს მონიტორინგის ანგარიშები სამინისტროს ქვემო ქართლის რეგიონული სამსახურისაგან. ირკვევა, რომ სს „სარინი“, არაერთგზის მოთხოვნის მიუხედავად, არ აწვდის ანგარიშებს გარემოს დაცვის სამინისტროს რეგიონულ სამსახურს. GIOC-ისაგან კი სამმართველომ პასუხი საერთოდ ვერ მიიღო.

საბოლოოდ, 28 ოქტომბერს (წერილის შემოსვლიდან 3,5 თვის შემდეგ!) გარემოს დაცვის სამინისტროს ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირი უგზავნის პასუხს მწვანე ალტერნატივას, სადაც აწვდის იმ ინფორმაციას, რისი მოპოვებაც შესძლო (რომ ბაქო-სუფსის ნავთობსადენის ნებართვის მიხედვით უნდა აშენებულიყო საყოფაცხივრებო ნარჩენების ნაგავსაწვავი სუფსაში და რეალობაში კი აშენდა ნავთობპროდუქტების ინსინერატორი რუსთავში), და აცნობებს, რომ მონიტორინგის მასალები, არაერთგზის მცდელობის მიუხედავად, მან ვერ მიიღო.

დანართი IIIბ. სახელმწიფო საიდუმლოებას მიკუთვნებულ ცნობათა ნუსხა

დამტკიცებულია საქართველოს პრეზიდენტის
1997 წლის 21 იანვრის № 42 ბრძანებულებით
შეტანილია ცვლილებები საქ. პრეზიდენტის
08/23/99 № 502
08/23/99 № 503
ბრძანებულებებით

I. ზოგადი დებულებანი

1.1. ამ ნუსხაში შესული ინფორმაციები ან მათი მატერიალური შემცველი ნაკეთობები და მასალები განეკუთვნება სახელმწიფო საიდუმლოებას. მათი გამჟღავნება ან დაკარგვა იწვევს პასუხიმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

1.2. ნუსხა არ განსაზღვრავს მასში შესული ინფორმაციების ან მათი მატერიალური შემცველი ნაკეთობებისა და სხვა მასალების საიდუმლოების ხარისხს. ნუსხაში შესული ინფორმაციების შემცველი კონკრეტული ცნობების, ნაკეთობების და სხვა მასალების საიდუმლოების ხარისხის (გრიფის) მინიჭების უფლება აქვთ იმ თანამდებობის პირებს, რომლებიც განსაზღვრული არიან საქართველოს პრეზიდენტის მიერ დამტკიცებული ნუსხით.

1.3. ამ ნუსხაში შესული ინფორმაციების ან მათი მატერიალური შემცველი კონკრეტული ნაკეთობებისა და სხვა მასალების საიდუმლოების ხარისხის (გრიფის) შეცვლის უფლება აქვთ აღნიშნული საიდუმლოების მფლობელი უწყების, ორგანიზაციის, დაწესებულების საიდუმლოების მიმნიჭებელი პასუხისმგებელი პირის ზემდგომი თანამდებობის პირებს, რომლებსაც აქვთ კონკრეტული ინფორმაციის საიდუმლოებისათვის მიკუთვნების უფლება, ან აღნიშნული დაწესებულების საიდუმლო-სარეჟიმო განყოფილებების პასუხისმგებელ პირებს.

1.4. დაუშვებელია საიდუმლოების გრიფის მინიჭება იმ ინფორმაციისათვის, რომელიც არ არის განსაზღვრული საქართველოს კანონით „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ და არ შედის ამ ნუსხაში.

1.5. ამ ნუსხაში შესული ინფორმაციების ჩამონათვალში ცვლილებები შეიტანება საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით ეროვნული უშიშროების საბჭოს წარდგინების საფუძველზე.

1.6. სახელმწიფო საიდუმლოებას მიკუთვნებულ ცნობათა ნუსხაში ჩამოთვლილი ინფორმაციების ან მათი მატერიალური შემცველი ნაკეთობებისა და სხვა მასალების გასაიდუმლოების, განსაიდუმლოებისა და დაცვის წესს განსაზღვრავს „სახელმწიფო საიდუმლოებისათვის ინფორმაციის მიკუთვნებისა და დაცვის წესი“.

1.7. სახელმწიფო საიდუმლოებას მიკუთვნებულ წინამდებარე ცნობათა ნუსხა გათვალისწინებულია მშვიდობიანი პერიოდისათვის.

II. თავდაცვის სფერო

თავდაცვის სფეროში საქართველოს სახელმწიფო საიდუმლოებას წარმოადგენს:

2.1. საქართველოს სამხედრო ძალების სტრატეგიული და ოპერატიული გეგმებით გათვალისწინებული ინფორმაცია ან მისი მატერიალური შემცველი (შემდგომი – ინფორმაციის შემცველი) მასალა.

2.1.1. მოსალოდნელი საომარი მოქმედების რეგიონის სტრატეგიული და ოპერატიული მოქმედების მიმართულებათა შესახებ;

2.1.2. შესაძლო ომების, მათი ეტაპების, პერიოდებისა და ცალკეული ოპერაციების ხასიათისა და თავისებურებების შეფასების და პროგნოზირების შესახებ;

2.1.3. სამხედრო მშენებლობის, სტრატეგიის, ოპერატიული ხელოვნებისა და ტაქტიკის შესახებ;

2.1.4. საქართველოს სამხედრო ძალების განვითარების, ორგანიზაციისა და სრულყოფის გეგმებისა და პროგნოზების (ყველა მასშტაბით) შესახებ;

2.1.5. სამხედრო უწყებების მიერ მოწყობილი (და მიმდინარე) აგენტურული და ტექნიკური დაზვერვის, მათ მიერ მოპოვებული მონაცემების შესახებ;

2.1.6. კრებსითი მონაცემები სამხედრო ნაწილების, ხომალდების, ქვედანაყოფების, სამხედრო დაწესებულებების, შტაბების, სამხედრო აეროდრომებისა და დასაფრენი მოედნების, პოლიგონების, ბაზების საწყობების, სამშენებლო მოედნებისა და სხვა სამხედრო ობიექტების დისლოკაციის შესახებ;

2.1.7. ცნობები საერთაშორისო ხელშეკრულებებით და შეთანხმებებით გათვალისწინებული საქართველოს სამხედრო ძალებსა და საზღვარგარეთის ქვეყნების შეიარაღებულ ძალებს შორის ოპერატიულ-საბრძოლო თანამშრომლობის შესახებ;

2.1.8. ცნობები სამხედრო ძალების სახეობათა თანამშრომლობის ოპერატიული გეგმების შესახებ;

2.1.9. საქართველოს ტერიტორიის სამხედრო დანიშნულების სპეციალური რუკები და კოორდინატები, მათ შორის:

- გრავიმეტრიული პუნქტებისა და გეოგრაფიული ობიექტების, აგრეთვე გამოთვლითი და სხვა მასალები, რომლებიც საშუალებას იძლევა დადგინდეს კოორდინატები 150 მეტრისა და მეტი სი-

ზუსტით;

- საქართველოს ნებისმიერი ტერიტორიისათვის მიკუთვნებული გრავიმეტრიული ინფორმაციების მიხედვით შედგენილი გრავიტაციული ველის მოდელი, გრავიტაციული ანომალიის სქემები და გრაფიკები;

2.1.10. სამხედრო და რეჟიმული ობიექტების ტერიტორიაზე (აკვატორიაზე) შესრულებული ჰიდროგრაფიული, ანემომეტრიული, ოკეანოგრაფიული და აეროფოტოგადაღებათა მონაცემები;

2.1.11. სამხედრო ლა რეჟიმული ობიექტების ფოტოსურათები და კოორდინატები;

2.1.12. შავი ზღვის კონკრეტული რაიონების სამამულო ინსტრუმენტულ გამოკვლევათა შედეგები: ხმის გავრცელების ანომალიები, აკუსტიკური სიგნალების განთესვა და შთანთქმა, წყლის ნამდვილი და კავიტაციური სიხისტე;

2.1.13. სისტემაში მოყვანილი მონაცემები ზღვის ღელვაზე საქართველოს ტერიტორიულ წყლებში, სადაც სიღრმე 10 მეტრზე ნაკლებია, ცნობები 200 მეტრზე ნაკლებ სიღრმეში აღმოჩენილი ახალი (სანავიგაციო ცნობარში შეუტანელი) ფსკერის ამაღლების შესახებ;

2.2. საქართველოს სამხედრო ძალების სამხედრო ოპერაციების მომზადებისა და ჩატარების შესახებ ინფორმაციის შემცველი მასალა:

2.2.1. თანამედროვე სამხედრო ოპერაციებში ჯარის სახეობების, ბრიგადების,ნაწილებისა და გემების ერთობლივი და დამოუკიდებელი მოქმედებისა და გამოყენების სტრატეგიულ-ტაქტიკური გეგმების შესახებ;

2.2.2. სამხედრო ძალების სალაშქრო და საბრძოლო განლაგების,ოპერატიულ-ტაქტიკური ნორმატივების, საბრძოლო შესაძლებლობების, ოპერატიული დარაზმვის შესახებ;

2.2.3. ცნობები საქართველოს სამხედრო ძალების სამხედრო მზადყოფნის მდგომარეობის ან მზადყოფნის ერთი დონიდან მეორეში გადაყვანის შესახებ;

2.2.4. ცნობები საბრძოლო და ოპერატიული მომზადების მიმდინარეობის, შინაარსისა და მომზადების შედეგების, ოპერატიული და საბრძოლო უზრუნველყოფის, მანევრების, სწავლებისა და საინსპექტორო შემოწმების შესახებ;

2.3. საქართველოს სამხედრო ძალების მობილიზაციის, საბრძოლო მზადყოფნის და სამობილიზაციო რესურსების გამოყენების შესახებ ინფორმაციის შემცველი მასალა:

2.3.1. სამობილიზაციო ხასიათის ცნობები საქართველოს სამხედრო ძალებისა და სახალხო მეურნეობის შესახებ;

2.3.2. ცნობები სამოქალაქო სამინისტროებსა და უწყებებში ომის დროისათვის განკუთვნილი ფორმირებების(სარკინიგზო, საავიაციო, ავტოსატრანსპორტო, ხიდების, სამედიცინო-სანიტარული მომსახურებისა და სხვა სპეციალური მოძრავი ფორმირებების) შესახებ;

2.3.3. ცნობები სამოქალაქო სამინისტროების, უწყებების შემადგენლობაში სამხედრო ფორმირებების, სამხედრო დაწესებულებების მოსამსახურეების შესახებ;

2.3.4. ცნობები სამხედრო აეროდრომებისა და დასაფრენი მოედნების, სამხედრო ქალაქების, ყაზარმების, სასწავლო ცენტრების და სხვა ობიექტების მშენებლობისა და სამხედრო მიზნებისათვის სამოქალაქო ობიექტების გამოყენების შესახებ;

2.3.5. ცნობები სამხედრო ნაწილების, ხომალდებისა და სხვა სამხედრო დაწესებულებების ჩამოყალიბების, დაშლის, რეორგანიზაციისა და სახელწოდებათა შეცვლის შესახებ;

2.3.6. იმ ახალგაზრდებზე კრებსითი მონაცემები, რომლებმაც გაიარეს ან გადიან დაწყებით სამხედრო მომზადებას;

2.3.7. ინფორმაციები სამხედრო აღრიცხვაზე მყოფ სამხედროვალდებულთა კრებსითი მონაცემების შესახებ;

2.3.8. ინფორმაციები იმ წვევამდელთა და სამხედროვალდებულთა კრებსითი მონაცემების შესახებ, რომლებიც სამობილიზაციო წესით გადიან სამხედრო შეკრებას;

2.3.9. ცნობები, რომლებიც ამჟღავნებენ უმაღლესი და საშუალო სამხედრო სპეციალური სასწავლებლების (ცენტრების) კურსანტთა სამხედრო მომზადების დახურულ პროფილს, პროგრამებს, სასწავლო გეგმებსა და მოცულობას, აღნიშნულ სასაწავლებლებში სპეციალურ მიღებასა და ვადამდე გამოშვებას;

2.3.10. ცნობები უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებისა და საშუალო სპეციალური სასწავლებლების მოსწავლეთა დახურულ სამხედრო-სააღრიცხვო სპეციალობებში მომზადების შესახებ;

2.3.11. ინფორმაციები რეზერვისტთა დაგეგმილი სამობილიზაციო გაწვევის შესახებ;

2.3.12. ცნობები ჯარების ორგანიზაციის, საბრძოლო და პირადი შემადგენლობის რიცხოვნობის, იარაღის, სამხედრო ტექნიკის, ტრანსპორტისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის საშუალებათა ოდენობის, ჯარების დაკომპლექტების, უზრუნველყოფისა და და დაკომპლექტების წესის შესახებ – სამხედრო ნაწილების მიხედვით და ზემოთ.

2.4. ინფორმაციის შემცველი მასალები შეიარაღებისა და საბრძოლო ტექნიკის განვითარების მიზნობრივი პროგრამების, სამეცნიერო-კვლევითი და საკონსტრუქტორო სამუშაოების შესახებ, რომლებიც ეხება ახალი სახეობის სამხედრო იარაღის, საბრძოლო ტექნიკისა და თავდაცვითი ტექნოლოგიების შემუშავებას:

2.4.1. ცნობები რომლებიც ეხება იარაღისა და ტექნიკის ახალ ნიმუშებს, აგრეთვე სპეციალურ ქვედანაყოფებს;

2.4.2. იარაღის, სამხედრო ტექნიკისა და ქონების ახალი ნიმუშების ნამდვილი (სრული ან შემოკლებული) და პირობითი (შიფრები) სახელწოდებანი, პირობითი აღნიშვნები (ინდექსი, მარკები, ნომრე-

ბი), ნახაზები, სქემები, გამოსახულებანი, ფოტოსურათები, აღწერილობანი და ტაქტიკურ-ტექნიკური მახასიათებლები;

2.4.3. ცნობები სამხედრო ძალების შეიარაღებაში ახალი ან მოდერნიზებული სამხედრო ტექნიკისა და ქონების გამოყენების, შეიარაღებიდან ძველი ნიმუშების მოხსნის შესახებ; 2.4.4. ცნობები სამხედრო ძალებში გამოყენებული მართვის ავტომატიზებული სისტემების ტექნიკური მახასიათებლების შესახებ;

2.4.5. ცნობები სამხედრო ტექნიკისა და შეიარაღების დარგში აღმოჩენების, გამოგონებების, სამეცნიერო-კვლევით და იმ სმუშაოთა შესახებ, რომლებიც დაგეგმილია ან სრულდება ქვეყნის თავდაცვის ინტერესებისათვის და აქვს სამხედრო მნიშვნელობა; ამ სამუშაოთა დაფინანსებისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის შესახებ; აღნიშნულ სამუშაოთა კონკრეტულ საწარმოში შესრულების და ამ საქმიანობაში კონკრეტული პირების მონაწილეობის შესახებ;

2.4.6. ცნობები საწარმოებში, დაწესებულებებში, ორგანიზაციებში დახურული სამეცნიერო საბჭოების, ფაკულტეტების, განყოფილებების, კათედრების, ლაბორატორიების შესახებ;

2.4.7. ცნობები,რომლებიც ამჟღავნებენ მეცნიერებისა და ტექნიკის უახლესი მიღწევების არსს, განსაზღვრავენ მეცნიერებისა და ტექნიკის მიმართულებებს და რომლებიც შესაძლოა გამოიყენონ სამხედრო დანიშნულების პრინციპულად ახალი ნაკეთობების თუ ტექნოლოგიური პროცესების შესაქმნელად;

2.4.8. მასალები მანქანათა ახალი ტექნოლოგიის, სახეობებისა და აღჭურვილობის, ტექნიკის საცდელ ნიმუშთა შესახებ, რომლებსაც უპირატესობა აქვთ სამამულო და უცხოურ ანალოგებთან შედარებით, თუ მათში მოცემულია ზედმიწევნით აღწერა, დეტალიზაცია, სხვა მონაცემები წარმოების საიდუმლოებაზე, რომელთა საშუალებითაც შეიძლება საზღვარგარეთ შეიქმნას სამხედრო დანიშნულების მანქანები, მოწყობილობები.

2.5. ინფორმაციები განსაკუთრებით დაცული სამხედრო და სამოქალაქო თავდაცვის ობიექტების რეჟიმის, სტრუქტურისა და შემადგენლობის შესახებ:

2.5.1. საქართველოს სამხედრო ძალთა ნაწილ ების,ბატალიონების,ხომალდების, საწარმოებისა და დაწესებულებების პირობითი სახელწოდებანი;

2.5.2. ცნობები სამოქალაქო თავდაცვის ორგანიზაციის მდგომარეობისა და მმართველობის ორგანოების, ბაზებისა და საწყობების შესახებ. სამოქალაქო თავდაცვაში შემავალი არასამხედრო ფორმირებების რაოდენობისა და დაკომპლექტების შესახებ;

2.5.3. ცნობები სახალხო მეურნეობის ობიექტების თავდაცვითი კატეგორიისათვის მიკუთვნების შესახებ, ომის შემთხვევაში კონკრეტული ობიექტების ქალაქგარეთ გატანის, წარმოების ადგილზევე გაგრძელების შესაძლებლობის შესახებ;

2.5.4. ცნობები სამოქალაქო თავდაცვის მზადყოფნის ხარისხზე, სამოქალაქო თავდაცვის პირველ და მეორე რიგში განსახორციელებელ ღონისძიებათა შესახებ;

2.5.5. ცნობები საქტექზედამხედველობის კონტროლს დაქვემდებარებული ობიექტების (მიწისქვეშა გამონამუშევრების, მღვიმეების და ა.შ.) სამოქალაქო თავდაცვის მიზნებისათვის შესაძლო გამოყენების შესახებ;

2.5.6. საქართველოს სახელმწიფო საზღვრის, სხვა განსაკუთრებით დაცული სამხედრო, სამოქალაქო და სამოქალაქო თავდაცვის ობიექტების დაცვის ორგანიზაციის, მეთოდების საშუალებებისა და მდგომარეობის, გამოყენებული საინჟინრო-ტექნიკური, კავშირგაბმულობისა და სიგნალიზაციის საშუალებების სქემების, განლაგებისა და მოქმედების ტექნიკური მონაცემების შესახებ;

2.5.7. მასალები სამხედრო დანიშნულებით ატომური ენერგიის შესწავლის, მიღებისა და გამოყენების შესახებ;

2.5.8. მასალები იმ ექსპერიმენტულ და გამოთვლით-თეორიულ სამუშაოთა შესახებ, რომლებიც გაენკუთვნება თერმობირთვულ სამიზნეებსა და დეტონაციებს და გამოიყენება ლაზერულ სინათლეზე, ელექტრონულ და იუონურ სხივებზე, მაგნიტურ თუ ასაფეთქებელ ნივთიერებებზე ზემოქმედებისათვის. ოპტიკურ კვანტური გენერატორების (ლაზერების) დაპროექტების შექმნისა და გამოყენების შესახებ.

2.5.9. მასალები სხვადასხვა ზედაპირულ-აქტიურ ნივთიერებათა შემუშავების,გამოცდისა და გამოყენების შესახებ კერამიკის, ლითონისა და შენადნობების სიმტკიცის დასაქვეითებლად (გარდა ლითონების შენადნობების, კერამიკის წნევით ჭრის პროცესში ინსტრუმენტების საპოხ-გამაცივებელი სითხით დამუშავებისა);

2.5.10. მასალები ფეთქებადი ნივთიერებების, ინიციირების საშუალებების, პიროტექნიკური შემადგენლობების შესახებ,რომლებიც შემუშავდა ან შემუშავების პროცესშია ქვეყნის თავდაცვის ინტერესებისათვის;

2.5.11. მასალები ახალი ფეთქებადი საშუალებების, ინიციირების საშუალებების, პიროტექნიკის წარმოებისა და შექმნის, ცნობილ ფეთქებად ნივთიერებებში ახალი კომპონენტების დამატება-გამოყენების რეცეპტურის, დამზადების ტექნოლოგიის პროცესების პარამეტრების შესახებ;

2.5.12. სამხედრო ტექნიკის სტანდარტიზაციის სახელმწიფო სისტემისა და ერთიანი მატერიალური კოდის სამსახურის სტრუქტურებისა და ფუნქციების შესახებ. მონაცემები ეტალონთა დახასიათებაზე, განზომილების სანიმუშო საშუალებებზე, რომლებიც გამოიყენება სამხედრო ნაკეთობა და სამხედრო ტექნიკის დამზადებისას ან ექსპლუატაციისას.

III. ეკონომიკის სფერო

ეკონომიკის სფეროში საქართველოს სახელმწიფო საიდუმლოებას განეკუთვნება:

3.1. ინფორმაციის შემცველი მასალები სახალხო მეურნეობის სამობილიზაციო გეგმებისა და სიმძლავრეების, სამხედრო დანიშნულების სტრატეგიული ნედლეულისა და მასალების მარაგისა და მიწოდების მოცულობის, აგრეთვე სახელმწიფო და სამობილიზაციო რეზერვების განლაგებისა და მოცულობის შესახებ:

3.1.1. კრებსითი ცნობები თავდაცვითი დანიშნულების, საავიაციო მრეწველობის, საერთო მანქანათმშენებლობის, რადიომრეწველობის, გემთსაშენი მრეწველობის, ელექტრონული მრეწველობის, კავშირგაბმულობის, გამოთვლითი ტექნიკისა და ინფორმატიკის უწყებათა საწარმოების დისლოკაციის შესახებ;

3.1.2. ცნობები სამხედრო ტექნიკის წარმოების ათვისების, რემონტისა და სამხედრო ძალებისათვის მიწოდების შესახებ;

3.1.3. საწარმოო სიმძლავრეები, სამხედრო და სამოქალაქო პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციის ერთობლივი გეგმები, სამხედრო პროდუქცია მთლიანად, სახეობების, ტიპებისა და მარკების მიხედვით, მათი საწარმოო გეგემების შესრულება დროის ნებისმიერ მონაკვეთში ნატურალურში ან ფულადი გამოხატულებით საწარმოდან და ზემოთ:

3.1.4. სამხედრო და სამოქალაქო პროდუქციის ხვედრითი წილი წარმოების საერთო მოცულობაში – საწარმოდან, რომელიც უშვებს სამხედრო პროდუქციას, და ზემოთ;

3.1.5. სამხედრო პროდუქციის შემადგენლობა, რეცეპტურა და წარმოების ტექნოლოგია;

3.1.6. სამხედრო პროდუქციის საიმედობის, გამოსადეგობისა და გამძლეობის გამოცდის შედეგები;

3.1.7. სამხედრო პრდუქციის წარმოებაში დასაქმებული ყველა მომუშავის და ცალკე მუშაობის, მოსამსახურეების, სამეცნიერო და საინჟინრო-ტექნიკური მუშაკების რაოდენობა და ხელფასის ფონდები, ასევე მოთხოვნილება მათზე – საწარმოდან და ზემოთ;

3.1.8. თავდაცვითი მრეწველობის დაფინანსება, ძირითადი ფონდების(საწარმოო და არასაწარმოო) ღირებულება,საბრუნავი ფონდები (საშუალებები); საამორტიზაციო გადარიცხვების მოცულობა, მოგების მოცულობა, რენტაბელობის დონე, საბრუნავ საშუალებათა უკუგება. დანახარჯი ერთი ლარის სასაქონლო პროდუქციაზე, ფონდუკუგება და ფონდტევადობა – იმ საწარმოებისა, რომლებიც უშვებენ სამხედრო პროდუქციას;

3.1.9. სამხედრო პროდუქციის შესაქმნელად (გამოსაშვებად) საჭირო ახალი ტექნიკისა და ახალი ტექნოლოგიური პროცესების დანერგვის, კაპიტალური დაბანდების, სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების. ძირითადი ამოქმედების გეგმები, ამ გეგმების შესრულება – საწარმოდან და ზემოთ.

3.1.10. თავდაცვითი მნიშვნელობის სპეციალური მიწისქვეშა ნაგებობების შესახებ.

3.1.11. საწარმოო სიმძლავრეები, წარმოების, პროდუქციის რეალიზაციის გეგმები და მათი შესრულება დროის ნებისმიერ მონაკვეთში,წარმოებისა და რეალიზაციის მოცულობა ნატურალურ და ფულადი გამოხატულებით საწარმოდან და ზემოთ შემდეგი პროდუქციის მიხედვით:

- ოქრო, ვერცხლი, პლატინა, მათი ნახევარფაბრიკატები, შენადნობები, ფხვნილები და ნაგლინი – მთლიანად, სახეობისა და მარკების მიხედვით;
- ზემტკიცე მასალები – მთლიანად, სახეობისა და მარკების მიხედვით.
- ელექტროწიდურ, ელექტროვაკუუმურ, პლაზმურ და ელექტროსხივურ ღუმელებში გამოდნობილი ფოლადი და მისი ნაგლინი, ცეცხლგამძლე შენადნობები, მათგან მიღებული ნაგლინი და ნაჭდეურები,პრეციზიული შენადნობები, მეტალური ქრომი, ფეროვოლფრამი და ფერომოლიბდენი – მთლიანად და მარკების მიხედვით;
- ფერადი და იშვიათი ლითონები, იშვიათ მიწათა და გაფანტული ელემენტები,მათი ნახევარფაბრ იკატები,შენადნობები, ფხვნილები და ნაგლინი — მთლიანად, სახეობისა და მარკების მიხედვით;
- ფეთქებადი ნივთიერებები, ინიციირების საშუალებები მთლიანად და სახეობის მიხედვით (გარდა ფეთქებადი ნივთიერებებისა, რომლებიც მზადდება უშუალოდ მათი გამოყენების ადგილას);
- სამხედრო დანიშნულებისათვის გამოყენებული რადიო ელექტრონული მრეწველობის, კავშირგაბმულობის საშუალებების, გამოთვლითი ტექნიკის პროდუქცია – მთლიანად, სახეობის, ტიპებისა და მარკების მიხედვით;
- სამხედრო დანიშნულების სპეციალური ტექნიკური აღჭურვილობა რადიო და ელექტრონულ მრეწველობაში რადიოელექტრონული აპარატების მექანიზებული აწყობისათვის; ანტენურ-ტალღური ტრაქტის ელემენტების დამზადება – მთლიანად, სახეობის, ტიპებისა და მარკების მიხედვით;
- სამხედრო დანიშნულების საავიაციო მრეწველობის პროდუქცია (თვითმფრინავები, ვერტმფრენები, ავიაძრავები) – მთლიანად, სახეობის, ტიპების, მარკისა და მოდიფიკაციის მიხედვით;
- სამხედრო დანიშნულების გემთმშენებლობის პროდუქცია – მთლიანად; საზღვაო და სამდინარო თვითმათვლი გემები – მთლიანად, სახეობისა და ტიპების მიხედვით;

3.1.12. ცნობები ხელუხლებელი მარაგის, სახელმწიფო მატერიალური და სამობილიზაციო რეზერვების, მათი სასაწყობო და სარეზერვო ტევადობათა შესახებ.

3.2. ინფორმაციის შემცველი მასალები ტრანსპორტის, კავშირგაბმულობის ქვეყნის ინფრასტრუქტურის სხვა დარგებისა და ობიექტების დაცვის სისტემებისა და რეჟიმის შესახებ მათი უსაფრთხოების უზრუნველყოფის ინტერესებისათვის:

3.2.1. რკინიგზებისა და საავტომობილო გზებზე

კონკრეტულ საინჟინრო ნაგებობათა ტექნიკური მონაცემები (გარდა ტიპის, სიგრძისა და სიგანისა). – ხიდებისა (ვიადუკებისა), რომელთა სიგძე აღემატება 200 მეტრს ან სიმაღლე 20 მეტრზე მეტია;

- საავტომობილო გზაგამტარებისა, გალერეებისა, მათი კონსტრუქციული თავისებურებები, სახიდე გადასასვლელებისა გეოლოგიური ჭრილები;
- გვირაბებისა, მათ შორის მეტროპოლიტენის (მოქმედი და გაანგარიშებული დატვირთვა, გამჭოლი პროფილი, სიღრმის ნიშნულები, გეოლოგიური ჭრილი, ტრასები, სავენტილაციო შახტების განლაგების სქემები);

3.2.2. რკინიგზის, საავტომობილო, სანაოსნო და საჰაერო ტრანსპორტის სპეციალური გადაყვანა-გადაზიდვის (დატვირთვა-გადმოტვირთვის პუნქტები, სვლის მარშრუტი, გადაყვანა-გადაზიდვის თარიღები, უსაფრთხოების უზრუნველყოფის სისტემა და ა.შ.) შესახებ:

- სამხედრო კონტიგენტისა და სამხედრო ტვირთისა;
- საქართველოს და საქართველოში სტუმრად მყოფი საზღვარგარეთის ქვეყნების უმაღლეს სახელმწიფო-პოლიტიკურ თანამდებობის პირთა;
- პატიმართა;
- სავალუტო ფასეულობების, ფეთქებადი, რადიოაქტიური, მომწამვლელი და სხვა საშიში ნივთიერებებისა და სპეციალური ტვირთების;
- ნარკოტიკებისა და ნარკოტიკების შემცველი ნედლეულისა;

3.2.3. სიგნალიზაციის, ცენტრალიზაციისა და ბლოკირების სქემები, კავშირგაბმულობის მაგისტრალური და საგზაო (საჰაერო, საკაბელო, რადიორელეური) ხაზები ერთი ან რამდენიმე ქვემოთ ჩამოთვლილი ელემენტების მითითებით: ტრასა, სიმძლავრე (არხთა რაოდენობა), კაბელის ტიპი, ტევადობა წრედების რაოდენობა), ჩართვის ხარისხი, დაყენებული აპარატურა;

3.2.4. კრებსითი მონაცემები რკინიგზის უწყებათა მოძრავი რადიოსადგურებისა და სტაციონარული რადიოცენტრების რაოდენობის, ზუსტი ადგილმდებარეობის, სიმძლავრისა და ტექნიკური აღჭურვილობის შესახებ (გარდა სასადგურო კავშირისა და სამატარებლო რადიოსადგურებისა);

3.2.5. მეტროპოლიტენების ელექტრო, წყალ და თბომომარაგების, კავშირგაბმულობისა და ვენტილაციის სქემები;

3.2.6. მონაცემები მეტროპოლიტენში სამოქალაქო თავდაცვის სპეცმოწყობილობათა შესახებ;

3.2.7. მასალების სამხედრო დასატვირთი-გადმოსატვირთი მოწყობილობის, სტაციონალური და მოძრავი სამხედრო-სასურსათო პუნქტების, საიზოლაციო-გასაშვები პუნქტების, სადენზიფექციო რაზმების დისლოკაციის შესახებ;

3.2.8. ზღვის ფსკერისა და მდინარეთა შესართავების გრუნტის დახასიათება ნაპირიდან ზღვისკენ 50 მეტრამდე ფარგლებში;

3.2.9. საზღვაო ნავსადგურების საწვავი ნორმები და მუდმივი მარაგი, საწვავის ბაზებისა და საწყობების ტევადობა;

3.2.10. მასალები გემთმშენებელი და გემთშემკეთებელი ქარხნების, საზღვაო ნავსადგურების, მილსადენების სამხედრო მიზნებისათვის მოწყობის შესახებ, მათი ვარგისიანობა და გამოყენება სამხედრო გემების სადგომად;

3.2.11. სამოქალაქო გემების აღჭურვა სამხედრო მიზნებისათვის, მათი კავშირი სამხედრო-საზღვაო ფლოტის ხომალდებთან, სათვალთვალო პოსტებთან და სანაპიროს რადიოსადგურებთან;

3.2.12. კრებსითი მონაცემები საფრენი საშუალებების, ავიაძრავების რაოდენობის, ტექნიკური მდგომარეობის, მათზე მოთხოვნისა და მიწოდების შესახებ, აღწერილობა მთლიანად, ტიპებისა და მოდიფიკაციების მიხედვით;

3.2.13. კრებსითი მონაცემები მფრინავთა და საინჟინრო-ტექნიკური შემადგენლობის რაოდენობისა და პირადი შემადგენლობის შესახებ;

3.2.14. კრებსითი მონაცემები სამოქალაქო ავიაციის გაერთიანებული ავიარაზმების (საწარმოო გაერთიანებების), საფრენოსნო რაზმების და ცალკეული ავიაესკადრილიების დისლოკაციის შესახებ;

3.2.15. ცნობები სამოქალაქო და სამხედრო ავიაციის ერთობლივი ბაზირების ან სამხედრო ავიაციის (სატრანსპორტოს გარდა) მიერ სამოქალაქო აეროდრომების (აეროპორტების) და დასაფრენი მოედნების გამოყენების შესახებ;

3.2.16. სამოქალაქო ავიაციის თვითმფრინავებისა და აეროდრომების აღჭურვა სამხედრო მიზნებისათვის;

3.2.17. საქართველოსა და მისი მეზობელი ქვეყნების საჰარეო ტრასების სანავიგაციო აღწერილობა (ღრუბლებიდან გასვლის სქემები, დაბრკოლებათა სქემები, დაშვების სქემები და ა.შ.);

3.2.18. ცნობები ფრენის რადიოშუქუზრუნველყოფის საშუალებათა რაოდენობისა და დისლოკაციის, რადიოსადგურების ტალღათა სიხშირის, მოხმობის ნიშნებისა და მუშაობის დროის შესახებ, ფრენის უზრუნველსაყოფი რადიოლოკაციური აღჭურვილობის (თვითმფრინავზე და მიწაზე) ტექნიკური მდგომარეობის შესახებ – აეროდრომის (აეროპორტის), გაერთიანებული ავიარაზმის (გაერთიანებული ავიასაწარმოს) და უფრო დიდი მასშტაბით.

3.2.19. ცნობები, რომელთა მეშვეობით შეიძლება გაიხსას საჰაერო ხომალდის ხელში ჩაგდების ან გატაცების ცდისას ეკიპაჟის წევრთათვის დადგენილი სამსახურებრივი ინსტრუქცია;

3.2.20. მონაცემები რადიოსიხშირის ზოლების, მოხმობის სიგნალების განაწილების, სამინისტროებისა და უწყებების მიერ მათი გამოყენების შესახებ;

3.2.21. ცნობები ეთერისადმი კონტროლისა და საკონტროლო-საპელენგაციო სადგურების შესახებ;

3.2.22. მიწისქვეშა ანტენების, სწრაფმოქმედი, ნელამოქმედი და მეტად გრძელტალღიანი კავშირგაბმულობის შესახებ;

3.2.23. საერთაშორისო ხელშეკრულებებით გათ-

ვალისწინებული მეზობელი ქვეყნების მაგისტრალური და ზონალური ქსელების სქემები მათი კვანძებისა და სიმძლავრეების ჩვენებით;

3.2.24. ცნობები სამთავრობო და საუწყებო დახურული კავშირის, გამოყენებული კავშირგაბმულობის საშუალებების, არხებისა და სისტემების შესახებ;

3.2.25. ცნობები სათადარიგო (სარეზერვო, დაფარული) სატელეფონო-სატელეგრაფო კვანძების, რადიოსადგურებისა და რადიოკვანძების,საკაბელო,რადიოსარელეო და კავშირგაბმულობის საჰაერო რგოლების, სადენიანი, რადიო და რადიოსარელეო კავშირგაბმულობის სპეციალური ობიექტების შესახებ;

3.2.26. თავდაცვითი მნიშვნელობის საწარმოთა ენერგომომარაგებისა და შიდასატელეფონო კავშირის საკაბელო ქსელის სქემები;

3.2.27. მასალები სატელეგრაფო გადაცემების ხელში ჩაგდებისაგან და სატელეფონო საუბრების მიყურადებისაგან დაცვის ტექნიკური საშუალებებისა და ღონისძიებების შესახებ;

3.2.28. კრებსითი მონაცემები საქართველოსა და ავტონომიური რესპუბლიკების ცენტრების საქალაქთაშორისო სატელეფონო სადგურებისა და ტელეგრაფის ტექნიკური აღჭურვილობისა და ენერგეტიკული უზრუნველყოფის სარეზერვო წყაროების შესახებ;

3.2.29. ცნობები მიკროორგანიზმების შტამების შესახებ, რომლებიც იწვევენ ლაქსაღებავებისა და საწვავ-საპოხი მასალების დეგრადაციას;

3.3. მასალები ოქროს საერთო მარაგში შემავალი მონეტარული ჯგუფის – ძვირფასი ლითონების, ძვირფასი ქვებისა და სხვა სავალუტო ფასეულობების – სახელმწიფო მარაგის კონკრეტულ სახეობათა, ფულის ნიშნებისა და ფასიანი ქაღალდების დამზადების, შენახვის, დაცვისა და ყალბისმქნელობის თავიდან აცილებასთან, მიმოქცევასთან, გაცვლასთან ან მომოქცევიდან ამოღებასთან დაკავშირებული ოპერაციების შესახებ;

3.3.1. ოქროს საერთო მარაგში შემავალი მონეტარული ჯგუფის – ძვირფასი ლითონების,ძვირფასი ქვების და სხვა სავალუტო ფასეულობების სახელმწიფო მარაგის მოცულობა კონკრეტულ სახეობათა მიხედვით.მათი შენახვის და დაცვის წესი, შენახვის ადგილი.

3.2.2. საფინანსო გეგემები (შემოსავალ-გასავლის ბალანსები) მთლიანად და მუხლებად, მათი შესრულების ანგარიშები იმ სამინისტროების, უწყებების მიხედვით, რომლებიც მუშაობენ სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი პროდუქციის წარმოებაზე ან სამეცნიერო-კვლევით თემატიკაზე;

3.3.3. ცნობები საგანგებო ან საომარი მდგომარეობის საწყის ეტაპზე საქართველოს სამხედრო ძალებისა და ეროვნული მეურნეობის ფინანსური და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის გეგმებისა და ინსტრუქციების შესახებ;

3.3.4. საქართველოს სტრატეგიული ინტერესების ფინანსური უზრუნველყოფის ცალკეული დამუშავებანი;

3.3.5. ცნობები საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდის სპეციალური მიზნებისათვის ხარჯვის შესახებ;

3.3.6. საქართველოს ეროვნულ ბანკში ფულის ნიშნების რეზერვები და ფაქტობრივი რაოდენობა;

3.3.7. ცნობები საქართველოში ახალი ფულის ნიშნების ბეჭდვასა და მონეტების დამზადების პროექტების შესახებ (გარდა საიუბილეო და სამახსოვრო მონეტებისა), სხვა ეროვნული ვალუტის კურსის სტაბილურობის შესანარჩუნებლად დაგეგმილი საფინანსო და სავალუტო ოპერაციების შესახებ, რომელთა ნაადრევმა გამჟღავნებამ შეიძლება ზიანი მიაყენოს საქართველოს სახელმწიფო ინტერესებს;

3.3.8. ცნობები ფულის ნიშნების, ლითონის მონეტების, ფასიანი ქაღალდებისა და სხვა სავალუტო ნაწარმის გაყალბებისაგან დაცვის საიდუმლო ნიშნებისა და მექანიზმის შესახებ;

3.3.9. ცნობები ყალბი ფულის ბილეთების, ლითონის მონეტების დამზადების მეთოდებისა და ექსპერტიზის წესის შესახებ;

3.3.10. ცნობები საქართველოს საბანკო სისტემიდან სახელმწიფო სახსრებისა და ფასეულობების დატაცებისას გამოყენებული მეთოდების შესახებ.

IV. საგარეო ურთიერთობათა სფერო

საგარეო ურთიერთობათა სფეროში საქართველოს სახელმწიფო საიდუმლოებას განეკუთვნება:

4.1. ცნობები საქართველოს საგარეო პოლიტიკისა და საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობების შესახებ, რომელთა წინასწარმა გამჟღავნებამ შეიძლება ზიანი მიაყენოს სახელმწიფო ინტერესებს:

4.1.1. ცნობები სახელმწიფოთაშორისო შეთანხმებების მოსამზადებელი სამუშაოების მიმდინარეობის შესახებ, რომელთა გამჟღავნებაც შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს მოლაპარაკების შედეგებზე;

4.1.2. საქართველოს მთავრობის, სამინისტროების (უწყებების), საგარეო ეკონომიკური ორგანიზაციების მოლაპარაკებები უცხოეთის სახელმწიფოებთან ან ფირმებთან საგარეო ეკონომიკურ, სავალუტო-საკრედიტო და სამეცნიერო-ტექნიკურ საკითხებზე ოფიციალური შეთანხმების, ხელშეკრულების დადებამდე;

4.1.3. სახელმწიფოთაშორისო ხელშეკრულებებით და მოლაპარაკებებით გათვალისწინებული შეთანხმებები, რომელთა კონფიდენციალურობა ურთიერთშეთანხმებულია მხარეებთან;

4.1.4. ცნობები საქართველოს სახელმწიფო სტრატეგიული ინტერესების შესახებ, თუ მათი გამჟღავნება ზიანს მიაყენებს საქართველოს სახელმწიფო ინტერესებს;

4.1.5. ცნობები, რომელთა გამოყენებამ შეიძლება მნიშვნელოვანწილად განაპირობოს სახელმწიფოთაშორისი მოლაპარაკებების შედეგები, კონკრეტ-

ული მოლაპარაკებების ტაქტიკა;
4.1.6. ცნობები;

- საქართველოს სამთავრობო დელეგაციების საზღვარგარეთ ვიზიტების მზადებაზე, თუ მათი ნაადრევი გამჟღავნება ზიანს მიაყენებს საქართველოს სახელმწიფო ინტერესებს;
- საქართველოს დიპლომატიურ სამსახურში მოსალოდნელი თანამდებობრივი ცვლილებების შესახებ;
- სამხედრო დიპლომატიური სამსახურისათვის კონკრეტული მუშაკების მომზადების შესახებ.

4.2. ცნობები უცხო სახელმწიფოებთან სამხედრო, სამეცნიერო-ტექნიკური და სხვა სახის თანამშრომლობის საკითხების შესახებ, თუ მათმა გამჟღავნებამ შეიძლება ზიანი მიაყენოს საქართველოს ინტერესებს:
4.2.1. იარაღის, ტყვია-წამლის სამხედრო ტექნიკისა და სამხედრო საქონლის საქართველოში უცხოეთის ქვეყნებიდან შემოტანისა და გატანის, ამ ოპერაციების დაფინანსებისა და დაკრედიტების შესახებ;
4.2.2. სამხედრო გამოგონებებსა და საწარმოო საიდუმლოებებზე, რომლებიც საქართველომ გადასცა ან მიჰყიდა უცხოეთის ხელისუფალთ, ორგანიზაციებსა და ცალკეულ პირებს;
4.2.3. საქონლის სავარაუდო შესყიდვა-გაყიდვის, მათი მოსალოდნელი ფასების, მოლაპარაკების ტაქტიკისა და ფირმების იმ წრის შესახებ, რომელთანაც მოსალოდნელია მოლაპარაკების დაწყება.
ცნობები, რომლებიც გაამჟღავნებენ საქართველოს განსაკუთრებულ დაინტერესებას ცალკეულ სახეობათა მოწყობილობის, მასალებისა და სხვა საქონლის იმპორტით;
4.2.4. ცნობები გასაყიდად ან შესაძენად გამიზნული ლიცენზიების, ტექნოლოგიური პროცესების, მოწყობილობის ნიმუშების ტექნიკური დოკუმენტაციის შესახებ, საზღვარგარეთ პატენტებისა და ტექნიკური დოკუმენტაციის, ახალი ტექნიკის ნიმუშების ლიცენზიების შესყიდვისა და მათი ახალი ტექნიკის დასამუშავებლად გამოყენების პირობების, კონკრეტული სამამულო გამოგონებებისა და სამეცნიერო-ტექნიკური მიღწევების ლიცენზიის გაყიდვის პირობების შესახებ; სახალხო მეურნეობის დარგებში უცხოური ლიცენზიების ათვისების მიმდინარეობის კრებსითი მონაცემები.

V. სახელმწიფო უშიშროებისა და მართლწესრიგის დაცვის სფეროში

სახელმწიფო უშიშროებისა და მართლწესრიგის დაცვის სფეროში საქართველოს სახელმწიფო საიდუმლოებას წარმოადგენს:
5.1. ინფორმაციები სადაზვერვო, კონტრსადაზვერვო და ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის გეგმების, ორგანიზების, მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის საშუალებების, ფორმების, მეთოდებისა და შედეგების, აგრეთვე კონკრეტული პროგრამების თაობაზე, რომლებიც ზემოაღნიშნულ სფეროებში
კონფიდენციალურ საფუძველზე თანამშრომლობენ ან ადრე თანამშრომლობდნენ ასეთი საქმიანობის განმახორციელებელ საქართველოს შესაბამის უწყებებთან.
5.1.1. სადაზვერვო და კონტრსადაზვერვო უწყებების მიერ ოპერატიული და ოპერატიულ-ტექნიკური საშუალებებით მოპოვებული ინფორმაციები, რომელთა გამჟღავნებამაც შეიძლება ზიანი მიაყენოს საქართველოს სახელმწიფო ინტერესებს, შესაძლებელი გახადოს ინფორმაციის წყაროს, მისი მოპოვების მეთოდებისა და საშუალებების გამოაშკარავება;
5.1.2. ოპერატიული საქმიანობის უფლებამოსილი სახელმწიფო უწყებების ინფორმაცია იმ პირთა შესახებ, რომლებიც კონფიდენციალურ საფუძველზე თანამშრომლობენ მათთან ან ადრე თანამშრომლობდნენ;
5.1.3. სადაზვერვო, კონტრსადაზვერვო და სხვა სპეცსამსახურების სტრუქტურა და ფუნქციური მოვალეობანი, რომელთა გამჟღავნება გამოააშკარავებს მათი მუშაობის მიმართულებას და დაინტერესების ობიექტებს;
5.1.4. სადაზვერვო,კონტრსადაზვერვო, ოპერატიული და ოპერატიულ-ტექნიკური საქმიანობის კონკრეტული ამოცანები, გეგმები და ანგარიშები;
5.1.5. სადაზვერვო, კონტსადაზვერვო და სხვა ოპერატიული საქმიანობისათვის გამოყენებული ოპერატიული და ოპერატიულ-ტექნიკური მოწყობილობები, მათი სრულყოფის, ახალი ნიმუშების დამზადების სამუშაოები, მათი ტექნიკური მახასიათებლები;
5.1.6. ცნობები, რომლებიც გამოააშკარავებენ სახელმწიფო და არასახელმწიფო უწყებებში, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში საქართველოს სპეციალური სამსახურების მოქმედი რეზერვის ოფიცერთა მუშაობის ფაქტს, მათი საქმიანობის ფორმებს, მეთოდებსა და საშუალებებს.
5.1.7. სადაზვერვო, კონტრსადაზვერვო და სხვა სპეციალური სამსახურების სტრუქტურული ქვედანაყოფების პირობითი დასახელებები, მათი დისლოკაციის ადგილები, საქმიანობის მიმართულებები, ფორმები და მეთოდები;
5.1.8. ინფორმაციები ოპერატიული საქმიანობის უფლებამოსილი უწყებების მიერ კონკრეტული ოპერატიული ღონისძიებებისათვის გაწეული ხარჯების, სადაზვერვო და კონტრსადაზვერვო საქმიანობის მოკლევადიანი და გრძელვადიანი სპეციალური პროგრამებისა და გამოკვლევების დაფინანსების წყაროებისა და ხარჯების მოცულობის შესახებ;
5.1.9. საქართველოს სამხედრო ძალების (თავდაცვის, სახელმწიფო უშიშროების, შინაგან საქმეთა სამინისტროების, დაზვერვისა და სახელმწიფო საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტების და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის) შიდასაუწყებო ნორმატი-

ული აქტები, რომლებიც აწესრიგებენ მათ შიდა საქმიანობას უშუალოდ სახელმწიფოს თავდაცვისა და უშიშროების უზრუნველყოფის თვალსაზრისით.

5.2. ინფორმაციები საქართველოს და საქართველოში სტუმრად მყოფი საზღვარგარეთის ქვეყნების უმაღლესი სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობების პირთა, ადმინისტრაციული შენობების, სამთავრობო რეზიდენციებისა და სხვა სარეჟიმო ობიექტების (შემდგომში დასაცავი ობიექტები) დაცვის რეჟიმის შესახებ

5.2.1. ცნობები დასაცავი ობიექტების დაცვის რეჟიმის, მეთოდების, გამოყენებული ტექნიკური საშუალებებისა და ძალების შესახებ;

5.2.2. ინფორმაცია დასაცავი ობიექტების დაცვის ორგანიზაციაში არსებული სუსტი ადგილების შესახებ.

5.3. ინფორმაციები სამთავრობო და სპეციალური კავშირგაბმულობის სისტემის შესახებ

5.4. ინფორმაციები სახელმწიფო შიფრების დამუშავებისა და გამოყენების, კრიპტოგრაფიის სფეროში სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შესახებ.

დანართი IIIგ. თანამდებობის პირთა ნუსხა, რომლებიც უფლებამოსილნი არიან გასცენ სახელმწიფო საიდუმლო ინფორმაციასთან დაშვების უფლება

დამტკიცებულია საქართველოს პრეზიდენტის
1997 წლის 21 იანვრის № 42 ბრძანებულებით
შეტანილია ცვლილებები
საქ. პრეზიდენტის
08/23/99 № 502
08/23/99 № 503
ბრძანებულებებით

1. საქართველოს პრეზიდენტი;
2. პარლამენტის თავმჯდომარე;
3. საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე;
4. უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე;
5. სახელმწიფო მინისტრი;
6. პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილეები;
7. სახელმწიფო კანცელარიის უფროსი;
8. სახელმწიფო მინისტრის მოადგილეები;
9. საქართველოს პრეზიდენტის თანაშემწეები;
10. სახელმწიფო კანცელარიის უფროსის მოადგილეები;
11. აჭარისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკების საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების პირველი პირები და მათი მოადგილეები;
12. მინისტრები (მათი მოვალეობის შემსრულებლები);
13. გენერალური პროკურორი;
14. კონტროლის პალატის თავმჯდომარე;
15. ეროვნული ბანკის პრეზიდენტი;
16. სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის უფროსი;
17. სახელმწიფო უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
18. მინისტრების მოადგილეები;
19. დამოუკიდებელი სახელმწიფო დეპარტამენტების უფროსები (მათი მოვალეობის შემსრულებლები);
20. პარლამენტის აპარატის უფროსი;
21. გენერალური პროკურორის მოადგილეები;
22. აჭარისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკების პროკურორები;
23. კონტროლის პალატის თავმჯდომარის მოადგილეები;
24. სახელმწიფო კანცელარიის მთავარი სახელმწიფო მრჩეველები თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში;
25. სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის უფროსის მოადგილეები;
26. სამინისტროებში შემავალი დეპარტამენტების უფროსები (მათი მოვალეობის შემსრულებლები);
27. მთავარი სახელმწიფო სამმართველოების და ინსპექციების უფროსები (მათი მოვალეობის შემსრულებლები);
28. საიდუმლოების მფლობელი უწყებები, ორგანიზაციების და საწარმოების უფროსები (მათი მოვალეობის შემსრულებელები);
29. თავდაცვის, შინაგან საქმეთა და სახელმწიფო უშიშროების სამინისტროების უმაღლესი სასწავლებლების რექტორები-უფროსები (მათი მოვალეობის შემსრულებლები);
30. აჭარისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკების შესაბამისი სამინისტროების, უწყებების ხელმძღვანელები (მათი მოვალეობის შემსრულებლები).

დანართი IIIდ. თანამდებობის პირთა ნუსხა, რომელთაც აქვთ კონკრეტულ ინფორმაციაზე სახელმწიფო საიდუმლოების მიკუთვნების უფლება

დამტკიცებულია საქართველოს პრეზიდენტის
1997 წლის 21 იანვრის № 42 ბრძანებულებით
შეტანილია ცვლილებები
საქ. პრეზიდენტის
08/23/99 № 502
08/23/99 № 503
ბრძანებულებებით

1. საქართველოს პრეზიდენტი;
2. პარლამენტის თავმჯდომარე;
3. საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე;
4. უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე;
5. სახელმწიფო მინისტრი, სახელმწიფო მინისტრის მოადგილეები;
6. პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილეები;
7. საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერები;
8. პარლამენტის კომიტეტების თავმჯდომარეები;
9. საპარლამენტო ფრაქციების თავმჯდომარეები;
10. პარლამენტის წევრები;
11. მინისტრები, მინისტრების მოადგილეები;
12. უზენაესი სასამართლოს წევრი მოსამართლეები;
13. საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩები;
14. კონტროლის პალატის თავმჯდომარე, მისი მოადგილეები;
15. გენერალური პროკურორი და მისი მოადგილეები;
16. საქართველოს პრეზიდენტის თანაშემწეები;
17. სახელმწიფო კანცელარიის უფროსი, მის მოადგილეები;
18. სახელმწიფო დეპარტამენტების თავმჯდომარეები, მათი მოადგილეები;
19. სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის უფროსი, მისი მოადგილეები;
20. საქართველოს პრეზიდენტის საგანგებო რწმუნებებით აღჭურვილი თანამდებობის პირები;
21. სახელმწიფო უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, მისი მოადგილეები;
22. მთავარი სახელმწიფო სამმართველოების და ინპექციების უფროსები, მათი მოადგილეები;
23. სახელმწიფო კანცელარიის მთავარი სახელმწიფო მრჩეველები;
24. ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატის წამყვანი სახელმწიფო მრჩეველები;
25. თავდაცვის სამინისტროს სტრუქტურაში:
    - ჯარების სახეობათა სარდლები, მათი მოადგილეები;
    - ჯარების გვარეობათა უფროსები, მათი მოადგილეები;
    - მთავარი სამმართველოების უფროსები, მათი მოადგილეები;
    - მინისტრის აპარატის უფროსი, მისი მოადგილეები;
    - დამოუკიდებელი განყოფილებების უფროსები, მათი მოადგილეები;
    - სამხედრო ნაწილების უფროსები, მათი მოადგილეები;
    - შტაბების უფროსები, მათი მოადგილეები;
    - ოპერატიული სამმართველოს პასუხისმგებელი მუშაკები;
    - სადაზვერვო ქვედანაყოფების პასუხისმგებელი მუშაკები;
26. სახელმწიფო უშიშროების სამინისტროში:
    - ქვეგანყოფილების უფროსები და ზემოთ;
    - ოპერატიული და ოპერატიულ-ტექნიკური ქვედანაყოფების პასუხისმგებელი მუშაკები;
27. შინაგან საქმეთა სამინისტროში:
    - განყოფილების უფროსები და ზემოთ;
    - ოპერატიული და ოპერატიულ-ტექნიკური ქვედანაყოფების პასუხისმგებელი მუშაკები;
28. სახელმწიფო დაცვის სპეციალურ სამსახურში:
    - განყოფილების უფროსები და ზემოთ;
    - ოპერატიული და ოპერატიულ-ტექნიკური ქვედანაყოფების პასუხისმგებელი მუშაკები;

28[1]. დაზვერვის სახელმწიფო დეპარტამენტში:

- ქვეგანყოფილების უფროსები და ზემოთ;
- ოპერატიული და ოპერატიულ-ტექნიკური ქვედანაყოფების პასუხისმგებელი მუშაკები

29. სახელმწიფო საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტში:

- ქვეგანყოფილების უფროსები და ზემოთ;
- ოპერატიული სამსახურების პასუხისმგებელი მუშაკები;
- სასაზღვრო რაზმების, ცალკეული სასაზღვრო კომენდატურების, ცალკეული საკონტროლო გამშვები პუნქტების ოფიცრები;

30. მოკვლევის, ოპერატიული და ოპერატიულ-ტექნიკური საქმიანობის უფლების მქონე უწყებათა პასუხისმგებელი თანამშრომლები;

31. სახელმწიფო საიდუმლოების დაცვის სახელმწიფო ინსპექციის პასუხისმგებელი მუშაკები;

32. სახელმწიფო საიდუმლოების მფლობელი უწყებების, ორგანიზაციების, სასწავლო, სამეცნიერო დაწესებულებების და საწარმოების უფროსები, მათი მოადგილეები; საიდუმლო თემატიკაზე მომუშავე ქვედანაყოფების უფროსები, მათი მოადგილეები;

33. სახელმწიფო უწყებებში, ორგანიზაციებსა და საწარმოებში საიდუმლო სარეჟიმო განყოფილებების უფროსები, მათი მოადგილეები.

34. აჭარისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკების შესაბამისი სტრუქტურებისა და სტრუქტურული დანაყოფების პასუხისმგებელი პირები.

დანართი IV. საზოგადოების მონაწილეობა

დანართი IVა: საქართველოში მოქმედ კანონთა ჩამონათვალი

(2004 წლის სექტემბრისათვის)

1. **საქართველოს კონსტიტუცია (1995-24-08)**
2. **აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის შესახებ (2004-01-07)**[166]

საზღვრები, სიმბოლიკა[167]

3. **საქართველოს სახელმწიფო გერბის შესახებ**[168] **(1990-14-11)**[169]
4. **საქართველოს სახელმწიფო ჰიმნის შესახებ (2004-21-05)**
5. **საქართველოს სახელმწიფო დროშის შესახებ (2004-14-01)**
6. არსებული უქმე დღეების გაუქმებისა და ტრადიციულთა აღდგენის შესახებ (1990-22-11)
7. საქართველოს სახელმწიფო ჯილდოების დაწესების შესახებ (1992-24-12)
8. საქართველოს საზღვაო სივრცის შესახებ (1998-24-12)
9. საქართველოს სახელმწიფო საზღვრის შესახებ (1998-17-07)
10. გეოგრაფიული ობიექტების სახელდების შესახებ (2000-29-09)
11. „ადამიანის უფლებათა დღის“ დაწესების შესახებ (1998-04-02)
12. სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ (2000-27-10)

მოქალაქეობა, იმიგრაცია, ემიგრაცია

13. საქართველოს მოქალაქეობის შესახებ (1993-25-04)
14. ემიგრაციის კანონი (1993-20-07)
15. საქართველოში უცხოელთა დროებითი შემოსვლის, ყოფნისა და გასვლის შესახებ (1993-27-07)
16. იმიგრაციის კანონი (1993-27-07)
17. უცხოელთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ (1993-3-06)
18. საქართველოს საკონსულო დაწესებულებათა შესახებ (1994-22-11)
19. საკონსულო მოსაკრებლის შესახებ (1997-26-06)
20. საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციისა და პირადობის დადასტურების წესის შესახებ (1996-27-06)
21. მიგრანტთა ინსპექტირების შესახებ (1998-26-06)
22. მიგრანტთა ინსპექტირების მოსაკრებლის შესახებ (1998-26-06)
23. საქართველოს მოსახლეობის საყოველთაო აღწერის შესახებ (2001-12-10)

არჩევნები, საკანონმდებლო ხელისუფლება

24. შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ (1997-12-06)
25. **მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ (1997-31-10)**
26. **საზოგადოებრივ გაერთიანებათა საქმიანობის შეჩერებისა და მათი აკრძალვის შესახებ (1997-14-11)**
27. **საქართველოს საარჩევნო კოდექსი (2001-02-08)**
28. **რეფერენდუმის შესახებ (1996-15-05)**
29. **იმპიჩმენტის შესახებ (1997-11-11)**
30. საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი (2004-17-02)
31. საპარლამენტო ფრაქციის შესახებ (1997-16-09)
32. საქართველოს პარლამენტის კომიტეტების შესახებ (1995-01-12)
33. საქართველოს პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისიის შესახებ (1996-17-04)
34. საქართველოს პარლამენტის დროებითი კომისიების შესახებ (1997-16-09)
35. ნდობის ჯგუფის შესახებ (1998-04-03)
36. ლობისტური საქმიანობის შესახებ (1998-30-09)
37. საქართველოს პარლამენტის წევრის სტატუსის შესახებ (1998-05-03)
38. საქართველოს პარლამენტის წევრის შრომის ანაზღაურების შესახებ

[166] კონსტიტუციური კანონი
[167] თემატური სათაურები არაოფიციალურია. კანონები თემატიკის მიერ ჩვენს მიერ პირობითად არის დალაგებული.
[168] გამუქებულია ორგანული კანონები
[169] ფრჩხილებში მითითებულია კანონის პირველადი სახის მიღების თარიღი (წელი-რიცხვი-თვე)

(1996-21-02)

39. პარლამენტის წევრის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის სავალდებულო დაზღვევის და საპენსიო უზრუნველყოფის შესახებ (1999-24-06)

სასამართლო ხელისუფლება

ორგანოები

40. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ (1996-31-01)
41. საქართველოს უზენაესი სასამართლოს შესახებ (1999-12-05)
42. საერთო სასამართლოების შესახებ (1997-13-06)
43. პროკურატურის შესახებ (1997-21-11)
44. საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ (1996-16-05)
45. კერძო არბიტრაჟის შესახებ (1997-17-04)
46. ადვოკატთა შესახებ (2001-20-06)

დარღვევები

47. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი (1999-22-07)
48. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი (1984-15-12)

პროცესი

49. საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ (1996-21-03)
50. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი (1997-14-11)
51. ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი (1999-23-07)
52. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი (1998-20-02)
53. სახელმწიფო ბაჟის შესახებ (1998-29-04)
54. სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოსთან საქართველოს თანამშრომლობის შესახებ (2003-14-08)
55. საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ (2000-23-02)

აღსრულება

56. სააღსრულებო წარმოებათა შესახებ (1999-16-04)
57. პატიმრობის შესახებ (1999-22-07)
58. არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ (2001-19-06)
59. სასჯელის განსაკუთრებული ღონისძიების – სიკვდილით დასჯის სრული გაუქმების შესახებ (1997-11-11)

კერძო საკითხები

60. საქართველოს უზენაესი სასამართლოს წევრთა სოციალური დაცვის გარანტიების შესახებ (1996-25-06)
61. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრთა სოციალური დაცვის გარანტიების შესახებ (1996-25-06)
62. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრთა შრომის ანაზღაურების თაობაზე (1996-20-09)
63. საქართველოს უზენაესი სასამართლოს წევრთა შრომის ანაზღაურების თაობაზე (1996-20-09)
64. საქართველოს სასამართლოების მსაჯულთა უფლებამოსილების ვადის გაგრძელების შესახებ (1997-27-06)
65. საერთო სასამართლოებში საქმეთა განაწილებისა და უფლებამოსილების სხვა მოსამართლისათვის დაკისრების წესის შესახებ (1998-26-06)
66. აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში საქართველოს იურისდიქციის სრულად აღდგენამდე აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სასამართლოთა განსჯადობისა და სისხლის სამართლის საქმეებზე საგამოძიებო ქვემდებარეობის შესახებ (1998-26-06)
67. მოსამართლის სოციალური და სამართლებრივი დაცვის გარანტიების შესახებ (2002-03-12)
68. საქართველოს პროკურატურის მუშაკთა სოციალური დაცვის გარანტიების შესახებ (2002-03-12)
69. ნოტარიატის შესახებ (1996-03-05)
70. სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურის შესახებ (1998-11-06)
71. სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის შესახებ (1998-15-10)

აღმასრულებელი ხელისუფლება

ზოგადი

72. ნორმატიული აქტების შესახებ (1996-29-10)
73. საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ (1997-16-10)
74. ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი (1999-25-06)
75. საჯარო სამსახურის შესახებ (1997-31-10)
76. საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ (1997-17-10)

ცენტრი

77. მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ (2004-11-02)
78. საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ (1999-28-05)
79. საქართველოს კონტროლის პალატის შესახებ (1997-15-04)
80. დამოუკიდებელი ეროვნული

მარეგულირებელი ორგანოების შესახებ (2002-13-09)

81. საპარლამენტო მდივნის შესახებ (2004-25-06)
82. დიპლომატიური სამსახურის შესახებ (1999-25-06)
83. სახელმწიფო სპეციალური წოდებების შესახებ (2000-5-12)

რეგიონები

84. ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის შესახებ (1997-16-10)
85. საქართველოს დედაქალაქის – თბილისის შესახებ (1998-20-02)
86. პირდაპირი სახელმწიფო მმართველობის შესახებ (1999-09-06)
87. ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოების ეკონომიკური საქმიანობის ორგანიზების შესახებ (1999-22-06)
88. მაღალმთიანი რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების შესახებ (1999-08-06)

დაგეგმვა, ალრიცხვა

89. საქართველოს ეკონომიკური და სოციალური განვითარების ინდიკატური დაგეგმვის საფუძვლების შესახებ (1997-28-10)
90. სტატისტიკის შესახებ (1997-12-11)
91. გეოდეზიური და კარტოგრაფიული საქმიანობის შესახებ (1998-28-04)
92. სახელმწიფო რეესტრის შესახებ (2004-01-06)

ინფორმაციის თავისუფლება

93. სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ (2004-24-06)
94. სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ (1996-29-10)

უსაფრთხოება, უშიშროება, თავდაცვა

95. ეროვნული უშიშროების საბჭოს შესახებ (1996-24-01)
96. სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის შესახებ (1996-20-02)
97. სახელმწიფო უშიშროების სამსახურის შესახებ (1998-18-02)
98. სადაზვერვო საქმიანობის შესახებ (1999-19-03)
99. საქართველოს თავდაცვის შესახებ (1997-31-10)
100. მობილიზაციის შესახებ (1999-23-06)
101. სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ (1997-17-09)
102. არასამხედრო, ალტერნატიული შრომითი სამსახურის შესახებ (1997-28-10)
103. სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებლის შესახებ (2002-21-06)
104. სამხედრო ძალების რაოდენობის დამტკიცების შესახებ (2000-28-06)
105. სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ (1998-25-06)
106. შეიარაღებული ძალების სამშვიდობო ოპერაციებში მონაწილეობის შესახებ (1999-22-07)
107. შინაგანი ჯარების შესახებ (1998-30-04)
108. საგანგებო მდგომარეობის შესახებ (1997-17-10)
109. საომარი მდგომარეობის შესახებ (1997-31-10)
110. ტერორიზმთან ბრძოლის გაძლიერების შესახებ (1998-20-02)
111. სამხედრო და სპეციალური წოდებებისა და დიპლომატიური რანგების შესახებ (1993-29-04)
112. იარაღის შესახებ (2003-08-05)
113. პოლიციის შესახებ (1993-27-07)
114. ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ (1999-30-04)
115. საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების შესახებ (1999-28-05)
116. ავტომოტოტრანსპორტის მფლობელთა სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევის შესახებ (1997-27-06)
117. სახანძრო უსაფრთხოების შესახებ (1998-12-05)
118. სავალდებულო ხანძარსაწინააღმდეგო დაზღვევის შესახებ (1999-03-02)
119. საზღვაო-სამაშველო სამსახურის შესახებ (2000-29-09)
120. სამრეწველო დანიშნულების ფეთქებადი მასალების შესახებ (2003-07-05)
121. შეიარაღების, სამხედრო ტექნიკისა და ორმაგი დანიშნულების პროდუქციის საექსპორტო კონტროლის შესახებ (1998-28-04)

სახელმწიფო ფინანსები, ბანკები, ბიუჯეტი, გადასახადები

ბანკები

122. საქართველოს ეროვნული ბანკის კანონი (1995-23-06)
123. კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ (1996-23-02)
124. ლარის შემოღებამდე საბანკო ანგარიშებზე რიცხული ნაშთების შესახებ (1998-25-06)
125. სახელმწიფო ვალის შესახებ (1998-05-03)
126. უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის შესახებ (2003-06-06)

ბიუჯეტი

127. საქართველოს სახელმწიფო მატერიალური რეზერვების შესახებ

(1998-13-12)

128. საქართველოს საბიუჯეტო სისტემის შესახებ (2003-24-04)
129. საქართველოს პრეზიდენტის რწმუნებულის ფონდის შექმნის თაობაზე (1997-21-02)
130. სახელმწიფო გადასახადებიდან აფხაზეთის და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკებისა და საქართველოს სხვა ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტებში ანარიცხების გრძელვადიანი ეკონომიკური ნორმატივების შესახებ
131. განვითარებისა და რეფორმების ფონდის შესახებ (2004-14-01)
132. საგადასახადო დავალიანებებისა და სახელმწიფო სესხების რესტრუქტურიზაციის შესახებ (2004-13-02)
133. საქართველოს 2004 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ (2004-11-05)
134. ფინანსური პოლიციის შესახებ (2004-24-02)

გადასახადები

135. საქართველოს საგადასახადო კოდექსი (1997-13-06)
136. გრანტით მიღებული საქონლისა და ფულადი სახსრების დაბეგვრის თაობაზე (1996-27-06)
137. გრანტების შესახებ (1996-28-06)
138. საქართველოს საბაჟო კოდექსი (1997-14-11)
139. მოსაკრებლების სისტემის საფუძვლების შესახებ (1998-06-02)
140. საბაჟო მოსაკრებლების შესახებ (1998-18-02)
141. ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ (1998-29-05)
142. საბაჟო ტარიფისა და გადასახადის შესახებ (1998-20-03)

კერძო საკითხები

143. იმპორტული მსუბუქი ავტომობილების დაბეგვრის ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ (1997-07-03)
144. შავი და ფერადი ლითონების ჯართისა და ნარჩენების ექსპორტის და რეექსპორტის რეგულირების შესახებ (1998-26-06)
145. საქართველოს ენერგეტიკის რეაბილი-ტაციისათვის სახელმწიფოებრივი ხელშეწყობის ზოგიერთი ღონისძიების თაობაზე (1996-12-11)

საკუთრება, მეწარმეობა, ბაზარი

146. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი (1997-26-06)
147. მეწარმეთა შესახებ (1994-28-10)
148. საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ (1998-25-06)
149. სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ (1997-30-05)
150. საზოგადოებრივი საჭიროებისათვის გადაუდებელი აუცილებლობისას საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ (1997-11-11)
151. აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ (1999-23-07)
152. სამომხმარებლო კოოპერაციის შესახებ (1997-15-05)
153. საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ (1998-29-04)
154. ფასებისა და ფასწარმოქმნის საფუძვლების შესახებ (1993-27-07)
155. ჩეკის შესახებ (1995-19-04)
156. თამასუქის შესახებ (1995-19-04)
157. ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ (1998-24-12)
158. სასაქონლო ბირჟებისა და საბირჟო ვაჭრობის შესახებ (1999-23-06)
159. სალიზინგო საქმიანობის ხელშეწყობის შესახებ (2002-07-05)
160. არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებების-საკრედიტო კავშირების შესახებ (2002-04-07)
161. მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ (1996-20-03)
162. საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის შესახებ (2001-26-10)
163. გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ (1996-25-06)
164. მონოპოლიური საქმიანობისა და კონკურენციის შესახებ (1996-25-06)
165. ორგანიზებული დანაშაულისა და რეკეტის შესახებ (2004-24-06)
166. საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობისა და გარანტიების შესახებ (1996-12-11)
167. საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტოს შესახებ (2002-19-06)
168. სახელმწიფო შესყიდვების შესახებ (1998-09-12)
169. მცირე საწარმოთა მხარდაჭერის შესახებ (1999-23-07)

რეგისტრაცია, ლიცენზირება და კონტროლი

170. სახელმწიფო რეესტრის შესახებ (2004-01-06)
171. სარეგისტრაციო მოსაკრებლების შესახებ (2002-20-03)
172. სამეწარმეო საქმიანობის კონტროლის შესახებ (2001-08-06)
173. საქართველოს კანონი აუდიტორული საქმიანობის შესახებ (1995-07-02)
174. ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშების რეგულირების შესახებ (1999-05-02)

175. სამეწარმეო საქმიანობის ლიცენზიისა და ნებართვის გაცემის საფუძვლების შესახებ (2002-14-05)
176. სალიცენზიო და სანებართვო მოსაკრებლების შესახებ (2003-12-08)
177. ლატარიისა და სხვა მომგებიანი თამაშების მოწყობაზე მომსახურების მიზნობრივი მოსაკრებლის შესახებ (2001-16-03)
178. მომხმარებელთან ფულადი ანგარიშსწორების განხორციელებისას საკონტროლო-სალარო აპარატების გამოყენების შესახებ (2003-26-08)
179. თამბაქოს ნაწარმით ვაჭრობის შესახებ (2003-05-12)

ბაზრის დაცვა

180. გაზომვათა ერთიანობის უზრუნველყოფის შესახებ (1996-05-09)
181. პროდუქციის და მომსახურების სერტიფიკაციის შესახებ (1996-06-09)
182. საქართველოს საპატენტო კანონი (1999-05-02)
183. სასაქონლო ნიშნების შესახებ (1999-05-02)
184. რეკლამის შესახებ (1998-18-02)
185. საქონლის ადგილწარმოშობის დასახელებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების შესახებ (1999-22-06)
186. საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ (1999-22-06)
187. სტანდარტიზაციის შესახებ (1999-25-06)
188. ინტეგრალური მიკროსქემების ტოპოლოგიის შესახებ (1999-22-06)
189. ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებულ სასაზღვრო ღონისძიებათა შესახებ (1999-23-06)
190. ძვირფასი ლითონებისა და ძვირფასი ქვების სახელმწიფო კონტროლის, ანალიზისა და დადამღვის შესახებ (1998-17-09)

მიწა

191. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ (1996-22-03)
192. მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტის შექმნის შესახებ (1996-13-11)
193. მიწის რეგისტრაციის შესახებ (1996-14-11)
194. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის არასასოფლო-სამეურნეო მიზნით გამოყოფისას სანაცვლო მიწის ათვისების ღირებულებისა და მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ (1997-02-10)
195. სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მართვისა და განკარგვის შესახებ (1998-28-10)
196. ფიზიკური პირებისა და კერძო სამართლის იურიდიული პირების სარგებლობაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის კერძო საკუთრებად გამოცხადების შესახებ (1998-28-10)

სოფლის მეურნეობა

197. სანაშენე მეცხოველეობის შესახებ (1996-05-09)
198. სელექციური მიღწევების დაცვის შესახებ (1996-18-10)
199. სამყნობი, სათესლე და სარგავი მასალის წარმოებაზე ლიცენზიის გაცემის შესახებ (2003-07-05)
200. სასოფლო-სამეურნეო კულტურების ჯიშების გასავრცელებლად დაშვების, ხარისხიანი თესლისა და სარგავი მასალის შესახებ (1999-25-06)
201. მეფუტკრეობის შესახებ (2002-18-05)
202. ვეტერინარული მედიცინის შესახებ (1995-14-06)
203. ვეტერინარული სამეწარმეო საქმიანობის ლიცენზიისა და ნებართვის გაცემის შესახებ (2003-20-06)
204. ნიადაგის დაცვის შესახებ (1994-12-05)
205. ნიადაგების კონსერვაციისა და ნაყოფიერების აღდგენა-გაუმჯობესების შესახებ (2003-08-05)
206. მიწების მელიორაციის შესახებ (1997-16-10)
207. მავნე ორგანიზმებისაგან მცენარეთა დაცვის შესახებ (1994-12-10)
208. სასოფლო-სამეურნეო კარანტინის შესახებ (1997-15-05)
209. საკარანტინო მომსახურების მოსაკრებლების შესახებ (2003-07-05)
210. პესტიციდებისა და აგროქიმიკატების შესახებ (1998-25-11)
211. აგროქიმიკატების წარმოების, აგროქიმიკატებით ვაჭრობის, აგროქიმიური და ნიადაგის დაცვისა და აგროქიმიკატების ხარისხის განსაზღვრის სფეროში ლაბორატორიული საქმიანობის ლიცენზიის და აგროქიმიკატების ექსპორტისა და იმპორტის ნებართვების გაცემის შესახებ (2003-07-05)
212. პესტიციდების წარმოებასა და ვაჭრობაზე ლიცენზიისა და ექსპორტ-იმპორტზე, ასევე კონტროლს დაქვემდებარებული მცენარეული წარმოშობის პროდუქციის იმპორტსა და ტრანზიტზე ნებართვების გაცემის შესახებ (2003-07-05)
213. ვაზისა და ღვინის შესახებ (1998-12-06)
214. სურსათის და თამბაქოს შესახებ (1999-25-06)
215. კვების პროდუქტებისა და თამბაქოს წარმოების ლიცენზიისა და ნებართვის გაცემის შესახებ (2003-07-05)

გარემოს დაცვა

216. გარემოს დაცვის შესახებ (1996-10-12)
217. გარემოს დაცვითი ნებართვის შესახებ (1996-15-10)
218. სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის შესახებ (1996-15-10)
219. ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ (1999-22-06)

ქიმია, რადიაცია

220. საქართველოს ტერიტორიაზე ნარჩენების ტრანზიტისა და იმპორტის შესახებ (1997-16-10)
221. ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების შესახებ (1998-30-10)
222. საშიში ქიმიური ნივთიერებების შესახებ (1998-12-06)
223. საშიში ნივთიერებებით გამოწვეული ზიანის კომპენსაციის შესახებ (1999-23-07)

წიაღი, წყალი

224. წიაღის შესახებ (1996-17-05)
225. წყლის შესახებ (1997-16-10)
226. ნავთობისა და გაზის შესახებ (1999-16-04)
227. გეოლოგიური საქმიანობის ლიცენზიის გაცემის შესახებ (2003-08-05)
228. საქართველოს ტერიტორიაზე ნავთობის ტრანსპორტირების ზოგიერთი საშუალების მშენებლობის, ფუნქციონირების, მომსახურების, შეკეთებისა და ექსპლუატაციის და ამ საშუალებებით ნავთობის იმპორტის, ტრანსპორტირების, შენახვისა და ექსპორტის სამართლებრივი პრინციპების შესახებ (1996-02-04)

ფლორა, ფაუნა

229. ცხოველთა სამყაროს შესახებ (1996-25-12)
230. საქართველოს „წითელი ნუსხისა“ და „წითელი წიგნის“ შესახებ (2003-06-06)
231. საქართველოს ტყის კოდექსი (1999-22-06)
232. ქალაქ თბილისის საზღვრებში და მის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავებისა და სახელმწიფო ტყის ფონდის განსაკუთრებული დაცვის შესახებ (2000-10-11)

დაცული ტერიტორიები

233. დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ (1996-07-03)
234. კოლხეთის დაცული ტერიტორიების შექმნისა და მართვის შესახებ (1998-09-12)
235. ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის ტერიტორიის გაფართოების შესახებ (2001-28-03)
236. თუშეთის, ბაწარა-ბაბანეურის, ლაგოდეხისა და ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების შექმნისა და მართვის შესახებ (2003-22-04)

სოციალური დაცვა

შრომის დაცვა

237. საქართველოს შრომის კანონთა კოდექსი (1973-28-06)
238. დასაქმების შესახებ (2001-28-09)
239. კოლექტიური ხელშეკრულებისა და შეთანხმების შესახებ (1997-10-12)
240. კოლექტიური შრომითი დავის მოწესრიგების წესის შესახებ (1998-30-10)
241. პროფესიული კავშირების შესახებ (1997-02-04)
242. საარსებო მინიმუმის გაანგარიშების წესის შესახებ (1997-17-04)

ინვალიდთა, ვეტერანთა და ლტოლვილთა დაცვა

243. ინვალიდთა სოციალური დაცვის შესახებ (1995-14-06)
244. იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ (1996-28-06)
245. ლტოლვილთა შესახებ (1998-18-02)
246. ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანების შესახებ (1995-17-10)
247. სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის შესახებ (2001-07-12)
248. სამხედრო და შინაგან საქმეთა ორგანოების სამსახურებიდან თადარიგში დათხოვნილ პირთა და მათი ოჯახის წევრთა საპენსიო უზრუნველყოფის შესახებ (1996-16-10)
249. საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში დაღუპულ, უგზო-უკვლოდ დაკარგულ, მიღებული ჭრილობების შედეგად გარდაცვლილთა ოჯახების სოციალური დაცვის შესახებ (1996-27-12)
250. საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებისა და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის შესახებ (1997-11-12)
251. ქ. თბილისში 1989 წლის 9 აპრილს საქართველოს დამოუკიდებლობის მოთხოვნით გამართული მშვიდობიანი აქციის დარბევის შედეგად დაზარალებულთა აღიარებისა და მათი სოციალური დაცვის გარანტიების შესახებ (1999-30-04)
252. ჩერნობილის ატომური ელექტროსადგურისა და სხვა სამხედრო და სამოქალაქო დანიშნულების ბირთვულ ობიექტებზე ავარიული სიტუაციებისა და მათი შედეგების ლიკვიდაციის მონაწილეებისა და მათი ოჯახის წევრების სოციალური დაცვის შესახებ (2000-8-11)

ბავშვების დაცვა

253. შვილად აყვანის წესის შესახებ (1997-17-10)
254. ობოლ და მშობელთა მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა შვილობილად აყვანის შესახებ (1999-22-06)
255. ბავშვთა და ახალგაზრდული კავშირების სახელმწიფოებრივი მხარდაჭერის შესახებ (1999-22-06)
256. მავნე ზეგავლენისაგან არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ (2001-28-09)

ჯანმრთელობის დაცვა

257. ჯანმრთელობის დაცვის შესახებ (1997-10-12)
258. პაციენტის უფლებების შესახებ (2000-05-05)
259. ფსიქიატრიული დახმარების შესახებ (1995-21-03)
260. ადამიანის იმუნოდეფიციტის ვირუსით ინფექციის (შიდსის) პროფილაქტიკის შესახებ (1995-21-03)
261. ჯანმრთელობისათვის მავნე პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციის გადასახადის შესახებ (1995-04-04)
262. საქართველოს სანიტარული კოდექსი (2003-08-05)
263. საექიმო საქმიანობის შესახებ (2001-08-06)
264. წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის შესახებ (1996-25-12)
265. სისხლისა და მისი კომპონენტების დონორობის შესახებ (1995-21-03)
266. ადამიანის ორგანოთა გადანერგვის შესახებ (2000-23-02)
267. წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის ემბლემებისა და სახელწოდებების შესახებ (1997-02-10)
268. საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების შესახებ (1997-16-10)
269. სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის ლიცენზირების შესახებ (2003-08-05)
270. თამბაქოს კონტროლის შესახებ (2003-06-06)
271. ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ (2002-05-12)
272. ბავშვთა ბუნებრივი კვების დაცვისა და ხელშეწყობის, ხელოვნური საკვების მოხმარების შესახებ (1999-09-09)

დაზღვევა

273. დაზღვევის შესახებ (1997-02-05)
274. სამედიცინო დაზღვევის შესახებ (1997-18-04)
275. სავალდებულო სოციალური დაზღვევის შესახებ (2003-20-06)
276. არასახელმწიფო საპენსიო დაზღვევისა და უზრუნველყოფის შესახებ (1998-30-10)
277. სავალდებულო სადაზღვევო პენსიების შესახებ (2003-20-06)
278. სავალდებულო სოციალური დაზღვევის სფეროში ინდივიდუალური (პერსონიფიცირებული) აღრიცხვისა და ინდივიდუალური ანგარიშების შემოღების შესახებ (2003-20-06)

ტრანსპორტი, კომუნიკაციები

279. საავტომობილო გზების შესახებ (1994-11-11)
280. საავტომობილო ტრანსპორტის შესახებ (1995-04-04)
281. საქართველოს რესპუბლიკაში საგზაო ფონდის შესახებ (1995-02-09)
282. საქართველოს საჰაერო კოდექსი (1996-29-10)
283. საქართველოს საზღვაო კოდექსი (1997-15-05)
284. საქართველოს სარკინიგზო კოდექსი (2002-28-12)
285. კავშირგაბმულობისა და ფოსტის შესახებ (1999-23-07)
286. ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სფეროს სახელმწიფო მართვისა და რეგულირების წესის შესახებ (2001-20-07)
287. სამოქალაქო საავიაციო საქმიანობის ლიცენზირების შესახებ (2000-15-09)
288. მეზღვაურთა მომზადებისა და დიპლომირების შესახებ (2000-26-09)

მშენებლობა

289. სამშენებლო საქმიანობის შესახებ (2000-27-10)
290. არქიტექტურული საქმიანობის შესახებ (1998-14-04)
291. მშენებლობის ნებართვის შესახებ (2004-25-06)
292. საპროექტო-სამშენებლო საქმიანობის ლიცენზირების შესახებ(1999-09-09)
293. მშენებლობის პროექტების სახელმწიფო კომპლექსური ექსპერტიზისა და დამტკიცების შესახებ (1999-16-04)
294. არქიტექტურულ – სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის შესახებ (1997-14-11)
295. საშიში საწარმოო ობიექტების უსაფრთხოების შესახებ (1997-10-12)
296. საქართველოს ზღვისა და მდინარეთა ნაპირების რეგულირებისა და საინჟინრო დაცვის შესახებ (2000-27-10)
297. განსაკუთრებული მნიშვნელობის და სტრატეგიული დანიშნულების ობიექტების საინჟინრო-გეოდეზიური კონტროლისა და უსაფრთხოების შესახებ (2003-5-12)

კულტურა

298. კულტურის შესახებ (1997-12-06)
299. მუზეუმების შესახებ (2001-22-06)
300. კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ (1999-25-06)
301. კულტურულ ფასეულობათა საზღვარგარეთ გატანისა და საქართველოში შემოტანის შესახებ (2001-22-06)
302. შემოქმედ მუშაკთა და შემოქმედებითი კავშირების შესახებ (1999-08-06)
303. თეატრების შესახებ (1999-22-06)
304. კინემატოგრაფიის სახელმწიფო მხარდაჭერის შესახებ (2000-5-12)

განათლება, მეცნიერება

305. განათლების შესახებ (1997-27-06)
306. მეცნიერების, ტექნოლოგიების და მათი განვითარების შესახებ (1994-22-11)
307. დაწყებითი პროფესიული განათლების შესახებ (1998-09-12)
308. მეცნიერებათა აკადემიის შესახებ (1999-22-06)
309. უმაღლესი კვალიფიკაციის სამეცნიერო და სამეცნიერო-პედაგოგიური კადრების ატესტაციის შესახებ (2002-21-06)
310. მეცნიერთა სოციალური უზრუნველყოფის გარანტიების შესახებ (2003-18-07)

ბიბლიოთეკა, არქივი

311. საბიბლიოთეკო საქმის შესახებ (1996-11-06)
312. პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის შესახებ (1997-28-10)
313. ეროვნული საარქივო ფონდის შესახებ (1995-02-05)

სპორტი, ტურიზმი

314. სპორტის შესახებ (1996-20-09)
315. ტურიზმისა და კურორტების შესახებ (1997-06-03)
316. კურორტებისა და საკურორტო ადგილების სანიტარული დაცვის ზონების შესახებ (1998-20-03)
317. საქართველოში შემოსული და საქართველოდან გასული ტურისტების აღრიცხვის მოწესრიგების შესახებ (1998-24-12)

ენერგეტიკა

318. ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ (1997-27-06)

დანართი IVბ. საქმიანობანი, რომელთა განხორციელებას საქართველოში ესაჭიროება გარემოსდაცვითი ნებართვა

საქმიანობათა კატეგორიები საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით

საქართველოში გარემოსდაცვითი ნებართვას საჭიროებს ქვემოთ ჩამოთვლილი საქმიანობები. მათგან

I კატეგორიის საქმიანობას განეკუთვნება[170]:

ა) მინერალური ნედლეულის მოპოვება

- წიაღისეული რესურსების მოპოვება (გარდა ქვემოთ II კატეგორიის საქმიანობებში ჩამოთვლილი საქმიანობისა) და მინერალური ნედლეულის გამდიდრება; მინერალური ნედლეულის მოპოვებასთან და გამდიდრებასთან დაკავშირებული მიწისზედა და მიწისქვეშა ნაგებობების მშენებლობა;
- ღრმა ბურღვა, განსაკუთრებით ღრმა ცირკულაციის თერმული წყლების მოსაპოვებლად გამიზნული სამუშაოები;
- სამთო გამონამუშევრების შეგროვება და მათ განთავსებასთან დაკავშირებული სამუშაოები.

ბ) ენერგეტიკული მრეწველობა

- ნავთობნედლეულის გადამუშავება და ნავთობქიმიური წარმოება;
- ნახშირის გაზიფიცირება და გათხევადება;
- ნახშირის დაკოქსვა;
- ნახშირისა და ლიგნიტის ბრიკეტირება;
- თბოელექტროსადგურებისა და სხვა თერმული ობიექტების მშენებლობა (10 მეგავატზე მეტი სიმძლავრის);
- გაზის, ორთქლის, ცხელი წყლისა და ელექტროენერგიის მაგისტრალურ გადამცემ საშუალებათა მშენებლობა;
- ჰიდროელექტროსადგურების (10 მეგავატზე მეტი სიმძლავრის) მშენებლობა; კაშხლებისა და ხელოვნური წყალსაცავების, სხვა ჰიდროტექნიკური ნაგებობების მშენებლობა;
- ნებისმიერი დანიშნულებისა და სიმძლავრის ბირთვული რეაქტორების მშენებლობა;
- ატომური ელექტროსადგურების მშენებლობა;
- ბირთვული საწვავის წარმოება და გამდიდრება, გამომუშავებული საწვავის გადამუშავება.

გ) სოფლის მეურნეობა

- თევზის სარეწი მიზნით მოშენება ბუნებრივ წყალსატევებში;
- მიწების სამელიორაციო სამუშაოების წარმოება;
- სასოფლო-სამეურნეო მიწების არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით გამოყენება (50 ჰექტარზე ფართობის);
- მოსალოდნელი საშიში სტიქიური პროცესების წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებათა განხორციელება.

დ) კვების მრეწველობა

- თევზისა და ცხოველური ძვლებისაგან ფქვილის წარმოება;
- მცენარეული და ცხოველური ზეთებისა და ცხიმების წარმოება;
- სახამებლის სამრეწველო წარმოება;
- კონსერვის წარმოება (წელიწადში 5000 ტონაზე მეტი ნედლეულის გადამამუშავებელი ობიექტები);
- ლუდსახდელი ლიქიორის, კონიაკის, არყის სახდელი და ღვინის წარმოება (წელიწადში 30 მილიონ ლიტრზე მეტი მწარმოებლობის ობიექტები).

ე) ქიმიური მრეწველობა

- ნებისმიერი ტიპისა და სიმძლავრის ქიმიური წარმოება; მათ შორის: ნახევარფაბრიკატების (შუალედური პროდუქტების) ქიმიური დამუშავება და ქიმიური ნივთიერებების წარმოება; პესტიციდების, ფარმაცევტული პროდუქტების, ქიმიური საღებავების, ლაქის, პეროქსიდებისა და ელასტიური ნივთიერებების (რეზინის ან პლასტიკური ნივთიერებების) წარმოება და დამუშავება; დენთისა და სხვა ასაფეთქებელი ნივთიერებების წარმოება და შეფუთვა; აკუმულატორების წარმოება; გრაფიტის ელექტროდების დამზადება; მაცივრების წარმოება.

ვ) მეტალურგია

- ნებიმიერი ტიპისა და სიმძლავრის მეტალურგიული წარმოება.

ზ) მანქანათმშენებლობა და გემთმშენებლობა

- მანქანათსაშენი, მათ შორის საავტომობილო, გემთსაშენი, სარკინიგზო და საავიაციო წარმოება;
- გემთსაშენი, სარკინიგზო და საავიაციო სარემონტო წარმოება;
- ძრავების, ტურბინებისა და რეაქტორების წარმოება და მათი გამოცდა.

თ) საშენ მასალათა მრეწველობა

[170] საქართველოს კანონი გარემოსდაცვითი ნებართვის შესახებ, მუხლი 4

- ნებისმიერი წარმოება, სადაც გამოყენებული იქნება აზბესტი;
- ცემენტის წარმოება;
- ასფალტის წარმოება;
- მინისა და მინის პროდუქციის წარმოება.

ი) ხე-ტყის გადამამუშავებელი, ქაღალდის, ტყავისა და საფეიქრო მრეწველობა მერქან-ბურბუშელოვანი და მერქან-ბოჭკოვანი ფილების წარმოება;

- ხელოვნური მინერალური ბოჭკოს წარმოება;
- ცელულოზის, ქაღალდისა და მუყაოს წარმოება;
- ტყავის გადამამუშავებელი წარმოება;
- მაუდ-კამვოლის (მატყლის გამწმენდი, გაუცხიმოვანებელი და გამთეთრებელი) კომბინატის მშენებლობა.

კ) ნარჩენების გადამუშავება და განთავსება

- საყოფაცხოვრებო და სამეწველო ნარჩენების განთავსება, მათი სამარხების, გადამუშავებისა და დაწვის ქარხნების განთავსება და ფუნქციონირება; ტოქსიკური, სახიფათო და რადიაქტიული ნარჩენების განთავსება, მათი სამარხების განთავსება-ფუნქციონირება და მათი გაუვნებელყოფა.

ლ) საცავების განთავსება-ფუნქციონირება

- გაზის, ნავთობის, ნახშირის, ნავთობქიმიური პროდუქტების მიწისზედა და მიწისქვეშა საცავების განთავსება-ფუნქციონირება;
- რადიაქტიურ ნივთიერებათა საცავების განთავსება-ფუნქციონირება.

მ) ინფრასტრუქტურული გეგმების, პროექტებისა და პროგრამების განხორციელება ურბანიზაციისა და ქალაქგეგმარების პროგრამები;

- მრეწველობის განვითარების პრგრამები;
- ენერგოსისტემის განვითარების პროგრამები;
- დასახლებული პუნქტების გამწმენდი ნაგებობების პროექტები;
- ტყეთმოწყობის პროექტები (სატყეო და სამონადირეო მეურნეობების ორგანიზაციისა და გაძღოლის პერსპექტიული გეგმების პროექტების ჩათვლით);
- სატრანსპორტო ინფრასტრუქტურების განვითარების პროგამები;
- ადმინისტრაციულ-ტერიტორიულიერთეულების (რაიონების) მიწათმოწყობის სქემები;
- საავტომობილო გზების, რკინიგზების და აეროდრომების, ხიდების და ესტაკადების პროექტები;
- ნებისმიერი დანიშნულების მაგისტრალური მილსადენების პროექტები; საზღვაო პორტების და ტერმინალების პროექტები;
- მეტროპოლიტენის, მიწისქვეშა საავტომობილო და სარკინიგზო კომუნიკაციების პროექტები;
- სასტუმრო და საკურორტო კომპლექსების პროექტები;
- სპორტული კომპლექსებისა და ნაგებობების პროექტები;
- ონკოლოგიური, ინფექციური და ტუბერკულოზის საავადმყოფო პროექტები; დაცული ტერიტორიების გრძელვადიანი რეაბილიტაციის პროგრამები;
- საქართველოს ტერიტორიაზე არსებული წყლების, ტყის, მიწის, წიაღის და სხვა ბუნებრივი რესურსების დაცვისა და გამოყენების გეგმები და პროექტები; საქართველოს ტერიტორიაზე მოსალოდნელი ბუნებრივი სტიქიური პროცესების უარყოფითი შედეგების თავიდან აცილებისათვის გამიზნული,ყველა სახის სამეურნეო-საინჟინრო ობიექტების განლაგების ეროვნული, რეგიონალური და ადგილობრივი მშენებლობის პროგრამები და პროექტები.

II კატეგორიის საქმიანობას განეკუთვნება:

ა) მინერალური ნედლეულის მოპოვება

- წიაღისეული ნედლეულის საკვლევი და სამთო სამუშაოები;
- მცირე ზომის (100 000 ტონამდე წელიწადში) საშენი, ინერტული და დეკორატიული მასალების კარიერების მუშაობა და დაძიების სამუშაოები;
- მტკნარი სასმელი და მინერალური წყლების დაძიების ბურღვითი სამუშაოები.

ბ) ენერგეტიკული მრეწველობა

- სამრეწველო დანიშნულების თბოელექტროსადგურების და სხვა თერმული საწარმოების (10 მეგავატზე ნაკლები სიმძლავრის) მშენებლობა;
- ჰიდროელექტროსადგურების (10 მაგავატზე ნაკლები სიმძლავრის) მშენებლობა.

გ) სოფლის მეურნეობა და კვების მრეწველობა

- ყამირი მიწებისა და ბუნებრივი (ხელუხლებელი) ტერიტორიების გამოყენება ინტენსიური სოფლის მეურნეობისათვის;
- სასმელი და სარწყავი წყლებით მომარაგების შიდასამეურნეო სისტემების მშენებლობა-ფუნქციონირება;
- სასოფლო-სამეურნეო სავარგულების (30-დან 50 ჰექტრამდე ფართობის) არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით გამოყენება;
- მეფრინველეობისა და მეცხოველეობის კომპლექსური ფერმების მშენებლობა;
- შარდოვანის მიღება მეცხოველეობიდან;
- მარიკულტურისა და აკვაკულტურის ფერმების შექმნა;
- თევზსაჭერი და სამონადირეო მეურნეობის შექმნა;
- შაქრის წარმოება;
- ხილფაფის, ხილის ვაჟინისა და წვენების წარმოება;
- ლუდსახდელი, ლიქიორის, კონიაკის, არაყის სახდელი და ღვინის წარმოება (წელიწადში 20-დან 30 მილიონ ლიტრამდე წარმადობის ობიექტები);
- რძის პროდუქტების წარმოება;
- საფუარის წარმოება;
- შესაბოლი საწარმოების შექმნა;
- ცხოველთა ნარჩენების გადამამუშავებელი სა-

წარმოების შექმნა;
- მარცვლეული საკვების დამამზადებელი ფაბრიკების მშენებლობა;
- უალკოჰოლო, ღვინის და სპირტიანი სასმელების ბოთლებში ჩამოსასხმელი საწარმოების შექმნა;
- მიწების რეკულტივაცია (100 ჰექტარზე მეტი ფართობის);
- კონსერვის წარმოება (წელიწადში 3000-დან 5000 ტონამდე ნედლეულის გადამამუშავებელი ობიექტები).

დ) სატყეო მეურნეობა
- სატყეო ფონდის მიწების (100 ჰექტარზე მეტი ფართობის) არასატყეო – სამეურნეო დანიშნულებით გამოყენება;
- ტყის ჭრა – 500 ჰექტარზე მეტი ფართობის ტყეკაფზე (ყველა სახეობის ჭრის ჩათვლით).

ე) სხვა საქმიანობა
- ბეჭდვითი წარმოება;
- მერქანი და ხის ავეჯის დამამზადებელი ფაბრიკების მშენებლობა;
- მინერალური და საიზოლაციო ბამბის საწარმოების მშენებლობა;
- კირქვის, ცარცის დამამზადებელი საწარმოების მშენებლობა;
- კომუნალური მეურნეობის, მათ შორის კანალიზაციის სამუშაოები;
- ბოჭკოს საშრობი წარმოება;
- აგურის და კაფელის დამამზადებელი საწარმოების მშენებლობა;
- თაბაშირის ფილების დამამზადებელი საწარმოების მშენებლობა;
- სამშენებლო კონსტრუქციების დამამზადებელი საწარმოების მშენებლობა; კომუნალური მეურნეობის, მათ შორის კანალიზაციის სამუშაოები;
- მინერალური ნედლეულისაგან სამშენებლო მასალის დამამზადებელი საწარმოების შექმნა;
- ქიმიური პროდუქტების გადასატანი ცისტერნების სარეცხი საწარმოების მშენებლობა.

III კატეგორიის საქმიანობას განეკუთვნება:

ა) სოფლის მეურნეობა და კვების მრეწველობა

- სამკურნალო მცენარეული რესურსების მოპოვება ბუნებაში;
- სასაკლაოების მოწყობა;
- ყავისა და მზესუმზირის მოსახალი საწარმოების შექმნა;
- კვერცხის ნაწარმის დამამზადებელი (წელიწადში 40 ტონაზე მეტი წარმადობის) საწარმოების შექმნა;
- სასოფლო-სამეურნეო სავარგულების 20-დან 30 ჰექტრამდე ფართობის) არასასოფლოსამეურნეო დანიშნულების გამოყენება;
- საკვები ნახევარფაბრიკატების დამამზადებელი საწარმოების (წელიწადში 200 ტონაზე მეტი წარმადობის) შექმნა;
- მარცვლეულის გასაშრობი, გასაწმენდი, შესანახი და სასილოსე კოშკების მშენებლობა;
- უალკოჰოლო სასმელების წარმოება;
- თამბაქოს წარმოება;
- სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის შესანახი შენობების და ნაგებობების მშენებლობა;
- სამრეწველო მნიშვნელობის სათბურების მშენებლობა;
- მარცვლეულის შესანახი და გადამმუშავებელი შენობების, ნაგებობებისა და საწარმოების მშენებლობა;
- მცენარეთა ქიმიური დამცავი საშუალებების და მინერალური სასუქების საწყობების მშენებლობა;
- საკონსერვო წარმოების (წელიწადში 2000-დან 3000 ტონამდე ნედლეულის გადამამუშავებელი ობიექტები);
- ლუდსასხმელი, ლიქიორის, კონიაკის, არყის სახდელი და ღვინის წარმოება (წელიწადში 10-დან 20 მილიონ ლიტრამდე ნედლეულის გადამამუშავებელი ობიექტები);

ბ) სატყეო მეურნეობა
- სატყეო ფონდის მიწების (50-დან 100 ჰექტრამდე ფართობის) არასატყეო – სამეურნეო დანიშნულების გამოყენება;
- ტყის ჭრა – 100-დან 500 ჰექტრამდე ფართობის ტყეკაფაზე (ყველა სახეობის ჭრის ჩათვლით).

გ) სხვა საქმიანობა
- სელის წარმოება;
- ხის სახერხი საწარმოების (წელიწადში 1000 კუბურ მეტრზე მეტი წარმადობის) შექმნა;
- მერქნის შესანახი (სახმელეთო, წყლის შესასხურებელი მოწყობილობით, ან წყალზე 1000 კუბურ მეტრზე მეტი) ობიექტების მშენებლობა;
- კერამიკული საწარმოების მშენებლობა;
- შიდასამეურნეო საავტომობილო გზების გაყვანა;
- ბენზინის გასამართი სადგურების მოწყობა;
- იალქნიანი ნავების ნავსაყუდელების გამართა;
- საავადმყოფოების სასტერილიზაციო მოწყობილობების საქმიანობა ეთილის ოქსიდის გამოყენებით;
- კომუნალური სამრეცხაოების მოწყობა;
- საავადმყოფოების მშენებლობა.

IV კატეგორიის სამეწარმეო ან სხვა სახის საქმიანობას განეკუთვნება[171]:

ა) კვერცხის ნაწარმის დამამზადებელი (წელიწადში 40 ტონამდე წარმადობის) საწარმოების პროექტები;
ბ) საკვები ნახევარფაბრიკატების დამამზადებელი საწარმოების (200 ტ-მდე წარმადობის წელიწადში) პროექტები;
გ) ჩაის ფაბრიკების მოწყობის პროექტები;
დ) ტყის ფონდის მიწების (50 ჰა-მდე ფართობის)

[171] საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2002 წლის 15 ნოემბრის №109 ბრძანებით დამტკიცებული „გარემოსდაცვითი ნებართვის გაცემის პროცედურებით დადგენილი მეოთხე კატეგორიის საქმიანობის ჩამონათვალის შესახებ" დებულების მიხედვით.

არასატყეო-სამეურნეო დანიშნულებით გამოყენების პროექტები;

ე) ტყის ჭრის (100 ჰა-მდე ფართობის ტყეკაფზე ყველა სახეობის ჭრის ჩათვლით, გარდა მოსახლეობის სოციალური საჭიროებისათვის გამოსაყენებელი ტყის ჭრისა) პროექტები;

ვ) ხის სახერხი საწარმოებისა და მერქნის შესანახი სასაწყობო მეურნეობების (წელიწადში 1000 $მ^3$-მდე წარმადობით) პროექტები;

ზ) ინკუბატორების, მესაქონლეობის (50-დან 90 სულამდე), მეღორეობის (50-დან 100 სულამდე), მცირე ფერმების პროექტები;

თ) წყლის წისქვილების, რომელთა აგება და ფუნქციონირება დაკავშირებულია მდინარეების კალაპოტის ნაწილობრივ ან სრულ გადაკეტვასთან, პროექტები;

ი) სასოფლო-სამეურნეო სავარგულების (20 ჰა-მდე ფართობის) არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით გამოყენების პროექტები;

კ) ავტოსამრეცხაოების, ავტოსარემონტო სახელოსნოების, ავტომანქანების სადგომების პროექტები;

ლ) სამჭედლოების, სადურგლო, ჟანგბადის მისაღები, ფეხსაცმლის ძირების ჩამოსასხმელი, სამღებრო საამქროების პროექტები;

მ) სავაჭრო (საბაზრო) ტერიტორიების მოწყობის პროექტები;

ნ) ავტოსაბურავების აღსადგენ საწარმოთა პროექტები;

ო) საკონსერვო საწარმოების (წელიწადში 2000 ტ-მდე ნედლეულის გადამუშავებით) პროექტები;

პ) შავი და ფერადი ლითონების ჯართის და/ან შავი და ფერადი ლითონების არასახიფათო ნარჩენების მიმღები პუნქტების მოწყობის პროექტები;

ჟ) სასაფლაოების მოწყობის პროექტები;

რ) მიწის ნაყოფიერი ფენის მოხსნის ან ბელტების მოჭრის პროექტები 1 ჰექტარ ფართობზე ზევით.

დანართი IVგ. გარემოსდაცვითი ნებართვის გაცემა საქართველოში. მაგალითი, როდესაც საზოგადოებრივი აზრის გათვალისწინებით საქმიანობაზე ნებართვა არ გაიცა

მოკლე შინაარსი: რაიონის ელექტრო- და წყალმომარაგებისათვის, ადგილობრივ მმართველობასთან შეთანხმებით, ინვესტორმა განიზრახა მცირე ჰესების კასკადის აგება (საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით – I კატეგორიის საქმიანობა) ნაკრძალის ტერიტორიაზე. მიწის გამოყოფისას გამოიკვეთა გარემოს დაცვის სამინისტროს შესაძლო უარყოფითი პოზიცია. ინვესტორმა მოითხოვა „სამინისტროს დასკვნა მშენებლობის კოორდინატებთან დაკავშირებით“, ანუ ფაქტობრივად, წინასწარი ექსპერტიზა. მიუხედავად იმისა, რომ სამინისტრომ უარყოფითი დასკვნა გასცა, ინვესტორმა შეიმუშავა გზშ და წარმოადგინა სახელმწიფო ეკოლოგიურ ექსპერტიზაზე. ადგილობრივი მოსახლეობის აზრი ორად გაიყო – იყვნენ ჰესის მშენებლობის მოწინააღმდეგენიც და მომხრეებიც. ამ უკანასკნელთ სათავეში ედგა რაიონის მაჟორიტარი დეპუტატი, რომელმაც ნაკრძალის ამ ტერიტორიის დაცვის საკანონმდებლო რეჟიმის შერბილებასაც კი მიაღწია. თუმცა ინვესტორისა და ადგილობრივი მმართველობის ყველა მცდელობა უშედეგოდ დამთავრდა – სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის საბოლოო დასკვნაც უარყოფითი გამოდგა და სამინისტრომ საქმიანობაზე გარემოსდაცვითი ნებართვა არ გასცა.

აღმოსავლეთ საქართველოში, აზერბაიჯანისა და დაღესტნის (რუსეთის ფედერაცია) მოსაზღვრე ლაგოდეხის რაიონში 1912 წლიდან არსებობს ლაგოდეხის ნაკრძალი, სადაც 30-მდე რელიქტური[172] და 100-მდე კავკასიის ენდემური[173] მცენარე ხარობს (აქედან 9 მხოლოდ ამ ნაკრძალში იზრდება). აქ დაცულია შველი, არჩვი, ფოცხვერი, დათვი, და საქართველოში ირმის ერთადერთი სიცოცხლისუნარიანი პოპულაცია. თუმცა სათანადო მოვლა და დაცვა ტერიტორიას, განსაკუთრებით ქ. ლაგოდეხის მიმდებარე ნაწილს, განსაკუთრებით საბჭოთა პერიოდში, არასოდეს ჰქონია და ტერიტორია მრავალჯერ იქნა ხელყოფილი რაიონის ამა თუ იმ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად.

1930 წელს მდინარე ლაგოდეხისხევზე დაიდგა მცირე ელექტროსადგური (150კვტ სიმძლავრის), რომლის სათავე ნაგებობა ნაკრძალის ტერიტორიაზე, მისი საზღვრიდან 2,8კმ-ის სიღრმეზე მდებარეობდა. მიკროჰესი 1980 წლამდე ფუნქციონირებდა.

1956-59 წლებში ნაკრძალის ტერიტორიაზე აიგო წყალგამწმენდი ნაგებობები ქ. ლაგოდეხის სასმელი წყლით მომარაგებისათვის. ეს სისტემა ფუნქციონირებდა 1970 წლამდე. ამის შემდეგ კი, უკვე ნაკრძალის ტერიტორიის გარეთ, სამხრეთით, აიგო კოოპერირებული წყალსადენი ჭაბურღილებიდან ამოქაჩული წყლით სამი რაიონის მომარაგებისათვის. პოსტსაბჭოურ პერიოდში, ელექტროენერგიის დეფიციტის მდგომარეობაში, წყალსადენის ფუნქციონირება შეფერხდა. შემდეგ გაიძარცვა წყალსადენი მილები. შედეგად რაიონის მოსახლეობა დარჩა სასმელი წყლით მომარაგების გარეშე. მოსახლეობამ მოახერხა სასმელი წყლისათვის უმარტივესი ტიპის წყალმიმღების გაკეთება, რომელსაც ყოველ წელს წყალდიდობა ანგრევს და მაცხოვრებლები აგროვებენ ფულს მის ხელახლა მოსაწყობად.

2002 წელს სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება „მზეთა“ დაინტერესდა ნაკრძალის ტერიტორიაზე მცირე ჰესის რეაბილიტაციის პროექტით. რაიონის გამგეობამ ინვესტორს მოსთხოვა, რომ იმავე პროექტით წყალმომარაგების საკითხიც მოგვარებულიყო. გათვლების შედეგად გაირკვა, რომ, იმისათვის, რომ ასეთი პროექტი ინვესტორისათვის საინტერესო ყოფილიყო, საჭირო იყო ჰესის სიმძლავრის სულ ცოტა 2-2,5 მვტ-მდე გაზრდა. შესაბამისად, სათავე ნაგებობის მდებარეობა და ზომებიც უნდა შეცვლილიყო. საბოლოოდ ინვესტორმა, რეაბილიტაციის მაგივრად, მდინარე ლაგოდეხისხევზე ორი ახალი მცირე ჰესების კასკადის (საერთო სიმძლავრით 5,7 მვტ) მშენებლობა განიზრახა და რაიონის გამგეობას მიწის გამოყოფის მოთხოვნით მიმართა.

2002 წლის 7 ივნისს გამგეობამ შეკრიბა მიწის ნაკვეთის შემრჩევი კომისია[174], რომელმაც მიიღო მიწის ნაკვეთის შერჩევის აქტი, რომლითაც მიზანშეწონილად მიიჩნია „მზეთა“-სთვის ლაგოდეხის ნაკრძალში, ქ. ლაგოდეხის და სოფ. შრომის ტერიტორიაზე მათ მიერ შერჩეული მიწის გამოყოფა ჰესების კასკადის ასაშენებლად. შემუშავდა აგრეთვე ჰესების კასკადის არქიტექტურული პროექტი, რომელიც 2002 14 ივნისს ლაგოდეხის

[172] რელიქტი არის უაღრესად ძველი წარმოშობის ორგანიზმი, რომელიც უცვლელად შემორჩა დღემდე
[173] ენდემი არის ორგანიზმი, რომელიც ბუნებრივ პირობებში მხოლოდ ამ ტერიტორიაზე არსებობს
[174] კომისიის შემადგენლობა:

- ლაგოდეხის რაიონის მიწის მართვის სამმართველოს უფროსი,
- ს.პ.ს. „მზეთა“-ს დირექტორი
- ლაგოდეხის საკრებულოს თავმჯდომარე
- ლაგოდეხის ნაკრძალის დირექტორი
- ბუნების დაცვის ინსპექციის უფროსი
- სატყეო მეურნეობის უფროსი
- რაიონის მთავარი არქიტექტორი
- ლაგოდეხის წყალკანალის უფროსი
- სანეპიდსადგურის მთავარი ექიმი
- ლაგოდეხის ელექტრო ქსელის უფროსი
- ლაგოდეხის სახანძრო უფროსი
- კულტურის განყოფილების უფროსი
- ლაგოდეხის რაიონის გამგებლის მოადგილე
- სოფ. შრომის საკრებულოს თავმჯდომარე

რაიონის არქიტექტურისა და მშენებლობის განყოფილებამ დაამტკიცა.

მიწის გამოყოფის აქტის საფუძველზე 2002 წლის 16 ივნისს ლაგოდეხის რაიონის გამგეობამ გამოიტანა დადგენილება იმის შესახებ, რომ საჭიროა ეთხოვოს მთავრობას „მზეთა“-სთვის მიწის გამოყოფის მისი გადაწყვეტილების დამტკიცება.

2002 11 ოქტომბერს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო იღებს წერილს, რომლითაც ლაგოდეხის რაიონის გამგეობა ითხოვს თანხმობას ჰესების სათავე ნაგებობებისა და მიწისქვეშა სადაწნევო მილსადენების გასაყვანად ნაკრძალის ტერიტორიის გამოყოფაზე.

სამინისტროს წარმომადგენლები იწვევენ მეცნიერებს და ერთად გადიან ადგილის დასათვალიერებლად. აქ ისინი ხვდებიან ინვესტორს და რაიონის წარმომადგენლებს და განუმარტავენ, რომ ნაკრძალის ტერიტორიაზე ყოველგვარი მშენებლობა აკრძალულია, და რომ მინი-ჰესის მშენებლობა I კატეგორიის საქმიანობას წარმოადგენს და მას გარემოზე ზემოქმედების შეფასება სჭირდება.

გამგეობის წერილმა სამინისტროს ყურადღება აგრეთვე გაამახვილა იმ ფაქტზე, რომ ლაგოდეხის ნაკრძალის სტატუსი და საზღვრები კანონმდებლობით სათანადოდ დარეგულირებული არ იყო. სამინისტრო აჩქარებს შესაბამისი კანონის წარდგენას პარლამენტში. გამგეობა ითხოვს ქ. ლაგოდეხის მიმდებარე ტერიტორიას შედარებით რბილი დაცვის რეჟიმი მიენიჭოს და ამ იდეას რაიონის მაჟორიტარი დეპუტატის საშუალებით ლობირებს პარლამენტში.

სამინისტროსა და მეცნიერების ჩასვლამ და განმარტებებმა გამოიწვია ადგილობრივი მოსახლეობის აზრთა გაყოფა. გამგეობამ მოაგროვა 6000-მდე ადამიანის ხელმოწერა ჰესებისა და წყალგაყვანილობის მშენებლობის მოთხოვნით. ამავე დროს მოგროვდა 160 ხელმოწერა ნაკრძალის შენარჩუნების მოთხოვნით. ეს წერილები გაიგზავნა პარლამენტში, პრეზიდენტთან, გარემოს დაცვის სამინისტროში, მეცნიერებათა აკადემიაში. საქმეში ჩაერთო სამხარეო ადმინისტრაცია, რომელმაც მთავრობას საკითხის კომპლექსური შესწავლა მოსთხოვა.

ამასობაში შედეგი გამოიღო რაიონის მაჟორიტარი დეპუტატის ლობირებამ და პარლამენტმა მიიღო კანონი, რომლითაც ლაგოდეხის ნაკრძალის ქ. ლაგოდეხის მიმდებარე ტერიტორია, მთელი იმ ტერიტორიის ჩათვლით, რომელიც ჰესების ასაშენებლად იყო საჭირო, არა ნაკრძალად (Strict Nature Reserve / Wilderness Area), არამედ აღკვეთილად (Habitat / Species Management Area) გამოცხადდა. განსხვავება ნაკრძალსა და აღკვეთილს შორის იმაში მდგომარეობს, რომ აღკვეთილში „მკაცრი კონტროლის პირობებში დაშვებულია ცალკეული განახლებადი რესურსების მოხმარება“. როგორც ჩანს, ინვესტორი ვარაუდობდა, რომ ტერიტორიის დაცვის რეჟიმის ამგვარი შეცვლა მას დაცული ტერიტორიის ფარგლებში პროექტის განხორციელების საშუალებას მისცემდა.

პრეზიდენტმა გარემოს დაცვის სამინისტროს დაავალა ჰესების მშენებლობის მიზანშეწონილობის საკითხის განხილვა და დასკვნის წარმოდგენა. გამგეობამ სამინისტროში წარმოადგინა ყველა ის მასალა, რომელიც სამინისტრომ საკითხის შესასწავლად მოითხოვა: ჰიდრომეტეოროლოგიური ობსარვატორიის ცნობა მდინარე ლაგოდეხისხევის საშუალო თვიური ჩამონადენის შესახებ, ცნობა ლაგოდეხის რაიონის წყლის მოხმარების რაოდენობის შესახებ, ჰესის მშენებლობის ვარიანტები, სიმძლავრისა და გამომუშავების გათვლები სვადასხვა მუშაობის რეჟიმისათვის, რუქები.

საკითხის განხილვა დაევალა სამინისტროს სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დეპარტამენტს. ვინაიდან ეს ჯერ არ იყო ფორმალური ნებართვის გაცემის პროცედურა, როდესაც დეპარტამენტს შესაძლებლობა ექნებოდა დამოუკიდებელი ექსპერტები დაექირავებინა (ინვესტორის ხარჯზე), დეპარტამენტმა ითხოვა, რომ გამოყენებული ყოფილიყო სახელმწიფო სტრუქტურებში არსებული ექსპერტიზა. ამისათვის მასალები გადაეგზავნა ყველა შესაბამის სახელმწიფო დაწესებულებას თხოვნით, წარმოედგინათ თავიანთი რეკომენდაციები საკითხთან დაკავშირებით. კერძოდ, მასალები გადაეგზავნა:

- დაცული ტერიტორიების, ნაკრძალებისა და სამონადირეო მეურნეობების სახელმწიფო დეპარტამენტს (რომლის გამგებლობაში შედის ნაკრძალები);
- სამინისტროს ბიომრავალფეროვნების დაცვის დეპარტამენტს;
- სამინისტროს ბუნებრივი და ანთროპოგენური კატასტროფების პროგნოზირების, მათი შედეგების შერბილებისა და მოსახლეობის ეკოლოგიური უსაფრთხოების უზრუნველყოფის სახელმწიფო საკოორდინაციო სამსახურს;
- მსოფლიო ბანკის და გლობალური გარემოს ფონდის დაცული ტერიტორიების განვითარების პროექტის ფარგლებში შექმნილ დაცული ტერიტორიების განვითარების ცენტრს.

საინტერესოა ამ უწყებათა პასუხები:

- ბუნებრივი და ანთროპოგენური კატასტროფების პროგნოზირების, მათი შედეგების შერბილებისა და მოსახლეობის ეკოლოგიური უსაფრთხოების უზრუნველყოფის სახელმწიფო საკოორდინაციო სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია ჰესების აგება, რადგან ეს რაიონის მოსახლეობის სასმელი წყლისა და ელექტროენერგიის პრობლემას გადაჭრიდა. ამ დადებით შედეგთან შედარებით აღკვეთილის ტერიტორიის 5 ჰექტარის დაზიანება მათ უმნიშვნელოდ ზიანად მიიჩნიეს;
- დაცული ტერიტორიების, ნაკრძალებისა და სამონადირეო მეურნეობების სახელმწიფო დეპარტამენტმა განაცხადა, რომ, ვინაიდან უსახსრობის გამო ნაკრძალის სათანადო მოვლა და დაცვა მაინც ვერ ხორციელდება, დეპარტამენტი თანახმაა პროექტის განხორციელებაზე იმ

პირობით, რომ გამომუშავებული ელექტროენერგიის მოგების გარკვეული პროცენტი ლაგოდეხის ნაკრძალის სპეცანგარიშზე ჩაირიცხოს და ნაკრძალს მოხმარდეს;

- ბიომრავალფეროვნების დაცვის დეპარტამენტი და მსოფლიო ბანკის და გლობალური გარემოს ფონდის დაცული ტერიტორიების განვითარების პროექტის ფარგლებში შექმნილ დაცული ტერიტორიების განვითარების ცენტრმა კატეგორიულად პროექტის საწინააღმდეგო პოზიცია დაიკავეს. მათ განაცხადეს, რომ ასეთი დიდი რაოდენობით წყლის აღება ეკოსისტემიდან დაარღვევდა ჰიდროლოგიურ ბალანსს, გამოიწვევდა ტენის მოყვარულ მცენარეთა სახეობების გაქრობას, ტყის სიცოცხლისუნარიანობის დაქვეითებას. სწორედ ტენის მოყვარული მცენარეები წარმოადგენს ირმის საკვებს ზამთარში და მათი გაქრობა ირმის პოპულაციის სიცოცხლისუნარიანობას კითხვის ქვეშ დააყენებდა. აღინიშნა აგრეთვე, რომ საქართველოს ამ ტერიტორიის ბუნებრივი სახით შენარჩუნებას საერთაშორისო ვალდებულებებიც აკისრებდა და ამდენად, მილსადენის მშენებლობა დაუშვებელი იყო როგორც სამართლებრივი, ასევე ბუნებისადმი რაციონალური დამოკიდებულების თვალსაზრისით.

ამ დასკვნების საფუძველზე, 2003 წლის 5 ივნისს გარემოს დაცვის სამინისტრო აგზავნის ოფიციალურ პასუხს პრეზიდენტის დავალებაზე, სადაც „მზეთა“-ს მიერ შემოთავაზებული პროექტის განხორციელებას მიზანშეუწონლად მიიჩნევს. წერილის ასლი მიიღო ინვესტორმაც და გამგეობამაც. მიუხედავად ამისა, ინვესტორმა მაინც ჩაატარა გარემოზე ზემოქმედების შეფასება და 2003 წლის 29 ივლისს გარემოს დაცვის სამინისტროს წარუდგინა პროექტის ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთება და გზშ სახელმწიფო ეკოლოგიურ ექსპერტიზაზე გარემოსდაცვითი ნებართვის მიღების მიზნით.

2003 წლის 1 აგვისტოს, გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკა“-ში გამოქვეყნდა ცნობა იმის შესახებ, რომ საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტროში I კატეგორიის საქმიანობაზე გარემოსდაცვითი ნებართვის მიღების მიზნით წარმოდგენილია პროექტის ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთება და გზშ; მითითებული იქნა, თუ სად შეიძლება დოკუმენტების გაცნობა და წერილობითი კომენტარების წარდგენა. მითითებული იყო აგრეთვე საჯარო განხილვის თარიღი და ადგილმდებარეობა.

2003 წლის 16 სექტემბერს, გარემოს დაცვის სამინისტროში ჩატარდა საჯარო განხილვა. მას ესწრებოდნენ სამინისტროს წარმომადგენლები, დაცული ტერიტორიების, ნაკრძალების და სამონადირეო მეურნეობის სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენლები, საექსპერტო კომისიის წევრები (დაქირავებული დამოუკიდებელი ექსპერტები), არასამთავრობო სექტორი (2 კაცი), ლაგოდეხის რაიონის მოსახლეობა (6 კაცი), ლაგოდეხის მაჟორიტარი დეპუტატი, ლაგოდეხის რაიონის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე, საპროექტო დოკუმენტაციის ავტორები, წყალპროექტის წარმომადგენელი, ენერგეტიკოსი.

ერთ-ერთმა დამოუკიდებელმა ექსპერტმა წარმოადგინა თავისი საექსპერტო დასკვნა, რომელშიც აღნიშნა, რომ საქმიანობის განხორციელება შესაძლებლად მიაჩნია, ვინაიდან ხეობა, რომლებშიც ჰესები განთავსდება, აღკვეთილის რანგშია გადაყვანილი და იქ ნებადართულია მკაცრი კონტროლის ფარგლებში განახლებადი რესურსის გამოყენება, წყალი კი განახლებად რესურსს წარმოადგენს. ეს განცხადება კატეგორიულად გააპროტესტა გარემოსდამცველი არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელმა, რომელმაც განაცხადა, რომ კანონს არასწორი ინტერპრეტაცია ეძლევა და განახლებადი რესურსის მოხმარება მშენებლობას არავითარ შემთხვევაში არ ნიშნავს. ნაკრძალების დეპარტამენტის წარმომადგენელმა დაამატა, რომ წყალი, რომელიც აიღება აღკვეთილის ტერიტორიაზე, იმავე ტერიტორიას არ უბრუნდება, ასე, რომ ის აქ ველარ განიხილება, როგორც აღდგენადი რესურსი. ჰესების აშენების კატეგორიული წინააღმდეგი იყო ბოტანიკური ბაღის წარმომადგენელიც. არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელმა ისიც კი განაცხადა, რომ თუ სამინისტრო ამ საქმიანობაზე ნებართვას გასცემდა, მისი ორგანიზაცია სასამართლოში იჩივლებდა.

2003 წლის 24 ოქტომბერს[175] საექსპერტო კომისიამ გასცა სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის უარყოფითი დასკვნა პროექტზე. იმავე დღეს გამოიცა მინისტრის ბრძანება „მზეთა“-ს ნებართვის შესახებ განაცხადის არ-დაკმაყოფილების შესახებ, რომელიც 27 ოქტომბერს, დეტალური დასაბუთებითურთ ინვესტორს გადაეგზავნა.

[175] გარემოს დაცვის სამინისტროში 2001 წელს საქართველოს კანონმდებლობის ცვლილება ვერ შენიშნეს და ამ სახელმძღვანელოს 51-ე გვერდზე მითითებული პროცედურის დაცვის მაგივრად დღემდე გარემოსდაცვითი ნებართვა 1996 წელს დადგენილი პროცედურის მიხედვით გაიცემა, რომლის შესაბამისად განაცხადის შემოსვლის შემდეგ 10 დღის განმავლობაში სამინისტრო აქვეყნებს გაზეთში ცნობას, აძლევს საზოგადოებას 45 დღეს შენიშვნების წარმოსადგენად, შემდეგ ატარებს ზეპირ მოსმენას, და ამის შემდეგ 4-5 კვირაში (საერთო ჯამში პროცედურა 3 თვეზე მეტი არ უნდა იყოს) გასცემს ნებართვას.

დანართი V. მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა

დანართი VA. საქართველოს კონსტიტუცია, თავი II

საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი

(საქართველოს რომელიმე ნორმატიული აქტით აქ მითითებულ ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევის ან შესაძლო დარღვევის შესახებ საჩივრებს იხილავს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო)

მუხლი 12

1. საქართველოს მოქალაქეობა მოიპოვება დაბადებით და ნატურალიზაციით.
2 საქართველოს მოქალაქე იმავდროულად არ შეიძლება იყოს სხვა სახელმწიფოს მოქალაქე, გარდა ამ პუნქტით დადგენილი გამონაკლისი შემთხვევისა. საქართველოს პრეზიდენტის მიერ საქართველოს მოქალაქეობა შეიძლება მიენიჭოს უცხო ქვეყნის მოქალაქეს, რომელსაც საქართველოს წინაშე აქვს განსაკუთრებული დამსახურება ან მისთვის საქართველოს მოქალაქეობის მინიჭება გამომდინარეობს სახელმწიფო ინტერესებიდან. (6.02.2004.№3272)
3. საქართველოს მოქალაქეობის მოპოვებისა და დაკარგვის წესი განისაზღვრება ორგანული კანონით.

მუხლი 13

1. საქართველო მფარველობს თავის მოქალაქეს განურჩევლად მისი ადგილსამყოფელისა.
2. მოქალაქეობის ჩამორთმევა დაუშვებელია.
3. საქართველოდან საქართველოს მოქალაქის გაძევება დაუშვებელია.
4. საქართველოს მოქალაქის უცხო სახელმწიფოსათვის გადაცემა დაუშვებელია, გარდა საერთაშორისო ხელშეკრულებით გათვალისწინებული შემთხვევებისა. გადაწყვეტილება მოქალაქის გადაცემის შესახებ შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში.

მუხლი 14

ყველა ადამიანი დაბადებით თავისუფალია და კანონის წინაშე თანასწორია განურჩევლად რასისა, კანის ფერისა, ენისა, სქესისა, რელიგიისა, პოლიტიკური და სხვა შეხედულებებისა, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილებისა, წარმოშობისა, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობისა, საცხოვრებელი ადგილისა.

მუხლი 15

1. სიცოცხლე ადამიანის ხელშეუვალი უფლებაა და მას იცავს კანონი.
2. სასჯელის განსაკუთრებული ღონისძიება – სიკვდილით დასჯა, მის სრულ გაუქმებამდე, შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს ორგანული კანონით სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართული განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის. ამ სასჯელის შეფარდების უფლება აქვს მხოლოდ საქართველოს უზენაეს სასამართლოს.

მუხლი 16

ყველას აქვს საკუთარი პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება.

მუხლი 17

1. ადამიანის პატივი და ღირსება ხელშეუვალია.
2. დაუშვებელია ადამიანის წამება, არაჰუმანური, სასტიკი ან პატივისა და ღირსების შემლახველი მოპყრობა და სასჯელის გამოყენება.

მუხლი 18

1. ადამიანის თავისუფლება ხელშეუვალია.
2. თავისუფლების აღკვეთა ან პირადი თავისუფლების სხვაგვარი შეზღუდვა დაუშვებელია სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე.
3. ადამიანის დაკავება დასაშვებია კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში საგანგებოდ უფლებამოსილი პირის მიერ. დაკავებული თუ სხვაგვარად თავისუფლებაშეზღუდული პირი უნდა წარედგინოს სასამართლოს განსჯადობის მიხედვით არა უგვიანეს 48 საათისა. თუ მომდევნო 24 საათის განმავლობაში სასამართლო არ მიიღებს გადაწყვეტილებას დაპატიმრების ან თავისუფლების სხვაგვარი შეზღუდვის შესახებ, პირი დაუყოვნებლივ უნდა განთავისუფლდეს.
4. დაუშვებელია დაკავებული თუ სხვაგვარად თავისუფლებაშეზღუდული პირის ფიზიკური ან ფსიქიკური იძულება.
5. დაკავებულ ან დაპატიმრებულ პირს დაკა-

ვების ან დაპატიმრებისთანავე უნდა განემარტოს მისი უფლებები და თავისუფლების შეზღუდვის საფუძველი. მას დაკავების ან დაპატიმრებისთანავე შეუძლია მოითხოვოს დამცველის დახმარება, რაც უნდა დაკმაყოფილდეს.
6. დანაშაულის ჩადენაში ეჭვმიტანილის დაკავების ვადა არ უნდა აღემატებოდეს 72 საათს, ხოლო ბრალდებულის წინასწარი პატიმრობა – 9 თვეს.
7. ამ მუხლის მოთხოვნათა დარღვევა ისჯება კანონით. უკანონოდ დაკავებულ ან დაპატიმრებულ პირს აქვს კომპენსაციის მიღების უფლება.

მუხლი 19

1. ყოველ ადამიანს აქვს სიტყვის, აზრის, სინდისის, აღმსარებლობისა და რწმენის თავისუფლება.
2. დაუშვებელია ადამიანის დევნა სიტყვის, აზრის, აღმსარებლობის ან რწმენის გამო, აგრეთვე მისი იძულება გამოთქვას თავისი შეხედულება მათ შესახებ.
3. დაუშვებელია ამ მუხლში ჩამოთვლილ თავისუფლებათა შეზღუდვა, თუ მათი გამოვლინება არ ლახავს სხვათა უფლებებს.

მუხლი 20

1. ყოველი ადამიანის პირადი ცხოვრება, პირადი საქმიანობის ადგილი, პირადი ჩანაწერი, მიმოწერა, საუბარი სატელეფონო და სხვა სახის ტექნიკური საშუალებით, აგრეთვე ტექნიკური საშუალებებით მიღებული შეტყობინებანი ხელშეუხებელია. აღნიშნული უფლებების შეზღუდვა დაიშვება სასამართლოს გადაწყვეტილებით ან მის გარეშეც, კანონით გათვალისწინებული გადაუდებელი აუცილებლობისას.
2. არავის არა აქვს უფლება შევიდეს საცხოვრებელ ბინაში და სხვა მფლობელობაში მფლობელ პირთა ნების საწინააღმდეგოდ, აგრეთვე ჩაატაროს ჩხრეკა, თუ არ არის სასამართლოს გადაწყვეტილება ან კანონით გათვალისწინებული გადაუდებელი აუცილებლობა.

მუხლი 21

1. საკუთრება და მემკვიდრეობის უფლება აღიარებული და უზრუნველყოფილია. დაუშვებელია საკუთრების, მისი შეძენის, გასხვისების ან მემკვიდრეობით მიღების საყოველთაო უფლების გაუქმება.
2. აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის დასაშვებია პირველ პუნქტში აღნიშნულ უფლებათა შეზღუდვა კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში და დადგენილი წესით.
3. აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევა დასაშვებია კანონით პირდაპირ დადგენილ შემთხვევებში, სასამართლოს გადაწყვეტილებით ან ორგანული კანონით დადგენილი გადაუდებელი აუცილებლობისას და მხოლოდ სათანადო ანაზღაურებით.

მუხლი 22

1. ყველას, ვინც კანონიერად იმყოფება საქართველოში, აქვს ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე თავისუფალი მიმოსვლისა და საცხოვრებელი ადგილის თავისუფალი არჩევის უფლება.
2. ყველას, ვინც კანონიერად იმყოფება საქართველოში, შეუძლია თავისუფლად გავიდეს საქართველოდან. საქართველოს მოქალაქეს შეუძლია თავისუფლად შემოვიდეს საქართველოში.
3. ამ უფლებათა შეზღუდვა შეიძლება მხოლოდ კანონის შესაბამისად, დემოკრატიული საზოგადოების არსებობისათვის აუცილებელი სახელმწიფო უშიშროების ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფის, ჯანმრთელობის დაცვის, დანაშაულის თავიდან აცილების ან მართლმსაჯულების განხორციელების მიზნით.

მუხლი 23

1. ინტელექტუალური შემოქმედების თავისუფლება უზრუნველყოფილია. ინტელექტუალური საკუთრების უფლება ხელშეუვალია.
2. შემოქმედებით პროცესში ჩარევა, შემოქმედებითი საქმიანობის სფეროში ცენზურა დაუშვებელია.
3. შემოქმედებითი ნაწარმოების დაყადაღება და გავრცელების აკრძალვა დაუშვებელია, თუ მისი გავრცელება არ ლახავს სხვა ადამიანის კანონიერ უფლებებს.

მუხლი 24

1. ყოველ ადამიანს აქვს უფლება თავისუფლად მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია, გამოთქვას და გაავრცელოს თავისი აზრი ზეპირად, წერილობით ან სხვაგვარი საშუალებით.
2. მასობრივი ინფორმაციის საშუალებები თავისუფალია. ცენზურა დაუშვებელია.
3. სახელმწიფოს ან ცალკეულ პირებს არა აქვთ მასობრივი ინფორმაციის ან მისი გავრცელების საშუალებათა მონოპოლიზაციის უფლება.
4. ამ მუხლის პირველ და მეორე პუნქტებში ჩამოთვლილ უფლებათა განხორციელება შესაძლებელია კანონით შეიზღუდოს ისეთი პირობებით, რომლებიც აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში სახელმწიფო უშიშროების, ტერიტორიალური მთლიანობის ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, დანაშაულის თავიდან ასაცილებლად, სხვათა უფლებებისა და ღირსების დასაცავად, კონფიდენციალურად აღიარებული ინფორმაციის გამჟღავნების თავიდან ასაცილებლად ან სასამართლოს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის უზრუნველსაყოფად.

მუხლი 25

1. ყველას, გარდა იმ პირებისა, რომლებიც არიან სამხედრო ძალების, პოლიციისა და უშიშროების სამსახურის შემადგენლობაში, უფლება აქვს წინასწარი ნებართვის გარეშე შეიკრიბოს საჯაროდ და უიარაღოდ როგორც ჭერქვეშ, ისე გარეთ.
2. კანონით შეიძლება დაწესდეს ხელისუფლების

წინასწარი გაფრთხილების აუცილებლობა, თუ შეკრება ან მანიფესტაცია ხალხისა და ტრანსპორტის სამოძრაო ადგილას იმართება.
3. ხელისუფლებას შეუძლია შეკრების ან მანიფესტაციის შეწყვეტა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მან კანონსაწინააღმდეგო ხასიათი მიიღო.

მუხლი 26

1. ყველას აქვს საზოგადოებრივი გაერთიანებების, მათ შორის პროფესიული კავშირების შექმნისა და მათში გაერთიანების უფლება.
2. საქართველოს მოქალაქეებს უფლება აქვთ ორგანული კანონის შესაბამისად შექმნან პოლიტიკური პარტია, სხვა გაერთიანება და მონაწილეობა მიიღონ მის საქმიანობაში.
3. დაუშვებელია ისეთი საზოგადოებრივი და პოლიტიკური გაერთიანების შექმნა და საქმიანობა, რომლის მიზანია საქართველოს კონსტიტუციური წყობილების დამხობა ან ძალადობით შეცვლა, ქვეყნის დამოუკიდებლობის ხელყოფა, ტერიტორიული მთლიანობის დარღვევა, ან რომელიც ეწევა ომის ან ძალადობის პროპაგანდას, აღვივებს ეროვნულ, კუთხურ, რელიგიურ ან სოციალურ შუღლს.
4. დაუშვებელია საზოგადოებრივ და პოლიტიკურ გაერთიანებათა მიერ შეიარაღებული ფორმირებების შექმნა.
5. პირი, რომელიც ჩაირიცხება სამხედრო ძალების, სახელმწიფო უშიშროების ან შინაგან საქმეთა ორგანოების პირად შემადგენლობაში, გამწესდება მოსამართლედ ან პროკურორად, წყვეტს პოლიტიკური გაერთიანების წევრობას.
6. საზოგადოებრივ და პოლიტიკურ გაერთიანებათა საქმიანობის შეჩერება ან მათი აკრძალვა შეიძლება მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილებით, ორგანული კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში და დადგენილი წესით.

მუხლი 27

სახელმწიფო უფლებამოსილია დააწესოს უცხო ქვეყნის მოქალაქეთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა პოლიტიკური საქმიანობის შეზღუდვა.

მუხლი 28

1. საქართველოს ყოველ მოქალაქეს 18 წლის ასაკიდან აქვს რეფერენდუმში, სახელმწიფო და თვითმმართველობის ორგანოების არჩევნებში მონაწილეობის უფლება. უზრუნველყოფილია ამომრჩეველთა ნების თავისუფალი გამოვლინება.
2. არჩევნებსა და რეფერენდუმში მონაწილეობის უფლება არა აქვს მოქალაქეს, რომელიც სასამართლომ ქმედუუნაროდ ცნო ან სასამართლოს განაჩენით იმყოფება სასჯელის აღსრულების დაწესებულებაში.

მუხლი 29

1. საქართველოს ყოველ მოქალაქეს უფლება აქვს დაიკავოს ნებისმიერი სახელმწიფო თანამდებობა, თუ იგი აკმაყოფილებს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.
2. სახელმწიფო სამსახურის პირობები განისაზღვრება კანონით.

მუხლი 30

1. შრომა თავისუფალია.
2. სახელმწიფო ვალდებულია ხელი შეუწყოს თავისუფალი მეწარმეობისა და კონკურენციის განვითარებას. აკრძალულია მონოპოლიური საქმიანობა, გარდა კანონით დაშვებული შემთხვევებისა. მომხმარებელთა უფლებები დაცულია კანონით.
3. შრომითი ურთიერთობის მომწესრიგებელ საერთაშორისო შეთანხმებათა საფუძველზე სახელმწიფო იცავს საქართველოს მოქალაქეთა შრომით უფლებებს საზღვარგარეთ.
4. შრომითი უფლებების დაცვა, შრომის სამართლიანი ანაზღაურება და უსაფრთხო, ჯანსაღი პირობები, არასრულწლოვანისა და ქალის შრომის პირობები განისაზღვრება კანონით.

მუხლი 31

სახელმწიფო ზრუნავს ქვეყნის მთელი ტერიტორიის თანაბარი სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისათვის. მაღალმთიანი რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური პროგრესის უზრუნველსაყოფად კანონი ადგენს შეღავათებს.

მუხლი 32

სახელმწიფო ხელს უწყობს უმუშევრად დარჩენილ საქართველოს მოქალაქეს დასაქმებაში. საარსებო მინიმუმით უზრუნველყოფის პირობები და უმუშევრის სტატუსი განისაზღვრება კანონით.

მუხლი 33

გაფიცვის უფლება აღიარებულია. ამ უფლების განხორციელების წესი განისაზღვრება კანონით. კანონი ადგენს აგრეთვე სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი სამსახურების საქმიანობის გარანტიებს.

მუხლი 34

1. სახელმწიფო ხელს უწყობს კულტურის განვითარებას, კულტურულ ცხოვრებაში მოქალაქეთა შეუზღუდავ მონაწილეობას, კულტურული თვითმყოფობის გამოვლინებასა და გამდიდრებას, ეროვნულ და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებათა აღიარებას და საერთაშორისო კულტურულ ურთიერთობათა გაღრმავებას.
2. საქართველოს ყოველი მოქალაქე ვალდებულია ზრუნავდეს კულტურული მემკვიდრეობის დაცვა-შენარჩუნებაზე. კულტურულ მემკვიდრეობას სახელმწიფო იცავს კანონით.

მუხლი 35

1. ყველას აქვს განათლების მიღებისა და მისი ფორმის არჩევის უფლება.
2. სახელმწიფო უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისობას საერთაშორისო წესებთან და სტანდარტებთან.

3. სკოლამდელ აღზრდას უზრუნველყოფს სახელმწიფო. დაწყებითი და საბაზო განათლება სავალდებულოა. მოქალაქეებს უფლება აქვთ კანონით დადგენილი წესით და განსაზღვრულ ფარგლებში სახელმწიფო სასწავლებლებში უფასოდ მიიღონ საშუალო, პროფესიული და უმაღლესი განათლება.
4. სახელმწიფო მხარს უჭერს საგანმანათლებლო დაწესებულებებს კანონით დადგენილი წესით.

მუხლი 36

1. ქორწინება ემყარება მეუღლეთა უფლებრივ თანასწორობასა და ნებაყოფლობას.
2. სახელმწიფო ხელს უწყობს ოჯახის კეთილდღეობას.
3. დედათა და ბავშვთა უფლებები დაცულია კანონით.

მუხლი 37

1. ყველას აქვს უფლება ისარგებლოს ჯანმრთელობის დაზღვევით, როგორც ხელმისაწვდომი სამედიცინო დახმარების საშუალებით. კანონით დადგენილი წესით განსაზღვრულ პირობებში უზრუნველყოფილია უფასო სამედიცინო დახმარება.
2. სახელმწიფო აკონტროლებს ჯანმრთელობის დაცვის ყველა დაწესებულებას, სამკურნალო საშუალებათა წარმოებას და ამ საშუალებებით ვაჭრობას.
3. ყველას აქვს უფლება ცხოვრობდეს ჯანმრთელობისათვის უვნებელ გარემოში, სარგებლობდეს ბუნებრივი და კულტურული გარემოთი. ყველა ვალდებულია გაუფრთხილდეს ბუნებრივ და კულტურულ გარემოს.
4. ადამიანის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველსაყოფად, საზოგადოების ეკოლოგიური და ეკონომიკური ინტერესების შესაბამისად, ახლანდელი და მომავალი თაობების ინტერესების გათვალისწინებით სახელმწიფო უზრუნველყოფს გარემოს დაცვასა და რაციონალურ ბუნებათსარგებლობას.
5. ადამიანს უფლება აქვს მიიღოს სრული, ობიექტური და დროული ინფორმაცია მისი სამუშაო და საცხოვრებელი გარემოს მდგომარეობის შესახებ.

მუხლი 38

1. საქართველოს მოქალაქენი თანასწორი არიან სოციალურ, ეკონომიკურ, კულტურულ და პოლიტიკურ ცხოვრებაში განურჩევლად მათი ეროვნული, ეთნიკური, რელიგიური თუ ენობრივი კუთვნილებისა. საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების შესაბამისად მათ უფლება აქვთ თავისუფლად, ყოველგვარი დისკრიმინაციისა და ჩარევის გარეშე განავითარონ თავიანთი კულტურა, ისარგებლონ დედაენით პირად ცხოვრებაში და საჯაროდ.
2. საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების შესაბამისად, უმცირესობათა უფლებების განხორციელება არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს საქართველოს სუვერენიტეტს, სახელმწიფო წყობილებას, ტერიტორიულ მთლიანობასა და პოლიტიკურ დამოუკიდებლობას.

მუხლი 39

საქართველოს კონსტიტუცია არ უარყოფს ადამიანისა და მოქალაქის სხვა საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებს, თავისუფლებებსა და გარანტიებს, რომლებიც აქ არ არის მოხსენიებული, მაგრამ თავისთავად გამომდინარეობენ კონსტიტუციის პრინციპებიდან.

მუხლი 40

1. ადამიანი უდანაშაულოდ ითვლება, ვიდრე მისი დამნაშავეობა არ დამტკიცდება კანონით დადგენილი წესით და კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენით.
2. არავინ არ არის ვალდებული ამტკიცოს თავისი უდანაშაულობა. ბრალდების მტკიცების მოვალეობა ეკისრება ბრალმდებელს.
3. დადგენილება ბრალდებულის სახით პირის პასუხისგებაში მიცემის შესახებ, საბრალდებო დასკვნა და გამამტყუნებელი განაჩენი უნდა ემყარებოდეს მხოლოდ უტყუარ მტკიცებულებებს. ყოველგვარი ეჭვი, რომელიც ვერ დადასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს ბრალდებულის სასარგებლოდ.

მუხლი 41

1. საქართველოს ყოველ მოქალაქეს უფლება აქვს კანონით დადგენილი წესით გაეცნოს სახელმწიფო დაწესებულებებში მასზე არსებულ ინფორმაციას, აგრეთვე იქ არსებულ ოფიციალურ დოკუმენტებს, თუ ისინი არ შეიცავენ სახელმწიფო, პროფესიულ ან კომერციულ საიდუმლოებას.
2. ოფიციალურ ჩანაწერებში არსებული ინფორმაცია, რომელიც დაკავშირებულია ადამიანის ჯანმრთელობასთან, მის ფინანსებთან ან სხვა კერძო საკითხებთან, არავისთვის არ უნდა იყოს ხელმისაწვდომი თვით ამ ადამიანის თანხმობის გარეშე, გარდა კანონით დადგენილი შემთხვევებისა, როდესაც ეს აუცილებელია სახელმწიფო უშიშროების ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, ჯანმრთელობის, სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად.

მუხლი 42

1. ყოველ ადამიანს უფლება აქვს თავის უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად მიმართოს სასამართლოს.
2. ყოველი პირი უნდა განსაჯოს მხოლოდ იმ სასამართლომ, რომლის იურისდიქციასაც ექვემდებარება მისი საქმე.
3. დაცვის უფლება გარანტირებულია.
4. არავის არ შეიძლება განმეორებით დაედოს მსჯავრი ერთი და იმავე დანაშაულისათვის.

5. არავინ არ აგებს პასუხს იმ ქმედობისათვის, რომელიც მისი ჩადენის დროს სამართალდარღვევად არ ითვლებოდა. კანონს, თუ ის არ ამსუბუქებს ან არ აუქმებს პასუხისმგებლობას, უკუძალა არა აქვს.
6. ბრალდებულს უფლება აქვს მოითხოვოს თავისი მოწმეების ისეთსავე პირობებში გამოძახება და დაკითხვა, როგორიც აქვთ ბრალდების მოწმეებს.
7. კანონის დარღვევით მოპოვებულ მტკიცებულებას იურიდიული ძალა არა აქვს.
8. არავინ არ არის ვალდებული მისცეს თავისი ან იმ ახლობელთა საწინააღმდეგო ჩვენება, რომელთა წრეც განისაზღვრება კანონით.
9. ყველასთვის გარანტირებულია სახელმწიფო და თვითმმართველობის ორგანოთა და მოსამსახურეთაგან უკანონოდ მიყენებული ზარალის სასამართლო წესით სრული ანაზღაურება სახელმწიფო სახსრებიდან.

მუხლი 43

1. საქართველოს ტერიტორიაზე ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვას ზედამხედველობას უწევს საქართველოს სახალხო დამცველი, რომელსაც 5 წლის ვადით სრული შემადგენლობის უმრავლესობით ირჩევს საქართველოს პარლამენტი.
2. სახალხო დამცველი უფლებამოსილია გამოავლინოს ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დარღვევის ფაქტები, შეატყობინოს ამის შესახებ შესაბამის ორგანოებსა და პირებს. სახალხო დამცველის საქმიანობისათვის დაბრკოლებათა შექმნა ისჯება კანონით.
3. სახალხო დამცველის უფლებამოსილება განისაზღვრება ორგანული კანონით.

მუხლი 44

1. საქართველოში მცხოვრები ყოველი პირი ვალდებულია ასრულებდეს საქართველოს კონსტიტუციისა და კანონმდებლობის მოთხოვნებს.
2. ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა განხორციელებამ არ უნდა დაარღვიოს სხვათა უფლებები და თავისუფლებები.

მუხლი 45

კონსტიტუციაში მითითებული ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, მათი შინაარსის გათვალისწინებით, ვრცელდება აგრეთვე იურიდიულ პირებზე.

მუხლი 46

1. საგანგებო ან საომარი მდგომარეობის დროს საქართველოს პრეზიდენტს უფლება აქვს ქვეყანაში ან მის რომელიმე ნაწილში შეზღუდოს კონსტიტუციის მე-18, მე-20, 21-ე, 22-ე, 24-ე, 25-ე, 30-ე, 33-ე და 41-ე მუხლებში ჩამოთვლილი უფლებანი და თავისუფლებანი. საქართველოს პრეზიდენტი ვალდებულია არა უგვიანეს 48 საათისა ეს გადაწყვეტილება შეიტანოს პარლამენტში დასამტკიცებლად.
2. თუ ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე შემოღებულია საგანგებო ან საომარი მდგომარეობა, საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს პარლამენტის, სხვა წარმომადგენლობით ორგანოთა არჩევნები ტარდება ამ მდგომარეობის გაუქმების შემდეგ. ქვეყნის რომელიმე ნაწილში საგანგებო მდგომარეობის შემოღების შემთხვევაში ქვეყნის დანარჩენ ტერიტორიაზე არჩევნების ჩატარების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს საქართველოს პარლამენტი.

მუხლი 47

1. საქართველოში მცხოვრებ უცხოელ მოქალაქეებს და მოქალაქეობის არმქონე პირებს საქართველოს მოქალაქის თანაბარი უფლებანი და მოვალეობანი აქვთ, გარდა კონსტიტუციითა და კანონით გათვალისწინებული გამონაკლისებისა.
2. საყოველთაოდ აღიარებული საერთაშორისო სამართლის ნორმების შესაბამისად, კანონით დადგენილი წესით, საქართველო თავშესაფარს აძლევს უცხოელ მოქალაქეებსა და მოქალაქეობის არმქონე პირებს.
3. დაუშვებელია სხვა სახელმწიფოს გადაეცეს შემოხიზნული პირი, რომელსაც დევნიან პოლიტიკური მრწამსისათვის, ან იმ ქმედობისათვის, რომელიც საქართველოს კანონმდებლობით დანაშაულად არ ითვლება.

დანართი VბB. გარემოსდაცვითი დარღვევები და მათზე დაწესებული სახდელი და სასჯელი საქართველოში

დარღვევა	პირობა	სახდელი–სასჯელი									მუხლი	
		ძირითადი						დამატებითი				
		გაფრთხილება	ჯარიმა	გამასწ. საფუძვლები	თავისუფლების შეზღუდვა	თავისუფლების აღკვეთა	ტუსაღობა	საქმიანობის ან თანამდებობის დაკავების უფლების ჩამორთმევა	იარაღის ჩამორთმევა	მოტოციკლეტის კონფისკაცია	ასკ[176]	სსკ[177]
			ლარი	წელი	წელი	წელი	თვე					
სამრეწველო ობიექტების საქმიანობა												
გარემოს დაცვის კანონმდებლობით დადგენილი ნორმების დარღვევა			20-80								69	
	ჩადენილი იმ პირის მიერ, რომელსაც წლის განმავლობაში შეეფარდა ადმინისტრაციული სახდელი ამ მუხლით გათვალისწინებული დარღვევისათვის		60-120								69	
პრივატიზების პროცესში გარემოსდაცვითი მოთხოვნების დარღვევა			50-300								69[1]	
გარემოსდაცვითი საქმიანობის ლიცენზირების წესის დარღვევა			100-300								69[2]	
გარემოზე მავნე ზემოქმედებისათვის ლიცენზირების წესის დარღვევა			100-350								69[3]	
გარემოსდაცვითი მოთხოვნების დარღვევა სამეურნეო ობიექტის ლიკვიდაციისას			200-400								69[5]	
გარემოსდაცვითი მოთხოვნების დარღვევა სამეურნეო ობიექტის ექსპლუატაციაში გადაცემისას			300-500								69[4]	
სამრეწველო, სასოფლოსამეურნეო, სამეცნიერო ან სხვა ობიექტის დაპროექტების, განლაგების, რეკონსტრუქციის, მშენებლობის, საექსპლუატაციოდ გადაცემის ან ექსპლუატაციის დროს გარემოს დაცვის წესის დარღვევა	გამოიწვია რადიაციული ფონის არსებითი გაუარესება, ადამიანის ჯანმრთელობის დაზიანება, ცხოველთა ან მცენარეული სამყაროს მასობრივი განადგურება ან სხვა მძიმე შედეგი		?			≤5		±≤3				287
გარემოსდაცვითი ნებართვის გაცემის პროცედურით გათვალისწინებულ მოთხოვნათა დარღვევა			40-80								79	
მეოთხე კატეგორიის საქმიანობის განხორციელება გარემოსდაცვით ნებართვაში მითითებული პირობების დარღვევით			200-300								79[2]	
მესამე კატეგორიის საქმიანობის განხორციელება გარემოსდაცვით ნებართვაში მითითებული პირობების დარღვევით			300-500								79[2]	

[176] საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი
[177] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი პირობითი აღნიშვნები: ≤ ნაკლები ან ტოლი, ± ამით ან უამისოდ
[178] S-ით აღნიშნულია შრომის ანაზღაურების მინიმალური ოდენობა. 2004 წლის დასაწყისისათვის S=1,5ლარს

დარღვევა	პირობა	სახდელი-სასჯელი									მუხლი	
		ძირითადი						დამატებითი				
		გაფრთხილება	ჯარიმა	გამასწ. საგუბარები	თავისუფლების შეზღუდვა	თავისუფლების აღკვეთა	ტუსაღობა	საქმიანობის ან თანამდებობის დაკავების უფლების ჩამორთმევა	იარაღის ჩამორთმევა	მოკრივეობულის კონფისკაცია	ასკ	სსკ
			ლარი	ნელი	ნელი	ნელი	თვე					
მეორე კატეგორიის საქმიანობის განხორციელება გარემოსდაცვით ნებართვაში მითითებული პირობების დარღვევით			800-1000								79[2]	
პირველ კატეგორიის საქმიანობის განხორციელება გარემოსდაცვით ნებართვაში მითითებული პირობების დარღვევით			1500-2000								79[2]	
მეოთხე კატეგორიის საქმიანობის განხორციელება გარემოსდაცვითი ნებართვის გარეშე			100-500								79[1]	
	ჩადენილი იმ პირის მიერ, რომელსაც წლის განმავლობაში ასეთივე დარღვევისათვის შეეფარდა ადმინისტრაციული სახდელი		200-600								79[1]	
მესამე კატეგორიის საქმიანობის განხორციელება გარემოსდაცვითი ნებართვის გარეშე			500-1000								79[1]	
	ჩადენილი იმ პირის მიერ, რომელსაც წლის განმავლობაში ასეთივე დარღვევისათვის შეეფარდა ადმინისტრაციული სახდელი		1000-1500								79[1]	
მეორე კატეგორიის საქმიანობის განხორციელება გარემოსდაცვითი ნებართვის გარეშე			1000-3000								79[1]	
	ჩადენილი იმ პირის მიერ, რომელსაც წლის განმავლობაში ასეთივე დარღვევისათვის შეეფარდა ადმინისტრაციული სახდელი		2000-5000								79[1]	
პირველ კატეგორიის საქმიანობის განხორციელება გარემოსდაცვითი ნებართვის გარეშე			?	≤2		≤3						306
ნარჩენები, ქიმიური ნივთიერებები												
ქიმიურ საშუალებათა (მათ შორის, მცენარეთა დაცვის და ნიადაგის განოყიერების ქიმიურ საშუალებათა) გარემოში გამოყენების ნორმებისა და ამ ქიმიურ საშუალებათა ტრანსპორტირების, შენახვისა და გამოყენების წესების დარღვევა	რამაც ზიანი მიაყენა ცხოველთა სამყაროს და მათ საბინადრო გარემოს		150-200								85[1]	
ტოქსიკური, ბაქტერიოლოგიური, ქიმიური ან გარემოსათვის საშიში სხვა ნივთიერებისადმი ან ნარჩენისადმი მოპყრობის წესის დარღვევა მისი წარმოების, ტრანსპორტირების, განთავსების, შენახვის, ჩამარხვის ან გამოყენების დროს	შეეძლო გამოეწვია ადამიანის ჯანმრთელობის ან გარემოს არსებითი დაზიანება ან სხვა მძიმე შედეგი		?			≤2						288
	გამოიწვია გარემოს დაბინძურება, მოწამვლა ან დასნებოვნება, ან ადამიანის ჯანმრთელობის დაზიანება, ანდა ცხოველთა ან მცენარეული სამყაროს მასობრივი განადგურება					3-5						288
	ჩადენილი საგანგებო ეკოლოგიური მდგომარეობის დროს ან ეკოლოგიური უბედურების ზონაში					3-5						288
	გამოიწვია ადამიანის სიცოცხლის მოსპობა ან ადამიანთა მასობრივი დაავადება					≤8						288

დარღვევა	პირობა												

დარღვევა	პირობა		სახდელი-სასჯელი									მუხლი	
			ძირითადი					დამატებითი					
		გაფრთხილება	ჯარიმა	გამაფრ. საფუძლები	თავისუფლების შეზღუდვა	თავისუფლების აღკვეთა	ტუსაღობა	საქმიანობის ან თანამდებობის დაკავების უფლების ჩამორთმევა	იარაღის ჩამორთმევა	მოტორიანი კატეგორიის	ასკ	სსკ
			ლარი	ნელი	ნელი	ნელი	თვე						
წიაღით სარგებლობის ობიექტების განლაგების ფართობების თვითნებურად განაშენიანება, წიაღის დაცვის, წიაღით სარგებლობასთან დაკავშირებულ სამუშაოთა მავნე გავლენისაგან ბუნებრივი გარემოს, შენობებისა და ნაგებობების დაცვის მოთხოვნების შეუსრულებლობა, სასარგებლო წიაღისეულის მომპოვებელი საწარმოს სხვადასხვა დანიშნულების მიწისქვეშა ნაგებობების ლიკვიდაციისა და კონსერვაცის, მიწის მინაკუთვნის ფარგლებში ნიადაგის რეკულტივაციის წესების და ნორმების დარღვევა			50S-150S								56	
წიაღით სარგებლობის ნორმების, აგრეთვე წიაღით სარგებლობის უსაფრთხოების წესებისა და ნორმების დარღვევა			70S-100S								57[2]	
სამთომოპოვებითი საწარმოს ან მიწისქვეშა ნაგებობის დაპროექტების, განლაგების, რეკონსტრუქციის, ლიკვიდაციის, საექსპლუატაციოდ გადაცემის ან ექსპლუატაციის დროს წიაღისეულის გამოყენების ან დაცვის წესის დარღვევა, აგრეთვე თვითნებური მშენებლობა სასარგებლო წიაღისეულის განლაგების ადგილას	გამოიწვია მნიშვნელოვანი ზიანი		?	≤2				≤3				298
საქართველოს კონტინენტური შელფის ან განსაკუთრებული ეკონომიკური ზონის სათანადო ნებართვის გარეშე გამოკვლევა ან დაზვერვა ანდა მისი ბუნებრივი სიმდიდრის დამუშავება	ასეთივე დარღვევისათვის ადმინისტრაციული სახდელის დადების შემდეგ		?	≤2				≤3				296
წიაღით უკანონოდ სარგებლობა	გამოიწვია მნიშვნელოვანი ზიანი		?	≤1								299
	ჩადენილი არაერთგზის		?	≤2		≤2						299
წყლის დაცვა (წყალაღება)												
სპეციალური წყალსარგებლობის უფლების შეზღუდვის, შეჩერების ან შეწყვეტის წესების დარღვევა			10-50								60[1]	
თევზის მეურნეობისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე წყლის ობიექტებისა და მათი ცალკეული უბნების ფარგლებში წყალსარგებლობის შეზღუდვის პირობების დარღვევა			10-50								60[1]	
განსაკუთრებულ შემთხვევებში წყალმოსარგებლეთა უფლებების შეზღუდვის პირობების დარღვევა			50-150								60[1]	
წყალსამეურნეო და წყალდამცავი ნაგებობებისა და მოწყობილობების დაზიანება, მათი ექსპლუატაციის წესების დარღვევა			100-200								61	
	ჩადენილი განმეორებით		150-250								61	
ზედაპირული წყლის ობიექტებიდან წყლის ამოღების ლიცენზიის გაცემაზე კონკურსის და აუქციონის ჩატარების ვადის, წესისა და პირობების დარღვევა			50-250								60[2]	
წყლის პირველადი აღრიცხვის წარმოების წესის დარღვევა, წყლის და მისი გამოყენების სახელმწიფო აღრიცხვისა და კადასტრის შედგენისათვის საჭირო მონაცემების წარდგენის წესის დარღვევა			50-100								61[1]	
წყლის და მისი გამოყენების სახელმწიფო აღრიცხვისა და სახელმწიფო კადასტრის წარმოების წესის დარღვევა			100-150								61[1]	

დარღვევა	პირობა		სახდელი–სასჯელი									მუხლი	
			ძირითადი						დამატებითი				
		გაფრთხილება	ჯარიმა	გამასწ. საქმიანობა	თავისუფლების შეზღუდვა	თავისუფლების აღკვეთა	ტუსაღობა	საქმიანობის ან თანამდებობის დაკავების უფლების ჩამორთმევა	იარაღის ჩამორთმევა	ფიზიკური პირების კონფისკაცია	ასპ	სსკ
			ლარი	წელი	წელი	წელი	თვე					
მოსახლეობის სასმელი და საყოფაცხოვრებო დანიშნულებისათვის საერთო წყალსარგებლობის წესების დარღვევა			100-300								60	
	ჩადენილი განმეორებით		200-500								60	
სპეციალური წყალსარგებლობა შესაბამისი ლიცენზიის გარეშე, ან ლიცენზიის პირობების დარღვევით			50-150								60	
	ჩადენილი განმეორებით		200-500								60	
განსაკუთრებული სამეცნიერო და ესთეტიკური მნიშვნელობის ზედაპირული წყლის ობიექტებით უკანონო სარგებლობა			150-250								60	
წყლის თვითნებური მიტაცება ან ჰიდროტექნიკურ სამუშაოთა თვითნებური წარმოება საერთო სარგებლობის ქსელზე, აგრეთვე წყლით სარგებლობის წესის სხვა დარღვევა	გამოიწვია მნიშვნელოვანი ზიანი		?	≤1				±≤3				291
წყლის დაცვა (დაბინძურებისაგან)												
წყლის ობიექტების დაბინძურება, დანაგვიანება, წყლის ობიექტებში საწარმოო, საყოფაცხოვრებო ნარჩენებისა და სხვაგვარი ნაყარის ჩაყრა	იწვევს ნიადაგის წყლისმიერ ეროზიას და სხვა მავნე მოვლენებს		50-150								58	
	ჩადენილი განმეორებით		200-500								58	
წყლის ობიექტებში ჩამდინარე წყლების ჩაშვების ლიცენზიის გაცემაზე კონკურსის და აუქციონის ჩატარების ვადის, წესისა და პირობების დარღვევა			100-300								60[2]	
სასმელი და საყოფაცხოვრებო დანიშნულების წყლის ობიექტების დაცვის რეჟიმის დარღვევა, სასმელი და საყოფაცხოვრებო წყალმომარაგების და სამკურნალო დანიშნულების წყლის ობიექტებში სამრეწველო, კომუნალურ-საყოფაცხოვრებო, სადრენაჟო და სხვა ჩამდინარე წყლების ჩაშვება			100-400								58	
	ჩადენილი განმეორებით		200-500								58	
ისეთი სამეურნეო, კომუნალური და სხვა ობიექტების საექსპლუატაციოდ გადაცემა, რომლებიც აღჭურვილი არ არიან წყლის დაბინძურების, დანაგვიანებისა და მათი მავნე ზემოქმედების თავიდან ასაცილებლად საჭირო ნაგებობებითა და მოწყობილობებით			200-300								58	
	ჩადენილი განმეორებით		200-500								58	

დარღვევა	პირობა	სახდელი-სასჯელი									მუხლი	
		ძირითადი						დამატებითი				
		გაფრთხილება	ჯარიმა	გამაფრ. საფუძველი	თავისუფლების შეზღუდვა	თავისუფლების აღკვეთა	ტუსაღობა	საქმიანობის ან თანამდებობის დაკავების უფლების ჩამორთმევა	იარაღის ჩამორთმევა	მოკრივეობის კონფისკაცია	ასკ	სსკ
			ლარი	წელი	წელი	წელი	თვე					
წყლის ტრანსპორტიდან, მილსადენებიდან,წყლის ობიექტებზე არსებული მცურავი და სხვა ნაგებობებიდან, ხე-ტყის დაცურებისას წყლის დაბინძურება ან დანაგვიანება ზეთის, მერქნის, ქიმიური, ნავთობის, მინერალური და ორგანული სასუქების და შხამქიმიკატების დანაკარგებით, აგრეთვე ტივად შეუკრავი ხე-ტყის დაცურება			50-250								58	
	ჩადენილი განმეორებით		200-500								58	
წყლის ობიექტში საწარმოო, საყოფაცხოვრებო და სხვაგვარი ჩამდინარე წყლის ჩაშვება შესაბამისი ლიცენზიის გარეშე ან ლიცენზიით დადგენილი წყლის დაცვის პირობების დარღვევით, წყლის მდგომარეობის ხარისხობრივი ნორმების, წყლის ობიექტებში ნივთიერებათა (მათ შორის მიკროორგანიზმების) ემისიის (ჩაშვების) ზღვრულად დასაშვები ნორმებისა და წყლის ობიექტების დატვირთვის ნორმების დარღვევა			150-350								60	
	ჩადენილი განმეორებით		200-500								60	
წყალშემკრებზე წყლის დაცვის რეჟიმის დარღვევა	იწვევს წყლის დაბინძურებას, ნიადაგის წყლისმიერ ეროზიას და სხვა მავნე მოვლენებს		≤100								60^3	
სასმელად, საყოფაცხოვრებო დანიშნულებით წყალმომარაგებისათვის, სამკურნალოდ და საკურორტო საჭიროებისათვის განკუთვნილი სანიტარული დაცვის ზონებსა და წყალდაცვით ზოლებში სამეურნეო საქმიანობის კანონით დადგენილი რეჟიმის დარღვევა			50-200								60^3	
	ჩადენილი მკაცრი რეჟიმის ზონაში		100-250								60^3	
წყლის ობიექტის დაბინძურება, დანაგვიანება, დაშრეტა ან მასზე სხვა ისეთი უარყოფითი ზემოქმედება	შეიძლება დააზიანოს მოსახლეობის ჯანმრთელობა, შეამციროს თევზის მარაგი, გააუარესოს წყალმომარაგების პირობები, გამოიწვიოს წყლის ფიზიკური, ქიმიური, ბიოლოგიური თვისებების გაუარესება, ბუნებრივი თვითგანმენდის უნარის დაქვეითება, ჰიდროლოგიური და ჰიდროგეოლოგიური რეჟიმის დარღვევა		?	≤1		≤1		±≤3				292
	გამოიწვია ადამიანის ჯანმრთელობის დაზიანება, ანდა ცხოველთა ან მცენარეული სამყაროს მასობრივი განადგურება		?	≤2		≤3						292

| | | |

დარღვევა	პირობა	სახლელი-სასჯელი									მუხლი	
		ძირითადი						დამატებითი				
		გაფრთხილება	ჯარიმა	გამასწ. საქმიანობა	თავისუფლების შეზღუდვა	თავისუფლების აღკვეთა	ტუსაღობა	საქმიანობის ან თანამდებობის დაკავების უფლების ჩამორთმევა	იარაღის ჩამორთმევა	მოგზაურობის კონფისკაცია	ასპ	სსკ
			ლარი	წელი	წელი	წელი	თვე					
ატმოსფეროში გამაჭუჭყიანებელ ნივთიერებათა გაფრქვევა სპეციალურად საამისოდ უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოების ნებართვის გარეშე, როდესაც ასეთი ნებართვის მიღება აუცილებელია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად		+	50S-100S								77	
ატმოსფერულ ჰაერზე მავნე ფიზიკური ზემოქმედება საამისოდ სპეციალურად უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოების ნებართვის გარეშე, როდესაც ასეთი ნებართვის მიღება აუცილებელია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად		+	50S-100S								77	
მავნე ნივთიერების ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევის ანდა გამწმენდი დანადგარის, ნაგებობის ან სხვა ობიექტის ექსპლუატაციის წესის დარღვევა	გამოიწვია ატმოსფერული ჰაერის ხარისხის მნიშვნელოვანი გაუარესება		?	≤1		≤2	≤3	±≤3				295
	გამოიწვია ადამიანის ჯანმრთელობის დაზიანება		?	1-2		≤2						295
	გამოიწვია ადამიანის სიცოცხლის მოსპობა					2-5						295
ტყის დაცვა (მოვლა, დაგეგმვა)												
სახელმწიფო სამეურნეო ტყის ფონდის უბნისათვის დაცვის განსაკუთრებული რეჟიმის მიკუთვნების წესის დარღვევა			50-150								75	
სახელმწიფო ტყისა და სახელმწიფო ტყის ფონდის მიწების საზღვრების დადგენისა და შეცვლის, სახელმწიფო სამეურნეო ტყის ფონდის საზღვრების დადგენის ან სახელმწიფო ტყის ფონდისაგან ადგილობრივი ტყის ფონდის გამიჯვნის წესებისა და მოთხოვნების დარღვევა			50-150								72	
სახელმწიფო ტყის ფონდის აღრიცხვის წესის ან სახელმწიფო ტყის ფონდის დაცული ტერიტორიების აღრიცხვის სისტემის განსაკუთრებულ მოთხოვნათა დარღვევა			50-150								72[1]	
სახელმწიფო ტყისა და სახელმწიფო ტყის ფონდის მიწების სამეურნეო მიზნით გამოყოფისა და ტყითმოსარგელეთათვის გადაცემისას კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების დარღვევა			70-120								62	
ტყითსარგებლობის დაგეგმვის მოთხოვნათა დარღვევა			70-200								72[1]	
ტყეებში სამიჯნე ნიშნების მოსპობა და დაზიანება			≤10								74	
სახელმწიფო ტყის ფონდის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების დაზიანება			≤10								68	
სახელმწიფო ტყის ფონდის მიწებზე არსებული ტყის დასაშრობი თხრილების, სადრენაჟო სისტემებისა და გზების მოსპობა ან დაზიანება			50-150								73	
ტყის დაცვის ან სახელმწიფო ტყის ფონდის მოვლის, აღდგენის ან გაშენების, ან სახელმწიფო ტყის ფონდის აღდგენისა და გაშენების მიზნით მცენარეთა სახეობების შერჩევისა და მათი გამოყენების წესებისა და მოთხოვნების დარღვევა			20-50								67	
ტყის დაცვის მიზნით ბიოლოგიური, ქიმიური ან სელექციური საშუალებების გამოყენების მოთხოვნათა დარღვევა			30-150								67	

დარღვევა	პირობა		სახდელი-სასჯელი									მუხლი	
			ძირითადი						დამატებითი				
		გაფრთხილება	ჯარიმა	გამაფრ. საფუძველი	თავისუფლების შეზღუდვა	თავისუფლების აღკვეთა	ტუსაღობა	საქმიანობის ან თანამდებობის დაკავების უფლების ჩამორთმევა	იარაღის ჩამორთმევა	მოკალთავეების კონფისკაცია	ასკ	სსკ
			ლარი	წელი	წელი	წელი	თვე					
ტყის დაცვა (დაბინძურებისგან, ცეცხლისაგან)													
სახელმწიფო ტყის ფონდის მიწებზე ტყის დაზიანება რადიაქტიური, ბაქტერიოლოგიური, ქიმიური ან სხვა მავნე ნივთიერებებით, რადიაქტიური, სამრეწველო, საყოფაცხოვრებო ან სხვა სახის ნარჩენებით, სამრეწველო, საყოფაცხოვრებო ან სხვაგვარი ჩამდინარე წყლებით, აგრეთვე მავნე ნივთიერებათა გამონაფრქვევებით	მოსდევს ტყის გახმობა ან დაავადება		≤50							71		
ტყის ან ნარგავის დაბინძურება მავნე ნივთიერებით			?	≤2		≤2						304
ტყეებში სახანძრო უსაფრთხოების ან ტყის ხანძრისაგან დაცვის ღონისძიებათა დაგეგმვისა და განხორციელების მოთხოვნათა დარღვევა			50-150								76	
ტყის მოსპობა ან დაზიანება ცეცხლის წაკიდების ან ცეცხლისადმი დაუდევრად მოპყრობის შედეგად, აგრეთვე ტყეებში სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნათა დარღვევა	მოჰყვა ტყეში ხანძრის გაჩენა ან მისი გავრცელება გარკვეულ ფართობზე		100-200							76		
ტყის ან ნარგავის დაზიანება ან განადგურება ცეცხლთან ან მომეტებული საფრთხის წყაროსთან გაუფრთხილებელი მოპყრობით			?	≤2		≤2						304
ტყის ან ნარგავის დაზიანება ან განადგურება ცეცხლის წაკიდებით, აფეთქებით ან სხვა საყოველთაოდ საშიში საშუალებით						4-8						304
ტყითსარგებლობა												
სატყეო-სამეურნეო ღონისძიებებისა და ტყითსარგებლობის განხორციელების რეჟიმის დარღვევა სახელმწიფო სახელმწიფო სამეურნეო ტყის ფონდის ნიადაგდაცვიტი და წყალმარეგულირებელი ტყის იმ უბნის ტერიტორიაზე, რომელსაც მიკუთვნებული აქვს დაცვის განსაკუთრებული რეჟიმი			70-150								75	
სახელმწიფო სამეურნეო ტყის ფონდის განსაკუთრებული ფუნქციური დანიშნულების ან ლანდშაფტური უბნის ტერიტორიაზე მეურნეობის წარმოების რეჟიმის დარღვევა			70-150								75	
სატყეო პლანტაციური მეურნეობის წარმოების, სახელმწიფო ტყითა და სახელმწიფო ტყის ფონდის სატყეო, სპეციალური დანიშნულებისა და გამოუყენებელი მიწებით სასოფლო-სამეურნეო მიზნით სარგებლობის, სახელმწიფო ტყის ფონდით სპეციალური მიზნით სარგებლობის, სახელმწიფო ტყის ფონდის ტერიტორიაზე სამეცნიერო-კვლევითი და სასწავლო ღონისძიებების განხორციელების კანონმდებლობით დადგენილი წესებისა და მოთხოვნების დარღვევა			50-150								65	
საკურორტო, რეკრეაციული, სპორტული და სხვა კულტურულ-გამაჯანსაღებელი, სამონადირეო მეურნეობის მოწყობის მიზნით სახელმწიფო ტყის ფონდით სარგებლობის კანონმდებლობით დადგენილი წესებისა და მოთხოვნების დარღვევა			50-150								65	
ტყის მერქნიანი მცენარეების პროდუქტებისა და ხის მეორეხარისხოვანი მასალების დამზადების, სახელმწიფო ტყის ფონდის არამერქნული რესურსებით სარგებლობის კანონმდებლობით დადგენილი წესებისა და მოთხოვნების დარღვევა			50-150								65	

დარღვევა	პირობა	სახდელი–სასჯელი									მუხლი	
		ძირითადი						დამატებითი				
		გაფრთხილება	ჯარიმა	გამასწ. საქმიანობა	თავისუფლების შეზღუდვა	თავისუფლების აღკვეთა	ტუსაღობა	საქმიანობის ან თანამდებობის დაკავების უფლების ჩამორთმევა	იარაღის ჩამორთმევა	ფიზიკური კონფისკაცია	ასკ	სსკ
			ლარი	წელი	წელი	წელი	თვე					
სახელმწიფო სამეურნეო ტყის ფონდის დაცვის განსაკუთრებული რეჟიმის პირობების უბნებში სატყეო-სამეურნეო ღონისძიებების განხორციელების წესის დარღვევა			50-150								75	
ტყითსარგებლობა და სატყეო-სამეურნეო სამუშაოების წარმოება ტყითმოწყობის ან სპეციალური გამოკვლევის კანონმდებლობით დადგენილი წესით დამტკიცებული დოკუმენტაციის გარეშე			70-200								72[1]	
ტყითსარგებლობის უფლების შეზღუდვის, შეჩერების ან შეწყვეტის წესის დარღვევა			50-100								65[1]	
სახელმწიფო ტყის ფონდის მიჩენილი უბნის გამოყოფის ან ამ უბნის ტერიტორიაზე ტყითსარგებლობის, მისი შეზღუდვის, შეჩერების ან აკრძალვის წესის დარღვევა			70-100								65[1]	
ტყითსარგებლობის ლიცენზიის გაცემისა და ხელშეკრულების დადების მიზნით ტენდერისა და აუქციონის ჩატარების წესის დარღვევა			50-150								65[2]	
ტყითსარგებლობა ტყითსარგებლობის ლიცენზიის, ხელშეკრულების ან ბილეთის გარეშე, ან ტყითსარგებლობის ლიცენზიაში, ხელშეკრულებაში ან ბილეთში მითითებულ პირობათა დარღვევით			40-200								66	
სახელმწიფო ტყის ფონდის მიჩენილი უბნის არამიზნობრივი გამოყენება			100-200								66[1]	
საანგარიშო ტყეკაფის დადგენის, ტყეკაფის გამოყოფის, ხე-ტყის ზეზეურად გაცემის, მთავარი სარგებლობის, მოვლითი ჭრისა და სპეციალური ჭრის წესების დარღვევა			50-200								63	
	ჩადენილი სახელმწიფო ტყის ფონდის მიწების 30-დან 35 გრადუსამდე დაქანების ფერდობებზე		50-250								63	
სახელმწიფო ტყის ფონდის მიწებზე ტყის კულტურების ტყის სანერგეებსა და პლანტაციებში ნათესების ან ნერგების მოსპობა ან დაზიანება			100-200								64	
ხე-ბუჩქნარის უკანონოდ გაჩეხვა	გამოიწვია მნიშვნელოვანი ზიანი		?	≤1		≤3						303
	გამოიწვია მნიშვნელოვანი ზიანი, ჩადენილი არაერთგზის		?	≤2		≤4						303
გარეული ცხოველები, თევზები, იშვიათი მცენარეები												
ცხოველთა სამყაროს ობიექტებით ვაჭრობის წესების დარღვევა			≤30							±	85[4]	
მაღალმთიან რეგიონებში იმ სუბალპური და ალპური მცენარეულობის მოპოვება, რომლის საწვავად და სხვა მიზნით მოხმარება აკრძალულია			30-50								51[5]	
გარეულ ცხოველთა ზოოლოგიური კოლექციების (ზოოპარკების, ზოობაღების, ოკეანარიუმების, საქართველოს „წითელ ნუსხაში“ შეტანილ, გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფ სახეობათა გენოფონდის რეზერვატების) გარემოდან გარეულ ცხოველთა ამოღების გზით შექმნისა და შევსების წესების დარღვევა			20-150								85[2]	

| დარღვევა | | სანქციები–სასჯელი | | |

დარღვევა	პირობა	სახდელი-სასჯელი									მუხლი	
		ძირითადი						დამატებითი				
		გაფრთხილება	ჯარიმა	გამასწ. საქმიანობა	თავისუფლების შეზღუდვა	თავისუფლების აღკვეთა	ტუსაღობა	საქმიანობის ან თანადგომის დაკავების უფლების ჩამორთმევა	იარაღის ჩამორთმევა	მოგზაურობის კონფისკაცია	ასპ	სსკ
			ლარი	წელი	წელი	წელი	თვე					
გარეული ცხოველების, თევზების, იშვიათი მცენარეების დაცვა												
თევზის ან წყლის სხვა ცოცხალი ორგანიზმის უკანონოდ მოპოვება საქართველოს კონტინენტურ შელფზე, ტერიტორიულ წყლებში, განსაკუთრებულ ეკონომიკურ ზონაში ან შიდა წყლებში თევზსარეწი იარაღით ან მექანიკური სატრანსპორტო საშუალებით, ელექტროდენით ან სხვა აკრძალული იარაღით, ასაფეთქებელი ან მომწამლავი ნივთიერებით ანდა თევზის ან წყლის სხვა ცოცხალი ორგანიზმის მასობრივი განადგურების სხვა საშუალებით	ასეთივე დარღვევისათვის ადმინისტრაციული სახდელის დადების შემდეგ		?	≤1			≤2					300
	გამოიწვია მნიშვნელოვანი ზიანი		?	≤2		≤3	≤4					300
	ჩადენილი სახელმწიფო ნაკრძალში ან აღკვეთილში, ანდა აკრძალულ დროს ან ადგილას, აგრეთვე საგანგებო ეკოლოგიური მდგომარეობის დროს ან ეკოლოგიური უბედურების ზონაში, ან საქართველოს „წითელ ნუსხაში“ შეტანილი თევზის ან წყლის სხვა ცოცხალი ორგანიზმის მიმართ		?	≤2		≤3	≤4					300
ნადირობის, აგრეთვე ცხოველთა სამყაროს ობიექტებით სხვაგვარი სარგებლობის წესების დარღვევა			≤200						±	±	86	
	ჩადენილი განმეორებით ანდა იმ იარაღით ან საშუალებებით, რომლებით ნადირობაც აკრძალულია		100-300						±	±	86	
ნადირობა სათანადო ნებართვის გარეშე, ანდა აკრძალულ ადგილას ან აკრძალულ დროს, ან აკრძალული იარაღით ან საშუალებით	გამოიწვია მნიშვნელოვანი ზიანი		?	≤2			≤4	±≤3				301
ნადირობა სახელმწიფო ნაკრძალში ან სხვა დაცულ ტერიტორიაზე, სადაც ნადირობა მთლიანად აკრძალულია, ანდა მექანიკური სატრანსპორტო ან მასობრივი განადგურების საშუალებით, ან საქართველოს „წითელ ნუსხაში“ შეტანილ ან უმწეო მდგომარეობაში მყოფ ნადირ-ფრინველზე, აგრეთვე საგანგებო ეკოლოგიური მდგომარეობის დროს ან ეკოლოგიური უბედურების ზონაში			?	≤2		≤3		≤3				301
საქართველოს „წითელ ნუსხაში“ შეტანილი, გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი გარეული ცხოველის ან ველური მცენარის ბუნებრივი საბინადრო ან გამრავლების არეალის მოშლა ან იმ ადგილების სხვა დანიშნულებით გამოყენება, სადაც საქართველოს „წითელ ნუსხაში“ შეტანილი სახეობა ბუნებრივად ბინადრობს ან ხარობს	გაუფრთხილებლობით შექმნა ამ ადგილებში ცხოველის ან მცენარის სახეობის გადაშენების საფრთხე		?		≤3	≤3		≤3				302
	გაუფრთხილებლობით გამოიწვია საქართველოს „წითელ ნუსხაში“ შეტანილი, გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი გარეული ცხოველის ან ველური მცენარის გადაშენება		?			≤5	3-6	≤3				302

დარღვევა	პირობა		სახდელი-სასჯელი									მუხლი	
			ძირითადი						დამატებითი				
		გაფრთხილება	ჯარიმა	გამასწ. საგუბარი	თავისუფლების შეზღუდვა	თავისუფლების აღკვეთა	ტუსაღობა	საქმიანობის ან თანამდებობის დაკავების უფლების ჩამორთმევა	იარაღის ჩამორთმევა	მოსარგებლის კონფისკაცია	ასკ	სსკ
			ლარი	წელი	წელი	წელი	თვე					
დაცული ტერიტორიები												
დაცული ტერიტორიებისა და მათი ტერიტორიულ-ფუნქციონალური ზონების საზღვრების სამიჯნე ნიშნების მოსპობა			≤10								55[4]	
	ჩადენილი სახელმწიფო ნაკრძალის, ეროვნული პარკის ბუნების მკაცრი ზონის, ბუნების ძეგლის, ბიოსფერული რეზერვატის ბირთვის (ბუნების მკაცრი დაცვის) ზონის, მსოფლიო მემკვიდრეობის უბნისა და საერთაშორისო მნიშვნელობის ჭარბტენიანი ტერიტორიის დადგენილი საზღვრების ფარგლებში		10-20								55[4]	
დაცული ტერიტორიების დადგენილი საზღვრების ფარგლებში სათიბი და საძოვარი სავარგულების დაზიანება და ძოვების წესების დარღვევა			≤30								68	
	იგივე ქმედება ჩადენილი სახელმწიფო ნაკრძალის, ეროვნული პარკის ბუნების მკაცრი დაცვის ზონის, ბუნების ძეგლის, ბიოსფერული რეზერვატის ბირთვის (ბუნების მკაცრი დაცვის) ზონის, მსოფლიო მემკვიდრეობის უბნისა და საერთაშორისა მნიშვნელობის ჭარბტენიანი ტერიტორიის დადგენილი საზღვრების ფარგლებში		30-60								68	
ეროვნული პარკის ბუნების მართვადი დაცვისა და აღდგენის ზონებში, აღკვეთილსა და ბიოსფერული რეზერვატის ბუნების მართვადი დაცვისა (მანიპულაციების) და აღდგენის ზონებში განახლებადი ბუნებრივი რესურსების აღდგინისა და მდგომარეობის გაუმჯობესების წესების დარღვევა			20-150								67[1]	
ეროვნული პარკის ტრადიციული გამოყენების ზონის, აღკვეთილის, მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორიაზე სპეციალურად გამოყოფილი ზონის, დაცული ლანდშაფტის, ბიოსფერული რეზერვატის ტრადიციულ-კულტურული ლანდშაფტის ზონის ტერიტორიების ტყის ფონდის მიწებზე არსებულ ტყეებში ტყეკაფის ფონდის გამოყოფის, გამოყენებისა და ტვირთსარგებლობის კანონმდებლობით დადგენილი წესების დარღვევა			50-300								63[1]	
დაცული ტერიტორიების დადგენილი საზღვრების ფარგლებში მოქცეული, დროებით დაკავებული მიწების დროულად დაუბრუნებლობა			50-100								53[1]	
	ჩადენილი სახელმწიფო ნაკრძალის, ეროვნული პარკის ბუნების მკაცრი დაცვის ზონის, ბუნების ძეგლის, ბიოსფერული რეზერვატის ბირთვის (ბუნების მკაცრი დაცვის) ზონის, მსოფლიო მემკვიდრეობის უბნისა და საერთაშორისო მნიშვნელობის ჭარბტენიანი ტერიტორიის დადგენილი საზღვრების ფარგლებში		100-150								53[1]	

დარღვევა	პირობა		სახდელი–სასჯელი									მუხლი	
			ძირითადი						დამატებითი				
		გაფრთხილება	ჯარიმა	გამასწ. საფუძ

ელი | თავისუფლების შეზღუდვა | თავისუფლების აღკვეთა | ტუსაღობა | საქმიანობის ან თანადროულად დაკავების უფლების ჩამორთმევა | იარაღის ჩამორთმევა | ფიზიკური კონფისკაცია | ასპ | სსკ |
			ლარი	წელი	წელი	წელი	თვე					
დაცული ტერიტორიების მართვისა და დაცვისათვის უშუალოდ პასუხისმგებელ პირთა მიერ დაცული ტერიტორიებისა და მათი ტერიტორიულ-ფუნქციონალური ზონების მიწების არა იმ მიზნით გამოყენება, რისთვისაც ისინი გამოიყო			50-100								51[1]	
	ჩადენილი სახელმწიფო ნაკრძალის, ეროვნული პარკის ბუნების მკაცრი დაცვის ზონის, ბუნების ძეგლის, ბიოსფერული რეზერვატის ბირთვის (ბუნების მკაცრი დაცვის) ზონის, მსოფლიო მემკვიდრეობის უბნისა და საერთაშორისო მნიშვნელობის ჭარბტენიანი ტერიტორიის დადგენილი საზღვრების ფარგლებში		100-130								51[1]	
დაცული ტერიტორიების დადგენილი საზღვრების ფარგლებში მერქნიან მცენარეთა უკანონო გაჩეხვა და დაზიანება			50-350								64[1]	
	ჩადენილი სახელმწიფო ნაკრძალის, ეროვნული პარკის ბუნების მკაცრი დაცვის ზონის, ბუნების ძეგლის, ბიოსფერული რეზერვატის ბირთვის (ბუნების მკაცრი დაცვის) ზონის, მსოფლიო მემკვიდრეობის უბნისა და საერთაშორისო მნიშვნელობის ჭარბტენიანი ტერიტორიის დადგენილი საზღვრების ფარგლებში ან საქართველოს „წითელ ნუსხაში“ შეტანილი სახეობების მიმართ		100-350								64[1]	
დაცული ტერიტორიები												
დაცული ტერიტორიებისა და მათი ტერიტორიულ-ფუნქციონალური ზონების დადგენილი საზღვრების ფარგლებში ტყის დაზიანება რადიაქტიური, ბაქტერიოლოგიური, ქიმიური ან სხვა მავნე ნივთიერებებით, რადიაქტიური, სამრეწველო, საყოფაცხოვრებო ან სხვა სახის ნარჩენებით, სამრეწველო, საყოფაცხოვრებო ან სხვაგვარი ჩამდინარე წყლებით, აგრეთვე მავნე ნივთიერებათა გამონაფრქვევებით	მოსდევს ტყის გახმობა ან დაავადება		≤70								71	
	იგივე ქმედება ჩადენილი სახელმწიფო ნაკრძალის, ეროვნული პარკის ბუნების მკაცრი დაცვის ზონის, ბუნების ძეგლის, ბიოსფერული რეზერვატის ბირთვის (ბუნების მკაცრი დაცვის) ზონის, მსოფლიო მემკვიდრეობის უბნისა და საერთაშორისა მნიშვნელობის ჭარბტენიანი ტერიტორიის დადგენილი საზღვრების ფარგლებში		70-140								71	
დაცული ტერიტორიებისა და მათი ტერიტორიულ-ფუნქციონალური ზონების დაცვის წესებისა და რეჟიმის დარღვევა			20-40								89	
	ჩადენილი სახელმწიფო ნაკრძალის, ეროვნული პარკის ბუნების მკაცრი დაცვის ზონის, ბუნების ძეგლის, ბიოსფერული რეზერვატის ბირთვის (ბუნების მკაცრი დაცვის) ზონის, მსოფლიო მემკვიდრეობის უბნისა და საერთაშორისო მნიშვნელობის ჭარბტენიანი ტერიტორიის დადგენილი საზღვრების ფარგლებში		25-50								89	

| დარღვევა | პირობა | სახელმწიფო–სასჯელი | | |

დანართი VI. საკონტაქტო ინფორმაცია

დანართი VIA: პროექტის მონაწილენი

ეს სახელმძღვანელო შეიქმნა პროექტის: „გარემოსდაცვითი ინფორმაცია, განათლება და ცნობიერების ამაღლება“ ფარგლებში. პროექტი დაფინანსდა ევროპული კავშირის მიერ და განხოციელდა როიალ ჰასკონინგისა და ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის რეგიონული ეკოლოგიური ცენტრის (რეც) მიერ. მათი საკონტაქტო რეკვიზიტებია:

- **European Commission**
  Lena Nielsen
  Project Manager

  EuropeAid Cooperation Office
  Europe, Caucasus, Central Asia
  Unit A2 - Centralised Operations
  Rue de Loi 200, Office L41 4/39
  B-1049 Brussels
  Tel: +32 2 296 1800
  Fax:+32 2 295 1647
  e-mail:Lena.Nielsen@cec.eu.int
  http://europa.eu.int/comm//europeaid

- **Royal Haskoning**
  Margriet Hartman
  Project Manager

  Division Environment
  Haskoning Nederland bv,
  a company of Royal Haskoning
  P.O. Box 8520
  3009 AM Rotterdam
  The Netherlands
  Tel: +31 10 2865 505
  Fax: +31 10 4562 312
  m.hartman@royalhaskoning.com
  www.royalhaskoning.com

- **The Regional Environment Center for Central and Eastern Europe (REC)**
  Magda Toth Nagy,
  Head of the Public Participation Programme

  9-11Ady Endre ut.
  Szentendre 2000
  Hungary
  Tel: +36 26 504 000
  Fax: +36 26 311 294
  E-mail: tmagdi@rec.org:
  Web: www.rec.org

საქართველოში პროექტს ახორციელებდა ეროვნული გუნდი შემდეგი შემადგენლობით:

სახელი, გვარი	ორგანიზაცია, თანამდებობა	ტელ	ელ-ფოსტა
ლია თოდუა	პროექტის ეროვნული გუნდის ხელმძღვანელი	+995 99 577959	liatodua@gol.ge
ნანა ნემსაძე	ინტერაქტიული სწავლების ეროვნული ექსპერტი	+995 99 242722	nnemsadze@gol.ge
მანანა ქურთუბაძე	კავშირი „გრიდ-თბილისი“	+995 32 942808	m.kurtubadze@gridtb.org
ეკა ბადრიძე	საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი	+995 32 250711	ebadridze@hotmail.com
რუსუდან სიმონიძე	საქართველოს მწვანეთა მოძრაობა	+995 32 354751	info@greens.ge
გიორგი გახელაძე	გაზეთი „მთავარი გაზეთი“	+995 77 793098	GGakheladze@yahoo.com
თამარ გობეჯიშვილი	გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო	+995 32 943670	moeprdept@gol.ge
თამარ ფეიქრიშვილი	გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო	+995 32 943670	moeprdept@gol.ge
ნინო ქიტუაშვილი	გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო	+995 32 943670	moeprdept@gol.ge
არჩილ ადამია	გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო, იურიდიული სამმართველო	+995 32 337340	meldachiko@yahoo.com

დანართი VIბ: ორჰუსის კონვენციის კონტაქტები

ორჰუსის კონვენციის შესახებ დამატებითი ინფორმაციისათვის დაუკავშირდით ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის რეგიონული ეკოლოგიური ცენტრს ან ქვემოთჩამოთვლილ ორგანიზაციებს და პირებს:

ორჰუსის კონვენციის სამდივნო

Aarhus Convention Secretariat
Environment and Human Settlements Division
United Nations Economic Commission for Europe
Office 332, Palais des Nations
CH-1211 Geneva 10
Tel: +41 22 917 2384
Fax: +41 22 917 0107
Email: public.participation@unece.org
Web: www.unece.org/env/pp

ორჰუსის კონვენციაზე პასუხისმგებელი პირი საქართველოში

ქ-ნი ნინო გოხელაშვილი
საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო
საერთაშორისო ურთიერთობებისა და კონვენციების სამმართველო
სამმართველოს უფროსის მოადგილე
თბილისი, კოსტავას 68ა
ტელ: +995 32 334082, ფაქსი: +995 32 333952, მობ:+995 77 760593
ელ-ფოსტა: gmep@access.sanet.ge aarhusgeo@access.sanet.ge

იურისტები და არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც საქართველოში მუშაობენ ორჰუსის კონვენციასთან დაკავშირებულ საკითხებზე

იურისტები:

- **მერაბ ბარბაქაძე, ასოციაცია „სამართლებრივი საზოგადოება“, აღმასრულებელი დირექტორი**
  მობ: 99 508514,
  ელ-ფოსტა: merab@mymail.ge

- **ზურაბ მარაქველიძე, იურისტი**
  მობ: 99 934192,
  ელ-ფოსტა: zurab@iris.ge

- **პავლე აბაიაძე, ადვოკატი,**
  მობ: 99 589976,
  ელ-ფოსტა: abaiadze@hotmail.com

- **ლევან ალაფიშვილი, საადვოკატო კომპანია GLG, მმართველი პარტნიორი**
  ტელ/ფაქსი: 912545, მობ: 99 777272,
  ელ-ფოსტა: l.alapishvili@posta.ge

- **არჩილ ადამია, საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო, იურიდიული დეპარტამენტი**
  მობ: 93 303287,
  ელ-ფოსტა: meldachiko@yahoo.com

- **ბექა დვალი, იურისტი**
  მობ: 99 223016,
  ელ-ფოსტა: bekad@hotmail.com

- **თამარ მაღრაძე, იურისტი**
  მობ: 93 304841,
  ელ-ფოსტა: tamar.magradze@rec-caucasus.org

არასამთავრობო ორგანიზაციები[179]:

- **ფონდი: კავკასიის რეგიონული ეკოლოგიური ცენტრი**
  საქართველო, თბილისი, 0162, ჭავჭავაძის გამზ. 74, ოფისი 901,
  ტელ/ფაქსი: 253649/48,
  ელ-ფოსტა: info@rec-caucasus.org,
  ვებ-გვერდი: www.rec-caucasus.org

- **კავშირი: მწვანე ალტერნატივა**
  თბილისი 0105, რუსთაველის გამზ 1, I სად, IV სართ,
  ტელ/ფაქსი: 932403/223874,
  ელ-ფოსტა: greenalt@caucasus.net greenatl@wanex.net

- **კავშირი: საქართველოს მწვანეთა მოძრაობა**
  თბილისი 0112, აღმაშენებლის გამზ. 182, მუშტაიდის ბაღი, მწვანე სახლი,
  ტელ: 354751, ფაქსი: 351674,
  ელ-ფოსტა: info@greens.ge

- **კავშირი: კავკასიის გარემოსდაცვით არასამთავრობო ორგანიზაციათა ქსელი**
  მისამართი: საქართველო, თბილისი 0107, ჭონქაძის ქ. 14ბ,
  ტელ: 923946, ფაქსი: 923947,
  ელ-ფოსტა: info@cenn.org,
  ვებ-გვერდი: www.cenn.org

- **კავშირი: საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი**
  მისამართი: თბილისი 0194, გამსახურდიას გამზ.33ა,
  ტელ/ფაქსი: 964124; 250711,
  ელ-ფოსტა: office@csrdg.ge,
  ვებ-გვერდი: http://csrdg.gol.ge/

- **კავშირი: გარემოსდაცვითი საგანმანათლებლო ცენტრი**
  თბილისი, მობ: 77 760574,
  ელ-ფოსტა: tamar_gobejishvili@hotmail.com

- **კავშირი: „გურიის მთები“**
  ოზურგეთი,
  მობ: 99755450,
  ელ-ფოსტა: davideku2@mail.ru

[179] ჩამონათვალი ამომწურავი არ არის

გარემოსდაცვითი ინფორმაცია, განათლება და ცნობიერების ამაღლება

აზერბაიჯანი, ბელარუსი, მოლდოვა, საქართველო, სომხეთი, უკრაინა

2002 წლის 17 ივნისიდან 2004 წლის 17 დეკემბრის ჩათვლით აზერბაიჯანში, ბელარუსში, მოლდოვაში, საქართველოში, სომხეთსა და უკრაინაში განხორციელდა ევროკავშირის პროექტი: „გარემოსდაცვითი ინფორმაცია, განათლება და ცნობიერების ამაღლება". პროექტის მიზანს წარმოადგენდა გარემოსდაცვით გადაწყვეტილებათა, და შესაბამისად გარემოს მდგომარეობის გაუმჯობესება საზოგადოებრივი ინტერესების უკეთ გათვალისწინების ხარჯზე. პროექტის არსი იყო საჯარო მოხელეებისა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლების მხარდაჭერა მათ მიერ ორჰუსის კონვენციის ცხოვრებაში გატარებაში.

პროექტი დააფინანსა ევროკავშირის „ევროეიდის" პროგრამამ. პროექტი განახორციელა „როიალ ჰასკონინგმა" ნიდერლანდების სამეფოდან, აღმოსავლეთ და ცენტრალური ევროპის რეგიონულ ეკოლოგიურ ცენტრთან (განთავსებულია უნგრეთში) ერთობლივად.

თითოეულ ქვეყანაში პროექტს ახორციელებდა ეროვნული გუნდი, რომელიც მჭიდროდ თანამშრომლობდა ერთის მხრივ პროექტის მაკოორდინირებელ რეგიონულ გუნდთან, და, მეორეს მხრივ – ორჰუსის კონვენციის ეროვნულ კოორდინატორებთან. ეროვნული გუნდი შედგებოდა გუნდის ხელმძღვანელისგან, ინტერაქტიური სწავლების ეროვნული ექსპერტისაგან და კიდევ რვა წევრისაგან, რომლებიც ქვეყნის როგორც სამთავრობო, ასევე არასამთავრობო სექტორს წარმოადგენდნენ.

პროექტის ძირითადი შედეგები:

- მომზადდა ორჰუსის კონვენციის **განხორციელების მიმოხილვა** თითოეული ქვეყნისათვის;
- საგანგებო სწავლების შედეგად ეროვნული **გუნდის წევრები** ჩემოყალიბდნენ ექსპერტებად, რომელთაც შეუძლიათ ორჰუსის კონვენციის თემაზე ინტერაქტიულ მეცადინეობათა ჩატარება სხვადასხვა აუდიტორიისათვის;
- გამოიცა (რუსულ და ინგლისურ ენებზე) ორჰუსის კონვენციის განხორციელების ორი **რეგიონული სახელმძღვანელო** – ერთი საჯარო მოხელეთათვის, ხოლო მეორე – სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენელთათვის. სახელმძღვანელოები შეიცავს კონვენციის დებულებათა განმარტებებს და მათი განხორციელების პროცედურებისა და გამოყენების კონკრეტულ მაგალითებსა და რეკომენდაციებს;
- გამოიცა (ეროვნულ და რუსულ ენებზე) ორჰუსის კონვენციის განხორციელების **ეროვნული სახელმძღვანელოები** – ცალკე საჯარო მოხელეთათვის და ცალკე სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენელთათვის. მათში დეტალურად განხილულია კონვენციასთან დაკავშირებული ეროვნული კანონმდებლობა და კონკრეტული პროცედურები, მოყვანილია მათი გამოყენების მაგალითები და რეკომენდაციები;
- თითოეულ ქვეყანაში ჩატარდა **ინტერაქტიული სწავლების** 6 კურსი, რის შედეგადაც ორჰუსის კონვენციის განხორციელებისათვის საჭირო ცოდნა და ჩვევები გაუუმჯობესდა ცენტრალური მთავრობის 195, ადილობრივი მმართველობისა და თვითმმართველობის 193 და სამოქალაქო საზოგადოების 210 წარმომადგენელს;
- გამოიცა ორჰუსის კონვენციის **ინტერაქტიული სწავლების** რეგიონული და ეროვნული **სახელმძღვანელოები**. ისინი შეიცავს როგორც სწავლების მეთოდების აღწერას, ასევე სესიების დეტალურ გეგმებს და სლაიდებს ლექციებისათვის;
- თითოეულ ქვეყანაში განხორციელდა **საპილოტო პროექტები** ცენტრალურ და ადგილობრივ დონეზე ორჰუსის კონვენციის განხორციელების პრაქტიკული ინსტრუმენტების შესამუშავებლად; გამოიცა **ბროშურა** საპილოტო პროექტების შედეგების გასაშუქებლად;
- მნიშვნელოვნად გაიზარდა მედიის დაინტერესება ორჰუსის კონვენციით და მის გამოყენებასთან დაკავშირებული შემთხვევების **გაშუქება**.